European Commission

თავშესაფრისა და მიგრაციის

ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 9.0

მიგრაციის ევროპული ქსელის ინსტრუმენტი
ტერმინთა უკეთესი თავსებადობის უზრუნველსაყოფად

მაისი 2023 წ.

EMN European Migration Network
მიგრაციის ევროპული ქსელი
GEORGIA საქართველო

Home Affairs

თავშესაფრისა და მიგრაციის
ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

ტერმინთა უკეთესი თავსებადობის მიზნით შემუშავებული დოკუმენტი მიგრაციის ევროპული ქსელი

მაისი 2023 წ.

ევროკავშირი საქართველოსთვის

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

წინამდებარე ლექსიკონი არის ***მიგრაციის ევროპული ქსელის*** (EMN) მიერ შემუშავებული ***თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის*** ქართულ ენაზე ნათარგმნი ვერსია, რომელიც შემუშავდა EMN-ის საქართველოს ეროვნული საკონტაქტო პირის - მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) კოორდინაციით.

ლექსიკონი ითარგმნა პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის გრძელვადიანი ამოცანების განხორციელების ეფექტური კოორდინაციის უზრუნველყოფა“ ფარგლებში, რომელიც საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით ხორციელდება მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის სამდივნოს (სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) მიერ.

პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ლექსიკონის ხელახალი გამოცემა ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, წყაროს მითითებითა და შემდეგი ტექსტის დართვით: „მიგრაციის ევროპული ქსელის (EMN) ლექსიკონი შემუშავებულია EMN-ის მიერ. ევროკომისია და EMN-ის ეროვნული საკონტაქტო პირები, რომლებიც ერთობლიობაში წარმოადგენენ მიგრაციის ევროპულ ქსელს, არ იღებენ პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას ლექსიკონში მოცემული ინფორმაციის ან იმ ვებგვერდების შინაარსის, საიდანაც აღებულია ზოგიერთი ტერმინი, გამოყენებაზე“.

მიგრაციის ევროპული ქსელი ევროკავშირის ინსტიტუტებს და ასევე ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს აწვდის განახლებულ, ობიექტურ, სანდო და შედარებად ინფორმაციას თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებით, რაც გამიზნულია ევროკავშირის მიერ აღნიშნულ სფეროებში პოლიტიკის შემუშავების მხარდასაჭერად. მიგრაციის ევროპული ქსელი ასევე უზრუნველყოფს ამ მასალის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. დეტალური ინფორმაცია *მიგრაციის ევროული ქსელის* და მისი პროდუქტების შესახებ (*ლექსიკონის* ჩათვლით) შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე:
www.ec.europa.eu/emn

სარჩევი

შემოკლებები 5

ლექსიკონის ტერმინები 6

წყაროთა საძიებელი 536

ქართულ ტერმინთა საძიებელი 551

ინგლისურ ტერმინთა საძიებელი 558

შემოკლებები

CJEU	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო
DG Home	მიგრაციისა და საშინაო საქმეთა გენერალური დირექტორატი (ევროკომისია)
EC	ევროკომისია
EU	ევროკავშირი
EU/EFTA (member states)	ევროკავშირის/ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ([ასოციაციის] წევრი სახელმწიფოები)
EMN	მიგრაციის ევროპული ქსელი
EUAA (former EASO)	ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (ყოფილი ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი)
EUDO	ევროკავშირის დემოკრატიის საკითხთა შემსწავლელი საინფორმაციო-ანალიტიკური ცენტრი
ISCO (ILO)	პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორი (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია)
FRA	ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო
Frontex	ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო
IATE	ევროკავშირის საერთო ტერმინოლოგიური ბაზა
ICMPD	მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
IOM	მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
TFEU	ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება
UNHCR	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
ეუთო	ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
იუნესკო	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

BG	трафик на хора
CS	obchodování s lidmi
DE	Menschenhandel
EL	εμπορία ανθρώπων
EN	trafficking in human beings
ES	trata de seres humanos
ET	inimkaubandus
FI	ihmiskauppa
FR	traite des êtres humains
GA	gáinneáil i ndaoine
HU	emberkereskedelem
IT	tratta di esseri umani
LT	prekyba žmonėmis
LV	cilvēku tirdzniecība
MT	Traffikar ta' Persuni
NL	mensenhandel
PL	handel ludźmi
PT	tráfico de seres humanos
RO	trafic de ființe umane
SK	obchodovanie s ľuďmi
SL	trgovina z ljudmi
SV	människohandel
NO	menneskehandel
UK	торгівля людьми

განმარტება

ექსპლუატაციის მიზნით ადამიანთა გადაბირება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ან მიღება, მათზე კონტროლის განხორციელების უფლების გაცვლის ან უფლების გადაცემის ჩათვლით, მუქარის, ძალის გამოყენების ან იძულების სხვა საშუალებებით: მოტაცებით, თაღლითობით, მოტყუებით, ძალაუფლების ან პირის მოწყვლადი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ან იმ პირის თანხმობის მისაღწევად თანხის ან სხვა სარგებლის მიღების ან გაცემის გზით, ვისი კონტროლის ქვეშაც იმყოფება მეორე პირი.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/36/EU (დირექტივა ტრეფიკინგის შესახებ) მე-2 მუხლი

სინონიმი

- ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის გამოვლენა**
- **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება**

დაკავშირებული ტერმინები

- **ექსპლუატაცია**
- **რეფერირების ეროვნული მექანიზმი**
- **პალერმოს ოქმი**

შენიშვნები

1. „მოწყვლადი მდგომარეობა“ ნიშნავს სიტუაციას, რომელშიც შესაბამის პირს არ გააჩნია რეალური ან მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ დაექვემდებაროს ბოროტად გამოყენებას.

2. ექსპლუატაცია მოიცავს, სულ მცირე, სხვების პროსტიტუციის გამოყენებას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მათ შორის, მათხოვრობას, მონობას ან მონობის მსგავს პრაქტიკას, დამონებას, ასევე დანაშაულებრივი ქმედებების ექსპლუატაციას ან ორგანოების ამოკვეთას.

3. ევროკავშირის ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ვებგვერდი წარმოადგენს ერთიან ვებგვერდს ტრეფიკინგის პრობლემით დაინტერესებული პრაქტიკოსებისა და საზოგადოებისთვის.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლი

BG	идентифицирана жертва на трафик на хора
CS	identifikovaná oběť obchodování s lidmi
DE	identifiziertes Opfer von Menschenhandel
EL	αναγνωρισμένο θύμα εμπορίας ανθρώπων
EN	identified victim of trafficking in human beings
ES	victima reconocida de trata de seres humanos
ET	(tuvastatud) inimkaubanduse ohver
FI	tunnistettu ihmiskaupan uhri
FR	victime identifiée de la traite des êtres humains
GA	íospartach gáinneála sainaitheanta
HU	emberkereskedelem azonosított áldozata
IT	vittima identificata di tratta di esseri umani
LT	nustatyta prekybos žmonėmis auka
LV	identificēts cilvēku tirdzniecības upuris
MT	Vittma identifikata fit-traffikar tal-persuni
NL	geïdentificeerd slachtoffer van mensenhandel
PL	zidentyfikowana ofiara handlu ludźmi
PT	pessoa identificada como vítima de tráfico de seres humanos
RO	victimă a traficului de ființe umane identificată
SK	identifikovaná obeť obchodovania s ľuďmi
SL	identificirana žrtev trgovine z ljudmi
SV	identifierat offer för människohandel
NO	identifisert offer for menneskehandel
UK	ідентифікована жертва торгівлі людьми

განმარტება

პირი, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შესაბამისი უფლებამოსილი უწყების მიერ ოფიციალურად იქნა ცნობილი, როგორც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროსტატი: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), 2013 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მოწყვლადი პირი**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის გამოვლენა

BG	откриване на жертва на трафик на хора
CS	identifikace oběti obchodování s lidmi
DE	Erkennung eines Opfers von Menschenhandel
EL	εντοπισμός θύματος εμπορίας ανθρώπων
EN	detection of a victim of trafficking in human beings
ES	detección de víctimas de trata de seres humanos
ET	inimkaubanduse ohvri staatuse tuvastamine
FI	ihmiskaupan uhrin havaitseminen
FR	détection d'une victime de la traite des êtres humains
GA	íospartach gáinneála a aimsiú
HU	emberkereskedelem áldozatának felderítése
IT	individuazione della vittima di tratta degli esseri umani
LT	prekybos žmonėmis aukos atpažinimas
LV	cilvēku tirdzniecības upura atpazīšana
MT	Sejbien ta' vittma fit-traffikar tal-persuni
NL	detectie van een slachtoffer van mensenhandel
PL	identyfikacja ofiar handlu ludźmi
PT	deteção de vítima de tráfico de seres humanos
RO	identificarea unei victime a traficului de ființe umane
SK	zisťovanie či je osoba obeťou obchodovania s ľuďmi
SL	zaznava žrtve trgovine z ljudmi
SV	upptäckt av offer för människohandel
NO	identifisering av et offer for menneskehandel (b); identifisering av eit offer for menneskehandel (n)
UK	виявлення жертви торгівлі людьми

განმარტება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესაძლო შემთხვევების იდენტიფიცირების პროცესი.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.

Varandas, I. & J. Martins: Signalling Identification Integration of Victims of Trafficking for Sexual Exploitation: Construction of a Guide, 2007 (ი. ვარანდასი და ჯ. მარტინსი: „სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინტეგრაციის მაჩვენებელი: სახელმძღვანელოს შექმნა", 2007 წ.)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

დაკავშირებული ტერმინი

★ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის იდენტიფიცირება

BG	идентификация на жертва на трафик на хора
CS	identifikace oběti obchodování s lidmi
DE	Feststellung eines Opfers von Menschenhandel / Identifizierung eines Opfers von Menschenhandel
EL	αναγνώριση θύματος εμπορίας ανθρώπων
EN	identification of a victim of trafficking in human beings
ES	identificación de víctima de trata de seres humanos
ET	inimkaubanduse ohvri tuvastamine
FI	ihmiskaupan uhrin tunnistaminen
FR	identification d'une victime de la traite des êtres humains
GA	íospartach gáinneála a shainaithint
HU	emberkereskedelem áldozatának azonosítása
IT	identificazione della vittima di tratta di esseri umani
LT	prekybos žmonėmis aukos nustatymas
LV	cilvēku tirdzniecības upura identificēšana
MT	Identifikazzjoni (L-) ta' vittma fit-traffikar tal-persuni
NL	herkennen van een slachtoffer van mensenhandel
PL	identyfikacja ofiar handlu ludźmi
PT	identificação de vítima de tráfico de seres humanos
RO	identificarea unei victime a traficului de ființe umane
SK	identifikácia obete obchodovania s ľuďmi
SL	prepoznavanje žrtve trgovine z ljudmi
SV	identifiering av offer för människohandel
NO	identifisering av offer for menneskehandel
UK	ідентифікація жертви торгівлі людьми

განმარტება

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მდგომარეობის დადასტურებისა და დახასიათების პროცესი, პირის შემდგომი მხარდაჭერის მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
Varandas, I. & J. Martins: Signalling Identification Integration of Victims of Trafficking for Sexual Exploitation: Construction of a Guide, 2007 (ი. ვარანდასი და ჯ. მარტინსი: „სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ინტეგრაციის მაჩვენებელი: სახელმძღვანელოს შექმნა", 2007 წ.)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

დაკავშირებული ტერმინი

★ **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის გამოვლენა**

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლი

BG	предполагаема жертва на трафика на хора
CS	pravděpodobná oběť obchodování s lidmi
DE	vermutetes Opfer von Menschenhandel
EL	φερόμενο θύμα εμπορίας ανθρώπων
EN	presumed victim of trafficking in human beings
ES	presunta víctima de trata de seres humanos
ET	eeldatav inimkaubanduse ohver
FI	oletettu ihmiskaupan uhri
FR	victime présumée de la traite des êtres humains
GA	duine ar dócha gur íospartach gáinneála é / í
HU	emberkereskedelem feltételezett áldozata
IT	vittima presunta di tratta di esseri umani
LT	asmuo, galėjęs nukentėti nuo prekybos žmonėmis
LV	persona, kuru uzskata par cilvēku tirdzniecības upuri
MT	Prežumibbilment vittma fit-traffikar tal-persuni
NL	vermoedelijk slachtoffer van mensenhandel
PL	domniemana ofiara handlu ludźmi
PT	presumível vítima de tráfico de seres humanos
RO	presupuse victime ale traficului de ființe umane
SK	pravdepodobná obeť obchodovania s ľuďmi / formálne neidentifikovaná obeť obchodovania s ľuďmi
SL	domnevna žrtev trgovine z ljudmi
SV	förmodat offer för människohandel
NO	antatt offer for menneskehandel
UK	ймовірна жертва торгівлі людьми

განმარტება

პირი, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის რეგულაციებისა და საერთაშორისო კონვენციების კრიტერიუმებს, მაგრამ რომელიც შესაბამისი სტრუქტურების (მაგ., პოლიციის) მიერ ოფიციალურად არ არის აღიარებული, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლი ან უარს აცხადებს ტრეფიკინგის მსხვერპლად ოფიციალურად ან სამართლებრივად აღიარებაზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროსტატი: ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), 2015 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლი**
- ★ **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**
- ★ **მოწყვლადი პირი**

შენიშვნა

ვითარება, როდესაც ივარაუდება, რომ პირი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლი, არ გამორიცხავს მომდევნო ეტაპზე მისი სტატუსის სხვაგვარად შეფასებას (ის შეიძლება არ იქნეს ოფიციალურად იდენტიფიცირებული, როგორც მსხვერპლი).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR)

BG	Европейска конвенция за правата на човека
CS	Evropská úmluva o ochraně lidských práv
DE	Europäische Menschenrechtskonvention
EL	Ευρωπαϊκή Σύμβαση Δικαιωμάτων του Ανθρώπου
EN	European Convention on Human Rights (ECHR)
ES	Convenio Europeo de Derechos Humanos
ET	Euroopa inimõiguste ja põhivabaduste kaitse konvetsioon
FI	Euroopan ihmisoikeussopimus
FR	Convention européenne des droits de l'homme
GA	an Coinbhinsiún Eorpach um Chearta an Duine
HU	Emberi Jogok Európai Egyezménye
IT	Convenzione Europea dei Diritti dell'Uomo
LT	Europos žmogaus teisių konvencija
LV	Eiropas Cilvēktiesību konvencija
MT	Konvenzjoni (Il-) Ewropea dwar id-Drittijiet tal-Bniedem
NL	Europees Verdrag voor de Rechten van de Mens
PL	Europejska Konwencja Praw Człowieka / Konwencja o Ochronie Praw Człowieka i Podstawowych Wolności
PT	Convenção Europeia dos Direitos Humanos
RO	Convenția Europeană a Drepturilor Omului
SK	Európsky dohovor o ochrane ľudských práv a základných slobôd / EDĽP
SL	Evropska konvencija o človekovih pravicah
SV	Europakonventionen om de mänskliga rättigheterna
NO	Den europeiske menneskerettskonvensjonen
UK	Європейська конвенція з прав людини (ЄКПЛ)

განმარტება

ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონული ინსტრუმენტი, რომლითაც უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებული გარკვეული უფლებები და რომელიც საშუალებას აძლევს ფიზიკურ პირებს, მიმართონ სასამართლოებს თავიანთი უფლებების დასაცავად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

კონვენციის შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია

სინონიმები

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
- ECHR

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია**
- **ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)**
- **ადამიანის უფლებები**
- **ადამიანის უფლებათა სამართალი**

შენიშვნა

ოფიციალურად მოიხსენიება, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR)

BG	Европейски съд за правата на човека
CS	Evropský soud pro lidská práva
DE	Europäischer Gerichtshof für Menschenrechte
EL	Ευρωπαϊκό Δικαστήριο των Δικαιωμάτων του Ανθρώπου
EN	European Court of Human Rights
ES	Tribunal Europeo de Derechos humanos
ET	Euroopa Inimõiguste Kohus
FI	Euroopan ihmisoikeustuomioistuin
FR	Cour européenne des droits de l'homme
GA	an Chúirt Eorpach um Chearta an Duine
HU	Emberi Jogok Európai Bírósága
IT	Corte europea dei diritti dell'uomo
LT	Europos Žmogaus Teisių Teismas
LV	Eiropas Cilvēktiesību tiesa
MT	Qorti Ewropea tad-Drittijiet tal-Bniedem
NL	Europees Hof voor de Rechten van de Mens (EHRM)
PL	Europejski Trybunał Praw Człowieka
PT	Tribunal Europeu dos Direitos Humanos
RO	Curtea Europeană a Drepturilor Omului (CEDO)
SK	Európsky súd pre ľudské práva / ESĽP
SL	Evropsko sodišče za človekove pravice
SV	Europeiska domstolen för de mänskliga rättigheterna (Europadomstolen)
NO	Den europeiske menneskrettsdomstolen
UK	Європейський суд з прав людини (ЄСПЛ)

განმარტება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაფუძნებული საერთაშორისო სასამართლო, რომელიც განიხილავს ინდივიდუალურ პირთა ან სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ საჩივრებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.

წყარო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) ვებგვერდი

სინონიმი

★ ECtHR

შენიშვნები

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR) შეიქმნა 1959 წელს და მდებარეობს სტრასბურგში.

2. ECtHR განიხილავს საჩივრებს, რომლებიც ეხება ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ერთი ან მეტი დებულების სავარაუდო დარღვევას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და მისი ოქმებით გათვალისწინებულ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან მიმართებით. საჩივრის შეტანა შეუძლია ფიზიკურ პირს, ფიზიკურ პირთა ჯგუფს ან ერთ ან მეტ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, ხოლო გადაწყვეტილებების გარდა, სასამართლოს ასევე შეუძლია გამოსცეს საკონსულტაციო დასკვნები.

3. ECtHR-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა დავაში მონაწილე ქვეყნებისთვის. შესაბამისად, მათ საფუძველზე რიგ შემთხვევაში ამ ქვეყნებმა შეცვალეს თავიანთი კანონმდებლობა და ადმინისტრაციული პრაქტიკა არაერთ სფეროში.

ადამიანის უფლებათა სამართალი

BG	закон за човешките права
CS	(mezinárodní) právo v oblasti lidských práv
DE	internationale Menschenrechtsnormen
EL	δίκαιο των δικαιωμάτων του ανθρώπου / δίκαιο των ανθρωπίνων δικαιωμάτων
EN	human rights law
ES	legislación de derechos humanos
ET	inimõiguste õigus
FI	ihmisoikeuslainsäädäntö
FR	droit relatif aux droits de l'homme
GA	na dlíthe i leith Chearta an Duine, reachtaíocht i leith Chearta an Duine
HU	emberi jogok
IT	diritto dei diritti umani
LT	žmogaus teisių teisė
LV	cilvēktiesību normas
MT	Liġi (Il-) dwar id-drittijiet tal-bniedem
NL	humanitair recht
PL	prawo praw człowieka
PT	legislação sobre direitos humanos
RO	legislația privind drepturile omului
SK	právo v oblasti ľudských práv
SL	pravo o človekovih pravicah
SV	lagstiftning till skydd för mänskliga rättigheter
NO	menneskerettslovgivning (b); menneskerettslovgjeving (n)
UK	право у сфері прав людини

განმარტება

საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტებისა და ეროვნული კანონმდებლობისგან შემდგარი სისტემა, რომელიც აღიარებს და იცავს ადამიანის უფლებებს.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია**
- ★ **ლტოლვილთა სამართალი**

შენიშვნა

ლტოლვილთა სამართალი და ადამიანის უფლებათა სამართალი ურთიერთშემავსებელი დარგებია.

ადამიანის უფლებები

BG	човешки права
CS	lidská práva
DE	Menschenrechte
EL	δικαιώματα του ανθρώπου / ανθρώπινα δικαιώματα
EN	human rights
ES	derechos humanos
ET	inimõigused
FI	ihmisoikeudet
FR	droits de l'homme
GA	cearta an duine
HU	emberi jogok
IT	diritti umani
LT	žmogaus teisės
LV	cilvēktiesības
MT	Drittijiet (Id-) tal-bniedem
NL	mensenrechten
PL	prawa człowieka
PT	direitos humanos
RO	drepturile omului
SK	ľudské práva
SL	človekove pravice
SV	mänskliga rättigheter
NO	menneskerettigheter (b); menneskerettar (n)
UK	права людини

განმარტება

შეთანხმებული საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც აღიარებს და იცავს განურჩევლად ყველა ადამიანის ღირსებასა და ხელშეუხებლობას.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმები

- ძირითადი უფლებები
- ფუნდამენტური უფლებები

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია**
- **ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR)**
- **ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)**
- **ძირითადი უფლებები**

შენიშვნები

1. ადამიანის უფლებები საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნაწილია და ისინი გათვალისწინებულია სხვადასხვა ეროვნული, რეგიონული თუ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტით, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტად მოიხსენიება.

2. ევროკავშირში უპირატესობა ენიჭება ტერმინს 'ძირითადი/ფუნდამენტური უფლებები'.

ადაპტაცია

BG	приспособяване
CS	adaptace
DE	Anpassung / Adaptation
EL	προσαρμογή
EN	adaptation
ES	adaptación
ET	kohanemine
FI	sopeutuminen
FR	adaptation
GA	oiriúnú
HU	adaptáció / alkalmazkodás
IT	adattamento
LT	adaptacija
LV	pielāgošanās
MT	Addattament
NL	aanpassing
PL	adaptacja
PT	adaptação
RO	adaptare
SK	prispôsobenie / adaptácia
SL	prilagajanje / adaptacija
SV	anpassning
NO	tilpasning (b); tilpassing (n)
UK	адаптація

განმარტება

პირის მიერ საკუთარი შეხედულებების და/ან დამოკიდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეცვლა ცხოვრების ახალ პირობებზე მორგების მიზნით.

წყარო

UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ეკონომიკური ადაპტაცია
- ენობრივი ადაპტაცია
- სამუშაო გარემოსთან შეგუება
- სასკოლო გარემოსთან შეგუება

დაკავშირებული ტერმინი

- ინტეგრაცია

ადგილობრივი სასაზღვრო მიმოსვლა

BG	местен граничен трафик
CS	malý pohraniční styk
DE	kleiner Grenzverkehr
EL	τοπική διασυνοριακή κυκλοφορία
EN	local border traffic
ES	tráfico fronterizo local
ET	kohalik piiriliiklus
FI	paikallinen rajaliikenne
FR	petit trafic frontalier
GA	trácht teorann áitiúil
HU	kishatárforgalom
IT	traffico frontaliero locale
LT	vietinis eismas per sieną
LV	vietējā pierobežas satiksme
MT	Traffiku lokali mal-fruntiera / mal-konfini
NL	klein grensverkeer
PL	mały ruch graniczny
PT	pequeno tráfego fronteiriço
RO	mic trafic de frontieră
SK	malý pohraničný styk (EU acquis); prihraničná doprava
SL	lokalni obmejni promet
SV	lokal gränstrafik
NO	lokal grensetrafikk
UK	малий прикордонний рух

განმარტება

სასაზღვრო ზონაში მცხოვრებ პირთა მიერ გარე სახმელეთო საზღვრის რეგულარული კვეთა სასაზღვრო ზონაში დარჩენის მიზნით, მაგალითად, სოციალური, კულტურული ან დასაბუთებული ეკონომიკური მიზეზების გამო ან ოჯახური გარემოებების გამო, არაუმეტეს სამი თვის ვადით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N1931/2006 (რეგულაცია ადგილობრივი სასაზღვრო მიმოსვლის შესახებ) მე-3(3) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- სასაზღვრო ზონა
- სასაზღვრო ზონაში მცხოვრები პირი
- საზღვრისპირა მუშაკი

აეროპორტის სატრანზიტო ვიზა

BG	виза за летищен транзит
CS	letištní průjezdní vízum
DE	Visum für den Flughafentransit
EL	θεώρηση διέλευσης από αερολιμένα
EN	airport transit visa
ES	visado de tránsito aeroportuario
ET	lennujaama transiidiviisa
FI	lentokentän kauttakulkuviisumi
FR	visa de transit aéroportuaire
GA	víosa idirthurais aerfoirt
HU	repülőtéri tranzit vízum
IT	visto di transito aeroportuale
LT	oro uosto tranzitinė viza
LV	lidostas tranzītvīza
MT	Viża għat-transitu fl-ajruport
NL	luchthaventransitvisum
PL	lotniskowa wiza tranzytowa
PT	visto de trânsito aeroportuário
RO	viza de tranzit aeroportuar
SK	letiskové tranzitné vízum
SL	letališki tranzitni vizum
SV	visering för flygplatstransitering
NO	transittvisum for lufthavn (b); transittvisum for lufthamn (n)
UK	Аеропортна транзитна віза

განმარტება

ვიზა, რომელიც მოქმედია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა აეროპორტ(ებ)ის საერთაშორისო სატრანზიტო ზონების ტრანზიტით გავლისთვის.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(m) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ვიზა

დაკავშირებული ტერმინები

★ გრძელვადიანი ვიზა

★ მოკლევადიანი ვიზა

თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებითილექსიკონი

ავთენტიკური სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საჯარო ონლაინრეესტრი (PRADO)

BG	Публичен онлайн регистър за автентични документи за пътуване и самоличност
CS	Veřejný rejstřík pravých dokladů totožnosti a cestovních dokladů online
DE	Öffentliches online-Register echter Identitäts- und Reisedokumente
EL	Επιγραμμικό δημόσιο μητρώο γνήσιων εγγράφων ταξιδίου και ταυτότητας
EN	Public Register of Authentic Travel and Identity Documents Online (PRADO)
ES	Registro público en línea de documentos auténticos de identidad y de viaje
ET	Ehtsate isikut tõendavate ja reisidokumentide avalik veebiregister
FI	Julkinen aitojen matkustus- ja henkilöasiakirjojenasiakirjojen sähköinen tietokanta / PRADO
FR	Registre public en ligne de documents authentiques d'identité et de voyage
GA	an Clár Poiblí ar Líne de Dhoiciméid Bharántúla Aitheantais agus Taistil
HU	Eredeti/hiteles úti és személyazonosító okmányok online nyilvántartása
IT	Registro pubblico online dei documenti di identità e di viaggio autentici
LT	Autentiškų tapatybės ir kelionės dokumentų internete viešas registras
LV	autentisku personu apliecinošu un ceļošanas dokumentu publiskais reģistrs tiešsaistē
MT	Reġistru Pubbliku Online ta' Dokumenti Awtentiċi tal-Identità u l-Ivvjaġġar
NL	Openbaar onlineregister van authentieke reis- en identiteitsdocumenten
PL	Publiczny Rejestr Autentycznych Dokumentów Tożsamości i Podróży
PT	Registo Público on-line de Documentos Autênticos de Identidade e de Viagem
RO	Registrul public online al documentelor autentice de identitate și de călătorie
SK	Verejný register pravých dokladov totožnosti a cestovných dokladov online
SL	Spletni dostop do javnega registra pristnih potnih in osebnih dokumentov
SV	offentligt register över äkta identitets- och resehandlingar online
NO	nettbasert referansedatabase for identitets- og reisedokumenter (b); nettbasert referansedatabase for identitets- og reisedokument (n)
UK	Відкритий онлайн-реєстр справжніх документів, що посвідчують особу, і проїзних документів (PRADO)

განმარტება

საინფორმაციო-საძიებო მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ავთენტიკური სამგზავრო, პირადობის დამადასტურებელი და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების შესახებ, რომლებიც გაცემულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, შენგენის ქვეყნებისა და რამდენიმე მესამე ქვეყნის შესაბამისი უწყებების მიერ.

წყარო

PRADO-ს ვებგვერდი

სინონიმი

★ PRADO

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გაყალბებული და ავთენტიკური დოკუმენტების ონლაინსისტემა (FADO)**

შენიშვნები

1. PRADO წარმოადგენს გაყალბებული და ავთენტიკური დოკუმენტების ონლაინსისტემის (FADO) საჯაროდ ხელმისაწვდომ კომპონენტს.

2. მონაცემთა ბაზა/ვებგვერდი შეიცავს ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და რამდენიმე მესამე ქვეყნის მიერ გაცემული და ყველაზე ხშირად გამოყენებადი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების (მართვის მოწმობა, სამოქალაქო სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები, შრომისა და ბინადრობის ნებართვები) ფოტოგამოსახულებებსა და მოკლე შეჯამებულ ინფორმაციას სხვადასხვა ენაზე. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ სრულ აღწერილობას ამ დოკუმენტებზე დატანილი ყველა მნიშვნელოვანი და ადვილად შესამოწმებელი უსაფრთხოების ნიშნებისა, როგორიცაა ჭვირნიშნები, უსაფრთხოების ძაფები და ა.შ.

3. ინფორმაციის შერჩევა და მოწოდება ხდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ისლანდიის, ნორვეგიისა და შვეიცარიის დოკუმენტების ექსპერტთა მიერ.

ავტომატიზებული სასაზღვრო კონტროლი (ABC)

BG	Автоматизиран граничен контрол
CS	Automatizovaná hraniční kontrola
DE	automatische Grenzkontrolle
EL	Αυτόματα συστήματα συνοριακού ελέγχου
EN	Automated Border Control (ABC)
ES	Control automatizado de fronteras
ET	Automatiseeritud piirikontroll
FI	Sähköinen / automatisoitu rajavalvonta
FR	contrôle automatisé aux frontières
GA	Rialú Uathoibrithe Teorann
HU	Automatizált Határellenőrzés
IT	Controllo automatizzato delle frontiere
LT	Automatizuota pasienio kontrolė
LV	automatizētā robežkontrole
MT	Sistema Awtomatizzata għall-Identifikazzjoni tal-Marki tas-Swaba'
NL	geautomatiseerde grenspassage (NL) / grenscontrole (NL, BE)
PL	Automatyczna Kontrola Graniczna
PT	Controlo Automático de Fronteiras
RO	sistem de control automat la frontieră (ABC)
SK	automatizovaná hraničná kontrola
SL	Avtomatska mejna konrola
SV	automatisk gränskontroll
NO	automatisert grensekontroll
UK	Автоматизований прикордонний контроль (АПК)

განმარტება

სისტემა, რომელიც იძლევა საზღვრის ავტომატიზებულად გავლის შესაძლებლობას ელექტრონულად მანქანაწაკითხვადი სამგზავრო დოკუმენტის (e-MRTD) ნამდვილობის დადასტურების გზით. აღნიშნულის შედეგად დგინდება, რომ მგზავრი არის ამ დოკუმენტის კანონიერი მფლობელი; ზუსტდება მისი მონაცემები სასაზღვრო კონტროლის ჩანაწერებში და ავტომატურად დგინდება საზღვრის კვეთის უფლება წინასწარ დადგენილი წესების შესაბამისად, რომლებიც გულისხმობს საზღვრის კვეთას თვითმომსახურების სისტემისა და ელექტრონული კარიბჭის გამოყენებით.

წყაროები

შემუშავდა EMN ის მიერ.

ევროკომისიის წინადადება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა შესვლა-გასვლის სისტემის შექმნის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის შემუშავების თაობაზე, COM(2016) 194 საბოლოო რედაქცია, 1-ელი მუხლი

Frontex: საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი სამოქმედო სახელმძღვანელო მითითებები ABC სისტემებისთვის

სინონიმები

- ABC
- ავტომატიზებული სასაზღვრო კონტროლის სისტემა
- ბიომეტრიული პასპორტი
- eMRTD

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **სასაზღვრო კონტროლი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **ელექტრონული კარიბჭე (e-gate)**
- **თვითმომსახურების სისტემა**

შენიშვნები

1. 'თვითმომსახურების სისტემა' ნიშნავს ავტომატიზებულ სისტემას, რომელიც ახორციელებს პირის მიმართ ჩასატარებელ ყველა ან ზოგიერთ სასაზღვრო შემოწმებას. 'ელექტრონული კარიბჭე' ნიშნავს ელექტრონულად ფუნქციონირებად ინფრასტრუქტურას, როდესაც წარმატებით ხდება გარე საზღვრის კვეთა (ევროკომისიის წინადადება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრებზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა შესვლა-გასვლის სისტემის შექმნის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის შემუშავების თაობაზე, COM(2016) 196 საბოლოო რედაქცია, 1-ელი მუხლი).

2. შენგენის ზონის ბევრმა ქვეყანამ დააყენა ABC სისტემა ძირითად აეროპორტებში, რითაც უზრუნველყო მგზავრთა ნაკადის უფრო ეფექტური კონტროლი. ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტის მქონე მგზავრებს შეუძლიათ გაიარონ ავტომატიზებული სასაზღვრო კონტროლის პორტალი, სადაც ხდება სამგზავრო დოკუმენტის წაკითხვა. მათი ბიომეტრიული მონაცემები დარდება სამგზავრო დოკუმენტში დატანილ ინფორმაციასთან და დამთხვევის შემთხვევაში მგზავრები კვეთენ საზღვარს.

აზია-ევროპის დიალოგი (ASEM)

BG	Среща Азия-Европа
CS	Asijsko-evropské setkání
DE	Asien-Europa-Treffen
EL	Διάσκεψη Ασίας – Ευρώπης
EN	Asia-Europe Meeting (ASEM)
ES	Conferencia Asia-Europa
ET	
FI	ASEM (Aasian ja Euroopan yhteistyöfoorumi)
FR	Réunion Asie-Europe
GA	
HU	Ázsia-Európa Találkozó
IT	Meeting Asia-Europa
LT	Azijos ir Europos susitikimas
LV	Āzijas un Eiropas sanāksme
MT	Inkontru (L-) Asja-Ewropa (IAsE)
NL	ASEM (Asia Europe Meeting)
PL	ASEM (Asia Europe Meeting)
PT	Cimeira Ásia – Europa
RO	ASEM (Reuniunea Asia Europa)
SK	Fórum Ázia - Európa / ASEM
SL	
SV	
NO	ASEM (Asia-Europe Meeting)
UK	

განმარტება

დიალოგისა და თანამშრომლობის არაოფიციალური პროცესი, რომელიც ერთმანეთთან აახლოებს ამ ორი რეგიონის ქვეყნებს (ევროკავშირის 27 წევრ სახელმწიფოს, ევროპის 2 ქვეყანას და აზიის 20 ქვეყანას), ევროკომისიას და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაციის (ASEAN) სამდივნოს, რომელიც მუშაობს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების გადაწყვეტის მიმართულებით და რომლის მიზანია ორ რეგიონს შორის ურთიერთობის განმტკიცება ურთიერთპატივისცემისა და თანასწორი პარტნიორობის სულისკვეთებით.

წყარო

ASEM-ის ვებგვერდი

სინონიმი

★ ASEM

დაკავშირებული ტერმინი

★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. ASEM ინიციირებულ იქნა 1996 წელს ბანგკოკში.

2. პოლიტიკის თვალსაზრისით, საერთო ინტერესის სფეროებში შედის ტერორიზმთან ბრძოლა ან მიგრაციული ნაკადების მართვა; ასევე, მსჯელობა ადამიანის უფლებებთან, ბავშვთა დაცვასთან და გლობალიზაციის გავლენასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ASEM-ის ვებგვერდი.

აკულტურაცია

BG	акултурация
CS	akulturace
DE	Akkulturation
EL	επιπολιτισμός, πολιτιστική αλληπεπίδραση
EN	acculturation
ES	aculturación
ET	kultuuriline kohanemine
FI	akkulturaatio, sopeutuminen vieraaseen kulttuuriin
FR	acculturation
GA	athchultúrú
HU	akkulturáció
IT	acculturazione
LT	akultūracija
LV	akulturācija
MT	Akkulturazzjoni
NL	acculturatie
PL	akulturacja
PT	aculturação
RO	aculturalizare
SK	akulturácia
SL	akulturacija
SV	ackulturation
NO	assimilasjon
UK	злиття культур

განმარტება

მთელი რიგი ცვლილებები კულტურულ, მორალურ ნორმებში (იდეებში, სიტყვებში, ღირებულებებში, სტანდარტებში, ქცევაში, ინსტიტუციებში), რომლებიც სხვადასხვა კულტურის მქონე ჯგუფებს შორის პირდაპირი და უწყვეტი კონტაქტით და ურთიერთობით არის გამოწვეული, განსაკუთრებით, მიგრაციული გადაადგილებების ან ეკონომიკური გაცვლის, მასმედიისა და სხვა საშუალებებით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **ასიმილაცია**
- ★ **ინტეგრაცია**

ანაზღაურებადი სტაჟიორი

BG	платен стажант
CS	placený stážista
DE	bezahlter Auszubildender
EL	αμειβόμενος εκπαιδευόμενος
EN	remunerated trainee
ES	persona en prácticas remuneradas
ET	tasustatud praktikant
FI	palkallinen harjoittelija
FR	stagiaire rémunéré
GA	oiliúnaí a fhaigheann luach saothair
HU	javadalmazásban részesülő (fizetett) gyakornok
IT	apprendista retribuito
LT	atlygintinas stažuotojas
LV	algots praktikants / stažieris
MT	Persuna titħarreġ bi ħlas
NL	bezoldigd stagiair
PL	stażysta pobierający wynagrodzenie
PT	estagiário remunerado
RO	stagiar remunerat
SK	platený stážista
SL	plačani pripravnik
SV	avlönad praktikant
NO	lønnet praktikant (b); lønt praktikant (n)
UK	оплачуваний стажер

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სწავლების პერიოდის ვადით და რომელსაც ეძლევა ანაზღაურება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/114/EC (დირექტივა სტუდენტების შესახებ) მე-2(d) მუხლში მოცემული ტერმინის 'არაანაზღაურებადი სტაჟიორი' განმარტება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **სტაჟიორი**

დაკავშირებული ტერმინი

- ★ **არაანაზღაურებადი სტაჟიორი**

არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი

BG	нечовешко отношение или наказание
CS	nelidské zacházení nebo trest
DE	unmenschliche Behandlung oder Bestrafung
EL	απάνθρωπη μεταχείριση ή τιμωρία
EN	inhuman treatment or punishment
ES	pena o trato inhumano
ET	ebainimlik kohtlemine või karistamine
FI	epäinhimillinen kohtelu tai rangaistus
FR	peine ou traitement inhumain
GA	íde nó píonós mídhaonna
HU	embertelen bánásmód vagy büntetés
IT	Trattamento inumano o pena inumana
LT	nežmoniškas elgesys ar baudimas
LV	necilvēcīga rīcība vai sodīšana
MT	trattament jew piena inumana
NL	onmenselijke behandeling of bestraffing
PL	nieludzkie traktowanie lub kara
PT	pena ou tratamento desumanos
RO	
SK	neľudské zaobchádzanie alebo trestanie
SL	nečloveško ravnanje ali kazen
SV	omänsklig behandling eller bestraffning
NO	umenneskelig behandling eller straff (b); umenneskeleg handsaming eller straff (n)
UK	нелюдське поводження чи покарання

განმარტება

წინასწარგანზრახული არასათანადო მოპყრობა, რომელიც გამოიყენება უწყვეტად, საათობით და იწვევს ფიზიკურ დაზიანებას ან მძიმე ფიზიკურ და ფსიქიკურ ტანჯვას.

წყარო

კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR), განცხადება N30210/96

დაკავშირებული ტერმინები

- ★ დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი
- ★ წამება

შენიშვნები

1. წამების ან არაადამიანური და დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით უმნიშვნელოვანეს უფლებად არის აღიარებული და გათვალისწინებულია სამოქალაქო თუ პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტით, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლით. აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არის კონვენციის ერთადერთი აკრძალვა, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას ან გადახვევას.

2. მართალია, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია ითვალისწინებს ტერმინის 'წამება' განმარტებას, თუმცა ტერმინის 'არაადამიანური და დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელო წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა დროთა განმავლობაში შეიცვალა. არასათანადო მოპყრობის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლომ განასხვავა და განსაზღვრა მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვების სამი ცნება: ა) წამება, ბ) არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა და გ) დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი. ამასთან, სასამართლომ თავის 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საჩივარზე „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ" აღნიშნა, რომ ქმედების კვალიფიკაცია, მე-3 მუხლით განსაზღვრული არასათანადო მოპყრობის სამი იერარქიული კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით, ცვალებადი ბუნებისაა და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესის კვალდაკვალ უნდა განისაზღვროს.

3. სამი ცნებიდან 'დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა, არაადამიანური მოპყრობა, წამება' არაადამიანური მოპყრობისა და სასჯელის ცნება ყველაზე ნაკლებად არის განმარტებული არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმას შორის.

არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი [გაგრძ.]

4. არასათანადო მოპყრობის სხვადასხვა ფორმის ზუსტი გამიჯვნა რთულია, ვინაიდან ეს მოითხოვს ტანჯვის ხარისხის შეფასებას, რაც დამოკიდებულია ცალკეული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე და კონკრეტული მსხვერპლის მახასიათებლებზე. ECtHR-ის პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, წარმოადგენს თუ არა მოცემული მოპყრობა წამებას ან არაადამიანურ და დამამცირებელ/ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს, უნდა განისაზღვროს სხვადასხვა კომპონენტის შეფასებით, როგორიცაა: მოპყრობის სიმძიმე, განზრახ მოპყრობა, ტკივილის სიმძიმე, ძალადობის თვითნებურობის ხასიათი, აკრძალული მიზანი, მოპყრობის ხანგრძლივობა და ქმედების სისასტიკის ხარისხი. აღნიშნული ჩამონათვალი ევროპულ სასამართლოს არ მიუჩნევია, როგორც ამომწურავი; ამასთან, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციით განმარტებული ტერმინის 'წამება' შემცველი აკრძალული მიზნის კრიტერიუმი არ წარმოადგენს ერთადერთ გადამწყვეტ ფაქტორს.

არაანაზღაურებადი სტაჟიორი

BG	стажант без възнаграждение
CS	neplacený stážista
DE	unbezahlter Auszubildender
EL	μη αμειβόμενος εκπαιδευόμενος
EN	unremunerated trainee
ES	persona en prácticas no remuneradas
ET	tasustamata praktikant
FI	palkaton harjoittelija
FR	stagiaire non rémunéré
GA	oiliúnaí nach bhfaigheann luach saothair
HU	javadalmazásban nem részesülő gyakornok
IT	tirocinante non retribuito
LT	neatlygintinas stažuotojas
LV	nealgots praktikants / stažieris
MT	Persuna titħarreġ Bba ħlas
NL	onbezoldigd stagiair
PL	stazysta niepobierający wynagrodzenia
PT	estagiário / formando não remunerado
RO	stagiar neremunerat
SK	neplatený stážista
SL	neplačani pripravnik
SV	oavlönad praktikant
NO	ulønnet praktikant (b); ulønt praktikant (n)
UK	неоплачуваний стажер

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ანაზღაურების გარეშე სწავლების პერიოდის ვადით ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU) 2016/801 (დირექტივა მკვლევრების შესახებ) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ სტაჟიორი

დაკავშირებული ტერმინები

★ ანაზღაურებადი სტაჟიორი
★ მკვლევარი

ა

არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება

BG	незаконно наемане на незаконно пребиваващ гражданин на трета страна
CS	neoprávněné zaměstnávání neoprávněně pobývajícího státního příslušníka třetí země
DE	illegale Beschäftigung eines Drittstaatsangehörigen ohne rechtmäßigen Aufenthalt
EL	παράνομη απασχόληση παράνομα διαμένοντος υπηκόου τρίτης χώρας
EN	illegal employment of an illegally staying third-country national
ES	empleo ilegal de nacional de tercer país en situación irregular
ET	ebaseaduslikult riigis viibiva kolmanda riigi kodaniku ebaseaduslik töötamine
FI	laittomasti oleskelevan kolmannen maan kansalaisen laiton työnteko
FR	emploi illégal d'un ressortissant de pays tiers en séjour irrégulier
GA	fostú neamhdhleathach náisiúnaigh tríú tír atá i láthair go neamhdhleathach
HU	illegálisan tartózkodó harmadik országbeli állampolgárok illegális foglalkoztatása
IT	lavoro illegale di un cittadino di un paese terzo irregolarmente soggiornante
LT	neteisėtai šalyje esančio trečiosios šalies piliečio nelegalus darbas
LV	trešās valsts pilsoņa, kurš nelikumīgi uzturas valstī, nelikumīga nodarbinātība
MT	Impjieg illegali ta' ċittadin(a) minn pajjiż terz residenti b'mod regolari
NL	illegale tewerkstelling van illegaal verblijvende derdelanders
PL	nielegalne zatrudnienie obywatela państwa trzeciego przebywającego nielegalnie
PT	emprego ilegal de nacional de estado terceiro em situação irregular
RO	angajarea ilegală a străinilor cu şedere ilegală
SK	nelegálne zamestnávanie neoprávnene sa zdržiavajúcich štátnych príslušníkov tretích krajín
SL	nezakonita zaposlitev državljana tretje države, ki nezakonito prebiva
SV	olaglig anställning av tredjelandsmedborgare som vistas olagligt
NO	ulovlig sysselsetting av tredjestatsborgere uten lovlig opphold (b); ulovleg sysselsetjing av tredjestatsborgarar utan lovleg opphald (n)
UK	нелегальне працевлаштування громадянина третьої країни, який перебуває в країні нелегально

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმება.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **არალეგალური დასაქმება**

დაკავშირებული ტერმინები

- **სანქცია დამსაქმებლის მიმართ**
- **ლეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება**
- **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

შენიშვნა

მეტი სიზუსტისთვის ტერმინი მცირედ შეცვლილია და განსხვავდება დირექტივაში 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მოცემული განმარტებისგან.

არალეგალური დასაქმება

BG	незаконна заетост
CS	nelegální zaměstnávání
DE	illegale Beschäftigung
EL	παράνομη απασχόληση
EN	illegal employment
ES	empleo ilegal
ET	ebaseaduslik töötamine
FI	laiton työnteko
FR	emploi illégal
GA	fostaíocht neamhdhleathach
HU	illegális foglalkoztatás
IT	lavoro illegale
LT	nelegalus darbas
LV	nelikumīga nodarbinātība
MT	Impjieg illegali
NL	illegale tewerkstelling / illegale arbeid
PL	nielegalne zatrudnienie
PT	emprego ilegal
RO	angajare ilegală, muncă la negru
SK	nelegálne zamestnávanie
SL	ilegalna zaposlitev / nezakonita zaposlitev
SV	olaglig anställning
NO	illegalt arbeid
UK	нелегальне працевлаштування

განმარტება

ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი დებულებების დარღვევით ხორციელდება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ILO-ს თეზაურუსი (მე-6 გამოცემა, 2008 წ.), ტერმინის 'ფარული დასაქმება' განმარტება

სინონიმები

- უკანონო დასაქმება
- ფარული დასაქმება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება**
- **ლეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება**

დაკავშირებული ტერმინი

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი**

შენიშვნები

1. ევროკავშირის კონტექსტში აღნიშნული ტერმინი მოიცავს როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალურ დასაქმებას, ასევე ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმებას, რომელიც მუშაობს ბინადრობის ნებართვის პირობების დარღვევით და/ან შრომის ნებართვის გარეშე.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) კონტექსტში აღნიშნულ ტერმინში მოიაზრება არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმება (იხ. მე-2(d) მუხლი).

არალეგალური მიგრაციის მართვის პროგრამა (IRMA)

BG	Приложение за интегрирано управление на връщането
CS	Systém pro správu dat o nelegální migraci
DE	Anwendung für integriertes Rückkehrmanagement
EL	Εφαρμογή για τη Διαχείριση της Παράτυπης Μετανάστευσης
EN	Irregular Migration Management Application (IRMA)
ES	Aplicación para la gestión de la migración irregular
ET	Ebaseadusliku rände haldamise rakendus
FI	Eurooppalaisten viranomaisten palauttamistoimia koskeva tietojenvaihtojärjestelmä (not in general use) / IRMA-tietokanta
FR	application de gestion de la migration irrégulière
GA	
HU	irreguláris migráció-kezelési alkalmazás
IT	applicazione di gestione integrata dei rimpatri
LT	Neteisėtos migracijos valdymo programa
LV	Neatbilstīgas migrācijas pārvaldības lietotne
MT	Applikazzjoni tal-Ġestjoni tal-Migrazzjoni Irregolari
NL	EU-toepassing voor geïntegreerd terugkeerbeheer
PL	
PT	Aplicação de Gestão de Migração Irregular
RO	Aplicație de gestionare a migrației ilegale
SK	Aplikácia pre integrované riadenie návratov
SL	Aplikacija za skladno upravljanje vračanja
SV	applikation för hantering av irreguljär migration
NO	Irregular Migration Management Application (no usual translation)
UK	Застосунок для управління нерегулярною міграцією (IRMA)

განმარტება

ევროკომისიის მიერ შემუშავებული ინფორმაციის გაცვლის შეზღუდული და უსაფრთხო პლატფორმა, რომელიც ოპერაციულ, პრაქტიკულ დონეზე აკავშირებს ევროკავშირისა და შენგენის წევრ სახელმწიფოებს, ევროკომისიას, სასაზღვრო და სანაპირო დაცვის ევროპულ სააგენტოსა (Frontex) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ შესაბამის პროგრამებს და ხელს უწყობს დაბრუნებისა და რეადმისიის ღონისძიებების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას დაბრუნების პროცედურების ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკომისიის კომუნიკე ევროკავშირის დაბრუნების უფრო ეფექტიანი პოლიტიკის – განახლებული სამოქმედო გეგმის – შესახებ (COM(2017) 200 საბოლოო რედაქცია)

ევროკომისიის პროგრესანგარიში მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის შესახებ (COM(2017) 669 საბოლოო რედაქცია)

დაბრუნების შესახებ ოპერატიული მონაცემების შეგროვების ტექნიკური სახელმძღვანელო მითითებები

სინონიმი

★ IRMA

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

★ **რეადმისია**

★ **დაბრუნება**

დაკავშირებული ტერმინი

★ **დაბრუნების ოპერაცია**

შენიშვნები

1. არალეგალური მიგრაციის მართვის პროგრამა (IRMA) 2017 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა სახელწოდებით „დაბრუნების მართვის პროგრამა“, რომელიც მოგვიანებით შეიცვალა „არალეგალური მიგრაციის მართვის პროგრამით“, თუმცა აკრონიმი ‘IRMA’ არ შეცვლილა.

2. IRMA შეიცავს ინფორმაციას მესამე ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის, სახელმძღვანელო მითითებების, შესაბამისი კანონმდებლობისა და დაბრუნების პროგრამების შესახებ, ასევე, დაბრუნების ოპერაციების შესახებ ოპერატიულ და სტატისტიკურ მონაცემებს.

3. IRMA მიზნად ისახავს სინერგიის შექმნასა და ურთიერთგამაძლიერებელი მუშაობის უზრუნველყოფას. ის ასევე საშუალებას აძლევს Frontex-ს, უფრო პროაქტიული როლი შეასრულოს ერთობლივი დაბრუნების ოპერაციების დაგეგმვაში.

არასრულწლოვანი

BG	непълнолетно лице
CS	nezletilý
DE	Minderjähriger
EL	ανήλικος
EN	minor
ES	menor
ET	alaealine
FI	alaikäinen
FR	mineur
GA	mionaoiseach
HU	kiskorú
IT	minore/minorenne
LT	nepilnametis
LV	nepilngadīgais
MT	Minorenni
NL	minderjarige
PL	małoletni
PT	menor
RO	minor
SK	maloletý
SL	mladoletnik
SV	underårig
NO	mindreårig
UK	неповнолітній

განმარტება

სამართლებრივ კონტექსტში და ბავშვისგან განსხვავებით, პირი, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკისთვის და, შესაბამისად, არ აქვს გარკვეული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების განხორციელების უფლება.

წყარო

UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **სრულწლოვანი**
- ★ **ასაკის დადგენა**
- ★ **ბავშვი**

შენიშვნები

1. აღნიშნულ ტერმინს ენიჭება უპირატესობა კონკრეტულ ინდივიდზე საუბრისას. ოჯახის სხვა წევრებთან კავშირის აღსაწერად გამოიყენება ტერმინი 'ბავშვი'.

2. კანონმდებლობით დადგენილი 'სრულწლოვანების ასაკი' აღნიშნავს, რომ პირი ხდება ქმედუნარიანი და შეუძლია იკისროს ვალდებულებები სხვა პირებთან გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტების (მაგ., ხელშეკრულებების) საფუძველზე, ასევე, განახორციელოს სხვადასხვა სამართლებრივი ქმედება, როგორიცაა არჩევნებში ხმის მიცემა და დაქორწინება. სრულწლოვანების ასაკი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით და ზოგჯერ თავად ქვეყნის შიგნითაც, პირის მიერ განხორციელებული ქმედების ტიპის მიხედვით.

არაფორმალური ეკონომიკა

BG	неформална икономика
CS	šedá ekonomika
DE	informelle Wirtschaft / Schattenwirtschaft
EL	παραοικονομία
EN	informal economy
ES	economía informal
ET	varimajandus
FI	epävirallinen talous / pimeä talous
FR	économie informelle
GA	geilleagar neamhfhoirmiúil
HU	szürke gazdaság
IT	economia informale
LT	šešėlinė ekonomika
LV	neformālā ekonomika
MT	Ekonomija informali
NL	informele economie
PL	gospodarka nierejestrowana
PT	economia informal
RO	economie informală
SK	tieňová ekonomika / šedá ekonomika
SL	neformalna (siva) ekonomija
SV	informell ekonomi
NO	uformell økonomi / parallell økonomi
UK	тіньова економіка

განმარტება

დასაქმებულთა და ეკონომიკურ სუბიექტთა ყველა ის ეკონომიკური აქტივობა, რომელიც არ რეგულირდება ან არასაკმარისად რეგულირდება კანონით ან პრაქტიკაში.

წყარო

ღირსეული შრომისა და არაფორმალური ეკონომიკის შესახებ ILO-ს რეზოლუციის მე-3 პუნქტი, 2002 წ.

სინონიმები

- შავი ბაზარი
- დაუკვირვებადი ეკონომიკა
- ფარული დასაქმება

დაკავშირებული ტერმინები

- **არაფორმალური დასაქმება**
- **არაფორმალური სექტორი**

შენიშვნები

1. არაფორმალური ეკონომიკის ფარგლებში საქმიანობა არ რეგულირდება კანონით, რაც ნიშნავს, რომ ის ხორციელდება შესაბამისი კანონმდებლობის ოფიციალური სამოქმედო არეალის ფარგლებს გარეთ; ან, შესაძლოა, საქმიანობა ხორციელდება კანონის მოქმედების ფარგლებში, მაგრამ არ რეგულირდება პრაქტიკაში, რაც ნიშნავს იმას, რომ კანონი არ გამოიყენება ან არ აღსრულდება, რადგან შეუსაბამოა და იწვევს ზედმეტ ტვირთსა და ხარჯებს.
2. აღნიშნული ეხება მესამე ქვეყნის მოქალაქეების საქმიანობასაც.

არგაძევება

BG	non-refoulement / забрана за експулсиране или връщане
CS	princip nenavracení / non-refoulement
DE	Nichtzurückweisung / Non-refoulement / Schutz vor Zurückweisung / Verbot der Ausweisung und Zurückweisung
EL	μη- επαναπροώθηση
EN	non-refoulement
ES	non-refoulement
ET	tagasisaatmise lubamatus / non-refoulement
FI	palauttamiskielto
FR	non-refoulement / interdiction de retour forcé (LU)
GA	neamh-refoulement
HU	visszaküldés tilalma
IT	non-refoulement
LT	negrąžinimas
LV	neizraidīšana
MT	Prinċipju (il-) ta' non-refoulement - li ma jsirx ritorn imġiegħel jew sfurzat
NL	non-refoulement / beginsel van niet-uitwijzing
PL	zasada non-refoulement/ zasada niewydalania
PT	non-refoulement
RO	non-refoulment/ nereturnare
SK	zásada zákazu vyhostenia alebo vrátenia / zásada non-refoulement / princíp nenavrátenia
SL	načelo nevračanja
SV	non-refoulement (förbud mot avvisning / utvisning)
NO	vern mot utsendelse (b); vern mot utsending (n)
UK	неприпустимість вислання

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი, რომელიც უკრძალავს სახელმწიფოებს ადამიანების დაბრუნებას იმ ქვეყანაში, რომელშიც არსებობს დევნის, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის ან ადამიანის უფლებათა ნებისმიერი სხვა ფორმით დარღვევის რეალური რისკი.

ლტოლვილთა კონტექსტში, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპი, რომელიც უკრძალავს სახელმწიფოს ლტოლვილთა დაბრუნებას ნებისმიერი ფორმით იმ ქვეყნებში ან ტერიტორიებზე, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ლტოლვილთა კონტექსტი: ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 33-ე მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **იძულებითი დაბრუნება**
- ★ **გაძევება (removal)**

შენიშვნები

1. არგაძევების პრინციპი ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნაწილია და, შესაბამისად, სავალდებულოა ყველა სახელმწიფოსთვის, იმის მიუხედავად, არიან თუ არა ისინი ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) ხელშემკვრელი მხარეები.

2. საერთაშორისო სამართალში გაძევების აკრძალვა ასახულია სხვადასხვა სამართლებრივ ინსტრუმენტში როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ დონეზე, როგორიცაა წამების წინააღმდეგ კონვენციის (CAT) მე-3 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-7 მუხლი და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლი. გაძევების აკრძალვის პრინციპი თავდაპირველად ლტოლვილთა დაცვასთან მიმართებით შემუშავდა.

3. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (EHCR) არ შეიცავს პირდაპირ მითითებას გაძევების აკრძალვის შესახებ. თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრაქტიკით დგინდება გაძევების აკრძალვის ვალდებულება, განსაკუთრებით, ზემოაღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლთან მიმართებით.

4. ECHR-ის მე-3 მუხლის საფუძველზე ასევე აკრძალულია პირის არაპირდაპირი გაძევება, რაც გულისხმობს პირის მესამე („შუალედურ“) ქვეყანაში გაძევებას, იქიდან კი მის შესაძლო გაძევებას ქვეყანაში, სადაც იგი შეიძლება აღმოჩნდეს ზემოხსენებული არასათანადო მოპყრობის რეალური რისკის წინაშე.

5. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Wouters, Cornelius Wolfram: International Legal Standards for the Protection from Refoulement, Leiden, 2009 (ვოლფრამ კორნელიუს ვოიტერსი, გაძევებისგან დაცვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, ლეიდენი, 2009 წ.)

ასაკის დადგენა

BG	оценка на възрастта
CS	určení věku
DE	Altersfeststellung / Altersbestimmung
EL	υπολογισμός της ηλικίας
EN	age assessment
ES	determinación de la edad
ET	vanuse määramine
FI	iän määrittäminen / iän selvittäminen
FR	détermination de l'âge
GA	measúnú aoise
HU	kormeghatározás
IT	accertamento dell'età
LT	amžiaus nustatymas
LV	vecuma noteikšana
MT	Valutazzjoni / Stima tal-età
NL	leeftijdsonderzoek
PL	ustalenie / ocena wieku
PT	determinação da idade
RO	evaluarea varstei
SK	posúdenie veku
SL	ocenjevanje starosti
SV	åldersbedömning
NO	aldersvurdering
UK	оцінка віку

განმარტება

პროცესი, რომლის მეშვეობითაც შესაბამისი უფლებამოსილი უწყებები ცდილობენ დაადგინონ პირის ქრონოლოგიური ასაკი ან ასაკის ზღვარი, რათა გაარკვიონ, ეს ინდივიდი ბავშვია თუ არა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EASO: ასაკის დადგენის პრაქტიკული სახელმძღვანელო - მე-2 გამოცემა, 2018 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ბავშვი**
- ★ **არასრულწლოვანი**

შენიშვნები

1. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანების შესახებ ევროკავშირის საბჭოს 1997 წლის 26 ივნისის რეზოლუციის მე-4(3a) მუხლის მიხედვით, თანმხლები პირის გარეშე მყოფმა თავშესაფრის იმ მაძიებლებმა, რომლებიც აცხადებენ, რომ არასრულწლოვანები არიან, უნდა წარმოადგინონ ასაკის დამადასტურებელი მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არ მოიპოვება და არსებობს სერიოზული ეჭვი, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ჩაატარონ ასაკის დადგენის პროცედურა. პროცედურა უნდა ჩატარდეს ობიექტურად. ასაკის დადგენის მიზნით ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება მიმართონ სამედიცინო კვლევის პროცედურას, რომელიც უნდა ჩატარდეს კვალიფიცირებული სამედიცინო პერსონალის მიერ და არასრულწლოვანის, მისი სრულწლოვანი წარმომადგენლის ან შესაბამისი დაწესებულების თანხმობით.

2. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის N6 ზოგადი კომენტარის თანახმად, თანმხლები პირის გარეშე და განცალკევებულ ბავშვად იდენტიფიცირებისთვის საჭიროა პირის ასაკის დადგენის პროცედურის ჩატარება, რომლის დროსაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მარტო ფიზიკური გარეგნობა, არამედ ფსიქოლოგიური სიმწიფეც. ასაკის დადგენის პროცედურა უნდა ჩატარდეს აკადემიური მიდგომით, უსაფრთხოების, ბავშვის ინტერესებისა და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით და სამართლიანად; ასევე, დაცული უნდა იქნეს ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობა, ღირსება და თავიდან იქნეს აცილებული მათი ხელყოფის ნებისმიერი რისკი.

3. ასაკის დადგენა შეიძლება ითვალისწინებდეს სხვადასხვაგვარ პროცესს ან პროცედურას, რომლებიც ტარდება განცალკევებულად ან ერთობლივად და გულისხმობს როგორც დოკუმენტური მტკიცებულებების ანალიზს და გასაუბრებას, ასევე რენტგენოგრაფიას და ფიზიკურ ან სხვა სახის სამედიცინო შემოწმებას.

ასიმილაცია

BG	асимилация
CS	asimilace
DE	Assimilation
EL	αφομοίωση
EN	assimilation
ES	asimilación
ET	assimileeruma
FI	assimilaatio
FR	assimilation
GA	asamhlú
HU	asszimiláció
IT	assimilazione
LT	asimiliacija
LV	asimilācija
MT	Assimilazzjoni
NL	assimilatie
PL	asymilacja
PT	assimilação
RO	asimilare
SK	asimilácia
SL	asimilacija
SV	assimilering
NO	assimilering
UK	асиміляція

განმარტება

განგრძობითი პროცესი, რომლის ფარგლებში უმცირესობაში მყოფი ჯგუფი ითვისებს უმრავლესობის ჯგუფის ან მიმღები საზოგადოების ქცევის სტილსა და თავისებურებებს, რის შედეგადაც ხდება მისი შერწყმა უმრავლესობის ჯგუფთან/მიმღებ საზოგადოებასთან.

წყარო

Malgesini and Giménez: Cuía de conceptos sobre migraciones racismo e inteculturalidad (მალჯესინი და ჰიმენე: მიგრაცია, რასიზმი და კულტურათაშორისი ურთიერთობები - კონცეფციათა გზამკვლევი), 2000 წ.

სინონიმი

★ კულტურული ასიმილაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **აკულტურაცია**

ა

აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობა მიგრაციის, მობილობისა და დასაქმების სფეროებში

BG	Партньорство за миграция, мобилност и заетост между страните на Африка и ЕС
CS	Partnerství EU-Afrika pro migraci, mobilitu a zaměstnanost
DE	Afrika-EU Partnerschaft in den Bereichen Migration, Mobilität und Beschäftigung
EL	εταιρική σχέση ΕΕ-Αφρικής για τη μετανάστευση, την κινητικότητα και την απασχόληση
EN	Africa-EU Migration, Mobility and Employment Partnership
ES	Asociación África-UE sobre migración, movilidad y empleo
ET	Aafrika-EL migratsiooni, mobiilsuse ja tööhõive partnerlus
FI	Afrikan ja EU:n kumppanuus muuttoliikkeen, liikkuvuuden ja työllisyyden aloilla
FR	Partenariat Afrique-UE sur les migrations, la mobilité et l’emploi
GA	Comhpháirtíocht an AE agus na hAfraice maidir le hImirce, Soghluaisteacht agus Fostaíocht
HU	Afrika-EU közötti Migrációs, Mobilitási és Foglalkoztatási Partnerség
IT	Partenariato Africa-UE in materia di Migrazione, Mobilità e Occupazione
LT	ES-Afrikos partnerystė migracijos, mobilumo ir užimtumo srityse
LV	Āfrikas un ES Migrācijas, mobilitātes un nodarbinātības partnerība
MT	Sħubija bejn l-Afrika u l-UE dwar Migrazzjoni, Mobilità u Impiegi
NL	Afrika-EU-Partnerschap inzake migratie, mobiliteit en werkgelegenheid
PL	Partnerstwo UE-Afryka na rzecz migracji, mobilności i zatrudnienia
PT	Parceria Africa-UE para as migrações, mobilidade e emprego
RO	Parteneriatul Africa-EU cu privire la migrație mobilitate şi angajare
SK	Partnerstvo Afrika - EÚ v oblasti migrácie, mobility a zamestnanosti
SL	Partnerstvo med Afriko in EU na področju migracij, mobilnosti in zaposlovanja
SV	MME-partnerskapet (migration, rörlighet och sysselsättning)
NO	Afrika–EU migrasjons-, mobilitets- og sysselsettingspartnerskap (b); Afrika–EU migrasjons-, mobilitets- og sysselsetjingspartnarskap
UK	Партнерство з питань міграції, мобільності та зайнятості між Африкою та ЄС

განმარტება

პარტნიორობა, რომელიც კომპლექსური მიდგომით, ყველა პარტნიორის ინტერესების გათვალისწინებით პასუხობს მიგრაციის, მობილობისა და დასაქმების საკითხებს და რომლის საქმიანობა გამიზნულია აფრიკის რეგიონში უფრო მეტი და უკეთესი სამუშაო ადგილის შექმნისა და მიგრაციული ნაკადების უკეთ მართვისთვის.

წყარო

აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობის ვებგვერდი

სინონიმი

- ★ აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობა მიგრაციის, მობილობისა და დასაქმების (MME) სფეროებში

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის შესახებ**
- ★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. MME პარტნიორობა ოფიციალურად ძალაში შევიდა აფრიკა-ევროკავშირის ქვეყნების მთავრობათა მეთაურების 2007 წლის დეკემბრის მეორე სამიტზე ლისაბონში, სადაც დამტკიცდა ევროკავშირ-აფრიკის ერთობლივი სტრატეგია და პირველი სამოქმედო გეგმა (2008-2010 წწ.).
2. პარტნიორობის მიზანია მდგრადი განვითარებისა და შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და დეკლარაციების შესრულების უზრუნველყოფა, მიგრაციისა და განვითარების შესახებ ტრიპოლის დეკლარაციის, უაგადუგუს ადამიანებით, განსაკუთრებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის სამოქმედო გეგმისა და უაგადუგუს დეკლარაციის და დასაქმების ხელშეწყობისა და სიღარიბის შემცირების სამოქმედო გეგმის საფუძველზე.
3. პარტნიორობა ერთ-ერთია აფრიკასა და ევროკავშირს შორის (სტრატეგიული) პარტნიორობით განსაზღვრული თანამშრომლობის რვა მიმართულებიდან და წარმოადგენს ევროპის კავშირსა და აფრიკულ კავშირს შორის ერთობლივი მუშაობის ოფიციალურ არხს და თანამშრომლობის ყოვლისმომცველ გრძელვადიან ჩარჩოს.
4. მეტი ინფორმაციისთვის იხ. აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობის ვებგვერდი.

აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი

BG	Обсерватория по миграция за страните от Африка, Карибите и Тихоокенския басейн
CS	Observatoř pro migraci států Afriky, Karibiku a Pacifiku
DE	Beobachtungsstelle für Migration in Afrika, in der Karibik und im pazifischen Raum
EL	Παρατηρητήριο των χωρών ΑΚΕ (Αφρικής, Καραϊβικής και Ειρηνικού) για τη Μετανάστευση
EN	Africa Caribbean Pacific Observatory on Migration
ES	Observatorio sobre Migraciones Africa Caribe Pacífico
ET	Aafrika, Kariibi mere ja Vaikse ookeani piirkonna riikide rände vaatluskeskus
FI	Afrikan, Karibian ja Tyynenmeren alueen muuttoliikkeiden seurantakeskus
FR	Observatoire Afrique, Caraïbes, Pacifique sur les migrations
GA	Faireachlann Stáit na hAfraice, Mhuir Chairib agus an Aigéin Chiúin um Imirce, Faireachlann ACC um Imirce
HU	Afrikai, Karibi és Csendes-óceáni Migrációs Megfigyelő Központ
IT	Osservatorio Africa, Caraibi e Pacifico sulle migrazioni
LT	Afrikos, Karibų ir Ramiojo vandenyno regiono migracijos stebėsenos tinklas
LV	Āfrikas, Karību jūras reģiona un Klusā okeāna valstu Migrācijas novērošanas centrs
MT	Osservatorju (L-) tal-Afrika, Karibew u Paċifiku fuq il-Migrazzjoni
NL	Africa Caribbean Pacific Observatory on Migration
PL	Obserwatorium Migracji państw Afryki, Karaibów i Pacyfiku
PT	Observatório ACP das Migrações
RO	Observator cu privire la migratie Africa Caraibe Pacific / Observator cu privire la migrație Africa, zona Caraibilor și Pacific (ACP)
SK	Observatórium Skupiny afrických, karibských a tichomorských štátov pre migráciu
SL	Observatorij afriških, karibskih in pacifiških držav za migracije
SV	Africa Caribbean Pacific Observatory on Migration (no usual translation)
NO	Africa Caribbean Pacific Observatory on Migration (no usual translation)
UK	Міграційна обсерваторія в Африці, Карибському басейні та Тихому океані (АКТ)

განმარტება

საინფორმაციო-ანალიტიკური ქსელი მიგრაციის კვლევითი ინსტიტუტებისა და სახელმწიფო ორგანიზაციებისა, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ აფრიკის, კარიბის ზღვის აუზის, წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) ჯგუფში შემავალი სახელმწიფოების ექვს რეგიონში; კერძოდ, დასავლეთ აფრიკაში, ცენტრალურ აფრიკაში, აღმოსავლეთ აფრიკაში, სამხრეთ აფრიკის ქვეყნებში, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის ქვეყნებში. ამ ინსტიტუტების მიზანია, ერთი მხრივ, მონაცემების წარმოება სამოქალაქო საზოგადოებებისა და პოლიტიკის შემმუშავებლებისთვის ACP ქვეყნებში „სამხრეთ-სამხრეთ" მიმართულებით მიგრაციული ნაკადების შესახებ და, მეორე მხრივ, კვლევითი საქმიანობის პოტენციალის ამაღლება აღნიშნული ქვეყნების შესაბამის ინსტიტუტებს შორის კავშირების დამყარებისა და თანამშრომლობის გზით.

წყარო

ACP მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის ვებგვერდი

სინონიმები

- ★ აფრიკის, კარიბის ზღვის აუზის, წყნარი ოკეანის ქვეყნები (ACP)
- ★ ACP მიგრაციის ობსერვატორია

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)**
- ★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. აფრიკის, კარიბის ზღვის აუზის, წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი დაარსდა 2010 წელს ACP-ის ჯგუფის სახელმწიფოების სამდივნოს ინიციატივით, IOM-ის მხარდაჭერითა და ევროკავშირის დაფინანსებით (შვეიცარიის ფინანსური მხარდაჭერის საფუძველზე).
2. სამუშაოები მიმდინარეობს 12 საპილოტე ქვეყანაში (ანგოლა, კამერუნი, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჰაიტი, კენია, ლესოთო, ნიგერია, პაპუა ახალი გვინეა, სენეგალი, ტიმორ-ლესტე, ტრინიდადი და ტობაგო).
3. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ACP საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის ვებგვერდი.

აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა

BG	активно гражданско участие
CS	aktivní občanská participace
DE	aktive Staatsbürgerschaft / aktive Bürgerbeteiligung
EL	Ενεργή συμμετοχή στα κοινά / ενεργός πολίτης
EN	active citizenship
ES	Ciudadanía activa
ET	kodanikuaktiivsus
FI	aktiivinen kansalaisuus
FR	citoyenneté active
GA	
HU	
IT	cittadinanza attiva
LT	aktyvus pilietiškumas
LV	aktīvs pilsoniskums
MT	Ċittadinanza attiva
NL	Actief burgerschap
PL	Aktywne obywatelstwo
PT	cidadania ativa
RO	cetățenie activă
SK	aktívne občianstvo
SL	aktivno državljanstvo
SV	aktivt medborgarskap
NO	medborgerskap
UK	Активне громадянство

განმარტება

იმიგრანტთა ჩართულობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში და, შესაბამისად, თანაბარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების მოპოვება და განხორციელება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **სარაგოსის დეკლარაცია ინტეგრაციის შესახებ**

შენიშვნები

1. აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა არის სამოქალაქო და პოლიტიკური მონაწილეობის უფლებების მოპოვებისა და განხორციელების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. მასში იგულისხმება მოქალაქეობა და ბინადრობა, (პოლიტიკური) ორგანიზაციების წევრობა, ხმის მიცემა, თანამდებობაზე კენჭისყრა, მოხალისეობა ან პოლიტიკურ პროტესტში მონაწილეობა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. „ევროკავშირში იმიგრანტთა ინტეგრაციის ინდიკატორების გამოყენება“, DG Home-ისთვის მომზადებული საბოლოო ანგარიში, 2013 წლის მარტი.

2. აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა ერთერთია იმ ოთხი სტრატეგიული მიმართულებიდან, რომლებიც განსაზღვრულია საერთო ძირითადი პრინციპებით (2004 წ.) და დადასტურებულია ინტეგრაციის შესახებ 2010 წლის აპრილის სარაგოსის დეკლარაციაში, როგორც წარმატებული ინტეგრაციის პოლიტიკის ძირითადი ფაქტორები. დანარჩენი სამი მიმართულებაა დასაქმება, განათლება და სოციალური ჩართულობა. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ინტეგრაციის ევროპული ვებგვერდი.

3. აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის შეფასების მიზნით შემუშავდა შემდეგი ინდიკატორები:

– იმიგრანტების წილი, რომლებმაც მოქალაქეობა მოიპოვეს - იმიგრანტების წილი, რომლებიც ფლობენ მუდმივი ან გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვებს;

– იმიგრანტების წილი არჩეულ წარმომადგენლებს შორის.

პირველი ორი ინდიკატორი გაერთიანებულია ევროსტატის მიგრანტთა ინტეგრაციის სტატისტიკაში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროსტატი, სტატისტიკის განმარტება: „მიგრანტთა ინტეგრაციის სტატისტიკა - აქტიური სამოქალაქო მონაწილეობა.

4. აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის შეფასების ინდიკატორებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ერთიანი პოზიციის არარსებობის გამო ეროვნულ დონეზე შესაბამისი პოლიტიკის აღქმა განსხვავებულია.

აღიარების მაჩვენებელი (საერთაშორისო დაცვის პროცედურებში)

BG	ниво на признаване
CS	míra kladných rozhodnutí o mezinárodní ochraně
DE	Anerkennungsrate (in Verfahren auf internationalen Schutz)
EL	ποσοστό αναγνώρισης (στις διαδικασίας διεθνούς προστασίας)
EN	recognition rate (in procedures for international protection)
ES	tasa de reconocimiento (en procedimientos de protección internacional)
ET	heakskiitmise määr (rahvusvahelise kaitse menetlustes)
FI	hyväksyttyjen turvapaikkahakemusten osuus / myönteisten päätösten osuus (kansainvälisen suojelun menettelyssä)
FR	taux de reconnaissance (dans les procédures d'octroi de la protection internationale)
GA	ráta aitheantais (i gcás nósanna imeachta maidir le cosaint idirnáisiúnta)
HU	elsimerési arány (nemzetközi védelem megadására irányuló eljárás során)
IT	tasso di riconoscimento (nelle procedure di protezione internazionale)
LT	teigiamų sprendimų suteikti prieglobstį procentas
LV	atzīšanas rādītājs
MT	Rata ta' rikonoxximent (fil-proċeduri għal protezzjoni internazzjonali)
NL	erkenningsgraad / beschermingsgraad
PL	poziom uznawalności (w procedurze udzielenia ochrony międzynarodowej)
PT	taxa de reconhecimento (no procedimento de concessão e retirada do estatuto de proteção internacional)
RO	rată de recunoaștere (în procedurile de examinare a cererii de azil)
SK	miera uznania / miera uznaných žiadostí (v konaniach o medzinárodnej ochrane)
SL	odstotek priznanih stausov mednarodne zaščite
SV	andelen beviljade ansökningar om internationellt skydd
NO	andel positive vedtak (etter søknad om internasjonal beskyttelse) (b); del av vedtaka som er positive (etter søknad om internasjonalt vern) (n)
UK	

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებებთან დაკავშირებით მიღებული დადებითი გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროცედურის თითოეულ ეტაპზე მიღებული გადაწყვეტილებების (პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები და საბოლოო გადაწყვეტილებები სააპელაციო წარმოებაში) საერთო რაოდენობის წილს.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EUAA-ს თავშესაფრის შესახებ ყოველწლიური ანგარიში

ევროსტატი, სტატისტიკის განმარტება

სინონიმები

- თავშესაფრის აღიარების მაჩვენებელი
- საერთაშორისო დაცვის აღიარების მაჩვენებელი

შენიშვნები

1. დადებითი გადაწყვეტილებები მოიცავს საერთაშორისო დაცვის მინიჭების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებებს (ლტოლვილის სტატუსი და დამატებით დაცვის სტატუსი), რომლებიც ევროკავშირის კანონმდებლობით არის რეგულირებული და ასევე, შესაძლოა, მოიცავდეს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე ჰუმანიტარული მიზეზებიდან გამომდინარე დაცვის უზრუნველყოფას და სახელმწიფოში დარჩენის უფლების მინიჭებას, რომელიც არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის დონეზე.

2. გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა (სტატუსის მინიჭებაზე დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებები) მოიცავს ყველა სახის ოფიციალურ გადაწყვეტილებას, როგორიცაა განცხადების პირდაპირი და არაპირდაპირი გამოხმობა, დუბლინის პროცედურის ფარგლებში განხილული საქმეები ან ადმინისტრაციული მახასიათებლის გამო შეწყვეტილი საქმეები (მაგ., განმცხადებლის გარდაცვალების შემთხვევაში).

აღიარების მაჩვენებელი (საერთაშორისო დაცვის პროცედურებში) [გაგრძ.]

3. ევროსტატი (თავშესაფრის) აღიარების მაჩვენებელს განმარტავს, როგორც „თავშესაფრის პროცედურის თითოეულ ეტაპზე თავშესაფრის შესახებ გადაწყვეტილებების (ანუ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებები და საბოლოო გადაწყვეტილებები სააპელაციო წარმოებაში) საერთო რაოდენობაში დადებითი გადაწყვეტილებების წილს“. გადაწყვეტილებების საერთო რაოდენობა შედგება დადებითი და უარყოფითი გადაწყვეტილებების ჯამისგან. თავშესაფრის პროცედურის ყველა ეტაპისთვის აღიარების საერთო მაჩვენებლის გაანგარიშება შეუძლებელია იმ ინფორმაციის არარსებობის გამო, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებდა პირველი ინსტანციისა და სააპელაციო წარმოების შედეგებს თითოეული კონკრეტული პირის შემთხვევაში. თუ იმ განმცხადებლის მიმართ, რომელსაც უარი ეთქვა პირველ ინსტანციაში და რომელმაც იმავე წელს შეიტანა საჩივარი, მიღებულ იქნა საბოლოო უარყოფითი გადაწყვეტილება, ეს გამოიწვევს იმ განმცხადებლების რაოდენობის გამრავლებას, რომლებსაც ეთქვათ უარი, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს აღიარების საერთო მაჩვენებლის არასწორად შეფასებას. აღნიშნული გამრავლების თავიდან ასაცილებლად საჭირო იქნება სააპელაციო წარმოებაში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებების სტატისტიკა, რომელიც წარმოდგენილი იქნება იმ წლების მიხედვით, როდესაც განმცხადებლებს ეთქვათ უარი პირველ ინსტანციაში.

აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP)

BG	Източно партньорство
CS	Východní partnerství
DE	Östliche Partnerschaft
EL	Ανατολική Εταιρική Σχέση
EN	Eastern Partnership (EAP)
ES	Asociación Oriental
ET	idapartnerlus
FI	itäinen kumppanuus
FR	Partenariat oriental
GA	Comhpháirtíocht an Oirthir
HU	Keleti Partnerség
IT	Partenariato Orientale
LT	Rytų partnerystė
LV	Austrumu partnerība
MT	Sħubija mal-Lvant
NL	Oostelijk Partnerschap
PL	Partnerstwo Wschodnie
PT	Parceria Oriental
RO	Parteneriatul Estic
SK	Východné partnerstvo
SL	Vzhodno partnerstvo
SV	östliga partnerskapet
NO	Det østlige partnerskapet (b); Det austlege partnarskapet (n)
UK	Східне партнерство (СП)

განმარტება

აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზებული ფორუმი, რომლის მთავარი მიზანია პოლიტიკური ასოცირების დაჩქარებისა და შემდგომი ეკონომიკური ინტეგრაციისთვის აუცილებელი პირობების შექმნა.

წყარო

ინფორმაცია აღმოსავლეთი პარტნიორობის შესახებ იხ. ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ვებგვერდზე

სინონიმები

- EaP
- აღპ
- სოდერკოპინგის პროცესი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP)**

დაკავშირებული ტერმინები

- **შავი ზღვის სინერგია**
- **ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა (EUROMED)**

შენიშვნები

1. აღმოსავლეთი პარტნიორობის 1-ელი პლატფორმის (დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა) ფარგლებში 2011 წელს შეიქმნა აღმოსავლეთი პარტნიორობის მიგრაციისა და თავშესაფრის პანელი. პანელის ძირითადი მიზანია აღმოსავლეთი პარტნიორების თავშესაფრისა და მიგრაციის სისტემების გაძლიერება და როგორც აღმოსავლეთ პარტნიორებსა და ევროკავშირს, ასევე თავად აღმოსავლეთ პარტნიორებს შორის მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე დიალოგის გაღრმავება.

2. აღმოსავლეთი პარტნიორობის მიგრაციისა და თავშესაფრის პანელის წინამორბედი იყო სოდერკოპინგის პროცესი, რომელიც დაიწყო 2001 წლის მაისში, როგორც ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროში, ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების შედეგად წარმოშობილ ახალ გამოწვევებზე რეაგირების მიზნით. EaP-ის პირველი პანელის ფარგლებში მიგრაციისა და თავშესაფრის პანელის შექმნით სოდერკოპინგის პროცესი გრძელდება აღმოსავლეთი პარტნიორობის მრავალმხრივ განზომილებაში.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EaP-ის ვებგვერდი.

აღსრულების ღონისძიება

BG	принудителна мярка
CS	výkon rozhodnutí / výkonné opatření
DE	Vollstreckungsmaßnahme
EL	εκτελεστικό μέτρο
EN	enforcement measure
ES	medida de ejecución
ET	sunnimeede
FI	täytäntöönpanotoimenpide
FR	mesure d'exécution
GA	beart forfheidhmiúcháin
HU	végrehajtási intézkedés
IT	misura di esecuzione
LT	vykdymo priemonė
LV	izpildes pasākums
MT	Miżura ta' infurzar
NL	uitvoeringsmaatregel
PL	środek wykonawczy
PT	medida de execução
RO	măsură de aplicare
SK	vykonávacie opatrenie
SL	ukrep za uveljavitev / ukrep za izvršitev
SV	verkställighetsåtgärd
NO	iverksettelsestiltak (b); iverksetjingstiltak (n)
UK	захід примусу

განმარტება

ნებისმიერი ღონისძიება, რომელსაც ახორციელებს ევროკავშირის წევრი აღმასრულებელი სახელმწიფო გაძევების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/40/EC (დირექტივა გაძევების შესახებ) მე-2(c) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- გაძევება
- გადაწყვეტილება გაძევების შესახებ
- გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ

შენიშვნა

ირლანდიაში ეს ტერმინი გამოიყენება უფრო ყოვლისმომცველი გაგებით გაძევების ყველა ფორმასთან მიმართებით.

აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ

BG	явно неоснователна молба за международна закрила
CS	zjevně nedůvodná žádost o mezinárodní ochranu
DE	offensichtlich unbegründeter Antrag auf internationalen Schutz
EL	προδήλως αβάσιμη αίτηση διεθνούς προστασίας
EN	manifestly unfounded application for international protection
ES	solicitud de protección internacional manifiestamente infundada
ET	selgelt põhjendamatu rahvusvahelise kaitse taotlus
FI	ilmeisen perusteeton kansainvälistä suojelua koskeva hakemus
FR	demande de protection internationale manifestement infondée
GA	
HU	nemzetközi védelem iránti nyilvánvalóan megalapozatlan kérelem
IT	domanda di protezione internazionale manifestamente infondata
LT	akivaizdžiai nepagrįstas tarptautinės apsaugos prašymas (EU acquis); akivaizdžiai nepagrįstas prašymas suteikti prieglobstį
LV	acīmredzami nepamatots starptautiskās aizsardzības pieteikums
MT	Applikazzjoni manifestament / bans bla bażi għall-protezzjoni internazzjonali
NL	kennelijk ongegrond verzoek om internationale bescherming
PL	
PT	requerimento manifestamente infundado de proteção internacional
RO	cerere vădit nefondată de protecție internațională
SK	zjavne neopodstatnená žiadosť o medzinárodnú ochranu / zjavne neopodstatnená žiadosť o udelenie medzinárodnej ochrany
SL	očitno neutemeljena prošnja za mednarodno zaščito
SV	uppenbart ogrundad ansökan om internationellt skydd
NO	Klart grunnløs søknad om internasjonal beskyttelse (b); Klart grunnlaus søknad om internasjonalt vern (n)
UK	явно необґрунтована заява про надання міжнародного захисту

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, განცხადება, რომელიც:

ა) არ უკავშირდება ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი A(2) მუხლით არც ლტოლვილის სტატუსის და არც საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს;

ბ) აშკარად თაღლითურია, ვინაიდან დაფუძნებულია ლტოლვილის სტატუსის დამდგენი ორგანოების შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართულ მცდელობაზე.

ევროკავშირის კონტექსტში, დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობით მიჩნეულია აშკარად დაუსაბუთებლად ერთ-ერთ შემდეგ გარემოებაში:

– განმცხადებელმა დაასახელა მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც არარელევანტურია საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის;

– განმცხადებელი არის უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნიდან;

– არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ განმცხადებელი წარმოადგენს საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისთვის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის;

– განცხადება ეფუძნება შეცდომაში შეყვანის ან საერთაშორისო დაცვის პროცედურის ბოროტად გამოყენების მიზანმიმართულ მცდელობას, როგორც ეს აღწერილია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 31-ე(8) ('c-i') მუხლით განსაზღვრულ გარემოებებში.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR: ლტოლვილის სტატუსის ან თავშესაფრის შესახებ აშკარად დაუსაბუთებელი განცხადებების პრობლემა, 1983 წლის 20 ოქტომბერი, UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის 1983 წლის დასკვნა N30 (XXXIV)

ა

აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ [გაგრძ.]

UNHCR-ის პოზიცია თავშესაფარზე აშკარად დაუსაბუთებელი განცხადებების შესახებ, 1992 წლის 1 დეკემბერი

ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 31-ე(8) მუხლი და 32-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

დაკავშირებული ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის დაჩქარებული პროცედურა**

შენიშვნები

1. აღმასრულებელი კომიტეტის N30 დასკვნაში UNHCR აღნიშნავს, რომ აშკარად დაუსაბუთებლად მიჩნეულ განცხადებებთან დაკავშირებული პროცედურები უნდა შეიცავდეს აუცილებელ პროცესუალურ გარანტიებს, როგორებიცაა: წინასწარი კონსულტაცია შესაბამის ენაზე; სრულყოფილი ინდივიდუალური გასაუბრება შესაბამისად კვალიფიცირებული უფლებამოსილი პირის მიერ; თავშესაფრის საკითხებში უფლებამოსილი უწყების კომპეტენცია, მიიჩნიოს განცხადება აშკარად დაუსაბუთებლად და უარყოფითი გადაწყვეტილებების გადახედვის მოთხოვნის შესაძლებლობა.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 31-ე(8) ('c-i') მუხლით გათვალისწინებული გარემოებებია:

c) განმცხადებელმა შეცდომაში შეიყვანა ხელისუფლების ორგანოები მცდარი ინფორმაციის/დოკუმენტების წარდგენით ან იმით, რომ წარადგინა მცდარი დოკუმენტები თავის ვინაობასთან და/ან მოქალაქეობასთან დაკავშირებით (და შესაბამისად, არ წარადგინა სათანადო ინფორმაცია/დოკუმენტები), რასაც, შესაძლოა, უარყოფითი გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილებაზე;

d) სავარაუდოდ, განმცხადებელმა მიზანმიმართულად გაანადგურა ან მოიცილა პირადობის დამადასტურებელი ან სამგზავრო დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მისი ვინაობის ან მოქალაქეობის დადგენა;

e) განმცხადებელმა წარმოადგინა აშკარად არათანმიმდევრული, წინააღმდეგობრივი, ყალბი და არარეალისტური ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ არსებულ სათანადოდ დადასტურებულ ინფორმაციას და შესაბამისად, არადამაჯერებელს ხდის მის მოთხოვნას საერთაშორისო დაცვის მინიჭების შესახებ;

f) განმცხადებელმა შეიტანა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განმეორებითი განცხადება, რომელიც ექვემდებარება განხილვას;

g) განმცხადებელი მხოლოდ იმ მიზნით აკეთებს განცხადებას, რომ გააჭიანუროს ან შეაჩეროს მანამდე მიღებული ან მოსალოდნელი გადაწყვეტილების აღსრულება, რაც გამოიწვევდა მის გაძევებას;

h) განმცხადებელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უკანონოდ შევიდა ან იქ ყოფნა უკანონოდ გაიხანგრძლივა და არ წარდგა ხელისუფლების ორგანოების წინაშე საპატიო მიზეზის გარეშე, ან საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება დროულად არ შეიტანა, მისი შესვლის გარემოებების გათვალისწინებით;

i) განმცხადებელი უარს ამბობს თითის ანაბეჭდების აღებაზე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) N603/2013 (რეგულაცია ევროდაკის (Eurodac) შესახებ) დადგენილი ვალდებულების შესაბამისად, თითის ანაბეჭდების შედარების მიზნით, რაც ემსახურება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) ეფექტიანად გამოყენებას.

3. ზემოაღნიშნული მახასიათებლების მქონე განცხადებები საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ, რომლებიც ევროკავშირის წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით მიიჩნევა „აშკარად დაუსაბუთებლად", შეიძლება განხილულ იქნეს დაჩქარებული პროცედურებით საზღვარზე და/ან სატრანზიტო ზონებში, თავშესაფრის პროცედურების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (განახლებული რედაქციის) მე-2 თავში დადგენილი ზოგადი პრინციპებისა და გარანტიების შესაბამისად. ამავე დირექტივის პრეამბულის 21-ე პუნქტის თანახმად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ყალბი ან არასაკმარისი დოკუმენტები და არათანმიმდევრული განცხადებები აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ განცხადება კვალიფიცირდება, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი და რომ იგი არ აკმაყოფილებს საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს.

ახალი პაქტი მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ

BG	Нов пакт за миграцията и убежището
CS	Nový pakt o migraci a azylu
DE	neues Migrations- und Asylpaket (EU acquis); neuer Migrations- und Asylpakt
EL	Νέο Σύμφωνο για τη Μετανάστευση και το Άσυλο
EN	New Pact on Migration and Asylum
ES	Nuevo Pacto sobre Migración y Asilo
ET	uus rände- ja varjupaigalepe
FI	Uusi muuttoliike- ja turvapaikkasopimus
FR	nouveau pacte sur la migration et l'asile
GA	an Comhshocrú Nua maidir le hImirce agus Tearmann
HU	új Migrációs és Menekültügyi Paktum
IT	Nuovo Patto sulla Migrazione e l'Asilo
LT	Naujas migracijos ir prieglobsčio paktas
LV	jauns Migrācijas un patvēruma pakts
MT	Patt Ġdid dwar il-Migrazzjoni u l-Ażil
NL	N/A
PL	Nowy Pakt ws. Migracji i Azylu
PT	Novo Pacto em matéria de Migração e Asilo
RO	un nou pact privind migrația și azilul
SK	Nový pakt o migrácii a azyle
SL	novi pakt o migracijah in azilu
SV	ny migrations- och asylpakt
NO	Ny pakt for migrasjon og asyl (Pakten)
UK	Новий пакт про міграцію та притулок

განმარტება

მიგრაციისა და თავშესაფრის მართვის ევროკავშირის ერთიანი ჩარჩო, რომელიც აერთიანებს მიგრაციის, თავშესაფრის, ინტეგრაციისა და საზღვრის მართვის პოლიტიკას.

წყარო

ევროკომისია: კომუნიკე მიგრაციისა და თავშესაფრის ახალი პაქტის შესახებ, COM(2020) 609 საბოლოო რედაქცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **თავშესაფარი**
- ★ **მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინი

- ★ **მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი**

შენიშვნები

1. პაქტი გამიზნულია ევროკავშირის მიგრაციის მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის და ქმნის ახალ სამოქმედო ჩარჩოს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ სოლიდარობისა და პასუხისმგებლობების სამართლიანად გადანაწილების პრინციპის თანაბარ და ეფექტურ დაცვას იმ შემთხვევებში, როდესაც ევროკავშირის წევრი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ეროვნული სისტემა ვერ უმკლავდება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მოულოდნელი მასობრივი შემოდინებით გამოწვეულ საგანგებო ვითარებას.

2. პაქტის მიზნებია:

– (ევროკავშირის) გარე საზღვრების ეფექტურად და სამართლიანად მართვა, რაც ასევე მოიცავს როგორც მიგრანტთა ვინაობის დადგენას, ისე მათ შემოწმებას ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით;

– თავშესაფრის სამართლიანი და ეფექტიანი რეგულაციების არსებობა და თავშესაფრისა და დაბრუნების პროცედურების დახვეწა;

– სოლიდარობის ახალი მექანიზმის დამკვიდრება მიგრანტთა ნაკად(ებ)ით შექმნილ ზეწოლასა და კრიზისულ ვითარებაზე რეაგირებისთვის და საძიებო-სამაშველო ოპერაციების განსახორციელებლად;

– მოვლენათა პროგნოზირების, კრიზისული ვითარებისთვის მზადყოფნისა და საპასუხო რეაგირების უფრო ქმედითი მექანიზმების შექმნა;

– დაბრუნების ეფექტური პოლიტიკის შემუშავება და კოორდინირებული მიდგომის დანერგვა ევროკავშირის მასშტაბით მისი განხორციელებისას;

– თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხების ყოვლისმომცველი მართვა ევროკავშირის დონეზე, თავშესაფრისა და მიგრაციის პოლიტიკის უკეთ მართვისა და აღსრულების მიზნით;

– წარმომავლობის (წარმოშობის) და სატრანზიტო (ძირითად) მესამე ქვეყნებთან ურთიერთსარგებლიანი პარტნიორობის დამყარება;

– დაცვის საჭიროების მქონე პირებისთვის და ევროკავშირში კვალიფიციურ მიგრანტთა მოზიდვის მიზნით მდგრადი ლეგალური გზების შექმნა;

– ინტეგრაციის ეფექტური პოლიტიკის ხელშეწყობა.

ბავშვი

BG	дете
CS	dítě
DE	Kind
EL	παιδί
EN	child
ES	población infantil
ET	laps
FI	lapsi
FR	enfant
GA	leanbh
HU	gyermek
IT	bambino - bambina / minore
LT	vaikas
LV	bērns
MT	Tifel (Tifla) / Wild
NL	kind
PL	dziecko
PT	criança
RO	copil
SK	dieťa
SL	otrok
SV	barn
NO	barn
UK	дитина

განმარტება

18 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებული კანონმდებლობა სრულწლოვანების ასაკად უფრო ადრეულ ან გვიანდელ ასაკს ადგენს).

წყარო

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 1-ელი მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბავშვის შრომა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **სრულწლოვანი**

★ **ასაკის დადგენა**

★ **არასრულწლოვანი**

შენიშვნები

1. ევროკავშირის კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ტერმინის 'ბავშვი' მყარი და საყოველთაო განმარტება. ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკავშირს ერთ-ერთ მიზნად ბავშვთა უფლებების დაცვის გაძლიერება დაუსახა. ამას გარდა, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია უზრუნველყოფს ბავშვთა უფლებების დაცვას ევროკავშირის ინსტიტუტებისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ ევროკავშირის კანონმდებლობის განხორციელებისას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი: ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების გენერალური დირექტორატი და ძირითად უფლებათა სააგენტო: ინდიკატორების შემუშავება ევროკავშირში ბავშვის უფლებების დაცვის, პატივისცემისა და გაძლიერების მიზნით, 2009 წლის მარტი

2. ტერმინი 'ბავშვი' გამოყენებული უნდა იქნეს ოჯახის სხვა წევრებთან ნათესაური კავშირის აღსაწერად. კონკრეტულ ინდივიდთან დაკავშირებით და სამართლებრივ კონტექსტში გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინი 'არასრულწლოვანი'.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC)

BG	Най-добрият интерес на детето
CS	nejlepší zájmy dítěte
DE	Wohl des Kindes / Kindeswohl
EL	υπέρτερο συμφέρον του παιδιού
EN	best interests of the child (BIC)
ES	Interés superior del menor
ET	lapse parimad huvid
FI	lapsen etu
FR	intérêt supérieur de l'enfant
GA	Leas an linbh
HU	gyermek mindenek felett álló érdeke
IT	superiore interesse del minore
LT	geriausi vaiko interesai
LV	bērna (labākās) intereses
MT	L-aħjar interessi tat-tifel / tat-tifla
NL	het belang van het kind (NL); het hoger belang van het kind (BE)
PL	
PT	superior interesse da criança
RO	
SK	najlepší záujem dieťaťa
SL	otrokove najboljše koristi
SV	barnets bästa
NO	grunnlagsdokument
UK	найкращі інтереси дитини (НІД)

განმარტება

სამმაგი ცნება, რომელიც მოიცავს მატერიალურ უფლებას, ფუნდამენტურ და განმარტებით სამართლებრივ პრინციპსა და პროცესუალურ ნორმას, რომლის მიზანია ყველა იმ უფლებით სრულად და ეფექტიანად სარგებლობის უზრუნველყოფა, რომლებიც აღიარებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციაში (UNCRC) და რომელშიც მთავარი ყურადღება ბავშვის მრავალმხრივი განვითარების უზრუნველყოფას ეთმობა.

წყაროები

შემუშავდა EMN ის მიერ.

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3(1) მუხლი

გაეროს N14 ზოგადი კომენტარი ბავშვის იმ უფლების შესახებ, რომ, პირველ რიგში, გათვალისწინებული იყოს მისი საუკეთესო ინტერესები, 2013 წ.

UNHCR: სახელმძღვანელო მითითებები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის შესახებ, 2008 წ.

სინონიმები

- ★ ბავშვის საუკეთესო ინტერესი
- ★ BIC
- ★ ბავშვის საუკეთესო ინტერეს(ებ)ის გათვალისწინების პრინციპი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **ბავშვი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება (BIA)**
- ★ **ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID)**

დაკავშირებული ტერმინი

- ★ **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC)**

შენიშვნები

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი ერთ-ერთია ბავშვის უფლებების შესახებ ოთხ ყოვლისმომცველ სახელმძღვანელო პრინციპს შორის (დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება, საუკეთესო ინტერესები, სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლება, მონაწილეობის უფლება ან საკუთარი აზრის გამოხატვის და მისი გათვალისწინების უფლება). აღნიშნული პრინციპი გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3(1) მუხლის და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 24(2)-ე მუხლში. ორივე დოკუმენტი ბავშვებს ანიჭებს მათი საუკეთესო ინტერესების (პირველ რიგში) შეფასების და გათვალისწინების უფლებას სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურების, ადმინისტრაციული თუ სასამართლო უწყებების მიერ წარმოებულ საქმესა თუ გადაწყვეტილებაში, რომელიც ეხება ბავშვებს ან გავლენას ახდენს მათზე.

2. ბავშვის მრავალმხრივი განვითარება გულისხმობს ბავშვის კეთილდღეობას ფართო გაგებით, რომელიც ითვალისწინებს მის ძირითად მატერიალურ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და ემოციურ საჭიროებებს, ასევე მასზე ზრუნვისკენ და დაცულ გარემოში ყოფნისკენ სწრაფვას.

3. ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპი ეხება ყველა ბავშვს განურჩევლად; ასევე ბავშვებს, როგორც არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ ბავშვებს ზოგადად ან მათ ჯგუფს.

ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC) [გაგრძ.]

4. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები უპირველესად არის გათვალისწინებული ყველა ინდივიდუალური ბავშვის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების (BIA) შეფასება და, შესაბამის შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID). ეს პროცედურები, შესაძლოა, განსხვავებული ტერმინებით იყოს გამოხატული ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში.

5. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება (BIA) არის მარტივი, განგრძობადი პროცედურა, რომელიც უნდა განხორციელდეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, როდესაც მიიღება ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს თითოეულ ბავშვზე. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ცალკეულ ბავშვთან, ბავშვების ჯგუფთან ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებები და შეფასდეს და დაბალანსდეს გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ყველა ასპექტი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EUAA-ს პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახის წევრების მოძიების შესახებ, 2016 წ., გვ. 52-53 და UNHCR: Safe and Sound („უსაფრთხოდ და ჯანმრთელად“), 2014 წ.

6. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID) წარმოადგენს მკაცრი პროცესუალური გარანტიების შემცველ ოფიციალურ პროცესს, რომლის მიზანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენა ისეთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების დროს, რომლებიც გავლენას ახდენს მასზე. პროცესში შესაბამისი ხარისხით, დისკრიმინაციის გარეშე, ჩართული უნდა იყვნენ თავად ბავშვი და შესაბამის სფეროებში გამოცდილების მქონე გადაწყვეტილების მიმღები პირები. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR: სახელმძღვანელო მითითებები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის შესახებ, 2008 წ.

7. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ კონტექსტში ეს ტერმინი ხშირად მხოლობით რიცხვში გამოიყენება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID)

BG	определяне на висшия интерес на детето
CS	určení nejlepšího zájmu dítěte
DE	Bestimmung des Kindeswohls / Feststellung des Kindeswohls
EL	καθορισμός υπέρτερου (EL) / βέλτιστου (CY) συμφέροντος του παιδιού (BID)
EN	child's best interests determination (BID)
ES	determinación del interés superior (DIS) / determinación del interés superior del niño
ET	lapse parimate huvide määramine
FI	lapsen edun määrittäminen
FR	détermination de l'intérêt supérieur de l'enfant
GA	cinneadh um an leas is fearr do leanbh
HU	a gyermek mindenek felett álló érdekének meghatározása
IT	child's best interests determination (BID
LT	geriausių vaiko interesų nustatymas
LV	bērna interešu noteikšana
MT	determinazzjoni tal-aħjar interessi / determinazzjoni tal-aħjar interessi tal-minorenni
NL	bepaling van het belang van het kind
PL	określenie najlepszego interesu / określenie najlepszego interesu dziecka
PT	determinação do superior interesse da criança
RO	determinarea interesului superior (DIS) / determinarea interesului superior al copilului
SK	definovanie / určenie najlepšieho záujmu dieťaťa
SL	določitev največje koristi otroka
SV	prövning av barnets bästa
NO	n/a
UK	визначення найкращих інтересів дитини (BHI)

განმარტება

მკაცრ პროცედურულ გარანტიებსა და შესაბამის დოკუმენტურ მტკიცებულებებზე დაფუძნებული ოფიციალური პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის საუკეთესო ინტერესების (BIC) განსაზღვრას ბავშვთან დაკავშირებული, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. აღნიშნულ პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს როგორც ბავშვის (დისკრიმინაციის გარეშე) მონაწილეობა, ასევე შესაბამისი ექსპერტული ცოდნის მქონე გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ჩართულობა, რათა ურთიერთშედარების საფუძველზე დაბალანსდეს ყველა არსებული გარემოება, საუკეთესო ალტერნატივის შესარჩევად.

წყარო

UNHCR: ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა - სახელმძღვანელო მითითებები, 2008 წ.

სინონიმი

- BIC

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC)**

დაკავშირებული ტერმინები

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება (BIA)**
- **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC)**

შენიშვნა

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის (BID) მიზნით შემუშავებული ოფიციალური პროცედურის ფარგლებში ხდება ყველა შესაბამისი გარემოების შეფასება და ურთიერთშედარება, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციით (UNCRC) და ადამიანის უფლებების დამცველი სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტით აღიარებული უფლებებისა და ვალდებულებების ჯეროვანი გათვალისწინებით იმისთვის, რათა საბოლოოდ (ყველა არსებული გარემოების შეფასების საფუძველზე) მიღებული გადაწყვეტილება საუკეთესოდ იცავდეს ბავშვის უფლებებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა მოითხოვს უფრო მეტ პროცედურულ გარანტიებს, ვიდრე შეფასება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის მიზნით UNHCR-ის მიერ 2018 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებები ავალდებულებს UNHCR-ს, ჩაატაროს BID შემდეგ სამ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია:

1. თანმხლები პირის გარეშე მყოფ (და განცალკევებულ) ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტის ან დამხმარე გზის იდენტიფიცირება მაშინ, როდესაც არსებობს დამატებითი მნიშვნელოვანი რისკფაქტორი ან დაცვის არასრულყოფილად განხორციელების ალბათობა;
2. საუკეთესო ალტერნატივების შერჩევა განსაკუთრებულ გარემოებებში და რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებთან მიმართებით;
3. გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც, შესაძლოა, გულისხმობდეს ბავშვის განცალკევებას მშობლებისგან, მათი ნების საწინააღმდეგოდ.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება (BIA)

BG	оценка на висшия интерес на детето
CS	posouzení nejlepšího zájmu dítěte
DE	Bewertung des besten Interesses des Kindes
EL	καθορισμός υπέρτερου (EL) / βέλτιστου (CY) συμφέροντος του παιδιού (BID)
EN	child's best interests' assessment (BIA)
ES	evaluación del interés superior / evaluación del interés superior del niño
ET	lapse parimate huvide hindamine
FI	lapsen edun arviointi
FR	évaluation de l'intérêt supérieur de l'enfant
GA	measúnú um am leas is fearr do leanbh
HU	n/a
IT	Valutazione del superiore interesse del minore
LT	geriausių vaiko interesų vertinimas
LV	bērna interešu novērtējums
MT	valutazzjoni tal-aħjar interessi tat-tfal
NL	beoordeling van het belang van het kind
PL	ocena najlepszego interesu / ocena najlepszego interesu dziecka
PT	avaliação do superior interesse da criança
RO	evaluarea interesului superior al copilului / evaluarea interesului superior
SK	posúdenie najlepšieho záujmu dieťaťa
SL	ocena največje koristi otroka
SV	hänsyn till barnets bästa
NO	n/a
UK	оцінка найкращих інтересів дитини (OHI)

განმარტება

ყოველ ცალკეულ შემთხვევაზე მუშაობისას გამოყენებული პროცედურა, რომლის ფარგლებშიც ხდება კონკრეტული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი ფაქტორის შეფასება და დაბალანსება, რათა მოცემული პროცედურის ფარგლებში ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIA).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

UNHCR: ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა - სახელმძღვანელო მითითებები, 2008 წ.

სინონიმი

- BIA

დაკავშირებული ტერმინები

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა (BID)**
- **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC)**

შენიშვნა

თანმხლები პირის გარეშე მყოფი ან განცალკევებული ბავშვის სახელით ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას მუდმივად ბავშვის საუკეთესო ინტერესით მოქმედება არის საბოლოო მიზანი, რომელსაც ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება. თითოეულ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ჩარევისას არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებას, რომელიც საჭირო აღარაა, როდესაც ამოქმედებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის (BID) პროცედურა. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება არ მოითხოვს რაიმე სპეციფიკურ ფორმალურ პროცედურას და უნდა განხორციელდეს სისტემატურად, პროცესის სხვადასხვა ეტაპზე ბავშვის იდენტიფიცირებიდან (როგორც თანმხლები პირის გარეშე მყოფად, განცალკევებულად ან სხვა რისკის ქვეშ მყოფად) - მასთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიან გადაწყვეტამდე. შეფასება შეიძლება ჩატარდეს ერთი პირის მიერ ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან კონსულტაციის შედეგად. პროცესი არ საჭიროებს მკაცრ პროცედურულ ჩარჩოს, თუმცა ჩართულ პერსონალს უნდა გააჩნდეს სათანადო პროფესიული უნარები და ცოდნა გადაადგილების სრული ციკლის ყველა ეტაპზე.

ბავშვის შრომა

BG	детски труд
CS	dětská práce
DE	Kinderarbeit
EL	παιδική εργασία
EN	child labour
ES	trabajo infantil
ET	lapstööjõu kasutamine
FI	lapsityö
FR	travail des enfants
GA	fostú leanaí
HU	gyerekmunka
IT	lavoro infantile
LT	vaikų darbas
LV	bērnu darbs
MT	Tħaddim ta' tfal / ta' minorenni / Sfruttament ta' xogħol it-tfal
NL	kinderarbeid
PL	praca dzieci
PT	trabalho infantil
RO	munca pentru copii
SK	detská práca
SL	delo otrok
SV	barnarbete
NO	barnearbeid
UK	дитяча праця

განმარტება

ბავშვის მიერ შესრულებული ნებისმიერი სამუშაო, რომელიც ართმევს მას ბავშვობას, ულახავს ღირსებას და აფერხებს მის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

წყარო

ILO-ს ბავშვის შრომის აღმოფხვრის შესახებ საერთაშორისო პროგრამის (IPEC) ვებგვერდი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ბავშვი

დაკავშირებული ტერმინი

★ იძულებითი შრომა

შენიშვნები

1. განმარტება დასაშვებს ხდის ბავშვის მუშაობას მაგ., მაღაზიაში, სკოლაში, გაკვეთილების დასრულების შემდეგ, რადგან ეს არ ეწინააღმდეგება ზემოთ აღნიშნულს. განმარტება ეხება ისეთ სამუშაოს, რომელიც გონებრივად, ფიზიკურად, სოციალურად ან მორალურად სახიფათო და მავნებელია ბავშვისთვის და ხელს უშლის მას სასკოლო განათლების მიღებაში იმ გაგებით, რომ ეს სამუშაო ბავშვს:

- ართმევს გაკვეთილებზე დასწრების შესაძლებლობას;
- ავალდებულებს სკოლიდან ნაადრევად, გაკვეთილების დასრულებამდე წამოსვლას; ან
- იძულებულს ხდის ბავშვს, რომ მან სწავლა მეტისმეტად ხანგრძლივ და მძიმე შრომას შეუთავსოს.

2. ILO-ს N138 კონვენცია ადგენს 15 წლის ასაკს, რომლის ზემოთ, ჩვეულებრივ გარემოებებში, პირს აქვს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის უფლება. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 32-ე მუხლის თანახმად, ბავშვების დასაქმება აკრძალულია. ბავშვის სამუშაოდ დაშვების მინიმალური ასაკი არ შეიძლება იყოს სკოლის დამთავრების მინიმალურ ასაკზე ნაკლები, თუმცა, აღნიშნულმა არ უნდა შელახოს ის წესები, რომელთა მიხედვით, დასაქმება შესაძლოა ხელსაყრელი იყოს ახალგაზრდა ასაკის პირებისთვის. ასევე, მათი დასაქმება შეიძლება დასაშვები იყოს გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებშიც.

3. ბავშვის მიერ შესრულებული ნებისმიერი სამუშაო არ უნდა იქნეს მიჩნეული ბავშვის მიერ შრომითი საქმიანობის გაწევად, რაც, თავის მხრივ, უნდა აღმოიფხვრას. ILO განასხვავებს ტერმინებს 'ბავშვის მუშაობა' და 'ბავშვის შრომა': ეს უკანასკნელი გულისხმობს 'ბავშვის მუშაობის' უფრო დამამცირებელ ასპექტს, მაშინ როდესაც, თავის მხრივ, 'ბავშვის მუშაობა' შეიძლება გულისხმობდეს მსუბუქ საშინაო საქმეების კეთებას და, თუ ეს უარყოფითად არ მოქმედებს მის ჯანმრთელობასა და პიროვნულ განვითარებაზე ან ხელს არ უშლის მის სასკოლო განათლებას, შეიძლება გარკვეული ცოდნის შეძენის ღირებულებაც ჰქონდეს.

ბალის პროცესი

BG	Процесът Бали
CS	Balijský proces / Proces Bali
DE	Bali-Prozess
EL	Διαδικασία του Μπαλί
EN	Bali Process
ES	Proceso de Bali
ET	Bali protsess
FI	Balin prosessi
FR	Processus de Bali
GA	Próiseas Bali
HU	Bali Folyamat
IT	Processo di Bali
LT	Balio procesas
LV	Bali process
MT	Proċess (Il-) ta' Bali
NL	Bali proces
PL	Proces Bali
PT	Processo de Bali
RO	Procesul Bali
SK	Balijský proces
SL	Balijski proces
SV	Baliprocessen
NO	Bali-prosessen
UK	Балійський процес

განმარტება

საერთაშორისო ფორუმი, რომელიც (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანას და ადამიანით ვაჭრობას (ტრეფიკინგს) ეხება და რომელშიც მონაწილეობს 50-ზე მეტი ქვეყანა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონიდან და მათ საზღვრებს გარეთ.

წყარო

ბალის პროცესის ვებგვერდი

სინონიმი

- ბალის პროცესი (სახელმწიფო) საზღვარზე ადამიანების უკანონოდ გადაყვანის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და მასთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური დანაშაულის შესახებ

დაკავშირებული ტერმინები

- **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**
- **(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა**
- **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

შენიშვნები

1. ბალის პროცესი დაფუძნდა იმ ჩარჩოხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ინიციირებული იყო ინდონეზიის კუნძულ ბალიზე 2002 წლის თებერვლის რეგიონულ კონფერენცია-მინისტერიალზე და ეხებოდა (სახელმწიფო) საზღვარზე ადამიანების უკანონოდ გადაყვანის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და მასთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური დანაშაულის საკითხებს.

2. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს (სახელმწიფო) საზღვარზე ადამიანების უკანონოდ გადაყვანის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), მასთან დაკავშირებული ტრანსნაციონალური დანაშაულის საკითხებზე და მათზე რეაგირების გზებზე მსჯელობას და ინფორმაციის გაცვლას.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბალის პროცესის ვებგვერდი.

ბინადრობის დოკუმენტი

BG	документ за пребиваване
CS	doklad o pobytu
DE	Aufenthaltstitel (EU acquis)
EL	τίτλος διαμονής / έγγραφο διαμονής
EN	residence document
ES	documento de residencia
ET	elamisluba (dokument)
FI	oleskeluun oikeuttava asiakirja, oleskeluasiakirja (oleskelulupa)
FR	titre de séjour
GA	doiciméad cónaithe
HU	tartózkodásra jogosító okmány
IT	titolo di soggiorno
LT	teisę gyventi šalyje patvirtinantis dokumentas
LV	uzturēšanās dokuments
MT	Dokument ta' residenza
NL	verblijfsdocument
PL	dokument pobytowy
PT	título de residência
RO	document de şedere
SK	doklad o pobyte
SL	dokument za prebivanje
SV	uppehållstillstånd
NO	oppholdsdokument (b); opphaldsdokument (n)
UK	документ, що підтверджує проживання

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს უფლებას აძლევს, იმყოფებოდეს მის ტერიტორიაზე. აღნიშნული მოიცავს დოკუმენტებს, რომლებიც ადასტურებს ქვეყნის ტერიტორიაზე პირის ყოფნის უფლებას დროებითი დაცვის ფარგლებში ან ყოფნას მანამ, სანამ იარსებებს გაძევების შესახებ ბრძანების აღსრულების ხელისშემშლელი გარემოებები. გამონაკლისს წარმოადგენს ვიზები და ბინადრობის ნებართვები, რომლებიც გაიცა იმ პერიოდში, როდესაც მიმდინარეობს საერთაშორისო დაცვაზე პასუხისმგებელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს განსაზღვრა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) თანახმად, ან იმ პერიოდში, რომელიც დადგენილია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის ან ბინადრობის ნებართვის მოპოვების შესახებ განცხადების განსახილველად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(l) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბინადრობის უფლება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბინადრობის ნებართვა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **სამგზავრო დოკუმენტი**

ბინადრობის ნებართვა

BG	разрешение за пребиваване
CS	povolení k pobytu
DE	Aufenthaltstitel (EU acquis); Aufenthaltserlaubnis / Niederlassungserlaubnis (DE)
EL	άδεια διαμονής
EN	residence permit
ES	permiso de residencia
ET	elamisluba
FI	oleskelulupa
FR	permis de séjour
GA	cead cónaithe
HU	tartózkodási engedély
IT	permesso di soggiorno
LT	leidimas gyventi
LV	uzturēšanās atļauja
MT	Permess ta' residenza
NL	verblijfsvergunning
PL	zezwolenie na pobyt
PT	autorização de residência
RO	permis de ședere
SK	povolenie na pobyt
SL	dovoljenje za prebivanje
SV	uppehållstillstånd
NO	oppholdstillatelse (b); opphaldsløyve (n)
UK	посвідка на проживання

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ნებართვა, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს საშუალებას აძლევს, ლეგალურად იყოფებოდეს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

წყარო

შემუშავებულია EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) N265/2010 (რეგულაცია გრძელვადიანი ვიზის შესახებ)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბინადრობის დოკუმენტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ერთიანი ნებართვა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ევროკავშირის ლურჯი ბარათი**
★ **შრომის ნებართვა**

შენიშვნა

ბინადრობის ნებართვები მოიცავს:
– ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციით (EC) N1030/2002 დადგენილი ერთიანი ფორმატის შესაბამისად გაცემულ ბინადრობის ნებართვებს;
– ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2004/38/EC შესაბამისად გაცემულ ბინადრობის მოწმობებს;
– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე გაცემულ სხვა დოკუმენტებს (გარდა დროებითი ნებართვებისა და ვიზებისა), რომლებიც ამ პირებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას აძლევს.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/399 39-ე მუხლის შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტების გაცემის შესახებ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო შესაბამის შეტყობინებას უგზავნის ევროკომისიას, რომელიც, თავის მხრივ, აქვეყნებს შესაბამის ინფორმაციას თავის ოფიციალურ პერიოდულ გამოცემაში.

ბინადრობის უფლება

BG	право на пребиваване
CS	právo na pobyt
DE	Aufenthaltsrecht
EL	δικαίωμα διαμονής
EN	right of residence
ES	derecho de residencia
ET	elamisõigus
FI	oleskeluoikeus
FR	droit de séjour
GA	ceart cónaithe
HU	tartózkodási jog
IT	diritto di soggiorno
LT	teisė gyventi šalyje
LV	uzturēšanās tiesības
MT	Dritt għar-residenza
NL	verblijfsrecht
PL	prawo pobytu
PT	direito de residência
RO	drept de ședere / rezidență
SK	právo zdržiavať sa v krajine / právo na pobyt v krajine
SL	pravica do prebivanja
SV	uppehållsrätt
NO	rett til opphold (b); rett til opphald (n)
UK	право на проживання

განმარტება

მოცემულ ქვეყანაში ბინადრობის უფლება ამ ქვეყნის მიგრაციის კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ

სინონიმი

★ ბინადრობის უფლება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **ბინადრობის დოკუმენტი**

★ **ბინადრობის ნებართვა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მიმღები ქვეყანა**

შენიშვნა

ევროკავშირის კონტექსტში ევროკავშირის მოქალაქეების ბინადრობის უფლება გათვალისწინებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2004/38/EC (დირექტივა თავისუფალი გადაადგილების შესახებ), რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს ბინადრობის უფლებას სამ თვემდე ვადით (მე-6 მუხლი) და ბინადრობის უფლებას სამ თვეზე მეტი ვადით (მე-7 მუხლი). ევროპის ეკონომიკური სივრცისა და შვეიცარიის მოქალაქეები სარგებლობენ იმავე უფლებებით, რომლებითაც სარგებლობენ ევროკავშირის მოქალაქეები თავისუფალი გადაადგილების ევროპულ სივრცეში.

ბიომეტრიული მონაცემები

BG	биометрични данни
CS	biometrické údaje
DE	biometrische Daten
EL	βιομετρικά δεδομένα
EN	biometric data
ES	datos biométricos
ET	biomeetrilised andmed
FI	biometriset tiedot
FR	données biométriques
GA	sonraí bithmhéadracha
HU	biometrikus adat
IT	dati biometrici
LT	biometriniai duomenys
LV	biometriskie dati
MT	Data / Dejta bijometrika
NL	biometrische gegevens
PL	dane biometryczne
PT	dados biométricos
RO	date biometrice
SK	biometrický údaj
SL	biometrični podatki
SV	biometriska data
NO	biometriske data
UK	біометричні дані

განმარტება

მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია პირის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევით მახასიათებლებთან და იძლევა ინდივიდის ერთმნიშვნელოვნად იდენტიფიცირების შესაძლებლობას, როგორიცაა, მაგალითად, სახის გამოსახულება ან დაქტილოსკოპიური მონაცემები.

წყარო

ცალკეულ პირთა დაცვის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის თაობაზე წინადადების მე-3(11) მუხლი, რომელიც ეხება უფლებამოსილი უწყებების მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებას დანაშაულის პრევენციის, გამოძიების, გამოვლენის ან სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნით ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის აღსრულებას, ასევე ასეთი მონაცემების თავისუფალ მიმოცვლას (COM(2012 წ., 10 საბოლოო რედაქცია).

სინონიმი

★ ბიომეტრია

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

ბრძანება გადაყვანის შესახებ

BG	заповед за прехвърляне
CS	rozhodnutí o transferu / rozhodnutí o přemístění
DE	Überstellungsanordnung
EL	εντολή μεταφοράς
EN	transfer order
ES	orden de traslado
ET	üleandmise otsus (no usual translation)
FI	siirtomääräys
FR	obligation de transfert
GA	ordú um aistriú
HU	átadásról rendelkező végzés
IT	ordine di trasferimento
LT	nurodymas perduoti
LV	lēmums par patvēruma meklētāja pārsūtīšanu
MT	Ordni ta' trasferiment
NL	overdrachtsbevel
PL	No translation
PT	decisão de transferência
RO	ordin de transfer
SK	príkaz na presun / príkaz na transfer
SL	nalog za transfer
SV	beslut om överföring
NO	overføringsvedtak
UK	наказ про трансфер

განმარტება

საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის ოფიციალური ვალდებულება, დატოვოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფო და კონკრეტულ ვადაში მიმართოს ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ მისი განცხადების განხილვაზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად

დაკავშირებული ტერმინები

- დუბლინის კონვენცია
- დუბლინის რეგულაცია

ბრძანება გაძევების შესახებ

BG	заповед за извеждане
CS	rozhodnutí o vyhoštění
DE	Abschiebungsanordnung
EL	εντολή απομάκρυνσης / εκτέλεση μέτρου απομάκρυνσης / μέτρο απομάκρυνσης
EN	removal order
ES	orden de expulsión
ET	väljasaatmisotsus
FI	maastapoistamismääräys
FR	mesure d'éloignement
GA	ordú aistrithe
HU	kitoloncolásról szóló határozat
IT	provvedimento di allontanamento
LT	nurodymas išsiųsti
LV	lēmums par piespiedu izraidīšanu
MT	Ordni ta' tneħħija
NL	uitzettingsbevel / verwijderingsmaatregel; bevel om het grondgebied te verlaten (BE)
PL	decyzja nakazująca wyjazd
PT	decisão de afastamento
RO	decizie de returnare sub escortă
SK	príkaz na odsun / príkaz na vyhostenie
SL	nalog za odstranitev
SV	beslut om avlägsnande
NO	vedtak om uttransportering
UK	наказ про вилучення

განმარტება

ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება ან აქტი გაძევების შესახებ.

წყარო

დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-8(3) მუხლი

სინონიმი

★ ბრძანება დეპორტაციის შესახებ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

★ **გაძევება (removal)**

★ **გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ**

დაკავშირებული ტერმინი

★ **გადაწყვეტილება გაძევების შესახებ**

შენიშვნა

ევროკავშირის ზოგი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება და გაძევების შესახებ ბრძანება შეიძლება გამოიცეს ერთი ადმინისტრაციული ან სასამართლო აქტით.

ბუდაპეშტის პროცესი

BG	Будапещенски процес
CS	Budapešťský proces
DE	Budapest-Prozess
EL	Διαδικασία της Βουδαπέστης
EN	Budapest Process
ES	Proceso de Budapest
ET	Budapesti protsess
FI	Budapestin prosessi
FR	Processus de Budapest
GA	Próiseas Bhúdaipeist
HU	Budapest Folyamat
IT	Processo di Budapest
LT	Budapešto procesas
LV	Budapeštas process
MT	Proċess (Il-) ta' Budapest
NL	Boedapest proces
PL	Proces Budapeszteński
PT	Processo de Budapeste
RO	Procesul Budapesta
SK	Budapeštiansky proces
SL	Budimpeštanski proces
SV	Budapestprocessen
NO	Budapest-prosessen
UK	Будапештський процес

განმარტება

ევროპის სხვადასხვა რეგიონის 50-ზე მეტი მთავრობისა და 10 საერთაშორისო ორგანიზაციისაგან შემდგარი საკონსულტაციო ფორუმი, რომლის მიზანია მიგრაციის სფეროში კარგი მმართველობის ხელშეწყობა, მოწესრიგებული მიგრაციისთვის ყოვლისმომცველი და მდგრადი სისტემების შემუშავება და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე (ლეგალური მიგრაცია, კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია, თავშესაფარი, ვიზა, საზღვრის მართვა, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა, რეადმისია და დაბრუნება) ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლა.

წყაროები

შემუშავდა EMN ის მიერ.

ICMPD-ის ვებგვერდი (ბუდაპეშტის პროცესის აღწერა)

ბუდაპეშტის პროცესის ვებგვერდი

დაკავშირებული ტერმინი

★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. ბუდაპეშტის პროცესის ინიციატორი იყო გერმანია 1991 წელს.

2. დიალოგის საშუალებით პროცესი ხელს უწყობს კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე დაბალანსებული მიდგომით რეაგირებას და მიგრაციის ცნებებისა და პოლიტიკის ერთიანი აღქმის დამკვიდრებას.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ბუდაპეშტის პროცესის ვებგვერდი.

გ

გადაადგილებული პირი

BG	разселено лице
CS	vysídlená osoba
DE	Vertriebener
EL	εκτοπισθείς
EN	displaced person
ES	población desplazada
ET	ümberasustatud isik
FI	siirtymään joutunut henkilö
FR	personne déplacée
GA	duine easáitithe
HU	lakóhelyét elhagyni kényszerült személy
IT	sfollato
LT	perkeltasis asmuo
LV	pārvietota persona
MT	Persuna spostata / li kellha tħalli darha
NL	ontheemde
PL	osoba przesiedlona
PT	deslocado
RO	persoană strămutată
SK	vysídlená osoba / vysídlenec (EU acquis); odídenec
SL	razseljena oseba
SV	fördriven person
NO	fordrevet person (b); fordriven person (n)
UK	переміщена особа

განმარტებები

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა, დაეტოვებინა თავისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა ან რეგიონი, ან რომლის ევაკუაციაც განხორციელდა (განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართვის საპასუხოდ) და რომელსაც არ შეუძლია დაბრუნება უსაფრთხო პირობებში და ხანგრძლივი პერიოდით ამ ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, და რომელზეც, ასევე, შესაძლოა ვრცელდებოდეს ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი(A) მუხლი ან საერთაშორისო დაცვის უზრუნველმყოფი სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტრუმენტი. კერძოდ, აღნიშნული შეეხება პირს, რომელიც:

ა) გაერიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ენდემური ძალადობის ადგილს;

ბ) არის ადამიანის უფლებების სისტემატური ან მასობრივი დარღვევების რისკის ქვეშ ან წარმოადგენს ამგვარ ქმედებათა მსხვერპლს.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) მე-2(c) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **იძულებითი მიგრანტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირი**
- **(ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირი**

დაკავშირებული ტერმინები

- **(სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი**
- **დე ფაქტო ლტოლვილი**
- **(იძულებითი) გადაადგილება**
- **ლტოლვილი**

გადამყვანი კომპანია

BG	превозвач
CS	dopravce
DE	Transportunternehmer
EL	μεταφορέας
EN	carrier
ES	operador de transporte
ET	vedaja
FI	liikenteenharjoittaja
FR	transporteur
GA	iompróir
HU	fuvarozó
IT	vettore
LT	vežėjas
LV	pārvadātājs
MT	Operatur tat-trasport
NL	vervoerder
PL	przewoźnik
PT	transportador
RO	transportator
SK	dopravca
SL	prevoznik
SV	transportör
NO	transportør
UK	перевізник

განმარტება

სატრანსპორტო საშუალებასთან (ან ტრანსპორტთან) მიმართებით, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ან დამქირავებელი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

შენიშვნები

1. გადამყვანი კომპანია, ჩვეულებრივ, აღნიშნავს ავიაკომპანიას, საავტობუსო, სარკინიგზო ან საზღვაო კომპანიას. ზოგი სახელმწიფოს კანონმდებლობით, ტერმინი გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერ მფლობელს, რომელსაც პირი თავის ტერიტორიაზე გადაჰყავს.

2. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/82/EC (დირექტივა მგზავრის წინასწარი მონაცემების (API) შესახებ) მე-2(a) მუხლში მოცემული განმარტება უფრო ვიწროა იმ გაგებით, რომ მასში აღნიშნული 'მგზავრების ავიაგადაყვანა' წარმოშობს ერთგვარ ბუნდოვანებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აღნიშნავს 'ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი' მხოლოდ კომპანიის მფლობელს.

გადამყვანის პასუხისმგებლობა

BG	Отговорност на превозвачите
CS	odpovědnost dopravce
DE	Haftung von Beförderungsunternehmen
EL	ευθύνης του μεταφορέα
EN	carriers' liability
ES	responsabilidad de los transportistas
ET	veoettevõtjate vastutus
FI	liikenteenharjoittajien velvollisuudet
FR	responsabilité des transporteurs
GA	Dliteanas iompróirí
HU	fuvarozók felelőssége
IT	obbligo del vettore
LT	vežėjo atsakomybė
LV	pārvadātāja pienākums
MT	Obbligu(-i) tal-operaturi tat-trasport
NL	vervoerdersaansprakelijkheid
PL	
PT	responsabilidade dos transportadores
RO	răspunderea transportatorilor
SK	zodpovednosť dopravcov a prepravcov
SL	odgovornost prevoznika
SV	transportörsansvar
NO	transportørs ansvar
UK	відповідальність перевізника / відповідальність перевізників

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, გადამყვანი კომპანიების ვალდებულება, ინტერ ალია დააბრუნონ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც არ ფლობენ ევროკავშირის/შენგენის წევრ სახელმწიფოში შესვლისთვის აუცილებელ სამგზავრო დოკუმენტებს.

წყაროები

შენგენის კონვენციის 26(1a)-ე მუხლი
ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2001/51/EC (დირექტივა გადამყვანის პასუხისმგებლობის შესახებ)
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/82/EC (დირექტივა გადამყვანი კომპანიების მიერ მგზავრის მონაცემების გაზიარების ვალდებულების შესახებ) მე-2 მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **სანქცია გადამყვანის მიმართ**

შენიშვნები

1. გადამყვანი კომპანიები, რომლებიც ვერ შეძლებენ, დააბრუნონ მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც უარი ეთქვა შესვლაზე, ვალდებული არიან, დაუყოვნებლივ უზრუნველყონ მისი მომდევნო ტრანსპორტირების შესაძლებლობა და გასწიონ შესაბამისი ხარჯი ან, თუ დაუყოვნებელი მომდევნო ტრანსპორტირება შეუძლებელია, ვალდებული არიან, გასწიონ მესამე ქვეყნის მოქალაქის (დროებითი) დარჩენის და შენგენის რომელიმე არაწევრ სახელმწიფოში მისი დაბრუნების ხარჯი.

2. ირლანდიამ, მიუხედავად იმისა, რომ არ არის შენგენის ზონის ნაწილი, გამოთქვა შენგენის კანონმდებლობის გარკვეულ ნაწილთან (მაგ., შენგენის კონვენციის 26-ე მუხლი) მიერთების სურვილი, რაც აისახა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებაში 2002/192/EC.

გადაუდებელი რეაგირების სისტემა

BG	система за реакция при кризи
CS	systém reakce na mimořádné události
DE	Notfallsystem; Notfallklausel (EU acquis)
EL	σύστημα απόκρισης σε καταστάσεις έκτακτης ανάγκης
EN	emergency response system
ES	Sistema de respuesta de emergencia
ET	hädaolukordadele reageerimise süsteem
FI	hätäapujärjestelmä
FR	mécanisme d'intervention d'urgence
GA	córas freagartha éigeandála
HU	válságreagálási mechanizmus
IT	sistema di risposta all'emergenza
LT	skubaus atsako sistema
LV	ārkārtas reaģēšanas sistēma
MT	sistema ta' rispons għal emerġenza
NL	noodmaatregelmechanisme
PL	mechanizm interwencji kryzysowej
PT	mecanismo de recolocação de emergência
RO	sistem de intervenție de urgență
SK	systém núdzovej pripravenosti
SL	Sistem odzivanja na izredne razmere
SV	nödsituationssystem
NO	nødinnsatssystem
UK	система екстреного реагування

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მოულოდნელი შემოდინების შედეგად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შექმნილი საგანგებო ვითარების დროს გამოყენებული დროებითი ზომები, რომლებიც, მათ შორის, მოიცავს საერთაშორისო დაცვის აშკარა საჭიროების მქონე თავშესაფრის მაძიებელთა განაწილების მექანიზმს, გამიზნულს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა სამართლიანი და დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 78-ე(3) მუხლი

მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი: განმარტებითი ლექსიკონი, ფაქტები და ციფრები

სინონიმი

★ ევროკავშირის ფარგლებში გადაუდებელი განსახლება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ სათადარიგო/სარეზერვო გეგმა

★ ევროკავშირის ფარგლებში გადაუდებელი განსახლების გეგმა

დაკავშირებული ტერმინი

★ (ევროკავშირის ერთი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება

შენიშვნები

1. ეს დროებითი ზომები გათვალისწინებულია TFEU-ს 78-ე(3) მუხლში.

2. განაწილების მექანიზმის ფარგლებში ევროკავშირის წევრი მიმღები სახელმწიფო პასუხისმგებელია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვაზე, დადგენილი წესებისა და გარანტიების შესაბამისად. ევროკომისიამ განსაზღვრა ხელახალი განაწილების კოეფიციენტი ისეთ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი, მოსახლეობის რაოდენობა, უმუშევრობის დონე და თავშესაფრის მაძიებელთა წინა მაჩვენებელი.

3. EUAA იყენებს ტერმინს 'სარეზერვო/სათადარიგო გეგმა' ეროვნულ დონეზე არსებულ გეგმებთან მიმართებით, რომლებშიც დეტალურადაა გაწერილი მიგრანტების მასობრივი შემოდინების შემთხვევაში გასატარებელი სპეციალური ზომები. აღნიშნული შესაძლოა უკავშირდებოდეს თავშესაფრის არსებულ სისტემას ან, უფრო ზოგადად, მიგრანტებს.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) 33-ე მუხლი ითვალისწინებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გადაუდებელი რეაგირების ორ ფორმას: 'პრევენციული სამოქმედო გეგმა', რომელიც უნდა ამოქმედდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს თავშესაფრის სისტემაზე განსაკუთრებული ზეწოლის ან სისტემის ფუნქციონირების კუთხით არსებული პრობლემების გამო, შესაძლოა, საფრთხე შეექმნას დუბლინის რეგულაციის აღსრულებას; და 'კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმა', რომელიც უნდა ამოქმედდეს იმ შემთხვევაში, თუ 'პრევენციული სამოქმედო გეგმა' პრობლემას ვერ გადაჭრის.

გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად

BG	Трансфер по Дъблин / прехвърляне съгласно Регламента Дъблин
CS	transfer podle Dublinského nařízení
DE	Übertragung der Zuständigkeit; Dublin-Überstellung
EL	μεταφορά στο πλαίσιο του Κανονισμού του Δουβλίνου
EN	Dublin transfer
ES	Decisión de traslado según el procedimiento de Dublín
ET	Dublini üleandmine
FI	Dublin-asetuksen mukainen siirto
FR	transfert Dublin
GA	aistriú Bhaile Átha Cliath
HU	dublini transzfer
IT	trasferimento degli obblighi dello Stato competente nella procedura Dublino
LT	perdavimas pagal Dublino reglamentą
LV	personas pārsūtīšana Dublinas regulas ietvaros
MT	Trasferiment skont il-proċedura ta' Dublin
NL	Dublinoverdracht
PL	przekazanie w ramach procedury dublińskiej
PT	transferência ao abrigo do Regulamento de Dublin
RO	transfer efectuat în temeiul Regulamentului Dublin
SK	dublinský transfer
SL	Dublinski transfer / Dublinski prenos
SV	Dublinöverföring
NO	Dublin-overføring (av ansvar)
UK	Трансфер за Дублінським регламентом

განმარტებები

1. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვის პასუხისმგებლობის გადაცემა ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეზე.

2. თავშესაფრის მაძიებლის გადაყვანა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, რომელიც განისაზღვრა განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოდ დუბლინის პროცედურის შესაბამისად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-17(2) მუხლი და მე-19(1) მუხლი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) 29-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ დუბლინის რეგულაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე
- ★ თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე
- ★ ბრძანება გადაყვანის შესახებ

დაკავშირებული ტერმინები

- ★ დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები
- ★ დუბლინის პროცედურა

შენიშვნები

1. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფო განისაზღვრება ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე (მათი იერარქიის დაცვით), რომლებიც მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) III თავში.

2. თავშესაფრის მაძიებლის (დუბლინის რეგულაციით განსაზღვრული) გადაყვანის მიზნით გამოიცემა (თავშესაფრის მაძიებლის) ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში გადაყვანის თხოვნა. აღნიშნული ოფიციალური პროცედურის ფარგლებში (ევროკავშირის) წევრი სახელმწიფო, რომელიც განსაზღვრავს თავშესაფრის მაძიებლის მიღებაზე პასუხისმგებელ წევრ ქვეყანას, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის გადაყვანის თხოვნას უგზავნის ევროკავშირის წევრ იმ სახელმწიფოს, რომელმაც თანხმობა განაცხადა პირის თავშესაფრის მაძიებლად მიღებაზე ან თავშესაფრის მაძიებლის უკან მიღებაზე.

3. დუბლინის რეგულაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. DG Home-ის ვებგვერდი, თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვის პოლიტიკის აღწერა.

გადაწყვეტილება გაძევების შესახებ

BG	решение за експулсиране
CS	rozhodnutí o vyhoštění
DE	Rückführungsentscheidung (EU acquis); Ausweisungsentscheidung (DE, LU)
EL	απόφαση απέλασης
EN	expulsion decision
ES	decisión de expulsión
ET	väljasaatmisotsus
FI	maastapoistamispäätös / karkottamispäätös
FR	décision d'éloignement (acquis UE, BE, FR) ; décision d'expulsion (LU)
GA	cinneadh ionnarbtha
HU	kiutasítást elrendelő határozat
IT	decisione di espulsione
LT	sprendimas išsiųsti / sprendimas dėl išsiuntimo
LV	izbraukšanas rīkojums / lēmums par piespiedu izraidīšanu
MT	Deċiżjoni ta' espulsjoni / ta' tkeċċija
NL	verwijderingsbesluit
PL	decyzja o wydaleniu
PT	decisão de expulsão
RO	expulsion (a) hotărâre judecătorescă de expulzare (b) decizie de returnare sub escortă
SK	rozhodnutie o vyhostení
SL	odločitev o izgonu
SV	beslut om avvisning eller utvisning
NO	utvisningsbeslutning (b); utvisingsavgjerd (n)
UK	рішення про видворення

განმარტება

ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც წარმოადგენს სამართლებრივ საფუძველს პირის ქვეყნიდან გასაძევებლად.

წყაროები

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/40/EC (დირექტივა გაძევების შესახებ) მე-2(b) მუხლი
IATE

სინონიმი

★ ბრძანება გაძევების შესახებ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გაძევება (expulsion)**

დაკავშირებული ტერმინები

★ **გაძევება (removal)**
★ **აღსრულების ღონისძიება**
★ **ბრძანება გაძევების შესახებ**

შენიშვნები

1. გერმანიაში გამოიყენება მხოლოდ ტერმინი 'ბრძანება გაძევების შესახებ', ხოლო ტერმინებს 'გადაწყვეტილება გაძევების შესახებ' და 'ბრძანება გაძევების შესახებ' ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.
2. რუმინეთში გაძევების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხოლოდ სასამართლოს და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ

BG	решение за връщане
CS	rozhodnutí o návratu
DE	Rückkehrentscheidung (EU acquis); Rückführungsentscheidung (DE)
EL	απόφαση επιστροφής
EN	return decision
ES	resolución de expulsión
ET	lahkumisettekirjutus
FI	palauttamispäätös
FR	décision de retour
GA	cinneadh fillte
HU	országelhagyásra kötelező határozat / kiutasítást elrendelő határozat
IT	decisione di ritorno / rimpatrio
LT	sprendimas grąžinti / sprendimas dėl grąžinimo
LV	atgriešanas lēmums (EU acquis); izbraukšanas rīkojums / lēmums par piespiedu izraidīšanu
MT	Deċiżjoni ta' ritorn
NL	terugkeerbesluit
PL	decyzja o powrocie
PT	decisão de afastamento / notificação para abandono
RO	decizie de returnare
SK	rozhodnutie o návrate
SL	odločba o vrnitvi
SV	beslut om återvändande
NO	returvedtak
UK	рішення про повернення

განმარტება

ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება ან აქტი, რომელიც ადგენს, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქე არალეგალურად იმყოფება ევროკავშირის წევრ ქვეყანაში და ავალებს ან მიუთითებს მას დაბრუნების ვალდებულებაზე.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(4) მუხლი

სინონიმები

- ქვეყნის დატოვების ვალდებულება
- დაბრუნების ვალდებულება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **გაძევება (removal)**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **ბრძანება გაძევების შესახებ**

დაკავშირებული ტერმინები

- **გადაწყვეტილება გაძევების შესახებ**
- **აღსრულების ზომა**
- **ნებაყოფლობითი გამგზავრება**

შენიშვნა

ევროკავშირის ზოგი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით, დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება და გაძევების შესახებ ბრძანება შეიძლება გამოიცეს ერთი ადმინისტრაციული ან სასამართლო აქტით.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (UNCRC)

BG	Конвенцията на ООН за правата на детето
CS	Úmluva OSN o právech dítěte
DE	Übereinkommen der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes / Internationale Kinderrechtskonvention
EL	Σύμβαση των Ηνωμένων Εθνών για τα Δικαιώματα του Παιδιού
EN	United Nations Convention on the Rights of the Child (UNCRC)
ES	Convención de las Naciones Unidas sobre los Derechos del niño
ET	Ühinenud Rahvaste Organi-satsiooni lapse õiguste kon-ventsioon
FI	YK:n lapsen oikeuksien sopimus
FR	Convention des Nations Unies relative aux droits de l'enfant
GA	Coinbhinsiún na Náisiún Aontaithe um Chearta an Linbh
HU	a gyermek jogairól szóló ENSZ Egyezmény
IT	Convenzione delle Nazioni Unite sui diritti dell'infanzia e dell'adolescenza
LT	Jungtinių Tautų Vaiko teisių konvencija
LV	Apvienoto Nāciju Organizācijas Bērnu tiesību konvencija
MT	Konvenzjoni tan-Nazzjonijiet Uniti dwar id-Drittijiet tat-Tfal
NL	Hoog Commissariaat van de Verenigde Naties voor de Vluchtelingen
PL	
PT	Convenção das Nações Unidas sobre os Direitos da Criança
RO	Convenția Organizației Națiunilor Unite cu privire la drepturile copilului (CDC)
SK	Dohovor OSN o právach dieťaťa
SL	Konvencija Združenih Narodov o pravicah otrok
SV	FN:s konvention om barnets rättigheter
NO	FNs barnekonvensjon
UK	Конвенція ООН про права дитини (UNCRC)

განმარტება

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ადგენს ბავშვთა სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ამსახველი ვებგვერდი

სინონიმები

- ბავშვის უფლებათა კონვენცია
- CRC
- UNCRC

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ბავშვი**

დაკავშირებული ტერმინები

- **ბავშვის საუკეთესო ინტერესები**
- **ძირითადი უფლებები**
- **ადამიანის უფლებები**

შენიშვნები

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია მიღებულ იქნა 1989 წლის 20 ნოემბერს. პირველი საერთაშორისო, სამართლებრივად სავალდებულო დოკუმენტი, რომელიც აღიარებს ბავშვის ძირითად უფლებებს, მოიცავს ოთხ ძირითად პრინციპს:

– ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულად დაცვას (მე-3 მუხლი).

– დაუშვებელია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნების, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, დაბადების ადგილის ან სხვა გარემოებების საფუძველზე (მე-2 მუხლი).

– კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება; ისინი შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის გადარჩენას და მის ჯანსაღ განვითარებას (მე-6 მუხლი).

– უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ბავშვის მიერ მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე თავისი შეხედულების თავისუფლად გამოთქმის უფლება და ამ შეხედულებათა შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბავშვის ასაკი და შესაბამისი განვითარების დონე (მე-12 მუხლი).

2. ამ ოთხ პრინციპთან ერთად, ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს რიგ ძირითად უფლებებს, რომლებიც აღნიშნავს ინტერ ალია ბავშვის ძალადობისგან, ექსპლუატაციისა და უგულებელყოფისგან დაცვის საჭიროებას და მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების მნიშვნელობას.

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)

BG	Върховен комисар на ООН за бежанците
CS	Úřad Vysokého komisaře OSN pro uprchlíky
DE	Hoher Flüchtlingskommissar der Vereinten Nationen
EL	Ύπατης Αρμοστεία των Ηνωμένων Εθνών για τους Πρόσφυγες (ΥΑ του ΟΗΕ για τους Πρόσφυγες)
EN	United Nations High Commissioner for Refugees (UNHCR)
ES	Alto Comisionado de las Naciones Unidas para los Refugiados
ET	ÜRO pagulaste ülemvolinik
FI	Yhdistyneiden kansakuntien pakolaisasiain päävaltuutettu
FR	Haut-Commissariat des Nations Unies pour les réfugiés
GA	Ard-Choimisinéir na Náisiún Aontaithe do Dhídeanaithe
HU	Az Egyesült Nemzetek Menekültügyi Főbiztosa
IT	Alto Commissariato delle Nazioni Unite per i Rifugiati
LT	Jungtinių Tautų Vyriausiasis pabėgėlių komisaras
LV	Apvienoto Nāciju Organizācijas Augstais komisārs bēgļu lietās
MT	Kummissjoni (Il-) Għolja għar-Rifuġjati tan-Nazzjonijiet Uniti
NL	Hoog Commissariaat der Verenigde Naties voor Vluchtelingen
PL	Wysoki Komisarz Narodów Zjednoczonych do Spraw Uchodźców
PT	Alto Comissariado das Nações Unidas para os Refugiados
RO	Înaltul Comisariat al Națiunilor Unite pentru Refugiați / Înatul Comisariat ONU pentru Refugiați
SK	Úrad Vysokého komisára OSN pre utečencov
SL	Visoki komisariat Združenih narodov za begunce
SV	FN:s flyktingorgan
NO	FNs høykommissær for flyktninger (b); FNs høgkommissær for flyktningar (n)
UK	Управління Верховного комісара ООН у справах біженців (УВКБ ООН)

განმარტება

გაეროს ლტოლვილთა სააგენტო, რომლის მანდატს წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ლტოლვილთა დაცვისკენ მიმართული ქმედების ხელმძღვანელობა და კოორდინაცია, ისევე როგორც მათთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა მსოფლიო მასშტაბით და ლტოლვილთა უფლებებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

წყარო

UNHCR-ის ვებგვერდი

სინონიმი

★ UNHCR

დაკავშირებული ტერმინები

★ **ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი**

★ **მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)**

★ **საერთაშორისო დაცვა**

★ **ლტოლვილთა სამართალი**

შენიშვნები

1. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1950 წლის 14 დეკემბერს დააარსა.

2. ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი UNHCR-ის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი სამართლებრივი ინსტრუმენტია. ორგანიზაციის ფუნქციები განსაზღვრულია მის წესდებაში, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ 1950 წლის 14 დეკემბერს დაამტკიცა.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR-ის ვებგვერდი.

გამორიცხვის დებულება

BG	изключваща клауза
CS	exkluzivní klauzule / vylučovací klauzule
DE	Ausschlussklausel
EL	ρήτρα αποκλεισμού
EN	exclusion clause
ES	cláusula de exclusión
ET	välistav klausel
FI	poissulkemislauseke
FR	clause d'exclusion
GA	clásal eisiaimh
HU	kizáró klauzulák
IT	clausola di esclusione
LT	prašymo atmetimo pagrindai
LV	izslēgšanas noteikums
MT	Klawsola ta' tbarrija / t'esklużjoni
NL	uitsluitingsgronden
PL	klauzula wykluczająca
PT	cláusulas de exclusão
RO	cauză de excludere
SK	doložka o vylúčení / vylučovacia klauzula / vylučovacie ustanovenie
SL	izključitvena klavzula
SV	undantagsklausul
NO	unntaksbestemmelse (b); unntaksføresegn (n)
UK	застереження про виключення

განმარტება

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (D, E, F) მუხლი გამორიცხავს ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას იმ პირებისთვის, რომლებმაც უკვე მიიღეს გაეროს ან სახელმწიფო დაცვა, ან იმ პირებისთვის, რომელთა მიმართ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ მათ ჩადენილი აქვთ ომის დანაშაული, დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ, მძიმე არაპოლიტიკური დანაშაული ან ისეთი ქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება გაეროს მიზნებსა და პრინციპებს (მაგ., სხვა პირთა დევნა).

წყარო

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (D, E, F) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ**
- ★ **ომის დანაშაული**

შენიშვნა

ჟენევის კონვენციის ზემოაღნიშნული დებულებები შეტანილია ევროკავშირის თავშესაფრის მარეგულირებელ კანონმდებლობაში (იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-12 და მე-17 მუხლები) და, დამატებით, განსაზღვრულია დროებით დაცვასთან დაკავშირებული გამორიცხვის დებულებები.

გამოყოფილი საცხოვრისი

BG	Зададена област на пребиваване
CS	vymezené území
DE	zugewiesenes Wohngebiet / geographische Beschränkung des Aufenthalts / Wohnsitzauflage / Wohnsitzbeschränkung
EL	οριζόμενη περιοχή διαμονής
EN	assigned area of residence
ES	zona asignada
ET	kindlaksmääratud elamispiirkond
FI	osoitettu asuinpaikka
FR	zone de résidence attribuée
GA	
HU	kijelölt tartózkodási hely
IT	area o luogo di residenza assegnata
LT	nustatyta gyvenamoji vieta
LV	noteiktais dzīvesvietas apgabals
MT	Distrett / Żona residenzjali assenjat/a
NL	aangewezen / toegewezen gebied van verblijf
PL	wyznaczony obszar
PT	área de residência designada
RO	zona stabilită
SK	určená oblasť pobytu
SL	določeno območje prebivanja
SV	anvisat boendeområde
NO	Pålagt bosted (b); Pålagd bustad (n)
UK	призначена територія проживання

განმარტება

საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა და/ან საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა შესაბამისი საცხოვრისით უზრუნველყოფა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-7(2) მუხლი

სინონიმები

- განსახლების გეოგრაფიული შეზღუდვა
- დადგენილი წესით განსახლება
- განთავსების პირობები
- განსახლების (და ცხოვრების) წესი

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) თანახმად, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლები შეიძლება განსახლდნენ კონკრეტულ საცხოვრებელ ადგილას საჯარო ინტერესის, საზოგადოებრივი წესრიგის მიზნებისთვის ან აუცილებლობის შემთხვევაში, რათა სწრაფად მოხდეს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ მათი განცხადების დამუშავება და ეფექტური მონიტორინგი. ამ ტერიტორიაზე გადაადგილება შეუზღუდავია; აღნიშნული გავლენას არ ახდენს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაზე და უზრუნველყოფილია საკმარისი წვდომა დირექტივით გათვალისწინებული ყველა შეღავათით სარგებლობისთვის.

2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და ნორვეგიის ეროვნული კანონებით და/ან ადმინისტრაციული რეგულაციებით შეიძლება განისაზღვროს, თუ სად იცხოვრებენ საერთაშორისო დაცვის მიმღები პირები - კონკრეტულ საცხოვრებელ უბნებში მათი განთავსების ან განთავსების აკრძალვის გზით, რომლის მიზანიც ინტეგრაციის ხელშეწყობაა.

3. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 33-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირებს უნდა მისცენ მათი ტერიტორიის ფარგლებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა იმავე პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროკავშირში ლეგალურად მცხოვრები სხვა არამოქალაქე პირებისთვის. მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომ (CJEU) 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ დამატებითი დაცვის მქონე პირებს წინასწარ განსაზღვრულ ტერიტორიაზე განსახლება შეიძლება მოეთხოვოთ მხოლოდ შეზღუდულ შემთხვევებში (გაერთიანებული საჩივრები C-443/14 და C-444/14 'ალო და ოსსო'). ამ გადაწყვეტილების თანახმად, ევროკავშირის კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, განსაზღვრონ დამატებითი დაცვის მქონე პირების განსახლებასთან დაკავშირებული პირობები იმ სოციალური დახმარების/შეღავათების ფარგლებში, რომლებიც გამიზნულია ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობისთვის.

გამოყოფილი საცხოვრისი [გაგრძ.]

თუმცა მოცემული შეზღუდვის საფუძველზე არ შეიძლება შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს დაეკისროთ აღნიშნული შეღავათების თანაბრად გადანაწილების ვალდებულება, თუ ეროვნული კანონმდებლობა იმავეს არ ითვალისწინებს მიგრანტთა სხვა ჯგუფებისთვის (მაგ., ლტოლვილებისთვის). მეტი ინფორმაციისთვის იხ. CJEU-ს 2016 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

4. გამოყოფილი საცხოვრისის ცნება შეიძლება სხვადასხვა სახით დაინერგოს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ კონტექსტში და შესაბამისად იქნეს გამოყენებული საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების და/ან დაცვის მქონე პირთა განსხვავებული კატეგორიების მიმართ. მაგ., იტალიაში საერთაშორისო დაცვის მქონე პირებს შეიძლება გამოუყონ კონკრეტული კერძო მისამართი/ბინადრობის ადგილი.

განათლების ხელმისაწვდომობა

BG	достъп до образование
CS	přístup ke vzdělání
DE	Zugang zu Bildung
EL	πρόσβαση στην εκπαίδευση
EN	access to education
ES	N/A
ET	juurdepääs haridusele
FI	oikeus koulutukseen
FR	accès à l'éducation
GA	rochtain ar oideachas
HU	oktatáshoz való hozzáférés
IT	accesso all'istruzione
LT	galimybė mokytis
LV	izglītības pieejamība / piekļuve izglītībai
MT	Aċċess għall-edukazzjoni
NL	toegang tot onderwijs
PL	dostęp do edukacji
PT	acesso à educação
RO	acces la educație
SK	prístup k vzdelávaniu
SL	dostop do izobraževanja
SV	tillträde till utbildning
NO	tilgang til utdanning
UK	Доступ до освіти

განმარტებები

მიგრაციის ზოგად კონტექსტში, მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს მიგრანტებისა და ლტოლვილების მიმღები სახელმწიფოს განათლების სისტემაზე წვდომას და დაშვების მასშტაბს.

ევროკავშირის მიგრაციის კონტექსტში, მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს მესამე ქვეყნის მოქალაქეების (ლეგალურად მცხოვრები მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების და საერთაშორისო დაცვის მიმღები პირების) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განათლების სისტემაზე წვდომას და დაშვების მასშტაბს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(ბ) მუხლი და დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 27-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა
- მესამე ქვეყნის მოქალაქე
- ლეგალური მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

- დასაქმების ხელმისაწვდომობა
- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა
- კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა
- სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა

შენიშვნები

1. ჟენევის კონვენციის (და ოქმის) მე-17 და მე-18 მუხლები მიმღებ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვის მქონე ლტოლვილებს ანიჭებს მუშაობის, შემოსავლის მომტანი დასაქმების ან თვითდასაქმების უფლებას. ამასთან, კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს მუშაობის უფლებას თავშესაფრის მაძიებლებისთვის და არ კრძალავს დასაქმებასთან დაკავშირებით შემზღუდველი ზომების გამოყენებას (რომლებიც შეიძლება გავრცელდეს დასაქმების კონკრეტულ სფეროებზე, მუშაობის ხანგრძლივობაზე ან დასაქმებულთა კონკრეტული კატეგორიების პრიორიტეტულობაზე).

განათლების ხელმისაწვდომობა [გაგრძ.]

2. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განათლებისა და პროფესიული სწავლების სისტემებზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების მასშტაბი დამოკიდებულია წევრ ქვეყანაში მათი ბინადრობისა და დასაქმების სტატუსზე.

3. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1b) მუხლის თანახმად, გრძელვადიანი მობინადრის სტატუსის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ისეთივე წვდომა განათლების სისტემაზე, როგორიც მოქალაქეებს. დირექტივის მე-11(3b) მუხლის მიხედვით, შესაძლოა, ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობა (ზოგადი) განათლებისა და პროფესიული გადამზადების სისტემაზე წვდომისთვის ითხოვდეს ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენას, ხოლო საუნივერსიტეტო განათლების სისტემაზე წვდომისთვის - გარკვეული წინაპირობების დაკმაყოფილებას.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 27-ე მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო დაცვის მიმღებ არასრულწლოვანებს უნდა ჰქონდეთ სრულყოფილი წვდომა განათლების სისტემაზე, ისევე როგორც მოქალაქეებს. დირექტივა ასევე ადგენს საერთაშორისო დაცვის მიმღებ სრულწლოვანთა წვდომას ზოგად საგანმანათლებლო და მომდევნო მომზადება-გადამზადების სისტემებზე იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრ ქვეყანაში გრძელვადიანი მობინადრის სტატუსის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეები.

5. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-14 მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო დაცვაზე არასრულწლოვან განმცხადებლებს უნდა ჰქონდეთ განათლების სისტემაზე მოქალაქეებთან გათანაბრებული წვდომა გაძევების შესახებ ბრძანების აღსრულებამდე. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო საქმიანობა შეიძლება განთავსების ცენტრებში ჩატარდეს.

განაწილების კოეფიციენტი

BG	Разпределителен ключ
CS	distribuční klíč
DE	Verteilungsschlüssel
EL	κλείδα κατανομής
EN	distribution key
ES	Clave de distribución
ET	jaotuskvoot
FI	EU-jäsenvaltioiden välinen turvapaikanhakijoiden jakoperuste / EU:n taakanjaon määrittämisperusteet
FR	clé de répartition
GA	eochair dáileacháin
HU	elosztási kulcs
IT	Chiave di distribuzione
LT	paskirstymo raktas
LV	sadales koeficients
MT	gwida għat-tqassim
NL	verdeelsleutel
PL	kryteria rozproszenia
PT	chave de distribuição/repartição
RO	
SK	distribučný kľúč
SL	razdelitveni ključ
SV	fördelningsnyckel
NO	fordelingsnøkkel
UK	ключ розподілу

განმარტება

მეთოდი, რომელიც გამოიყენება მიღების კვოტის დასადგენად და საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა განაწილებისთვის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ან ევროკავშირის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში ისეთი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორიცაა რეგიონის/ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ფარდობითი ზომა, მოსახლეობის სიმჭიდროვე, კეთილდღეობის მაჩვენებლები და მიღების შესაძლებლობები.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის რეფორმირებისა და ლეგალური გზების გაფართოების შესახებ ევროკომისიის კომუნიკეში (COM(2016) 197) მოცემული ტერმინის 'განაწილების კოეფიციენტი' აღწერა

სინონიმი

★ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა განაწილება

განვითარებისა და დაცვის რეგიონული პროგრამა (RDPP)

BG	регионална програма за развитие и закрила (РПРЗ)
CS	regionální program rozvoje a ochrany
DE	regionales Entwicklungs- und Schutzprogramm
EL	περιφερειακό πρόγραμμα ανάπτυξης και προστασίας
EN	regional development and protection programme (RDPP)
ES	Programa regional de desarrollo y protección
ET	piirkondlik arengu- ja kaitseprogramm
FI	alueellinen kehitys- ja suojeluohjelma
FR	programme régional de développement et de protection
GA	clár um fhorbairt agus um chosaint réigiúnach
HU	regionális fejlesztési és védelmi program
IT	programma di protezione e sviluppo regionale (PPSR)
LT	regioninė vystymosi ir apsaugos programa
LV	reģionālā attīstības un aizsardzības programma
MT	Programm reġjonali għall-protezzjoni u l-iżvilupp
NL	Regionaal ontwikkelings- en beschermingsprogramma
PL	program ochrony i rozwoju regionalnego
PT	Programa Regional de Desenvolvimento e Proteção (PRDP)
RO	program regional de dezvoltare și protecție (PRDP)
SK	regionálny program rozvoja a ochrany
SL	regionalni program za razvoj in zaščito
SV	regionalt utvecklings- och skyddsprogram
NO	Regionalt program for utvikling og beskyttelse (RDPP)
UK	регіональна програма розвитку та захисту (РПРЗ)

განმარტება

ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების მიერ შემუშავებული საერთაშორისო დაცვის ინიციატივა, რომელიც მიმართულია მესამე ქვეყნების შესაძლებლობათა ზრდის ხელშეწყობისკენ იმ რეგიონებში, რომლებიც წარმოადგენს დიდი რაოდენობით ლტოლვილთა წარმომავლობის ადგილებს ან რომლებსაც ლტოლვილები ტრანზიტით გადიან. საერთაშორისო ინიციატივის მიზანია აღნიშნულ ქვეყნებში ლტოლვილთა დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება მათთან დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის გზით (დაბრუნება, ადგილობრივი ინტეგრაცია, მესამე ქვეყანაში განსახლება).

წყარო

ევროკომისია: კომუნიკე დაცვის რეგიონული პროგრამების შესახებ, COM(2005) 388

სინონიმები

- RDPP
- RPP
- დაცვის რეგიონული პროგრამა (RPP)

შენიშვნები

1. დაცვის რეგიონული პროგრამების შესახებ ევროკომისიის 2005 წლის კომუნიკეში (COM(2005) 388 საბოლოო რედაქცია) აღწერილია დაცვის რეგიონული პროგრამები, როგორც საერთაშორისო დაცვის რეჟიმისადმი ევროკავშირის ახალი მიდგომა. პროგრამები შემუშავდა ევროკომისიის მიერ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და UNHCR-თან მჭიდრო თანამშრომლობით და წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო და პირველი თავშესაფრის ქვეყნებთან პარტნიორობის ფარგლებში. პროგრამები მოიცავს მიმღებ ქვეყნებში ზოგადი დაცვის გაუმჯობესებისკენ, ლტოლვილის სტატუსის დადგენის ეფექტური პროცედურის უზრუნველყოფისა და ლტოლვილთა საკითხებზე მომუშავე პერსონალის ტრენინგისა და შესაძლებლობების ზრდისკენ მიმართულ პრაქტიკულ ზომებს და ლტოლვილების მიმღები ადგილობრივი თემების მხარდაჭერის ღონისძიებებს.

2. დაცვის პირველი ორი რეგიონული პროგრამა შემუშავდა აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოებისთვის (ბელარუსი, მოლდოვა და უკრაინა), როგორც სატრანზიტო რეგიონებისთვის, და აფრიკის დიდი ტბების რეგიონისთვის (ტანზანია), როგორც წარმომავლობის (წარმოშობის) რეგიონისთვის. 2010 წელს ევროკომისიამ დაცვის რეგიონული პროგრამა ორი ახალი რეგიონისთვის გამოიყენა: აფრიკის რქა (კენია, იემენი და ჯიბუტი) და აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი (ეგვიპტე, ლიბია და ტუნისი). სირიის ლტოლვილთა კრიზისზე საპასუხოდ ევროკომისიამ 2013 წელს შეიმუშავა რეგიონული განვითარებისა და დაცვის პროგრამა (RDPP) ახლო აღმოსავლეთისთვის და, ამავდროულად, შეიტანა მასში განვითარებისკენ მიმართული ზომები.

განვითარებისა და დაცვის რეგიონული პროგრამა (RDPP) [გაგრძ.]

3. მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის თანახმად, მესამე ქვეყნებში განსახლების მიზნით პრიორიტეტულ რეგიონებს წარმოადგენენ: ჩრდილოეთი აფრიკა, აფრიკის რქა და ახლო აღმოსავლეთი, ძირითადი აქცენტით იმ ქვეყნებზე, სადაც ხორციელდება განვითარებისა და დაცვის რეგიონული პროგრამები, რომლებიც, ასევე, მოიცავს განსახლების კომპონენტს.

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. DG Home-ის ვებგვერდი, დაცვის რეგიონული პროგრამების აღწერა (საგარეო საკითხები).

განთავსების ცენტრი

BG	център за настаняване
CS	pobytové středisko
DE	Unterbringungszentrum
EL	κέντρο φιλοξενίας
EN	accommodation centre
ES	centro de acogida
ET	majutuskeskus
FI	vastaanottokeskus
FR	centre d'hébergement
GA	lárionad cóiríochta /gu & ai: lárionaid chóiríochta)
HU	befogadó állomás
IT	centro di accoglienza
LT	apgyvendinimo centras
LV	izmitināšanas centrs
MT	Ċentru ta' akkomodazzjoni
NL	asielzoekerscentrum (NL); opvangcentrum (BE)
PL	ośrodek dla osób ubiegających się o status uchodźcy
PT	centro de acolhimento
RO	centru de cazare şi proceduri
SK	ubytovacie zariadenie (EU acquis); pobytový tábor
SL	nastanitveni center
SV	förläggning
NO	asylmottak / mottakssenter
UK	центр розміщення

განმარტება

ადგილი, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების კოლექტიური განთავსებისთვის.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(i) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიმღები დაწესებულებები

დაკავშირებული ტერმინი

★ მიმღები ცენტრი

შენიშვნები

1. ასეთ ადგილებს მიეკუთვნება განთავსების დეცენტრალიზებული ცენტრები.

2. ფინეთში ტერმინის ინგლისურად გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება აღნიშვნას 'reception centre' ('მიმღები ცენტრი').

3. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული მიმღები დაწესებულებების კატეგორიების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად იხ. EMN: თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები დაწესებულებების მოწყობა ევროკავშირის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში, 2014 წ.

განმეორებითი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ

BG	последваща молба за международна закрила
CS	následná žádost o mezinárodní ochranu
DE	Folgeantrag auf internationalen Schutz
EL	μεταγενέστερη αίτηση διεθνούς προστασίας
EN	subsequent application for international protection
ES	solicitud posterior de protección internacional
ET	korduv rahvusvahelise kaitse taotlus
FI	myöhempi kansainvälistä suojelua koskeva hakemus
FR	demande ultérieure de protection internationale
GA	iarratas iardain ar chosaint idirnáisiúnta
HU	ismételt menedékkérelem
IT	domanda reiterata di protezione internazionale
LT	paskesnis prašymas suteikti tarptautinę apsaugą (EU acquis); pakartotinis prašymas suteikti prieglobstį
LV	atkārtots iesniegums par starptautiskās aizsardzības statusa piešķiršanu
MT	Applikazzjoni / Talba sussegwenti għall-protezzjoni internazzjonali
NL	volgend verzoek om internationale bescherming
PL	kolejny wniosek o ochronę międzynarodową
PT	pedido subsequente de proteção internacional
RO	cerere ulterioară
SK	následná žiadosť o medzinárodnú ochranu / následná žiadosť o udelenie medzinárodnej ochrany
SL	ponovna prošnja za mednarodno zaščito
SV	efterföljande ansökan om internationellt skydd
NO	ny søknad om internasjonal beskyttelse (b); ny søknad om internasjonalt vern (n)
UK	наступна заява про надання міжнародного захисту

განმარტება

წინა განცხადებაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ შეტანილი მომდევნო განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ, მათ შორის, იმ შემთხვევებშიც, როდესაც განმცხადებელმა ექსპლიციტურად გამოიხმო თავისი განცხადება ან გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ შეწყვიტა განცხადების განხილვის პროცესი განმცხადებლის მიერ მისი იმპლიციტური გამოხმობის შემდეგ, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 28-ე(1) მუხლის შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(q) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე

BG	кандидат за международна закрила
CS	žadatel o mezinárodní ochranu
DE	Antragsteller auf internationalen Schutz
EL	αιτών διεθνή προστασία
EN	applicant for international protection
ES	solicitante de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse taotleja
FI	kansainvälistä suojelua hakeva
FR	demandeur de protection internationale
GA	iarratasóir ar chosaint idirnáisiúnta
HU	menedékkérő
IT	richiedente protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašytojas (EU acquis); prieglobsčio prašytojas
LV	starptautiskās aizsardzības pieteikuma iesniedzējs
MT	Applikant(a) għall-protezzjoni internazzjonali
NL	verzoeker om internationale bescherming
PL	wnioskodawca o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	requerente de proteção internacional
RO	solicitant al protectiei internationale
SK	žiadateľ o medzinárodnú ochranu (EU acquis)
SL	prosilec za mednarodno zaščito
SV	sökande av internationellt skydd
NO	person som søker om internasjonal beskyttelse (b) / person som søkjer om internasjonalt vern (n)
UK	заявник на міжнародний захист

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც წარადგინა განაცხადი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(i) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- განსაკუთრებული პროცედურული გარანტიების საჭიროების მქონე განმცხადებელი
- მიღების განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი
- თავშესაფრის მაძიებელი
- განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე

დაკავშირებული ტერმინები

- საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი
- პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს

ბ განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე

BG	отхвърлен кандидат за международна закрила
CS	žadatel o mezinárodní ochranu, jehož žádost byla zamítnuta
DE	abgelehnter Antragsteller auf internationalen Schutz
EL	απορριφθείς αιτών διεθνούς προστασίας
EN	rejected applicant for international protection
ES	solicitante al que se le ha denegado la protección internacional
ET	tagasilükatud rahvusvahelise kaitse taotleja
FI	kielteisen päätöksen saanut kansainvälisen suojelun hakija
FR	demandeur de protection internationale débouté
GA	iarratasóir ar diúltaíodh cosaint idirnáisiúnta dó
HU	elutasított menedékkérő
IT	richiedente protezione internazionale respinto
LT	asmuo, kuriam tarptautinė apsauga nesuteikta (EU acquis); asmuo, kuriam prieglobstis nesuteiktas
LV	persona, kurai atteikts piešķirt starptautisko aizsardzību
MT	Applikant(a) għall-protezzjoni internazzjonali respint(a) / miċħud(a)
NL	afgewezen verzoeker om internationale bescherming
PL	osoba, której wniosek o objęcie ochroną międzynarodową został odrzucony
PT	requerente a quem é recusada a proteção internacional
RO	solicitant al protecției internaționale respins / a cărui cerere a fost respinsă
SK	neúspešný žiadateľ o medzinárodnú ochranu / neúspešný žiadateľ o udelenie medzinárodnej ochrany / žiadateľ o medzinárodnú ochranu, ktorému bola žiadosť zamietnutá / žiadateľ o udelenie medzinárodnej ochrany, ktorému bola žiadosť zamietnutá
SL	zavrnjeni prosilec za mednarodno zaščito
SV	person som omfattas av beslut om avslag på ansökan om internationellt skydd
NO	person med avslag på søknad om internasjonal beskyttelse (b); person med avslag på søknad om internasjonalt vern (n)
UK	заявник, якому було відмовлено в наданні міжнародного захисту

განმარტება

პირი, რომელსაც პირველი ინსტანციის განმხილველი ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს მიერ უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე, მათ შორის, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ წარდგენილი განცხადების დაუშვებლად ცნობის გამო, ასევე, დაუსაბუთებელი განაცხადის წარდგენის ან აღნიშნული განცხადების პრიორიტეტულ ან დაჩქარებულ პროცედურაში ჩასმის გამო.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-4(2a) მუხლი

სინონიმები

- განმცხადებელი, რომლის განცხადება საერთაშორისო დაცვაზე არ დაკმაყოფილდა
- თავშესაფრის მაძიებელი, რომლის განცხადება არ დაკმაყოფილდა
- განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- **განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე**
- **თავშესაფრის მაძიებელი**

განსაკუთრებული პროცედურული გარანტიების საჭიროების მქონე განმცხადებელი

BG	кандидат, който се нуждае от специални процедурни гаранции
CS	žadatel, který potřebuje zvláštní procesní záruky
DE	Antragsteller, der besondere Verfahrensgarantien benötigt
EL	αιτών που χρήζει ειδικών διαδικαστικών εγγυήσεων
EN	applicant in need of special procedural guarantees
ES	solicitante que necesita garantías procedimentales especiales
ET	spetsiaalseid menetlustagatisi vajav taotleja
FI	hakija, joka tarvitsee erityisiä menettelyllisiä takeita
FR	demandeur nécessitant des garanties procédurales spéciales
GA	iarratasóir a bhfuil sainráthaíochtaí nós imeachta de dhíth air
HU	különleges eljárási garanciákat igénylő kérelmező
IT	richiedente protezione internazionale che necessita di garanzie procedurali particolari
LT	prašytojas, kuriam reikia specialių procesinių garantijų (EU acquis); prašytojas, kuriam reikia specialių procedūrinių garantijų
LV	pieteikuma iesniedzējs, kuram nepieciešamas īpašas procesuālās garantijas
MT	Applikant(a) bi ħtieġa / fil-bżonn ta' garanziji proċedurali speċjali
NL	verzoeker die bijzondere procedurele waarborgen behoeft
PL	wnioskodawca wymagający specjalnych gwarancji proceduralnych
PT	requerente com necessidade de garantias processuais especiais
RO	solicitant care mecesita garantii procedurale speciale
SK	žiadateľ, ktorý potrebuje osobitné procesné záruky (EU acquis)
SL	prosilec, ki potrebuje posebna postopkovna jamstva
SV	sökande i behov av särskilda förfarandegarantier
NO	søker som har behov for særskilt saksbehandlingsprosedyre (b); søkjar som treng særskild sakshandsamingsprosedyre (n)
UK	заявник, який потребує особливих процедурних гарантій

განმარტება

განმცხადებელი, რომელიც ინდივიდუალურ გარემოებათა გამო შეზღუდულად/შეფერხებით სარგებლობს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მიღების განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი**

8 განსახლება (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)

BG	презаселване
CS	přesídlení
DE	Neuansiedlung
EL	επανεγκατάσταση
EN	resettlement
ES	reasentamiento
ET	ümberasustamine
FI	uudelleensijoittaminen
FR	réinstallation
GA	athlonnú
HU	áttelepítés
IT	reinsediamento
LT	perkėlimas
LV	pārmitināšana
MT	Risistemazzjoni
NL	hervestiging
PL	przesiedlenie
PT	reinstalação
RO	relocare
SK	presídlenie / presídľovanie
SL	preselitev
SV	vidarebosättning
NO	gjenbosetting (b); gjenbusetjing (n)
UK	переселення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ლტოლვილთა შერჩევა და გადაყვანა სახელმწიფოდან, სადაც მათ მოითხოვეს დაცვა, მესამე სახელმწიფოში, რომელიც დათანხმდა მათ მიღებას მუდმივი ბინადრობის სტატუსის მქონე ლტოლვილებად.

ევროკავშირის კონტექსტში, პროცესი, რომლის ფარგლებში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) თხოვნის საფუძველზე და საერთაშორისო დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, მესამე ქვეყნის მოქალაქეები გადაჰყავთ მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მათ უფლება ეძლევათ, იცხოვრონ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე სტატუსით:

ა) ლტოლვილის სტატუსი, როგორც მას განსაზღვრავს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(e) მუხლი;

ბ) დამატებითი დაცვის სტატუსი, როგორც მას განსაზღვრავს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(g) მუხლი;

გ) ნებისმიერი სხვა სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს მსგავს უფლებებსა და შეღავათებს როგორც ევროკავშირის, ასევე წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: UNHCR-ის განსახლების სახელმძღვანელოს განმარტებითი ლექსიკონი
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N516/2014 (რეგულაცია AMIF-ის შესახებ) მე-2(a) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ (პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტა
- ★ ტრანზიტული ლტოლვილი
- ★ (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება
- ★ (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული ლტოლვილი

შენიშვნები

1. სტატუსი უზრუნველყოფს (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული ლტოლვილების და მათი ოჯახის წევრების/დამოკიდებული პირების გაძევებისგან დაცვას და მათ წვდომას ყველა უფლებაზე, რომლითაც სარგებლობენ მოქალაქეები. განსახლება ასევე ითვალისწინებს პირის მიერ განსახლების ქვეყნის მოქალაქეობის მოპოვების შესაძლებლობას ნატურალიზაციის გზით და, ამდენად, ლტოლვილთა დაცვის პარალელურად, წარმოადგენს მათთან დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტის გზას.

2. ტერმინი არ უნდა გაიგივდეს '(ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლებასთან' (relocation).

განსახლება (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში)

BG	преместване/ релокация
CS	relokace
DE	Umsiedlung (EU-acquis); Umverteilung
EL	μετεγκατάσταση
EN	relocation
ES	reubicación
ET	ümberpaigutamine
FI	sisäinen siirto
FR	relocalisation
GA	athshocrú
HU	relokáció / áthelyezés
IT	ricollocazione
LT	perkėlimas
LV	pārcelšana
MT	rilokazzjoni
NL	herplaatsing
PL	relokacja
PT	recolocação
RO	relocare
SK	premiestnenie (EU acquis); relokácia
SL	premestitev
SV	omplacering
NO	relokalisering
UK	переміщення

განმარტებები

ევროკავშირის ზოგად კონტექსტში, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციით (და ოქმით) განსაზღვრული სტატუსის მქონე ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) გათვალისწინებული დამატებითი დაცვის მიმღებ პირთა გადაყვანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან, რომელმაც მათ საერთაშორისო დაცვა მიანიჭა, ევროკავშირის მეორე წევრ სახელმწიფოში, სადაც მათ ანალოგიური დაცვა მიენიჭებათ; აგრეთვე, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა გადაყვანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან, რომელიც პასუხისმგებელია მათი განცხადების განხილვაზე, ევროკავშირის მეორე წევრ სახელმწიფოში, რომელიც განიხილავს მათ განცხადებებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ.

ევროკავშირის ფარგლებში გადაუდებელი განსახლების პროგრამის კონტექსტში, ევროკავშირის საბჭოს 2015/1601 და 2016/1754 გადაწყვეტილებებით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით განსაზღვრულ, დაცვის აშკარა საჭიროების მქონე (საერთაშორისო დაცვაზე) განმცხადებელთა გადაყვანა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან (ასევე შვეიცარიიდან ან ნორვეგიიდან), რომელიც პასუხისმგებელია მათი განცხადებების განხილვაზე, ევროკავშირის მეორე წევრ სახელმწიფოში (ასევე შვეიცარიაში ან ნორვეგიაში), სადაც განხილული იქნება მათი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ.

წყაროები

ევროკავშირის ზოგადი კონტექსტი: DG Home-ის ელექტრონული ბიბლიოთეკის განმარტებითი ლექსიკონი

ევროკავშირის ფარგლებში გადაუდებელი განსახლების პროგრამის კონტექსტი: ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება (EU) 2015/1601

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება (EU) 2016/1754

სინონიმები

- ევროკავშირის ფარგლებში განსახლება
- ევროკავშირის ფარგლებში გადაუდებელი განსახლება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **გადაუდებელი რეაგირების სისტემა**

დაკავშირებული ტერმინები

- **დამატებითი დაცვის მიმღები პირი**
- **ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე**
- **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება**

შენიშვნები

1. (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლების შესაძლებლობა არის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ურთიერთსოლიდარობის გამოხატულების მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს ხდის საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა და დაცვის მიმღებ პირთა ევროკავშირის წევრი ერთი სახელმწიფოდან მეორეში განსახლებას (აღნიშნულ პროცესში ასევე მონაწილეობენ შვეიცარია და ნორვეგია).

განსახლება (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) [გაგრძ.]

2. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) 1-ელი მუხლი მხარს უჭერს მესამე ქვეყნებიდან გადაადგილებულ პირთა მასობრივი შემოდინების შემთხვევაში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ ამ პირთა მიღების და შესაბამისი გრძელვადიანი პასუხისმგებლობების აღების კუთხით ძალისხმევის დაბალანსებას.

3. (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) გადაუდებელი განსახლების პროგრამა განხორციელდა TFEU-ს 78-ე(3) მუხლის კონტექსტში, ევროკავშირის საბჭოს 2015 და 2016 წლებში (სექტემბრის თვეებში) მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. აღნიშნული გულისხმობდა საერთაშორისო დაცვის აშკარა საჭიროების მქონე პირთა ევროკავშირის ფარგლებში დროებითი განაწილების სქემას და მიზნად ისახავდა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს სამართლიანი და დაბალანსებული მონაწილეობის უზრუნველყოფას მათ საერთო ძალისხმევაში, მიგრაციის 2015 წლის 13 მაისის ევროპული დღის წესრიგის შესაბამისად. კერძოდ, პროგრამა გამიზნული იყო „წინა ხაზზე“ მყოფ სახელმწიფოებზე (საბერძნეთი და იტალია) საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა არაპროპორციული რაოდენობის გამო შექმნილი ზეწოლის შესამსუბუქებლად. განსახლების პროგრამა გავრცელდა მხოლოდ დაცვის აშკარა საჭიროების მქონე განმცხადებლებზე, ასევე, იმ ქვეყნების მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე სტატუსის მქონე პირებზე, რომლებთან დაკავშირებითაც აღიარების საშუალო მაჩვენებელი ევროკავშირის მასშტაბით პირველ ინსტანციაში მიღებულ გადაწყვეტილებათა მიხედვით იყო 75% ან მეტი. განსახლების პროგრამა დასრულდა 2017 წლის 26 სექტემბერს.

4. ტერმინი ‘(ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება’ (relocation) არ უნდა იქნეს გაიგივებული ტერმინთან ‘(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება’ (resettlement), ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს საერთაშორისო სოლიდარობისა და პასუხისმგებლობათა განაწილების მექანიზმს და გულისხმობს UNHCR-ის თხოვნის საფუძველზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან პირის (რომელმაც აღნიშნულ სახელმწიფოს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით მიმართა) გადაყვანას მესამე ქვეყანაში, რომელმაც თანხმობა განაცხადა მის ლტოლვილად მიღებაზე და მუდმივი ბინადრობის უფლების მინიჭებაზე. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი ‘განსახლება (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)’.

განსახლების პროგრამა (მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)

BG	програма за презаселване
CS	přesídlovací program
DE	Neuansiedlungsprogramm
EL	πρόγραμμα επανεγκατάστασης
EN	resettlement programme
ES	programa de reasentamiento
ET	ümberasustamisprogramm
FI	uudelleensijoittamisohjelma
FR	programme de réinstallation
GA	clár athlonnaithe
HU	áttelepítési program
IT	programma di reinsediamento
LT	perkėlimo programa
LV	pārmitināšanas programma
MT	Programm ta' risistemazzjoni
NL	hervestigingsprogramma
PL	Program Przesiedleń
PT	programa de reinstalação
RO	program de relocare
SK	presídľovací program / program presídľovania
SL	program preselitve
SV	program för vidarebosättning
NO	gjenbosettingsprogram (b); gjenbusetjingsprogram (n)
UK	програма переселення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან (UNHCR) და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან პარტნიორობით განხორციელებული კოორდინირებული აქტივობა, რომელიც მოიცავს განსახლების საჭიროების მქონე ლტოლვილთა იდენტიფიცირებას და შესაბამის კონკრეტულ აქტივობებს, როგორიცაა ლტოლვილთა სკრინინგი, მონაცემთა დამუშავება, ევროკავშირში მათი მიღება და ინტეგრაცია.

ევროკავშირის კონტექსტში, ნებაყოფლობითი პროგრამები, რომელთა საშუალებითაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ UNHCR-ის მიერ განსახლების საჭიროების მქონე ლტოლვილებად იდენტიფიცირებულ პირთა საერთაშორისო დაცვას და მათთან დაკავშირებული პრობლემების გრძელვადიან გადაწყვეტას. აღნიშნული პროგრამები მოიცავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ განხორციელებულ კონკრეტულ აქტივობებს, მათ შორის, კერძოდ, განსახლების საჭიროებების შეფასებას და იდენტიფიცირებული პირების გადაყვანას თავიანთ სახელმწიფოებში, მათთვის უსაფრთხო სამართლებრივი სტატუსის მინიჭებისა და ეფექტური ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ლტოლვილთა ფონდის ჩამოყალიბების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილების N573/2007/EC პრეამბულის მე-18 პუნქტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება

დაკავშირებული ტერმინი

★ (პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტა

განსახლებული ლტოლვილი (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში)

BG	презаселен бежанец
CS	přesídlený uprchlík
DE	neuangesiedelter Flüchtling
EL	πρόσφυγας που επανεγκαθίσταται
EN	resettled refugee
ES	refugiado reasentado
ET	ümberasustatud pagulane
FI	uudelleensijoitettu pakolainen
FR	réfugié réinstallé
GA	dídeanaí athlonnaithe
HU	áttelepített menekült
IT	rifugiato reinsediato
LT	perkeltas pabėgėlis
LV	pārmitināts bēglis
MT	Rifuġjat(a) risistemat(a)
NL	uitgenodigde vluchteling (NL); hervestigde vluchteling (BE)
PL	przesiedlony uchodźca
PT	refugiado reinstalado
RO	refugiat relocat
SK	presídlená osoba / presídlený utečenec / presídlenec
SL	preseljeni begunec
SV	kvotflykting
NO	overføringsflyktning
UK	переселений біженець

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, UNHCR-ის მიერ იდენტიფიცირებული ლტოლვილი, რომელიც გადაყვანილია იმ ქვეყნიდან, სადაც მან მოითხოვა დაცვა, მესამე ქვეყანაში, რომელმაც განაცხადა თანხმობა ამ პირის მუდმივი ბინადრობის სტატუსის მქონე ლტოლვილად მიღებაზე.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც განსახლების შესახებ UNHCR-ის მოთხოვნით, აღნიშნული პირის საერთაშორისო დაცვის საჭიროებიდან გამომდინარე, გადაიყვანება მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, სადაც მას უფლება აქვს, იცხოვროს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე სტატუსით:

ა) ლტოლვილის სტატუსი, ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(d) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში; ან

ბ) სტატუსი, რომელიც ითვალისწინებს ევროკავშირის და მისი წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ იმავე უფლებებსა და შეღავათებს, რომლებსაც ითვალისწინებს ლტოლვილის სტატუსი.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. UNHCR-ის განსახლების სახელმძღვანელოს განმარტებითი ლექსიკონი

ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. ლტოლვილთა ფონდის შექმნის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს გადაწყვეტილების 573/2007/EC მე-3(1d) და მე-6(e) მუხლები

სინონიმები

- ევროკავშირში განსახლების პროგრამით გათვალისწინებული ლტოლვილი
- ევროკავშირში განსახლების კვოტით გათვალისწინებული ლტოლვილი
- (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული პირი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

- **ტრანზიტული ლტოლვილი**
- **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება**

შენიშვნები

1. UNHCR და ევროკავშირის სამიზნე ქვეყნის შესაბამისი უწყებები ერთობლივად წყვეტენ, თუ რომელი ლტოლვილები უნდა მიიღონ. ამ პირთა ლტოლვილის სტატუსი დგინდება UNHCR-ის მიერ და მათ მიღებაზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფო აცხადებს თანხმობას ქვეყანაში მათ შესვლამდე.

2. ზოგ შემთხვევაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ეროვნული სტრუქტურები ატარებენ დამატებით კვლევას, კვალიფიცირდება თუ არა აღნიშნული პირი ლტოლვილად.

3. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამოიყენება განსხვავებული ტერმინები განსხვავებული სამართლებრივი ცნებების არსებობის გამო. ზოგ წევრ სახელმწიფოში ლტოლვილების მიღება ხდება განსახლების ყოველწლიური პროგრამის ფარგლებში.

განსახლებული ლტოლვილი (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) [გაგრძ.]

4. ირლანდია ტერმინს 'პროგრამით გათვალისწინებული ლტოლვილი' უფრო ფართო კონტექსტში იყენებს, ვიდრე ტერმინს 'განსახლება' და ლტოლვილთა შესახებ 1996 წლის ირლანდიის კანონის 24-ე მუხლში მას შემდეგნაირად განმარტავს: „იმ კონკრეტულ პირთა ჯგუფის წარმომადგენელი, რომელთაც ხელისუფლებამ მისცა სახელმწიფოში შესვლისა და დარჩენის უფლება დროებითი დაცვის ან განსახლების მიზნით.“

განურჩეველი ძალადობა

BG	безразборно насилие
CS	svévolné násilí
DE	willkürliche Gewalt
EL	αδιακρίτως ασκούμενη βία
EN	indiscriminate violence
ES	violencia indiscriminada
ET	juhuslik vägivald
FI	mielivaltainen väkivalta
FR	violence aveugle
GA	foréigean neamh-idirdhealaitheach
HU	megkülönböztetés nélküli erőszak
IT	Violenza indiscriminata
LT	nesirenkamasis smurtas (EU acquis); beatodairiškas smurtas
LV	izplatīta vardarbība
MT	vjolenza indiskriminata
NL	willekeurig geweld
PL	przemoc na masową skalę
PT	violência indiscriminada
RO	violență generalizată
SK	všeobecné násilie / nediskriminačné násilie
SL	vsesplošno nasilje
SV	urskillningslöst våld
NO	vilkårlig vold (b); vilkårleg vald (n)
UK	невибіркове насильство

განმარტება

საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში ძალადობა, რომელიც სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს უქმნის სამოქალაქო პირის სიცოცხლეს.

წყარო

დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **სერიოზული ზიანი**

შენიშვნები

1. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15(c) მუხლით გათვალისწინებული დამატებითი დაცვის სტატუსისთვის კვალიფიცირების კონტექსტში სერიოზული ზიანის რისკის დადგენის მიზნებისთვის. განურჩეველი ძალადობა მიემართება მე-15(c) მუხლით განსაზღვრული სერიოზული ზიანის კონკრეტული სახეობის წყაროს.

2. როგორც ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) ელგაფაჯის განცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებით დაადგინა, ტერმინი 'განურჩეველი' გულისხმობს, რომ ძალადობა „შეიძლება გავრცელდეს ადამიანებზე მათი პირადი გარემოებების მიუხედავად“. სასამართლომ მიუთითა „განსაკუთრებულ გარემოებაზე“, რომლის არსებობაც საჭიროა დირექტივის მე-15(c) მუხლის ზოგადად სამოქალაქო პირებზე გასავრცელებლად. მან განმარტა, რომ აღნიშნული გულისხმობს: „მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის თანმდევი განურჩეველი ძალადობის მაღალ ხარისხს, რომელიც ქმნის საკმარის საფუძველს ვარაუდისთვის, რომ შესაბამის ქვეყანაში ან რეგიონში დაბრუნებულ სამოქალაქო პირს მხოლოდ ამ ქვეყნის ან რეგიონის ტერიტორიაზე ყოფნის გამო შეექმნება სერიოზული საფრთხის რისკი, დირექტივის მე-15(c) მუხლის შესაბამისად.“ (იხ. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU) C-465/07, „ელგაფაჯი ნიდერლანდების წინააღმდეგ“).

3. UNHCR-ის თანახმად, ტერმინი 'განურჩეველი' მოიცავს „ძალადობის აქტებს, რომლებიც კონკრეტული ობიექტის ან პირის წინააღმდეგ არ არის მიმართული, ისევე როგორც ძალადობის აქტებს, რომლებიც მიმართულია კონკრეტული ობიექტის ან პირის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ქმედებების შედეგად შეიძლება ზიანი მიადგეს სხვა პირს. (იხ. UNHCR-ის კვლევა “Safe at Last?“ („ბოლოს და ბოლოს, უსაფრთხოდ?“): ევროკავშირის შერჩეული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა და პრაქტიკა, რომლებიც ეხება თავშესაფრის მაძიებელთა განურჩეველი ძალადობისგან თავის დაღწევას).

განუხილველად დატოვებული განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ

BG	недопустима молба за международна закрила
CS	nepřípustná žádost o mezinárodní ochranu
DE	unzulässiger Antrag auf internationalen Schutz
EL	μη παραδεκτή αίτηση διεθνούς προστασίας
EN	inadmissible application for international protection
ES	solicitud de protección internacional inadmisible
ET	vastuvõetamatu rahvusvahelise kaitse taotlus
FI	kansainvälistä suojelua koskeva hakemus, jota ei oteta tutkintaan
FR	demande de protection internationale irrecevable
GA	iarratas neamh-inghlactha ar chosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelem iránti elfogadhatatlan kérelem
IT	Domanda di protezione internazionale inammissibile
LT	nepriimtinas tarptautinės apsaugos prašymas (EU acquis); nepriimtinas prašymas suteikti prieglobstį
LV	nepieņemams starptautiskās aizsardzības pieteikums
MT	applikazzjoni inaċċettabbli għall-protezzjoni internazzjonali
NL	niet-ontvankelijk verzoek om internationale bescherming
PL	niedopuszczony wniosek o ochronę międzynarodową
PT	pedido inadmíssivel de proteção internacional
RO	cerere inadmisibilă de protecție internațională
SK	neprípustná žiadosť o medzinárodnú ochranu
SL	nedopustna prošnja za mednarodno zaščito
SV	ansökan som inte kan tas upp till prövning
NO	asylsøknad som ikke skal realitetsvurderes (b); asylsøknad som ikkje skal realitetsvurderast (n)
UK	недопустима заява про надання міжнародного захисту

განმარტებები

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელისუფლებამ შეიძლება არ განიხილოს შემდეგ შემთხვევებში:

(ა) საერთაშორისო დაცვა მინიჭებულია ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ;

(ბ) ქვეყანა, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ წარმოადგენს, განმცხადებლისთვის მიიჩნევა თავშესაფრის პირველ ქვეყნად;

(გ) ქვეყანა, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ წარმოადგენს, განმცხადებლისთვის მიიჩნევა უსაფრთხო მესამე ქვეყნად;

(დ) განცხადება წარმოადგენს განმეორებით განცხადებას, რომელშიც განმცხადებელს არ წარმოუდგენია ახალი დეტალები ან ფაქტები იმის დასადასტურებლად, რომ ის აკმაყოფილებს საერთაშორისო დაცვის მიმღები პირის სტატუსის მინიჭებისთვის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) დადგენილ კრიტერიუმებს ან

(ე) განმცხადებელზე დამოკიდებულმა პირმა შეიტანა განცხადება მას შემდეგ, რაც მან, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU მე-7(2) მუხლის პუნქტის შესაბამისად, უკვე განაცხადა თანხმობა იმაზე, რომ მისი საქმე განიხილებოდა მისივე სახელით შეტანილი განცხადების ფარგლებში, ასევე, დამოკიდებული პირის მდგომარეობასთან დაკავშირებით არ არსებობს ფაქტები, რომლებიც დაასაბუთებდა ახალი განცხადების შეტანის მართებულობას.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 33-ე მუხლი

სინონიმი

★ წინასწარი გადაწყვეტილება განცხადების დაუშვებლობის შესახებ

განუხილველად დატოვებული განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ [გაგრძ.]

შენიშვნები

1. ასეთ შემთხვევებში მიიღება წინასწარი გადაწყვეტილება განცხადების დაუშვებლობის შესახებ, რაც ნიშნავს, რომ საქმე დაიხურა თავშესაფრის მოთხოვნის არსის განხილვის გარეშე.

2. თავშესაფრის სტატისტიკის წარმოებისას განუხილველად დატოვებულ განცხადებებზე მიეთითება, რომ მიღებულია წინასწარი გადაწყვეტილებები მათი დაუშვებლობის შესახებ. ამდენად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ეროვნულ დონეზე წარმოებულმა სტატისტიკამ შესაძლოა პრობლემური გახადოს სტატისტიკური მონაცემების დადარება ევროკავშირის დონეზე.

განცალკევებული ბავშვი

BG	no translation
CS	odloučené dítě
DE	alleinstehendes Kind
EL	παιδί χωρισμένο από την οικογένειά του
EN	separated child
ES	menor separado
ET	vanematest eraldatud laps
FI	huoltajasta erilleen joutunut lapsi
FR	enfant séparé
GA	páiste dealaithe
HU	kísérőjétől elválasztott gyermek
IT	minore separato
LT	atskirtas nuo tėvų vaikas
LV	bez vecāku vai aizbildņu gādības palicis bērns
MT	Tifel /Tifla mifrud(a) / separat(a)
NL	alleenstaand kind
PL	małoletni bez opieki
PT	criança separada
RO	minor neînsoțit / separat
SK	odlúčené dieťa
SL	otrok brez spremstva
SV	separerat barn
NO	enslig barn (b); einsleg barn (n)
UK	розлучена

განმარტება

18 წლამდე ასაკის ბავშვი, რომელიც იმყოფება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის გარეთ და განცალკევებულია ორივე მშობლისგან ან მასზე კანონმდებლობით ან ჩვეულებით პასუხისმგებელი პირისგან/მეურვისგან.

წყაროები

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი, N6 ზოგადი კომენტარი, 2005 წ., მე-8 მუხლი
ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): განცალკევებულ, თავშესაფრის მაძიებელ ბავშვთა კვლევა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2010 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბავშვი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი**

შენიშვნა

ბავშვი შეიძლება იყოს სრულიად მარტო ან ცხოვრობდეს ნათესავებთან ერთად. ყველა ასეთი ბავშვი არის ოჯახს დაშორებული ბავშვი და ექვემდებარება საერთაშორისო დაცვას რიგი საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტების შესაბამისად.

განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ

BG	молба за убежище
CS	žádost o azyl
DE	Asylantrag
EL	αίτηση ασύλου
EN	application for asylum
ES	solicitud de asilo
ET	varjupaigataotlus
FI	turvapaikkahakemus
FR	demande d'asile
GA	iarratas ar thearmann
HU	menedékjog iránti kérelem
IT	domanda d'asilo
LT	prašymas suteikti prieglobstį
LV	patvēruma pieteikums
MT	Talba / Applikazzjoni għall-ażil
NL	asielverzoek / asielaanvraag
PL	wniosek o azyl
PT	pedido de asilo
RO	cerere de azil
SK	žiadosť o udelenie azylu / žiadosť o azyl
SL	prošnja za azil
SV	asylansökan
NO	asylsøknad
UK	заява про надання притулку

განმარტება

უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის განცხადება, რომელიც შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც დაცვის მოთხოვნა ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) ან ლტოლვილთა შესახებ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2005/85/EC (დირექტივა თავშესაფრის პროცედურების შესახებ) მე-2(b) მუხლში მოცემული განმარტება

სინონიმები

- განცხადება თავშესაფრის შესახებ
- თავშესაფრის მოთხოვნა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივების: 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) და 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დამტკიცების შემდგომ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში ეს ტერმინი აღიქმება, როგორც 'საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ' განცხადების სინონიმი. თუმცა ირლანდია, რომელსაც არ დაუმტკიცებია ერთიანი პროცედურა, აგრძელებს ტერმინის 'განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ' გამოყენებას მხოლოდ ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის შესაბამისად დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შემთხვევაში. გერმანიაში ეს ტერმინი, მაკვალიფიცირებელი დირექტივის შესაბამისად საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენასთან ერთად, კვლავ მოიაზრებს დაცვის მოთხოვნით განცხადების წარდგენას ეროვნული კანონმდებლობის მიხედვითაც (ზოგადი კანონის მე-16(a) მუხლი).

2. ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებს გარეთ და ყოველდღიურ პრაქტიკაში ტერმინები 'განცხადება თავშესაფრის შესახებ' და 'განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ' უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე 'განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ'.

3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 24-ე ოქმის (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ) შესაბამისად (1997 წ.), ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი უნდა მიიჩნიონ უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებად თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი და პრაქტიკული მიზნის ფარგლებში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე ნებისმიერი განცხადება, როგორც წესი, არ განიხილება. თუმცა პრაქტიკაში შესაძლებელია, რომ თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსგან წარდგენილ იქნეს ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში.

განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ

BG	молба за международна закрила
CS	žádost o mezinárodní ochranu
DE	Antrag auf internationalen Schutz
EL	αίτηση για διεθνή προστασία
EN	application for international protection
ES	solicitud de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse taotlus
FI	kansainvälistä suojelua koskeva hakemus
FR	demande de protection internationale
GA	iarratas ar chosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelem iránti kérelem
IT	domanda di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašymas (EU acquis); prašymas suteikti prieglobstį
LV	starptautiskās aizsardzības pieteikums
MT	Applikazzjoni / Talba għall-protezzjoni internazzjonali
NL	verzoek om internationale bescherming
PL	wniosek o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	pedido de proteção internacional
RO	cerere de protectie internationala
SK	žiadosť o medzinárodnú ochranu (EU acquis)
SL	prošnja za mednarodno zaščito
SV	ansökan om internationellt skydd
NO	søknad om internasjonal beskyttelse (b); søknad om internasjonalt vern (n)
UK	

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიმართვა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოსთვის დაცვის თხოვნით. აღნიშნული გაიგება, როგორც ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის თხოვნა და არა რაიმე სხვა სახის დაცვის თხოვნა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) და რომლის მოთხოვნაც აღნიშნული პროცედურისგან განცალკევებით არის შესაძლებელი.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(h) მუხლი

სინონიმი

- საერთაშორისო დაცვაზე განცხადება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ
- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა
- განმეორებითი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ
- დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ
- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების გამოხმობა

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივების: 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) და 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დამტკიცების შემდეგ, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში ეს ტერმინი აღიქმება, როგორც თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ განცხადების სინონიმი.

2. ყოველდღიურ პრაქტიკაში ტერმინები 'განცხადება თავშესაფრის შესახებ' და 'განცხადება თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ' უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე 'განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ'.

3. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 24-ე ოქმის (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებისთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ) შესაბამისად (1997 წ.), ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი უნდა მიიჩნიონ უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებად თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი და პრაქტიკული მიზნის ფარგლებში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე ნებისმიერი განცხადება, როგორც წესი, არ განიხილება.

განხილვის პროცესში არსებულ საქმეთა რაოდენობა (საერთაშორისო დაცვის პროცედურების ფარგლებში)

BG	брой висящи дела
CS	množství žádostí v řízení (ve věci mezinárodní ochrany)
DE	bestehende anhängige Verfahren (bei Verfahren zur Anerkennung auf internationalen Schutz) / Bestand an anhängigen Verfahren
EL	αριθμός εκκρεμουσών υποθέσεων (κατά τη διαδικασία διεθνούς προστασίας)
EN	stock of pending cases (in procedures for international protection)
ES	stock de solicitudes pendientes de resolver (en procedimientos de protección internacional)
ET	pooleliolevate juhtumite arv (rahvusvahelise kaitse menetlustes)
FI	päätöstä odottavien (kansainvälistä suojelua koskevien) turvapaikkahakemusten määrä
FR	stock de dossiers en attente (dans les procédures d'octroi de la protection internationale)
GA	Líon na gcásanna ar feitheamh (i nósanna imeachta um chosaint idirnáisiúnta)
HU	függőben lévő ügyek száma (nemzetközi védelem megadására irányuló eljárás során)
IT	stock di casi pendenti (nelle procedure di protezione internazionale)
LT	nagrinėjamų bylų skaičius (prieglobsčio procedūroje)
LV	izskatīšanā esošo lietu skaits
MT	numru ta' każijiet pendenti (fil-proċeduri għal protezzjoni internazzjonali)
NL	voorraad van hangende zaken
PL	liczba rozpatrywanych wniosków (w procedurze udzielania ochrony miedzynarodowej)
PT	número de processos pendentes (pedidos de proteção internacional)
RO	
SK	stav prebiehajúcich konaní (o medzinárodnej ochrane) / stav žiadostí v riešení (v konaniach o medzinárodnej ochrane)
SL	zaloga nerešenih primerov (v postopkih mednarodne zaščite)
SV	ärendebalans (gällande ansökningar om internationellt skydd)
NO	restanse (ved behandling av søknader om internasjonal beskyttelse) (b); restanse (ved handsaming av søknadar om internasjonalt vern (n)
UK	кількість справ на стадії розгляду (у процедурах надання міжнародного захисту)

განმარტება

საერთაშორისო დაცვაზე ოფიციალურად შეტანილი განცხადებების რაოდენობა, რომლებზეც საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯერ არ მიუღიათ გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის პროცედურის თითოეულ სტადიაზე (პირველი ინსტანცია და საბოლოო გასაჩივრება).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
EUAA-ს ყოველწლიური ანგარიში თავშესაფრის საკითხებზე

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

დაკავშირებული ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის პროცედურა**

გარიგებით ქორწინება

BG	уреден брак
CS	dohodnutý sňatek
DE	arrangierte Ehe / arrangierte Eheschließung
EL	προσυμφωνημένος γάμος
EN	arranged marriage
ES	matrimonio arreglado / matrimonio concertado
ET	korraldatud abielu
FI	järjestetty avioliitto
FR	mariage arrangé
GA	cleamhnas
HU	n/a
IT	matrimonio combinato
LT	primestoji santuoka
LV	sarunātas laulības
MT	n/a
NL	gearrangeerd huwelijk
PL	małżeństwo aranżowane
PT	casamento arranjado
RO	căsătorie aranjată
SK	dohodnuté manželstvo
SL	dogovorjena poroka / dogovorjena zakonska zveza
SV	arrangerat äktenskap
NO	n/a
UK	шлюб за домовленістю

განმარტება

ქორწინება, რომლის დროსაც წყვილი შეირჩევა სხვა პირთა (და არა თავად მექორწინეთა) მიერ.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.
IATE-ს ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ტერ-მინი 'გარიგებით ქორწინება'

დაკავშირებული ტერმინი

★ **იძულებითი ქორწინება**

შენიშვნები

1. გარიგებით ქორწინება განსხვავდება იძულებითი ქორწინებისგან. ერთ-ერთი განსხვავება მათ შორის ისაა, რომ მექორწინე შეიძლება დაეთანხმოს ან უარყოს შეთავაზებული გარიგება. თუმცა მკაფიო განსხვავების დადგენა გარიგებით და იძულებით ქორწინებას შორის რთულია, ვინაიდან რთულია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად იყვნენ მეუღლეები ზეწოლის ქვეშ მაშინ, როდესაც განაცხადეს თანხმობა ქორწინებაზე. შესაძლოა, ერთ-ერთი (ან ორივე) მექორწინე მოჰყვეს კულტურული ნორმებით გამოწვეული გავლენის ქვეშ, რამაც შეიძლება შეზღუდოს მისი თავისუფალი ნება, უარი განაცხადოს ქორწინებაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მექორწინეც კი არ არის თანახმა ქორწინებაზე, გარიგებით ქორწინება იძენს იძულებითი ქორწინების ფორმას.

2. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): იძულებითი ქორწინების საკითხისადმი მიდგომა ევროკავშირში: სამართლებრივი დებულებები და პრაქტიკა, 2014 წ. და ევროპარლამენტი: იძულებითი ქორწინებები გენდერული პერსპექტივის ჭრილში, 2016 წ.

გ

გარკვეული სოციალური ჯგუფი

BG	определена социална група
CS	konkrétní sociální skupina
DE	bestimmte soziale Gruppe
EL	ιδιαίτερη κοινωνική ομάδα
EN	particular social group
ES	determinado grupo social
ET	teatav sotsiaalne rühm
FI	tietty yhteiskunnallinen ryhmä
FR	certain groupe social
GA	grúpa sóisialta áirithe
HU	meghatározott társadalmi csoport
IT	gruppo sociale determinato
LT	tam tikra socialinė grupė
LV	noteikta sociālā grupa
MT	grupp soċjali parikulari
NL	bepaalde sociale groep
PL	określona grupa społeczna
PT	grupo social específico
RO	anumit grup social
SK	určitá sociálna skupina
SL	določena družbena skupina
SV	särskild samhällsgrupp
NO	spesiell sosial gruppe
UK	певна соціальна група

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, იმ პირთა ჯგუფი, რომელთაც, გარდა მათი დევნის რისკისა, აქვთ საერთო მახასიათებელი, რომელიც ხშირად თანდაყოლილია, უცვლელი ან სხვაგვარად მნიშვნელოვანი იდენტობისთვის, ცნობიერებისთვის ან ადამიანის უფლებების განსახორციელებლად, ან რომლებიც საზოგადოების მიერ აღიქმებიან როგორც ჯგუფი.

ევროკავშირის კონტექსტში, ჯგუფი, რომლის წევრებს აქვთ საერთო თანდაყოლილი მახასიათებელი, ისტორია, ან საერთო ნიშან-თვისება/შეხედულება, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია პირის იდენტობისთვის ან ცნობიერებისთვის, რომ მისი შეცვლა შეუძლებელია. ასევე, ჯგუფი, რომელსაც აქვს გამოკვეთილი იდენტობა მოცემულ ქვეყანაში, ვინაიდან გარშემო მყოფი საზოგადოება მას სხვებისგან განსხვავებულად აღიქვამს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: „გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის“ განმარტება, რომელიც მოცემულია საერთაშორისო დაცვის შესახებ UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპებში ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული 1951 წლის კონვენციის 1-ელი A(2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის ფარგლებში, 2002 წ.

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-10(1d) მუხლი

სინონიმი

- გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა

დაკავშირებული ტერმინები

- **გენდერი**
- **გენდერული ნიშნით დევნა**
- **კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა**
- **ლგბ(ტი)**

შენიშვნები

1. გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა არის ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელ(A2) მუხლში ჩამოთვლილ დევნის ხუთ საფუძველთაგან ერთ-ერთი. ამ საფუძველთან დაკავშირებით არსებობს ყველაზე ნაკლები სიცხადე და ის კონვენციით განმარტებული არ არის. ჩვეულებრივ, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის საფუძველი გამოიყენება სახელმწიფოთა მიერ ქალებისთვის, ოჯახებისთვის, ტომებისთვის, პროფესიული ჯგუფებისა და ჰომოსექსუალებისთვის ლტოლვილთა სტატუსის მინიჭების მზარდ შემთხვევებში, აღნიშნული პირების გარკვეულ სოციალურ ჯგუფებად აღიარების შედეგად, კონვენციის მიზნებისთვის. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობასთან დაკავშირებული საერთაშორისო დაცვის UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები ლტოლვილის სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის და/ან მისი 1967 წლის ოქმის 1-ელი A(2) მუხლის კონტექსტში.

გარკვეული სოციალური ჯგუფი [გაგრძ.]

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) განსაზღვრული მნიშვნელობა უფრო ვიწროა UNHCR-ის მიერ განსაზღვრულ მნიშვნელობასთან შედარებით.

3. წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, გარკვეულ სოციალურ ჯგუფად შეიძლება მიჩნეულ იყოს საერთო სექსუალური ორიენტაციის მქონე პირთა ჯგუფი. ამავდროულად, სექსუალური ორიენტაცია არ უნდა იქნეს გაგებული, როგორც იმ ქმედებების შემცველი, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების კანონმდებლობით დანაშაულებრივ ქმედებებად კვალიფიცირდება. გენდერთან დაკავშირებულ ასპექტებს (როგორიცაა მაგ., გენდერული იდენტობა) სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან ასეთი ჯგუფის მახასიათებლ(ებ)ის განსაზღვრის მიზნებით.

გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობის თაობაზე

BG	интервю за допустимост
CS	pohovor o přípustnosti
DE	Anhörung im Rahmen der Zulässigkeitsprüfung
EL	συνέντευξη επί του παραδεκτού αίτησης
EN	admissibility interview
ES	n/a
ET	vastuvõetavuse vestlus
FI	tutkittavaksiottamispuhuttelu
FR	entretien sur la recevabilité (de la demande)
GA	agallamh inghlacthachta
HU	elfogadhatósági meghallgatás
IT	colloquio sull'ammissibilità
LT	pokalbis dėl priimtinumo
LV	intervija par pieteikuma pieņemamību, sākotnējā intervija
MT	n/a
NL	persoonlijk onderhoud in het kader van de ontvankelijkheidsprocedure (BE) - ontvankelijkheidsinterview (NL)
PL	n/a
PT	entrevista relativa à admissibilidade do pedido
RO	interviu privind admisibilitatea
SK	pohovor o prípustnosti
SL	razgovor o dopustnosti
SV	intervju för att avgöra om ansökan ska tas upp till prövning
NO	n/a
UK	Співбесіда щодо допустимості

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დაუშვებლობის საკითხზე წარმოებული პროცედურის ფარგლებში ან ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 33-ე მუხლით განსაზღვრულ კონკრეტულ შემთხვევებში დაწესებული ინდივიდუალური გასაუბრება, რომელიც საშუალებას აძლევს განმცხადებლებს, წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების ირგვლივ არსებული კონკრეტული გარემოებების შესახებ, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ აღნიშნული განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 33-ე და 34-ე მუხლები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **განუხილველად დატოვებული განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU 33-ე მუხლი განსაზღვრავს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების საფუძვლებს:

– დუბლინის III რეგულაციის მიხედვით, განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელია ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფო;

– დაცვა უკვე მინიჭებულია ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მიერ;

– სხვა ქვეყანა მიიჩნევა თავშესაფრის პირველ ქვეყნად ან უსაფრთხო მესამე ქვეყნად განმცხადებლისთვის;

– განცხადება წარმოადგენს განმეორებით განცხადებას, რომელშიც არ არის წარმოდგენილი ახალი გარემოებები, ან

– განმცხადებელზე დამოკიდებულმა პირმა შეიტანა ინდივიდუალური განცხადება მას შემდეგ, რაც მან უკვე განაცხადა თანხმობა მისი საქმის განხილვაზე ძირითადი განცხადების ფარგლებში.

2. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მიზანშეწონილობის დადგენისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები არ არიან ვალდებული, გამოიკვლიონ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების არსებითი ფაქტები.

გაყალბებული და ავთენტიკური დოკუმენტების ონლაინკატალოგი (FADO)

BG	Онлайн система за фалшиви и истински документи
CS	Falešné a pravé doklady online
DE	Falsche und echte Dokumente online
EL	Πλαστά και γνήσια έγγραφα online
EN	False and Authentic Documents Online (FADO)
ES	Documentos falsos y auténticos en línea
ET	Võltsitud ja ehtsad dokumendid veebis
FI	Aitojen ja väärennettyjen asiakirjojen sähköinen tietokanta (FADO)
FR	Faux documents et documents authentiques en ligne
GA	Doiciméid Bhréagacha agus Bharantúla ar Líne
HU	Hamis és Eredeti Okmányok Online Adatbázisa
IT	Documenti falsi e autentici online
LT	Klastoti ir autentiški dokumentai internete
LV	viltoti un autentiski dokumenti tiešsaistē / FADO
MT	Dokumenti Foloz u Awtentiċi Onlajn
NL	Fraudedocumenten en Authentieke Documenten Online
PL	Fałszywe i Autentyczne Dokumenty Elektroniczne
PT	documentos falsos e autênticos on-line
RO	Sistemul european de arhivare a imaginilor (FADO)
SK	Falošné a pravé doklady online
SL	Spletna stran na kateri so na voljo vzorci pristnih in ponarejenih / prenarejenih dokumentov
SV	falska och äkta handlingar online
NO	nettbasert referansedatabase for falske og ekte dokumenter
UK	Онлайн база даних зображень підроблених та справжніх документів (FADO)

განმარტება

დოკუმენტების ელექტრონული ნიმუშების ონლაინ-სისტემა (კატალოგი), რომელიც შექმნილია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ნამდვილი და გაყალბებული დოკუმენტების ნიმუშების სწრაფი გაზიარების მიზნით და ემსახურება არალეგალური მიგრაციისა და გაყალბებული დოკუმენტების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპული დოკუმენტების ნიმუშების ელექტრონული კატალოგის შექმნის შესახებ ერთობლივი აქტის 98/700/ЈНА შეჯამებული ინფორმაცია

სინონიმი

★ FADO

დაკავშირებული ტერმინი

★ **ავთენტიკური სამგზავრო და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების საჯარო ონლაინრეესტრი (PRADO)**

შენიშვნები

1. ავთენტიკური პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტების საჯარო ონლაინრეესტრი (PRADO) შეიქმნა ევროკავშირის საბჭოს ერთობლივი აქტით, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს.

2. ერთობლივი აქტის მე-2 მუხლის თანახმად, რომლის საფუძველზეც შეიქმნა სისტემა, მონაცემთა ბაზა ინტერ ალია შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) გაყალბებული დოკუმენტების გამოსახულებები;

ბ) ავთენტიკური დოკუმენტების გამოსახულებები;

გ) გაყალბების მეთოდების შესახებ შეჯამებული ინფორმაცია;

დ) უსაფრთხოების ტექნიკის შესახებ შეჯამებული ინფორმაცია.

3. ამჟამად გაყალბებული და ავთენტიკური დოკუმენტების ონლაინსისტემაზე (FADO) წვდომა აქვთ მხოლოდ FADO-ს 31 პარტნიორი ქვეყნის (ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო, ისლანდია, ნორვეგია და შვეიცარია) დოკუმენტების ექსპერტებს.

4. FADO-ს დახურულ და შეზღუდული გამოყენების სისტემაში არსებული ინფორმაციის ნაწილი საჯაროდ ხელმისაწვდომია ავთენტიკური პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტების საჯარო ონლაინრეესტრის (PRADO) ვებგვერდის საშუალებით, რომელსაც მართავს ევროკავშირის საბჭო.

გ

გაძევება (expulsion)

BG	експулсиране
CS	vyhoštění
DE	Rückführung (EU acquis) / Ausweisung (DE)
EL	απέλαση
EN	expulsion
ES	expulsión
ET	väljasaatmine
FI	maasta poistaminen (not in general use)
FR	éloignement (acquis UE, BE, FR) ; expulsion (LU)
GA	díbirt / ionnarbadh
HU	kiutasítás (when implemented with official escort: kitoloncolás)
IT	espulsione
LT	išsiuntimas
LV	piespiedu izraidīšana
MT	Espulsjoni / Tkeċċija
NL	verwijdering / uitzetting / uitwijzing
PL	wydalenie
PT	expulsão
RO	expulzare / returnare (forțată) sub escortă
SK	vyhostenie
SL	izgon / odstranitev
SV	avvisning / utvisning
NO	utvisning (b); utvising (n)
UK	видворення

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან მესამე ქვეყნის მოქალაქის გაძევება, რომელზეც ვრცელდება გაძევების შესახებ გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, იმის გამო, რომ პირი წარმოადგენს ფაქტობრივ, სერიოზულ საფრთხეს მოცემული სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სახელმწიფოში შესვლისა და ცხოვრებისთვის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესების შეუსრულებლობის გამო.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/40/EC (დირექტივა გაძევების შესახებ) მე-3(1) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გაძევება (removal)**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გადაწყვეტილება გაძევების შესახებ**

შენიშვნა

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს საზოგადოებრივი წესრიგისა და ეროვნული უსაფრთხოებისთვის სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევა შემდეგი გარემოებები:

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის დამნაშავედ ცნობა ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ისჯება მინიმუმ ერთი წლით თავისუფლების აღკვეთით;

– სერიოზული საფუძვლის არსებობა ვარაუდისთვის, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ ჩაიდინა სისხლის სამართლის მძიმე დანაშაული; ან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ამ პირის მიერ მსგავსი დანაშაულის ჩადენის განზრახვის მყარი მტკიცებულების არსებობა.

გ

გაძევება (removal)

BG	извеждане
CS	vyhoštění
DE	Abschiebung
EL	απομάκρυνση
EN	removal
ES	expulsión
ET	väljasaatmine
FI	maasta poistaminen
FR	éloignement
GA	aistriú
HU	kitoloncolás
IT	allontanamento
LT	išsiuntimas
LV	piespiedu izraidīšana
MT	Tneħħija
NL	uitzetting / verwijdering
PL	odesłanie (wyjazd)
PT	afastamento
RO	Îndepărtare de pe teritoriu / returnare
SK	odsun
SL	odstranitev
SV	avlägsnande
NO	uttransportering
UK	вилучення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, სახელმწიფოს მიერ საკუთარი სუვერენული უფლებების ფარგლებში განხორციელებული ქმედება, რომელიც გულისხმობს მისი ტერიტორიიდან უცხოელის გაძევებას სხვა ტერიტორიაზე, ქვეყანაში დაშვებაზე უარის ან ქვეყანაში ყოფნის ნებართვის შეწყვეტის შედეგად.

ევროკავშირის კონტექსტში, დაბრუნების ვალდებულების აღსრულება, კერძოდ, პირის ფიზიკური ტრანსპორტირება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოდან.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(5) მუხლი

სინონიმი

★ დეპორტაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **იძულებითი დაბრუნება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბრძანება გაძევების შესახებ**

დაკავშირებული ტერმინები

★ **გაძევება (expulsion)**

★ **გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ**

★ **ნებაყოფლობითი გამგზავრება**

შენიშვნები

1. ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, გაძევება არის იძულებითი დაბრუნების კონკრეტული ფორმა.

2. მიუხედავად იმისა, რომ 'დეპორტაცია' (deportation) და 'გაძევება' (removal) ხშირად სინონიმებად აღიქმება, 'დეპორტაცია' არ გამოიყენება როგორც სამართლებრივი ტერმინი ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში (მხოლოდ გერმანიას, ფინეთს და ირლანდიას აქვთ განმარტებული დეპორტაცია თავიანთ კანონმდებლობაში) და საჯაროდ მხოლოდ ზოგადი ცნების სახით გამოიყენება, ზოგჯერ უარყოფითი დატვირთვითაც. სწორედ ამ სხვაობის გამო უპირატესობა ენიჭება ტერმინს 'გაძევება' (removal).

3. გერმანიაში 'დეპორტაცია' და 'გაძევება' (removal) განმარტებულია კანონმდებლობაში (ბინადრობის შესახებ კანონის 57-ე და 58-ე მუხლები) და განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. ფინეთში დეპორტაცია გაძევების სინონიმია მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში, რომელიც: ცხოვრობს ქვეყანაში განსაზღვრული ვადით ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, რომელიც გაცემულია ფინეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ; ცხოვრობს ქვეყანაში და მისი ბინადრობის ადგილი დარეგისტრირებულია აღნიშნული კანონით გათვალისწინებული წესით; ან განაგრძობს ქვეყანაში ცხოვრებას მისი ბინადრობის ნებართვის, ბინადრობის ადგილის რეგისტრაციის ან ბინადრობის მოწმობის ვადის ამოწურვის შემდეგ („უცხოელთა შესახებ" ფინეთის კანონის 143-ე მუხლი).

გაძევების გადავადება

BG	временно отлагане на извеждането
CS	odklad vyhoštění
DE	einstweilige Aussetzung der Abschiebung (EU acquis); vorübergehende Aussetzung der Abschiebung / Duldung (AT, DE); Aufschub der Abschiebung (LU)
EL	αναβολή απομάκρυνσης
EN	postponement of removal
ES	aplazamiento de la expulsión
ET	väljasaatmise edasilükkamine
FI	maastapoistamisen lykkääminen
FR	report de l'éloignement
GA	an t-aistriú a chur siar
HU	befogadottkénti tartózkodás
IT	rinvio dell'allontanamento
LT	išsiuntimo atidėjimas (EU acquis); išsiuntimo vykdymo sustabdymas
LV	izraidīšanas atlikšana
MT	Posponiment ta' tneħħija
NL	uitstel van verwijdering
PL	wstrzymanie wydalenia
PT	adiamento do afastamento
RO	amânarea îndepărtării
SK	odklad odsunu (EU acquis); tolerovaný pobyt
SL	dovolitev za zadrževanje / odložitev vračanja
SV	uppskov med avlägsnande
NO	utsatt uttransportering (b); utsett uttransportering (n)
UK	відстрочка вилучення

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქის გაძევების (დროებითი) შეჩერება, რომლის მიმართ გამოტანილია გაძევების შესახებ გადაწყვეტილება, რომლის აღსრულება შეუძლებელია ჰუმანიტარული მიზეზების გამო (გაძევების შედეგად დაირღვევა არგაძევების პრინციპი ან გაძევება შეუძლებელია პირის ფიზიკური თუ გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე) ან ტექნიკური მიზეზების გამო (არ არსებობს ტრანსპორტირების შესაძლებლობა, ვერ ხდება პირის იდენტიფიცირება ან წარმოშობის ქვეყანა უარს აცხადებს მის მიღებაზე). გაძევების გადავადების პერიოდი განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-13(2) მუხლით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-9 მუხლი

სინონიმები

- გაძევების შეჩერება
- გაძევების დროებითი შეჩერება
- აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების უფლება (tolerated stay)

შენიშვნები

1. აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების სტატუსს ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს; მისი განმარტებები და მარეგულირებელი სამართლებრივი ინსტრუმენტები განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. აღნიშნული დაყოვნება ყველა შემთხვევაში გაძევების გადავადებას ნიშნავს.
2. ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში ტერმინი 'აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების უფლება' ოფიციალურად აღარ გამოიყენება და ჩანაცვლდა ტერმინით 'გაძევების გადავადება', ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში ასახვის შედეგად.
3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: დაკავების ალტერნატივები, 2014 წ.

გ

გენდერი

BG	социален пол
CS	gender
DE	soziales Geschlecht
EL	φύλο
EN	gender
ES	género
ET	sugu
FI	sukupuoli
FR	genre
GA	inscne
HU	nemi szerep
IT	genere
LT	lytis
LV	dzimums
MT	Ġeneru / Ġens / Sess
NL	gender
PL	gender, płeć społeczno-kulturowa
PT	género
RO	gen
SK	rod
SL	spol
SV	genus
NO	kjønn
UK	гендер

განმარტება

სოციალურად კონსტრუირებული მახასიათებლები, როლები, საქმიანობა, ვალდებულებები და მოთხოვნები, რომლებიც, ძირითადად, უკავშირდება მამაკაცად ან ქალად ყოფნას ამა თუ იმ საზოგადოებაში ან თემში მოცემულ დროს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვებგვერდზე არსებული ცნებები და განმარტებები

სინონიმი

★ გენდერული იდენტობა

დაკავშირებული ტერმინები

★ **ლგბ(ტი)**
★ **სქესი**
★ **სექსუალური ორიენტაცია**
★ **გარკვეული სოციალური ჯგუფი**

შენიშვნები

1. ადამიანები, რომლებსაც საკუთარი სექსუალური ორიენტაციის და/ან გენდერული იდენტობის გამო უწევთ საცხოვრებელი ადგილის დატოვება, შეიძლება დაკვალიფიცირდნენ, როგორც პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-10 მუხლი (დევნის მოტივები) ეხება გენდერთან დაკავშირებულ ასპექტებს, მათ შორის, გენდერულ იდენტობას, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის განსაზღვრის ან ამ ჯგუფის მახასიათებლის ფლობის გამოვლენის მიზნით.

2. UNHCR და EUAA იყენებენ 'გენდერული იდენტობის' შემდეგ განმარტებას: „თითოეული ადამიანის მიერ საკუთარ გენდერთან ბუნებრივი, შინაგანი და ინდივიდუალური მიმართება, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს დაბადებით მიკუთვნებულ სქესს, რაც, ასევე, გულისხმობს სხეულის პიროვნულ აღქმას (რომლის საფუძველზეც და შესაბამისი გადაწყვეტილებისამებრ, პირმა შეიძლება შეიცვალოს საკუთარი გარეგნობა და სხეულის ფუნქცია სამედიცინო, ქირურგიული ან სხვა საშუალებებით) და ასევე, გენდერის სხვაგვარად გამოხატვას, რაც მოიცავს ჩაცმის სტილს, მეტყველებას და ჟესტიკულაციას. (იხ. იურისტთა საერთაშორისო კომისია (ICJ), ჯოკიაკარტის პრინციპები – პრინციპები სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ („ჯოკიაკარტის პრინციპები"), 2007 წლის მარტი

3 გენდერული იდენტობა

BG	полова идентичност
CS	genderová identita
DE	Geschlechtsidentität
EL	ταυτότητα φύλου
EN	gender identity
ES	dentidad de género
ET	sooidentiteet/ sooline identiteet
FI	sukupuoli-identiteetti
FR	identité de genre
GA	féiniúlacht inscne
HU	nemi identitás
IT	identità di genere
LT	lytinė tapatybė
LV	dzimtes/dzimtiskā identitāte
MT	Identità tal-ġeneru
NL	genderidentiteit
PL	tożsamość płciowa
PT	identidade de género
RO	identitate de gen
SK	rodová identifikácia / rodová identita
SL	spolna identiteta
SV	könsidentitet
NO	kjønnsidentitet
UK	гендерна ідентичність

განმარტება

თითოეული ადამიანის საკუთარ გენდერთან ბუნებრივი, შინაგანი და ინდივიდუალური მიმართება, რომელიც შეიძლება შეესაბამებოდეს ან არ შეესაბამებოდეს დაბადებით მიკუთვნებულ სქესს, რაც, ასევე, გულისხმობს სხეულის პიროვნულ აღქმას (რომლის საფუძველზეც და შესაბამისი გადაწყვეტილებისამებრ, პირმა შეიძლება შეიცვალოს საკუთარი გარეგნობა და სხეულის ფუნქცია სამედიცინო, ქირურგიული ან სხვა საშუალებებით), ასევე, გენდერის სხვაგვარად გამოხატვას, რაც მოიცავს ჩაცმის სტილს, მეტყველებას და ჟესტიკულაციას.

წყარო

ჯოკიაკარტის პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის კონტექსტში, 2006 წლის მარტი

დაკავშირებული ტერმინი

★ **სექსუალური ორიენტაცია**

შენიშვნები

1. ჯოკიაკარტის პრინციპები (2006 წ.) წარმოადგენს პრინციპების ერთობლიობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან მიმართებით. 23-ე პრინციპი მოიცავს თავშესაფრის უფლებას.

2. 2017 წელს ჯოკიაკარტის პრინციპებს დაემატა ახალი პრინციპები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასთან, გენდერულ გამოხატულებასთან ან სქესობრივ მახასიათებლებთან მიმართებით; რაც, ასევე, მოიცავს სახელმწიფოს მიერ პირის დაცვის უფლებას: „ყველა ადამიანს, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა, გენდერული გამოხატულებისა თუ სექსუალური ორიენტაციისა, უფლება აქვს სახელმწიფოს მხრიდან დაცვაზე ძალადობისგან, დისკრიმინაციისგან და სხვა ზიანისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფო ორგანოს, ინდივიდის ან ჯგუფის ქმედებით.“ მეტი ინფორმაციისთვის იხ. ჯოკიაკარტის პრინციპები პლუს 10 (YP+10), 2017 წ.

3. გენდერული იდენტობა შეიძლება იყოს დაცვის მინიჭების საფუძველი ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციისა (და ოქმის) და საერთაშორისო დაცვის მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით.

4. დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-10 მუხლი ექსპლიციტურად აღნიშნავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, როგორც დევნის შესაძლო საფუძვლებს. ორივე ასპექტს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება დევნის სამიზნე გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების განსაზღვრისას.

5. დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-18(3) მუხლის მიხედვით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მიმღებ დაწესებულებებში (განთავსების ცენტრებში) მყოფ პირთა გენდერული მახასიათებლები და მოწყვლად პირთა (როგორიცაა ლგბტ(ი) პირები) სპეციფიკური საჭიროებები. დამატებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა მიღების პერიოდში თავიდან იქნეს აცილებული ფიზიკური შეურაცხყოფა და კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა, სექსუალური ძალადობის და შევიწროების ჩათვლით.

გენდერული ნიშნით დევნა

BG	преследване, основано на пола
CS	pronásledování na základě genderové příslušnosti
DE	Verfolgung aufgrund des Geschlechts / geschlechtsspezifische Verfolgung
EL	δίωξη λόγω φύλου
EN	gender-based persecution
ES	Persecución por razón de género
ET	sooline tagakiusamine
FI	sukupuolistunut väkivalta / sukupuoliperusteinen väkivalta
FR	persécution fondée sur le genre
GA	géarleanúint ar bhonn inscne
HU	nemi hovatartozáson alapuló üldöztetés
IT	persecuzione di genere
LT	persekiojimas lyties pagrindu
LV	dzimumspecifiska vajāšana
MT	Persekuzzjoni marbuta mal-ġeneru
NL	gendergerelateerde vervolging
PL	prześladowanie ze względu na płeć
PT	perseguição com base no género
RO	persecuție pe bază de gen
SK	prenasledovanie z dôvodu rodovej príslušnosti
SL	preganjanje na podlagi spola
SV	könsrelaterad förföljelse
NO	kjønnsbasert forfolgelse (b); kjønnsbasert forfølging (n)
UK	переслідування за гендерною ознакою

განმარტება

დევნა, რომელიც მიმართულია ან არაპროპორციულ გავლენას ახდენს კონკრეტული გენდერის მქონე პირზე.

წყაროები

Crawley, Heaven: Gender-Related Persecution and Women's Claims to Asylum (ჰევენ ქროლი, „გენდერთან დაკავშირებული დევნა და ქალთა მიერ თავშესაფრის მოთხოვნა“)

და UNHCR: საერთაშორისო დაცვა - სახელმძღვანელო პრინციპები: გენდერული ნიშნით დევნის ცნება ლტოლვილთა შესახებ ჟენევის 1951 წლის კონვენციის 1-ელი (A2) მუხლის და/ან მისი 1967 წლის ოქმის ფარგლებში, 2002 წლის მაისი

სინონიმები

- გენდერთან დაკავშირებული დევნა
- კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული დევნა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა

დაკავშირებული ტერმინები

- ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება
- გენდერი
- გარკვეული სოციალური ჯგუფი

შენიშვნები

1. ტერმინს 'გენდერული ნიშნით დევნა' პირდაპირი სამართლებრივი დეფინიცია არ აქვს. ის ფარავს თავშესაფრის მოთხოვნის შესახებ გაკეთებულ განსხვავებულ განაცხადებს, რომელთა შემთხვევაში გენდერის შეფასება მნიშვნელოვანია სტატუსის დასადგენად. ჩვეულებრივ, გენდერული ნიშნით დევნა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) სექსუალური ძალადობის აქტებს, ოჯახურ ძალადობას, ოჯახის იძულებით დაგეგმვას, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას და სხვა ზიანისშემცველ ტრადიციულ ადათ-წესს, დამკვიდრებული სოციალური ნორმებისგან გადახვევის გამო პირის დასჯას და სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციას. გენდერთან დაკავშირებული განაცხადები უმეტესად ქალების მიერ კეთდება, თუმცა მათი შეტანა შეუძლიათ როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს.

2. მიუხედავად იმისა, რომ გენდერი არ წარმოადგენს პირის ლტოლვილად აღიარებისა და მისი დაცვის უზრუნველყოფისთვის სპეციფიკურად განსაზღვრულ საფუძველს, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მას შეუძლია გავლენა მოახდინოს ან წაახალისოს დევნის მიზეზები, ამდენად, ლტოლვილთა შესახებ კონვენციის განმარტებაში დამატებითი საფუძვლის შეტანა საჭიროებას არ წარმოადგენს. კონვენციაში მოცემული დევნის თითოეული საფუძვლის (რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა ან პოლიტიკური შეხედულება) განმარტებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გენდერის საკითხიც, თუმცა გენდერული ნიშნით დევნა, როგორც წესი, განიმარტება გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის საფუძველზე დევნის კონტექსტში.

გენოციდი

BG	геноцид
CS	genocida
DE	Völkermord
EL	γενοκτονία
EN	genocide
ES	genocidio
ET	genotsiid
FI	kansanmurha / joukkotuhonta
FR	génocide
GA	cinedhíothú
HU	népirtás
IT	genocidio
LT	genocidas
LV	genocīds
MT	Ġenoċidju
NL	genocide / volkerenmoord
PL	ludobójstwo
PT	genocídio
RO	genocid
SK	genocída
SL	genocid
SV	folkmord
NO	folkemord
UK	геноцид

განმარტება

ქმედება, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის სრულად ან ნაწილობრივ განადგურების განზრახვით.

წყარო

გენოციდის დანაშაულის აღკვეთისა და დასჯის შესახებ გაეროს 1948 წლის კონვენციის მე-2 მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ**
- ★ **ეთნიკური წმენდა**

შენიშვნები

1. კონვენციის თანახმად, აღნიშნული ქმედებები მოიცავს შემდეგს:
(ა) ჯგუფის წევრთა მკვლელობა;
(ბ) ჯგუფის წევრთათვის სერიოზული ფიზიკური ან ფსიქიკური ზიანის მიყენება;
(გ) ცხოვრების იმგვარი პირობების მიზანმიმართულად შექმნა, რომლებიც გათვლილია ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების პირას მიყვანაზე;
(დ) ზომების გატარება, რომლებიც მიზნად ისახავს შობადობისთვის ხელის შეშლას;
(ე) ერთი კონკრეტული თემის წარმომადგენელი ბავშვების იძულებით გაყვანა სხვა თემში.
2. ეს განმარტება ასევე მოცემულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-6 მუხლში.

გ გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)

BG	Глобален подход към миграцията и мобилността
CS	Globální přístup k migraci a mobilitě
DE	Gesamtansatz für Migration und Mobilität
EL	Σφαιρική Προσέγγιση της Μετανάστευσης και της Κινητικότητας
EN	Global Approach to Migration and Mobility (GAMM)
ES	Enfoque Global de la Migración
ET	globaalne lähenemine rändele ja rahvastiku liikuvusele
FI	maahanmuuttoa koskeva kokonaisvaltainen lähestymistapa
FR	approche globale de la question des migrations et de la mobilité
GA	Cur Chuige Domhanda i leith Imirce agus Soghluaisteachta
HU	a migráció és mobilitás átfogó globális megközelítése
IT	Approccio globale in materia di migrazione e mobilità
LT	Visuotinis požiūris į migraciją ir mobilumą
LV	vispārēja pieeja migrācijai un mobilitātei
MT	Approċċ Globali għall-Migrazzjoni u l-Mobilità
NL	totaalaanpak van migratie en mobiliteit
PL	Globalne Podejście do Migracji i Mobilności
PT	Abordagem Global da Migração e Mobilidade
RO	Abordarea Globală a migrației și Mobilitate
SK	Globálny prístup k migrácii a mobilite / GPMM
SL	Globalni pristop k migraciji in mobilnosti
SV	Övergripande strategi för migration och rörlighet / GAMM
NO	global tilnærming til migrasjon og mobilitet
UK	Глобальний підхід до міграції та мобільності (GAMM)

განმარტება

ევროკავშირის საგარეო მიგრაციული პოლიტიკის ყოვლისმომცველი ჩარჩო, რომელიც ემყარება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან ჭეშმარიტ პარტნიორობას და გამიზნულია მიგრაციასა და მობილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობისთვის კომპლექსური და დაბალანსებული მიდგომით.

წყარო

კომუნიკე მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ, COM(2011) 743 საბოლოო რედაქცია

სინონიმები

- GAMM
- გლობალური მიდგომა მიგრაციისადმი
- GAM

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- მიგრაციის პროფილი
- მიგრაციის მარშრუტების ინიციატივა

დაკავშირებული ტერმინები

- აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი
- აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობა მიგრაციის, მობილობისა და დასაქმების სფეროებში
- აზია-ევროპის დიალოგი (ASEM)
- ბალის პროცესი
- ბუდაპეშტის პროცესი
- კოტონუს შეთანხმება
- დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის თაობაზე

შენიშვნები

1. მიგრაციისადმი გლობალურმა მიდგომამ (GAM), რომელიც ევროპული საბჭოს მიერ თავდაპირველად 2005 წლის დეკემბერში განისაზღვრა (COM(2007) 247) და შემდგომ 2007-2008 წლებში განვითარდა, საფუძველი ჩაუყარა მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობას მესამე ქვეყნებთან. 2009 წელს მიღებული სტოკჰოლმის პროგრამა ასევე ადასტურებს მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის (GAM) კონსოლიდაციის, გაძლიერებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის მნიშვნელობას.

2. მიდგომა გულისხმობს მიგრაციის კომპლექსურ დღის წესრიგზე მუშაობას, რომელიც მოიცავს ლეგალურ და კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციას, ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლას, ლტოლვილთა დაცვის გაძლიერებას, მიგრანტთა უფლებების განმტკიცებასა და მიგრაციასა და განვითარებას შორის არსებული დადებითი კავშირების გამოყენებას.

გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM) [გაგრძ.]

3. 2011 წელს განხორციელდა გლობალური მიდგომის შეფასება, რომლის საფუძველზე ევროკომისიამ ხაზი გაუსვა მიგრაციის საგარეო პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით 2011 წლის ნოემბერში შეიმუშავა კომუნიკე მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ (COM (2011) 743 საბოლოო რედაქცია). განახლებული GAMM მიმართულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახლებური მიდგომებით ამოქმედებისკენ და ფოკუსირებულია შემდეგ ოთხ პრიორიტეტზე: ლეგალური მიგრაციისა და მობილობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება ეფექტური და, ამავდროულად, ჰუმანური გზებით, მიგრაციასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის გამყარება და საერთაშორისო დაცვის სისტემებისა და თავშესაფრის გარე განზომილების გაძლიერება.

გრძელვადიანი ვიზა

BG	виза за дългосрочно пребиваване
CS	dlouhodobé vízum
DE	Visum für den längerfristigen Aufenthalt (EU acquis); Langzeit-Visum
EL	θεώρηση εισόδου για διαμονή μακράς διαρκείας
EN	long-stay visa
ES	visado para estancia de larga duración
ET	pikaajaline viisa
FI	pitkäaikainen viisumi
FR	visa de long séjour
GA	víosa fadchuairte
HU	hosszú távú tartózkodásra jogosító vízum
IT	visto per soggiorno di lunga durata
LT	ilgalaikė viza
LV	ilgtermiņa vīza
MT	Viża ghal żjara / miġja / waqfa fit-tul
NL	visum voor verblijf van langere duur
PL	wiza długoterminowa
PT	visto de longa duração
RO	viză de lungă ședere
SK	dlhodobé vízum
SL	vizum za dolgoročno bivanje
SV	visering för längre vistelse
NO	oppholdstillatelse (b); opphaldsløyve (n)
UK	довгострокова віза

განმარტება

ევროკავშირის ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს მიერ ეროვნული ან ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ნებართვა ან გადაწყვეტილება, რომელიც აუცილებელია ევროკავშირის ამ წევრ სახელმწიფოში სამ თვეზე მეტი ვადით ყოფნის მიზნით შესვლისთვის.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(m) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ვიზა

დაკავშირებული ტერმინები

★ აეროპორტის სატრანზიტო ვიზა

★ მოკლევადიანი ვიზა

გრძელვადიანი მიგრანტი

BG	дългосрочен мигрант
CS	dlouhodobý migrant
DE	langfristig aufhältiger Migrant / Langzeit-Migrant
EL	μετανάστης επί μακρόν διαμένων
EN	long-term migrant
ES	persona migrante de carácter permanente
ET	pikaajaliselt riigis viibiv sisserändaja
FI	pitkään oleskellut maahanmuuttaja
FR	migrant de longue durée
GA	imirceach fadtéarmach
HU	huzamos tartózkodási engedéllyel rendelkező személy
IT	migrante di lungo periodo
LT	ilgalaikis migrantas
LV	ilgtermiņa migrants
MT	Migrant(a) fit-tul / għal żmien twil
NL	langverblijvende migrant / langdurig migrant
PL	migrant długookresowy
PT	migrante de longa duração
RO	migrant pe termen lung
SK	dlhodobý migrant
SL	migrant za daljše obdobje
SV	långtidsmigrant
NO	migrant med langvarig opphold (b); migrant med langvarig opphald (n)
UK	довгостроковий мігрант

განმარტება

პირი, რომელიც ტოვებს მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას სხვა ქვეყანაში დასახლების მიზნით სულ მცირე ერთი წლით (12 თვით), ისე რომ დანიშნულების ქვეყანა მისი ახალი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა ხდება.

წყარო

OECD-ს სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

★ სინონიმი 1

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **გრძელვადიანი მიგრაცია**

★ **მოკლევადიანი მიგრანტი**

გრძელვადიანი მიგრაცია

BG	дългосрочна миграция
CS	dlouhodobá migrace
DE	langfristige Migration / Langzeit-Migration
EL	μακροχρόνια μετανάστευση
EN	long-term migration
ES	migración de larga duración
ET	pikaajaline sisseränne
FI	pitkäaikainen maahanmuutto
FR	migration de longue durée
GA	imirce fhadtéarmach
HU	huzamos idejű tartózkodási céllal történő migráció
IT	migrazione di lungo periodo
LT	ilgalaikė migracija
LV	ilgtermiņa migrācija
MT	Migrazzjoni fit-tul
NL	langetermijnmigratie
PL	migracja długookresowa
PT	migração de longa duração
RO	migrație pe termen lung
SK	dlhodobá migrácia
SL	migracija za daljše obdobje
SV	långtidsmigration
NO	langtidsmigrasjon
UK	довгострокова міграція

განმარტება

გადაადგილება, როდესაც პირები იცვლიან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას სულ მცირე ერთი წლით, ისე რომ დანიშნულების ქვეყანა, ფაქტობრივად, მათი ახალი მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა ხდება.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.
საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები
OECD-ს სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

★ მუდმივი მიგრაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **გრძელვადიანი მიგრანტი**
★ **მოკლევადიანი მიგრაცია**
★ **დროებითი მიგრაცია**

შენიშვნა

‘გრძელვადიანი მიგრაცია’ და ‘მუდმივი მიგრაცია’ ხშირად კვაზისინონიმებად აღიქმება. OECD ‘მუდმივ მიგრაციას’ განმარტავს, როგორც „მიგრაციას, რომლის მიზანი ან შედეგი დანიშნულების ქვეყანაში მუდმივად დასახლებაა.“

გრძელვადიანი მობილობა

BG	дългосрочна мобилност
CS	dlouhodobá mobilita
DE	langfristige Mobilität
EL	μακροχρόνια κινητικότητα
EN	long-term mobility
ES	movilidad de larga duración
ET	pikaajaline liikuvus
FI	pitkäaikainen liikkuvuus
FR	mobilité de longue durée
GA	soghluaisteacht fhadtéarmach
HU	hosszú távú mobilitás
IT	mobilità di lunga durata
LT	Ilgalaikis judumas
LV	ilgtermiņa mobilitāte
MT	Mobilità għal żmien twil
NL	langetermijnmobiliteit
PL	długoterminowawa mobilność
PT	mobilidade de longa duração
RO	mobilitate pe termen lung
SK	dlhodobá mobilita
SL	dolgoročna mobilnost
SV	rörlighet för längre vistelse
NO	langvarig flytting
UK	

განმარტება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქის მოქმედება, რომელსაც უკვე აქვს ნებართვა, იმყოფებოდეს ევროკავშირის ერთ წევრ სახელმწიფოში კვლევის ან სწავლის მიზნით და რომელიც ევროკავშირის ერთ ან რამდენიმე სხვა წევრ სახელმწიფოში ყოვნდება 180 დღეზე მეტი ხნით (თითოეულ წევრ სახელმწიფოში), რათა აწარმოოს კვლევა კვლევით ორგანიზაციაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 29-ე მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **მოკლევადიანი მობილობა**

გრძელვადიანი მობინადრე/მცხოვრები

BG	дългосрочно пребиваващ
CS	dlouhodobě pobývající rezident
DE	langfristig Aufenthaltsberechtigter
EL	επί μακρών διαμένων
EN	long-term resident
ES	residente de larga duración
ET	pikaajaline elanik
FI	pitkään oleskellut
FR	résident de longue durée
GA	cónaitheoir fadtéarmach
HU	huzamos tartózkodás jogával rendelkező személy
IT	soggiornante di lungo periodo
LT	ilgalaikis gyventojas
LV	pastāvīgais iedzīvotājs
MT	Migrazzjoni fit-tul
NL	langdurig ingezeten onderdaan van een derde land / langdurig ingezetene
PL	rezydent długoterminowy
PT	residente de longa duração
RO	rezident pe termen lung
SK	osoba s dlhodobým pobytom
SL	rezident za daljše obdobje
SV	varaktigt bosatt
NO	person med permanent oppholdtillatelse (b); person med permanent opphaldsløyve (n)
UK	довгостроковий резидент

განმარტება

ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც აქვს ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლებით გათვალისწინებული გრძელვადიანი მობინადრის სტატუსი.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-2(b) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **ბინადრობის უფლება**

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიანიჭონ გრძელვადიანი მობინადრის სტატუსი პირს, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში უწყვეტად, კანონიერი საფუძვლით იცხოვრა ქვეყანაში. ამავდროულად, სტატუსის მინიჭებისას მხედველობაში მიიღება სტაბილური და რეგულარული შემოსავლის წყარო, ჯანმრთელობის დაზღვევა და, ევროკავშირის მოცემული წევრი სახელმწიფოს თხოვნის შემთხვევაში, ინტეგრაციის პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. ასევე, განმცხადებელი არ უნდა წარმოადგენდეს საფრთხეს საზოგადოებრივი წესრიგისა და პოლიტიკისთვის.

2. 2011 წლის 11 მაისის დირექტივით 2011/51/EU ცვლილებები შევიდა დირექტივაში 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მისი მოქმედების საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირებზე გავრცელების მიზნით.

3. საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები ქვედა ზღვრად განსაზღვრავს დაგეგმილი ბინადრობის ერთ წელს.

დაბადების ქვეყანა

BG	страна на раждане
CS	země narození
DE	Geburtsland
EL	χώρα γέννησης
EN	country of birth
ES	país de nacimiento
ET	sünniriik
FI	syntymämaa
FR	pays de naissance
GA	tír bhreithe
HU	születés helye szerinti ország
IT	paese di nascita
LT	šalis, kurioje gimė (EU acquis); gimimo valstybė
LV	dzimšanas valsts
MT	Art (L-) tat twelid
NL	geboorteland
PL	kraj urodzenia
PT	país de nascimento
RO	țara de naştere
SK	krajina narodenia
SL	država rojstva
SV	födelseland
NO	fødeland
UK	країна народження

განმარტება

პირის დაბადების მომენტისთვის დედის ბინადრობის ქვეყანა (თავისი არსებული საზღვრებით, თუ ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომია) ან, ასეთის არარსებობის შემთხვევაში, ქვეყანა (თავისი არსებული საზღვრებით, თუ ინფორმაცია ამის შესახებ ხელმისაწვდომია), რომელშიც პირი დაიბადა.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(e) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- **მოქალაქეობის ქვეყანა**
- **წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**

დაბრუნება

BG	връщане
CS	návrat
DE	Rückkehr
EL	επιστροφή
EN	return
ES	retorno
ET	tagasipöördumine
FI	paluu(muutto), (pakko)palauttaminen
FR	retour
GA	filleadh
HU	hazatérés / visszatérés
IT	ritorno / rimpatrio
LT	grąžinimas
LV	atgriešana (EU acquis); izraidīšana
MT	Ritorn / Tluq lura
NL	terugkeer
PL	powrót
PT	retorno
RO	returnare
SK	návrat
SL	vrnitev
SV	återvändande
NO	retur
UK	повернення

განმარტება

პირის გადაადგილება, რომელიც ნებაყოფლობით თუ იძულებით, ხელშეწყობით თუ სპონტანურად, ბრუნდება მიმღები ქვეყნიდან მოქალაქეობის ან მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანაში მიმღებ ქვეყანაში დროის მნიშვნელოვანი პერიოდის გატარების შემდეგ.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ დაბრუნებითი მიგრაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **იძულებითი დაბრუნება**
★ **ნებაყოფლობითი გამგზავრება**
★ **ნებაყოფლობითი დაბრუნება**

დაკავშირებული ტერმინები

★ **რეადმისია**
★ **რეინტეგრაცია**
★ **დასაბრუნებელი პირი**

შენიშვნები

1. IOM-ის განმარტება მოიცავს მიგრანტთა დაბრუნების ყველა კატეგორიას: ქვეყნის ტერიტორიულ საზღვრებში დაბრუნებას, რომელიც გულისხმობს (ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირებისა და დემობილიზებული სამხედრო მოსამსახურეების დაბრუნებას; მიმღები ქვეყნიდან (სატრანზიტო ან დანიშნულების ქვეყნიდან) წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნებას, რაც ასევე მოიცავს ქვეყანაში ლეგალურად მცხოვრებ სხვადასხვა კატეგორიის პირთა დაბრუნებას, როგორებიც არიან შრომითი მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები და კვალიფიციური თანამემამულეები, ასევე, დაბრუნების გზას - ნებაყოფლობითს, იძულებითს, ხელშეწყობით განხორციელებულს თუ სპონტანურს. განმარტება არ მოიცავს ქვეყანაში სამ თვეზე ნაკლები ვადით ყოფნას (მაგ., შვებულების მიზნით განხორციელებული ან საქმიანი ვიზიტები, რომელთა ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, არ აღემატება სამ თვეს).

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(3) მუხლში მოყვანილი ტერმინი 'დაბრუნება' აღნიშნავს პირის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ განხორციელებულ ქმედებას. ამ ლექსიკონში დირექტივით განსაზღვრული 'დაბრუნების' მნიშვნელობით მოცემულია ტერმინი 'იძულებითი დაბრუნება'.

დაბრუნების ოპერაცია

BG	операция по връщане
CS	návratová operace
DE	Rückkehraktion
EL	επιχείρηση επαναπατρισμού
EN	return operation
ES	Operación de retorno
ET	tagasisaatmisoperatsioon
FI	palauttamisoperaatio
FR	opération de retour
GA	Oibríocht um fhilleadh
HU	visszaküldési művelet
IT	operazione di rimpatrio
LT	grąžinimo operacija
LV	atgriešanas operācija (EU acquis) / izraidīšanas operācija
MT	Operazzjoni ta' ritorn
NL	terugkeeroperatie
PL	
PT	Operação de regresso
RO	operațiune de returnare
SK	návratová operácia
SL	operacija vračanja
SV	återvändandeinsats
NO	Returoperasjon
UK	операція з повернення

განმარტება

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) კოორდინირებით განხორციელებული ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაძლიერებული ტექნიკური შესაძლებლობებით ჩატარებულ ღონისძიებებს ევროკავშირის ერთი ან მეტი სახელმწიფოდან პირთა (იძულებით ან ნებაყოფლობით) დასაბრუნებლად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) მე-2(14) მუხლი

სინონიმი

★ ერთობლივი დაბრუნების ოპერაცია

დაკავშირებული ტერმინები

★ **იძულებითი დაბრუნება**

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნება**

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა, ასევე, შვეიცარია და ნორვეგია, დაბრუნების ოპერაციებს ინდივიდუალურად, ეროვნულ დონეზე ატარებს. ასევე, შესაძლებელია ორმა ან მეტმა ქვეყანამ ერთობლივი დაბრუნების ოპერაცია ჩაატაროს.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) 28-ე მუხლის შესაბამისად, Frontex უზრუნველყოფს საჭირო დახმარებას და, ევროკავშირის ერთი ან რამდენიმე მონაწილე ქვეყნის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, უზრუნველყოფს ერთობლივი დაბრუნების ოპერაციების კოორდინაციას ან ორგანიზებას, მათ შორის, თვითმფრინავის ჩარტერით დაქირავების გზით.

დაბრუნების პროცესში ოპერაციული ჩარევა

BG	намеса във връщането
CS	návratová intervence
DE	Rückkehreinsatz
EL	επέμβαση επιστροφής
EN	return intervention
ES	Intervención de retorno
ET	tagasisaatmisega seotud sekkumine
FI	palauttamisinterventio
FR	intervention en matière de retour
GA	Idirghabháil um fhilleadh
HU	visszaküldési intervenció
IT	intervento di rimpatrio
LT	grąžinimo pagalba
LV	atgriešanas nodrošināšanas operācija
MT	Intervent għal operazzjoni ta' ritorn
NL	terugkeerinterventie
PL	
PT	intervenção de regresso
RO	intervenție pentru returnare
SK	návratová intervencia
SL	posredovanje na področju vračanja
SV	återvändandeintervention
NO	Støtte til gjennomføring av retur (b); Stønad til å gjennomføre retur (n)
UK	втручання в повернення

განმარტება

ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) საქმიანობა, რომელიც გულისხმობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გაძლიერებულ ტექნიკურ და ოპერაციულ მხარდაჭერას, დაბრუნების პროცესში ჩარევის განმახორციელებელი ჯგუფების განთავსებისა და დაბრუნების ოპერაციების ორგანიზების გზით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) მე-2(15) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გაძევება (removal)**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საზღვარზე ჩარევის ოპერაციული ჯგუფი (RABIT)**

დაკავშირებული ტერმინი

★ **დაბრუნების ოპერაცია**

შენიშვნა

დაბრუნების ოპერაციებისგან განსხვავებით, Frontex-მა შეიძლება უზრუნველყოს (სწრაფი) ჩარევა დაბრუნების პროცესში იმ გარემოებებში, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფო დგას კონკრეტული და არაპროპორციული გამოწვევის წინაშე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაბრუნების ვალდებულების აღსრულებასთან დაკავშირებით და შესაბამისი თხოვნით მიმართავს ევროკავშირს. აღნიშნული ჩარევა ხორციელდება ოპერაციული გეგმის შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავებს Frontex-ის აღმასრულებელი დირექტორი ევროკავშირის მიმღებ წევრ სახელმწიფოსთან და პროცესში ჩართულ წევრ სახელმწიფოებთან შეთანხმებით; ოპერაცია სრულად ან ნაწილობრივ ფინანსდება Frontex-ის მიერ. (იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) 33-ე მუხლი)

დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EUR-LO)

BG	европейски служител за връзка по въпросите на връщането
CS	Evropský styčný důstojník pro návraty
DE	Europäischer Verbindungsbeamter für Rückkehrfragen
EL	Αξιωματικός σύνδεσμος της ΕΕ για τις επιστροφές
EN	European return liaison officer (EUR-LO)
ES	Funcionario de enlace europeo para el Retorno
ET	Euroopa tagasisaatmise sideohvitser
FI	Euroopan palauttamisasioiden yhteyshenkilö
FR	officier de liaison “retour” européen
GA	Próiseas Bali
HU	Európai visszatérési összekötőtiszt
IT	Funzionario europeo incaricato del rimpatrio
LT	Europos grąžinimo ryšių palaikymo pareigūnas
LV	Eiropas atgriešanas sadarbības koordinators
MT	Uffiċjal (L-) tal-Kollegament Ewropew għar-Ritorn (UKER)
NL	Europees verbindingsfunctionaris voor terugkeer / Europees verbindingsambtenaar voor terugkeer
PL	Europejski oficer łącznikowy ds. powrotów
PT	agente de ligação para o regresso
RO	ofițer european de legătură pentru returnare
SK	Európsky styčný dôstojník pre návraty
SL	evropski uradnik za zvezo za vračanje
SV	Europeisk sambandsman för återvändande
NO	Europeisk sambandsmann for retur
UK	Європейський співробітник зі зв’язку з питань повернення (EUR-LO)

განმარტება

სპეციალიზებული მეკავშირე ოფიცერი, რომელიც მივლენილია მესამე ქვეყნებში იმისათვის, რომ დაბრუნების საკითხებში წარმოადგინოს ევროკავშირის ინტერესები, რაც გულისხმობს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მესამე ქვეყნების მოქალაქეთა იდენტიფიცირების, დაბრუნების მხრივ შესაძლებლობათა გაზრდისა და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) ხელმძღვანელობით ერთობლივი დაბუნების ოპერაციების ორგანიზების მხარდაჭერას, აგრეთვე ქვეყანაში ჩასვლის შემდგომ დახმარებას და რეინტეგრაციის ხელშეწყობას.

წყაროები

წინადადება იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების ევროპული ქსელის შექმნასთან დაკავშირებით განახლებული რეგულაციის შესახებ (COM(2018) 303 საბოლოო რედაქცია)

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი: იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელის შექმნის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) 377/2004 შეფასება (SWD(2018)197 საბოლოო რედაქცია)

სინონიმი

- EUR-LO

დაკავშირებული ტერმინები

- **იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერი (ILO)**
- **მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EMLO)**

შენიშვნები

1. დაბრუნების კონტექსტში იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების გაზრდილ ვალდებულებებზე საპასუხოდ 2013 წელს თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის (AMIF) სპეციალური ქმედებების ფარგლებში შეიქმნა დაბრუნების საკითხებში მეკავშირე ოფიცერთა ქსელი. ქსელის მიზნებს წარმოადგენს ერთობლივი დაბრუნების ოპერაციების რაოდენობის გაზრდა და ინტეგრირებული ოპერატიული თანამშრომლობის გაძლიერება EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოებს, ევროკომისიას, მესამე ქვეყნების პარტნიორ უწყებებს, Frontex-ს და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცრები (EUR-LO) მივლენილი არიან დიპლომატიურ მისიებში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, შვეიცარიასა და ნორვეგიაში.

2. ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N377/2004 (რეგულიაცია ILO-ს შესახებ) საფუძველზე შეიქმნა სპეციალიზებული ოფიცრების სამსახურები, განსხვავებული ამოცანების შესასრულებლად. ესენია: დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცრები (EURLO), მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცრები (EMLO) და ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს მეკავშირე ოფიცრები.

3. 2016 წელს ევროკომისიამ ჩაატარა იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების შესახებ 2004 წლის რეგუ-

დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EUR-LO) [გაგრძ.]

ლაციის შეფასება, რაც მიზნად ისახავდა თანამშრომლობის გაუმჯობესებას იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრებს, მათ შორის, მესამე ქვეყნებში მივლენილ, ევროკომისიისა და ევროკავშირის სააგენტოთა ოფიცრებს შორის, არალეგალური მიგრაციის პრევენციისა და აღკვეთის კუთხით ევროკავშირის პრიორიტეტებზე ეფექტურად საპასუხოდ და ევროკავშირში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მესამე ქვეყნების მოქალაქეების დაბრუნებისა და ლეგალური მიგრაციის მართვის ხელშესაწყობად.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების ქსელის შექმნის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N377/2004 შეფასება: საბოლოო ანგარიში, 2018 წ. ბრიფინგი ევროპარლამენტისთვის: იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების ქსელის შესახებ რეგულაციის (EC) N377/2004 გადასინჯვა.

დაბრუნების ქვეყანა

BG	страна на връщане
CS	země návratu
DE	Rückkehrland
EL	χώρα επιστροφής
EN	country of return
ES	país de retorno
ET	vastuvõttev riik
FI	paluumaa
FR	pays de retour
GA	tír fillte
HU	visszatérési ország
IT	paese di ritorno
LT	valstybė, į kurią grįžta
LV	atgriešanas valsts (EU acquis); izraidīšanas valsts
MT	Pajjiż fejn wieħed jirritorna / fejn w. imur lura
NL	terugkeerland
PL	kraj powrotu
PT	país de retorno
RO	țara de returnare
SK	krajina návratu
SL	država povratka / vrnitve
SV	återvändandeland
NO	returland
UK	країна повернення

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყანა, რომელშიც მესამე ქვეყნის მოქალაქე ბრუნდება.

წყარო

EMN-ის კვლევა „დაბრუნებითი მიგრაცია“, 2007 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**
- ★ **სატრანზიტო ქვეყანა**

შენიშვნები

1. ამ ტერმინის სამართლებრივი განმარტება არ არსებობს.

2. უმეტეს შემთხვევაში, ეს არის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა, რომელშიც პირი ბრუნდება, თუმცა განმარტება მოყვანილია იმ მიზნით, რომ მიეთითოს სხვა (შესაძლო) დანიშნულების ადგილები, მაგ., სატრანზიტო ქვეყანა ან სხვა მესამე ქვეყანა.

დაკავება (apprehension)

BG	задържане
CS	zadržení
DE	Aufgriff / Ergreifung / Festnahme
EL	σύλληψη
EN	apprehension
ES	aprehensión
ET	kinnipidamine / vahistamine
FI	kiinniottaminen / pidättäminen
FR	appréhension / arrestation
GA	gabháil
HU	őrizetbe vétel
IT	arresto
LT	sulaikymas
LV	aizturēšana personas identitātes noskaidrošanai
MT	Qbid / Arrest
NL	aanhouding
PL	zatrzymanie
PT	detecção
RO	luare in custodie publica
SK	zadržanie (EU acquis); predvedenie
SL	prijetje / aretacija
SV	kvarhållande
NO	pågripelse (b); pågriping (n)
UK	затримання

განმარტება

მიგრაციის ევროკავშირის კონტექსტში, შესაბამისი ეროვნული უფლებამოსილი ორგანოების მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომლის შედეგად ხდება კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი პირის იდენტიფიცირება და რომელმაც, შესაძლოა, შეზღუდოს ამ პირის გადაადგილების თავისუფლება.

წყარო

შეიმუშავა EMN-მა

დაკავშირებული ტერმინები

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი**
- **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

დაკავება (detention)

BG	задържане
CS	zajištění
DE	Abschiebungshaft; Schubhaft (AT)
EL	κράτηση (διοικητική)
EN	detention
ES	internamiento
ET	kinnipidamine
FI	säilöönotto
FR	rétention
GA	coinneáil
HU	őrizet
IT	trattenimento
LT	sulaikymas
LV	aizturēšana
MT	Detenzjoni
NL	detentie; vreemdelingenbewaring (NL) (in context of return)
PL	detencja / zatrzymanie
PT	detenção
RO	custodie publică
SK	zaistenie
SL	pridrževanje / omejitev gibanja
SV	förvar
NO	forvaring
UK	тримання під вартою

განმარტებები

გლობალური მიგრაციის კონტექსტში, არასადამსჯელო ადმინისტრაციული ზომა, რომლის გამოყენების შესახებაც ბრძანება გაიცემა ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოს/ორგანოების მიერ და რომელიც გულისხმობს თავისუფლების შეზღუდვის მიზნით პირის დაკავებას, რათა განხორციელდეს სხვა პროცედურა.

ევროკავშირის თავშესაფრის კონტექსტში, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის დაკავება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ და მოთავსება კონკრეტულ ადგილზე, სადაც მას შეეზღუდება პირადი თავისუფლება.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN ის მიერ.
იუნესკოს სახელმძღვანელო „People on the Move“ („გადაადგილების პროცესში მყოფი პირები“), ტერმინის ‘დაკავება’ განმარტება
ევროკავშირის კონტექსტი: ევროპარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(h) მუხლი
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 26-ე მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დაკავების დაწესებულება
- დაკავების სტანდარტები და პირობები

დაკავშირებული ტერმინები

- დაკავების ალტერნატივა
- დაკავებული პირი

შენიშვნები

1. ევროკავშირის სამართლის ნორმები განასხვავებს მიგრაციის სხვადასხვა შემთხვევას, რომლის დროსაც შესაძლებელია მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაკავება: საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა დაკავება, დაკავება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე არალეგალური შესვლის პრევენციის მიზნით და დაბრუნების პროცედურებში ჩართული, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტების დაკავება.

2. საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელი შესაძლოა დაკავებული იქნეს თავშესაფრის ძიების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ან ნებისმიერ დროს, თავდაპირველი განცხადების წარდგენის დღიდან, უარის შემთხვევაში, ქვეყნიდან მისი გაძევების დღემდე. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 26-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია პირის დაკავება მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მან წარადგინა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება. დაკავების არათვითნებურობისა და საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის ძირითადი უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) განსაზღვრულია დაკავების საფუძვლების ამომწურავი ჩამონათვალი (მე-8 მუხლი) და ამოქმედებულია გარკვეული პროცედურული გარანტიები. აღნიშნული დირექტივა ასევე აწესებს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაკავების დაწესებულებებში (მე-10 მუხლი).

დაკავება (detention) [გაგრძ.]

3. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) ტერმინი 'დაკავება' განმარტებული არ არის, მასში განსაზღვრულია დაკავების საფუძვლები და განმარტებულია, რომ გაძევების მიზნით პირის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევაში, პროპორციულობის პრინციპის დაცვით; ასევე, დაკავებულ (მესამე ქვეყნის) მოქალაქეებს უნდა მოეპყრან ჰუმანურად და დაცულ უნდა უნდა იქნეს მათი ღირსება და ფუნდამენტური უფლებები საერთაშორისო და ადგილობრივ კანონმდებლობათა შესაბამისად. დირექტივის მე-15(1) მუხლის მიხედვით, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დააკავონ ან დაკავების დაწესებულებებში მოათავსონ მესამე ქვეყნის ის მოქალაქე, რომელიც ექვემდებარება დაბრუნების პროცედურებს, დაბრუნების პროცესის მოსამზადებლად და/ან გაძევების პროცესის განსახორციელებლად, განსაკუთრებით, როდესაც: (ა) არსებობს მიმალვის რისკი; ან (ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქე თავს არიდებს ან აფერხებს დაბრუნების პროცესის მომზადებას ან გაძევების პროცესს. ნებისმიერ შემთხვევაში დაკავება უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად მცირე ვადით და ყველა აუცილებელი ზომის დაცვით მხოლოდ იქამდე, სანამ მიმდინარეობს გაძევების ღონისძიებები. იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-15(1) მუხლი.

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: დაკავებისა და დაკავების ალტერნატივების გამოყენება საიმიგრაციო პოლიტიკის კონტექსტში, 2014 წ. და EMN: დაკავება და დაკავების ალტერნატივები საერთაშორისო დაცვის და დაბრუნების პროცედურებში, 2021 წ.

დაკავების ალტერნატივა

BG	алтернатива на задържане
CS	alternativa k zajištění
DE	Alternative zur Inhaftierung / Alternative zur Inhaftnahme / Haftalternative ; Alternative zur Schubhaft / gelinderes Mittel (AT)
EL	εναλλακτικά της κράτησης μέτρα
EN	alternative to detention
ES	alternativas al internamiento
ET	kinnipidamise alternatiivid
FI	säilöönotolle vaihtoehtoiset turvaamistoimet
FR	alternative à la rétention
GA	malairt ar choinneáil (iolra: malairtí ar choinneáil)
HU	a fogvatartás alternatívái
IT	disposizione alternativa al trattenimento
LT	alternatyvi sulaikymui priemonė
LV	alternatīva aizturēšanai
MT	Alternattiva għad-detenzjoni
NL	alternatief voor bewaring (NL); alternatief voor detentie (BE)
PL	alternatywa wobec zatrzymania
PT	alternativa à detenção
RO	alternativa la masura detentiei
SK	alternatíva k zaisteniu / alternatíva zaistenia
SL	alternativa k pridržanju / alternativa k omejitvi gibanja
SV	alternativ till förvar
NO	alternativ til forvaring
UK	альтернатива триманню під вартою

განმარტება

არასაპატიმრო ღონისძიებები, რომლებიც გამოიყენება მესამე ქვეყნის მოქალაქეთა გადაადგილების მონიტორინგის და/ან შეზღუდვის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საერთაშორისო დაცვის ან დაბრუნების პროცედურებთან შესაბამისობა.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-8(4) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ დაკავება

შენიშვნები

1. დაკავების ალტერნატივები გამოიყენება იმ ზოგადი პრინციპის საფუძველზე, რომლის თანახმად აღნიშნული მართებულია მხოლოდ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაკავების კანონიერი საფუძვლების არსებობისას (მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი 'დაკავება (detention)'). ჩვეულებრივ, დაკავების ალტერნატიული ზომები გულისხმობს უფრო ხელსაყრელი (ნაკლებად შემზღუდველი) პირობების შექმნას (პოტენციური) დაკავებული პირისთვის, რაც, ასევე, შესაძლოა, მეტად ხარჯთეფექტურიც იყოს.

დაკავების ალტერნატივა [გაგრძ.]

2. დაკავების ალტერნატიული ზომები, რომელთაგან ბევრის გამოყენება ერთობლივად არის შესაძლებელი, შეიძლება შემდეგ კატეგორიებად დაჯგუფდეს:

– პასპორტების ან სამგზავრო დოკუმენტების ჩაბარების ვალდებულება;

– საცხოვრისთან დაკავშირებული შეზღუდვები, რომლებიც პირს კონკრეტულ მისამართზე დარჩენას ან კონკრეტული გეოგრაფიული ზონის ფარგლებში ცხოვრებას ავალდებულებს, ხშირ შემთხვევებში გამოიყენება შესაბამისი ორგანოების პერიოდული ინფორმირების მოთხოვნებთან ერთად. მითითებული ადგილები შეიძლება იყოს სახელმწიფოს ან არასამთავრობო სექტორის კუთვნილი ღია ან ნახევრად ღია ტიპის შენობები, ასევე, სასტუმროები, საერთო საცხოვრებლები (ჰოსტელები) ან კერძო მისამართები. დაწესებული რეჟიმი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ, ზოგადად, დაკავებულ პირებს მოეთხოვებათ მითითებულ ადგილზე კონკრეტულ დროს ყოფნა. მათი დატოვება, როგორც წესი, მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზეა ნებადართული;

– გირაოთი გათავისუფლება და მესამე პირების მიერ თავდებობის უზრუნველყოფა;

– ზედამხედველობა, რომელიც პირებს ავალდებულებს პოლიციის ან საიმიგრაციო ორგანოების დადგენილი პერიოდულობით ინფორმირებას, ევროკავშირის სახელმწიფოთა ეროვნულ კანონმდებლობებში არსებულ, დაკავების ერთ-ერთ ყველაზე მეტად გავრცელებულ ალტერნატივას წარმოადგენს. ყოველდღიურად, ორ კვირაში ერთხელ, ყოველკვირეულად ან კიდევ უფრო ნაკლები სიხშირით შესაბამისი ორგანოების ინფორმირების (რაც, შესაძლოა შესაბამის ორგანოში პირადად გამოცხადებას გულისხმობდეს) ვალდებულება შეიძლება დაწესდეს დამატებით, კონკრეტულ ადგილზე ცხოვრების ვალდებულებასთან ერთად;

– ღია ტიპის შენობებში განთავსება საქმეზე პასუხისმგებელი პირის მხარდაჭერით, რომელიც დაკავების ერთ-ერთი ინოვაციური ალტერნატივაა. თავშესაფრის მაძიებლები ან დაბრუნების პროცედურას დაქვემდებარებული პირები განთავსდებიან ღია ტიპის შენობებში, სადაც ინსტრუქტორები ან კონსულტანტები მათ მიაწვდიან ინფორმაციას და გაუწევენ ინდივიდუალურ კონსულტაციას საქმის გარემოებებსა და არსებულ შესაძლებლობებზე;

– ელექტრონული მონიტორინგი, რომელიც დაკავების ალტერნატივებს შორის ყველაზე შემაწუხებელია, რადგან მნიშვნელოვნად არღვევს ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას, ზღუდავს გადაადგილების თავისუფლებას და, შესაძლოა, ნეგატიურად აისახოს ადამიანის მიერ საკუთარი ღირსების განცდაზე. ელექტრონული მონიტორინგის დაწესებამ შეიძლება დისკრიმინაციაც გამოიწვიოს, რადგან ელექტრონული მოწყობილობის მატარებელი პირები შეიძლება გარშემო მყოფთა მიერ პოტენციურ დამნაშავეებთან ასოცირდნენ.

3. მიმღები დაწესებულებები შესაძლებელია განხილულ იქნეს დაკავების ალტერნატივად მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა პირს მოეთხოვება შესაბამისი უწყების პერიოდული ინფორმირება ან თუ არსებობს საცხოვრისთან დაკავშირებული შემზღუდველი მოთხოვნები.

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: დაკავებისა და დაკავების ალტერნატივების გამოყენება საიმიგრაციო პოლიტიკის კონტექსტში, 2014 წ. და EMN: საერთაშორისო დაცვის და დაბრუნების პროცედურებში გათვალისწინებული დაკავება და დაკავების ალტერნატივები, 2022 წ.

დაკავების დაწესებულება

BG	място за задържане
CS	zařízení pro zajištění cizinců
DE	Hafteinrichtung (EU acquis, AT, DE); Abschiebehaftanstalt (LU)
EL	χώρος κράτησης (κρατητήρια)
EN	detention facility
ES	centro de internamiento
ET	kinnipidamisasutus
FI	säilöönottolaitos
FR	centre de rétention
GA	ionad coinneála
HU	őrzött szállás / fogda
IT	struttura di trattenimento
LT	sulaikymo centras
LV	aizturēšanas telpa
MT	Ċentru / Faċilità ta' detenzjoni
NL	detentievoorziening; inrichting voor vreemdelingenbewaring (NL)
PL	ośrodek detencyjny
PT	centro de instalação temporária
RO	centru de cazare a străinilor luați în custodie publică
SK	útvar policajného zaistenia pre cudzincov / ÚPZC / zariadenie určené pre zaistenie cudzincov
SL	objekt v katerem se izvaja pridrževanje / omejitev gibanja
SV	förvarsanläggning
NO	forvaringsleir
UK	установа тримання під вартою

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაკავებისთვის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად გამოიყენება.

ევროკავშირში მოქმედი დაბრუნების პროცედურის კონტექსტში, სპეციალიზებული დაწესებულება, რომელიც გამოიყენება იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაკავებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან დაბრუნების პროცედურებს, აღნიშნული პროცედურის მომზადების და/ან გაძევების პროცედურის აღსრულების მიზნით, კერძოდ, როდესაც:

(ა) არსებობს მიმალვის რისკი; ან

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქე თავს არიდებს ან აფერხებს დაბრუნების პროცესის მომზადებას ან გაძევების პროცესს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-16 მუხლი
ევროკავშირში მოქმედი დაბრუნების კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-15(1) მუხლი

სინონიმი

★ დაკავების ცენტრი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დაკავება**

შენიშვნა

თუ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს განთავსება სპეციალიზებულ დაკავების დაწესებულებაში და იძულებულია მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, დაკავებული მესამე ქვეყნის მოქალაქეები უნდა განთავსდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი პატიმრებისგან განცალკევებით.

დაკავების სტანდარტები და პირობები

BG	Стандарти и условия за задържане
CS	standardy a podmínky zajištění
DE	Haftstandards und -bedingungen
EL	Πρότυπα και συνθήκες κράτησης
EN	detention standards and conditions
ES	Condiciones y garantías de internamiento
ET	kinnipidamisnõuded ja -tingimused
FI	säilöönotto-olosuhteet
FR	normes et conditions de rétention
GA	caighdeáin agus dálaí coinneála
HU	fogvatartási normák és körülmények
IT	standard e condizioni del trattenimento
LT	sulaikymo standartai ir sąlygos
LV	aizturēšanas standarti un apstākļi
MT	Normi u kondizzjonijiet tad-detenzjoni
NL	Detentienormen en -voorwaarden / omstandigheden
PL	
PT	normas e condições de detenção
RO	standarde și condiții de luare în custodie publică / standarde și condiții de detenție
SK	normy a podmienky zaistenia
SL	standardi in pogoji za zadrževanje
SV	normer och villkor för förvar
NO	Vilkår for og standard ved ved forvaring
UK	стандарти та умови тримання під вартою

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, ყველა ძირითადი პრინციპი, რომელიც ეხება ადმინისტრაციული წესით დაკავებული მიგრანტების ძირითად უფლებებს და მათ მიმართ მოპყრობას, მათ შორის, სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების უფლებას, დაკავების პროცედურებთან დაკავშირებულ წესებს, იურიდიულ მრჩევლებთან, კონსულტანტებთან და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კომუნიკაციას, განთავსებისას უზრუნველყოფილ მატერიალურ პირობებს, პიროვნულ განვითარებას, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას, მართლწესრიგის და დაკავებული მიგრანტების უსაფრთხოებისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის საბჭო, სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხთა ევროპული კომიტეტი (CDCJ): ევროპაში მოქმედი მიგრანტების ადმინისტრაციული დაკავების წესების კოდიფიცირების დოკუმენტი, 2017 წლის მაისი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-9, მე-10 და მე-11 მუხლები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-15, მე-16 და მე-17 მუხლები

სინონიმები

- დაკავების პირობები
- დაკავების გარანტიები
- დაკავების სტანდარტები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **დაკავება (detention)**

დაკავშირებული ტერმინები

- **დაკავებული პირი**
- **დაკავების დაწესებულება**

შენიშვნები

1. დაკავებული მიგრანტების მიმართ მოპყრობის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია რამდენიმე დოკუმენტში, როგორებიცაა, მაგ., ევროპის საბჭოს სამართლებრივი თანამშრომლობის საკითხთა ევროპული კომიტეტის (CDCJ) მიერ შემუშავებული, მიგრანტთა ადმინისტრაციული დაკავების შესახებ ევროპული წესების კოდიფიცირების დოკუმენტი (2017 წლის მაისი) ან UNHCR ის სახელმძღვანელო თავშესაფრის მაძიებელთა დაკავებასა და დაკავების ალტერნატივებთან დაკავშირებული კრიტერიუმებისა და სტანდარტების შესახებ, 2012 წ.

2. ევროკავშირის კონტექსტში, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივები: 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) და 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მოიცავს სტანდარტებს (გარანტიებს) და წესებს (პირობებს) საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა დაკავებასთან დაკავშირებით, რაც უზრუნველყოფს მათი ძირითადი უფლებების დაცვას.

3. დაკავების დაწესებულებაში მყოფი საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების გარანტიები განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU მე-9 მუხლით და, შესაბამისად, დირექტივის 2008/115/EC მე-15 მუხლით. კერძოდ, დაკავება უნდა მოხდეს მაქსიმალურად მოკლე ვადით მანამ, სანამ არსებობს

დაკავების სტანდარტები და პირობები [გაგრძ.]

დაკავების საფუძვლები; დაკავების შესახებ ბრძანება უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების მიერ და დაკავებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა.

4. ასევე, დირექტივის 2013/33/EU მე-10 მუხლში და, შესაბამისად, დირექტივის 2008/115/EC მე-16 მუხლში განსაზღვრულია დაკავების პირობები. როგორც წესი, დაკავებული მიგრანტები უნდა განთავსდნენ დაკავების სპეციალიზებულ დაწესებულებებში. თუ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია უზრუნველყოს დაკავებულების განთავსება სპეციალიზებულ დაწესებულებაში და იძულებულია, მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულებას, მიგრანტები უნდა განთავსდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული პატიმრებისგან განცალკევებით. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ოჯახის წევრებს, იურიდიულ მრჩევლებს ან კონსულტანტებს და შესაბამისი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების (როგორიცაა UNHCR) წარმომადგენლებს ჰქონდეთ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებთან კომუნიკაციისა და მათი მონახულების შესაძლებლობა. ასევე, აღნიშნულ პირებს სისტემატურად და მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია დაკავების დაწესებულებაში მოქმედი წესების და მათი უფლება-მოვალეობების შესახებ.

5. დირექტივის 2013/33/EU მე-11 მუხლის და, შესაბამისად, დირექტივის 2008/115/EC მე-17 მუხლის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოწყვლადი პირების მდგომარეობას. თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანები და ის ოჯახები, რომელთაც ჰყავთ არასრულწლოვანი წევრები, უნდა დააკავონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად მცირე ხნით.

დაკავებული პირი

BG	задържан
CS	zajištěný cizinec
DE	Häftling
EL	κρατούμενος
EN	detainee
ES	detenido
ET	kinnipeetav
FI	säilöön otettu
FR	personne retenue
GA	duine atá á choinneáil
HU	őrizetbevett (személy)
IT	persona trattenuta
LT	sulaikytasis
LV	aizturētais
MT	Detenut(a)
NL	gedetineerde (NL, BE); in vreemdelingenbewaring gestelde persoon (NL); vastgehouden / opgesloten persoon (BE) (in case of return)
PL	osoba zatrzymana
PT	detido
RO	deținut
SK	zaistená osoba
SL	pripornik
SV	förvarstagen person
NO	innsatt (b); innsett (n)
UK	затримана особа

განმარტება

პირი, რომელიც დააკავეს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინი

★ დაკავება

დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი

BG	Унизително отношение или наказание
CS	ponižující zacházení nebo trestání
DE	erniedrigende Behandlung oder Bestrafung
EL	ταπεινωτική μεταχείριση ή τιμωρία
EN	degrading treatment or punishment
ES	Pena o trato degradante
ET	alandav kohtlemine või karistamine
FI	alentava kohtelu tai rangaistus
FR	peine ou traitement dégradant
GA	íde nó píonós táireach
HU	megalázó bánásmód vagy büntetés
IT	Trattamento o pena degradante
LT	žeminantis orumą elgesys arba baudimas
LV	pazemojoša rīcība vai sodīšana
MT	trattament jew piena degradanti
NL	vernederende behandeling of bestraffing / onterende behandeling of bestraffing
PL	poniżające traktowanie lub karanie
PT	tratamento ou pena degradantes
RO	tratament degradant sau pedeapsă
SK	ponižujúce zaobchádzanie alebo trestanie
SL	ponižujoče ravnanje ali kazen
SV	förnedrande behandling eller bestraffning
NO	nedverdigende behandling eller straff (b); nedverdigande handsaming eller straff (n)
UK	поводження чи покарання, що принижує гідність

განმარტება

მოპყრობა, რომელიც ამცირებს ან შეურაცხყოფს ადამიანს მის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვით ან ღირსების შელახვით, ან წარმოშობს შიშის, ტანჯვის ან არასრულფასოვნების შეგრძნებას, რამაც შესაძლოა დააკნინოს ადამიანის მორალური და ფიზიკური წინააღმდეგობის უნარი.

წყაროები

სვინარენკო და სლიადნევი რუსეთის წინააღმდეგ, ECtHR, განცხადებები N32541/08 და N43441/08

M.S.S. ბელგიისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, ECtHR, განცხადება N30696/09, 2011 წ.

ელ-მასრი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიის წინააღმდეგ, ECtHR, განცხადება N39630/09, 2012 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **სერიოზული ზიანი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **არაადამიანური მოპყრობა ან სასჯელი**

★ **წამება**

შენიშვნები

1. წამების და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით უმნიშვნელოვანეს უფლებად არის აღიარებული და გათვალისწინებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული ყველა ძირითადი საერთაშორისო ინსტრუმენტით, როგორიცაა, მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR). კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვა არის კონვენციის ერთადერთი აკრძალვა, რომელიც არ ექვემდებარება რაიმე შეზღუდვას ან გადახვევას.

2. მართალია, წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია ითვალისწინებს ტერმინის 'წამება' განმარტებას, თუმცა ტერმინის 'არაადამიანური და დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართალი წარმოადგენს ერთგვარ სახელმძღვანელო წყაროს, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა დროთა განმავლობაში შეიცვალა. არასათანადო მოპყრობის სიმძიმის ხარისხის გათვალისწინებით, სასამართლომ განასხვავა და განსაზღვრა მე-3 მუხლით გათვალისწინებული აკრძალვების სამი ცნება: ა) წამება, ბ) არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა და გ) დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. ამასთან, სასამართლომ თავის 1999 წლის 28 ივლისის გადაწყვეტილებაში საჩივარზე „სელმუნი საფრანგეთის წინააღმდეგ" ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქმედების კვალიფიკაცია მე-3 მუხლით განსაზღვრული არასათანადო მოპყრობის სამი იერარქიული კატეგორიიდან ერთ-ერთით, ცვალებადი ბუნებისაა და დემოკრატიული საზოგადოების პროგრესის კვალდაკვალ უნდა განისაზღვროს.

დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი [გაგრძ.]

3. აქ გამოყენებული ტერმინის განმარტება შემუშავებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტულ სამართალში არსებულ უახლეს განმარტებაზე დაყრდნობით. აღნიშნული ტერმინის პირველი განმარტებები პრეცედენტულ სამართალში დადგინდა 1960-იან წლებში (დანია, საფრანგეთი, ნორვეგია, შვედეთი და ნიდერლანდები საბერძნეთის წინააღმდეგ, 1969 წ.) დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. წამების პრევენციის ასოციაციის სახელმძღვანელო წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებში სასამართლო პრაქტიკის შესახებ, 2002 წ.

4. იმისთვის, რომ მოპყრობა მიჩნეული იყოს არასათანადოდ, ტანჯვა და დამცირება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ამეტებდეს ტანჯვისა და დამცირების იმ ელემენტს, რომელიც შესაძლოა გარდაუვალად გამოიწვიოს კანონის ფარგლებში დადგენილმა მოპყრობამ და სასჯელმა (ECtCR, სუერინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, განცხადება N1/1989/161/217, § 100).

დამატებითი დაცვა

BG	субсидиарна закрила
CS	doplňková ochrana
DE	subsidiärer Schutz
EL	επικουρική προστασία
EN	subsidiary protection
ES	protección subsidiaria
ET	täiendav kaitse
FI	toissijainen suojelu
FR	protection subsidiaire
GA	cosaint choimhdeach
HU	kiegészítő védelem
IT	protezione sussidiaria
LT	papildoma apsauga
LV	alternatīvā aizsardzība
MT	Protezzjoni sussidjarja
NL	subsidiaire bescherming
PL	ochrona (uzupełniająca)
PT	proteção subsidiária
RO	protecție subsidiară
SK	doplnková ochrana
SL	subsidiarna zaščita
SV	subsidiärt skydd
NO	subsidiær beskyttelse (b); subsidiært vern (n)
UK	додатковий захист

განმარტება

დამატებითი დაცვა ენიჭება მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც არ კვალიფიცირდება, როგორც ლტოლვილი, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში ან, მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში, ადრინდელ (ჩვეულ) საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, ის სერიოზული ზიანის მიღების რისკის წინაშე აღმოჩნდება, როგორც ეს განსაზღვრულია დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლით; ასევე, რომელზეც აღნიშნული დირექტივის მე-17(1, 2) მუხლი არ ვრცელდება; და რომელსაც არ შეუძლია, ან ამგვარი რისკის გამო, არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(f) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვა**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს**

დაკავშირებული ტერმინები

★ **(სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი**
★ **ჰუმანიტარული დაცვა**
★ **დროებითი დაცვა**

შენიშვნა

ტერმინი არ გამოიყენება გაერთიანებულ სამეფოში (იხ. ტერმინი 'ჰუმანიტარული დაცვა').

დამატებითი დაცვის მიმღები პირი

BG	бенефициер на субсидиарна закрила
CS	osoba požívající doplňkové ochrany
DE	Person, der subsidiärer Schutz zuerkannt wurde
EL	δικαιούχος επικουρικής προστασιας
EN	beneficiary of subsidiary protection
ES	Beneficiario de protección subsidiaria
ET	täiendava kaitse saaja
FI	toissijaista suojelua saava henkilö
FR	bénéficiaire de la protection subsidiaire
GA	tairbhí cosanta coimhdí
HU	oltalmazott
IT	Beneficiario di protezione sussidiaria
LT	papildomos apsaugos gavėjas
LV	alternatīvās aizsardzības saņēmējs
MT	benefiċjarju ta' protezzjoni sussidjarja
NL	persoon die subsidiaire bescherming geniet; begunstigde van subsidiaire bescherming (BE)
PL	beneficjent ochrony uzupełniającej
PT	beneficiário de proteção subsidiária
RO	
SK	osoba s poskytnutou doplnkovou ochranou
SL	upravičenec do subsidiarne zaščite
SV	alternativt skyddsbehövande
NO	mottaker av beskyttelse på alternativt grunnlag (b); mottakar av vern på alternativt grunnlag (n)
UK	бенефіціар додаткового захисту

განმარტება

პირი, რომელსაც მიენიჭა დამატებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექ-ტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(b) მუხლში მოცემული ტერმინის 'საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი' განმარტება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი

დაკავშირებული ტერმინები

- ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე
- პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს

დამატებითი დაცვის სტატუსი

BG	статут на субсидиарна закрила
CS	status doplňkové ochrany
DE	subsidiärer Schutzstatus
EL	καθεστώς επικουρικής προστασίας
EN	subsidiary protection status
ES	estatuto de protección subsidiaria
ET	täiendava kaitse seisund
FI	toissijainen suojeluasema
FR	statut conféré par la protection subsidiaire / statut de protection subsidiaire
GA	stádas cosanta coimhdí
HU	kiegészítő védelmi jogállás
IT	status di protezione sussidiaria
LT	papildomos apsaugos statusas
LV	alternatīvās aizsardzības statuss
MT	Status ta' protezzjoni sussidjarja
NL	subsidiaire beschermingsstatus
PL	status ochrony uzupełniającej
PT	estatuto de proteção subsidiária
RO	statut de protecție subsidiară
SK	status doplnkovej ochrany / štatút doplnkovej ochrany
SL	status subsidiarne zaščite
SV	status som subsidiärt skyddsbehövande
NO	status for subsidiær beskyttelse (b); status for subsidiært vern (n)
UK	статус додаткового захисту

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის აღიარება დამატებითი დაცვის უფლების მქონე პირად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(g) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დამატებითი დაცვა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **დამატებითი დაცვის მიმღები პირი**

★ **ლტოლვილის სტატუსი**

★ **საერთაშორისო დაცვის გამოხმობა**

დამსაქმებელი

BG	работодател
CS	zaměstnavatel
DE	Arbeitgeber
EL	εργοδότης
EN	employer
ES	empleador
ET	tööandja
FI	työnantaja
FR	employeur
GA	fostóir
HU	munkáltató
IT	datore di lavoro
LT	darbdavys
LV	darba devējs
MT	Min iħaddem / Min jimpjega
NL	werkgever
PL	pracodawca
PT	empregador
RO	angajator
SK	zamestnávateľ
SL	delodajalec
SV	arbetsgivare
NO	arbeidsgiver (b); arbeidsgjevar (n)
UK	роботодавець

განმარტება

ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლისთვისაც ან რომლის ხელმძღვანელობით და/ან ზედამხედველობით ხორციელდება დასაქმება.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მე-2(e) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **დასაქმებული**
- ★ **დასაქმება**
- ★ **თვითდასაქმებული**

დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ

BG	престъпление срещу човечеството
CS	zločin proti lidskosti
DE	Verbrechen gegen die Menschlichkeit
EL	έγκλημα κατά της ανθρωπότητας
EN	crime against humanity
ES	crimen contra la humanidad
ET	inimsusevastane kuritegu
FI	rikos ihmiskuntaa / ihmisyyttä vastaan
FR	crime contre l'humanité
GA	coir i gcoinne an chine dhaonna
HU	emberiség elleni bűncselekmény
IT	crimine contro l'umanità
LT	nusikaltimas žmoniškumui
LV	noziegums pret cilvēci
MT	Reat kontra l-umanità
NL	misdrijf tegen de menselijkheid
PL	zbrodnia przeciwko ludzkości
PT	crimes contra a humanidade
RO	crimă împotriva umanității
SK	zločin proti ľudskosti
SL	zločin proti človeštvu
SV	brott mot mänskligheten
NO	forbrytelse mot menneskeheten (b); brotsverk mot menneskeslekta (n)
UK	злочин проти людства

განმარტება

სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული ფართომასშტაბიანი ან სისტემატური თავდასხმის ფარგლებში (აღნიშნულის გაცნობიერებით) ჩადენილი ქმედება.

წყარო

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-7 მუხლი

სინონიმი

★ დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ

დაკავშირებული ტერმინები

★ **გამორიცხვის დებულება**
★ **გენოციდი**
★ **ომის დანაშაული**

შენიშვნა

კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულში იგულისხმება:
ა) მკვლელობა;
ბ) განადგურება;
გ) დამონება;
დ) დეპორტაცია ან მოსახლეობის იძულებით გადაყვანა;
ე) თავისუფლების აღკვეთა ან ფიზიკური თავისუფლების სხვაგვარი უხეში ხელყოფა, ჩადენილი საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმების დარღვევით;
ვ) წამება;
ზ) გაუპატიურება, სქესობრივი დამონება, იძულებით პროსტიტუცია, იძულებით ორსულობა, იძულებით სტერილიზაცია ან მსგავსი სიმძიმის სქესობრივი ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმა;
თ) ნებისმიერი იდენტიფიცირებადი ჯგუფის ან ერთობის დევნა პოლიტიკური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური, კულტურული, რელიგიური, გენდერული (როგორც ეს მე-3 პუნქტშია განმარტებული) ან სხვა ისეთი ნიშნით, რომელიც საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ დაუშვებლად არის აღიარებული, დაკავშირებული ამ პუნქტში აღნიშნულ რომელიმე ქმედებასთან ან სასამართლოს იურისდიქციაში შემავალ რომელიმე დანაშაულთან;
ი) პირთა იძულებით გაუჩინარება;
კ) აპართეიდის დანაშაული;
ლ) მსგავსი ხასიათის სხვა არაადამიანური განზრახ ქმედება, რომელიც იწვევს მძიმე ტანჯვას, სხეულის მძიმე დაზიანებას ან სერიოზულ ზიანს აყენებს პირის ფსიქიკურ ან ფიზიკურ ჯანმრთელობას.

დანიშნულების ქვეყანა

BG	страна на дестинация
CS	cílová země
DE	Zielland
EL	χώρα προορισμού
EN	country of destination
ES	país de destino
ET	sihtriik
FI	kohdemaa
FR	pays de destination
GA	tír cinn scríbe / iolra: tíortha ceann scríbe
HU	célország
IT	paese di destinazione
LT	tikslo valstybė
LV	mērķa valsts
MT	Pajjiż fid-destinazzjoni
NL	land van bestemming
PL	kraj docelowy
PT	país de destino
RO	țara de destinație
SK	cieľová krajina
SL	ciljna država
SV	destinationsland
NO	destinasjonsland
UK	країна призначення

განმარტება

ქვეყანა, რომელიც წარმოადგენს დანიშნულების ადგილს (კანონიერი ან კანონიერი საფუძვლის გარეშე) მიგრაციული ნაკადებისთვის.

წყარო

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა
- ★ სატრანზიტო ქვეყანა

დასაბრუნებელი პირი

BG	върнат
CS	navracený cizinec
DE	Rückkehrer
EL	επαναπατριζόμενος
EN	returnee
ES	extranjero retornado
ET	tagasipöörduja
FI	paluumuuttaja / palaaja, (pakko)palautettava
FR	personne éloignée (retour forcé) / personne retournée (retour volontaire ou spontané)
GA	imirceach fillteach
HU	hazatérő / visszatérő
IT	persona che compie ritorno
LT	grįžtantysis / grąžinamasis
LV	izraidāmais
MT	Migrant(a) ritornat(a)
NL	terugkeerder
PL	osoba powracająca
PT	retornado
RO	returnat
SK	navrátilec
SL	oseba, ki je predmet vračanja
SV	återvändare
NO	den personen som vender hjem (b); den personen som vender heim (n)
UK	репатріант

განმარტება

პირი, რომელიც მიმღებ ქვეყანაში დროის მნიშვნელოვანი პერიოდის გატარების შემდგომ ნებაყოფლობით, იძულებით, ხელშეწყობით ან სპონტანურად ბრუნდება წარმომავლობის (წარმოშობის), მოქალაქეობის ან ჩვეული ბინადრობის ქვეყანაში.

წყარო

EMN: ხელშეწყობით განხორციელებული დაბრუნებისა და რეინტეგრაციის პროგრამები და სტრატეგიები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2011 წ.

შენიშვნა

განმარტება მოიცავს მიგრანტთა ყველა კატეგორიას (ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ლეგალურად მყოფი პირები, თავშესაფრის მაძიებლები, რომლებსაც უარი ეთქვათ საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე) და დაბრუნების სხვადასხვა გზას (მაგ., ნებაყოფლობითი, იძულებითი, ხელშეწყობით განხორციელებული ან სპონტანური დაბრუნება). ის არ მოიცავს სამ თვეზე ნაკლები ვადით ყოფნას (მაგ., შვებულების მიზნით განხორციელებული ან საქმიანი ვიზიტები, რომელთა ხანგრძლივობა, ჩვეულებრივ, არ აღემატება სამ თვეს).

დასაქმება

BG	заетост
CS	zaměstnání
DE	Beschäftigung
EL	απασχόληση / εργασία
EN	employment
ES	empleo
ET	töötamine
FI	työnteko
FR	emploi
GA	fostaíocht
HU	foglalkoztatás
IT	lavoro / impiego
LT	darbas
LV	nodarbinātība
MT	Impjieg / Xogħol
NL	tewerkstelling
PL	zatrudnienie
PT	emprego
RO	angajare
SK	zamestnanie
SL	zaposlitev
SV	anställning
NO	sysselsetting (b); sysselsetjing (n)
UK	працевлаштування

განმარტება

ეროვნული კანონმდებლობით ან დადგენილი პრაქტიკის შესაბამისად დარეგულირებული ნებისმიერი სახის შრომითი საქმიანობა ან სამუშაო, რომელიც სრულდება დამსაქმებლისთვის ან დამსაქმებლის ხელმძღვანელობით და/ან ზედამხედველობით.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მე-2(c) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ დასაქმებული
- ★ დამსაქმებელი
- ★ პროფესია/საქმიანობა

დასაქმების ხელმისაწვდომობა

BG	достъп до заетост
CS	přístup k zaměstnání
DE	Zugang zur Beschäftigung
EL	πρόσβαση στην εργασία
EN	access to employment
ES	acceso al empleo / acceso al mercado laboral
ET	juurdepääs tööturule
FI	oikeus työhön
FR	accès à l'emploi
GA	rochtain ar fhostaíocht
HU	munkavállaláshoz való hozzáférés
IT	accesso all'occupazione
LT	galimybė įsidarbinti
LV	nodarbinātības iespēja / piekļuve nodarbinātībai
MT	Aċċess għall-impieg
NL	Toegang tot werk
PL	dostęp do zatrudnienia/ dostęp do rynku pracy
PT	acesso ao emprego
RO	acces la muncă / acces la piața muncii
SK	prístup k zamestnaniu
SL	dostop do zaposlitve
SV	tillträde till arbetsmarknaden
NO	tilgang til arbeidsmarkedet (b); tilgang til arbeidsmarknaden (n)
UK	доступ до працевлаштування

განმარტებები

მიგრაციის ზოგად კონტექსტში, პირობები და მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს მიმღებ სახელმწიფოში ლეგალურად მცხოვრები მიგრანტების და ლტოლვილების დაშვებას შრომის ბაზარზე.

ევროკავშირის მიგრაციის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქეების (ლეგალურად მცხოვრები მიგრანტების, თავშესაფრის მაძიებლების და საერთაშორისო დაცვის მიმღები პირების) ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შრომით საქმიანობაზე (ან თვითდასაქმებაზე) ნებართვის გაცემა რეგულირდება კონკრეტულ პროფესიასთან და საჯარო სამსახურთან მიმართებით დადგენილი წესების და შრომისა და დასაქმების პირობების შესაბამისად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ტერმინის 'დასაქმების ხელმისაწვდომობა' IATE-ს განმარტება და ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) მე-17 და მე-18 მუხლები

დასაქმების ხელმისაწვდომობა [გაგრძ.]

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1a) მუხლი და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 26-ე მუხლი

სინონიმი

- შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა**

დაკავშირებული ტერმინები

- **განათლების ხელმისაწვდომობა**
- **ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა**
- **კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა**
- **სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა**

შენიშვნები

1. ჟენევის კონვენციის (და ოქმის) მე-17 და მე-18 მუხლები მიმღებ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვის მქონე ლტოლვილებს ანიჭებს მუშაობის, შემოსავლის მომტანი დასაქმების ან თვითდასაქმების უფლებას. ამასთან, კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს მუშაობის უფლებას თავშესაფრის მაძიებლებისთვის და არ კრძალავს დასაქმებასთან დაკავშირებით შემზღუდველი ზომების გამოყენებას (რომლებიც შეიძლება გავრცელდეს დასაქმების კონკრეტულ სფეროებზე, მუშაობის ხანგრძლივობაზე ან დასაქმებულთა კონკრეტული კატეგორიების პრიორიტეტულობაზე).

2. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში შრომის ბაზარზე წვდომის უფლება დამოკიდებულია მიგრანტის ლეგალურ სტატუსზე.

3. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1a) მუხლის თანახმად, გრძელვადიანი მობინადრის სტატუსის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეები უნდა სარგებლობდნენ დასაქმების (თვითდასაქმების) წვდომის იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობენ მოქალაქეები. მე-11(3a) მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დააწესონ შეზღუდვები დასაქმებაზე ან თვითდასაქმებაზე იმ შემთხვევებში, როდესაც არსებული ეროვნული ან ევროგაერთიანების კანონმდებლობით, დასაქმების კონკრეტული სახეობა შეზღუდულია მხოლოდ მოცემული წევრი ქვეყნის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ან ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნების მოქალაქეთათვის.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 26-ე მუხლის თანახმად, საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირებს, მათთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთანავე უნდა მიეცეთ შრომის ბაზარზე ადგილობრივ მოქალაქეებთან გათანაბრებული წვდომა; მათ შორის, მათ უნდა ჰქონდეთ წვდომა დასაქმებასთან დაკავშირებული განათლების შესაძლებლობებზე (ზრდასრულთათვის); პროფესიულ სწავლებაზე (კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ჩათვლით); პრაქტიკულ (ადგილზე) სწავლებაზე და დასაქმების სააგენტოების საკონსულტაციო მომსახურებებზე.

5. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს უნდა მიეცეთ შრომის ბაზარზე წვდომა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 9 თვისა, იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული პირველ ინსტანციაში და დაყოვნება არ არის გამოწვეული განმცხადებლის მიზეზით. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უფლებამოსილი არიან, შრომის ბაზარზე წვდომის პირობები განსაზღვრონ თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. შრომის ბაზრის არსებული პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლოა, პრიორიტეტი მიენიჭოს ევროკავშირის წევრი ან ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნების მოქალაქეებს ან ევროკავშირის წევრ ქვეყანაში ლეგალურად მცხოვრებ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს.

დასაქმებული

BG	работник
CS	zaměstnanec
DE	Arbeitnehmer
EL	εργαζόμενος / υπάλληλος
EN	employee
ES	empleado
ET	töötaja
FI	työntekijä
FR	salarié
GA	fostaí
HU	alkalmazott / munkavállaló
IT	lavoratore dipendente
LT	darbuotojas
LV	darba ņēmējs / darbinieks
MT	Impjegat(a)
NL	werknemer
PL	pracownik
PT	empregado
RO	angajat
SK	zamestnanec
SL	zaposleni / delavec
SV	anställd
NO	ansatt (b); tilsett (n)
UK	працівник

განმარტება

მუშაკი, რომელიც ექსპლიციტური ან იმპლიციტური შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იღებს შრომის ძირითად ანაზღაურებას, რომელიც არ არის უშუალოდ დაკავშირებული იმ სამსახურებრივი ერთეულის შემოსავალთან, სადაც ეს პირი მუშაობს.

წყარო

ILO-ს თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინები

- დამსაქმებელი
- დასაქმება
- თვითდასაქმებული

დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ

BG	неоснователна молба за международна закрила
CS	nedůvodná žádost o mezinárodní ochranu
DE	unbegründeter Antrag auf internationalen Schutz
EL	αβάσιμη αίτηση για διεθνή προστασία
EN	unfounded application for international protection
ES	solicitud infundada de protección internacional
ET	põhjendamatu rahvusvahelise kaitse taotlus
FI	perusteeton kansainvälistä suojelua koskeva hakemus
FR	demande de protection internationale infondée
GA	iarratas gan bhunús ar chosaint idirnáisiúnta
HU	nem megalapozott menedékkérelem
IT	domanda infondata per il riconoscimento della protezione internazionale
LT	nepagrįstas tarptautinės apsaugos prašymas (EU acquis); nepagrįstas prašymas suteikti prieglobstį
LV	nepamatots starptautiskās aizsardzības pieteikums
MT	Applikazzjoni / Talba bla bażi għall-protezzjoni internazzjonali
NL	ongegrond verzoek om internationale bescherming
PL	bezzasadny wniosek o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	pedido de proteção internacional infundado
RO	cerere nefondată de protecție intrnațională
SK	neopodstatnená žiadosť o medzinárodnú ochranu / neopodstatnená žiadosť o udelenie medzinárodnej ochrany
SL	neutemeljena prošnja za mednarodno zaščito
SV	ogrundad ansökan
NO	grunnløs søknad om internasjonal beskyttelse (b); grunnlaus søknad om internasjonalt vern (n)
UK	необґрунтована заява про надання міжнародного захисту

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ დაადგინა, როგორც დაუსაბუთებელი, ვინაიდან განმცხადებელი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო დაცვის მისანიჭებლად ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) დადგენილ მოთხოვნებს.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 32-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **აშკარად დაუსაბუთებელი განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

შენიშვნა

ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ასევე მიიჩნიონ განცხადება აშკარად დაუსაბუთებლად დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 31(8)-ე მუხლში ჩამოთვლილი გარემოებების არსებობის გამო.

დაცვა

BG	закрила
CS	ochrana
DE	Schutz
EL	προστασία
EN	protection
ES	protección
ET	kaitse
FI	suojelu
FR	protection
GA	cosaint
HU	védelem
IT	protezione
LT	apsauga
LV	aizsardzība
MT	Protezzjoni / Ħarsien
NL	bescherming
PL	ochrona
PT	protecção
RO	protecție
SK	ochrana
SL	zaščita
SV	skydd
NO	beskyttelse (b); vern (n)
UK	захист

განმარტება

ცნება, რომელიც გულისხმობს ყველა იმ ქმედებას, რომელიც გამიზნულია ინდივიდის უფლებების სრული პატივისცემის უზრუნველსაყოფად, ადამიანის უფლებების, ლტოლვილთა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებისა და სულისკვეთების შესაბამისად.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი
- ჰუმანიტარული სტატუსი
- საერთაშორისო დაცვა
- დროებითი დაცვა

დაკავშირებული ტერმინი

- თავშესაფარი

შენიშვნა

დაცვა გულისხმობს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების პატივისცემას, ძალადობის სხვადასხვა გამოვლინების პრევენციას და/ან მათი მყისიერი შედეგების შემსუბუქებას და ცხოვრების ღირსეული პირობების აღდგენას რეპარაციის, რესტიტუციისა და რეაბილიტაციის გზით.

დაცვის განმახორციელებელი სუბიექტი

BG	субект на закрила
CS	poskytovatel ochrany
DE	Akteur, der Schutz bieten kann
EL	υπεύθυνος προστασίας
EN	actor of protection
ES	agente de protección
ET	kaitset tagav isik
FI	suojelun tarjoaja
FR	acteur de la protection
GA	gníomhaí cosanta (iolra: gníomhaithe cosanta)
HU	védelmet nyújtó
IT	soggetto responsabile della protezione
LT	apsaugos teikėjas
LV	aizsardzības dalībnieks
MT	Aġent responsabbli għall-protezzjoni
NL	actor van bescherming
PL	podmiot udzielający ochrony
PT	agente de proteção
RO	agent de protectie
SK	aktér ochrany
SL	subjekt zaščite
SV	aktörer som ger skydd
NO	aktører som gir beskyttelse (b); aktørar som gjev vern (n)
UK	джерело захисту

განმარტებები

ნებისმიერი პირი (ფიზიკური თუ იურიდიული), რომელიც უზრუნველყოფს დევნის ან სერიოზული ზიანის საწინააღმდეგო ქმედით და გრძელვადიან დაცვას, მაგალითად:

ა) სახელმწიფო ან

ბ) მხარეები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს

იმ პირობით, რომ მათ აქვთ დაცვის უზრუნველყოფის სურვილი და შესაძლებლობა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექ-ტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექ-ტივის განახლებული რედაქცია) მე-7 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ დაცვა

შენიშვნა

ზოგადად, ასეთი დაცვა ხორციელდება მაშინ, როდესაც პირველი პუნქტის (a) და (b) ქვეპუნქტებში ნახსენები სუბიექტები გონივრულ ზომებს იღებენ დევნის ან სერიოზული ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად, მათ შორის, ეფექტური სამართლებრივი სისტემის ამოქმედების გზით, რომლის მიზანია ისეთი აქტების გამოვლენა, სამართლებრივი დევნა და დასჯა, რომლებიც დევნას ან სერიოზული ზიანის მიყენებას გულისხმობს. გასათვალისწინებელია, აგრეთვე, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს წვდომა აღნიშნულ სამართლებრივ სისტემაზე.

დე იურე მოსახლეობა

BG	юридическо население
CS	de jure obyvatelstvo
DE	De-jure-Bevölkerung
EL	νόμιμος πληθυσμός (de jure)
EN	de jure population
ES	población (de derecho)
ET	de jure rahvastik
FI	de jure -väestö
FR	population de droit
GA	daonra de jure
HU	hivatalos népességszám
IT	popolazione de jure
LT	de jure gyventojų skaičius
LV	de jure iedzīvotāji
MT	Popolazzjoni de jure
NL	de jure bevolking
PL	populacja de jure
PT	população (de direito)
RO	populație (de drept)
SK	obyvateľstvo de jure / bývajúce obyvateľstvo
SL	de jure prebivalstvo
SV	bosatt befolkning / de jure-befolkning
NO	hjemmehørende befolkning / de jure befolkning (b); folkesetnad etter bustad / de jure-folkesetnad (n)
UK	населення де юре

განმარტება

ცნება, რომლის თანახმად, ფიზიკური პირები (ან დემოგრაფიული შემთხვევები) აღრიცხული არიან კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში (ან მიეკუთვნებიან ასეთ არეალს) საცხოვრებელი ადგილის საფუძველზე.

წყარო

OECD-ის სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

დაკავშირებული ტერმინი

★ დე ფაქტო მოსახლეობა

შენიშვნა

ტერმინი ნაკლებად გამოიყენება.

დე ფაქტო ლტოლვილი

BG	no translation
CS	uprchlík de facto
DE	De-facto-Flüchtling
EL	de facto πρόσφυγας
EN	de facto refugee
ES	refugiado de facto
ET	de facto pagulane
FI	tosiasiallinen pakolainen / de facto -pakolainen
FR	réfugié de facto
GA	dídeanaí de facto
HU	de facto menekült
IT	rifugiato de facto
LT	de facto pabėgėlis
LV	de facto bēglis
MT	Rifuġjat(a) de facto
NL	de facto vluchteling
PL	uchodźca de facto
PT	refugiado de facto
RO	refugiat de facto
SK	utečenec de facto
SL	de facto begunec
SV	de facto-flykting
NO	de facto-flyktning
UK	біженець де факто

განმარტება

პირი, რომელიც არ არის აღიარებული ლტოლვილად (ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი(A) მუხლით) გათვალისწინებული მნიშვნელობით) და არ შეუძლია ან, დასაბუთებულად მიჩნეული მიზეზების გამო, არ სურს თავის წარმოშობის (წარმოშობის) ან მოქალაქეობის ქვეყანაში, ან, მოქალაქეობის არქონის შემთხვევაში, ადრინდელ (ჩვეულ) საცხოვრებელ ქვეყანაში დაბრუნება.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **(სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი**
- ★ **გადაადგილებული პირი**
- ★ **ჰუმანიტარული დაცვა**
- ★ **პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს**
- ★ **სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი**

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ამ ტერმინის სამართლებრივი განმარტება არ არსებობს.

2. გერმანიაში ეს ტერმინი აღნიშნავს პირს, რომელსაც განცხადებით არ მიუმართავს თავშესაფრის მოპოვებისთვის ან რომლის თავშესაფრის განცხადებაც არ დაკმაყოფილდა, თუმცა რომლის ქვეყნიდან გაძევებაც შეჩერებულია სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებასთან დაკავშირებული კონკრეტული საფრთხის გამო. მაგალითად, პირის დარჩენა გერმანიაში დასაშვებია ეროვნული კანონმდებლობის ჰუმანიტარული საფუძვლებით.

დე ფაქტო მოსახლეობა

BG	фактическо население
CS	de facto obyvatelstvo
DE	De-facto-Bevölkerung / tatsächlich anwesende Bevölkerung
EL	πραγματικός πληθυσμός (de facto)
EN	de facto population
ES	población (de hecho)
ET	de facto rahvastik (tegelik rahvastik)
FI	de facto -väestö
FR	population de fait
GA	daonra de facto
HU	tényleges népesség
IT	popolazione de facto
LT	de facto gyventojų skaičius
LV	de facto iedzīvotāji
MT	Popolazzjoni de facto
NL	de facto bevolking
PL	populacja de facto
PT	população (de facto)
RO	populație (de facto)
SK	obyvateľstvo de facto / faktické obyvateľstvo / prítomné obyvateľstvo
SL	de facto prebivalstvo
SV	de facto-befolkning
NO	tilstedeværende befolkning / de facto befolkning (b); folkesetnad tilstades /de facto-folkesetnad (n)
UK	населення де факто

განმარტება

ცნება, რომლის თანახმად ფიზიკური პირები (ან დემოგრაფიული შემთხვევები) აღრიცხული არიან (ან მიეკუთვნებიან) იმ გეოგრაფიულ არეალში (არეალს), რომელშიც ისინი იმყოფებოდნენ (ან რომლებიც მოხდა) კონკრეტულ დროს.

წყარო

OECD-ის სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

დაკავშირებული ტერმინი

★ დე იურე მოსახლეობა

შენიშვნა

ტერმინი ნაკლებად გამოიყენება.

დევნა

BG	преследване
CS	pronásledování
DE	Verfolgung
EL	δίωξη
EN	persecution
ES	persecución
ET	tagakiusamine
FI	vaino
FR	persécution
GA	géarleanúint
HU	üldöz(tet)és
IT	persecuzione
LT	persekiojimas
LV	vajāšana
MT	Persekuzzjoni
NL	vervolging
PL	prześladowanie
PT	perseguição
RO	persecuție
SK	prenasledovanie
SL	preganjanje
SV	förföljelse
NO	forfølgelse (b); forfølging (n)
UK	переслідування

განმარტება

ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, რაც გულისხმობს სიცოცხლის ან თავისუფლების ხელყოფის საფრთხეს და სერიოზული ზიანის სხვა ფორმებს, რომლებიც გამოწვეულია რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების გამო.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დევნის აქტი
- დევნის განმახორციელებელი სუბიექტი
- კონვენციით განსაზღვრული დევნის საფუძვლები
- ჯგუფის დევნა
- დევნის საფუძვლიანი შიში

დაკავშირებული ტერმინი

- სერიოზული ზიანი

შენიშვნები

1. ტერმინის 'დევნა' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს; ის ასევე მიზანმიმართულად არ იქნა დეტალურად განმარტებული ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციასა და ოქმში. ამით ტექსტის ავტორებმა გარკვეული სივრცე დატოვეს ცნების მოქნილი ინტერპრეტაციისთვის, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მასში დევნის მუდმივად ცვალებადი ფორმების ასახვა.

2. ამავდროულად, ზიანის ნაკლებად მძიმე ფორმებმა კუმულაციურად, შესაძლოა, ასევე შეადგინოს დევნა. დისკრიმინაცია ასევე, შესაძლოა, გაუთანაბრდეს დევნას, მაშინ როდესაც ქმედების შედეგი იწვევს კონკრეტული პირისთვის მიუღებელ მდგომარეობას, რომელიც ხასიათდება მის მიმართ არსებითი მიკერძოებულობით.

3. პირი შეიძლება იდევნებოდეს სახელმწიფოს წარმომადგენელი სტრუქტურების ქმედებების შედეგად; დევნად, შესაძლოა, ასევე დაკვალიფიცირდეს პირის მიმართ სხვადასხვა არასამთავრობო აქტორის მიერ განხორციელებული ქმედება, როგორებიცაა შეიარაღებული დაჯგუფებები, დანაშაულებრივი ან ორგანიზებული ჯგუფები, ასევე პირის ოჯახის წევრები ან მოსახლეობის სხვა ჯგუფები, მაშინ როდესაც სახელმწიფოს არ შეუძლია ან არ სურს დაცვის უზრუნველყოფა.

დევნის აქტი

BG	действие на преследване
CS	akt pronásledování
DE	Verfolgungshandlung
EL	πράξη δίωξης
EN	act of persecution
ES	act de persecución
ET	tagakiusamisakt
FI	vainoksi katsottavat teot
FR	acte de persécution
GA	gníomh géarleanúna / iolra: gníomhartha géarleanúna
HU	üldöz(tet)ésnek minősülő cselekmények
IT	atto di persecuzione
LT	persekiojimo veiksmas
LV	vajāšanas darbība
MT	Att ta' persekuzzjoni
NL	daad van vervolging
PL	prześladowanie
PT	atos de perseguição
RO	act de persecutie
SK	čin prenasledovania / akt prenasledovania
SL	dejanje preganjanja
SV	förföljelse
NO	forfølgelseshandlinger (b); forfølgingshandlingar (n)
UK	акт переслідування

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ადამიანის უფლებების (ხშირ შემთხვევაში, მაგრამ არა მუდმივად) დარღვევის აქტები ან სხვა სერიოზული ზიანი, რომლებსაც სისტემატური ან განმეორებითი ხასიათი აქვს.

ევროკავშირის კონტექსტში და ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (A) მუხლის მნიშვნელობის ფარგლებში, ქმედებები, რომლებიც

ა) საკმარისად მძიმეა თავისი ხასიათით ან განმეორებითობით და შესაბამისად, წარმოადგენს ადამიანის ძირითადი უფლებების სერიოზულ დარღვევას, კერძოდ, იმ უფლებებისა, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15(2) მუხლის შესაბამისად; ან

ბ) სხვადასხვა ქმედების ერთობლიობა, მათ შორის, ადამიანის უფლებების დარღვევა, რომელიც საკმარისად სერიოზულია და ზიანს აყენებს პირს იმავე სიმძიმით, რომელიც აღნიშნულია (ა) პუნქტში.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-9 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- დევნა

დაკავშირებული ტერმინები

- დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი
- ჯგუფის დევნა
- სერიოზული ზიანი

შენიშვნა

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) თანახმად, დევნის აქტები ინტერ ალია შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

ა) ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის აქტები, სექსუალური ძალადობის ჩათვლით;

ბ) სამართლებრივი, ადმინისტრაციული, საპოლიციო და/ან სასამართლო ღონისძიებები, რომლებიც თავისთავად არის დისკრიმინაციული ან დისკრიმინაციული წესით ხორციელდება;

გ) დევნა ან სასჯელი, რომელიც არაპროპორციული ან დისკრიმინაციულია;

დ) სასამართლოს გზით სამართლებრივ დაცვაზე უარის თქმა, რომელსაც შედეგად არაპროპორციული ან დისკრიმინაციული სასჯელი მოჰყვება;

ე) დევნა ან სასჯელი შეიარაღებული კონფლიქტის დროს სამხედრო ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის გამო. აღნიშნული შეეხება იმ შემთხვევას, როდესაც სამხედრო ვალდებულების შესრულება გულისხმობს დანაშაულის ჩადენას ან ისეთი აქტების განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია დირექტივის მე-12(2) მუხლით განსაზღვრულ, ლტოლვილის სტატუსზე უარის თქმის საფუძვლებში;

ვ) გენდერული ხასიათის ან ბავშვთან დაკავშირებული დევნის აქტები.

დევნის განმახორციელებელი ან სერიოზული ზიანის მიმყენებელი სუბიექტი

BG	субект на преследване
CS	původce pronásledování
DE	Akteur, von dem eine Verfolgung oder ein ernsthafter Schaden ausgehen kann
EL	υπεύθυνοι της δίωξης ή της σοβαρής βλάβης
EN	actor of persecution or serious harm
ES	agente de persecución
ET	tagakiusaja
FI	vainon harjoittaja
FR	acteur des persécutions ou des atteintes graves
GA	gníomhaí géarleanúna / iolra: gníomhaithe géarleanúna
HU	üldöztetés és a súlyos sérelem forrásai
IT	responsabile di persecuzione o danni gravi
LT	persekiojimo vykdytojas
LV	vajāšanas vai būtiska kaitējuma nodarīšanas dalībnieks
MT	Aġent / Awtur t'att ta' persekuzzjoni
NL	actor van vervolging of ernstige schade
PL	prześladowca
PT	agente de perseguição
RO	agent de persecutie
SK	pôvodca prenasledovania alebo vážneho bezprávia / aktér prenasledovania alebo vážneho bezprávia
SL	subjekt preganjanja ali resne kršitve
SV	aktörer som utövar förföljelse
NO	aktører som er ansvarlig for forfølgelse / aktører som utøver forfølgelse (b); aktørar som er ansvarlege for forfølging / aktørar som utøver forfølging (n)
UK	джерело переслідування або заподіяння серйозної шкоди

განმარტებები

ნებისმიერი პირი (ფიზიკური თუ იურიდიული), რომელიც ახორციელებს დევნას ან იწვევს სერიოზულ ზიანს, მაგალითად:

ა) სახელმწიფო;

ბ) მხარეები ან ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ სახელმწიფოს ან სახელმწიფოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს;

გ) არასახელმწიფო სუბიექტები, თუ შესაძლებელია იმის დადასტურება, რომ (a) და (b) ქვეპუნქტებში ნახსენებ სუბიექტებს, მათ შორის, საერთაშორისო ორგანიზაციებს, არ შეუძლიათ ან არ აქვთ სურვილი უზრუნველყონ დევნის ან სერიოზული ზიანისგან დაცვა, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-7 მუხლის შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-6 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- დევნა
- სერიოზული ზიანი

დაკავშირებული ტერმინები

- დევნის აქტი
- ჯგუფის დევნა

დევნის საფუძვლიანი შიში

BG	добре обоснован страх от преследване
CS	odůvodněný strach z pronásledování
DE	begründete Furcht vor Verfolgung
EL	βάσιμος φόβος δίωξης
EN	well-founded fear of persecution
ES	temor justificado de persecución
ET	põhjendatud tagakiusamise kartus
FI	perusteltu vainon pelko
FR	crainte fondée de persécution
GA	faitíos roimh ghéarleanúint a bhfuil bunús / údar maith leis
HU	üldöztetéstől való megalapozott félelem
IT	giustificato timore di persecuzione
LT	visiškai pagrįsta baimė būti persekiojamam
LV	pamatotas bailes no vajāšanas
MT	Biża' ġustifikata ta' persekuzzjoni
NL	gegronde vrees voor vervolging
PL	uzasadniona obawa przed prześladowaniem
PT	receio fundado de perseguição
RO	teamă de persecuție bine fondată
SK	opodstatnená obava z prenasledovania
SL	utemeljen strah pred preganjanjem
SV	välgrundad fruktan för förföljelse
NO	velbegrunnet frykt for forfølgelse (b); velgrunna frykt for forfølging (n)
UK	обґрунтовані побоювання переслідування

განმარტება

საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის მიერ განცდილი დევნის შიში, რომელიც მიჩნეულია, როგორც ნამდვილი და ობიექტური საფუძვლის მქონე (მაგ., იმიტომ, რომ შესაბამისი პირი უკვე იყო დევნის სამიზნე ან მიადგა სერიოზული ზიანი ან განიცადა ასეთი დევნის ან ზიანის პირდაპირი საფრთხე და არ არსებობს სარწმუნო საფუძველი იმისა, რომ ამგვარი დევნა ან სერიოზული ზიანი არ განმეორდება).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- დევნა

დაკავშირებული ტერმინები

- სანდოობის შეფასება
- სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკი

შენიშვნები

1. აღნიშნული წარმოადგენს პირის ლტოლვილად ცნობისთვის ჟენევის კონვენციითა და ოქმით განსაზღვრული განმარტების საკვანძო ელემენტს. შიშის საფუძვლიანობა მოიცავს როგორც სუბიექტურ ელემენტს (დევნის შიში), ისე ობიექტურ ელემენტს (შიშს უნდა ჰქონდეს ობიექტურად დასაბუთებული საფუძველი). უნდა დადგინდეს ორივე ელემენტი იმისთვის, რომ შიში მიჩნეულ იქნეს დასაბუთებულად „ლტოლვილის“ განმარტების მნიშვნელობის ფარგლებში. 1951 წლის კონვენციის თანახმად, დევნა უნდა უკავშირდებოდეს მითითებული ხუთი საფუძვლიდან ერთ-ერთს: რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობა და პოლიტიკური შეხედულება.

2. სუბიექტური ელემენტი დაკმაყოფილებულია, თუ განმცხადებლის დევნის შიში ნამდვილია. ლტოლვილის სტატუსის განსაზღვრის კონტექსტში 'შიში' განმარტებულია, როგორც საფრთხის შეგრძნება ან გაცნობიერება. მოცემულობა, როდესაც მოქალაქე არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას ან აქვს მეტი პირადი თავისუფლების ან უკეთესი ეკონომიკური პირობების სურვილი, არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად ზემოაღნიშნული ელემენტის ჭრილში (იხ. UNHCR-ის სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ; UNHCR ის ვებგვერდი).

3. ობიექტური ელემენტი დაკმაყოფილებულია, როცა განმცხადებელი ასაბუთებს, რომ არსებობს გონივრული შესაძლებლობა იმისა, რომ ის დაექვემდებარება დევნას, რომლის შიშიც აქვს.

დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის თაობაზე

BG	Диалог по Средиземно транзитната миграция
CS	Dialog o středomořské tranzitní migraci
DE	Dialog über Transitmigration im Mittelmeerraum
EL	Διάλογο για τη μετανάστευση μέσω Μεσογείου
EN	Dialogue on Mediterranean Transit Migration
ES	Diálogo sobre la Migración de Tránsito en el Mediterráneo
ET	Vahemere transiitrände dialoog
FI	Välimeren kauttakulkumuuttoa koskeva vuoropuhelu
FR	Dialogue sur la migration de transit en Méditerranée
GA	Idirphlé maidir le hImirce Idirthurais trasna na Meánmhara
HU	Párbeszéd a Mediterrán Tranzit Migrációról
IT	Dialogo sulla Migrazione di Transito nel Mediterraneo
LT	Migracijos dialogas Viduržemio jūros regiono tranzitui
LV	Vidusjūras tranzīta migrācijas dialogs
MT	Djalogu fuq il-Migrazzjoni tat-Transitu fil-Mediterran
NL	dialoog rond transmigratie in het Middellandse Zeegebied
PL	Dialog nt. migracji tranzytowych w regionie basenu Morza Śródziemnego
PT	Diálogo sobre migração de trânsito no Mediterrâneo
RO	Dialogul cu privire la migrația de tranzit în zona Mediteranei
SK	Dialóg o tranzitnej migrácii v Stredomorí
SL	Dialog o sredozemskih tranzitnih migracijah
SV	Dialogen om transitmigration i Medelhavsområdet
NO	Dialogen om transittmigrasjon i Middelhavet
UK	Діалог про транзитну міграцію в Середземномор'ї

განმარტება

აფრიკის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის მიგრაციის მარშრუტების მიმდებარე - წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნების მიგრაციის სფეროს წარმომადგენელ ოფიციალურ პირთა რეგიონული მთავრობათაშორისი საკონსულტაციო ფორუმი, რომელიც მუშაობს არალეგალურ და შერეულ მიგრაციასთან, ასევე მიგრაციასა და განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და მის მიღმა, რაც გამიზნულია საერთო შეხედულებების ჩამოყალიბებისა და მიგრაციის მართვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული, ყოვლისმომცველი და მდგრადი სისტემების ერთობლივად შესამუშავებლად.

წყარო

ICMPD-ის ვებგვერდი, ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის (MTM) აღწერა

სინონიმი

- MTM

დაკავშირებული ტერმინები

- **აფრიკა-ევროკავშირის პარტნიორობა მიგრაციის, მობილობისა და დასაქმების სფეროებში**
- **დიალოგი 5+5 დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მიგრაციის საკითხებზე**
- **გლობალური მიდგომა მიგრაციასა და მობილობისადმი (GAMM)**
- **მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი (GFMD)**

შენიშვნები

1. დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის თაობაზე (MTM) 2002 წელს დაიწყო და მასში მონაწილეობენ არაბული (APS) და ევროპული პარტნიორი სახელმწიფოების (EPS) და ასევე შვიდი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) წარმოადგენს დიალოგის სამდივნოს. დიალოგი თავდაპირველად მუშაობდა სატრანზიტო მიგრაციის საკითხებზე, წლების განმავლობაში კი მისი მოქმედების სფერო გაფართოვდა და მოიცვა მიგრაციის მართვის სხვადასხვა ასპექტი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ.

2. ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის შესახებ დიალოგი ორ საყრდენს ეფუძნება: პირველი მათგანი მიმართულია ოპერაციულ დონეზე თანამშრომლობის გაღრმავებისკენ არალეგალურ მიგრაციასთან საბრძოლველად, ან, სხვა სიტყვებით, მოკლევადიანი ზომების შემუშავებისკენ კანონიერი საფუძვლის არმქონე მიგრაციულ ნაკადებზე რეაგირებისთვის. მეორე მიმართულება კი უფრო გრძელვადიან პერსპექტივას ემსახურება და ორიენტირებულია არალეგალური ნაკადების გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრაზე, განვითარებაზე მიმართული თანამშრომლობის და მიგრაციის ერთობლივი ეფექტიანი მართვის გზით. ეს მიმართულებები წარმოადგენს სამოქმედო ჩარჩოს კონკრეტული პროექტების, მათ შორის, ურთიერთმკვეთი პროექტების განსახორციელებლად.

დიალოგი 5+5 მიგრაციის საკითხებზე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში

BG	5+5 диалог по въпросите на миграцията в Западното Средиземноморие
CS	Dialog 5+5 o migraci v západním Středomoří
DE	5+5 Dialog über Migration im Westlichen Mittelmeerraum
EL	5+5 Διάλογος για τη Μετανάστευση για τη Δυτική Μεσόγειο
EN	Five plus Five (5+5) Dialogue on Migration in the Western Mediterranean
ES	Diálogo 5+5 sobre migración en el Mediterráneo Occidental
ET	5+5 Vahemere lääneosa rände dialoog
FI	5+5-vuoropuhelu Välimeren länsiosan maiden välillä
FR	Dialogue 5+5 sur la migration en Méditerranée occidentale
GA	Idirphlé 5+5 maidir leis an Imirce i réigiún na Meánmhara Thiar
HU	5+5 Nyugat- Mediterrán Migrációs Párbeszéd
IT	Dialogo 5+5 sulle Migrazioni nel Mediterraneo Occidentale
LT	Vakarų Viduržemio jūros regiono valstybių dialogas „5+5“ migracijos klausimais
LV	5+5 Vidusjūras rietumu valstu dialogs par migrāciju
MT	Djalogu 5+5 fuq il-Migrazzjoni fil-Punent tal-Mediterran
NL	5+5 dialoog over migratie in het Westelijke Middellandsezeegebied
PL	5+5 Dialog na rzecz migracji w zachodniej części Morza Śródziemnego
PT	Diálogo 5+5 para o Mediterrâneo ocidental
RO	5+5 Dialog cu privire la migrație în zona vest Mediteraneeană
SK	Dialóg 5+5 o migrácii v západnom Stredomorí
SL	5+5 Dialog o migracijah v zahodnem Sredozemlju
SV	dialogen mellan länderna i västra Medelhavsområdet / 5+5-dialogen
NO	5+5-dialog om migrasjon i det vestre Middelhavet
UK	Діалог «п’ять плюс п’ять» (5+5) про міграцію в Західному Середземномор’ї

განმარტება

ტრანსხმელთაშუაზღვისპირეთის ფორუმი, რომელიც შეიქმნა, როგორც უსაფრთხოების ინიციატივა ევროკავშირის ხუთ წევრ სახელმწიფოსა და არაბული მაღრიბის ხუთ ქვეყანას შორის უფრო მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად პოლიტიკური დიალოგისა და ეკონომიკური თანამშრომლობის გზით, ასევე, რეგიონული კავშირებისა და განვითარების გასაღრმავებლად არსებული რესურსების უფრო ეფექტიანი მართვის საშუალებით.

წყარო

IOM-ის ვებგვერდი დიალოგი 5+5

სინონიმები

- 5+5 დიალოგი
- დასავლეთი ხმელთაშუაზღვის ფორუმი

დაკავშირებული ტერმინები

- **დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის შესახებ**
- **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**
- **რაბატის პროცესი**

შენიშვნები

1. დასავლეთი ხმელთაშუაზღვისპირეთის ფორუმი, რომელიც ხშირად მოიხსენიება, როგორც 5+5 დიალოგი, ოფიციალურად ამოქმედდა რომში 1990 წელს.

2. ფორუმში მონაწილე არაბული მაღრიბის ხუთი ქვეყანაა: ალჟირი, ლიბია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი; ევროკავშირის ხუთი ქვეყანაა: საფრანგეთი, იტალია, მალტა, პორტუგალია და ესპანეთი. ფორუმის ფასილიტატორია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM). ფორუმის საქმიანობის მიმართულებებია: ინფორმაციის გაცვლა, საერთაშორისო საზღვრების ერთობლივი მართვა, შრომითი მიგრაციის შეთანხმებული ფორმები, მიგრაცია განვითარებისთვის და დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში მიგრანტთა უფლებების დაცვა.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ IOM-ის ვებგვერდი: 5+5 დიალოგი.

დიასპორა

BG	диаспора
CS	diaspora
DE	Diaspora
EL	Διασπορά
EN	diaspora
ES	diáspora
ET	diasporaa
FI	diaspora
FR	diaspora
GA	diaspóra
HU	diaszpóra
IT	diaspora
LT	diaspora
LV	diaspora
MT	Dijaspora
NL	diaspora
PL	Diaspora
PT	diáspora
RO	diaspora
SK	diaspóra
SL	diaspora
SV	diaspora
NO	diaspora
UK	діаспора

განმარტება

ცალკეული პირები ან ქსელის, ასოციაციის ან საზოგადოების წევრები, რომლებმაც დატოვეს თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა, თუმცა ინარჩუნებენ კავშირს სამშობლოსთან.

წყარო

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, მე-2 გამოცემა, 2011 წ.

დაკავშირებული ტერმინი

★ **ცირკულარული მიგრაცია**

შენიშვნები

1. ეს ცნება გულისხმობს ექსპატრიანტთა უფრო დამკვიდრებულ თემს, საზღვარგარეთ დროებით მცხოვრებ შრომით მიგრანტებს, მიმღები ქვეყნის მოქალაქეობის მქონე ექსპატრიანტებს, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს და მეორე/მესამე თაობის მიგრანტებს.

2. ეს არის ზოგადი ტერმინი სამართლებრივი განმარტების გარეშე, რომელიც, შესაძლოა, ასევე მოიცავდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს (და იმიგრანტებს), რომლებსაც ძლიერი კავშირი აქვთ თავიანთ ფესვებთან.

დროებითი გარე საზღვარი

BG	временна външна граница
CS	dočasná vnější hranice
DE	vorläufige Außengrenze
EL	προσωρινά εξωτερικά σύνορα
EN	temporary external border
ES	frontera temporal exterior
ET	ajutine välispiir
FI	väliaikainen ulkoraja
FR	frontière extérieure temporaire
GA	teorainn sheachtrach shealadach
HU	ideiglenes külső határ
IT	frontiera esterna temporanea
LT	laikinoji išorės siena
LV	pagaidu ārējā robeža
MT	Fruntiera esterna temporanja / Konfini esterni temporanji
NL	tijdelijke buitengrens
PL	tymczasowa granica zewnętrzna
PT	fronteira externa temporária
RO	frontieră externă temporară
SK	dočasná vonkajšia hranica
SL	začasna zunanja meja
SV	tillfälliga yttre gränser
NO	midlertidig ytre grense (b); mellombels ytre grense (n)
UK	тимчасовий зовнішній кордон

განმარტებები

საერთო საზღვარი ევროკავშირის ორ წევრ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან ერთი სრულად ახორციელებს შენგენის კანონმდებლობას, ხოლო მეორეს ნაკისრი აქვს შენგენის კანონმდებლობის სრულად განხორციელების ვალდებულება, ევროკავშირთან მისი მიერთების აქტის შესაბამისად, მაგრამ რომელთან მიმართებითაც ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერ არ ამოქმედებულა.

საერთო საზღვარი ევროკავშირის ორ წევრ სახელმწიფოს შორის, რომლებმაც იკისრეს შენგენის კანონმდებლობის სრულად განხორციელების ვალდებულება, ევროკავშირთან მათი მიერთების აქტების შესაბამისად, მაგრამ რომლებთან მიმართებითაც ევროკავშირის საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილება ჯერ არ ამოქმედებულა.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების 574/2007/EC (გადაწყვეტილება გარე საზღვრის ფონდის შესახებ) მე-2(2) მუხლი

დროებითი დაცვა

BG	временна закрила
CS	dočasná ochrana
DE	vorübergehender Schutz
EL	προσωρινή προστασία
EN	temporary protection
ES	protección temporal
ET	ajutine kaitse
FI	tilapäinen suojelu
FR	protection temporaire
GA	cosaint shealadach
HU	ideiglenes védelem
IT	protezione temporanea
LT	laikinoji apsauga
LV	pagaidu aizsardzība
MT	Protezzjoni temporanja
NL	tijdelijke bescherming
PL	tymczasowa ochrona
PT	proteção temporária
RO	protecție temporară
SK	dočasná ochrana (EU acquis); dočasné útočisko
SL	začasna zaščita
SV	tillfälligt skydd
NO	midlertidig beskyttelse (b); mellombels vern (n)
UK	тимчасовий захист

განმარტება

პირთა გადაუდებელი და დროებითი დაცვის მიზნით გატარებული საგანგებო ღონისძიებები მესამე ქვეყნებიდან ადამიანების მასობრივი შემოდინების (ან აღნიშნულის გარდაუვალი ალბათობის) შემთხვევაში, რომლებიც ვერ ბრუნდებიან წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში. დროებითი დაცვა ხორციელდება განსაკუთრებით იმ დროს, როდესაც არსებობს რისკი, რომ თავშესაფრის სისტემა ვერ მოემსახურება ადამიანთა დიდ ნაკადებს ზემოაღნიშნულ და დაცვის მაძიებელ სხვა პირთა ინტერესების სასარგებლოდ სისტემის ეფექტურ ფუნქციონირებაზე ნეგატიური ზეგავლენის გარეშე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) მე-2(a) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ დაცვა

დაკავშირებული ტერმინები

★ (სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი
★ (იძულებითი) გადაადგილება
★ საერთაშორისო დაცვა
★ მასობრივი შემოდინება
★ დამატებითი დაცვა

შენიშვნები

1. დროებითი დაცვის შესახებ დირექტივა წარმოადგენს ჩარჩოდოკუმენტს დროებითი დაცვის სისტემის ასამოქმედებლად, რომელიც ხდება არა ავტომატურად, არამედ მას შემდეგ, რაც ევროკავშირის საბჭო, ევროკომისიის კვალიფიცირებული უმრავლესობის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, ადგენს, რომ მიმდინარეობს გადაადგილებული პირების მასობრივი შემოდინება. 2022 წლის 4 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით (EU) 2022/382 ევროკავშირის საბჭომ ცნო, რომ 2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის სამხედრო შეჭრის შედეგად დაიწყო უკრაინიდან გადაადგილებული პირების მასობრივი შემოდინება. შემოდინების მასშტაბი შეესაბამება დირექტივით დადგენილ კრიტერიუმს.

2. ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან ერთად, 2022 წლის 4 მარტიდან უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ დროებითი ბინადრობის ნებართვა. კერძოდ, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილება ვრცელდება უკრაინიდან 2022 წლის 24 თებერვლიდან გადაადგილებულ შემდეგ პირებზე:

– უკრაინის მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვლამდე ცხოვრობდნენ უკრაინაში;

– მოქალაქეობის არმქონე პირები და მესამე ქვეყნის მოქალაქეები (უკრაინის გარდა), რომლებიც 2022 წლის 24 თებერვლამდე სარგებლობდნენ უკრაინაში საერთაშორისო დაცვით ან უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი ეროვნული დაცვის ანალოგიური რეჟიმით;

– პირველი ორი კატეგორიით განსაზღვრულ პირთა ოჯახის წევრები, იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი უკრაინის მოქალაქეები არ არიან.

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების მე-2(2) მუხლის თანახმად, აღნიშნული ასევე ვრცელდება მოქალაქეობის არმქონე პირებზე და მესამე ქვეყნების მოქალაქეებზე (უკრაინის გარდა), რომლებსაც შეუძლიათ დაადასტურონ, რომ ისინი 2022 წლის 24 თებერვლამდე ლეგალურად, უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული მოქმედი ბინადრობის ნებართვის საფუძველზე ცხოვრობდნენ უკრაინაში და არ შეუძლიათ უსაფრთხოდ და მუდმივად დაბრუნდნენ თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში ან რეგიონში. გადაწყვეტილების მე-2(3) მუხლის მიხედვით, ევროკავშირის წევრი ქვეყნები უფლებამოსილი არიან, გამოიყენონ საბჭოს გადაწყვეტილება მოქალაქეობის არმქონე და მესამე ქვეყნების (უკრაინის გარდა) სხვა მოქალაქეთა მიმართ, რომლებიც კანონიერად ცხოვრობდნენ უკრაინაში და არ შეუძლიათ უსაფრთხოდ და ხანგრძლივი ვადით დაბრუნდნენ თავიანთ ქვეყნებსა თუ რეგიონში.

3. დროებითი დაცვის შესახებ დირექტივა ადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, რომლის მიზანია დროებითი დაცვის ინიციირება, გაგრძელება ან დასრულება. დირექტივა ითვალისწინებს დროებითი დაცვის მიმღები პირებისთვის ევროკავშირის დონეზე ჰარმონიზებულ შემდეგ უფლებებს:

– ბინადრობის ნებართვა დაცვის სრული პერიოდის განმავლობაში (ერთიდან სამ წლამდე);
– შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება დროებითი დაცვის თაობაზე;
– დასაქმების ხელმისაწვდომობა;
– საცხოვრისის ხელმისაწვდომობა;
– სოციალური დაცვისა და საარსებო საშუალებების ხელმისაწვდომობა;
– სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა;
– განათლების ხელმისაწვდომობა არასრულწლოვანთათვის;
– ოჯახის გაერთიანების უფლებით სარგებლობა შესაბამისი გარემოებების არსებობისას;
– თავშესაფრის სტანდარტული პროცედურის ხელმისაწვდომობის გარანტიები.

ასევე, შემუშავდა სპეციალური დებულებები თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანებისთვის და მძიმე ტრავმის (როგორიცაა გაუპატიურება, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა) გამოცდილების მქონე პირებისთვის.

4. დროებითი დაცვის მოთხოვნის უფლება გარანტირებულია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის უფლებასთან ერთად. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) განმცხადებელს უფლებას აძლევს, საერთაშორისო დაცვა ნებისმიერ დროს მოითხოვოს. ასევე, დროებითი დაცვა არ ახდენს გავლენას ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების წესზე მაკვალიფიცირებელი დირექტივით დადგენილი პროცედურის შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა გაგრძელდება, ისევე როგორც ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დადგენილი პროცედურული წესები და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დადგენილი, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთათვის სტატუსის მინიჭების მარეგულირებელი წესები.

5. დირექტივა შეიცავს დებულებებს გადაადგილებულ პირთა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნების შესახებ და დებულებებს იმ პირთა დროებითი დაცვის გარეშე დატოვების ('გამორიცხვის') შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული ან წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისთვის.

6. ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა აღნიშნული დირექტივა თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობებში ასახეს. მეტი ინფორმაცია წევრი ქვეყნების ეროვნულ დონეზე დადგენილი პროცედურების და შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებების შესახებ მოცემულია ევროკომისიის ვებგვერდზე „ევროკავშირი უკრაინის გვერდით დგას" და (ევროკომისიის) ვებგვერდზე „ინფორმაცია უკრაინიდან ომის გამო გადაადგილებული პირებისთვის".

7. დროებითი დაცვის შესახებ დირექტივა, არსებითად, ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოზე ვრცელდება, თუმცა დანიამ უარი განაცხადა მის გამოყენებაზე და ამის სანაცვლოდ, ამუშავებს ახალ საკანონმდებლო ნორმას, რომლის მიხედვითაც უკრაინიდან გადაადგილებულ მოქალაქეებს აღარ ესაჭიროებათ თავშესაფრის მოთხოვნა, არამედ, უფლება აქვთ, პირდაპირ მოითხოვონ დროებითი ბინადრობის ნებართვა, რაც ამავდროულად, სწავლისა და მუშაობის უფლებას ითვალისწინებს. ახალი კანონი გავრცელდება უკრაინის მოქალაქეებზე,

უკრაინაში ლტოლვილის სტატუსის მქონე პირებზე, ასევე, მათ თანმხლებ ოჯახის ძირითად და სხვა წევრებზე, რომლებიც ერთ შინამეურნეობას წარმოადგენენ. მეტი ინფორმაციისთვის იხ. დანიის იმიგრაციის სამსახურის ვებგვერდი.

8. შვეიცარიასა და ნორვეგიაში ამოქმედდა ევროკავშირის მიერ შემოღებული დროებითი დაცვის ანალოგიური მექანიზმი. შვეიცარიაში ომს გარიდებულ უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ აიღონ „S“ კატეგორიის დროებითი ნებართვა, რაც მათ ბინადრობის და დაუყოვნებლივ მუშაობის უფლებას ანიჭებს. ნორვეგია უკრაინელებს სთავაზობს დროებით კოლექტიურ დაცვას, რომელიც (თუმცა) არ ანაცვლებს მუდმივი ბინადრობის უფლების საფუძვლებს. ორივე ქვეყანამ დროებით გააუქმა განცხადებების ინდივიდუალური შეფასების პროცედურა, რაც უზრუნველყოფს ნაკლებად ბიუროკრატიულ და დაჩქარებულ პროცესს.

9. გაერთიანებულ სამეფოში ამოქმედდა „უკრაინის საოჯახო სქემა“ (‘Ukraine Family Scheme’), რომელიც გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეების, (გაერთიანებულ სამეფოში) ბინადრობის უფლების მქონე პირებისა და განსაზღვრული კატეგორიის სხვა პირების ოჯახის წევრებს გაერთიანებულ სამეფოში შესვლისა და ყოფნის უფლებას აძლევს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. გაერთიანებული სამეფოს საშინაო საქმეთა ოფისის ვებგვერდი: „გაერთიანებულ სამეფოში იმიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია უკრაინის მოქალაქეებისთვის, ბრიტანეთის მოქალაქეებისთვის და სხვა პირებისთვის.“ დამატებით, გაერთიანებული სამეფოს მთავრობამ განაცხადა, რომ გეგმავს „სპონსორობის“ (მხარდაჭერის) ახალი მექანიზმის შექმნას უკრაინის იმ მოქალაქეთათვის, რომლებსაც გაერთიანებულ სამეფოში ნათესაური კავშირები არ აქვთ („სახლები უკრაინისთვის“ (‘Homes for Ukraine’). სქემა საშუალებას აძლევს „სპონსორებს“ (მხარდამჭერ პირებს), როგორებიც არიან თემი/გაერთიანება, კერძო პირი ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანო, დაეხმარონ ომს გარიდებულ უკრაინის მოქალაქეებს გაერთიანებულ სამეფოში ჩასვლაში. სქემა არ ითვალისწინებს რაიმე სახის შეზღუდვას და სქემით მოსარგებლეებს ექნებათ გაერთიანებულ სამეფოში 12 თვით დარჩენის, მუშაობის და სახელმწიფო სერვისებზე წვდომის უფლება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო ვებგვერდზე განთავსებული, უკრაინის მოქალაქეთა სავიზო მხარდაჭერასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

დროებითი დაცვის მქონე პირი

BG	лице, ползващо се с временна закрила
CS	poživatel dočasné ochrany
DE	Person, die vorübergehenden Schutz genießt / Person, die temporären Schutz genießt
EL	άτομο που απολαύει προσωρινής προστασίας
EN	person enjoying temporary protection
ES	persona beneficiaria de protección temporal
ET	ajutise kaitse saaja
FI	tilapäistä suojelua saava henkilö
FR	personne bénéficiant d'une protection temporaire
GA	tairbhí de chosaint shealadach
HU	ideiglenes védelmet élvező személy / átmeneti védelmet élvező személy
IT	Beneficiario di protezione temporanea
LT	asmuo, kuriam suteikta laikinoji apsauga
LV	pagaidu aizsardzību ieguvusī persona
MT	Persuna tgawdi minn protezzjoni temporanja
NL	begunstigde van tijdelijke bescherming
PL	osoba korzystająca z ochrony czasowej
PT	Beneficiário de protecção temporária
RO	persoană care beneficiază de protecție temporară
SK	osoba požívajúca dočasnú ochranu (EU acquis); osoba s dočasným útočiskom / osoba s poskytnutým dočasným útočiskom / odídenec
SL	oseba, ki uživa začasno zaščito
SV	person som åtnjuter tillfälligt skydd
NO	Person som har kollektiv beskyttelse (b); person som har kollektivt vern (n)
UK	особа, яка користується тимчасовим захистом

განმარტება

პირი, რომელსაც მიენიჭა დაცვა ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ)

სინონიმი

★ დროებითი დაცვის მიმღები პირი

დაკავშირებული ტერმინები

★ **დროებითი დაცვა**
★ **საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი**
★ **დამატებითი დაცვის მიმღები პირი**

შენიშვნა

დროებითი დაცვის შესახებ ევროკავშირის საბჭოს დირექტივის ამოქმედების შემთხვევაში ევროკომისია ზოგჯერ იყენებს ტერმინს 'დროებითი დაცვის მიმღები პირი' (იხ. DG Home-ის ვებგვერდი: დროებითი დაცვა), თუმცა ეს ტერმინი დროებითი დაცვის დირექტივის კონტექსტში არ გამოიყენება.

დროებითი მიგრაცია

BG	временна миграция
CS	dočasná migrace
DE	temporäre Migration
EL	προσωρινή μετανάστευση
EN	temporary migration
ES	migración temporal
ET	ajutine sisseränne
FI	tilapäinen maahanmuutto
FR	migration temporaire
GA	imirce shealadach
HU	ideiglenes migráció
IT	migrazione temporanea
LT	trumpalaikė migracija
LV	īslaicīga migrācija
MT	Migrazzjoni temporanja
NL	tijdelijke migratie
PL	migracja tymczasowa
PT	migração temporária
RO	migrație temporară
SK	dočasná migrácia
SL	začasna migracija
SV	tillfällig migration
NO	midlertidig migrasjon (b); mellombels migrasjon (n)
UK	тимчасова міграція

განმარტება

მიგრაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნების ან მომდევნო გადაადგილების კონკრეტული მოტივით და/ან განზრახვით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

★ გრძელვადიანი მიგრაცია

★ მოკლევადიანი მიგრაცია

შენიშვნა

ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებასთან მიმართებით ეს შეიძლება განხილული იქნეს, მათ შორის, ცირკულარული მიგრაციის და/ან სეზონური მუშაკების კონტექსტში.

დროებითი საერთაშორისო განსახლების ინიციატივა (TIRI)

BG	инициатива за временно преместване в друга държава
CS	dočasná mezinárodní relokační iniciativa
DE	vorübergehende internationale Umsiedlungsinitiative
EL	πρωτοβουλία προσωρινής διεθνούς μετεγκατάστασης (TIRI)
EN	temporary international relocation initiative (TIRI)
ES	n/a
ET	ajutine rahvusvahelise ümberpaigutamise algatus
FI	aloite kansainvälisistä tilapäisistä siirroista
FR	initiative de relocalisation internationale temporaire
GA	Tionscnamh um Athshocrú Sealadach Idirnáisiúnta (TASI)
HU	Ideiglenes nemzetközi relokációs kezdeményezés
IT	iniziativa per la ricollocazione temporanea internazionale
LT	laikino tarptautinio perkėlimo iniciatyva
LV	pagaidu starptautiskās pārcelšanas iniciatīva
MT	Inizzjattiva Temporanja Internazzjonali għar-Rilokazzjoni (ITIR)
NL	tijdelijk internationaal relocatie initiatief / tijdelijk internationaal herplaatsingsinitiatief (BE)
PL	międzynarodowa inicjatywa relokacji tymczasowej
PT	iniciativa de recolocação internacional temporária (TIRI)
RO	n/a
SK	iniciatíva dočasnej medzinárodnej relokácie
SL	pobuda za začasno mednarodno premestitev
SV	n/a
NO	temporary international relocation initiative (TIRI)
UK	ініціатива про тимчасове переселення за кордон (TIRI)

განმარტება

მესამე ქვეყანაში საფრთხის ქვეშ მყოფ ადამიანის უფლებების დამცველთა (HRDs) სწრაფი დახმარებისა და დაცვის მიზნით მიღებული ზომები, რომლებიც გულისხმობს უსაფრთხოების პრევენციული ზომების გატარებას ამ პირთა მათივე წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში, რეგიონში ან საზღვარგარეთ, ალტერნატიულ საცხოვრებელ ადგილზე განთავსების გზით. აღნიშნული ხორციელდება პირდაპირი და აშკარა საფრთხის არსებობისას და საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს საგანგებო წესით ვიზების გაცემას და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დროებითი თავშესაფრის უზრუნველყოფას.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის დროებითი განსახლების პლატფორმა (EUTRP)

ადამიანის უფლებების დამცველთა ვებგვერდი

სინონიმი

★ TIRI

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ადამიანის უფლებები**

დაკავშირებული ტერმინი

★ **(ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება**

შენიშვნები

1. ადამიანის უფლებათა დამცველები (HRDs) ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, მშვიდობიანი გზებით, მოქმედებენ სხვათა ინტერესების დაცვისთვის, ადამიანის საერთაშორისოდ აღიარებული უფლებების უზრუნველსაყოფად. UNHCR-ის ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი გვაწვდის დეტალურ აღწერილობას, თუ ვინ არიან ადამიანის უფლებათა დამცველები და რას საქმიანობენ ისინი, ასევე, ინფორმაციას სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის შესახებ ადამიანის უფლებათა დამცველებთან დაკავშირებით. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ

2. ადამიანის უფლებათა დამცველების საზღვარგარეთ განთავსებამდე მიღებული უნდა იქნეს პრევენციული ზომები მათი პირადი უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით. თუ განსახლება გარდაუვალია, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს საკუთარ ქვეყანაში ან რეგიონში ალტერნატიულ განთავსებას, რაც უფლებადამცველებს საშუალებას მისცემს, განაგრძონ საქმიანობა თავიანთ სახელმწიფოსთან ახლოს.

3. დროებითი განსახლების მიზნით გაცემული ვიზები წარმოადგენს საფრთხის ქვეშ მყოფ და განსახლების საჭიროების მქონე უფლებადამცველთა დაცვის ერთ-ერთ საშუალებას.

4. ევროკომისიის ინიციატივით, ადამიანის უფლებების დამცველთა დროებითი განსახლების პროცესში ჩართულ სუბიექტთა კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიზნით სპეციალური პლატფორმა შემუშავდა. აღნიშნული სუბიექტები, შესაძლოა, მდებარეობდნენ ევროპაში ან იმ

დროებითი საერთაშორისო განსახლების ინიციატივა (TIRI) [გაგრძ.]

ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც უფლებადამცველები საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. პლატფორმის კოორდინაცია ხორციელდება ადამიანის უფლებების დამცველებზე მიმართული ევროკავშირის მექანიზმის (ProtectDefenders.eu) ფარგლებში. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი ევროკავშირის ადამიანის უფლებათა დამცველების შესახებ

5. ევროკავშირში დროებითი განსახლების საერთაშორისო ინიციატივა განსხვავდება ევროკავშირის განსახლების მექანიზმისგან, რომელიც უზრუნველყოფს დაცვის საჭიროების მქონე ან დაცვის სტატუსის მქონე პირთა გადაყვანას ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორე წევრ სახელმწიფოში, რომელიც პირს უზრუნველყოფს მსგავსი დაცვით ან განიხილავს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებას. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი 'განსახლება (ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში)'.

6. თავშესაფარი ქალაქების საერთაშორისო ქსელი (ICORN) არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც, გამოხატვის თავისუფლების, დემოკრატიული ღირებულებების დაცვისა და საერთაშორისო სოლიდარობის განმტკიცების მიზნით, აერთიანებს იმ ქალაქებსა და რეგიონებს, რომლებიც თავშესაფრით უზრუნველყოფენ რისკის ქვეშ მყოფ მწერლებსა და ხელოვანებს. ქსელი დაარსდა 2006 წლის 9 ივნისს სტავანგერში (ნორვეგია), მისი წინამორბედის - 1993 წელს მწერალთა საერთაშორისო პარლამენტის მიერ დაფუძნებული „თავშესაფრის ქალაქების ქსელის" (INCA) გაუქმების კვალდაკვალ. მას შემდეგ ქსელში მსოფლიოს 70-ზე მეტი ქალაქი გაერთიანდა და 200-მდე მწერალმა და არტისტმა მიიღო თავშესაფარი ICORN-ის წევრ ქალაქებში. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ICORN-ის ვებგვერდი.

დუბლინის კონვენცია

BG	Дъблинска конвенция
CS	Dublinská úmluva
DE	Dubliner Übereinkommen
EL	Σύμβαση του Δουβλίνου
EN	Dublin Convention
ES	Convenio de Dublín
ET	Dublini konventsioon
FI	Dublinin yleissopimus
FR	Convention de Dublin
GA	Coinbhinsiún Bhaile Átha Cliath
HU	Dublini Egyezmény
IT	Convenzione di Dublino
LT	Dublino konvencija
LV	Dublinas konvencija
MT	Konvenzjoni (Il-) ta' Dublin
NL	Overeenkomst van Dublin
PL	Konwencja Dublińska
PT	Convenção de Dublin
RO	Convenția Dublin
SK	Dublinský dohovor
SL	Dublinska konvencija
SV	Dublinkonventionen
NO	Dublin-konvensjonen
UK	Дублінська конвенція

განმარტება

კონვენცია, რომელიც ადგენს ევროკავშირის ერთერთ წევრ სახელმწიფოში თავშესაფრის მოთხოვნით შეტანილი განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს.

წყარო

დუბლინის კონვენცია

დაკავშირებული ტერმინები

- დუბლინის პროცედურა
- დუბლინის რეგულაცია
- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად
- ევროდაკი (Eurodac)
- ბრძანება გადაყვანის შესახებ

შენიშვნები

1. დუბლინის კონვენციას ხელი მოეწერა დუბლინში 1990 წლის 15 ივნისს და ძალაში შევიდა 1997 წლის 1 სექტემბერს პირველი 12 ხელმომწერი მხარისთვის. შემდგომ ხელშეკრულების მოქმედება გავრცელდა ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებზე, ასევე, რამდენიმე არაწევრ სახელმწიფოზე.

2. დუბლინის კონვენცია ჩანაცვლდა ევროკავშირის საბჭოს რეგულაციით N343/2003 (დუბლინის II რეგულაცია). შესაბამისად, კონვენცია ძალადაკარგულად გამოცხადდა 2003 წლის 16 მარტს.

დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები

BG	критерии по Регламента „Дъблин“
CS	Dublinská kritéria
DE	Dublin-Kriterien
EL	Κριτήρια του Κανονισμού Δουβλίνου
EN	Dublin criteria
ES	criterios del Reglamento de Dublín / criterios de responsabilidad
ET	Dublini kriteeriumid
FI	Dublin-perusteet
FR	critères de Dublin
GA	critéir Bhaile Átha Cliath
HU	dublini kritériumok / felelősségi feltételek
IT	Criteri di determinazione dello Stato competente ai sensi del Regolamento Dublino
LT	Dublino reglamento kriterijai
LV	Dublinas kritēriji
MT	riterji ta' Dublin / kriterji ta' responsabbiltà
NL	Dublin criteria
PL	kryteria dublińskie / kryteria ustalania odpowiedzialności
PT	critérios de Dublin
RO	criterii Dublin / criterii de responsabilitate
SK	dublinské kritériá
SL	dublinska merila
SV	Dublinkriterier
NO	n/a
UK	Дублінські критерії

განმარტება

ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) შესაბამისად, იერარქიის დაცვით გამოიყენება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს განსაზღვრის მიზნით, მას შემდეგ, რაც მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი პირველად შეიტანს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მესამე თავი

IATE-ს ტერმინოლოგიური ლექსიკონი, ტერმინის 'დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები' განმარტება

სინონიმი

★ დუბლინის რეგულაციით პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის კრიტერიუმი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დუბლინის რეგულაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **დუბლინის პროცედურა**

★ **გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად**

შენიშვნები

1. პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები (მათი იერარქიის დაცვით):

– ოჯახთან დაკავშირებული გარემოებები (თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანების და ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვა);

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ვიზის ან ბინადრობის ნებართვის ფლობის ფაქტი უახლოეს წარსულში;

– მესამე ქვეყნის მოქალაქე განმცხადებლის მიერ ევროკავშირში შესვლის კანონიერება (კანონიერი თუ არაკანონიერი საფუძვლის არსებობა შესვლისას).

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-7 მუხლის მიხედვით, კრიტერიუმები გამოყენებული უნდა იქნეს რეგულაციის მე-3 თავში მოცემული იერარქიით, რაც ნიშნავს, რომ მაგ., მე-8 მუხლში მოცემული კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მე-9 მუხლში მოცემული კრიტერიუმი აღარ განიხილება.

2. როგორც დუბლინის III რეგულაციის პრაქტიკაში აღსრულების შეფასებამ აჩვენა, მიუხედავად იმისა, რომ ოჯახის ერთიანობის კრიტერიუმი ერთ-ერთი პირველია (დუბლინის პროცედურის ფარგლებში დადგენილ) შეფასების კრიტერიუმებს შორის, პრაქტიკაში, უმეტესად, შესაბამის დოკუმენტაციასთან და ევროკავშირში შესვლის პირველ პუნქტთან დაკავშირებული კრიტერიუმები გამოიყენება (დუბლინის III რეგულაციის მუხლები 12 და 13). მეტი ინფორმაციისთვის იხ. DG Home: დუბლინის III რეგულაციის შეფასება, საბოლოო ანგარიში, 2016 წლის 18 მარტი

დუბლინის პროცედურა

BG	Дъблинска процедура / процедура за определяне на държавата членка, компетентна за разглеждането на молба за международна закрила
CS	dublinské řízení
DE	Dublin-Verfahren
EL	διαδικασία του Δουβλίνου
EN	Dublin procedure
ES	Procedimiento de Dublin
ET	Dublini menetlus
FI	Dublin-menettely
FR	procédure de Dublin
GA	nós imeachta Bhaile Átha Cliath
HU	Dublini eljárás
IT	procedura Dublino
LT	procedūra pagal Dublino reglamentą
LV	Dublinas procedūra
MT	Proċedura (Il-) ta' Dublin
NL	Dublinprocedure
PL	procedura dublińska
PT	procedimento de Dublin
RO	procedura Dublin
SK	dublinské konanie
SL	Dublinski postopek
SV	Dublinprocess
NO	Dublin-prosedyren
UK	Дублінська процедура

განმარტება

პროცესი, რომელიც განსაზღვრავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ შეტანილი განცხადების განხილვაზე ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) საფუძველზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულა-ციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-20 მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- დუბლინის კონვენცია
- დუბლინის რეგულაცია
- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად
- ევროდაკი (Eurodac)
- ბრძანება გადაყვანის შესახებ

დუბლინის რეგულაცია

BG	Регламент Дъблин
CS	Dublinské nařízení
DE	Dublin-Verordnung
EL	Κανονισμός του Δουβλίνου
EN	Dublin Regulation
ES	Reglamento de Dublín
ET	Dublini määrus
FI	Dublin-asetus
FR	règlement Dublin
GA	Rialachán Bhaile Átha Cliath
HU	dublini rendelet
IT	Regolamento di Dublino
LT	Dublino reglamentas
LV	Dublinas regula
MT	Regolament (Ir-) ta' Dublin
NL	Dublinverordening
PL	Rozporządzenie Dublińskie
PT	Regulamento de Dublin
RO	Regulamentul Dublin
SK	Dublinské nariadenie
SL	Dublinska Uredba
SV	Dublinförordningen
NO	Dublin-forordningen (b); Dublin-forordninga (n)
UK	Дублінський регламент

განმარტება

რეგულაცია ადგენს ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს განსაზღვრის კრიტერიუმებსა და მექანიზმებს, რომელიც პასუხისმგებელია მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში შეტანილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია)

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები
- დუბლინის პროცედურა
- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად
- ბრძანება გადაყვანის შესახებ

დაკავშირებული ტერმინები

- თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა
- დუბლინის კონვენცია
- ევროდაკი (Eurodac)

შენიშვნები

1. დუბლინის რეგულაცია ამოქმედდა 2014 წლის 1 იანვარს და სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, ისევე როგორც შენგენთან ასოცირებული ოთხი სახელმწიფოსთვის - შვეიცარია, ისლანდია, ლიხტენშტაინი და ნორვეგია.
2. მეტი ინფორმაციისთვის დუბლინის რეგულაციის შესახებ იხ. DG Home-ის ვებგვერდი.

ევრასილი (Eurasil)

BG	Евроазил
CS	Eurasil
DE	Netzwerk für Asylpraktiker der Europäischen Union / Eurasil
EL	το δίκτυο EURASIL της ΕΕ για τους ασχολούμενους με το άσυλο
EN	Eurasil
ES	Eurasil
ET	Eurasil
FI	Eurasil
FR	Eurasil
GA	Eurasil
HU	Eurasil
IT	Eurasil
LT	Eurasil
LV	Eurasil
MT	Eurasil
NL	Eurasil
PL	Eurasil
PT	Eurasil
RO	Eurasil
SK	Eurasil
SL	Eurasil
SV	Eurasil
NO	Eurasil
UK	Eurasil

განმარტება

თავშესაფრის სფეროს პრაქტიკოსთა ევროკავშირის ქსელი (ევრასილი/Eurasil) წარმოადგენს პლატფორმას, რომლის საშუალებითაც ხდება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ ინფორმაციის, საუკეთესო პრაქტიკისა და პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციის გაცვლა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, თავშესაფრის მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და ევროკომისიას შორის და რომლის მიზანია თავშესაფრის მაძიებელთა დაცვის საჭიროებების შეფასების და ამ საკითხისადმი არსებული მიდგომების ურთიერთთავსებადობის გაუმჯობესება და გაზრდა.

წყარო

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი SEC (2006) 189 – გაზრდილი პრაქტიკული თანამშრომლობის შესახებ კომისიის კომუნიკეს დანართი C (COM(2006) 67 საბოლოო რედაქცია)

დაკავშირებული ტერმინები

- **თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)**
- **ინფორმაცია წარმოშობის (წარმომავლობის) ქვეყნის შესახებ (COI)**
- **ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO)**

შენიშვნები

1. ევრასილი დაარსდა 2002 წლის ივლისში ევროკომისიის მიერ, მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის (Coreper II) მიერ 6 მარტს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის შედეგად შეწყდა საზღვრის კვეთისა და იმიგრაციის საკითხებზე ინფორმაციის მიმოცვლისა და ანალიზის ცენტრის (CIREFI) საქმიანობა.

2. ევრასილის შეხვედრებს ესწრებოდნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ასევე, შვეიცარიის, ნორვეგიისა და ისლანდიის სამინისტროებისა და თავშესაფრის საკითხებში უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლები. მოწვეული ექსპერტების რანგში შეხვედრებს ასევე ესწრებოდნენ UNHCR და IOM.

3. EASO-მ დაფუძნების დღიდან პასუხისმგებლობა აიღო ევრასილზე და გააფართოვა აღნიშნული ქსელის საქმიანობა (EASO-ს პრაქტიკული თანამშრომლობა).

ევროდაკი (Eurodac)

BG	Евродак
CS	Eurodac
DE	Eurodac
EL	Eurodac
EN	Eurodac
ES	Eurodac
ET	Eurodac
FI	Eurodac
FR	Eurodac
GA	Eurodac
HU	Eurodac
IT	Eurodac
LT	Eurodac
LV	Eurodac
MT	Eurodac
NL	Eurodac
PL	Eurodac
PT	Eurodac
RO	Eurodac
SK	Eurodac
SL	Eurodac
SV	Eurodac
NO	Eurodac
UK	Eurodac

განმარტება

საინფორმაციო სისტემა, რომლის მიზანია თითის ანაბეჭდების შეგროვების, დაკავშირების (ერთიან ბაზაში ასახვის) და შედარების გზით ხელი შეუწყოს იმის განსაზღვრას, თუ რომელი წევრი სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) თანახმად, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შეტანილი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე, აგრეთვე, სხვა შესაბამისი გზებით შეუწყოს ხელი აღნიშნული რეგულაციის მოქმედებას, ევროდაკის (Eurodac) შექმნის შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის პირობების შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N603/2013 (რეგულაცია ევროდაკის (Eurodac) შესახებ) 1-ელი მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- დუბლინის კონვენცია
- დუბლინის რეგულაცია

შენიშვნა

ევროდაკის (Eurodac) სისტემის ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა აიღონ 14 წელზე მეტი ასაკის თითოეული თავშესაფრის მაძიებლის თითის ანაბეჭდები. ამის შემდეგ ხდება აღებული თითის ანაბეჭდების შედარება სხვა მონაწილე სახელმწიფოების მიერ აღებულ თითის ანაბეჭდებთან, რომლებიც შენახულია თითის ანაბეჭდებით იდენტიფიცირების ავტომატიზებული სისტემის (AFIS) ცენტრალურ მონაცემთა ბაზაში. თუ ევროდაკის სისტემამ აჩვენა, რომ თითის ანაბეჭდები უკვე არსებობს, შესაძლებელია თავშესაფრის მაძიებლის დაბრუნება იმ ქვეყანაში, სადაც თავდაპირველად აიღეს მისი თითის ანაბეჭდები.

ევროკავშირის არამოქალაქე პირი

BG	гражданин на трета страна
CS	osoba, která není občanem EU / státní příslušník třetí země
DE	Nicht-EU-Bürger
EL	υπήκοος τρίτης χώρας / αλλοδαπός υπήκοος / αλλοδαπός πολίτης / υπήκοος μη κοινοτικής χώρας / υπήκοος χώρας που δεν ανήκει στην ΕΕ
EN	non-EU national
ES	nacional de tercer país
ET	Mitte-EL kodanik
FI	EU:hun kuulumattoman valtion kansalainen
FR	non-ressortissant d'un État membre
GA	náisiúnach neamh-AE
HU	nem EU-s állampolgár
IT	cittadino non comunitario
LT	ne ES pilietis
LV	persona bez ES pilsonības
MT	Ċittadin(a) ta' pajjiż barra l-UE / mhux fl-UE
NL	derdelander / niet-EU onderdaan
PL	obywatel państwa trzeciego
PT	nacional de país terceiro
RO	cetățean al unui stat terț
SK	štátny príslušník tretej krajiny / osoba, ktorá nie je občanom EÚ
SL	ne-državljan EU
SV	icke-EU-medborgare / tredjelandsmedborgare
NO	borger av et land som ikke er medlem i EU (b); borgar av eit land som ikkje er medlem i EU (n)
UK	негромадянин ЄС

განმარტება

ნებისმიერი პირი, რომელსაც არ აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მე-20(1) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ მესამე ქვეყნის მოქალაქე

დაკავშირებული ტერმინები

★ უცხოელი

★ ევროკავშირის მოქალაქე

შენიშვნა

ეს ნიშნავს, რომ ნორვეგიის, ისლანდიის, ლიხტენშტაინის და შვეიცარიის მოქალაქეები არ არიან ევროკავშირის მოქალაქეები, მაგრამ ისინი არც მესამე ქვეყნის მოქალაქეები არიან, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ აქვთ ევროკავშირში თავისუფალი მიმოსვლის უფლება.

ევროკავშირის გარე საზღვარი

BG	външна граница на ЕС
CS	vnější hranice EU
DE	EU-Außengrenze
EL	εξωτερικά σύνορα της ΕΕ
EN	external EU border
ES	frontera exterior (UE)
ET	EL välispiir
FI	EU:n ulkoraja
FR	frontière extérieure de l'UE
GA	teorainn sheachtrach AE
HU	külső határ
IT	frontiera esterna UE
LT	ES išorės siena
LV	ES ārējā robeža
MT	Konfini (Il-) esterni / Fruntiera (Il-) esterna tal-UE
NL	EU buitengrens
PL	granica zewnętrzna UE
PT	fronteira externa
RO	frontiere externe UE
SK	vonkajšia hranica EÚ
SL	zunanja meja EU
SV	yttre EU-gräns
NO	ytre grense for Schengen-medlemsland
UK	зовнішній кордон ЄС

განმარტება

შენგენის წევრ სახელმწიფოთა საზღვრის ის მონაკვეთები, მათ შორის, სახმელეთო საზღვრები, მდინარეებსა და ტბებზე გამავალი საზღვრები, საზღვაო საზღვრები და მათი აეროპორტები, მდინარის პორტები და ტბის პორტები, რომლებიც არ წარმოადგენს შენგენის სხვა წევრ სახელმწიფოსთან საერთო საზღვარს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულა-ციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(2) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- სასაზღვრო კონტროლი
- ევროკავშირის შიდა საზღვარი
- კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა
- ლეგალური შესვლა
- უარი შესვლაზე
- შენგენის სასაზღვრო კოდექსი

შენიშვნები

1. ირლანდია არ შედის შენგენის ზონაში.
2. ბულგარეთი და რუმინეთი არიან შენგენის კანდიდატი ქვეყნები.
3. ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია და შვეიცარია არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, მაგრამ არიან შენგენის წევრი სახელმწიფოები.
4. შენგენის წევრობის შესახებ განახლებული ინფორმაცია იხ. ვებგვერდზე: DG Home: ევროკავშირის სასაზღვრო, სავიზო და შენგენთან დაკავშირებული პოლიტიკა.

ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO)

BG	Европейска служба за подкрепа в областта на убежището
CS	Evropský podpůrný úřad pro otázky azylu
DE	Europäisches Unterstützungsbüro für Asylfragen
EL	Ευρωπαϊκό Γραφείο Υποστήριξης για το Άσυλο
EN	European Asylum Support Office (EASO)
ES	Oficina Europea de Apoyo al Asilo
ET	Euroopa Varjupaigaküsimuste Tugiamet
FI	Euroopan turvapaikka-asioiden tukivirasto
FR	Bureau européen d'appui en matière d'asile
GA	an Oifig Tacaíochta Eorpach do Chúrsaí Tearmainn
HU	Európai Menekültügyi Támogatási Hivatal
IT	Ufficio Europeo di Sostegno per l'Asilo
LT	Europos prieglobsčio paramos biuras
LV	Eiropas Patvēruma atbalsta birojs
MT	Uffiċċju (L-)ta' Appoġġ Ewropew fil-Qasam tal-Ażil
NL	Europees Ondersteuningsbureau voor Asielzaken; Europees asielondersteuningsbureau (BE)
PL	Europejski Urząd Wsparcia w dziedzinie Azylu
PT	Gabinete Europeu de Apoio ao Asilo
RO	Biroul European de Sprijin în domeniul Azilului
SK	Európsky podporný úrad pre azyl
SL	Evropski azilni podporni urad
SV	Europeiska byrån för samarbete i asylfrågor
NO	Det europeiske støttekontoret på asylfeltet
UK	Європейське бюро з питань надання притулку (EASO)

განმარტება

ევროკავშირის სააგენტო, რომელსაც ეკისრება სამი მთავარი პასუხისმგებლობა: თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) თანმიმდევრული განხორციელებისა და განვითარების ხელშეწყობა, თავშესაფრის საკითხებზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობა და გაძლიერება და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ოპერატიული დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფა და/ან კოორდინაცია თავშესაფრისა და მიღების სისტემებზე განსაკუთრებული ზეწოლის პირობებში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N439/2010 (რეგულაცია ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის (EASO) შესახებ) 1-ელი და მე-2 მუხლები

სინონიმი

- EASO

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- საერთაშორისო დაცვა

დაკავშირებული ტერმინები

- თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)
- ევრასილი (Eurasil)
- ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)
- მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)
- ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)
- ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)
- საიმიგრაციო სამსახურების გენერალურ დირექტორთა კონფერენცია (CDISC)

შენიშვნები

1. ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO) წარმოადგენს თავშესაფრის საკითხებში ექსპერტული ცოდნის ევროპულ ცენტრს, რომელიც პასუხისმგებელია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის თავშესაფრის საკითხის მრავალ სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობაზე, კოორდინაციასა და გაძლიერებაზე, რათა ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უკეთ შეძლონ საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფა მათთვის, ვისაც მისი მიღების უფლება აქვს და ასევე სამართლიანად და ეფექტიანად მოაგვარონ იმ პირების საკითხი, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ საერთაშორისო დაცვის მიღების კრიტერიუმებს.

2. EASO მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თავშესაფრის საკითხებში უფლებამოსილ ორგანოებთან, სახელმწიფო საიმიგრაციო და თავშესაფრის სამსახურებთან და სხვა სახელმწიფო სამსახურებთან და ევროკომისიასთან. გარდა ამისა, ის ასრულებს თავის მოვალეობებს ევროკავშირის სხვა შესაბამის ორგანოებზე დაკისრებული მოვალეობების შეუზღუდავად და მჭიდროდ თანამშრომლობს მათთან და UNHCR-თან. თუმცა, მას არ აქვს უფლებამოსილება იმ გადაწყვეტილებებთან მიმართებით, რომლებსაც იღებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს თავშესაფრის საკითხებზე პასუხისმგებელი უწყება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ ცალკეული განცხადების შემთხვევაში.

3. 2022 წლის 19 იანვარს ამოქმედდა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2021/2303 ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს დაარსების შესახებ (რეგულაცია EUAA-ს შესახებ), რომლის საფუძველზე ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO) გარდაიქმნა გაფართოებული მანდატისა და გაზრდილი უფლებამოსილებების მქონე სრულფასოვან სააგენტოდ. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი 'ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)'.

ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)

BG	Агенция на Европейския съюз в областта на убежището
CS	Agentury Evropské Unie pro otázky Azylu
DE	Asylagentur der Europäischen Union
EL	Οργανισμός της Ευρωπαϊκής Ένωσης για το Άσυλο
EN	European Union Agency for Asylum (EUAA)
ES	Agencia de Asilo de la Unión Europea
ET	Euroopa Liidu Varjupaigaamet
FI	Euroopan Unionin Turvapaikkavirasto
FR	Agence de l'Union Européenne pour l'Asile
GA	Gníomhaireacht níomhaireacht an Aontais Eorpaigh um Thearmann
HU	Az Európai Unió Menekültügyi Ügynöksége
IT	Agenzia dell'Unione Europea per l'Asilo
LT	Europos Sąjungos prieglobsčio agentūra
LV	Eiropas Savienības Patvēruma aģentūra
MT	Aġenzija tal-Unjoni Ewropea għall-Asil
NL	Asielagentschap van de Europese Unie
PL	Agencja Unii Europejskiej ds. Azylu
PT	Agência da União Europeia para o Asilo
RO	Agenția Uniunii Europene pentru Azil
SK	Agentúra Európskej únie pre azyl
SL	Agencija Evropske unije za azil
SV	Europeiska unionens asylbyrå
NO	Den europeiske unions asylbyrå
UK	Агентство Європейського Союзу з питань притулку (EUAA)

განმარტება

ევროკავშირის სააგენტო, რომელსაც ეკისრება ევროკავშირის თავშესაფრის, საერთაშორისო დაცვის და მიღების პირობების მარეგულირებელი კანონმდებლობის ეფექტიანი და ერთგვაროვანი, ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემაზე დაფუძნებული მიდგომით აღსრულება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. აღნიშნული საქმიანობით სააგენტო ხელს უწყობს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ძალისხმევას, მიმართულს თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) ეფექტიანი ფუნქციონირებისკენ.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2021/2303 (რეგულაცია EUAA-ს შესახებ) 1-ელი მუხლი და EUAA-ს ვებგვერდი

სინონიმი

★ EUAA

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)**
★ **ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO)**
★ **ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)**
★ **მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)**
★ **ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)**
★ **საიმიგრაციო სამსახურების გენერალურ დირექტორთა კონფერენცია (CDISC)**

შენიშვნები

1. ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) დაარსდა 2022 წლის 19 იანვარს, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2021/2303 (რეგულაცია EUAA-ს შესახებ) საფუძველზე. EUAA წარმოადგენს ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისის (EASO) სამართალმემკვიდრეს, რომელიც დაარსდა 2010 წელს და ოფიციალურად ამოქმედდა 2011 წლის 1 თებერვლიდან.

ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA) [გაგრძ.]

2. სააგენტო წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთათვის სხვადასხვა ფორმატის პრაქტიკული, სამართლებრივი, ტექნიკური, საკონსულტაციო და ოპერაციული მხარდაჭერისა და მიზნობრივი სწავლების განმახორციელებელ ინსტიტუციას. სააგენტოს საქმიანობა ფოკუსირებულია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების შეფასებასა და ზოგადად, თავშესაფრის სფეროში არსებული პრაქტიკის დაახლოებაზე ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ფარგლებში.

3. სააგენტოს ამოცანები ინტერ ალია არის შემდეგი:

– თავშესაფრისა და (თავშესაფრის მაძიებელთა) მიღების საკითხებში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ხელშეწყობა, კოორდინაცია და გაძლიერება;

– ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის და თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) ეფექტიანი ფუნქციონირების (ოპერაციული და ტექნიკური მონიტორინგის ჩათვლით) კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი;

– ოპერაციული სტანდარტების, ინდიკატორების, სახელმძღვანელო მითითებებისა და საუკეთესო პრაქტიკის შემუშავება CEAS-ის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით;

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ ანგარიშების, ანალიტიკური დოკუმენტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება;

– ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მეკავშირე ოფიცრების მივლინება, თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე მხარდაჭერის ჯგუფების დაკომპლექტება და მივლინება მიგრაციული ნაკადების განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებში (ასევე, მათთვის სარეზერვო ჯგუფების შექმნა);

– ევროკავშირში და მის ფარგლებს გარეთ განსახლების ხელშეწყობა;

– ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანამშრომლობის ხელშეწყობა მესამე ქვეყნებთან CEAS-ის გარე განზომილების ფარგლებში; ამ ქვეყნებში მეკავშირე ოფიცრების მივლინების ჩათვლით. (მეტი ინფორმაციისთვის იხ. EUAA-ს შესახებ რეგულაციის მე-2 მუხლი).

4. EUAA მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკომისიასთან და თავშესაფრისა და იმიგრაციის საკითხებზე მომუშავე უწყებებთან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. ამავდროულად, სააგენტო არ ანაცვლებს თავშესაფრის და მიღების საკითხებზე მომუშავე ეროვნულ უწყებებს და არ ერევა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა თავშესაფრის საკითხებზე მომუშავე უწყებების უფლებამოსილებაში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ ინდივიდუალური განცხადებების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებით.

5. საერთაშორისო დაცვისა და მიღების სფეროში სინერგიის შექმნის და საქმიანობათა დუბლირების თავიდან აცილების მიზნით EUAA თანამშრომლობს ევროკავშირის შესაბამის უწყებებთან, სამსახურებთან და სააგენტოებთან, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, UNHCR-თან. მეტი ინფორმაციისთვის იხ. EUAA-ს შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის მე-4, 37-ე და 38-ე მუხლები.

6. მეტი ინფორმაციისთვის იხ. EUAA-ს ვებგვერდი.

ევროკავშირის ინსტრუმენტი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კვალიფიკაციების აღწერისთვის

BG	Инструмент на ЕС за профилиране на уменията на гражданите на трети държави
CS	(EU) nástroj pro tvorbu dovednostního profilu státních příslušníků třetích zemí
DE	EU-Instrument zur Erstellung von Kompetenzprofilen für Drittstaatsangehörige
EL	Ενωσιακό εργαλείο κατάρτισης προφίλ δεξιοτήτων για υπηκόους τρίτων χωρών
EN	EU skills profile tool for third-country nationals
ES	Herramienta de la UE para crear el perfil de capacidades de nacionales de terceros países
ET	
FI	EU:n taitoprofiilityökalu kolmansien maiden kansalaisille
FR	outil européen de profilage des compétences des ressortissants de pays tiers
GA	
HU	készségek felmérését segítő uniós eszköz
IT	Strumento europeo di determinazione delle competenze per i cittadini di paesi terzi
LT	įgūdžių nustatymo ES šablonas
LV	
MT	Għodda tal-UE għall-Profili tal-Ħiliet għaċ-Ċittadini ta' Pajjiżi Terzi / Għodda għall-Profili tal-Ħiliet għaċ-Ċittadini ta' Pajjiżi Terzi / Sett ta' Għodda għall-Ħiliet għaċ-Ċittadini ta' Pajjiżi Terzi
NL	EU-instrument voor het opstellen van een vaardigheidsprofiel voor onderdanen van derde landen
PL	unijne narzędzie do tworzenia profilu umiejętności obywateli państw trzecich
PT	ferramenta de definição de perfis de competências da UE para nacionais de países terceiros
RO	Instrument de profil al competențelor UE pentru resortisanții țărilor terțe
SK	nástroj EÚ na stanovenie profilu zručností štátnych príslušníkov tretích krajín
SL	orodje EU za profiliranje znanj in spretnosti
SV	verktyg för kartläggning av kompentensen hos personer från länder utanför EU
NO	EUs kvalifikasjonskartleggings- og registreringsverktøy
UK	Інструмент ЄС для підготовки профілю професійних навичок для громадян третіх країн

განმარტება

მრავალენოვანი ონლაინინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება მესამე ქვეყნის მოქალაქეების უნარების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების ადრეული იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირებისთვის და რომლის საფუძველზეც გაიცემა შრომის ბაზარსა და საზოგადოებაში ინტეგრაციისკენ შემდგომი ნაბიჯების შესახებ ინდივიდუალური რჩევები.

წყარო

ევროკავშირის ინსტრუმენტი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კვალიფიკაციების აღწერისთვის

შენიშვნები

1. „კვალიფიციური უნარები ევროპისთვის - დღის წესრიგის“ ფარგლებში 2017 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა უნარების აღწერის ინსტრუმენტი მესამე ქვეყნის მოქალაქეების (საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების, ლტოლვილების, მიგრანტების) უნარების ადრეული დოკუმენტირების მიზნით. ინსტრუმენტი განახლდა 2020 წლის თებერვალში და „ევროპასის“ ახალი, 2020 წლის 1 ივლისს ამოქმედებული პლატფორმის შემადგენელი ნაწილი გახდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისია: დასაქმების, სოციალურ საკითხთა და ინკლუზიის გენერალური დირექტორატის ვებგვერდი (‘უნარები და კვალიფიკაცია’).

2. ინსტრუმენტი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ეხმარებიან მესამე ქვეყნის მოქალაქეებს პროფესიული უნარების, კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების შეფასებაში, რათა მომდევნო ეტაპზე ორგანიზაციებმა ამ პირებს გაუწიონ ინდივიდუალური კონსულტაცია შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვაში, როგორიცაა დიპლომის აღიარება, უნარების ვალიდაცია, დამატებითი ტრენინგები თუ მიმართვა დასაქმების ხელშეწყობის სამსახურებისთვის. მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, შეიქმნა ვიდეოგზამკვლევი, ხოლო ვებგვერდი ითარგმნა ევროკავშირის ყველა ენაზე (ირლანდიურის გარდა), ასევე არაბულზე, სპარსულზე, პუშტუზე, სორანიზე, სომალი ენაზე, ტიგრინიასა და თურქულზე.

ევროკავშირის ინსტრუმენტი მესამე ქვეყნის მოქალაქეთა კვალიფიკაციების აღწერისთვის [გაგრძ.]

3. ევროკომისიამ და ევროპის განათლების ფონდმა (ETF) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან ერთად შეიმუშავეს არაფორმალური განათლების აღიარების ევროპული რეესტრი, რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის დონეზე არაფორმალური განათლების აღიარების პრაქტიკისა და შესაბამისი პროცედურების პერიოდულად განახლებად მიმოხილვას. რეესტრი მოწონებულ იქნა არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2012 წლის 20 დეკემბრის რეკომენდაციით და, ევროკავშირის 2009 წლის თემატურ სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად, გამოიყენება, როგორც აღიარების მექანიზმების შემუშავებასა და განხორციელებაში სახელმწიფოთა დახმარების ინსტრუმენტი.

ევროკავშირის კანონმდებლობა

BG	достижения на правото на Съюза
CS	unijní acquis / právo Evropské unie
DE	Besitzstand der Union
EL	κεκτημένο της ΕΕ
EN	Union acquis
ES	acervo de la Unión
ET	Euroopa Liidu õigustik/ liidu acquis
FI	unionin säännöstö
FR	acquis de l'Union
GA	acquis an Aontais
HU	uniós vívmányok
IT	acquis dell'Unione
LT	Sąjungos acquis
LV	Savienības acquis
MT	acquis tal-Unjoni
NL	acquis van de Unie
PL	acquis unijne
PT	Acervo da União
RO	acquis al Uniunii
SK	acquis Únie / acquis EÚ / právo Európskej únie / právo EÚ / súbor právnych predpisov EÚ
SL	pravni red Unije
SV	unionens regelverk
NO	EU-rettsregler (b); EU-rettsreglar (n)
UK	acquis Союзу

განმარტებები

საერთო უფლებებისა და ვალდებულებების სისტემა, რომელიც მბოჭავია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის, მუდმივად ვითარდება და მოიცავს შემდეგს:

– ევროპის გაერთიანებების დაარსების დღიდან მიღებულ ევროკავშირის ხელშეკრულებებში, ასევე, მათ ფარგლებში შემუშავებულ კანონებსა და გადაწყვეტილებებში განსაზღვრულ შინაარსს, მიზნებს, პრინციპებს, უფლებებსა და ვალდებულებებს;

– ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტულ სამართალს;

– ევროკავშირის მიერ მიღებულ დეკლარაციებსა და რეზოლუციებს;

– საგარეო და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის შესაბამისად მიღებულ დოკუმენტებს;

– მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებს;

– ევროკავშირის და მის წევრ სახელმწიფოთა მიერ გაფორმებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, დაკავშირებულს ევროკავშირის საქმიანობასთან სხვადასხვა სფეროში.

წყარო

DG Home, ევროკავშირის კანონმდებლობის აღწერა

სინონიმი

★ EU acquis

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ევროკავშირის თავშესაფრის საკითხთა მარეგულირებელი კანონმდებლობა**

შენიშვნა

ტერმინი გამოიყენება თავშესაფრისა და მიგრაციის კონტექსტში და მიუთითებს ყველა უფლებასა და ვალდებულებაზე, რომელიც მბოჭავია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხებთან მიმართებით.

ევროკავშირის ლურჯი ბარათი

BG	синя карта на ЕС
CS	modrá karta EU
DE	Blaue Karte EU
EL	μπλε κάρτα της Ε.Ε.
EN	EU Blue Card
ES	tarjeta azul UE
ET	Euroopa Liidu sinine kaart
FI	EU:n sininen kortti
FR	carte bleue européenne
GA	cárta gorm an AE
HU	EU kék kártya
IT	Carta blu UE
LT	ES mėlynoji kortelė
LV	ES zilā karte
MT	Karta (Il-) Blu tal-UE
NL	Europese blauwe kaart / EU Blue Card
PL	Niebieska Karta UE
PT	cartão azul UE
RO	Cartea Albastră a UE
SK	modrá karta Európskej únie / modrá karta EÚ
SL	modra karta EU
SV	EU-blåkort
NO	EU-blåkort
UK	Блакитна карта ЄС

განმარტება

ევროკავშირის ლურჯი ბარათი უფლებას აძლევს მის მფლობელს, იცხოვროს და იმუშაოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ევროკავშირის საბჭოს დირექტივით 2009/50/EC (ლურჯი ბარათის შესახებ დირექტივა) დადგენილი პირობებით.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ) მე-2(ი) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი

დაკავშირებული ტერმინები

★ მაღალკვალიფიციურ მიგრანტთა დასაქმება
★ მაღალკვალიფიციური მიგრანტი
★ ბინადრობის ნებართვა

ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი

BG	притежател на синя карта на ЕС
CS	držitel modré karty EU
DE	Inhaber einer Blauen Karte EU
EL	κάτοχος μπλε κάρτας της ΕΕ
EN	EU Blue Card holder
ES	titular de la tarjeta azul UE
ET	Euroopa Liidu sinise kaardi omanik
FI	EU:n sinisen kortin haltija
FR	titulaire d'une carte bleue européenne
GA	sealbhóir chárta gorm an AE
HU	EU kék kártya tulajdonos
IT	titolare di Carta blu UE
LT	ES mėlynosios kortelės turėtojas
LV	ES zilās kartes turētājs
MT	Portatur(-trić) (Il-) tal-Karta Blu tal-UE
NL	houder van een Europese blauwe kaart
PL	posiadacz Niebieskiej Karty UE
PT	titular do cartão azul UE
RO	posesorul Cărții Albastre a UE
SK	držiteľ modrej karty Európskej únie / držiteľ modrej karty EÚ
SL	imetnik EU modre karte
SV	innehavare av EU-blåkort
NO	innehaver av EU-blåkort (b); innehavar av EU blåkort (n)
UK	Власник блакитної карти ЄС

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც მოიპოვა ევროკავშირის ლურჯი ბარათით განსაზღვრული, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრების და მუშაობის ნებართვა, ევროკავშირის საბჭოს დირექტივით 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ) დადგენილი პირობების შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ) მე-2(ი) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ევროკავშირის ლურჯი ბარათი

დაკავშირებული ტერმინი

★ მაღალკვალიფიციური მიგრანტი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო (CJEU)

BG	Съд на Европейския съюз
CS	Soudní dvůr Evropské unie
DE	Gerichtshof der Europäischen Union
EL	Δικαστήριο της Ευρωπαϊκής Ένωσης
EN	Court of Justice of the European Union (CJEU)
ES	Tribunal de Justicia de la Unión Europea
ET	Euroopa Liidu Kohus
FI	Euroopan unionin tuomioistuin
FR	Cour de justice de l'Union européenne
GA	Cúirt Bhreithiúnais an Aontais Eorpaigh
HU	Európai Unió Bírósága
IT	Corte di giustizia dell'Unione europea
LT	Europos Sąjungos Teisingumo Teismas
LV	Eiropas Savienības Tiesa
MT	Qorti (Il-) tal-Ġustizzja tal-Unjoni Ewropea (QĠUE)
NL	Hof van Justitie van de Europese Unie
PL	Trybunał Sprawiedliwości Unii Europejskiej
PT	Tribunal de Justiça da União Europeia
RO	
SK	Súdny dvor Európskej únie
SL	Sodišče Evropske Unije
SV	Europeiska unionens domstol (EU-domstolen)
NO	EU-domstolen
UK	Суд Європейського Союзу (СЄС)

განმარტება

ევროკავშირის მართლმსაჯულების ორგანო, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სასამართლოებთან და ტრიბუნალებთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობის განმარტებას და ერთგვაროვან გამოყენებას; აგრეთვე ის განიხილავს ეროვნულ მთავრობებსა და ევროკავშირის ინსტიტუციებს შორის არსებულ სამართლებრივ დავებს და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

წყარო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ვებგვერდი

სინონიმი

★ CJEU

დაკავშირებული ტერმინი

★ **ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ECtHR)**

შენიშვნები

1. სასამართლო თავდაპირველი სახით დაფუძნდა 1952 წელს, როგორც ერთი სასამართლო ინსტიტუტი, სახელწოდებით - ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებების მართლმსაჯულების სასამართლო (ხოლო 1958 წლიდან – ევროპული გაერთიანებების მართლმსაჯულების სასამართლო (CJEC)). 2009 წელს, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლასთან ერთად, სასამართლო სისტემამ შეიძინა თავისი ამჟამინდელი სახელწოდება - ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო, ხოლო თავად სასამართლოს მართლმსაჯულების სასამართლო ეწოდა.

FR	Système européen de surveillance des frontières
GA	an Córas Eorpach um Fhaireachas ar Theorainneacha Seachtracha
HU	Európai Határőrizeti Rendszer
IT	Sistema europeo di sorveglianza delle frontiere esterne
LT	Europos išorinių sienų stebėjimo sistema
LV	Eiropas ārējo robežu uzraudzības sistēma
MT	Sistema Ewropea għas-Sorveljanza tal-Konfini /tal-Fruntieri
NL	Europees grensbewakingssysteem
PL	Europejski system nadzorowania granic
PT	Sistema Europeu de Vigilância das Fronteiras
RO	sistemul de supraveghere a frontierelor UE
SK	Európsky systém hraničného dozoru
SL	Evropski sistem varovanja meja
SV	europeiska gränsövervakningssystemet
NO	Det europeiske overvåkingssystemet for yttergrensene
UK	Європейська система прикордонного нагляду (EUROSUR)

განმარტება

ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და Frontex-ს შორის ინფორმაციის გაცვლისა და თანამშრომლობის საერთო ჩარჩო, რომლის მიზანია სიტუაციური ინფორმირებულობის გაუმჯობესება და ევროკავშირის გარე საზღვრებზე რეაგირების შესაძლებლობების გაზრდა არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის გამოვლენის, პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის, ასევე მიგრანტთა დაცვისა და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N1052/2013 (რეგულაცია EUROSUR-ის შესახებ) 1-ელი მუხლი

სინონიმი

★ EUROSUR

დაკავშირებული ტერმინები

★ **სასაზღვრო კონტროლი**

★ **ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)**

შენიშვნები

1. EUROSUR შეიქმნა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) N1052/2013 (რეგულაცია EUROSUR-ის შესახებ).

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიის ვებგვერდი (EUROSUR).

ევროპოლი (Europol)

BG	ЕВРОПОЛ
CS	Europol / Evropský policejní úřad
DE	Europol
EL	Ευρωπόλ / Οργανισμός της ΕΕ για τη συνεργασία στον τομέα της επιβολής του νόμου
EN	Europol
ES	Europol
ET	Europol
FI	Europol
FR	Europol
GA	Europol
HU	EUROPOL (Európai Rendőrségi Hivatal)
IT	Europol
LT	Europolas
LV	Eiropols
MT	Ewropol (L-)
NL	Europol / Europese politiedienst
PL	Europol - Europejski Urząd Policji
PT	Europol
RO	Europol
SK	Európsky policajný úrad / Europol
SL	Europol / Evropski policijski urad
SV	Europol
NO	Europol
UK	

განმარტება

ევროპის პოლიციის სამსახური, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების საპოლიციო სამსახურებს თანამშრომლობის გაუმჯობესებაში საერთაშორისო დანაშაულის ყველაზე მძიმე ფორმების - როგორებიცაა ტერორიზმი, ნარკოტიკული საშუალებების კონტრაბანდა და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტების უკანონოდ გადაყვანა (განსაკუთრებული აქცენტით კრიმინალურ ორგანიზაციებზე) - პრევენციასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპოლის ვებგვერდი

სინონიმი

★ ევროპის პოლიციის სამსახური

შენიშვნები

1. ევროპის პოლიციის სამსახური შეიქმნა ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1993 წლის ნოემბერში. სამსახურმა წამოიწყო შეზღუდული მასშტაბის ოპერაციები 1994 წლის 3 იანვარს, როგორც ევროპოლის ნარკოტიკებთან ბრძოლის განყოფილებამ (EDU). ევროპოლის შესახებ კონვენციას ხელი მოეწერა 1995 წლის 26 ივლისს და ძალაში შევიდა 1998 წლის ოქტომბერში, ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ მისი რატიფიცირების შემდეგ. სრული დატვირთვით საქმიანობას ევროპოლი 1999 წლის 1 ივლისს შეუდგა. ლისაბონის ხელშეკრულებით სამსახური გადავიდა ევროკავშირის იურისდიქციაში, ხოლო 2009 წელს კონვენცია ჩაანაცვლა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებამ. სამსახური ევროკავშირის სრულფასოვან სააგენტოდ 2010 წლის 1 იანვარს გარდაიქმნა.

2. ევროპოლი, რომლის სათავო ოფისი მდებარეობს ჰააგაში, წარმოადგენს ექსპერტული ცოდნის ცენტრს და არის ცენტრალური პლატფორმა ევროკავშირის წევრ სახელმიწფოთა ექსპერტთათვის სამართალდამცავ სფეროში.

3. ევროპოლს არ გააჩნია აღმასრულებელი უფლებამოსილებები. ევროპოლის ოფიცრებს არ აქვთ უფლება, ჩაატარონ გამოძიება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ასევე, არ აქვთ პირის დაპატიმრების პირდაპირი უფლებამოსილება; ისინი დახმარებას უწევენ ევროკავშირის სამართალდამცავ უწყებებს ინფორმაციის შეგროვების, ანალიზისა და გავრცელების, ასევე, ოპერაციების კოორდინირების გზით.

ევროპული დასაბრუნებელი სამგზავრო დოკუმენტი

BG	Европейски пътен документ за връщане
CS	Evropský cestovní doklad pro návrat
DE	europäisches Reisedokument für die Rückkehr (EU-acquis); europäisches Reisedokument für die Rückführung
EL	ευρωπαϊκό ταξιδιωτικό έγγραφο για την επιστροφή των παρανόμως διαμενόντων υπηκόων τρίτων χωρών
EN	European travel document for return
ES	Documento de viaje europeo para el retorno
ET	Euroopa tagasisaatmise reisidokument
FI	palauttamista varten myönnettävä eurooppalainen matkustusasiakirja
FR	Document de voyage européen destiné au retour
GA	Doiciméad taistil Eorpach um fhilleadh
HU	visszaküldéshez kiállított európai úti okmány
IT	documento di viaggio europeo per il rimpatrio
LT	Europos kelionės dokumentas neteisėtai ES esantiems trečiųjų šalių piliečiams grąžinti
LV	Eiropas ceļošanas dokuments personu atgriešanai
MT	dokument tal-ivvjaġġar Ewropew għar-ritorn
NL	Europees reisdocument voor terugkeer
PL	
PT	Documento de viagem europeu para o regresso (dos nacionais de países terceiros em situação irregular)
RO	document european de călătorie pentru returnare
SK	európsky cestovný doklad pre návrat
SL	Evropska potna listina za vrnitev
SV	europeisk resehandling för återvändande av tredjelandsmedborgare
NO	Europeisk reisedokument for retur
UK	Європейський проїзний документ для повернення

განმარტება

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დასაბრუნებელი უსაფრთხო და უნიფიცირებული დოკუმენტი, რომელიც ამარტივებს შენგენის შეთანხმების მხარეთა ტერიტორიაზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დაბრუნებასა და რეადმისიას.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) N2016/1953 (რეგულაცია კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაბრუნებელი ევროპული სამგზავრო დოკუმენტის შემოღების შესახებ)

სინონიმი

- ★ არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქეების დასაბრუნებელი ევროპული სამგზავრო დოკუმენტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **სამგზავრო დოკუმენტი**

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ყალბი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი**
- ★ **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი**

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP)

BG	Европейска политика за съседство
CS	Evropská politika sousedství
DE	Europäische Nachbarschaftspolitik
EL	Ευρωπαϊκή Πολιτική Γειτονίας
EN	European Neighbourhood Policy (ENP)
ES	Política Europea de Vecindad
ET	Euroopa naabruspoliitika
FI	Euroopan naapuruuspolitiikka
FR	Politique européenne de voisinage
GA	Beartas Comharsanachta na hEorpa
HU	Európai Szomszédságpolitika
IT	politica europea di vicinato
LT	Europos kaimynystės politika
LV	Eiropas kaimiņattiecību politika
MT	Politika (Il-) Ewropea tal-Viċinat / tal-Madwar
NL	Europees nabuurschapsbeleid
PL	Europejska Polityka Sąsiedztwa
PT	Politica Europeia de Vizinhança
RO	Politica europeană de vecinătate
SK	Európska susedská politika / Európska politika susedstva
SL	Evropska sosedska politika
SV	europeiska grannskapspolitiken
NO	Den europeiske naboskapspolitikken
UK	Європейська політика сусідства (ЄПС)

განმარტება

ორმხრივი პოლიტიკა ევროკავშირსა და 16 პარტნიორ ქვეყანას შორის (ევროკავშირის უახლოესი სამეზობლოს ქვეყნები), რომელიც დამატებით გაფართოვდა და შეივსო რეგიონული და მრავალმხრივი თანამშრომლობის სამი ინიციატივით.

წყაროები

ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ვებგვერდი

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ვებგვერდი

სინონიმი

★ ENP

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ შავი ზღვის სინერგია

★ აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP)

★ ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა (EUROMED)

დაკავშირებული ტერმინი

★ გლობალური მიდგომა მიგრაციასა და მობილობისადმი (GAMM)

შენიშვნები

1. ENP შემუშავდა 2004 წელს იმ მიზნით, რომ გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის არ წარმოქმნილიყო ახალი გამყოფი ხაზები, არამედ პირიქით, გაძლიერებულიყო ყველას კეთილდღეობა, სტაბილურობა და უსაფრთხოება. პოლიტიკა ემყარება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ღირებულებებს.
2. ENP-ის რეგიონული და მრავალმხრივი თანამშრომლობის სამი ინიციატივაა: აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP), რომელიც შეიქმნა 2009 წლის მაისში პრაღაში; ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა (EUROMED) (მანამდე ცნობილი, როგორც ბარსელონის პროცესი), რომელიც განახლდა 2008 წლის ივლისში პარიზში, და შავი ზღვის სინერგია, რომელიც შეიქმნა 2008 წლის თებერვალში კიევში.
3. ლისაბონის ხელშეკრულებამ ევროკავშირს მისცა საგარეო პოლიტიკის განმტკიცების შესაძლებლობა: შესაძლებელი გახდა მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის გაფართოება და საკითხთა ფართო სპექტრის მოცვა ერთიანი და უფრო ეფექტიანი მიდგომით. სწორედ ეს გახდა ENP ის გადასინჯვის ინიციირების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი 2010 წლის ზაფხულში.
4. ENP-ის შესახებ განახლებული ინფორმაცია იხ. ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ვებგვერდზე.

ევროსტატი (EuroStat)

BG	Евростат
CS	Eurostat
DE	Eurostat
EL	Ευρωπαϊκή Στατιστική Υπηρεσία
EN	Eurostat
ES	Eurostat
ET	Eurostat
FI	Eurostat
FR	Eurostat
GA	Eurostat
HU	Eurostat
IT	Eurostat
LT	Afrikai patikos fondas
LV	Eurostat
MT	Eurostat (L-)
NL	Eurostat
PL	Eurostat
PT	Eurostat
RO	Eurostat
SK	Štatistický úrad Európskych spoločenstiev / Eurostat
SL	Eurostat
SV	Eurostat
NO	Eurostat
UK	Євростат

განმარტება

ევროკავშირის სტატისტიკის სამსახური, რომელიც შედის ევროკომისიის შემადგენლობაში.

წყარო

ევროსტატის ვებგვერდი

დაკავშირებული ტერმინი

★ მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)

შენიშვნები

1. ევროსტატი შეიქმნა 1953 წელს.

2. ევროსტატის ამოცანაა, ევროკავშირს მიაწოდოს ევროპის მასშტაბით არსებული სტატისტიკური მონაცემები, რაც იძლევა ქვეყნებსა და რეგიონებს შორის შედარების საშუალებას.

3. მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN) თანამშრომლობს ევროსტატთან ევროპის სტატისტიკური სისტემიდან (ESS) სტატისტიკური მონაცემების ერთიან მეთოდოლოგიასთან ჰარმონიზებისთვის, რაც სტატისტიკურ მონაცემებს შედარებადს ხდის.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) ადგენს ევროგაერთიანების ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებისა და შედგენის ზოგად წესებს (ევროსტატისთვის მისაწოდებლად) შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
(ა) იმიგრაციული და ემიგრაციული ნაკადები;
(ბ) ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა მოქალაქეობის ან დაბადების ქვეყანა;
(გ) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედი ადმინისტრაციული და სასამართლო პროცედურები და პროცესები იმიგრაციასთან, ბინადრობის ნებართვის მინიჭებასთან, მოქალაქეობასთან, თავშესაფართან და საერთაშორისო დაცვის სხვა ფორმებთან და არალეგალური მიგრაციის პრევენციასთან დაკავშირებით.

5. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროსტატის ვებგვერდი.

ეთნიკური კუთვნილება

BG	етническа националност
CS	národnost
DE	ethnische Zugehörigkeit
EL	εθνοτική καταγωγή
EN	ethnic nationality
ES	origen étnico
ET	rahvus
FI	etninen tausta
FR	origine ethnique
GA	náisiúntacht eitneach
HU	nemzetiség
IT	nazionalità etnica
LT	tautybė / etninė kilmė
LV	tautība
MT	Nazzjonalità etnika
NL	etniciteit / etnische achtergrond / etnische afkomst
PL	narodowość etniczna
PT	origem étnica
RO	naționalitate/ origine etnică
SK	národnosť
SL	nacionalna pripadnost / etnična pripadnost
SV	tillhörighet till etnisk grupp
NO	etnisk tilhørighet (b); etnisk tilhøyrsle (n)
UK	національність

განმარტება

ეთნიკურობის ან ეროვნების სინონიმი, რომელიც ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში გამოიყენება ტერმინთან 'მოქალაქეობა' ერთად.

წყარო

პროექტი „საერთაშორისო მიგრაციის ჰარმონიზებული ევროპული სტატისტიკისკენ"

სინონიმები

- ეთნიკურობა
- ეროვნება

დაკავშირებული ტერმინები

- **მოქალაქეობა**
- **უმცირესობა**

შენიშვნები

1. ეთნიკური კუთვნილება ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს თვითაღიარებულ მიკუთვნებას კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფთან. აღნიშნული ინფორმაციის შეგროვება ხდება აღწერის დროს და ზოგჯერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროსაც.

2. ეს ცნება უნდა გაიმიჯნოს მოქალაქეობის ცნებისგან.

ეთნიკური წმენდა

BG	етническо прочистване
CS	etnická čistka
DE	ethnische Säuberung
EL	εθνική εκκαθάριση / εθνοκάθαρση
EN	ethnic cleansing
ES	limpieza étnica
ET	etniline puhastus
FI	etninen puhdistus
FR	nettoyage ethnique
GA	glanadh eitneach
HU	etnikai tisztogatás
IT	pulizia etnica
LT	etninis valymas
LV	etniskā tīrīšana
MT	Tindif etniku
NL	etnische zuivering
PL	czystki etniczne
PT	limpeza étnica
RO	purificare etnică
SK	etnické čistky
SL	etnično čiščenje
SV	etnisk rensning
NO	etnisk rensing (b); etnisk reinsing (n)
UK	етнічна чистка

განმარტება

ეთნიკური ჰომოგენურობის მიღწევა კონკრეტულ ტერიტორიაზე ამ ტერიტორიიდან სხვა ეთნიკური წარმომავლობის ან რელიგიური კუთვნილების მქონე პირთა ძალის გამოყენებით ან დაშინებით გაყვანის გზით, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

წყარო

გაეროს უშიშროების საბჭო: უშიშროების საბჭოს შესახებ რეზოლუციის 780 (1992) თანახმად შექმნილი ექსპერტთა კომისიის საბოლოო ანგარიში

დაკავშირებული ტერმინი

★ გენოციდი

შენიშვნები

1. გენერალური ასამბლეის რეზოლუციის 47/121 პრეამბულაში ნახსენებია 'ეთნიკური წმენდის დაუშვებელი პოლიტიკა'.

2. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის (ICTY) დროებითი პალატის 2001 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით დადგენილია შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აშკარა მსგავსება გენოციდის პოლიტიკასა და ისეთ პოლიტიკას შორის, რომელიც, საზოგადოდ, ცნობილია, როგორც ეთნიკური წმენდა, ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ჯგუფის ფიზიკური განადგურებისა და მისი დაშლის ცნებები. ადამიანთა ჯგუფის ან მისი ნაწილის გაძევება თავისთავად საკმარისი არ არის იმისთვის, რომ მოვლენას გენოციდი ეწოდოს.

3. ამგვარად, ამ იურიდიულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ეთნიკური წმენდისა და გენოციდის დროს ჩადენილ დანაშაულთა მსგავსებისა, გენოციდი მიმართულია სამიზნე ჯგუფის სრული ან ნაწილობრივი განადგურებისკენ, მაშინ როდესაც ეთნიკური წმენდა შეიძლება მოიაზრებდეს სიცოცხლის მოსპობას, როგორც სამიზნე ჯგუფის ტერიტორიიდან გაძევების პროცესის ნაწილს. ამდენად, ეთნიკური წმენდის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს ადამიანთა მასობრივ განადგურებას სხვადასხვა მასშტაბით, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მცირდება სამიზნე ჯგუფის მიერ ტერიტორიის დატოვების შემდეგ, მაშინ როდესაც გენოციდის დროს ადამიანთა მასობრივი სიცოცხლის მოსპობა პროცესის მუდმივი და საყოველთაო მახასიათებელია და გრძელდება მაშინაც კი, როდესაც სამიზნე ჯგუფი ტერიტორიის დატოვებას ცდილობს.

ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირი

BG	разселено лице по екологични причини
CS	environmentální uprchlík
DE	Umweltvertriebener
EL	εκτοπισμένο άτομο για περιβαλλοντικούς λόγους
EN	environmentally displaced person
ES	población desplazada por motivos medioambientales
ET	keskkonnapõhjustel ümberasustatud isik
FI	ympäristötekijöiden vuoksi siirtymään joutunut
FR	personne déplacée pour des raisons environnementales
GA	duine easáitithe de dheasca dálaí comhshaoil
HU	lakóhelyét környezeti okból elhagyni kényszerült személy
IT	sfollato per motivi ambientali
LT	perkeltasis asmuo dėl ekologinių priežasčių
LV	vides faktoru ietekmē pārvietota persona
MT	Persuna sfollata għal raġunijiet ambjentali
NL	door milieufactoren verdreven ontheemde (not commonly used in NL, BE)
PL	osoba przesiedlona z powodu środowiska naturalnego
PT	deslocado ambiental
RO	persoană strămutată din cauze legate de mediul înconjurător
SK	osoba vysídlená z environmentálnych dôvodov
SL	okoljsko razseljena oseba
SV	person som fördrivits på grund av miljökatastrof
NO	person fordrevet på grunn av miljøskader (b); person fordriven på grunn av miljøskadar (n)
UK	особа, переміщена з екологічної причини

განმარტება

პირი, რომელიც მიმართავს იძულებით მიგრაციას გარემო პირობების უცაბედი და მკვეთრი ცვლილებების გამო.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ლტოლვილთა საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსში მოცემული ტერმინის 'ეკოლოგიური ლტოლვილი' განმარტება

სინონიმები

- ★ ეკოლოგიური მიგრანტი
- ★ ეკომიგრანტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ გადაადგილებული პირი

დაკავშირებული ტერმინი

- ★ (ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირი

შენიშვნა

ეკოლოგიური პირობების გამო გადაადგილებული პირები ზოგჯერ მოიხსენიებიან, როგორც 'ეკოლოგიური ლტოლვილები', თუმცა ამ შემთხვევაში ტერმინი 'ლტოლვილი' არასწორად არის გამოყენებული, რადგან ასეთი პირი არ წარმოადგენს ლტოლვილს ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (A) მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიგრაცია იძულებითია.

ეკონომიკური მიგრანტი

BG	икономически мигрант
CS	ekonomický migrant
DE	Migrant aus wirtschaftlichen Gründen / Wirtschaftsmigrant
EL	οικονομικός μετανάστης
EN	economic migrant
ES	persona migrante por motivos económicos
ET	majandusmigrant
FI	taloudellisten syiden vuoksi muuttava henkilö
FR	migrant économique
GA	imirceach eacnamaíoch
HU	gazdasági migráns
IT	migrante economico
LT	ekonominis migrantas
LV	ekonomiskais migrants
MT	Migrant(a) għal raġunijiet ekonomiċi
NL	economische migrant
PL	migrant ekonomiczny
PT	migrante económico
RO	migrant economic
SK	ekonomický migrant
SL	ekonomski migrant
SV	ekonomisk migrant
NO	økonomisk migrant
UK	економічний мігрант

განმარტება

პირი, რომელიც ტოვებს თავის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანას მხოლოდ იმ ეკონომიკური მიზეზების გამო, რომლებიც არ უკავშირდება ლტოლვილობას და გამიზნულია მისი ცხოვრების დონის არსებითად გაუმჯობესებისთვის.

წყარო

UNHCR ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრანტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **მოწვეული შრომითი მიგრანტი**

★ **შრომითი მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ეკონომიკური მიგრაცია**

★ **მართული მიგრაცია**

შენიშვნა

ეკონომიკური მიგრანტები არ მოიაზრებიან ლტოლვილის სტატუსის დადგენისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებში და შესაბამისად, არ სარგებლობენ საერთაშორისო დაცვით, როგორც ლტოლვილები.

ეკონომიკური მიგრაცია

BG	икономическа миграция
CS	ekonomická migrace
DE	Wirtschaftsmigration / Migration aus wirtschaftlichen Gründen
EL	οικονομική μετανάστευση
EN	economic migration
ES	migración económica
ET	majandusränne
FI	taloudellisista syistä tapahtuva maahanmuutto
FR	migration économique
GA	imirce eacnamaíoch
HU	gazdasági (célú) migráció
IT	migrazione economica
LT	ekonominė migracija
LV	ekonomiskā migrācija
MT	Migrazzjoni għal raġunijiet ekonomiċi
NL	economische migratie
PL	migracja ekonomiczna
PT	migração económica
RO	migrație economică
SK	ekonomická migrácia
SL	ekonomska migracija
SV	ekonomisk migration
NO	økonomisk migrasjon
UK	економічна міграція

განმარტება

მიგრაცია, რომელიც, ძირითადად, განპირობებულია ეკონომიკური მიზეზებით ან ცხოვრების დონის არსებითი გაუმჯობესების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებით ლექსიკონი, ტერმინის 'ეკონომიკური მიგრანტი' განმარტება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ შრომითი მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

★ ეკონომიკური მიგრანტი
★ იძულებითი მიგრაცია
★ მართული მიგრაცია

ემიგრანტი

BG	емигрант
CS	vystěhovalec / emigrant
DE	Abwanderer / Auswanderer / Emigrant
EL	απόδημος / εξερχόμενος μετανάστης
EN	emigrant
ES	emigrante
ET	väljarändaja
FI	maastamuuttaja
FR	émigrant
GA	eisimirceach
HU	emigráns
IT	emigrante
LT	emigrantas
LV	emigrants
MT	Emigrant(a)
NL	emigrant
PL	emigrant
PT	emigrante
RO	emigrant
SK	vysťahovalec / emigrant
SL	izseljenec /emigrant
SV	utvandrare
NO	utvandrer
UK	емігрант

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ქვეყანაში მცხოვრები პირი (მოქალაქე ან უცხოელი), რომელიც გადის ქვეყნიდან ერთ წელზე მეტი ვადით საზღვარგარეთ დარჩენის მიზნით.

ევროკავშირის კონტექსტში, პირი, რომელიც მანამდე იყო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები და შეწყვიტა აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრება ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: გაეროს რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკასთან დაკავშირებით

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(c, g) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

- **იმიგრანტი**
- **ემიგრაცია**
- **მოკლევადიანი მიგრანტი**

შენიშვნა

ეროვნული კანონმდებლობებით, შესაძლოა, ტერმინის განმარტებისას დადგინდეს განსხვავებული ვადები.

ემიგრაცია

BG	емиграция
CS	vystěhovalectví / emigrace
DE	Abwanderung / Auswanderung / Emigration
EL	αποδημία / μετανάστευση
EN	emigration
ES	emigración
ET	väljaränne
FI	maastamuutto
FR	émigration
GA	eisimirce
HU	emigráció/ kivándorlás
IT	emigrazione
LT	emigracija
LV	emigrācija
MT	Emigrazzjoni
NL	emigratie
PL	emigracja
PT	emigração
RO	emigrație
SK	vysťahovalectvo / emigrácia
SL	izselitev /emigracija
SV	utvandring
NO	utvandring
UK	еміграція

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ქვეყნიდან გასვლა საზღვარგარეთ ერთ წელზე მეტი ვადით დარჩენის მიზნით.

ევროკავშირის კონტექსტში, მოქმედება, როდესაც პირი, რომელიც მანამდე იყო ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები, წყვეტს აღნიშნულ წევრ სახელმწიფოში ან სხვა წევრ სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრებას ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: გაეროს რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკასთან დაკავშირებით

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(c, g) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

- ემიგრანტი
- იმიგრაცია

ენის ანალიზი წარმომავლობის დადგენის მიზნით (LADO)

BG	езиков анализ за определяне на произхода
CS	analýza jazyka pro určení původu
DE	Sprachanalyse zur Bestimmung der Herkunft
EL	Ανάλυση γλώσσας για τον καθορισμό πιθανής χώρας και / ή περιοχής καταγωγής
EN	language analysis for the determination of origin
ES	análisis lingüístico para la determinación del origen
ET	keeleanalüüs isiku päritolu väljaselgitamiseks
FI	kielianalyysi henkilön alkuperän selvittämiseksi
FR	analyse linguistique pour la détermination de l'origine
GA	anailís teanga le bunús eitneach a chinneadh
HU	nyelvi elemzés a származás megállapítására
IT	Analisi linguistica per la determinazione dell'origine
LT	kalbos analizė kilmei nustatyti
LV	valodas analīze, lai noteiktu izcelsmi
MT	Determinazzjoni / Preċiżazzjoni tal-oriġini tal-analiżi lingwistika
NL	taalanalyse voor de bepaling van de herkomst
PL	rozpoznawcza analiza językowa kraju pochodzenia
PT	análise da linguagem para determinação da origem
RO	analiză lingvistică pentru determinarea originii
SK	analýza jazyka na určenie pôvodu
SL	jezikovna analiza za ugotavljanje izvora / porekla
SV	språkanalys för att fastställa ursprung
NO	språkanalyse for å vurdere opprinnelsesland / -område (b); språkanalyse for å vurdere opphavsland / -område (n)
UK	мовний аналіз для визначення походження (LADO)

განმარტება

ძირითადად სამეტყველო, თუმცა ასევე წერითი, ენის ანალიზი, როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქეების/მიგრანტების მოქალაქეობის, რეგიონის ან ეთნიკური წარმომავლობის დადგენის მეთოდი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმები

- LADO
- ენისა და მეტყველების ანალიზი წარმომავლობის დადგენის მიზნით
- მეტყველებისა და ტექსტის ანალიზი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ვინაობის დადგენა**

შენიშვნები

1. ენის ანალიზი, როგორც წესი, ტარდება იმიგრაციის/თავშესაფრის საკითხებზე პასუხისმგებელი სამთავრობო უწყებების თხოვნით, თავშესაფარზე მოთხოვნის გადამოწმების მიზნით. თუმცა ენის ანალიზი ასევე შეიძლება ჩატარდეს უარყოფილი მოთხოვნის გასაჩივრების პროცესის ფარგლებში ან გამოყენებულ იქნეს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი სხვა მიგრანტების დაბრუნების პროცედურების დროსაც. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ენისა და თავშესაფრის კვლევითი ჯგუფი.

2. მეტყველების ჩანაწერის ანალიზი ტარდება იმის დასადგენად, აქვს თუ არა განმცხადებლის მეტყველებას იმ კონკრეტული ენის სავარაუდო ლინგვისტური მახასიათებლები, რომელზეც საუბრობს ადამიანთა ის ჯგუფი, რომელსაც, განმცხადებლის მტკიცებით, ის მიეკუთვნება. მეცნიერული კუთხით გადასაჭრელი მთავარი ამოცანა ამ შემთხვევაში არა ეროვნების, არამედ სამეტყველო კუთხით პირის სოციალიზაციისა და კონკრეტული ენობრივი ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის განსაზღვრაა, რაც სოციოლინგვისტურ საკითხს წარმოადგენს.

3. 2004 წელს გამოქვეყნდა „ენის ანალიზის გამოყენების სახელმძღვანელო მითითებები ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას ლტოლვილთა საქმეებთან დაკავშირებით“, რომლებიც მოიცავს ენის კვალიფიციური პროფესიული ანალიზის მიზნით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებსა და გარანტიებს. მითითებები წარმოადგენს სახელმძღვანელო წყაროს ოფიციალური უწყებებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შესაბამისი მოკვლევის მაღალპროფესიულ დონეზე წარმოებით.

4. იტალია არ იცავს ენობრივი ანალიზის სტანდარტიზებულ, კოდირებულ პროცედურას.

ენის სწავლება

BG	езиково обучение
CS	jazykové vzdělávání
DE	Sprachkurs
EL	γλωσσική κατάρτιση / γλωσσικά μαθήματα / μαθήματα γλώσσας
EN	language training
ES	Formación lingüística
ET	keeleõpe
FI	kielikoulutus
FR	formation linguistique
GA	oiliúint teanga
HU	nyelvi kurzus
IT	formazione linguistica
LT	kalbos mokymai
LV	valodu apmācība
MT	Taħriġ fl-ilsna
NL	Taalcursus
PL	kurs językowy/ szkolenie językowe
PT	formação linguística
RO	formare lingvistică
SK	jazykové vzdelávanie
SL	jezikovno usposabljanje
SV	språkundervisning
NO	språkopplæring
UK	мовна підготовка

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, სასწავლო კურსი, რომელიც გამიზნულია მიგრანტების (ლეგალურად მცხოვრები მიგრანტების და საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების) დასახმარებლად მიმღები ქვეყნის ოფიციალური ენ(ებ)ის შესწავლაში, რაც მათ მიმღები საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემს.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის საბჭოს ვებგვერდი

EMN-ის სპეციალური გამოკითხვა ენის კურსებთან და სამოქალაქო ინტეგრაციასთან დაკავშირებული ინტეგრაციის ზომების შესახებ; 1-ელი ნაწილი, 2017 წლის აპრილი

სინონიმი

★ ენის კურსი

შენიშვნები

1. სადღეისოდ, სულ უფრო მეტი ქვეყანა აყენებს სრულწლოვანი მიგრანტების მიერ მიმღები ქვეყნის ენის ცოდნის ვალდებულებას მათ ქვეყანაში დაშვებამდე ან მათთვის ბინადრობის ან შრომის ნებართვის, ან მოქალაქეობის მინიჭებამდე.

2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ენის სწავლება ჩვეულებრივ, ხელმისაწვდომია. ის შეიძლება (სხვადასხვა პირობით) იყოს (სავალდებულო) საინტეგრაციო პროგრამის ნაწილი. ასევე, ევროკავშირის ზოგ სახელმწიფოში ენის სწავლება ფინანსდება და თავისუფლად ხელმისაწვდომია, სხვა შემთხვევაში კი მონაწილეები თავად იხდიან სწავლების საფასურს.

3. ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ენების ერთიანი ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს (CEFR) საფუძველზე, ხოლო ენის გამოცდა შეიძლება სავალდებულო იყოს. ენის ცოდნის ტესტირებისადმი მიდგომები განსხვავდება, ისევე როგორც სრულიად განსხვავებულია ენის ცოდნის მოთხოვნილი დონე, რომელიც მერყეობს CEFR-ის A1-დან B1-მდე, ან შესაძლოა, B2 (ზეპირ) დონემდე.

4. ევროპის საბჭომ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც განსაზღვრავს მიგრაციის სფეროში ლინგვისტური კუთხით ინტეგრაციის პრინციპებს. მათ ავსებს ენის პოლიტიკის სახელმძღვანელო მითითებები და საცნობარო მასალები, რომლებიც შემუშავდა ამ მითითებების ეფექტური განხორციელებისთვის საერთო ღირებულებებსა და პრინციპებზე დაფუძნებული ინკლუზიური მიდგომის შესაბამისად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის საბჭოს ვებგვერდი.

ერთიანი განცხადების შეტანის პროცედურა

BG	единна процедура за кандидатстване
CS	jednotný postup vyřizování žádostí
DE	einheitliches Antragsverfahren
EL	ενιαία διαδικασία υποβολής αίτησης
EN	single application procedure
ES	procedimiento único de solicitud
ET	ühtne taotlemismenetlus
FI	yhden hakemuksen menettely
FR	procédure de demande unique
GA	nós imeachta aoniarratais
HU	összevont kérelmezési eljárás
IT	procedura unica di domanda
LT	viena prašymų pateikimo procedūra
LV	vienota pieteikšanās procedūra
MT	Proċedura ta' applikazzjoni / talba waħda għal kull persuna
NL	één enkele aanvraagprocedure
PL	procedura jednolitego wniosku
PT	procedimento de pedido único
RO	Procedură unică
SK	jednotný postup vybavovania žiadostí
SL	enotni postopek za obravnavanje prošnje
SV	ett enda ansökningsförfarande
NO	samlet prosedyre om opphold og arbeid (b); samla prosedyre om opphald og arbeid (n)
UK	єдина процедура застосування

განმარტება

პროცედურა, რომლის შედეგად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის მოქალაქის შრომისა და ბინადრობის ერთიანი უფლების მოთხოვნით ამ პირის ან მისი დამსაქმებლის მიერ შეტანილი ერთიანი განცხადების საფუძველზე გამოიცემა გადაწყვეტილება (შრომის და ბინადრობის) ერთიანი ნებართვის გაცემის შესახებ.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/98/EU (დირექტივა ერთიანი ნებართვის შესახებ) მე-2(d) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ ერთიანი ნებართვა

ერთიანი ნებართვა

BG	единно разрешение
CS	jednotné povolení
DE	kombinierte Erlaubnis
EL	ενιαία άδεια
EN	single permit
ES	permiso único
ET	ühtne luba
FI	yhdistelmälupa
FR	permis unique
GA	ceadúnas aoniarratais
HU	összevont engedély
IT	permesso unico
LT	vienas leidimas
LV	vienota atļauja
MT	Permess għal persuna waħda
NL	gecombineerde vergunning
PL	jednolite zezwolenie
PT	autorização única
RO	permis unic
SK	jednotné povolenie na pobyt a zamestnanie
SL	enotno dovoljenje
SV	kombinerat tillstånd
NO	samlet tillatelse (b); samla løyve (n)
UK	єдиний дозвіл

განმარტება

ერთიანი განცხადების შეტანის პროცედურის საფუძველზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოების მიერ გაცემული ბინადრობის ნებართვა, რომელიც უფლებას აძლევს მესამე ქვეყნის მოქალაქეს, მუშაობის მიზნით ლეგალურად იცხოვროს მის ტერიტორიაზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/98/EU (დირექტივა ერთიანი ნებართვის შესახებ) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ბინადრობის ნებართვა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **ერთიანი განცხადების შეტანის პროცედურა**

შენიშვნა

ერთიანი ნებართვა წარმოადგენს ბინადრობისა და შრომის ნებართვების გაერთიანებულ უფლებას, გაცემულს ერთი ადმინისტრაციული აქტის ფარგლებში, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ლეგალურად მცხოვრებ და დასაქმებულ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საერთო უფლებებს.

ეროვნული საკონტაქტო პირები ინტეგრაციის საკითხებში

BG	Национални точки за контакт по интеграция
CS	národní kontaktní body pro integraci
DE	Nationale Kontaktstellen für Integration
EL	Εθνικά Σημεία Επαφής για την Ένταξη
EN	National Contact Points on Integration
ES	puntos de contacto nacional de integración
ET	integratsiooni riiklikud kontaktpunktid
FI	kotouttamisasioiden kansalliset yhteyspisteet
FR	Points de contact nationaux en matière d'intégration
GA	Pointí Teagmhála Náisiúnta le haghaidh Imeascadh
HU	nemzeti integrációs kapcsolattartó pontok
IT	Punti di contatto nazionali sull'integrazione
LT	Nacionalinis integracijos informacijos centras
LV	nacionālie integrācijas kontaktpunkti
MT	Punti ta' Kuntatt Nazzjonali fuq l-Integrazzjoni
NL	nationale contactpunten voor integratie
PL	Krajowe punkty kontaktowe ds. Integracji
PT	Pontos de Contacto Nacionais de Integração
RO	punctele naționale de contact pentru integrare
SK	národné kontaktné body pre integráciu
SL	Nacionalne kontaktne točke za integracijo
SV	nationella kontaktpunkter på integrationsområdet
NO	nasjonale kontaktpunkter på integreringsfeltet (b); nasjonale kontaktpunkt på integreringsfeltet (n)
UK	Національні контактні пункти з інтеграції

განმარტება

ინტეგრაციის საკითხებზე პასუხისმგებელ სამთავრობო სტრუქტურათა ქსელი, რომელიც ხელს უწყობს ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას ევროკავშირის დონეზე, რაც გამიზნულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში იმიგრანტთა წარმატებული ინტეგრაციისთვის და შესაბამისი პოლიტიკის თანმიმდევრული ასახვისა და კოორდინირებისთვის როგორც წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ პოლიტიკასთან, ასევე ევროკავშირის ინიციატივებთან.

წყარო

ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის შესახებ

სინონიმი

★ NCPI

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაციის სახელმძღვანელო**

დაკავშირებული ტერმინები

★ **საერთო ძირითადი პრინციპები**

★ **მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)**

შენიშვნები

1. ქსელი შეიქმნა ევროკომისიის მიერ მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა საბჭოს (JAI) 2002 წლის ოქტომბრის დასკვნების შესაბამისად.

2. ინტეგრაციის საკითხებში ეროვნული საკონტაქტო პირები შეისწავლიან ინტერ ალია დასაქმებასთან, განათლებასთან, ენის ცოდნასთან, ჯანდაცვასთან, საცხოვრებელთან, კულტურასა და საზოგადოებაში ჩართულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქსელის გრძელვადიანი მიზანია ინტეგრაციის ევროპული ჩარჩოს შემუშავება და გაძლიერება იმისათვის, რომ განისაზღვროს საერთო ძირითადი პრინციპები და მიზნები, შემუშავდეს შეფასების მექანიზმები და გაუმჯობესდეს ინტეგრაციის პოლიტიკის კოორდინაცია ევროკავშირის და წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე.

3. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქტი, რომლის შემუშავებაშიც ინტეგრაციის საკითხებში ეროვნული საკონტაქტო პირები აქტიურად არიან ჩართული, არის ინტეგრაციის ევროპული სახელმძღვანელო. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის შესახებ.

ექს ნუნკ (ex-nunc/„ამ მომენტიდან“) განხილვა

BG	ex-nunc проверки /проверки, които следва да бъдат направени от даден момент нататък
CS	ex-nunc přezkum
DE	Ex-nunc-Prüfung; Entscheidung ohne Neuerungsverbot (AT)
EL	ex nunc εξέταση
EN	ex-nunc examination
ES	Examen ex nunc
ET	ex-nunc läbivaatamine
FI	ex nunc -tutkinta
FR	examen ex-nunc
GA	scrúdú ex-nunc
HU	ex-nunc vizsgálat
IT	Esame ex-nunc
LT	ex nunc nagrinėjimas
LV	ex nunc pārbaude
MT	Eżami ex-nunc
NL	ex nunc onderzoek / ex nunc toetsing
PL	postępowanie dowodowe ex nunc
PT	exame ex-nunc
RO	examinare ex-nunc
SK	preskúmanie ex nunc
SL	preiskava / obravnava po načelu ex-nunc
SV	ex nunc-prövning
NO	helhetsvurdering av den aktuelle situasjonen (ved anke) (b); heilskapsvurdering av den aktuelle situasjonen (ved anke) (n)
UK	дослідження ex-nunc

განმარტება

სააპელაციო პროცედურების დროს სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტისთვის არსებული მტკიცებულებების (ყველა ელემენტის, ფაქტისა და სამართლის საკითხის) განხილვა, რაც საშუალებას აძლევს სასამართლოს ან ტრიბუნალს, გაითვალისწინოს ის მტკიცებულებები, რომელთა შესახებაც საქმის განმხილველ ორგანოს ვერ ეცოდინებოდა პირველი ინსტანციის პროცედურების დროს.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 46-ე(3) მუხლი

ექსპლუატაცია

BG	експлоатация
CS	vykořisťování
DE	Ausbeutung
EL	εκμετάλλευση
EN	exploitation
ES	explotación
ET	ärakasutamine
FI	hyväksikäyttö
FR	exploitation
GA	dúshaothrú
HU	kizsákmányolás
IT	sfruttamento
LT	išnaudojimas
LV	izmantošana
MT	Sfruttament
NL	uitbuiting
PL	wykorzystywanie
PT	exploração
RO	exploatare
SK	vykorisťovanie
SL	izkoriščanje
SV	utnyttjande
NO	utnyttelse (b); utnytting (n)
UK	експлуатація

განმარტება

ქმედება, რომელიც გულისხმობს ვინმესგან ან რაიმესგან სარგებლის მიღებას, კერძოდ კი, პირის ბოროტად გამოყენებას მეორე პირის მიერ სარგებლის მიღების მიზნით (მაგ., სექსუალური ექსპლუატაცია, იძულებითი შრომა ან მომსახურება, მონობა, მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენება, ორგანოების ამოკვეთა).

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ

დაკავშირებული ტერმინები

- **იძულებითი შრომა**
- **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

შენიშვნა

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/36/EU (დირექტივა ტრეფიკინგის შესახებ) მე-2(3) მუხლის თანახმად, ექსპლუატაცია მოიცავს, სულ მცირე, პროსტიტუციაში სხვა პირთა ჩაბმას ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურების იძულებით გაწევას, მათ შორის, მათხოვრობას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას, დანაშაულებრივ ქმედებებში სხვა პირთა ჩაბმას ან ორგანოების ამოკვეთას.

ვალეტის ერთობლივი სამოქმედო გეგმა (JVAP)

BG	Съвместен план за действие от Валета
CS	Společný valletský akční plán
DE	Gemeinsamer Aktionsplan von Valetta
EL	Κοινό Σχέδιο Δράσης της Βαλέτα
EN	Joint Valletta Action Plan
ES	Plan de Acción Conjunto de La Valeta
ET	Valletta ühine tegevuskava
FI	Vallettan yhteinen toimintasuunnitelma
FR	Plan d'Action Conjoint de la Valette
GA	Plean comhpháirteach gníomhaíochta Vaileite
HU	Közös Vallettai Cselekvési terv (JVAP)
IT	Piano di azione congiunto della Valletta
LT	Bendras Valetos veiksmų planas
LV	Apvienotais Valletas rīcības plāns
MT	Pjan (Il-) ta' Azzjoni Konġunta Valletta
NL	Gezamenlijk actieplan van Valletta
PL	Wspólny Plan Działania z Valetty
PT	Plano de ação conjunta de Valeta (PACV)
RO	Planul de acțiune de la Valletta
SK	spoločný akčný plán z Valletty
SL	Skupni akcijski načrt iz Vallette
SV	handlingsplanen från Valletta
NO	Felles handlingsplan for Valletta-samarbeidet (JVAP)
UK	Спільний Валлетський план дій

განმარტება

აფრიკისა და ევროპის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებისკენ მიმართულ პოლიტიკურ და ოპერაციულ ღონისძიებათა ერთობლიობა ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე რეგიონებში მიგრაციის ჰუმანური და მდგრადი მართვის ჩარჩოს შექმნის მიზნით.

წყაროები

ICMPD-ს ვებგვერდი, ვალეტის ერთობლივი სამოქმედო გეგმის აღწერა

ვალეტის სამიტი, 2015 წლის 11-12 ნოემბერი, სამოქმედო გეგმა.

სინონიმები

- JVAP
- ვალეტის ერთობლივი სამოქმედო გეგმა
- ვალეტის სამიტის სამოქმედო გეგმა

დაკავშირებული ტერმინები

- **რაბატის პროცესი**
- **ხარტუმის პროცესი**
- **ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის)**

შენიშვნები

1. ვალეტის ერთობლივი სამოქმედო გეგმა, ასევე ცნობილი როგორც ვალეტის სამიტის სამოქმედო გეგმა, მიღებულ იქნა ვალეტის სამიტზე 2015 წლის 11-12 ნოემბერს და საფუძველი ჩაუყარა აქტიურ პარტნიორობას აფრიკასა და ევროკავშირს შორის მიგრაციის მართვის სფეროში. სამოქმედო გეგმა ეფუძნება რაბატისა და ხარტუმის პროცესების რეკომენდაციებს და მოიცავს პოლიტიკური და ოპერაციული ზომების ერთობლიობას.

2. JVAP-ის ხუთი პრიორიტეტული მიმართულებაა:

– მიგრაციისა და განვითარების მიმართულების უპირატესობების გამოკვეთა და კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციისა და იძულებითი გადაადგილების ძირეული მიზეზების აღმოფხვრა;

– ლეგალური მიგრაცია და მობილობა;

– დაცვა და თავშესაფარი;

– არალეგალური მიგრაციის, (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენცია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა;

– დაბრუნება, რეადმისია და რეინტეგრაცია.

3. აფრიკის ყველაზე მოწყვლადი და დაზარალებული ქვეყნებისთვის JVAP-ს განხორციელებაში დახმარების გაწევის მიზნით სამიტზე ამოქმედდა ფინანსური ინსტრუმენტი: ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის)

ვიზა

BG	виза
CS	vízum
DE	Visum
EL	θεώρηση εισόδου / βίζα
EN	visa
ES	visado
ET	viisa
FI	viisumi
FR	visa
GA	víosa
HU	vízum
IT	visto
LT	viza
LV	vīza
MT	Viża
NL	visum
PL	wiza
PT	visto
RO	viză
SK	vízum
SL	vizum
SV	visering
NO	visum
UK	віза

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა ან გადაწყვეტილება ევროკავშირის ამ ან რამდენიმე წევრ სახელმწიფოში დაგეგმილი ყოფნის მიზნით აღნიშნულ სახელმწიფო(ებ)ში პირის შესვლის ან ტრანზიტით გავლის შესახებ.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(m) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **სამგზავრო დოკუმენტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **აეროპორტის სატრანზიტო ვიზა**

★ **გრძელვადიანი ვიზა**

★ **მოკლევადიანი ვიზა**

★ **სავიზო კოდექსი**

★ **შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ**

★ **ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS)**

შენიშვნები

1. კონკრეტული მესამე ქვეყნებისთვის (კერძოდ, 2011 წლის დეკემბრიდან შემდეგი ქვეყნებისთვის: ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია, საქართველო, მოლდოვა, მონტენეგრო, სერბეთი, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა) ამოქმედდა შეთანხმებები ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ, რომლებიც ორმხრივობის საფუძველზე ამარტივებს ვიზის გაცემას მიზნობრივი დარჩენისთვის 180-დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით ყოფნის მიზნით ევროკავშირის მოქალაქეებისა და შეთანხმების მხარე მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ამგვარი შეთანხმებები ხშირად რეადმისიის შესახებ შეთანხმებებთან ერთად ფორმდება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. DG Home-ის ვებგვერდი, სავიზო პოლიტიკის სექცია.

2. ევროინტეგრაციის პროცესის მომდევნო გაღრმავებისა და ხალხთაშორისი კავშირების ხელშეწყობის მიზნით ევროკავშირმა წამოიწყო 'სავიზო დიალოგი' დასავლეთი ბალკანეთისა და აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებთან. შესაბამისი 'საგზაო რუკებითა' და 'სამოქმედო გეგმებით' განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისა და ევროკომისიის თანმიმდევრული პროგრესანგარიშების საფუძველზე დასავლეთი ბალკანეთის ხუთი ქვეყნის (მონტენეგრო, სერბეთი და ჩრდილოეთი მაკედონია 2009 წლიდან; ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა 2010 წლიდან) და აღმოსავლეთი პარტნიორობის სამი ქვეყნის (მოლდოვა 2016 წლიდან, საქართველო და უკრაინა - 2017 წლიდან) მოქალაქეებს მიეცათ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში 180 დღის განმავლობაში 90 დღის ვადით უვიზოდ შესვლისა და ყოფნის უფლება. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიის ვებგვერდი.

ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS)

BG	Визова информационна система
CS	Vízový informační systém
DE	Visa-Informationssystem
EL	Σύστημα Πληροφοριών για τις Θεωρήσεις
EN	Visa Information System (VIS)
ES	Sistema de Información de Visados
ET	viisainfosüsteem
FI	viisumitietojärjestelmä
FR	Système d'information sur les visas
GA	an Córas Faisnéise Víosaí; VIS
HU	Vízum Információs Rendszer
IT	Sistema di Informazione Visti
LT	Vizų informacinė sistema
LV	Vīzu informācijas sistēma
MT	Sistema ta' Informazzjoni dwar il-Viża
NL	Visuminformatiesysteem
PL	System Informacji Wizowej
PT	Sistema de Informação de Vistos
RO	Sistemul Informatic de Vize
SK	Vízový informačný systém
SL	Vizumski informacijski sistem
SV	informationssystemet för viseringar
NO	visuminformasjonssystemet
UK	Візова інформаційна система (VIS)

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის სავიზო მონაცემების გაცვლის სისტემა, რომელიც ეროვნულ უფლებამოსილ უწყებებს აძლევს საშუალებას, შეიყვანონ, განაახლონ და ელექტრონულად დაამუშაონ აღნიშნული მონაცემები.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების 2004/512/EC 1-ელი მუხლი

სინონიმი

★ VIS

დაკავშირებული ტერმინები

★ **შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)**

★ **სავიზო კოდექსი**

★ **შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ**

შენიშვნა

ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS) ამოქმედდა ჩრდილოეთ აფრიკაში 2011 წლის 11 ოქტომბერს (იხ. ევროკომისიის პრესრელიზი IP/11/1169).

ვინაობის დადგენა

BG	установяване на самоличност
CS	určení totožnosti
DE	Identitätsfeststellung
EL	εξακρίβωση της ταυτότητας
EN	establishment of identity
ES	Determinación de la identidad
ET	isiku tuvastamine / isikusamasuse tuvastamine
FI	henkilöllisyyden selvittäminen
FR	établissement de l'identité
GA	aitheantas daoine faoi chosaint idirnaisiúnta a dhearbhú
HU	személyazonosság megállapítása
IT	Determinazione dell'identità
LT	asmens tapatybės nustatymas
LV	identitātes noteikšana
MT	affermazzjoni tal-identità
NL	identiteitsvaststelling
PL	ustalenie tożsamości wnioskującego o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	estabelecimento de identidade
RO	Procesul Bali
SK	zisťovanie totožnosti / zisťovanie identity
SL	ugotavljanje istovestnosti (identitete)
SV	fastställande av identitet
NO	fastsettelse av identiteten (b); fastsetjing av identiteten (n)
UK	встановлення особи

განმარტება

პიროვნების იდენტიფიცირებისა და პირადობის დადასტურების მიზნით წარმოებული პროცესი, რომლის დროსაც იხილება დოკუმენტური მტკიცებულებები სხვადასხვა პროცედურის შესაბამისად, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მტკიცებულებები არაავთენტური, შეუსაბამო ან არასრულია ან საერთოდ არ არსებობს, გამოიყენება განსხვავებული პროცედურები და მეთოდები.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EMN-ის სპეციალური გამოკითხვა: ვინაობის დადგენა საერთაშორისო დაცვის მიზნით: გამოწვევები და პრაქტიკა, 2013 წ.

EMN-ის კვლევა: მიგრაციის პროცესში თავშესაფრის მაძიებელთა ვინაობის დადგენის გამოწვევები და პრაქტიკა, 2017 წ.

სინონიმები

- ვინაობის დადგენა საერთაშორისო დაცვის მიზნებისთვის
- პიროვნების იდენტიფიცირება საერთაშორისო დაცვის მიზნებისთვის
- წარმომავლობის (წარმოშობის) დადგენა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **ასაკის დადგენა**
- **იდენტიფიცირება**
- **ვინაობის დადასტურება**
- **ენის ანალიზი წარმომავლობის დადგენის მიზნით (LADO)**

შენიშვნები

1. ვინაიდან ევროკავშირის ქვეყნებს არ აქვთ ტერმინის 'ვინაობა' (identity) საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი განმარტება, მათი უმეტესობა იყენებს პრაქტიკულ განმარტებებს, რომლებიც ადგენს, როგორც მინიმუმ, პირის სახელს, გვარს, სქესს, დაბადების თარიღს და მოქალაქეობას.

2. ეს განმარტება მოიცავს ვინაობის დადგენასთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას (როგორებიცაა მიგრაციის კანონიერი საფუძველი, ვიზა, სასაზღვრო კონტროლი, საერთაშორისო დაცვა, დაბრუნება, ბინადრობის და შრომის ნებართვები, ოჯახის გაერთიანება და ნატურალიზაცია).

ვინაობის დადგენა [გაგრძ.]

3. ვინაობის დასადგენად გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი, როგორებიცაა წარმოდგენილი დოკუმენტების მატერიალურ-ტექნიკური შესწავლა, მოკვლევა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში საელჩოების მეშვეობით, დნმ-ის ტესტი, თვალის ბადურის სკანირება, თითის ანაბეჭდების აღება, ენის ანალიზი წარმომავლობის დადგენის მიზნით (LADO) და ასაკის დადგენა.

4. იდენტიფიცირება: იდენტიფიცირების პროცედურის/სისტემის მიზანია, უპასუხოს კითხვას: „ვინ არის ეს პირი?“ ბიომეტრიული იდენტიფიცირების სისტემები ეფუძნება 1-n დამთხვევის პრინციპს, სადაც ‘n’ არის მონაცემთა ბაზაში არსებული ბიომეტრიული მონაცემები სრული სახით, რომლებთანაც დარდება პირის ბიომეტრიული მახასიათებლები. იდენტიფიცირების პროცედურები და სისტემები (ბიომეტრიული სისტემები) განსხვავდება ვინაობის დამადასტურებელი სისტემებისგან იმით, რომ მათი საშუალებით ხდება უცნობი პირის ან ბიომეტრიული მონაცემის იდენტიფიცირება.

5. ვინაობის დადასტურება: ვინაობის დამადასტურებელი პროცედურების და სისტემების მიზანია, უპასუხოს კითხვას: „არის თუ არა ეს პირი ის, ვინც, მისი მტკიცებით, ის არის?“ ვინაობის დამადასტურებელი ბიომეტრიული სისტემები ეფუძნება ‘1-1’ დამთხვევის პრინციპს, რომლის საშუალებით პირის მიერ წარმოდგენილი ბიომეტრიული მონაცემები დარდება სისტემაში უკვე არსებულ ბიომეტრიულ მონაცემებთან.

6. EMN-ის 2017 წლის კვლევაში „განმცხადებელთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული გამოწვევები და პრაქტიკა“ განხილულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიდგომები მესამე ქვეყნებიდან მიგრირებულ მოქალაქეთა იდენტიფიცირების კუთხით ფართო გაგებით, რაც მოიცავს მათი ვინაობის დადგენა-დადასტურებასთან დაკავშირებულ ამოცანებს.

თავისუფალი გადაადგილების უფლება

BG	право на свободно движение
CS	právo volného pohybu
DE	Recht auf Freizügigkeit
EL	δικαίωμα ελεύθερης κυκλοφορίας
EN	right to free movement
ES	derecho a la libre circulación
ET	vaba liikumise õigus
FI	oikeus liikkua vapaasti
FR	droit à la libre circulation
GA	ceart saorghluaiseachta
HU	szabad mozgáshoz való jog
IT	diritto di libera circolazione
LT	laisvo judėjimo teisė
LV	tiesības brīvi pārvietoties
MT	Dritt għal-libertà tal-moviment / għall-moviment bla xkiel / għall-merħ ħieles
NL	recht op vrij verkeer
PL	prawo do swobodnego przepływu
PT	direito de livre circulação
RO	dreptul la liberă circulație
SK	právo na slobodný pohyb / právo na voľný pohyb
SL	pravica do prostega gibanja
SV	rätt till fri rörlighet
NO	rett til fri bevegelse (b); rett til fri rørsle (n)
UK	право на свободу пересування

განმარტება

ევროკავშირის მოქალაქეებისა და ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების უფლება (ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების შესაბამისად), თავისუფლად გადაადგილდნენ და იცხოვრონ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის 45-ე მუხლი

სინონიმი

★ გადაადგილების თავისუფლება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მობილობა ევროკავშირის ფარგლებში**

შენიშვნები

1. თავისუფალი გადაადგილების უფლება ევროკავშირის მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა, რომელიც ევროკავშირის შექმნის პროცესში იმთავითვე განისაზღვრა, როგორც ერთ-ერთი ფუძემდებლური უფლება და განმტკიცდა ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 21-ე(1) მუხლით. ის შემდგომ განვითარდა ევროკავშირის მეორე დონის კანონმდებლობასა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში.

2. მუშაკების თავისუფალი გადაადგილება ასევე ვრცელდება ევროპის ეკონომიკური სივრცის ქვეყნებზე (ისლანდია, ლიხტენშტაინი, ნორვეგია) და შვეიცარიაზე.

3. გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დებულებები ანალოგიურად ვრცელდება ევროკავშირის ათ წევრ სახელმწიფოზე (რომლებიც ევროკავშირს 2004 წელს შეუერთდნენ), ბულგარეთსა და რუმინეთზე (რომლებიც ევროკავშირს 2007 წლის იანვარში შეუერთდნენ) და ხორვატიაზე, რომელიც 2013 წლის ივლისში გაერთიანდა ევროკავშირში. ევროკავშირის ზოგიერთ თავდაპირველ წევრ სახელმწიფოში (2004 წლის მაისამდე) გამოიყენება გარდამავალი შეთანხმებები, რომლებიც ამჟამად ზღუდავს დასაქმებულთა გადაადგილების თავისუფლებას გარკვეული პერიოდით (იხ. გადაადგილების თავისუფლების აღწერა ევროპის მოქალაქეთა საინფორმაციო ვებგვერდზე).

4. გადაადგილებისა და ბინადრობის თავისუფლება ენიჭებათ, ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების თანახმად, მხოლოდ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა გარკვეულ კატეგორიებს, მაგალითად, გრძელვადიან მობინადრეებს, მაღალკვალიფიციურ მუშაკებს, მკვლევრებსა და სტუდენტებს. მიუხედავად იმისა, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ მოქმედი ბინადრობის ნებართვა ან ვიზა, უფლება აქვთ ნებისმიერ ექვსთვიან პერიოდში სამ თვემდე ვადით თავისუფლად გადაადგილდნენ შენგენის ზონაში, ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში სამ თვეზე მეტი ხნით ბინადრობასთან დაკავშირებული უფლებები გათვალისწინებულია კონკრეტული სამართლებრივი დოკუმენტებით, მათი სტატუსის გათვალისწინებით და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობების შესაბამისად.

თ თავშესაფარი

BG	убежище
CS	azyl
DE	Asyl
EL	άσυλο
EN	asylum
ES	asilo
ET	varjupaik
FI	turvapaikka
FR	asile
GA	tearmann
HU	menedékjog
IT	asilo
LT	prieglobstis
LV	patvērums
MT	Ażil
NL	asiel
PL	azyl
PT	asilo
RO	azil
SK	azyl
SL	azil
SV	asyl
NO	asyl
UK	притулок

განმარტება

სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილი დაცვის ფორმა, არგაძევების პრინციპისა და საერთაშორისოდ ან ეროვნულ დონეზე აღიარებული ლტოლვილთა უფლებების საფუძველზე, რომელიც მიეცემა პირს, რომელსაც არ აქვს თავისი მოქალაქეობის და/ან ბინადრობის ქვეყანაში დაცვის მიღების შესაძლებლობა, რადგან აქვს შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლება**

დაკავშირებული ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვა**

შენიშვნა

ამ ტერმინის პირდაპირი თარგმანი ბულგარულ ენაზე (‘убежище’) აღნიშნავს კონკრეტული სახის დაცვას, რომელსაც ბულგარეთის პრეზიდენტი ანიჭებს შესაბამის პირებს და რომელიც განსხვავდება იმ დაცვისგან, რომელიც აღნიშნულ პირებს ენიჭებათ ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) საფუძველზე.

თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლება

BG	право на убежище (от гледна точка на държавата, предоставяща закрила)
CS	právo azylu
DE	Recht, Asyl zu gewähren; Asylrecht (DE)
EL	δικαίωμα παροχής ασύλου
EN	right of asylum
ES	derecho de asilo
ET	õigus varjupaigale
FI	turvapaikkaoikeus
FR	droit d'asile
GA	ceart tearmainn
HU	menedékjog
IT	diritto di asilo
LT	prieglobsčio suteikimo teisė
LV	patvēruma tiesības
MT	Dritt mogħti għall-ażil
NL	asielrecht / recht van asiel
PL	prawo do udzielenia azylu
PT	direito ao asilo
RO	dreptul la azil
SK	právo udeliť azyl
SL	azilna pravica
SV	asylrätt
NO	rett til å gi beskyttelse / asyl (b); rett til å gje vern / asyl (n)
UK	право притулку

განმარტება

სახელმწიფოს უფლება თავისი ტერიტორიული სუვერენიტეტის საფუძველზე და დისკრეციული უფლების განხორციელებისას, ნება დართოს არამოქალაქე პირს, შევიდეს და იცხოვროს მის ტერიტორიაზე; ასევე, სახელმწიფოს უფლება, წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერი სახელმწიფოს მხრიდან იურისდიქციის განხორციელებას ამ პირის მიმართ.

წყარო

UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

სინონიმი

★ თავშესაფრის მინიჭების უფლება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **თავშესაფარი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **თავშესაფრის უფლება**

შენიშვნები

1. ზოგიერთ სახელმწიფოში დადგენილია უფრო ვიწრო ან ფართო კრიტერიუმები, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციით (და ოქმით) განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შედარებით.

2. IOM ამ ტერმინს იყენებს ორი მნიშვნელობით:

– სახელმწიფოს უფლება, მიანიჭოს თავშესაფარი (თავისი შეხედულებისამებრ, თავის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს)

– პირის უფლება, მიიღოს თავშესაფარი (იმ სახელმწიფოსთან მიმართებით, რომლის ტერიტორიაზეც მან მოითხოვა თავშესაფარი, ასევე, იმ სახელმწიფოსთან მიმართებით, რომელიც მას დევნის).

თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)

BG	Обща европейска система за убежище
CS	Společný evropský azylový systém
DE	Gemeinsames Europäisches Asylsystem
EL	Κοινό Ευρωπαϊκό Σύστημα Ασύλου
EN	Common European Asylum System (CEAS)
ES	Sistema Europeo Común de Asilo
ET	Euroopa ühtne varjupaigasüsteem
FI	Euroopan yhteinen turvapaikkajärjestelmä
FR	régime d'asile européen commun
GA	Comhchóras Tearmainn Eorpach
HU	Közös Európai Menekültügyi Rendszer
IT	Sistema europeo comune di asilo
LT	Bendra Europos prieglobsčio sistema
LV	Kopējā Eiropas patvēruma sistēma
MT	Sistema Ewropea Komuni għall-Ażil
NL	Gemeenschappelijk Europees Asielstelsel
PL	Wspólny Europejski System Azylowy
PT	Sistema Europeu Comum de Asilo
RO	Sistemul European Comun de Azil
SK	Spoločný európsky azylový systém
SL	Skupni evropski azilni sistem
SV	gemensamt europeiskt asylsystem
NO	Det felles europeiske asylsystemet
UK	Загальноєвропейська система надання притулку (CEAS)

განმარტება

შეთანხმებული წესების ჩარჩო, რომელიც ადგენს საერთაშორისო დაცვის ერთიან პროცედურებს და აწესებს უნიფიცირებულ სტატუსს იმ პირთათვის, რომლებსაც, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციისა და ოქმის სრული და ყოვლისმომცველი მოქმედების საფუძველზე, ენიჭებათ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი. თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის მიზანია საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების სამართლიანი და ჰუმანური მოპყრობის უზრუნველყოფა, მბოჭავი კანონმდებლობის შესაბამისად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა თავშესაფრის სისტემების ჰარმონიზება, მათ შორის განსხვავებათა შემცირება და თანამშრომლობის გაძლიერება თავშესაფრის საკითხებზე როგორც ეროვნულ დონეზე პასუხისმგებელ უწყებათა შორის, ასევე ევროკავშირის საგარეო მიმართულებით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 78-ე მუხლი

სინონიმი

- CEAS

დაკავშირებული ტერმინები

- **ევრასილი (Eurasil)**
- **ევროკავშირის თავშესაფრის მხარდაჭერის ოფისი (EASO)**
- **ლისაბონის ხელშეკრულება**
- **მინიმალური სტანდარტები**

შენიშვნა

TFEU-ს 78-ე მუხლის თანახმად, თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა მოიცავს:
ა) მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის თავშესაფრის უნიფიცირებულ სტატუსს, რომელიც მოქმედია ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე;
ბ) დამატებითი დაცვის უნიფიცირებულ სტატუსს მესამე ქვეყნების იმ მოქალაქეებისთვის, რომლებსაც ესაჭიროებათ საერთაშორისო დაცვა, მიუხედავად იმისა, რომ უარი ეთქვათ თავშესაფრის მინიჭებაზე;
გ) გადაადგილებულ პირთა მასობრივი შემოდინების შემთხვევაში, მათი დროებითი დაცვის ერთიან სისტემას;
დ) თავშესაფრის ან დამატებითი დაცვის უნიფიცირებული სტატუსის მინიჭებისა და გამოხმობის საერთო პროცედურებს;
ე) კრიტერიუმებსა და მექანიზმებს იმის დასადგენად, თუ ევროკავშირის რომელი სახელმწიფოა პასუხისმგებელი თავშესაფრის ან დამატებითი დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე;
ვ) თავშესაფრის ან დამატებითი დაცვის მოთხოვნაზე განმცხადებლების მიღების პირობებთან დაკავშირებულ სტანდარტებს;
ზ) მესამე ქვეყნებთან პარტნიორობას და თანამშრომლობას იმ პირთა შემოდინების მართვის მიზნით, რომლებიც თავშესაფარს, დამატებით დაცვას ან დროებით დაცვას ითხოვენ.

თავშესაფრის მაძიებელი

BG	търсещ убежище
CS	žadatel o azyl
DE	Asylbewerber (EU acquis, DE); Asylwerber (AT); Asylantragsteller (LU)
EL	αιτών άσυλο
EN	asylum seeker
ES	solicitante de asilo
ET	varjupaigataotleja
FI	turvapaikanhakija
FR	demandeur d'asile
GA	iarratasóir ar thearmann
HU	menedékkérő
IT	richiedente asilo
LT	prieglobsčio prašytojas
LV	patvēruma meklētājs
MT	Applikant(a) għall-ażil
NL	asielzoeker
PL	osoba ubiegająca się o nadanie statusu uchodźcy (azyl)
PT	requerente de asilo
RO	solicitant de azil
SK	žiadateľ o udelenie azylu / žiadateľ o azyl
SL	prosilec za azil
SV	asylsökande
NO	asylsøker (b); asylsøkjar (n)
UK	шукач притулку

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც ეძიებს დევნისაგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვას თავისი ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყანაში და ელოდება გადაწყვეტილებას ლტოლვილის სტატუსის შესახებ მის განცხადებაზე, შესაბამისი საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტების საფუძველზე.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელმაც ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) შესაბამისად, წარადგინა განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით და რომელთან დაკავშირებითაც საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2005/85/EC (დირექტივა თავშესაფრის პროცედურების შესახებ) მე-2(b) მუხლი

სინონიმი

★ განმცხადებელი თავშესაფრის მიღებაზე

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე**

დაკავშირებული ტერმინი

★ **ლტოლვილი**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივების: 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) და 2013/32/EC (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დამტკიცების შემდეგ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში ეს ტერმინი აღიქმება, როგორც საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის სინონიმი. თუმცა ირლანდია, რომელსაც არ დაუმტკიცებია ერთიანი პროცედურა, აგრძელებს ტერმინის 'თავშესაფრის მაძიებელი' გამოყენებას იმ განმცხადებლის შემთხვევაში, რომელიც დაცვას ითხოვს მხოლოდ ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) შესაბამისად. გერმანიაში ეს ტერმინი, 2011/95/EU დირექტივის დებულებების გარდა, კვლავ გამოიყენება ეროვნული კანონმდებლობის მიხედვითაც (ზოგადი კანონის მე-16(a) მუხლი).

2. ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებს გარეთ ტერმინები 'თავშესაფრის მაძიებელი' ან 'განმცხადებელი თავშესაფრის მიღებაზე' უფრო მეტად გამოიყენება, ვიდრე „განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე".

თავშესაფრის უფლება

BG	право на убежище (от гледна точка на търсещия закрила)
CS	právo na azyl
DE	Recht auf Asyl
EL	δικαίωμα ασύλου
EN	right to asylum
ES	derecho de asilo
ET	õigus varjupaika taotleda
FI	oikeus turvapaikkaan, turvapaikkaoikeus
FR	droit d'asile
GA	ceart ar thearmann
HU	menedékhez való jog
IT	diritto all'asilo
LT	teisė į prieglobstį
LV	tiesības uz patvērumu
MT	Dritt għall-ażil
NL	recht op asiel
PL	prawo do azylu
PT	direito de asilo
RO	dreptul la azil
SK	právo na azyl
SL	pravica do azila
SV	rätt till asyl
NO	rett til beskyttelse (b); rett til vern (n)
UK	право на притулок

განმარტება

პირის მიერ თავშესაფრის მოთხოვნის უფლება, რომელიც სათანადოდ გარანტირებულია ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციისა და ოქმის წესების დაცვით და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) შესაბამისად.

წყაროები

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-18 მუხლი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-14 მუხლი

სინონიმი

★ თავშესაფრის მოთხოვნის უფლება

დაკავშირებული ტერმინი

★ **თავშესაფრით უზრუნველყოფის უფლება**

შენიშვნა

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლით ლტოლვილებს არ აქვთ აღმჭურველი უფლება სახელმწიფოს მიერ მათთვის თავშესაფრის მინიჭების შესახებ. თავშესაფარზე ინდივიდუალური უფლება ასევე სადავოა ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ჭრილშიც.

თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა

BG	пазаруване на убежище
CS	spekulativní podávání žádostí o azyl
DE	Asyl-Shopping
EL	το φαινόμενο της αναζήτησης του ευνοϊκότερου κράτους υποδοχής από τους αιτούντες άσυλο / asylum shopping
EN	asylum shopping
ES	compra de asilo
ET	soodsaima varjupaigariigi valimine
FI	turvapaikkashoppailu, edullisimman kohtelun tarjoavan maan etsintä
FR	no usual translation
GA	siopadóireacht tearmainn
HU	no usual translation
IT	shopping delle richieste di asilo
LT	ieškojimas, kur geriau gauti prieglobstį
LV	izdevīgāko patvēruma noteikumu meklēšana
MT	Sajda għall-ażil
NL	asielshoppen
PL	asylum shopping / no usual translation
PT	asylum shopping
RO	asylum shopping
SK	zneužívanie azylového systému / azylový turizmus
SL	Azilni šoping / kupovanje azila
SV	asylum shopping (ansökningar om asyl i flera länder samtidigt) / asylshopping
NO	asylshopping
UK	пошук притулку в різних країнах

განმარტება

დუბლინის რეგულაციის კონტექსტში, პრაქტიკა, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქე ითხოვს საერთაშორისო დაცვას ევროკავშირის ერთზე მეტ წევრ სახელმწიფოში იმ დროს, როცა მას უკვე აქვს ან არ აქვს მიღებული საერთაშორისო დაცვა ევროკავშირის ერთ-ერთ ამ წევრ სახელმწიფოში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტი SEC/2008/2029, რომელიც თან ერთვის თავშესაფრის შესახებ პოლიტიკის გეგმის თაობაზე ევროკომისიის კომუნიკეს (COM(2008 წ.) 360 საბოლოო რედაქცია)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრანტების განმეორებითი გადაადგილება

დაკავშირებული ტერმინი

★ დუბლინის რეგულაცია

შენიშვნები

1. ტერმინს 'თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა' სამართლებრივი განმარტება არ გააჩნია, მაგრამ გამოიყენება არაფორმალური გაგებით და მოიხსენიება ევროკავშირის კომუნიკეებში. ამასთან, ტერმინი, ძირითადად, ნეგატიური მნიშვნელობით გამოიყენება, რადგან თავშესაფრის ბოროტად გამოყენებას აღნიშნავს და გულისხმობს იმას, რომ თავშესაფრის მაძიებელ პირს შეაქვს რამდენიმე განაცხადი ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში (არჩევს რა ევროკავშირის იმ წევრ ქვეყანას, რომელიც თავშესაფრის მაძიებლებს ყველაზე მიმზიდველ სოციალურ, ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ სტანდარტებს სთავაზობს).

2. ტერმინის 'თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა' მეორე მნიშვნელობა გულისხმობს თავშესაფრის რამდენიმე წესის შედარებას და მათგან ერთ-ერთის შერჩევას (იხ. ევროპული უნივერსიტეტის ინსტიტუტი (EUI): ევროკავშირის თავშესაფრის პოლიტიკის შემუშავება: ადვოკატირების არგუმენტის გადასინჯვა).

3. ევროკომისიის აპარატის სამუშაო დოკუმენტში SEC/2008/2029 განმარტებულია 'თავშესაფრის უფლებით ვაჭრობის' მნიშვნელობა, მოყვანილია მისი რამდენიმე მაგალითი და მოცემულია დუბლინის სისტემის ზეგავლენის შედეგების შეფასება (რომელიც აერთიანებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციას (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია), რეგულაციას (EU) N603/2013 (რეგულაცია ევროდაკის (Eurodac) შესახებ) და მათ განმახორციელებელ რეგულაციებს).

თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდი (AMIF)

BG	Фонд “Убежище, миграция и интеграция”
CS	Azylový, migrační a integrační fond
DE	Asyl-, Migrations- und Integrationsfonds
EL	Ταμείο Ασύλου, Μετανάστευσης και Ένταξης / TAME
EN	Asylum, Migration and Integration Fund (AMIF)
ES	Fondo de Asilo, Migración e Integración (FAMI)
ET	Varjupaiga-, Rände- ja Integratsioonifond
FI	Maahanmuutto-, turvapaikka ja kotouttamisrahasto
FR	Fonds Asile, migration et intégration / FAMI
GA	An Ciste um Thearmann, Imirce agus Lánpháirtíocht
HU	Menekültügyi, Migrációs és Integrációs Alap / MMIA
IT	Fondo Asilo, Migrazioni e Integrazione / FAMI
LT	Prieglobsčio, migracijos ir integracijos fondas / PMIF
LV	Patvēruma, migrācijas un integrācijas fonds
MT	Fond għall-Ażil, Migrazzjoni u Integrazzjoni
NL	Fonds voor Asiel, Migratie en Integratie / Asiel-, Migratie- en Integratiefonds
PL	fundusz Azylu, Migracji i Integracji (FAMI)
PT	Fundo para o asilo, a migração e a integração / FAMI
RO	Fondul pentru azil, migrație și integrare (FAMI)
SK	Fond pre azyl, migráciu a integráciu
SL	Sklad za azil, migracije in integracijo
SV	Asyl-, migrations- och integrationsfonden
NO	Asylum, Migration and Integration Fund (no usual translation)
UK	Фонд притулку, міграції та інтеграції (ФПМІ)

განმარტება

ევროკავშირის 2014-2020 წლების ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც მხარს უჭერს როგორც მიგრაციული ნაკადების ეფექტური მართვისთვის გამიზნულ ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე შემუშავებულ ინიციატივებს, ასევე, თავშესაფრის, მიგრაციის და ინტეგრაციისადმი ევროკავშირის საერთო მიდგომის განხორციელებას, გაძლიერებასა და განვითარებას.

წყაროები

DG Home-ის ელექტრონული ბიბლიოთეკის განმარტებითი ლექსიკონი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N516/2014 (რეგულაცია AMIF-ის შესახებ) მე-3 მუხლი

სინონიმი

★ AMIF

შენიშვნები

1. DG Home-ის მიერ დაფუძნებული AMIF-ის ბიუჯეტი განისაზღვრა 3.137 მილიარდი ევროს ოდენობით და ის მიზნად ისახავს შემდეგი ოთხი ამოცანის მიღწევის ხელშეწყობას:

– თავშესაფარი: თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) გაძლიერება და განვითარება;

– ლეგალური მიგრაცია და ინტეგრაცია: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად და ევროკავშირის არამოქალაქე პირთა ეფექტური ინტეგრაციის მხარდაჭერა;

– დაბრუნება: სამართლიან მიდგომაზე დაფუძნებული დაბრუნების ეფექტური სტრატეგიების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს უწყობს კანონიერი საფუძვლის გარეშე (არალეგალურ) მიგრაციასთან ბრძოლას და რომლებშიც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დაბრუნების პროცესის მდგრადობასა და ეფექტიანობაზე;

– სოლიდარობა: იმის უზრუნველყოფა, რომ მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა განსაკუთრებით დიდი ნაკადების ზეწოლის ქვეშ მყოფ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოთა მხრიდან სოლიდარობის იმედი, ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით განსაზღვრული უფლებებისა და პრინციპების განუხრელი დაცვის პარალელურად.

2. ფონდი ასევე უზრუნველყოფს EMN-ის საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. DG Home-ის ვებგვერდი, AMIF-ის აღწერა.

თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხთა მაღალი დონის სამუშაო ჯგუფი (HLWG)

BG	Работна група на високо равнище „Убежище и миграция“
CS	Pracovní skupina na vysoké úrovni pro azyl a migraci
DE	Hochrangige Arbeitsgruppe Asyl und Einwanderung / Hochrangige Gruppe Asyl und Migration
EL	Ομάδα Εργασίας Υψηλού Επιπέδου για το ‘Ασυλο και τη Μετανάστευση
EN	High-Level Working Group (HLWG) on Asylum and Migration
ES	grupo de trabajo de alto nivel sobre migración y asilo
ET	kõrgetasemeline varjupaiga ja rände töörühm
FI	turvapaikka- ja maahanmuuttoasioiden korkean tason työryhmä
FR	Groupe de haut niveau «Asile et Migration»
GA	Grúpa Oibre Ardleibhéil maidir le Tearmann agus Imirce
HU	Magas Szintű Menekültügyi és Migrációs Munkacsoport
IT	Gruppo di lavoro ad alto livello in materia di asilo e migrazione
LT	Prieglobsčio ir migracijos aukšto lygio darbo grupė
LV	Augsta līmeņa darba grupa migrācijas un patvēruma jautājumos
MT	Grupp ta’ Ħidma ta’ Livell Għoli dwar l-Ażil u l-Migrazzjoni
NL	Werkgroep op hoog niveau voor asiel en migratie
PL	Grupa Robocza Wysokiego Szczebla ds. Azylu i Migracji
PT	Grupo alto nível asilo e migração
RO	Grupul de lucru la nivel înalt în domeniul migrației și azilului
SK	Pracovná skupina na vysokej úrovni pre azyl a migráciu
SL	Delovna skupina visokih predstavnikov za azil in migracije
SV	högnivågruppen för asyl och migration
NO	høynivågruppen for asyl og migrasjon (b); høgnivågruppa for asyl og migrasjon (n)
UK	Робоча група високого рівня (HLWG) з питань притулку та міграції

განმარტება

სტრატეგიული ჯგუფი, რომელიც ევროპული საბჭოს ეგიდით მუშაობს და თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროში ევროკავშირის მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობის ყოვლისმომცველი და ინტეგრირებული სტრატეგიის შემუშავების მიზნით შეიქმნა.

წყარო

თავშესაფრისა და მიგრაციის სპეციალური ჯგუფის შესახებ ევროკავშირის საბჭოს 1998 წლის 6-7 დეკემბრის 2148-ე შეხვედრაზე მიღებული დასკვნები C/98/431

სინონიმი

★ HLWG

დაკავშირებული ტერმინები

★ გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)

★ იმიგრაციის, საზღვრებისა და თავშესაფრის საკითხთა სტრატეგიული კომიტეტი

შენიშვნები

1. HLWG შეიქმნა 1998 წლის დეკემბერში თავშესაფრის მაძიებელთა და მიგრანტთა წარმომავლობის (წარმოშობის) და სატრანზიტო ქვეყნების მრავალკომპონენტიანი სამოქმედო გეგმების შემუშავების მიზნით.

2. HLWG მუშაობს მესამე ქვეყნებთან საგარეო ურთიერთობების კუთხით, განსაკუთრებით მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის კონტექსტში. მისი მიზანია, გააძლიეროს ევროკავშირის თავშესაფრისა და მიგრაციის პოლიტიკის გარე განზომილება ლეგალური მიგრაციის, კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციის და მიგრაციისა და განვითარების სფეროებში წარმომავლობის (წარმოშობის) და სატრანზიტო ქვეყნებთან დიალოგის, თანამშრომლობისა და პარტნიორობის საფუძველზე. ჯგუფი ამზადებს დასკვნებსა და რეკომენდაციებს თავშესაფრისა და მიგრაციის შესახებ, რომლებსაც განიხილავს და ამტკიცებს ევროკავშირის საბჭო; ასევე, აფასებს წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში პოლიტიკური, ეკონომიკური და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას და აანალიზებს მიგრაციის პროცესებს მიზეზშედეგობრივ ჭრილში.

თანამშრომლობის ვალდებულება

BG	задължение за сътрудничество
CS	povinnost spolupracovat
DE	Mitwirkungspflicht
EL	υποχρεώση συνεργασίας
EN	obligation to cooperate
ES	Obligación de cooperar
ET	koostöökohustus
FI	yhteistyövelvoite
FR	obligation de coopérer
GA	dualgas comhoibrithe
HU	együttműködési kötelezettség
IT	obbligo di collaborazione
LT	pareiga bendradarbiauti
LV	pienākums sadarboties
MT	Obbligu ta' kooperazzjoni
NL	verplichting tot samenwerking / medewerkingsplicht
PL	obowiązek współpracy
PT	obrigação de cooperar
RO	Procesul Bali
SK	povinnosť spolupracovať
SL	obveznost do sodelovanja
SV	skyldighet att samarbeta
NO	plikt til å samarbeide
UK	зобов'язання зі співробітництва

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლის მიმართ დაწესებული ვალდებულება, ითანამშრომლოს კომპეტენტურ ორგანოებთან, რამდენადაც აღნიშნული აუცილებელია განაცხადების განხილვისთვის.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-4(1) მუხლი
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-13 მუხლი

სინონიმი

★ თანამშრომლობის მოვალეობა

შენიშვნები

1. აღნიშნული მოიცავს განმცხადებლის ვალდებულებებს:
(ა) მოახდინოს შესაბამისი ორგანოების ინფორმირება (რაც, შესაძლოა, პირადად გამოცხადებასაც გულისხმობდეს);
(ბ) გადასცეს შესაბამის ორგანოებს მის ხელთ არსებული, განცხადების განხილვისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები, როგორიცაა მაგ., პასპორტი;
(გ) აცნობოს შესაბამის ორგანოებს მისი ამჟამინდელი ადგილსამყოფელი ან მისამართი;
(დ) მისცეს შესაბამის ორგანოებს მისი და მის ხელთ არსებული ნივთების ჩხრეკის,
(ე) ერთი ფოტოსურათის გადაღების
(ვ) მისი ზეპირი ჩვენების ჩაწერის უფლება.
2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის დაჩქარებული პროცედურის გამოყენების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც განმცხადებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს.

თანასწორი მოპყრობის პრინციპი

BG	принцип на равно третиране
CS	princip rovného zacházení
DE	Gleichbehandlungsgrundsatz
EL	αρχή της ίσης μεταχείρισης
EN	principle of equal treatment
ES	principio de igualdad de trato
ET	võrdse kohtlemise põhimõte
FI	yhtäläisen kohtelun periaate
FR	principe d'égalité de traitement
GA	an prionsabal um chóir chomhionann
HU	egyenlő bánásmód (elve)
IT	principio di parità di trattamento
LT	vienodo požiūrio principas
LV	vienlīdzīgas attieksmes princips
MT	Prinċipju (Il-) ta' trattament ugwali
NL	beginsel van gelijke behandeling
PL	zasada równego traktowania
PT	princípio da igualdade de tratamento
RO	principiul tratamentului egal
SK	zásada rovnakého zaobchádzania / princíp rovnakého zaobchádzania
SL	načelo enakega obravnavanja
SV	principen om likabehandling
NO	prinsippet om likebehandling
UK	принцип рівного ставлення

განმარტება

პრინციპი, რომლის მიხედვითაც არ უნდა ხდებოდეს არავითარი პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია რასობრივი თუ ეთნიკური კუთვნილების, სქესის, რელიგიისა თუ რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სქესობრივი ორიენტაციის ნიშნით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) მე-2 მუხლი

ამსტერდამის ხელშეკრულების მე-13 მუხლი

სინონიმი

★ თანაბარი შესაძლებლობები

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **პირდაპირი დისკრიმინაცია**

★ **ირიბი დისკრიმინაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **პოზიტიური დისკრიმინაცია**

★ **მსხვერპლად ქცევა/ვიქტიმიზაცია**

შენიშვნები

1. ეს არის ევროკავშირის მოქალაქეობის საფუძველზე მინიჭებული მნიშვნელოვანი უფლება. ამსტერდამის ხელშეკრულებას დაემატა მე-13 მუხლი, რომელიც განამტკიცებს პრინციპს დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ და რომლის თანახმად, ევროკავშირის საბჭოს აქვს უფლებამოსილება, მიიღოს შესაბამისი ზომები სქესის, რასობრივი თუ ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის თუ რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობების, ასაკის ან სქესობრივი ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ტერმინს 'თანასწორი მოპყრობა' აქვს სხვადასხვა კონკრეტული მნიშვნელობა სოციალური დაცვის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულებების კონტექსტში, რომლებიც ფორმდება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის სოციალური დაცვის სისტემების კოორდინაციის შესახებ რეგულაციის (EU) N465/2012 საფუძველზე.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: მიგრანტთა წვდომა სოციალურ და ჯანდაცვის მომსახურებებზე - პოლიტიკა და პრაქტიკა, 2014 წ.

თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი

BG	непридружен непълнолетен
CS	nezletilý bez doprovodu
DE	unbegleiteter Minderjähriger
EL	ασυνόδευτος ανήλικος
EN	unaccompanied minor
ES	menor no acompañado (MENA)
ET	saatjata alaealine
FI	ilman huoltajaa oleva alaikäinen, yksin tullut alaikäinen
FR	mineur non accompagné
GA	mionaoiseach neamhthionlactha
HU	kísérő nélküli kiskorú
IT	minore non accompagnato
LT	nelydimas nepilnametis
LV	nepilngadīgais bez pavadības / nepilngadīga persona bez pavadības
MT	Minorenni mhux akkumpanjat
NL	alleenstaande minderjarige vreemdeling
PL	małoletni bez opieki
PT	menor não acompanhado
RO	minor neînsoțit
SK	maloletý bez sprievodu
SL	mladoletnik brez spremstva
SV	ensamkommande barn
NO	enslig mindreårig (b); einsleg mindreårig (n)
UK	несупроводжуваний неповнолітній

განმარტებები

არასრულწლოვანი,

რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შედის მასზე კანონის ან შესაბამისი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს პრაქტიკის შესაბამისად პასუხისმგებელი სრულწლოვანი თანმხლები პირის გარეშე და მანამ, სანამ ის ფაქტობრივად მოხვდება ასეთი პირის მზრუნველობის ქვეშ; ან

რომელიც თანმხლები პირის გარეშე რჩება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მის ტერიტორიაზე შესვლის შემდგომ.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(l) მუხლი

სინონიმი

★ თანმხლები პირის გარეშე მყოფი და განცალკევებული ბავშვი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცალკევებული ბავშვი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **წარმომადგენელი**

★ **მოწყვლადი პირი**

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებებია ეროვნულ დონეზე შემუშავებული განმარტებებისა და რეგისტრირების პრაქტიკის კუთხით, როგორიცაა, მაგ. არასრულწლოვანთან მიმართებით დადგენილი ასაკობრივი ზღვარი და იმის განსაზღვრა, თუ რა შემთხვევაში მიიჩნევა არასრულწლოვანი თანმხლები პირის გარეშე მყოფად.

2. ევროკავშირის ზოგი წევრი სახელმწიფოს შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები შეიცავს ყველა იმ პირის მონაცემებს, რომელიც აცხადებს, რომ არის თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი (ანუ მანამ, სანამ აღნიშნული დადასტურდება ასაკის დადგენის შედეგად), ხოლო ზოგი წევრი სახელმწიფო თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვან პირად მიიჩნევს მხოლოდ კომპეტენტური ორგანოს მიერ ასეთად განსაზღვრულ პირს (ჩვეულებრივ, ასაკის დადგენის პროცედურის შედეგად).

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN-ის კვლევა „არასრულწლოვან პირთა რაოდენობა და მათი მიღების, დაბრუნების და ინტეგრაციის პოლიტიკა და პრაქტიკა ევროკავშირში“, 2010 წ. და აღნიშნული კვლევის განახლებული ვერსია: „არასრულწლოვან პირთა მიმართებით არსებული პოლიტიკა, პრაქტიკა და მონაცემები ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და ნორვეგიაში“, 2015 წ.

თარჯიმანი

BG	устен преводач
CS	tlumočník
DE	Dolmetscher
EL	διερμηνέας
EN	interpreter
ES	Intérprete
ET	tõlk
FI	tulkki
FR	interprète
GA	ateangaire
HU	tolmács
IT	interprete
LT	vertėjas
LV	tulks
MT	Interpretu
NL	Tolk
PL	tłumacz
PT	intérprete
RO	interpret
SK	tlmočník
SL	tolmač
SV	tolk
NO	tolk
UK	Перекладач

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, სპეციალისტი, რომელსაც ევალება ზეპირი კომუნიკაციის თარგმნა ორიგინალის ენიდან (მიგრანტის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის ენიდან/ენებიდან) სამიზნე ენაზე (მიმღები ქვეყნის ენაზე) და, პირიქით, მიგრანტებსა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს (კერძოდ, ვინც იმავე ენაზე არ საუბრობს) შორის კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინი

★ კულტურათა შუამავალი

შენიშვნები

1. თავშესაფრისა და მიგრაციის პროცედურებში თარჯიმნის ფუნქციაა სიტყვიერი გზავნილის სწორად და სრულად გადაცემა სამიზნე ენაზე და პირიქით, წყარო ენაზე გზავნილის შინაარსისა და არსის შენარჩუნებით, (სიტყვის/აზრის) გამოტოვებისა და დამახინჯების გარეშე.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15(ბ) მუხლი საერთაშორისო დაცვის პროცედურებში მონაწილე თარჯიმნებისთვის ადგენს ნორმებს და მოითხოვს ისეთი თარჯიმნის შერჩევას, რომელსაც განმცხადებელსა და ინტერვიუერს შორის სათანადო ურთიერთობის უზრუნველყოფა შეუძლია. კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ენაზე, რომელსაც განმცხადებელი ანიჭებს უპირატესობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს სხვა ენა, რომელიც ორივეს, განმცხადებელს და ინტერვიუერს, ესმის და შეუძლია გასაგებად კომუნიკაცია. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა, განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, შეძლებისდაგვარად უნდა უზრუნველყონ იმავე (ან საპირისპირო) სქესის თარჯიმანი. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს აქვს საფუძველი ვარაუდისა, რომ ეს თხოვნა არ უკავშირდება განმცხადებლის მიერ საკუთარი განცხადების სრულად და თანმიმდევრულად დასაბუთების სირთულეს.

3. UNHCR-მა შეიმუშავა სახელმძღვანელო პრინციპები თავშესაფრის პროცედურებში მონაწილე თარჯიმნებისთვის. იხ. „სახელმძღვანელო თავშესაფრის პროცედურებში მონაწილე თარჯიმნებისთვის“, 2017 წ.

4. ზეპირი თარგმანი და კულტურებს შორის მედიაცია ინტერპერსონალური კომუნიკაციის ორი ასპექტია. თარჯიმანსა და კულტურათა შუამავალს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ თარჯიმანი სიტყვასიტყვით, მაქსიმალური სიზუსტით გადასცემს გზავნილს ერთი ენიდან მეორეზე, ხოლო კულტურათა შუამავალი ფოკუსირდება კომუნიკაციის კომპლექსურ და იმავდროულად, ინტერდისციპლინარულ ბუნებაზე და განუმარტავს ერთი კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევის, სიმბოლოებისა და რიტუალების მნიშვნელობას მეორე კულტურის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ზეპირი თარგმანი წარმოადგენს რეგისტრირებულ პროფესიას ყველა სამართლებრივი უფლებით. შესაბამისად, პროფესიონალი თარჯიმანი უნდა იცავდეს გარკვეულ სტანდარტებს და ქცევის კოდექსს. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Erasmus+ და კულტურათა შუამავლების ტრენინგი მულტიკულტურული ევროპისთვის: ევროპაში მყოფი იმიგრანტებისთვის განკუთვნილი კულტურათა შუამავლობის შესახებ კვლევის ანგარიში, 2015 წ.

თვითდასაქმებული

BG	самонаето лице
CS	osoba samostatně výdělečně činná (OSVČ)
DE	Selbstständiger
EL	αυτοαπασχολούμενος
EN	self-employed person
ES	trabajador por cuanta propia
ET	füüsilisest isikust ettevõtja
FI	itsenäinen ammatinharjoittaja
FR	travailleur indépendant
GA	duine féinfhostaithe
HU	önfoglalkoztatott személy
IT	lavoratore autonomo
LT	savarankiškai dirbantis asmuo
LV	pašnodarbināta persona
MT	Persuna taħdem għal rasha
NL	zelfstandige
PL	osoba samozatrudniona
PT	trabalhador por conta própria
RO	asociat
SK	samostatne zárobkovo činná osoba / SZČO
SL	samozaposlena oseba
SV	egenföretagare
NO	selvstendig sysselsatt (b); sjølvstendig sysselsett (n)
UK	самозайнята особа

განმარტება

პირი, რომელიც მუშაობს არაკორპორაციულ საწარმოში (საწარმო, რომელიც არ არის დარეგისტრირებული/ჩამოყალიბებული იურიდიულ პირად), რომლის ერთპიროვნული მფლობელი ან თანამფლობელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ის ამავდროულად იღებს ანაზღაურებას, როგორც დაქირავებული პირი და ეს მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

წყარო

ევროსტატის ცნებებისა და განმარტებების მონაცემთა ბაზა

დაკავშირებული ტერმინები

★ დასაქმებული

★ დამსაქმებელი

შენიშვნები

1. განმარტებაში მითითებულ მეორე შემთხვევაში პირი მიიჩნევა დასაქმებულად.

2. ILO ს საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICSE-93) მიხედვით თვითდასაქმებულის სამუშაოდ ითვლება სამუშაო, რომლის შემთხვევაში შრომის ანაზღაურება უშუალოდ დამოკიდებულია საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად მიღებულ მოგებაზე (ან მოგების შესაძლებლობაზე) (წარმოებული პროდუქტის/მომსახურების პირადი მოხმარება წარმოადგენს მოგების ნაწილს). თვითდასაქმებულები თავად იღებენ საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ან ახდენენ მათ დელეგირებას, ინარჩუნებენ რა ძირითად პასუხისმგებლობას საწარმოს ქმედუნარიანობასთან დაკავშირებით. (მოცემულ კონტექსტში 'საწარმო' ასევე აღნიშნავს ერთი დასაქმებული პირის მიერ წარმოებულ ოპერაციებს).

თვითმარქვია

BG	измамник
CS	osoba zneužívající cizí identitu
DE	Betrüger
EL	απατεώνας
EN	impostor
ES	impostor
ET	petis
FI	toiseksi tekeytyjä / impostori
FR	imposteur
GA	Pasadóir
HU	imposztor
IT	colui che commette il reato di sostituzione di persona
LT	asmuo, kuris naudojasi svetimu dokumentu
LV	viltvārdis
MT	impostur
NL	bedrieger
PL	
PT	impostor
RO	impostor
SK	podvodník
SL	uporabnik tuje listine / slepar
SV	bedragare
NO	imposter
UK	шахрай

განმარტება

პირი, რომელიც ითვისებს სხვის ვინაობას, მაგალითად, ამ პირის პირადობის დამადასტურებელი ავთენტიკური დოკუმენტის გამოყენებით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ნორვეგიის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთა ცენტრის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია

შენიშვნები

1. თვითმარქვია ტყუის სხვისი ვინაობის მითვისების ან საკუთარი ფიზიკური გარეგნობის შეცვლის გზით. თაღლითობა ასევე მოიცავს დოკუმენტის გაყალბებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორებიცაა ავთენტიკურ პასპორტში დატანილი ყალბი ვიზა ან შტამპი, ან გაყალბებულ პასპორტში არსებული ავთენტიკური ვიზა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Frontex: საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი სამოქმედო სახელმძღვანელო მითითებები ABC სისტემებისთვის.

2. ინგლისურ ენაში ორგვარი დაწერილობა გვხვდება: impostor/ imposter. შდრ.: Cambridge Advanced Learner's Dictionary (2nd edition). ევროკავშირის და შენგენის წევრ ქვეყნებში ორივე ვარიანტი გამოიყენება.

თითის ანაბეჭდებით იდენტიფიცირების ავტომატიზებული სისტემა (AFIS)

BG	Автоматизирана система за идентификация на пръстови отпечатъци
CS	Automatizovaný systém identifikace podle otisků prstů
DE	automatisiertes Fingerabdruckidentifizierungssystem
EL	Ηλεκτρονικό Σύστημα Αναγνώρισης Δακτυλικών Αποτυπωμάτων
EN	Automated Fingerprint Identification System (AFIS)
ES	Sistema automatizado de identificación de huellas digitales
ET	Automaatne sõrmejälgede tuvastamise süsteem
FI	Sähköinen / automatisoitu sormenjälkien tunnistusjärjestelmä
FR	Système automatisé d’identification des empreintes digitales
GA	Uathchóras Aithinte ó Mhéarloirg: UCAM
HU	Automatizált Ujjnyomat-azonosító Rendszer
IT	Sistema automatizzato di identificazione delle impronte digitali
LT	Automatinė pirštų atspaudų indentifikavimo sistema
LV	automatizētā pirkstu nospiedumu identifikācijas sistēma
MT	Kontroll Awtomatizzat tal-Fruntieri
NL	Geautomatiseerde vingerafdrukidentificatiesysteem
PL	Automatyczny System Identyfikacji Daktyloskopijnej
PT	Sistema Automático de Identificação de Impressões Digitais
RO	Sistem automat de identificare a amprentelor digitale
SK	automatizovaný systém daktyloskopickej identifikácie
SL	Avtomatski sistem za identifikacijo prstnih odtisov
SV	automatiskt fingeravtrycksidentifieringssystem / Afis
NO	automatisert system for gjenkjennelse av fingeravtrykk (b); automatisert system for attkjenning av fingeravtrykk (n)
UK	Автоматизована система ідентифікації відбитків пальців (АСІВП)

განმარტება

ბიომეტრიული იდენტიფიკაციის მეთოდი, რომელიც თითის ანაბეჭდების მონაცემების მოპოვების, შენახვისა და ანალიზისთვის იყენებს ციფრული გამოსახულების ტექნოლოგიას და გამოიყენება ევროდაკის (Eurodac) სისტემის ფარგლებში თითის ანაბეჭდების ავტომატური ამოცნობისა და შემოწმების მიზნით.

წყარო

TechTarget-ის ვებგვერდი: თითის ანაბეჭდებით იდენტიფიცირების ავტომატიზებული სისტემის განმარტება

სინონიმი

★ AFIS

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

★ ევროდაკი (Eurodac)

★ ვინაობის დადგენა

შენიშვნა

ევროდაკის ბაზა, რომელიც თითის ანაბეჭდებით იდენტიფიცირების ავტომატიზებულ სისტემაზეა დაფუძნებული, არ შეიცავს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა პირის სახელი და გვარი, რადგან იგი ეყრდნობა მხოლოდ ბიომეტრიული მონაცემების შედარებას, რომელიც არსებულთაგან იდენტიფიცირების ყველაზე უსაფრთხო და ზუსტი მეთოდია.

თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე

BG	искане за обратно приемане
CS	žádost o přijetí zpět
DE	Wiederaufnahmegesuch
EL	αίτημα εκ νέου ανάληψης
EN	take back request
ES	n/a
ET	tagasivõtmispalve
FI	takaisinottopyyntö
FR	requête aux fins de reprise en charge
GA	iarraidh ar ghabháil ar ais
HU	n/a
IT	Richiesta di ripresa in carico
LT	prašymas atsiimti
LV	atpakaļuzņemšanas pieprasījums
MT	n/a
NL	terugnameverzoek
PL	n/a
PT	pedido de retomada
RO	cerere de repreluare
SK	dožiadanie o prijatie späť
SL	prošnja za ponovni sprejem
SV	framställan om återtagande
NO	n/a
UK	запит на реадмісію

განმარტება

დუბლინის რეგულაციის კონტექსტში, ოფიციალური პროცედურა, რომლის ფარგლებში პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განმსაზღვრელი (ევროკავშირის) წევრი სახელმწიფო, როდესაც მისთვის ცნობილი ხდება, რომ მესამე ქვეყნის მოქალაქემ ან მოქალაქეობის არმქონე პირმა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართა ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოს ან იმყოფებოდა ამავე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ბინადრობის დოკუმენტის გარეშე, მიმართავს პასუხისმგებელ წევრ სახელმწიფოს პირის უკან მიღების მოთხოვნით, საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვის პროცესის დასრულების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგუ-ლაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) 23-ე მუხლი და ევროკომისიის წინადადება დუბლი-ნის IV რეგულაციის შესახებ (COM (2016) 270 საბო-ლოო რედაქცია).

სინონიმი

- შეტყობინება (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების შესახებ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად**

დაკავშირებული ტერმინები

- **დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები**
- **თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე**
- **შეტყობინება გადაყვანის შესახებ**

შენიშვნები

1. თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე უკავშირდება იმ შემთხვევებს, როდესაც განმცხადებელმა თავშესაფრის მოთხოვნით მიმართა ევროკავშირის ერთ წევრ სახელმწიფოს და გადავიდა (ევროკავშირის) მეორე წევრ სახელმწიფოში. ეს გარემოება ქმნის საფუძველს იმის განხილვისთვის, თუ (ევროკავშირის) რომელი წევრი სახელმწიფოა პასუხისმგებელი განმცხადებლის 'უკან მიღებაზე'.

2. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპარლამენტის კვლევითი სამსახური (EPRS): დუბლინის რეგულაცია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების ჭრილში: ევროპული პრაქტიკის შეფასება, 2020 წლის თებერვალი.

თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე

BG	искане за поемане на отговорността
CS	žádost o převzetí
DE	Aufnahmegesuch; Übernahmegesuch
EL	αίτημα αναδοχής
EN	take charge request
ES	n/a
ET	vastuvõtmispalve
FI	vastaanottopyyntö
FR	requête aux fins de prise en charge
GA	iarraidh ar ghabháil ar láimh
HU	n/a
IT	Richiesta di presa in carico
LT	prašymas perimti savo žinion
LV	atbildības uzņemšanās pieprasījums
MT	talba biex tittieħed responsabbiltà / talba biex jittieħed inkarigu
NL	overnameverzoek
PL	wniosek o przejęcie
PT	pedido de tomada a cargo
RO	cerere de preluare
SK	dožiadanie o prevzatie
SL	prošnja za sprejem
SV	framställan om övertagande
NO	n/a
UK	запит про взяття відповідальності

განმარტება

დუბლინის რეგულაციით განსაზღვრული ოფიციალური პროცედურა, რომელიც გამოიყენება თავშესაფრის მინიჭების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით პირველი გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში და რომლის ფარგლებშიც, ევროკავშირის წევრი სახელმწიფო, პირზე პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრისას ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოს მიმართავს თხოვნით, დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, აიღოს პასუხისმგებლობა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვაზე.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) 21-ე მუხლი

ევროპარლამენტის კვლევითი სამსახური (EPRS): დუბლინის რეგულაცია საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადებების ჭრილში: ევროპული პრაქტიკის შეფასება, 2020 წლის თებერვალი.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად

დაკავშირებული ტერმინები

- დუბლინის კონვენციით განსაზღვრული კრიტერიუმები
- თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე
- შეტყობინება გადაყვანის შესახებ

შენიშვნა

მოთხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლად) მიღების თაობაზე უკავშირდება იმ შემთხვევებს, როდესაც პირი პირველად მიმართავს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს და წევრი სახელმწიფო იწყებს პასუხისმგებელი წევრი სახელმწიფოს განსაზღვრის პროცედურას. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მიმართოს სხვა წევრ სახელმწიფოს განცხადების განხილვაზე პასუხისმგებლობის აღების მოთხოვნით, რაც, უმეტეს შემთხვევებში, განპირობებულია ამ სახელმწიფოში მისი ოჯახის წევრების ყოფნით. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპარლამენტის კვლევითი სამსახური (EPRS): დუბლინის რეგულაცია საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების ჭრილში: ევროპული პრაქტიკის შეფასება, 2020 წლის თებერვალი.

იმიგრანტი

BG	имигрант
CS	přistěhovalec / imigrant
DE	Zuwanderer (EU acquis); Einwanderer / Immigrant
EL	μετανάστης
EN	immigrant
ES	inmigrante
ET	sisserändaja
FI	maahanmuuttaja
FR	immigrant
GA	inimirceach
HU	bevándorló
IT	immigrato
LT	imigrantas
LV	imigrants
MT	Immigrant(a)
NL	immigrant
PL	imigrant
PT	imigrante
RO	imigrant
SK	prisťahovalec / imigrant
SL	priseljenec
SV	invandrare
NO	innvandrer (b); innvandrar (n)
UK	іммігрант

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, დროებით მცხოვრები (როგორც მოქალაქე, ისე უცხოელი), რომელიც სახელმწიფოში შემოდის ერთ წელზე მეტი ხნით დარჩენის მიზნით.

ევროკავშირის კონტექსტში, პირი, რომელიც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების შემდეგ მუდმივად სახლდება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში, ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: გაეროს რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ
ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2 (b, f) მუხლი

სინონიმი

★ იმიგრანტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ემიგრანტი**
★ **იმიგრაცია**
★ **მოკლევადიანი მიგრანტი**

იმიგრაცია

BG	имиграция
CS	přistěhovalectví / imigrace
DE	Zuwanderung (EU acquis); Einwanderung / Immigration
EL	μετανάστευση
EN	immigration
ES	inmigración
ET	sisseränne
FI	maahanmuutto
FR	immigration
GA	inimirce
HU	bevándorlás
IT	immigrazione
LT	imigracija
LV	imigrācija
MT	Immigrazzjoni
NL	immigratie
PL	imigracja
PT	imigração
RO	imigrație
SK	prisťahovalectvo / imigrácia
SL	priseljevanje
SV	invandring
NO	innvandring
UK	імміграція

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირის მიერ ქვეყანაში შემოსვლა ერთ წელზე მეტი ვადით დარჩენის მიზნით.

ევროკავშირის კონტექსტში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების შედმეგ პირის მუდმივად დასახლება ევროკავშირის წევრ სხვა სახელმწიფოში ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: გაეროს რეკომენდაციები საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ

ევროკავშირის კონტექსტი: რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2 (b, f) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ევროკავშირის საიმიგრაციო პორტალი

დაკავშირებული ტერმინები

★ ემიგრაცია

★ იმიგრანტი

იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერი (ILO)

BG	офицер за връзка по имиграция
CS	imigrační styčný důstojník
DE	Verbindungsbeamter für Einwanderungsfragen
EL	Αξιωματικός Σύνδεσμος Μετανάστευσης
EN	Immigration Liaison Officer (ILO)
ES	oficiales de enlace de inmigración
ET	Euroopa sisserände sideametnik
FI	maahanmuuttoalan yhdyshenkilö
FR	officier de liaison «Immigration»
GA	Oifigeach Idirchaidrimh Inimirce (ILO)
HU	bevándorlási összekötő tiszt(viselő)
IT	funzionario di collegamento incaricato dell'immigrazione
LT	imigracijos ryšių palaikymo pareigūnas
LV	imigrācijas sadarbības koordinators
MT	Uffiċjal tal-Kollegament Responsabbli għall-Immigrazzjoni (UKRI)
NL	immigratieverbindingsfunctionaris / immigratieverbindingsambtenaar
PL	oficer łącznikowy ds. imigracji
PT	oficial de ligação de imigração
RO	ofițer de legătură pe probleme de imigrație / ILO
SK	imigračný styčný dôstojník
SL	Uradnik za zvezo za priseljevanje
SV	sambandsman för invandring
NO	kontaktperson med ansvar for immigrasjon
UK	Співробітник зі зв'язку з питань міграції (ILO)

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც არალეგალური მიგრაციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტების დაბრუნებისა და ლეგალური მიგრაციის მართვის ხელშეწყობის მიზნით მიმღები ქვეყნის ხელისუფლებასთან კავშირების დასამყარებლად საიმიგრაციო სამსახურის ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მიერ მივლენილია საზღვარგარეთ.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N377/2004 (რეგულაცია იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელის შექმნის შესახებ) 1-ელი (1) მუხლი

სინონიმები

- ILO
- ეროვნული მეკავშირე ოფიცერი
- სახელმწიფო მეკავშირე ოფიცერი

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)**
- **ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიგრაციის სამსახურთა საინფორმაციო და საკოორდინაციო ქსელი (ICONet)**
- **მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EMLO)**
- **დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EUR-LO)**

შენიშვნები

1. იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრები აგროვებენ არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებულ ინფორმაციას მისი მომდევნო გამოყენების მიზნით როგორც ოპერაციულ, ასევე სტრატეგიულ დონეზე; ან ორივე დონეზე. აღნიშნული ინფორმაცია მნიშვნელოვნად უწყობს ხელს Frontex-ის მიერ რისკების ანალიზის კუთხით წარმოებულ საქმიანობას, რაც იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელებისა და Frontex-ის მჭიდრო თანამშრომლობით მიიღწევა. იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა პასუხისმგებლობებში ასევე შედის იმიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობა.

2. იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრები შეიძლება მივლენილ იქნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ საკონსულო დაწესებულებებში მესამე ქვეყნებში, ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების შესაბამის ორგანოებში ან მესამე ქვეყნების კომპეტენტურ ორგანოებში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციებში გონივრული ვადით, რომელსაც განსაზღვრავს ევროკავშირის მიმავლინებელი წევრი სახელმწიფო.

3. რეგულაციაში (EC) 377/2004 შესული შესწორება, რომლითაც შეიცვალა მისი მე-3, მე-4 და მე-6 მუხლები, მიღებულ იქნა როგორც ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) N493/2011 (რეგულაცია იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელის შექმნის შესახებ) 2011 წლის 5 აპრილს.

იმიგრაციის, საზღვრებისა და თავშესაფრის საკითხთა სტრატეგიული კომიტეტი (SCIFA)

BG	Стратегически комитет по имиграция, граници и убежище
CS	Strategický výbor pro přistěhovalectví, hranice a azyl
DE	Strategisches Komitee für Einwanderungs-, Grenz- und Asylfragen
EL	Στρατηγική Επιτροπή για τη Μετανάστευση, τα Σύνορα και το Άσυλο
EN	Strategic Committee on Immigration, Frontiers and Asylum (SCIFA)
ES	Comité Estratégico de Inmigración, Fronteras y Asilo
ET	Strateegiline sisserände-, piiride ja varjupaigakomitee
FI	Maahanmuutto-, raja- ja turvapaikka-asioiden strateginen komitea
FR	Comité stratégique sur l'immigration, les frontières et l'asile
GA	an Coiste Straitéiseach um Inimirce, Teorainneacha agus Tearmann
HU	Bevándorlással, Határokkal és Menekültüggyel Foglalkozó Stratégiai Bizottság
IT	Comitato Strategico in materia di Immigrazione, Frontiere e Asilo
LT	Imigracijos, sienų ir prieglobsčio strateginis komitetas
LV	Imigrācijas, robežu un patvēruma jautājumu stratēģiskā komiteja
MT	Kumitat Strateġiku dwar l-Immigrazzjoni, il-Fruntieri u l-Ażil
NL	Strategisch Comité immigratie, grenzen en asiel
PL	Strategiczny Komitet ds. Imigracji, Granic i Azylu
PT	Comité Estratégico Imigração, Fronteiras e Asilo
RO	Comitetul Strategic pentru Imigrație, Frontiere și Azil
SK	Strategický výbor pre prisťahovalectvo, hranice a azyl
SL	Strateški odbor za priseljevanje, meje in azil
SV	Strategiska kommittén för invandring, gränser och asyl
NO	Strategikomité for innvandrings-, grense- og asylspørsmål
UK	Стратегічний комітет з питань імміграції, кордонів і притулку (SCIFA)

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ინფორმაციის გაცვლის ფორუმი, რომელიც შედგება თავშესაფრის, იმიგრაციისა და საზღვრების სფეროების მაღალი თანამდებობის პირებისგან და რომლის მიზანიცაა ევროკავშირის სტრატეგიული მიდგომის განხორციელება თავშესაფართან, იმიგრაციასა და საზღვრებთან დაკავშირებულ საკითხებში.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარის შენიშვნა SCIFA-ს, დოკუმენტი 17476/10

სინონიმი

★ SCIFA

დაკავშირებული ტერმინი

★ **თავშესაფრისა და მიგრაციის საკითხთა მაღალი დონის სამუშაო ჯგუფი (HLWG)**

შენიშვნები

1. SCIFA შეიქმნა, როგორც ახალი სამუშაო სტრუქტურის ნაწილი იმიგრაციის, საზღვრისა და თავშესაფრის საკითხებზე ევროკავშირის საბჭოს დისკუსიების მოსამზადებლად. SCIFA ფოკუსირებულია სტრატეგიული საკითხების სიღრმისეულ განხილვაზე, როგორებიცაა პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხები, ჰორიზონტალური და ურთიერთმკვეთი საკითხები იმისთვის, რათა ევროგაერთიანების ხელშეკრულების (TEC) 62-ე, 63-ე და 64-ე მუხლებით განსაზღვრული თემების ჭრილში მოამზადოს გაერთიანებული ანგარიში ან საჭიროების შემთხვევაში, გადაჭრას აღნიშნული პრობლემური საკითხები და ამით არსებითი წვლილი შეიტანოს მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის (COPERER) დისკუსიებში. SCIFA თავის დასკვნებს აწვდის COPERER-ს, რის შემდეგაც მათ განიხილავს ევროკავშირის მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა (JHA) საბჭო.

2. ევროკომისიის მიერ წარდგენილი კონკრეტული წინადადებების განსახილველად SCIFA-ს შეუძლია შექმნას სამუშაო ჯგუფები (მაგ., მიგრაციისა და გაძევების საკითხთა სამუშაო ჯგუფი). სამუშაო ჯგუფები SCIFA-ს წარუდგენენ ანგარიშს საკუთარი საქმიანობის შესახებ.

იმიგრაციისა და თავშესაფრის კომიტეტი (CIA)

BG	Комитет по имиграция и убежище
CS	Výbor pro přistěhovalectví a azyl
DE	Ausschuss für Einwanderung und Asyl
EL	Επιτροπή για τη Μετανάστευση και το Άσυλο
EN	Committee on Immigration and Asylum (CIA)
ES	Comité de Inmigración y Asilo
ET	sisserände- ja varjupaigakomitee
FI	Maahanmuutto- ja turvapaikka-asioiden komitea
FR	Comité sur l'immigration et l'asile
GA	An Coiste um Inimrice agus Thearmann
HU	Bevándorlási és Menekültügyi Bizottság
IT	Comitato Immigrazione e Asilo
LT	Imigracijos ir prieglobsčio komitetas
LV	Imigrācijas un patvēruma komiteja
MT	Kumitat dwar l-Immigrazzjoni u l-Ażil
NL	Comité voor immigratie en asiel
PL	Komitet ds. Imigracji i Azylu
PT	Comité Imigração e Asilo
RO	Comitetul Imigrație şi Azil
SK	Výbor pre prisťahovalectvo a azyl
SL	Odbor za priseljevanje in azil
SV	kommittén för frågor om invandring och asyl
NO	Komiteen for innvandrings- og asylspørsmål
UK	Комітет з питань імміграції та притулку (CIA)

განმარტება

ევროკომისიის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებული ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მიგრაციასთან, საზღვართან და თავშესაფართან დაკავშირებულ პოლიტიკურ და სამართლებრივ საკითხებზე არაფორმალურ მსჯელობას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მთავრობებსა და ევროკომისიის სამსახურებს შორის.

წყარო

შეიმუშავა EMN-მა

სინონიმი

★ CIA

შენიშვნები

1. ხშირ შემთხვევაში, CIA იხილავს მოახლოებულ საკანონმდებლო ან სხვა წინადადებებს, რათა „მოსინჯოს ნიადაგი" ევროკავშირის წევრი ქვეყნების დამოკიდებულების შესასწავლად, ევროკომისიის მიერ წინადადების ოფიციალურად წარდგენამდე.

2. CIA, ერთი მხრივ, ასრულებს ფორუმის ფუნქციას წინასწარ შერჩეულ საკითხებთან დაკავშირებით ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიდგომების ამსახველი ინფორმაციის შესაგროვებლად (კითხვარების საშუალებით), ხოლო მეორე მხრივ, მისი მეშვეობით ევროკომისია წარუდგენს წევრ ქვეყნებს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ.

3. კომიტეტის შეხვედრაზე მონაწილეთა წარდგენა ხდება კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე; ჩვეულებრივ, მას ესწრებიან წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლობები და დარგის ექსპერტები დედაქალაქებიდან. კომიტეტის განხილვებში აქტიური დამკვირვებლების სახით მონაწილეობის მიზნით შეიძლება ასევე მიიწვიონ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა UNHCR ან IOM.

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიასთან არსებული კომისიის ექსპერტთა ჯგუფების რეესტრი.

ინდივიდუალური გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით

BG	лично интервю за предоставяне на международна закрила
CS	osobní pohovor k žádosti o udělení mezinárodní ochrany
DE	persönliche Anhörung zum Antrag auf internationalen Schutz
EL	προσωπική συνέντευξη για διεθνή προστασία
EN	personal interview for international protection
ES	entrevista personal para protección internacional
ET	isiklik vestlus rahvusvahelise kaitse menetluses
FI	turvapaikkapuhuttelu / henkilökohtainen puhuttelu kansainvälisen suojelun menettelyssä
FR	entretien personnel sur la demande de protection internationale
GA	agallamh pearsanta ar mhaithe le cosaint idirnáisiúnta
HU	személyes meghallgatás a nemzetközi védelmi igény megállapítására irányuló eljárásban
IT	colloquio personale per la protezione internazionale
LT	asmeninis pokalbis dėl tarptautinės apsaugos (EU acquis); prieglobsčio prašytojo asmeninė apklausa
LV	personiskā intervija (starptautiskās aizsardzības procedūrā)
MT	Intervista personali għall-protezzjoni internazzjonali
NL	persoonlijk gehoor/onderhoud over het verzoek om internationale bescherming
PL	przesłuchanie w procedurze udzielenia ochrony miedzynarodowej
PT	entrevista pessoal sobre pedido de proteção internacional
RO	interviu individual pentru protecție internațională
SK	osobný pohovor o žiadosti o medzinárodnú ochranu (EU acquis); osobný pohovor o žiadosti o azyl
SL	osebni razgovor (intervju) za mednarodno zaščito
SV	personlig intervju för internationellt skydd
NO	personintervju ved søknad om internasjonal beskyttelse (b); personintervju ved søknad om internasjonalt verm (n)
UK	особиста співбесіда з питання надання міжнародного захисту

განმარტება

ინდივიდუალური გასაუბრება განმცხადებელთან საერთაშორისო დაცვაზე მისი განცხადების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით, რომელიც ტარდება გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს თანამშრომლის მიერ.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-14 მუხლი

სინონიმები

- გასაუბრება თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში
- გასაუბრება თავშესაფართან დაკავშირებით
- პირადი გასაუბრება

შენიშვნები

1. ინდივიდუალური გასაუბრება ტარდება შესაბამისი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მიზნით ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლით განსაზღვრული პირობების დაცვით. ეს პირობებია:

– კონფიდენციალურობის დაცვა და იმის უზრუნველყოფა, რომ:

– გამსაუბრებელს აქვს შესაბამისი კომპეტენცია და შეუძლია განცხადებასთან დაკავშირებული ინდივიდუალური და ზოგადი გარემოებების მხედველობაში მიღება;

– განმცხადებლის მოთხოვნის და აღნიშნულის შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იყოს იმავე სქესის გამსაუბრებელი;

– შეირჩეს ისეთი თარჯიმანი, რომელიც განმცხადებელსა და გამსაუბრებელს შორის სათანადო კომუნიკაციას უზრუნველყოფს;

– გამსაუბრებელს არ ეცვას სამხედრო ან სამართალდამცავი უწყების თანამშრომლის ფორმა;

– არასრულწლოვანებთან გასაუბრება ბავშვზე მორგებული მეთოდით ჩატარდეს.

2. ტერმინი 'ინდივიდუალური გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით' უფრო ხშირად მოხსენიებულია, როგორც 'ინდივიდუალური გასაუბრება თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში'.

ინტეგრაცია

BG	интеграция
CS	integrace
DE	Integration
EL	ένταξη
EN	integration
ES	integración
ET	lõimumine / integratsioon
FI	kotouttaminen / kotoutuminen
FR	intégration
GA	imeascadh
HU	integráció
IT	integrazione
LT	integracija
LV	integrācija
MT	Integrazzjoni
NL	integratie
PL	integracja
PT	integração
RO	integrare
SK	integrácia
SL	integracija / vključevanje
SV	integration
NO	integrering
UK	інтеграція

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მყოფ იმიგრანტთა და ადგილობრივ მცხოვრებთა ურთიერთშეგუების დინამიკური, ორმხრივი პროცესი.

წყარო

ინტეგრაციის საერთო დღის წესრიგის შესახებ კომუნიკეს ქმედება 1, ნაწილი 2 (COM(2005) 389, საბოლოო რედაქცია)

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- საერთო ძირითადი პრინციპები
- ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის შესახებ
- ინტეგრაციის სახელმძღვანელო
- ეროვნული საკონტაქტო პირები ინტეგრაციის საკითხებში

დაკავშირებული ტერმინები

- ადაპტაცია
- მიმღები საზოგადოება
- რეინტეგრაცია

შენიშვნები

1. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 79-ე(4) მუხლი ინტეგრაციის სფეროში ევროკავშირის საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ძირითადი უფლებების ხელშეწყობა, დისკრიმინაციის აკრძალვა და ყველასთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა ინტეგრაციის საკვანძო საკითხებია.
2. ევროკავშირის დონეზე ინტეგრაციის პოლიტიკა საერთო ძირითადი პრინციპების (რომელთაგან პირველი ასახავს ინტეგრაციის ტერმინის ზემოთ მოყვანილ განმარტებას) ფარგლებში მუშავდება.
3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპული ვებგვერდი ინტეგრაციის შესახებ

ინტეგრაცია შრომის ბაზარზე

BG	интеграция на пазара на труда
CS	integrace na pracovní trh
DE	Arbeitsmarktintegration
EL	ένταξη στην αγορά εργασίας / εργασιακή ένταξη
EN	labour market integration
ES	Integración en el mercado de trabajo
ET	tööturule lõimimine/integreerimine
FI	työmarkkinoille integroituminen / työmarkkinoille sijoittuminen
FR	intégration sur le marché du travail
GA	imeascadh i margadh an tsaothair
HU	munkaerő piaci integráció
IT	integrazione lavorativa
LT	integracija į darbo rinką
LV	integrācija darba tirgū
MT	Integrazzjoni (L-) tal-migranti fis-suq tax-xogħol
NL	Arbeidsmarktintegratie
PL	integracja na rynku pracy
PT	integração no mercado de trabalho
RO	integrare pe piața muncii / integrare pe piața forței de muncă
SK	integrácia na trh(u) práce
SL	vključevanje na trg dela
SV	arbetsmarknadsintegration
NO	arbeidsmarkedsintegrering
UK	інтеграція до ринку праці

განმარტება

შრომის ბაზარზე მიმღები ქვეყნის მოქალაქეთა და მიგრანტთა მონაწილეობის თანაბარი დონე, რომელსაც მიგრანტები აღწევენ საკუთარი უნარებისა და ეკონომიკური პოტენციალის რეალიზების გზით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

DG Home-ის ვებგვერდი: ლეგალური მიგრაცია და ინტეგრაცია

შრომის ბაზარზე მიგრანტთა სამართლიანი და ეფექტიანი ინტეგრაციის ჩარჩოს შემუშავება, OECD, მსოფლიო ბანკი, ILO, IMF, 2016 წლის 19-21 დეკემბერი

იმიგრანტთა ინტეგრაციის ინდიკატორები 2018 წლის მდგომარეობით, OECD და ევროკავშირი, 2018 წლის 9 დეკემბერი

სინონიმები

- იმიგრანტთა ინტეგრაცია შრომის ბაზარზე
- მიგრანტთა ინტეგრაცია შრომის ბაზარზე

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ინტეგრაცია**

შენიშვნები

1. შრომის ბაზარზე წარმატებულ ინტეგრაციასთან დაკავშირებული პრობლემებისა და დაბრკოლებების შესწავლის მიზნით ჩატარებული არაერთი კვლევის მიუხედავად, საერთაშორისო ან ევროპულ დონეზე არ არსებობს შრომის ბაზარზე ინტეგრაციის საყოველთაოდ მიღებული განმარტება.

2. შრომის ბაზარზე მიგრანტთა ინტეგრაცია ფასდება შრომის ბაზარზე მოქალაქეთა და არამოქალაქეთა მონაწილეობის კუთხით არსებული განსხვავებების გამოვლენის გზით, რომლის დროსაც ფასდება ისეთი პარამეტრები, როგორიცაა დასაქმების მაჩვენებელი, უმუშევრობის მაჩვენებელი, სამუშაო ძალის აქტივობის მაჩვენებელი, ხელფასების შესაბამისობა, თვითდასაქმების მაჩვენებელი, სამუშაო პირობები და შრომითი ხელშეკრულებების ტიპები. შრომის ბაზარზე ინტეგრაციის შედეგებისა და პროცესების განმარტება მოითხოვს მრავალმხრივ ანალიზს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც ინდივიდუალური, ასევე სტრუქტურული მახასიათებლები. ინდივიდუალურ დონეზე განმარტებითი ფაქტორები მოიცავს პირის კვალიფიკაციას, განათლებისა და პრაქტიკული უნარების დონეს და ენის ცოდნას; სტრუქტურულ დონეზე კი განმარტებითი ფაქტორები მოიცავს დასაქმების სტრუქტურების სეგმენტაციას, შეუსაბამობას მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, რეგულაციებს და ინსტიტუციურ მოწყობას (მაგ., უნარებისა და უცხოური საგანმანათლებლო წოდებების აღიარებისთვის), ეთნიკური სტრატიფიკაციის დონეს და დისკრიმინაციის (მათ შორის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის) არსებობას.

3. სამუშაო ძალის აქტივობის მაჩვენებელი გამოითვლება, როგორც სამუშაო ასაკის ზრდასრული მოსახლეობის წილი სამუშაო ძალაში, რომელიც შედგება როგორც დასაქმებული, ისე უმუშევარი პირებისგან. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ეკონომიკური და სოციალური კვლევის ინსტიტუტი (ESRI): ინტეგრაციის მონიტორინგის ანგარიში, თავი 2, დასაქმება და ინტეგრაცია, 2018 წ.

ინტეგრაცია შრომის ბაზარზე [გაგრძ.]

4. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაციის პოლიტიკა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კომპეტენციას განეკუთვნება, ევროპული ინსტიტუტების მანდატი (ლისაბონის ხელშეკრულების საფუძველზე) მოიცავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ხელშეწყობას მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციაში. ინტეგრაციის 2016 წლის სამოქმედო გეგმაში ევროკომისიამ აღნიშნა, რომ დასაქმება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მიმღებ საზოგადოებებში მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ეფექტური ინტეგრაციისა და ევროკავშირის ეკონომიკაზე მათ მიერ დადებითი გავლენის მოსახდენად. შესაბამისად, ევროკავშირის კანონმდებლობა გაფართოვდა და მოიცავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ევროკავშირის შრომის ბაზრებზე ინტეგრაციის ხელშემწყობ დებულებებს. ამ კუთხით აღსანიშნავია ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1) მუხლი, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის თანაბარი წვდომის უფლებას და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/98/EU (დირექტივა ერთიანი ნებართვის შესახებ) მე-12 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თანაბარი სამუშაო პირობების უზრუნველყოფას ანაზღაურების, სამსახურიდან გათავისუფლების და სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კუთხით.

5. ევროკავშირის წევრი ქვეყნების შრომის ბაზრებზე მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის EMN-ის 2019 წლის კვლევაში გაანალიზებულია პირველი თაობის მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი; აღწერილია ამ კუთხით ყველაზე მეტად გავრცელებული ხელისშემშლელი მიზეზები და წარმოდგენილია საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები. მეტი ინფორმაციისთვის იხ. კვლევის კონსოლიდირებული ანგარიში.

ინტეგრაციის ევროპული ქსელი (EIN)

BG	Европейска мрежа за интеграция (ЕМИ)
CS	Evropská integrační síť (EIN)
DE	Europäisches Integrationsnetz (EIN)
EL	Ευρωπαϊκό Δίκτυο Ένταξης (ΕΔΕ/EIN)
EN	European Integration Network (EIN)
ES	Red Europea de Integración
ET	Euroopa integratsioonivõrgustik
FI	Euroopan kotouttamisverkosto
FR	réseau européen d'Intégration
GA	
HU	Európai Integrációs Hálózat (EIH)
IT	Rete europea sull'integrazione (EIN)
LT	Europos integracijos tinklas
LV	Eiropas integrācijas tīkls
MT	Netwerk (In-) Ewropew tal-Integrazzjoni (NEI)
NL	Europees Integratienetwerk
PL	Europejska Sieć Integracji
PT	Rede Europeia de Integração (REI)
RO	Rețeaua de integrare europeană
SK	Európska integračná sieť
SL	Evropska mreža za vključevanje
SV	Europeiska integrationsnätverket
NO	European Integration Network (EIN)
UK	Європейська інтеграційна мережа (ЕІМ)

განმარტება

ფორუმი, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის (ასევე, ისლანდიისა და ნორვეგიის) სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებს და რომლის მიზანია ინტეგრაციის კუთხით თანამშრომლობის ხელშეწყობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, ინტეგრაციის საკითხებში დიალოგის გაღრმავება ევროკავშირის, მისი წევრი ქვეყნების, რეგიონულ და ადგილობრივ სამთავრობო სტრუქტურებთან, ასევე, სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

წყარო

ინტეგრაციის ევროპული ქსელის აღწერა ინტეგრაციის შესახებ ევროპულ ვებგვერდზე.

სინონიმი

★ EIN

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

შენიშვნები

1. EIN შეიქმნა მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის შესახებ ევროკომისიის 2016 წლის სამოქმედო გეგმის მიღების კვალდაკვალ.

2. დამატებითი ინფორმაცია EIN-ის შესახებ იხ. ინტეგრაციის შესახებ ევროპულ ვებგვერდზე.

ინტეგრაციის ინდიკატორები

BG	показатели за интеграция
CS	indikátory integrace
DE	Integrationsindikatoren
EL	δείκτες ένταξης
EN	integration indicators
ES	Indicadores de integración
ET	integratsiooni indikaatorid
FI	kotoutumisen indikaattorit
FR	indicateurs d'intégration
GA	
HU	integrációs indikátorok
IT	indicatori di integrazione
LT	integracijos rodikliai
LV	integrācijas indikatori
MT	Indikaturi tal-integrazzjoni
NL	Integratie-indicatoren
PL	wskaźniki integracji
PT	indicadores de integração
RO	
SK	ukazovatele integrácie / integračné ukazovatele
SL	kazalniki vključenosti
SV	integrationsindikatorer
NO	integreringsindikatorer
UK	показники інтеграції

განმარტება

სხვადასხვა სექტორულ პოლიტიკაში (დასაქმება, განათლება, სოციალური ჩართულობა, აქტიური საmოქალაქო მონაწილეობა) მიგრანტთა ინტეგრაციის ასახვის მასშტაბის გასაზომად გამოყენებული ნიშნულები.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ სარაგოსის დეკლარაციით განსაზღვრული ინდიკატორები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **საერთო ძირითადი პრინციპები**

★ **ინტეგრაციის განხორციელების მონიტორინგი**

შენიშვნები

1. ინტეგრაციის შესახებ 2010 წლის სარაგოსის დეკლარაციით შეთანხმდა ზოგადი ინდიკატორების ჩამონათვალი ტერმინის განმარტებაში მითითებულ პოლიტიკის სფეროებში, ხოლო დამატებითი ინდიკატორები (მაგ., ჯანმრთელობა) მოგვიანებით იქნა შემოღებული.

2. ევროსტატის ანგარიშები მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას სარაგოსის დეკლარაციით განსაზღვრული ძირითადი და რიგი სხვა ინდიკატორების შესრულების მონიტორინგის შესახებ, რომლებიც წარმოადგენს დასაქმების შეფასების ინდიკატორებს:

– მოთხოვნილზე მაღალი კვალიფიკაციის მქონე დასაქმებულთა წილი;

– თვითდასაქმებულთა წილი.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკავშირში იმიგრანტთა ინტეგრაციის ინდიკატორების გამოყენების შესახებ საბოლოო ანგარიში, 2013 წლის აგვისტო.

ინტელექტის გადინება

BG	изтичане на мозъци
CS	odliv mozků
DE	Brain Drain
EL	διαρροή εγκεφάλων
EN	brain drain
ES	fuga de cerebros
ET	oskustööjõu äravool
FI	aivovuoto / aivovienti
FR	fuite des cerveaux
GA	imirce daoine oilte
HU	agyelszívás / brain drain
IT	fuga di cervelli
LT	protų nutekėjimas
LV	kvalificēta darbaspēka aizplūšana
MT	Telf/Tnixxija ta' mħuħ / ta' nies bi kwalifiki għoljin
NL	brain drain
PL	drenaż mózgów
PT	fuga de cérebros
RO	exodul creierelor / brain drain
SK	únik mozgov (EU acquis); odliv mozgov
SL	beg možganov
SV	kompetensflykt
NO	kunnskapsflukt / ekspertflukt
UK	відтік мізків

განმარტება

(მაღალ)კვალიფიციური ადამიანების ემიგრაციის შედეგად ქვეყნისთვის მიყენებული დანაკარგი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ILO-ს თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ინტელექტის შემოდინება**
- ★ **ინტელექტის გაფლანგვა**
- ★ **ინტელექტის ცირკულაცია**
- ★ **ცირკულარული მიგრაცია**

ინტელექტის გაფლანგვა

BG	разхищение на мозъци
CS	plýtvání mozky
DE	Brain Waste
EL	κατασπατάληση εγκεφάλων / σπατάλη εγκεφάλων
EN	brain waste
ES	subempleo
ET	oskustööjõu alarakendatus
FI	aivotuhlaus
FR	gaspillage des cerveaux
GA	cur amú éirime
HU	képességek elpazarlása
IT	spreco di cervelli
LT	protų švaistymas
LV	intelektuālā potenciāla izšķērdēšana
MT	Ħela ta' mħuħ / ta' nies bi kwalifiki għoljin
NL	brain waste
PL	marnotrawstwo mózgów
PT	desperdício de competências
RO	brain waste
SK	plytvanie mozgami (EU acquis); mrhanie mozgami
SL	izguba možganov
SV	kompetensslöseri
NO	kunnskapssløsing
UK	марнування мізків

განმარტება

მიგრანტის მიერ ევროკავშირის ფარგლებს გარეთ შეძენილი უნარებისა და კვალიფიკაციების არაღიარება ევროკავშირის მიერ, რომელიც ხელს უშლის მისი პოტენციალის სრულად გამოყენებას (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
მიგრაციისა და განვითარების შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს 28-ე სქოლიო (COM(2005) 390 საბოლოო რედაქცია)

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ინტელექტის გადინება**
- ★ **ინტელექტის შემოდინება**
- ★ **ინტელექტის ცირკულაცია**

ინტელექტის შემოდინება

BG	привличане на мозъци
CS	příliv mozků
DE	Brain Gain
EL	κέρδος εγκεφάλων / προσέλκυση εγκεφάλων
EN	brain gain
ES	captación de cerebros
ET	oskustööjõu sissevool
FI	aivotuonti
FR	afflux de cerveaux
GA	inimirce daoine oilte
HU	agyvisszaszívás / tudásnyerés / brain gain
IT	acquisizione di cervelli
LT	protų pritraukimas
LV	kvalificēta darbaspēka pieplūdums
MT	Akkwist/Ksib ta' mħuħ / ta' nies bi kwalifiki għoljin
NL	brain gain
PL	no usual translation
PT	captação de cérebros
RO	atragerea creierelor / brain gain
SK	získavanie mozgov
SL	pridobitev možganov
SV	kompetensinflöde
NO	kunnskapsgevinst
UK	притік мізків

განმარტება

მაღალკვალიფიციური ადამიანების იმიგრაციის შედეგად ქვეყნის მიერ მიღებული სარგებელი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
EMN-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ტერმინის 'ინტელექტის გადინება' განმარტება

სინონიმი

★ ინტელექტის გადინების უკუპროცესი

დაკავშირებული ტერმინები

★ **ინტელექტის გადინება**
★ **ინტელექტის გაფლანგვა**
★ **ინტელექტის ცირკულაცია**
★ **ცირკულარული მიგრაცია**

შენიშვნა

აღნიშნული შეიძლება ეხებოდეს როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს, რომელიც ქვეყანაში იღებს მაღალკვალიფიციურ მიგრანტს, ისე მესამე ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც თავის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში ბრუნდება.

ინტელექტის ცირკულაცია

BG	движение на мозъци
CS	cirkulace mozků
DE	Brain Circulation
EL	κυκλοφορία εγκεφάλων
EN	brain circulation
ES	circulación de cerebros
ET	oskustööjõu ringlus
FI	aivokierto
FR	circulation des cerveaux
GA	cúrsaíocht daoine oilte
HU	there is no widely accepted term: „agykörforgás" is used in some documents
IT	circolazione di cervelli
LT	protų apykaita
LV	kvalificēta darbaspēka aprite
MT	Ċirkolazzjoni ta' mħuħ / ta' nies bi kwalifiki għoljin
NL	mobiliteit van hoogopgeleide personen / brain circulation
PL	cyrkulacja mózgów
PT	circulação de cérebros
RO	circulația creierelor
SK	cirkulácia mozgov
SL	kroženje možganov
SV	kunskapsspridning
NO	kunnskapsmobilitet / kunnskapssirkulasjon
UK	циркуляція мізків

განმარტება

განვითარებადი ქვეყნების შესაძლებლობა, გამოიყენონ მათი მიგრანტების (იმის მიუხედავად, დაბრუნდნენ თუ არა ისინი თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში) და დიასპორის წევრების მიერ შეძენილი უნარ-ჩვევები, ნოუჰაუ და სხვა სახის გამოცდილება.

წყარო

მიგრაციის და განვითარების შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს დანართი 5 (COM (2005) 390 საბოლოო რედაქცია)

დაკავშირებული ტერმინები

- ინტელექტის გადინება
- ინტელექტის შემოდინება
- ინტელექტის გაფლანგვა
- ცირკულარული მიგრაცია

ინფორმაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ (COI)

BG	информация за страни на произход
CS	informace o zemích původu
DE	Herkunftsländerinformation
EL	πληροφορίες για τις χώρες καταγωγής
EN	country of origin information (COI)
ES	información del país de origen
ET	päritoluriigi info
FI	alkuperämaita koskeva tieto / lähtömaatieto
FR	information sur le pays d'origine
GA	faisnéis faoin tír thionscnaimh
HU	származási országinformáció
IT	informazioni sul paese di origine
LT	informacija apie kilmės valstybę
LV	izcelsmes valsts informācija
MT	Informazzjoni dwar il-pajjiż tal-oriġini
NL	landeninformatie / herkomstlandeninformatie
PL	informacje o kraju pochodzenia
PT	informação do país de origem
RO	informații din țara de origine
SK	informácie o krajine pôvodu
SL	podatki o izvorni državi
SV	landinformation
NO	landinformasjon
UK	інформація про країну походження (ІКП)

განმარტება

ინფორმაცია, რომელსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოები საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების ინდივიდუალური შეფასებისას იყენებენ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში (და საჭიროების შემთხვევაში, მათ მიერ სატრანზიტო ქვეყნებად გამოყენებულ ქვეყნებში) არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გასაანალიზებლად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

გაძლიერებული პრაქტიკული თანამშრომლობის შესახებ კომუნიკეს დანართი C (COM(2006) 67 საბოლოო რედაქცია)

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-4(3ა) მუხლი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-10(3ბ) მუხლი

სინონიმები

- COI
- ინფორმაცია ქვეყნის შესახებ
- ინფორმაცია მესამე ქვეყნების შესახებ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**

დაკავშირებული ტერმინი

- **ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)**

შენიშვნები

1. განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში გამოიყენება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ფაქტი. ამ ფაქტების მოპოვება ხდება სხვადასხვა წყაროდან, როგორებიცაა: ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR) და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციები; საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, როგორებიცაა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამთავრობო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები, მედია, ორმხრივი კონტაქტები წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში და საელჩოთა ანგარიშები, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის კანონმდებლობის, რეგულაციების და მათი გამოყენების წესის შესახებ.

2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ოფიციალური უწყებების მიერ გამოყენებული ინფორმაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ მიეწოდება განცხადებების განხილვასა და სტატუსის დადგენაზე პასუხისმგებელ პერსონალს.

3. იმის უზრუნველსაყოფად, რომ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ ინფორმაციამ ხელი შეუწყოს სამართლიანი და ეფექტური პროცედურების განხორციელებას, შემუშავებულია ხარისხის გარკვეული ნორმები, როგორებიცაა 'შესაბამისობა', 'სანდოობა და დაბალანსებულობა', 'სიზუსტე და დროულობა' და 'გამჭვირვალობა და ღიაობა'. იმისთვის, რომ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ ინფორმაცია მიჩნეულ იქნეს არსებითად, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის წყაროს არ გააჩნდეს არავითარი კერძო ინტერესი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვის შედეგთან დაკავშირებით.

ინფორმაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ (COI) [გაგრძ.]

4. ეს ინფორმაცია ინტერ ალია გამოიყენება მიგრაციასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე (მაგ., დაბრუნების თაობაზე), გადაწყვეტილების მიღებისას, აგრეთვე, მკვლევრების მიერ.

5. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2021/2303 (რეგულაცია EUAA-ს შესახებ) მე-9 მუხლის თანახმად, ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს დაეკისრა, გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით, შესაბამისი მესამე ქვეყნების შესახებ სანდო, ობიექტური, სწორი და განახლებული ინფორმაციის შეგროვების და ამ ინფორმაციის (მათ შორის, ბავშვებთან, მოწყვლადი და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებთან დაკავშირებული ინფორმაციისა და გენდერული ნიშნით განსაზღვრული ინფორმაციის) საფუძველზე შესაბამისი ანალიტიკური პროდუქტების წარმოების უფლებამოსილება.

ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი

BG	Механизъм за взаимно информиране
CS	mechanismus vzájemné výměny informací
DE	Mechanismus zur gegenseitigen Information
EL	μηχανισμός αμοιβαίας πληροφόρησης
EN	mutual information mechanism
ES	Mecanismo de Información Mutua
ET	vastastikune teabesüsteem
FI	keskinäinen tiedottamisjärjestelmä
FR	mécanisme d'information mutuelle
GA	Sásra um Fhaisnéis Fhrithpháirteach
HU	kölcsönös tájékoztatási mechanizmus
IT	Meccanismo di Informazione Reciproca
LT	Tarpusavio keitimosi informacija mechanizmas
LV	savstarpējās informācijas apmaiņas mehānisms
MT	Mekkaniżmu għal Informazzjoni Reċiproka
NL	wederzijdse Informatiemechanisme
PL	Mechanizm Wymiany Informacji
PT	mecanismo de informação mútua
RO	mecanismul de informare mutuală
SK	mechanizmus vzájomnej výmeny informácií
SL	Medsebojni informacijski sistem
SV	system för ömsesidigt informationsutbyte
NO	Ordning for gjensidig informasjonsutveksling
UK	механізм взаємообміну інформацією

განმარტება

თავშესაფრისა და იმიგრაციის სფეროში ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ ეროვნულ დონეზე მიღებული ზომების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი, რომელმაც, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს როგორც წევრ სახელმწიფოთა ჯგუფზე, ასევე მთლიანად ევროკავშირზე.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების 2006/688/EC (გადაწყვეტილება ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმის შესახებ) 1-ელი მუხლი

სინონიმები

- MIM
- თავშესაფრისა და იმიგრაციის სფეროში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლის მექანიზმი

დაკავშირებული ტერმინი

- **ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიგრაციის სამსახურთა საინფორმაციო და საკოორდინაციო ქსელი (ICONet)**

შენიშვნა

მექანიზმი ასევე იძლევა ზემოაღნიშნული ზომების შესახებ მოსაზრებების გაცვლისა და მსჯელობის გამართვის საშუალებას.

ინფორმირების ვალდებულება

BG	задължение за докладване
CS	povinnost se hlásit
DE	Meldepflicht / Meldeverpflichtung
EL	υποχρέωση αναφοράς
EN	obligation to report
ES	Obligación de presentarse
ET	teavitamiskohustus
FI	ilmoittautumisvelvollisuus
FR	obligation de se présenter
GA	
HU	jelentési kötelezettség
IT	obbligo di presentazione
LT	pareiga pranešti
LV	pienākums ziņot
MT	Obbligu (li) tirrapporta
NL	Meldplicht; Meldingsplicht (BE)
PL	obowiązek zgłoszenia
PT	apresentações periódicas
RO	obligația de raportare / obligația de a se prezenta
SK	povinnosť hlásiť sa
SL	obveznost poročanja
SV	anmälningsskyldighet
NO	meldeplikt
UK	обов'язок звітувати

განმარტება

დაბრუნების კონტექსტში, მიგრანტის/მესამე ქვეყნის მოქალაქის ვალდებულება, რომლის დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილია, მოახდინოს (უახლოესი) პოლიციის განყოფილების, საიმიგრაციო სამსახურის და სასამართლო უწყების რეგულარული ინფორმირება ქვეყნიდან გაძევებამდე.

წყარო

EMN-ის სპეციალური კვლევა: დაკავების გამოყენება და დაკავების ალტერნატივები იმიგრაციის პოლიტიკის კონტექსტში, 2014 წ.

სინონიმი

★ ზედამხედველობა

დაკავშირებული ტერმინი

★ **თანამშრომლობის ვალდებულება**

შენიშვნები

1. ინფორმირების ვალდებულება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობებით განსაზღვრული, დაკავების ერთ-ერთი ყველაზე მეტად გავრცელებული ალტერნატივაა. შესაბამისი ორგანოების ყოველდღიურად, ორ კვირაში ერთხელ, ყოველკვირეულად ან კიდევ უფრო ნაკლები სიხშირით ინფორმირების (რაც, შესაძლოა, პირადად გამოცხადებას გულისხმობდეს) ვალდებულება შეიძლება დაწესდეს დამატებით, კონკრეტულ ადგილზე ცხოვრების ვალდებულებასთან ერთად. ზედამხედველობის კონკრეტული რეჟიმი შეიძლება ავალდებულებდეს უცხოელს, ჩააბაროს შესაბამის ორგანოებს თავისი პასპორტი ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი.

2. ტერმინი ასევე გამოიყენება დაკავების კონტექსტში ინფორმირების ვალდებულების აღნიშვნისთვის იმ პირთა მიმართ, რომლებთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების პროცესი ან რომლებიც გათავისუფლდნენ საპატიმროდან.

3. საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, თანამშრომლობის ვალდებულება შეიძლება მოიცავდეს მიგრანტების ვალდებულებას, მოახდინონ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება, პირადად გამოცხადდნენ ან აცნობონ აღნიშნულ ორგანოებს თავიანთი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ან მისამართი.

ირიბი დისკრიმინაცია

BG	непряка/ косвена дискриминация
CS	nepřímá diskriminace
DE	mittelbare Diskriminierung
EL	έμμεση διάκριση
EN	indirect discrimination
ES	discriminación indirecta
ET	kaudne diskrimineerimine
FI	välillinen syrjintä
FR	discrimination indirecte
GA	idirdhealú indíreach
HU	közvetett diszkrimináció
IT	discriminazione indiretta
LT	netiesioginė diskriminacija
LV	netiešа diskriminācija
MT	Diskriminazzjoni indiretta
NL	indirecte discriminatie
PL	dyskryminacja pośrednia
PT	discriminação indireta
RO	discriminare indirectă
SK	nepriama diskriminácia
SL	posredna diskriminacija
SV	indirekt diskriminering
NO	indirekte diskriminering
UK	прихована дискримінація

განმარტება

ვითარება, როდესაც აპრიორი ნეიტრალური დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების გამო პირს სხვა პირთან შედარებით გარკვეულ არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა ობიექტურად არის გამართლებული კანონიერი მიზნით და გამოყენებული საშუალებები ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელი და თანაზომიერია.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) მე-2(b) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ინსტიტუციური დისკრიმინაცია**
- ★ **თანასწორი მოპყრობის პრინციპი**
- ★ **სტრუქტურული დისკრიმინაცია**

იუს სანგვინის (ius sanguinis/„სისხლის პრინციპი")

BG	no translation
CS	ius sanguinis / právo krve
DE	Abstammungsprinzip / Ius sanguinis
EL	δίκαιο του αίματος / ius sanguinis
EN	ius sanguinis
ES	ius sanguinis
ET	vereõigus
FI	periytymisperiaate
FR	droit du sang
GA	ius sanguinis
HU	ius sanguinis (vér szerinti leszármazás elve)
IT	ius sanguinis
LT	kraujo teisė
LV	Ius sanguinis
MT	Ius sanguinis
NL	ius sanguinis / jus sanguinis / afstammingsbeginsel
PL	prawo krwi
PT	ius sanguinis
RO	ius sanguinis / legea sângelui
SK	právo krvi / ius sanguinis
SL	jus sanguinis
SV	jus sanguinis / härstamningsprincipen
NO	jus sanguinis / nedstammingsprinsippet
UK	ius sanguinis (право крові)

განმარტება

პირის მოქალაქეობის დადგენა მისი მშობლების (ან ერთი-ერთი მშობლის ან ერთი კონკრეტული მშობლის) მოქალაქეობის საფუძველზე პირის დაბადებისას ან ამ პირის მიერ მოქალაქეობის მოპოვებისას (შესაბამისად, დაბადების შემდგომ მოქალაქეობის აღნიშნული პრინციპით დადგენის დრო სხვადასხვაა).

წყარო

EUDO-ს განმარტებითი ონლაინლექსიკონი მოქალაქეობის შესახებ

სინონიმი

- ★ jus sanguinis

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **მოქალაქეობის მოპოვება**
- ★ **იუს სოლი (ius soli/„მიწის პრინციპი")**

იუს სოლი (ius soli/„მიწის პრინციპი“)

BG	no translation
CS	ius soli / právo půdy
DE	Territorialprinzip / Ius soli / Geburtslandprinzip
EL	δίκαιο του εδάφους / ius soli
EN	ius soli
ES	ius soli
ET	sünnikohaõigus
FI	syntymäperiaate
FR	droit du sol
GA	ius soli
HU	ius soli (területi elv)
IT	ius soli
LT	žemės teisė
LV	Ius soli
MT	Ius soli
NL	ius soli / jus soli / territorialiteitsbeginsel
PL	prawo ziemi
PT	ius soli
RO	ius soli/ legea locului
SK	právo zeme / ius soli
SL	jus soli
SV	jus soli / territorialprincipen
NO	jus soli / territorialprinsippet
UK	ius soli (право ґрунту)

განმარტება

პრინციპი, რომლის თანახმად, პირის მოქალაქეობა განისაზღვრება მისი დაბადების ქვეყნის მიხედვით.

წყარო

EUDO-ს განმარტებითი ონლაინლექსიკონი მოქალაქეობის შესახებ

სინონიმი

- jus soli

დაკავშირებული ტერმინები

- **მოქალაქეობის მოპოვება**
- **იუს სანგვინის (ius sanguinis /“სისხლის პრინციპი”)**

(იძულებითი) გადაადგილება

BG	Разселване
CS	vysídlení
DE	Vertreibung
EL	εκτόπιση/ εκτοπισμός
EN	displacement
ES	Desplazamiento
ET	sundränne
FI	kotiseudultaan siirtymään joutuminen
FR	déplacement
GA	easáitiú
HU	lakhelyelhagyás / lakóhely elhagyása
IT	Sfollamento
LT	perkėlimas
LV	pārvietošana
MT	Spostament
NL	verplaatsing / ontheemding / verdrijving
PL	przesiedlenie
PT	deslocação
RO	strămutarea forțată a populației / strămutarea
SK	vysídlenie
SL	razselitev
SV	fördrivning
NO	fordrivelse (b); fordriving (n)
UK	переміщення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირის იძულებით გასვლა თავისი სახლიდან ან ქვეყნიდან; ხშირ შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის ან სტიქიური უბედურების გამო.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის იძულებით გასვლა ან ევაკუაცია (განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართვის საპასუხოდ) თავისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნიდან ან რეგიონიდან, როდესაც მას არ შეუძლია დაბრუნება უსაფრთხო პირობებში და ხანგრძლივი პერიოდით ამ ქვეყანაში არსებული ვითარების გამო, და რომელზეც შესაძლოა ვრცელდებოდეს ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (A) მუხლი ან საერთაშორისო დაცვის უზრუნველმყოფი სხვა საერთაშორისო თუ ეროვნული ინსტრუმენტი. კერძოდ, აღნიშნული შეეხება პირს, რომელიც:

ა) გაერიდა შეიარაღებული კონფლიქტის ან ენდემური ძალადობის ადგილს;

(იძულებითი) გადაადგილება [გაგრძ.]

ბ) არის ადამიანის უფლებების სისტემატური ან მასობრივი დარღვევების რისკის ქვეშ ან წარმოადგენს ამგვარ ქმედებათა მსხვერპლს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავებულია EMN-ის მიერ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ. და ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) მე-2(c) მუხლი

ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავებულია EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) მე-2(c) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **იძულებითი მიგრაცია**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **დროებითი დაცვა**

იძულებითი დაბრუნება

BG	принудително връщане
CS	nucený návrat
DE	zwangsweise Rückführung / Zwangsrückführung / erzwungene Rückkehr
EL	αναγκαστική επιστροφή / αναγκαστικός επαναπατρισμός / ακούσια επιστροφή
EN	forced return
ES	retorno forzoso
ET	sunniviisiline tagasipöördumine / tagasisaatmine
FI	pakkopaluu / pakkopalauttaminen
FR	retour forcé
GA	filleadh éigeantach
HU	kötelező visszatérés
IT	Ritorno forzato / Rimpatrio forzato
LT	priverstinis grąžinimas
LV	piespiedu atgriešana (EU acquis); piespiedu izraidīšana
MT	Ritorn ta' bilfors / Ripatriazzjoni obbligatorja
NL	gedwongen terugkeer / verplichte terugkeer
PL	przymusowy powrót
PT	retorno forçado
RO	returnare (fortata)/returnare sub escortă
SK	nútený návrat
SL	prisilno vračanje / prisilna vrnitev
SV	återvändande med tvång (tvångsvist återvändande)
NO	tvangsretur
UK	примусове повернення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირის სავალდებულო დაბრუნება წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში (ე.ი. დაბრუნების ქვეყანაში) ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

ევროკავშირის კონტექსტში, მიგრანტთა დაბრუნების პროცესი დაბრუნების ვალდებულების ნებაყოფლობითი ან იძულებითი შესრულებით:

– პირის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში;

– სატრანზიტო ქვეყანაში, ევროკავშირის ან რეადმისიის შესახებ ორმხრივი შეთანხმებების ან სხვა შეთანხმებების შესაბამისად;

– სხვა მესამე ქვეყანაში, სადაც დაბრუნებას მესამე ქვეყნის მოქალაქე ნებაყოფლობით გადაწყვეტს და სადაც მას მიიღებენ.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავებულია EMN-ის მიერ.

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(3) მუხლი

იძულებითი დაბრუნება [გაგრძ.]

სინონიმი

★ სავალდებულო დაბრუნება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დაბრუნება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **გაძევება (expulsion)**
★ **ექსტრადიცია**
★ **გაძევება (removal)**
★ **ნებაყოფლობით გამგზავრება**

დაკავშირებული ტერმინი

★ **გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ**

შენიშვნები

1. გლობალურ კონტექსტში იძულებითი დაბრუნება უფრო ფართო ტერმინია და მოიცავს ნებისმიერ ქმედებას, რომლის შედეგადაც ხდება პირის სახელმწიფოში დაბრუნება, მათ შორის, გაძევება, ექსტრადიცია, საზღვარზე უარის თქმა, ექსტრატერიტორიული პრევენციული ჩარევა და ფიზიკური დაბრუნება.

2. ტერმინი 'იძულებითი დაბრუნება' ევროკავშირის კანონმდებლობაში არ გამოიყენება. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ), რომელიც არეგულირებს ქვეყანაში არალეგალურად მყოფი მიგრანტების დაბრუნებასთან დაკავშირებულ საკითხებს, პირის დაბრუნება (რომელიც ხორციელდება დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველზე) აღნიშნულია, როგორც 'დაბრუნება' (და არა 'იძულებითი დაბრუნება'). იმისთვის, რომ ზემოთ აღნიშნული ცნება გაიმიჯნოს მიგრანტების დაბრუნებისგან მათი თავისუფალი ნების საფუძველზე და სახელმწიფოსგან ყოველგვარი მითითების გარეშე, EMN იყენებს ტერმინს 'იძულებითი დაბრუნება' იმ შემთხვევების აღსანიშნავად, როდესაც დაბრუნება ხორციელდება დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. ევროკავშირის კონტექსტში (მაგ., ევროსტატის მეტამონაცემებში) მოხსენიებული ტერმინი 'იძულებითი დაბრუნება' აღიქმება 'გაძევების' (removal) სინონიმური მნიშვნელობით, რაც აღნიშნავს პირის გამგზავრებას ქვეყნიდან დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდგომ.

4. ევროკავშირის კანონმდებლობის რეგულირების ფარგლებს გარეთ ტერმინი 'იძულებითი დაბრუნება' უფრო ხშირად გამოიყენება და აღიქმება, როგორც დაბრუნება, რომელიც წარმოადგენს დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომდევნო ნაბიჯს.

იძულებითი დაბრუნების მონიტორინგი

BG	наблюдение на принудителното връщане
CS	monitoring nucených návratů
DE	Überwachung von Rückführungen
EL	παρακολούθηση αναγκαστικών επιστροφών
EN	forced return monitoring
ES	Control y seguimiento retorno forzoso
ET	sunniviisilise tagasisaatmise jälgimine
FI	pakkopalautusten valvonta / maastapoistamisen valvonta
FR	contrôle du retour forcé
GA	
HU	a kitoloncolás végrehajtásának felügyelete
IT	(sistema di) monitoraggio dei rimpatri forzati
LT	priverstinio grąžinimo stebėsena (EU acquis); išsiuntimo stebėsena
LV	piespiedu atgriešanas uzraudzība (EU acquis); piespiedu izraidīšanas uzraudzība
MT	Monitoraġġ tar-ritorn ta' bilfors / tar-ripatrijazzjoni obbligatorja
NL	monitoring van gedwongen terugkeer
PL	
PT	monitorização do retorno forçado
RO	monitorizarea returnării forțate
SK	monitorovanie núteného návratu
SL	spremljanje prisilnega vračanja
SV	övervakning av återvändande med tvång
NO	Overvåking av tvangsretur
UK	моніторинг примусового повернення

განმარტება

მონიტორინგის ყველა ღონისძიება, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის/ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EU/EFTA) წევრი სახელმწიფოების ტერიტორიიდან იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა გაძევებასთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც მიღებულია ქვეყნის დატოვების ბრძანება (გასამგზავრებლად მომზადების დაწყების მომენტიდან დაბრუნების ქვეყნის მიერ პირის მიღების მომენტამდე ან, გაძევების წარუმატებელი მცდელობის შემთხვევაში, გამგზავრების პუნქტში მის დაბრუნებამდე).

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-8(6) მუხლი

ევროკომისიის რეკომენდაციის C(2017) 6505 I დანართი „სახელმძღვანელო დაბრუნების შესახებ“

სინონიმები

- იძულებითი დაბრუნების მონიტორინგის სისტემა
- იძულებითი დაბრუნების მონიტორინგის მექანიზმი
- დაბრუნების მონიტორინგი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **იძულებითი დაბრუნება**
- **გაძევება (removal)**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-8(6) მუხლთ გათვალისწინებულია ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველყოფის გარანტიები მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომელთა მიმართაც გაცემულია ევროკავშირის დატოვების ბრძანება, რაც ავალდებულებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, აამოქმედონ იძულებითი დაბრუნების მონიტორინგის სისტემა. აღნიშნული მოიცავს დაბრუნების პროცედურების აღმასრულებელი ორგანოებისგან განსხვავებული და დამოუკიდებელი ორგანიზაციების ჩართულობას პროცესში. ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex) მხარს უჭერს დაბრუნების მონიტორინგის პროცესს ექსპერტების (“დაბრუნების პროცესის მეთვალყურეების”) მივლინების საშუალებით, რომლებიც ახორციელებენ დაბრუნების ოპერაციების დამოუკიდებელ მონიტორინგს ძირითად უფლებათა დაცვის უზრუნველსაყოფად ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) 29-ე მუხლის შესაბამისად.

2. დაბრუნების სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის ზედამხედველობის ცალკეულ შემთხვევებში ან სახელმწიფო სისტემებში სამართლებრივი დაცვის საშუალებების მხოლოდ არსებობა ვერ ჩაითვლება დაბრუნების შესახებ დირექტივის მე-8(6) მუხლის სათანადო გამოყენებად.

იძულებითი დაბრუნების მონიტორინგი [გაგრძ.]

3. დაბრუნების შესახებ დირექტივის მე-8(6) მუხლი არ ითვალისწინებს პირის სუბიექტურ უფლებას მისი დაბრუნების პროცესის მონიტორინგზე და არც გაძევების თითოეული ოპერაციის მონიტორინგის ვალდებულებას. დაუგეგმავ შემოწმებებსა და შემთხვევითი პრინციპით შერჩეული საქმეების ინსპექტირებაზე დაფუძნებული მონიტორინგის სისტემა შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს იმ შემთხვევაში, როდესაც მონიტორინგი სათანადოდ ხშირად ტარდება იმისთვის, რომ უზრუნველყოს სრული პროცესის ეფექტიანობა.

4. მონიტორინგი არ მოიცავს დაბრუნების შემდგომ მონიტორინგს (დაბრუნებული პირის მესამე ქვეყანაში მიღების შემდგომ პერიოდში).

იძულებითი მიგრანტი

BG	мигрант по принуда
CS	nucený migrant
DE	Zwangsmigrant
EL	no translation
EN	forced migrant
ES	migrante forzoso
ET	sundsisserändaja (no usual translation)
FI	pakkomuuttaja
FR	migrant forcé
GA	imirceach éigeantais
HU	kényszermigráns
IT	migrante forzato
LT	priverstinis migrantas
LV	piespiedu migrants
MT	Migrant(a) kostrett(a) / sfurzat(a)
NL	gedwongen migrant
PL	migrant przymusowy
PT	migrante forçado
RO	migrant forțat
SK	nútený migrant
SL	prisilni migrant
SV	tvångsmigrant
NO	tvungen migrant
UK	вимушений мігрант

განმარტება

პირი, რომელიც იძულებულია დატოვოს ქვეყანა მისი სიცოცხლისა და საცხოვრისის მიმართ არსებული საფრთხეების გამო, რომლებიც განპირობებულია ბუნებრივი ან ხელოვნური მიზეზებით (მაგ., ლტოლვილების ან (ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირების გადაადგილება, ასევე ბუნებრივი, ეკოლოგიური, ქიმიური ან ბირთვული კატასტროფების, შიმშილის ან ურბანული განვითარების პროექტების შედეგად გამოწვეული გადაადგილება).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრანტი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ გადაადგილებული პირი

★ ლტოლვილი

დაკავშირებული ტერმინები

★ დე ფაქტო ლტოლვილი

★ ეკონომიკური მიგრანტი

★ იძულებითი მიგრაცია

იძულებითი მიგრაცია

BG	принудителна миграция
CS	nucená migrace
DE	erzwungene Migration / Zwangsmigration
EL	αναγκαστική μετανάστευση
EN	forced migration
ES	migración forzosa
ET	sundränne
FI	pakkomuutto
FR	migration forcée
GA	imirce éigeantais
HU	kényszermigráció
IT	migrazione forzata
LT	priverstinė migracija
LV	piespiedu migrācija
MT	Migrazzjoni kostretta / sfurzata
NL	gedwongen migratie
PL	migracja przymusowa
PT	migração forçada
RO	migrație forțată
SK	nútená migrácia
SL	prisilna migracija
SV	tvångsmigration
NO	tvangsmigrasjon
UK	примусова міграція

განმარტება

მიგრაციული გადაადგილება, რომლის დროსაც არსებობს იძულების ელემენტი, დაკავშირებული ადამიანის სიცოცხლისა და საცხოვრისის მიმართ არსებულ საფრთხეებთან, რომლებიც განპირობებულია ბუნებრივი ან ხელოვნური მიზეზებით (მაგ., ლტოლვილების ან (ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირების გადაადგილება, ასევე ბუნებრივი, ეკოლოგიური, ქიმიური ან ბირთვული კატასტროფების, შიმშილის ან ურბანული განვითარების პროექტების შედეგად გამოწვეული გადაადგილება).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ (იძულებითი) გადაადგილება

დაკავშირებული ტერმინები

★ ეკონომიკური მიგრაცია
★ იძულებითი მიგრანტი
★ მართული მიგრაცია

ი

იძულებითი ქორწინება

BG	брак по принуда
CS	nucený sňatek
DE	Zwangsheirat
EL	εξαναγκαστικός γάμος
EN	forced marriage
ES	matrimonio forzado
ET	sundabielu
FI	pakkoavioliitto
FR	mariage forcé
GA	pósadh éigeantais
HU	kényszerházasság
IT	matrimonio forzato
LT	priverstinė santuoka
LV	piespiedu laulības
MT	Żwieġ sfurzat / ta' bilfors
NL	gedwongen huwelijk
PL	wymuszone małżeństwo
PT	casamento forçado
RO	căsătorie forțată
SK	nútené manželstvo
SL	prisilna poroka
SV	tvångsäktenskap
NO	tvangsekteskap
UK	примусовий шлюб

განმარტება

ორი ადამიანის კავშირი, რომელთაგან, სულ მცირე, ერთის არ მიუცია სრული და ძალდაუტანებელი თანხმობა ქორწინებაზე.

წყარო

ევროპის საბჭოს რეზოლუციის 1468 (2005) მე-4 მუხლი.

იძულებითი შრომა

BG	принудителен труд
CS	nucená práce
DE	Zwangsarbeit
EL	καταναγκαστική εργασία
EN	forced labour
ES	trabajo forzoso
ET	sunnitöö
FI	pakkotyö
FR	travail forcé
GA	obair éigeantais
HU	kényszermunka
IT	lavoro forzato
LT	priverstinis darbas
LV	piespiedu darbs
MT	Xogħol furzat / ta' bilfors
NL	gedwongen arbeid (NL); dwangarbeid (BE)
PL	praca przymusowa
PT	trabalho forçado
RO	muncă forțată
SK	nútená práca
SL	prisilno delo
SV	tvångsarbete
NO	tvangsarbeid
UK	примусова праця

განმარტება

ყველა სახის სამუშაო ან მომსახურება, რომლის შესრულებასაც პირს დასჯის მუქარით აიძულებენ და რომლის შესრულებაც მას ნებაყოფლობით არ შეუთავაზებია.

წყარო

ILO-ს 1930 წლის N29 კონვენციის (კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ) მე-2(1) მუხლი

სინონიმები

- სავალდებულო შრომა
- სავალდებულო მუშაობა

დაკავშირებული ტერმინები

- ბავშვის შრომა
- ექსპლუატაცია

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია

BG	незаконна миграция
CS	neregulérní migrace
DE	irreguläre Migration
EL	παράτυπη μετανάστευση
EN	irregular migration
ES	inmigración irregular
ET	ebaseaduslikränne
FI	säännösten vastainen / laiton maahanmuutto
FR	migration irrégulière
GA	Imirce neamhrialta
HU	irreguláris migráció
IT	migrazione irregolare
LT	neteisėta migracija
LV	neatbilstīga migrācija (EU acquis); nelikumīga migrācija
MT	Migrazzjoni irregolari
NL	illegale migratie / irreguliere migratie
PL	migracja nieregularna
PT	migração irregula
RO	migrație ilegală
SK	nereglárna migrácia / nelegálna migrácia
SL	nedovoljena migracija / ilegalna migracija
SV	irreguljär migration
NO	irregulær migrasjon
UK	нерегулярна міграція

განმარტება

პირთა გადაადგილება ბინადრობის ან ტრანზიტის ახალ ადგილზე გამგზავნი, სატრანზიტო და მიმღები ქვეყნების რეგულაციების დარღვევით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

სინონიმები

- არალეგალური მიგრაცია
- უკანონო მიგრაცია
- არალეგალური იმიგრაცია
- უნებართვო მიგრაცია
- ფარული მიგრაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **მიგრაცია**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა**
- **კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა**
- **მიგრანტების განმეორებითი გადაადგილება**

დაკავშირებული ტერმინი

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი**

შენიშვნები

1. ტერმინის 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია' (irregular migration) საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. დანიშნულების ქვეყნების თვალსაზრისით, ეს არის ქვეყანაში შესვლა, ცხოვრება და/ან მუშაობა საჭირო ნებართვის ან საიმიგრაციო წესებით მოთხოვნილი დოკუმენტების გარეშე. გამგზავნი ქვეყნის თვალსაზრისით, დარღვევაა, მაგალითად, როდესაც პირი საერთაშორისო საზღვარს კვეთს მოქმედი პასპორტის ან სამგზავრო დოკუმენტის გარეშე, ან არ ასრულებს ქვეყნის დატოვებისთვის დადგენილ ადმინისტრაციულ მოთხოვნებს. თუმცა, ბოლო პერიოდში შეიმჩნევა აღნიშნული ტერმინის მხოლოდ საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტში გამოყენების ტენდენცია.

2. ტერმინის 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია' (irregular migration) განმარტება დღემდე მნიშვნელოვანი დებატების საგანია. შესაბამისად, სხვადასხვა ტერმინს (illegal, undocumented/non-documented, unauthorized migration) შეიძლება განსხვავებული კონოტაცია ჰქონდეს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კონტექსტში. ამ მიზნით და სისხლისსამართლებრივ ქმედებასთან ასოციაციის გამო უმჯობესია, თავად ტერმინი 'არალეგალური მიგრაცია' ნაკლებად იქნეს გამოყენებული, რადგან კანონიერი საფუძვლის გარეშე ქვეყანაში მყოფი მიგრანტების უმეტესობა, ევროკავშირის კანონმდებლობით, სისხლის სამართლის დამნაშავედ არ მიიჩნევა. ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობა ქვეყანაში კანონიერი ყოფნისთვის მოთხოვნილი საბუთების გარეშე ყოფნას განიხილავს არა როგორც სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, არამედ როგორც ადმინისტრაციული რეგულაციებისგან გადახვევას.

3. მაშინ როდესაც გაერო იყენებს ტერმინებს 'კანონიერი საფუძვლის გარეშე' (irregular) ან 'არადოკუმენტირებული/უსაბუთო' (undocumented) მიგრაცია, ევროკომისიის საკანონმდებლო პრაქტიკაში უწინ დამკვიდრებული იყო ტერმინი 'არალეგალური იმიგრაცია' (illegal immigration), თუმცა ბოლო წლებში ევროკომისიაც აქტიურად იყენებს ტერმინს 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია' (irregular migration).

კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია [გაგრძ.]

4. ევროპის საბჭო ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს 'არალეგალური მიგრაცია' და 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი'. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის N1509(2006) თანახმად, ტერმინის 'არალეგალური' გამოყენება უმჯობესია სტატუსთან ან პროცესთან მიმართებით, ხოლო ფრაზის - 'კანონიერი საფუძვლის გარეშე' - პირთან მიმართებით.

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი

BG	незаконен мигрант
CS	neregulérní migrant
DE	irregulärer Migrant
EL	παράτυπος μετανάστης
EN	irregular migrant
ES	inmigrante en situación irregular
ET	ebaseaduslikult riigis viibiv isik
FI	säännöstenvastaisesti / laittomasti maassa oleskeleva henkilö
FR	migrant en séjour irrégulier
GA	imirceach neamhrialta
HU	irreguláris migráns
IT	migrante irregolare
LT	neteisėtas migrantas
LV	neatbilstīgs migrants (EU acquis); nelikumīgs migrants (national)
MT	Migrant(a) irregolari
NL	illegaal verblijvende migrant / onregelmatig of irregulier verblijvende migrant
PL	migrant nieregularny
PT	imigrante irregular
RO	migrant ilegal
SK	neregulárny migrant / nelegálny migrant / migrant bez platného povolenia na pobyt
SL	nezakoniti migrant / ilegalni migrant
SV	irreguljär migrant
NO	irregulær migrant
UA	нерегулярний міграант

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელსაც არალეგალური შესვლის, შესვლის პირობების დარღვევის ან შესვლისა და ბინადრობის კანონიერი საფუძვლის ამოწურვის გამო არ გააჩნია სამართლებრივი სტატუსი სატრანზიტო ან მიმღებ ქვეყანაში.

ევროკავშირის კონტექსტში, შენგენის სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციით (EU) N2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) დადგენილ შესვლის პირობებს, ან სახელმწიფოში შესვლისთვის დადგენილ სხვა პირობებს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3 მუხლში მოცემული ტერმინის 'არალეგალური ყოფნა' (illegal stay) განმარტება

სინონიმები

- არალეგალური მიგრანტი
- არასაკმარისი საბუთების მქონე მიგრანტი
- ნებართვის გარეშე მყოფი მიგრანტი
- უსაბუთო მიგრანტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **მიგრანტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

დაკავშირებული ტერმინები

- **დაკავება**
- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია**
- **ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში ყოფნა (ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში მყოფი პირი)**

კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი [გაგრძ.]

შენიშვნები

1. IOM უკანასკნელ წლებში იყენებს ტერმინს 'migrant in an irregular situation' და მას შემდეგნაირად განმარტავს: „პირი, რომელიც კვეთს ან რომელმაც გადაკვეთა (სახელმწიფოს) საერთაშორისო საზღვარი და რომელსაც არ აქვს აღნიშნულ სახელმწიფოში შესვლისა და ყოფნის კანონიერი საფუძველი, ამ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობისა და იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების თანახმად, რომელთა წევრსაც აღნიშნული სახელმწიფო წარმოადგენს."

2. ტერმინს 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი' (irregular migrant) უპირატესობა ენიჭება ტერმინთან 'არალეგალური მიგრანტი' (illegal migrant) შედარებით, რადგან მეორე მნიშვნელობას სისხლისსამართლებრივი ნიუანსი ახლავს, მაშინ როდესაც ქვეყანაში შესვლისთვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის გარეშე შესვლა ან კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა, ევროკავშირის კანონმდებლობით, წარმოადგენს არა სისხლის სამართლის დანაშაულს, არამედ ადმინისტრაციული რეგულაციებისგან გადახვევას. გარდა ამისა, როგორც სამართლებრივი, ისე ეთიკური თვალსაზრისით, ლეგალური თუ არალეგალური შეიძლება იყოს ქმედება და არა პირი. აღნიშნულიდან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტად გამოიყენება ცნებები 'migrant in an irregular situation' ან 'migrant with irregular status'.

3. ევროკომისიის კანონმდებლობაში, როგორც წესი, გამოიყენებოდა ტერმინები 'მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია' ან 'არალეგალურად მცხოვრები/მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქე'.

4. ევროპის საბჭო ერთმანეთისგან განასხვავებს ტერმინებს 'არალეგალური მიგრაცია' (illegal migration) და 'კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი' (irregular migrant). ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციის 1509 (2006 წ.) თანახმად, ტერმინის 'არალეგალური' გამოყენება უმჯობესია სტატუსთან ან პროცესთან მიმართებით, ხოლო ფრაზის - 'კანონიერი საფუძვლის გარეშე' - პირთან მიმართებით.

კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა

BG	незаконно пребиваване
CS	neoprávněný pobyt
DE	irregulärer Aufenthalt
EL	παράτυπη διαμονή
EN	irregular stay
ES	estancia irregular
ET	ebaseaduslik (riigis) viibimine
FI	säännösten vastainen / laiton maassa oleskelu
FR	séjour irrégulier
GA	cuairt aimhrialta
HU	szabálytalan tartózkodás
IT	soggiorno irregolare
LT	neteisėtas buvimas
LV	nelikumīga uzturēšanās
MT	Qagħda / Waqfa / Żjara irregolari
NL	illegaal verblijf / onregelmatig of irregulier verblijf
PL	nieregularny pobyt
PT	permanência irregular
RO	ședere ilegală
SK	neoprávnený pobyt / neregulárny pobyt / nelegálny pobyt
SL	nedovoljeno prebivanje / ilegalno prebivanje
SV	olaglig vistelse
NO	irregulært opphold (b); irregulært opphald (n)
UK	нелегальне перебування

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის მოქალაქის ყოფნა, რომელიც არ ან აღარ აკმაყოფილებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-5 მუხლით დადგენილ შესვლის პირობებს ან ევროკავშირის ამ წევრ სახელმწიფოში შესვლის, დარჩენის ან ბინადრობის სხვა პირობებს.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(2) მუხლი

სინონიმი

- არალეგალურად ყოფნა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინები

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა**
- **ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში მყოფი პირი**
- **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

შენიშვნა

'კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა' (irregular stay) და 'არალეგალურად ყოფნა' (illegal stay) ტერმინებს შორის ევროკომისია უპირატესობას პირველს ანიჭებს (იხილეთ DG Home-ის ელექტრონული ბიბლიოთეკის განმარტებითი ლექსიკონი), მიუხედავად იმისა, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) გამოყენებულია მეორე ტერმინი (illegal stay).

3 კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა

BG	незаконно влизане
CS	neoprávněný vstup na území
DE	irreguläre Einreise
EL	παράτυπη είσοδος
EN	irregular entry
ES	entrada irregular
ET	ebaseaduslik (riiki) sisenemine
FI	säännöstenvastainen / laiton maahantulo
FR	entrée irrégulière
GA	iontráil aimhrialta
HU	szabálytalan határátlépés
IT	ingresso irregolare
LT	neteisėtas atvykimas
LV	nelikumīga ieceļošana
MT	Dħul irregolari
NL	illegale binnenkomst / onregelmatige of irreguliere binnenkomst
PL	nieregularny wjazd
PT	entrada irregular
RO	intrare neregulamentară / intrare ilegală / trecere neautorizată a frontierei
SK	nelegálny vstup / neoprávnený vstup
SL	nedovoljen vstop / ilegalni vstop
SV	olaglig inresa
NO	irregulær innreise
UK	нелегальний в'їзд

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, სახელმწიფო საზღვრის კვეთა მიმღებ სახელმწიფოში ლეგალური შესვლისთვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარეშე.

შენგენის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქის შესვლა შენგენის წევრ სახელმწიფოში, რომელიც არ აკმაყოფილებს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: ტერმინის 'არალეგალური შესვლა' განმარტება, რომელიც მოცემულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" გაეროს კონვენციის შემავსებელი „მიგრანტთა ხმელეთით, ზღვითა და საჰაერო გზით უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ოქმის მე-3(ბ) მუხლში
შენგენის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ არალეგალური შესვლა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **სასაზღვრო კონტროლი**
★ **ევროკავშირის გარე საზღვარი**
★ **ევროკავშირის შიდა საზღვარი**
★ **ლეგალური შესვლა**
★ **შენგენის სასაზღვრო კოდექსი**

შენიშვნები

1. ტერმინებს 'კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა' (irregular entry) და 'არალეგალური შესვლა' (illegal entry) შორის ევროკომისია უპირატესობას პირველს ანიჭებს (იხ. DG Home-ის ელექტრონული ბიბლიოთეკის განმარტებითი ლექსიკონი).

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-5 მუხლის თანახმად, ქვეყანაში 180-დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით დარჩენის შემთხვევაში მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის შესვლის პირობები შემდეგია:
ა) ის უნდა ფლობდეს მოქმედ სამგზავრო დოკუმენტს ან დოკუმენტებს, რომელიც ან რომლებიც მას საზღვრის გადაკვეთის უფლებას აძლევს;
ბ) ის უნდა ფლობდეს მოქმედ ვიზას, თუ ეს აუცილებელია ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N539/2001 შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს მესამე ქვეყნების ჩამონათვალს, რომელთა მოქალაქეებს მოეთხოვებათ ვიზა გარე საზღვრების კვეთისას და რომელთა მოქალაქეები გათავისუფლებული არიან ამ მოთხოვნისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათ აქვთ მოქმედი ბინადრობის ნებართვა;
გ) მან უნდა დაასაბუთოს მიზნობრივი დარჩენის მიზანი და პირობები, აგრეთვე უნდა ჰქონდეს საკმარისი საარსებო საშუალებები როგორც გარკვეული პერიოდით მიზნობრივი დარჩენისთვის, ისე წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნებისთვის ან მესამე ქვეყანაში ტრანზიტისთვის, რომელშიც მას ნამდვილად შეუშვებენ, ან უნდა შეეძლოს აღნიშნული საშუალებების კანონიერი გზებით მოპოვება;

კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა [გაგრძ.]

დ) ის არ წარმოადგენს პირს, რომლის მიმართაც შენგენის საინფორმაციო სისტემაში (SIS) გავრცელებულია გაფრთხილება (alert) შესვლაზე უარის თქმის მიზნებისთვის;

ე) ის არ უნდა წარმოადგენდეს საშიშროებას ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს საჯარო პოლიტიკისთვის, შიდა უსაფრთხოებისთვის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის ან საერთაშორისო ურთიერთობებისთვის, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნულ მონაცემთა ბაზებში არ არის განთავსებული გაფრთხილება (alert) ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის მიზნით.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) N2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი).

კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა

BG	достъп до процедури за признаване на квалификации
CS	přístup k řízením o uznávání kvalifikací
DE	Zugang zu Verfahren für die Anerkennung von Befähigungsnachweisen (EU acquis); Zugang zu Verfahren für die Anerkennung von Qualifikationen
EL	πρόσβαση στις διαδικασίες για αναγνώριση προσόντων
EN	access to procedures for recognition of qualifications
ES	n/a
ET	uurdepääs kvalifikatsioonide tunnustamise menetlusele
FI	oikeus ulkomailla suoritettujen tutkintojen kelpoisuuden tunnustamiseen (työtä tai opiskelupaikkaa haettaessa)
FR	accès aux procédures de reconnaissances des qualifications
GA	rochtain ar nósanna imeachta um cháilíochtaí a aithint
HU	A képesítések elismertetésére alkalmazott eljárásokhoz történő hozzáférés
IT	accesso all'occupazione
LT	galimybė naudotis kvalifikacijų pripažinimo tvarka
LV	piekļuve kvalifikāciju atzīšanas procedūrām
MT	Aċċess għall-proċeduri fir-rikonoxximent tal-kwalifiki
NL	toegang tot procedures voor de erkenning van kwalificaties
PL	dostęp do procedur uznawania kwalifikacji
PT	acesso aos procedimentos de reconhecimento de qualificações
RO	acces la procedurile de recunoaștere a calificărilor
SK	prístup k postupom uznávania kvalifikácií
SL	dostop do postopka priznavanja poklicnih kvalifikacij
SV	tillgång till förfaranden för erkännande av kvalifikationer
NO	tilgang til ordninger for godkjenning av kvalifikasjoner (b); tilgang til ordningar for godkjenning av kvalifikasjonar (n)
UK	доступ до процедур визнання кваліфікацій

განმარტებები

მიგრაციის გლობალურ კონტექსტში, პირობები და მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს მიმღებ სახელმწიფოებში მიგრანტებისა და ლტოლვილების დაშვებას პროფესიული განათლების დიპლომების, სერტიფიკატების და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების აღიარების პროცედურებზე, მიმღები სახელმწიფოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.

ევროკავშირის კონტექსტში, პირობები და მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების (ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეების, თავშესაფრის მაძიებლების და საერთაშორისო დაცვის მიმღები პირების) დაშვებას პროფესიული განათლების დიპლომების, სერტიფიკატებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების აღიარების პროცედურებზე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.

წყაროები

ა) შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1c) მუხლი
ბ) შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1c) მუხლი
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის გა-ნახლებული რედაქცია) 28-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა

დაკავშირებული ტერმინები

- განათლების ხელმისაწვდომობა
- დასაქმების ხელმისაწვდომობა
- ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა
- სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა

კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა [გაგრძ.]

შენიშვნები

1. განათლების კვალიფიკაციათა აღიარების ლისაბონის კონვენციის მე-7 მუხლი ადგენს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ვალდებულებას, თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში და კონსტიტუციური, სამართლებრივი და მარეგულირებელი დებულებების შესაბამისად, გაატარონ შესაძლო და გონივრული ნაბიჯები სამართლიანი და სწრაფი პროცედურების შესამუშავებლად, რათა დადგინდეს, აკმაყოფილებენ თუ არა ლტოლვილები, გადაადგილებული პირები და ლტოლვილთა მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირები უმაღლესი განათლების მიღების/გაგრძელების ან დასაქმების მიზნით დადგენილ მოთხოვნებს, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში მოპოვებული განათლების კვალიფიკაცია დოკუმენტურად ვერ დასტურდება.

2. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1c) მუხლის და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 28(1)-ე მუხლის თანახმად, გრძელვადიანი ბინადრობის უფლების მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქეები და საერთაშორისო დაცვის მქონე პირები სარგებლობენ მოქალაქეებთან გათანაბრებული პირობებით პროფესიული განათლების დიპლომების, სერტიფიკატებისა და სხვა კვალიფიკაციების აღიარების მხრივ, ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

კვოტა

BG	квота
CS	kvóta
DE	Quote
EL	ποσόστωση
EN	quota
ES	cuota
ET	piirarv
FI	kiintiö
FR	quota
GA	cuóta
HU	kvóta
IT	quota
LT	kvota
LV	kvota
MT	Kwota
NL	quotum
PL	kwota
PT	quota
RO	cotă
SK	kvóta
SL	kvota
SV	kvot
NO	kvote
UK	Квота

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, სახელმწიფოში დასაშვებ მიგრანტთა რაოდენობაზე დაწესებული შეზღუდვა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ საიმიგრაციო კვოტა

დაკავშირებული ტერმინი

★ მართული მიგრაცია

შენიშვნა

მსოფლიოს არაერთი ქვეყანა აწესებს ყოველწლიურად მისაღები მიგრანტების რაოდენობის კვოტებს ან ზღვრებს.

კონვენციით განსაზღვრული დევნის საფუძვლები

BG	основания за преследване, посочени в Конвенцията за статута на бежанците
CS	důvody pronásledování podle Ženevské úmluvy
DE	Verfolgungsgründe (nach) der Genfer Konvention / Konventionsgründe
EL	λόγοι δίωξης σύμφωνα με τη Σύμβαση της Γενεύης
EN	Convention grounds for persecution
ES	motivos de persecución Convenio de Ginebra de 1951 y Protocolo de 1967
ET	Genfi konventsioonis sätestatud tagakiusamise alused
FI	Geneven yleissopimuksen mukaiset vainon perusteet
FR	motifs de persécution au sens de la Convention de Genève
GA	forais ghéarleanúna de réir Choinbhinsiún na Ginéive
HU	a genfi egyezmény szerinti üldöztetési ok
IT	cause di persecuzione ex Convenzione di Ginevra
LT	persekiojimo pagrindai pagal Konvenciją
LV	Ženēvas konvencijas noteiktie vajāšanas pamati
MT	Motivi għall-persekuzzjoni skont il-Konvenzjoni ta' Ġinevra
NL	gronden voor vervolging in de zin van het Vluchtelingenverdrag
PL	
PT	motivos de perseguição na aceção da Convenção de Genebra
RO	motive de persecutie stabilite de Conventia de la Geneva
SK	dôvody prenasledovania podľa Ženevského dohovoru
SL	konvencijski razlogi za preganjanje / razlogi za preganjanje po Ženevski konvenciji iz 1951
SV	konventionsgrunder för förföljelse
NO	konvensjonsgrunnene for forfølgelse (b); konvensjonsgrunnane for forfølging (n)
UK	Підстави для переслідування за Конвенцією

განმარტება

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (A2) მუხლის მიხედვით, დევნა შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ხუთი საფუძვლით: რასა, რელიგია, ეროვნება, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება ან პოლიტიკური შეხედულება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი (A2) მუხლი

სინონიმები

- დევნის საფუძვლები
- დევნის მიზეზები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **დევნა**

დაკავშირებული ტერმინები

- **ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი**
- **ლტოლვილი**

შენიშვნები

1. ყველა ის პირი, რომელიც თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფება და აქვს დევნის საფუძვლიანი შიში, არ მიიჩნევა ლტოლვილად კონვენციის საფუძველზე. ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის 1-ელი (A) მუხლის მიხედვით, პირის ლტოლვილად მიჩნევის ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა, ერთი მხრივ, დევნის საფუძვლებს (რასა, რელიგია, ეროვნება, პოლიტიკური შეხედულება ან გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება), ხოლო, მეორე მხრივ, დევნის ქმედებებს ან მსგავსი ქმედებებისგან დაცვის არარსებობას შორის. ზემოაღნიშნულის გარდა, დევნის ნებისმიერი სხვა საფუძველი მხედველობაში არ მიიღება. დევნის მსხვერპლად ქცევის რისკი ზოგჯერ შეიძლება ისეთ გარემოებებში წარმოიშვას, როდესაც ერთი პირი აკმაყოფილებს კონვენციით განსაზღვრულ ორ ან მეტ საფუძველს, რომლის შემთხვევაშიც, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დევნის საფუძვლიან შიშთან დგინდება რამდენიმე საფუძვლის ერთობლივად გათვალისწინებით.

კონვენციით განსაზღვრული დევნის საფუძვლები [გაგრძ.]

2. სახელმწიფოს მიერ ლტოლვილის სტატუსის დადგენისას მხედველობაში მიიღება შემდეგი განმარტებები:

– რასა გამოიყენება თავისი ყველაზე ფართო გაგებით და მოიცავს საერთო წარმოშობის ეთნიკურ და სოციალურ ჯგუფებს;

– რელიგიაში მოიაზრება როგორც საერთო ტრადიციებისა და რწმენის მქონე ჯგუფებთან პირის იდენტიფიცირება, ასევე, რელიგიური პრაქტიკის აქტიური განხორციელება;

– ეროვნების ცნება მოიცავს პირის მოქალაქეობას. მოსახლეობაში არსებული ეთნიკური, ენობრივი და კულტურული ჯგუფების დევნასაც ასევე შეიძლება ეწოდოს ეროვნების საფუძველზე დევნა;

– გარკვეული სოციალური ჯგუფი გულისხმობს იმ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მსგავსი გამოცდილება, ჩვევები ან სოციალური სტატუსი. ეს კატეგორია ხშირად ემთხვევა დანარჩენი ოთხი საფუძვლიდან ერთ-ერთის საფუძველზე დევნას. მაგალითისთვის, აღნიშნული ეხებოდა კაპიტალისტების, მიწათმფლობელების, ჰომოსექსუალების ოჯახებს;

– პოლიტიკური შეხედულება აღნიშნავს ხელისუფლებისთვის მიუღებელ შეხედულებებს, რომლებიც ასევე გულისხმობს სამთავრობო პოლიტიკისა და მეთოდების მიმართ კრიტიკულ მოსაზრებებს. აღნიშნული მოსაზრებები შეიძლება მიეწერებოდეს ცალკეულ ინდივიდებს, განურჩევლად იმისა, რეალურად გამოხატავენ თუ არა ისინი მათ. იმ პირებმა, რომლებიც არ ამჟღავნებენ საკუთარ პოლიტიკურ შეხედულებებს ქვეყნის დატოვებამდე, შეიძლება დააკმაყოფილონ ლტოლვილის სტატუსის მისაღებად დადგენილი პირობები, თუ დაასაბუთებენ, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი, თავიანთი შეხედულებების გამო, სავარაუდოდ, დაექვემდებარებიან დევნას.

კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა

BG	Насилие свързано с полова принадлежност
CS	násilí na základě genderové příslušnosti
DE	geschlechtsspezifische Gewalt
EL	έμφυλη βία
EN	gender-specific violence
ES	Violencia de género
ET	soopõhine vägivald
FI	sukupuolistunut väkivalta / sukupuoliperusteinen väkivalta
FR	violence liée au genre
GA	foréigean dírithe ar inscne
HU	nemhez kötődő erőszak
IT	violenza di genere
LT	smurtas lyties pagrindu
LV	dzimumspecifiska vardarbība
MT	vjolenza speċifika għall-ġeneru
NL	gendergerelateerd geweld
PL	przemoc uwarunkowana płcią
PT	violência específica de género
RO	violență de gen
SK	rodovo podmienené násilie / rodovo motivované násilie
SL	specifično spolno preganjanje
SV	könsspecifikt våld
NO	kjønnsbasert vold (b); kjønnsbasert vald (n)
UK	гендерно обумовлене насильство

განმარტება

სხვადასხვა ფორმით და გზით ზიანის მიყენება და ადამიანის უფლებების დარღვევა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ გენდერს, თუმცა ყოველთვის არ კვალიფიცირდება, როგორც გენდერის საფუძვლით დევნა.

წყარო

Crawley, Heaven: Gender-Related Persecution and Women's Claims to Asylum (ჰევენ ქროლი, „გენდერთან დაკავშირებული დევნა და ქალთა მიერ თავშესაფრის მოთხოვნა“)

სინონიმები

- CBV
- გენდერული ნიშნით ძალადობა
- კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ზიანი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **გენდერული ნიშნით დევნა**

დაკავშირებული ტერმინი

- **ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება**

შენიშვნები

1. გენდერით გამოწვეული ძალადობის სხვადასხვა ფორმა არსებობს, როგორიცაა სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, ოჯახში ძალადობა, იძულებითი აბორტი და სტერილიზაცია და ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებზე წვდომის აკრძალვა, რომელთა უმეტესობა ქალთა მიმართ გამოიყენება ან მათზე განსხვავებულ გავლენას ახდენს.

2. ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) განმარტავს, რომ კონკრეტული გენდერის წინააღმდეგ მიმართული ქმედება შეიძლება გაუტოლდეს დევნას.

3. 'კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა' მიიჩნევა როგორც უფრო სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე ტერმინი, ვიდრე ტერმინი 'გენდერული ნიშნით ძალადობა'.

კონსულტაცია დაბრუნებასთან დაკავშირებით

BG	консултиране относно връщането
CS	návratové poradenství
DE	Rückkehrberatung
EL	παροχή συμβουλών για την επιστροφή / συμβουλευτική υπηρεσία για την επιστροφή / συμβουλές για τον επαναπατρισμό
EN	return counselling
ES	Retorno asistido
ET	tagasipöördumise nõustamine
FI	paluuneuvonta
FR	conseil en matière de retour
GA	comhairleoireacht fillte
HU	visszatérési tanácsadás
IT	counselling sul rimpatrio
LT	konsultavimas grąžinimo klausimais
LV	konsultēšana par atgriešanu / piespiedu izraidīšanu
MT	Servizz ta' pariri għar-ritorn
NL	Terugkeerbegeleiding
PL	doradztwo w zakresie powrotu
PT	aconselhamento na área do retorno
RO	consiliere pentru returnare / consiliere în materie de returnare
SK	návratové poradenstvo
SL	svetovanje pri vračanju
SV	återvändanderådgivning
NO	returrådgivning
UK	консультації з повернення

განმარტება

ინდივიდუალური რჩევები პოტენციური დაბრუნებულებისთვის, მათ შორის, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ინფორმაცია ქვეყნის დატოვების ვალდებულების და, არდატოვების შემთხვევაში, მისი შედეგების შესახებ; ასევე, დაბრუნების მხარდაჭერის სხვადასხვა სქემის, დაბრუნების ქვეყანაში არსებული ვითარებისა და დაბრუნებულებისთვის თავიანთ ქვეყანაში ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლო პერსპექტივების შესახებ, ნებაყოფლობითი დაბრუნების წახალისების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ კონსულტაცია გამგზავრებამდე

დაკავშირებული ტერმინი

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა (AVVR)**

შენიშვნები

1. პოტენციური დაბრუნებული პირები მოიცავს საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს, რომლებსაც უარი ეთქვათ საერთაშორისო დაცვაზე, განმცხადებლებს, რომელთა განცხადებები ჯერ კიდევ განხილვის პროცესშია, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მიგრანტებს და სხვა პირებს, რომლებიც ვალდებული არიან, დაბრუნდნენ თავიანთი წარმოშობის (წარმოშობის) ქვეყანაში ან სხვა მესამე ქვეყანაში.

2. ტერმინი 'კონსულტაცია გამგზავრებამდე' ზოგჯერ გამოიყენება როგორც 'დაბრუნებასთან დაკავშირებით კონსულტაციის' სინონიმი, თუმცა, ასევე გამოიყენება უფრო ფართო კონტექსტში, რომელიც არ უკავშირდება დაბრუნებას.

კორპორაციის ფარგლებში დასაქმებული პირი

BG	вътрешно-корпоративен трансфер
CS	vnitropodnikově převáděný pracovník
DE	unternehmensintern transferierter Arbeitnehmer (EU acquis, AT, LU); innerbetrieblich versetzte Person (DE)
EL	ενδοϋπηρεσιακώς μετατιθέμενος
EN	intra-corporate transferee
ES	trabajador transnacional
ET	ettevõttesisene üleviimine
FI	sisäisen siirron saanut työntekijä / yrityksen tilapäisesti toiseen maahan lähettämä työntekijä
FR	personne faisant l'objet d'un transfert temporaire intragroupe
GA	aistrí ionchorparáideach
HU	vállalaton belül áthelyezett személy
IT	lavoratore straniero distaccato (persona trasferita all'interno della stessa società in un altro paese)
LT	bendrovės viduje perkeliamas asmuo (EU acquis); įmonės viduje perkeltas užsienietis
LV	uzņēmuma ietvaros pārcelts darbinieks / uzņēmuma iekšienē nosūtīts darbinieks
MT	Ħaddiem trasferit minn post għal ieħor tal-istess kumpanija / Trasferiment intra-korporattiv ta' ħaddiem
NL	binnen een onderneming overgeplaatste persoon
PL	pracownik przenoszony wewnątrz przedsiębiorstwa
PT	pessoas transferidas temporariamente pela empresa
RO	transferat intra-corporație
SK	pracovník presunutý v rámci spoločnosti
SL	oseba premeščena znotraj podjetja
SV	företagsinternt förflyttad person
NO	utstasjonert arbeidstaker (b); utstasjonert arbeidstakar (n)
UK	Міжкорпоративно переведений працівник

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაფუძნებული კომპანიიდან (რომელთანაც მას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება) დროებით გადადის ამავე კომპანიის ან კომპანიათა ჯგუფის კუთვნილ, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე დაფუძნებულ მეწარმე სუბიექტში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2014/66/EU (დირექტივა კორპორაციის ფარგლებში დასაქმების ჭრილში ევროკავშირში მესამე ქვეყნის მოქალაქეთა შესვლისა და ბინადრობის შესახებ) მე-3 (b, c) მუხლი

შენიშვნა

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) „გენერალური შეთანხმება მომსახურებით ვაჭრობის შესახებ" (GATS) ითვალისწინებს მომსახურებით ვაჭრობის (მათ შორის, ფიზიკური პირების, როგორც მომსახურების მიმწოდებლების დროებითი გადაადგილების) ლიბერალიზაციას. შეთანხმებით გათვალისწინებული, მომსახურებათა მიწოდების მე-4 რეჟიმი გულისხმობს WTO-ს ერთი წევრი ქვეყნის მოქალაქეთა ყოფნას მეორე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე მომსახურების მიწოდების მიზნით. აღნიშნული არ ვრცელდება პირებზე, რომლებიც ცდილობენ მიიღონ (ევროკავშირის წევრი) ქვეყნის შრომის ბაზარზე წვდომის მოპოვებას და არ ახდენს გავლენას მოქალაქეობის, ბინადრობის ან დასაქმების მუდმივი ნებართვის მოპოვების საკითხზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. WTO-ს ვებგვერდი.

3 კოტონუს შეთანხმება

BG	Споразумението от Котону
CS	Dohoda z Cotonou
DE	Cotonou-Abkommen
EL	Συμφωνία Κοτονού
EN	Cotonou Agreement
ES	Acuerdo de Cotonou
ET	Cotonou leping
FI	Cotonoun sopimus
FR	Accord de Cotonou
GA	Comhaontú Cotonou
HU	Cotonou-i Egyezmény
IT	Accordo di Cotonou
LT	Kotonu susitarimas
LV	Kotonū nolīgums
MT	Ftehim (Il-) ta' Cotonou
NL	Overeenkomst van Cotonou
PL	Porozumienie z Cotonou
PT	Acordo de Cotonou
RO	Acordul Cotonou
SK	Dohoda z Cotonou
SL	Kotonoujski sporazum
SV	Cotonouavtalet
NO	Cotonou-avtalen
UK	Котонуська угода

განმარტება

პარტნიორობის შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის (ACP) ჯგუფის ქვეყნებს და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის, ACP ჯგუფის სახელმწიფოთა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური განვითარების ხელშეწყობისა და დაჩქარების, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილური და დემოკრატიული პოლიტიკური გარემოს სტიმულირების მიზნით.

წყარო

კოტონუს შეთანხმება

სინონიმები

- ACP-EC შეთანხმება პარტნიორობის შესახებ
- კოტონუს შეთანხმება პარტნიორობის შესახებ

დაკავშირებული ტერმინები

- **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**
- **მიგრაციის და განვითარების გლობალური ფორუმი (GFMD)**

შენიშვნები

1. კოტონუს შეთანხმება განვითარებად ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის პარტნიორობის თაობაზე არსებულ შეთანხმებათა შორის ყველაზე ყოვლისმომცველი შეთანხმებაა. ის გაფორმდა 2000 წლის 23 ივნისს კოტონუში (ბენინი), როგორც გლობალური შეთანხმება, რომელმაც შემოიტანა მნიშვნელოვანი ცვლილებები და ამბიციური მიზნები, ამავდროულად, დაეფუძნა აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოების და ევროკომისიის 25-წლიანი თანამშრომლობის ტრადიციას. შეთანხმება გადაისინჯა 2005 წლის 25 ივნისს ლუქსემბურგში.

2. შეთანხმების მე-13 მუხლი ეხება მიგრაციის საკითხს, რომელიც ACP-EC პარტნიორობის ფარგლებში სიღრმისეული დიალოგის საგანია.

3. დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. EuropeAid-ის ვებგვერდი, 'კოტონუს შეთანხმება'.

3 კულტურა

BG	култура
CS	kultura
DE	Kultur
EL	πολιτισμός, κουλτούρα
EN	culture
ES	cultura
ET	kultuur
FI	kulttuuri
FR	culture
GA	cultúr
HU	kultúra
IT	cultura
LT	kultūra
LV	kultūra
MT	Kultura
NL	cultuur
PL	kultura
PT	cultura
RO	cultura
SK	kultúra
SL	kultura
SV	kultur
NO	kultur
UK	культура

განმარტება

საზოგადოების ან სოციალური ჯგუფისთვის დამახასიათებელი სულიერი, მატერიალური, ინტელექტუალური და ემოციური თვისებების ერთობლიობა, რომლებიც, ხელოვნებისა და ლიტერატურის გარდა, მოიცავს ცხოვრების სტილს, ერთად ცხოვრების გზებს, ღირებულებათა სისტემებს, ტრადიციებსა და შეხედულებებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ იუნესკოს საყოველთაო დეკლარაციაში მოცემული განმარტება

დაკავშირებული ტერმინები

- კულტურული მრავალფეროვნება
- კულტურული პლურალიზმი

კულტურათა შუამავალი

BG	посредник за социална (и културна) ориентация
CS	kulturní mediátor
DE	interkultureller Mediator / kultureller Mediator
EL	πολιτιστικός διαμεσολαβητής
EN	cultural mediator
ES	Mediador cultural
ET	kultuurivahendaja
FI	kulttuurivälittäjä / kulttuuritulkki
FR	médiateur culturel
GA	idirghabhálaí cultúrtha
HU	
IT	mediatore culturale
LT	kultūrinis mediatorius
LV	kultūras vidutājs
MT	Medjatur / Bejjien kulturali
NL	Culturele mediator / Intercultureel bemiddelaar
PL	mediator kulturowy
PT	mediador cultural
RO	mediator cultural / mediator comunitar
SK	kultúrny mediátor
SL	kulturni mediator
SV	kulturtolk
NO	kulturtolk
UK	культурний медіатор

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, პროფესიონალი, რომელიც ხელს უწყობს განსხვავებულ ენებზე მოსაუბრე და სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის მქონე ადამიანების კომუნიკაციას (ზეპირი თარგმანის ჩათვლით).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ კულტურათაშორისი შუამავალი

შენიშვნები

1. კულტურათა შუამავლები გვაწვდიან ინფორმაციას განსხვავებულ ღირებულებათა სისტემის, ცხოვრების წესის, შეხედულებებისა და სოციალურ-კულტურული ნორმების შესახებ, რისთვისაც აზუსტებენ მოცემული კულტურებისთვის დამახასიათებელ გამოთქმებსა და ცნებებს, რის გარეშეც შეიძლება გაუგებრობა წარმოიშვას.

2. კულტურათა შუამავლობა არ არის ოფიციალურად რეგისტრირებული პროფესია და, ამდენად, კულტურათა შუამავლების როლი არ არის მკაფიოდ განსაზღვრული და აღიარებული. შესაბამისად, აღნიშნული საქმიანობის განმახორციელებლები არ ხელმძღვანელობენ ქცევის სტანდარტიზებული კოდექსით და ის არ რეგულირდება კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩოთი.

3. ტერმინები 'კულტურათა შუამავალი' (cultural mediator) და 'კულტურათაშორისი შუამავალი' (intercultural mediator) სხვადასხვაგვარად გამოიყენება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და მათ მიმართ მოქმედებს განსხვავებული ნორმები.

4. კულტურათა შუამავალი არ გულისხმობს ტერმინს 'თარჯიმანი' და მათი გაიგივება უმართებულოა, რადგან კულტურათაშორისი შუამავლობა ინფორმაციის გამგზავნსა და მიმღებ პირებს შორის კომუნიკაციის უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ფორმაა, ვიდრე თარგმანი. დამატებითი ინფორმაციისთვის ასევე იხ. ტერმინის 'თარჯიმანი' განმარტება.

კულტურათაშორისი დიალოგი

BG	междукултурен диалог
CS	mezikulturní dialog
DE	interkultureller Dialog
EL	διαπολιτισμικός διάλογος
EN	intercultural dialogue
ES	diálogo intercultural
ET	kultuuridevaheline dialoog
FI	kulttuurienvälinen vuoropuhelu
FR	dialogue interculturel
GA	idirphlé idirchultúrtha
HU	interkulturális párbeszéd
IT	dialogo interculturale
LT	tarpkultūrinis dialogas
LV	starpkultūru dialogs
MT	Djalogu interkulturali
NL	interculturele dialoog
PL	dialog międzykulturowy
PT	diálogo intercultural
RO	dialog intercultural
SK	medzikultúrny dialóg / interkultúrny dialóg
SL	medkulturni dialog
SV	interkulturell dialog
NO	interkulturell dialog
UK	міжкультурний діалог

განმარტება

სხვადასხვა ეთნიკური, კულტურული, რელიგიური და ენობრივი კუთვნილებისა და მემკვიდრეობის მქონე ადამიანებსა და ჯგუფებს შორის მოსაზრებების გაცვლა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის გზით.

წყარო

ევროპის საბჭო: თეთრი წიგნი კულტურათაშორისი დიალოგის შესახებ, პარაგრაფი 1.4, 2008 წლის მაისი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ კულტურათა შუამავალი

დაკავშირებული ტერმინი

★ კულტურული მრავალფეროვნება

შენიშვნები

1. კულტურათაშორისი დიალოგი ევროკავშირის და მისი ინსტიტუტების მრავალწლიანი ყურადღების საგანია. ევროპარლამენტმა და ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა 2008 წელი „კულტურათშორისი დიალოგის ევროპულ წლად“ გამოაცხადეს, რაც მიზნად ისახავდა ევროპის ხალხების ინფორმირებულობის ზრდას მრავალფეროვნებისა და კულტურათა შორის დიალოგის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.
2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. „კულტურათაშორისი დიალოგის ევროპული წლის შეფასება“, 2008 წ. (COM/2010/03561) საბოლოო რედაქცია.

3 კულტურული მრავალფეროვნება

BG	културно многообразие
CS	kulturní diverzita
DE	kulturelle Vielfalt
EL	πολιτιστική ποικιλομορφία
EN	cultural diversity
ES	diversidad cultural
ET	kultuuriline mitmekesisus
FI	kulttuurinen moninaisuus / diversitetti
FR	diversité culturelle
GA	ilchineálacht chultúrtha
HU	kulturális sokféleség
IT	diversità culturale
LT	kultūrinė įvairovė
LV	kultūras daudzveidība
MT	Diversità kulturali
NL	culturele diversiteit
PL	różnorodność kulturowa
PT	diversidade cultural
RO	diversitate culturală
SK	kultúrna rozmanitosť / kultúrna diverzita
SL	kulturna raznolikost
SV	kulturell mångfald
NO	kulturelt mangfold (b); kulturelt mangfald (n)
UK	культурне різноманіття

განმარტება

კულტურული მრავალფეროვნების ფორმები საზოგადოებაში, რომელიც შედგება განსხვავებული კულტურული წარმომავლობის მქონე ადამიანთა ჯგუფებისგან.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინი

★ კულტურული პლურალიზმი

შენიშვნები

1. კულტურული მრავალფეროვნების შესახებ იუნესკოს დეკლარაციაში ასახულია კულტურის მრავალფეროვანი და პლურალისტური აღქმა და კულტურული მრავალფეროვნება 1-ელ მუხლში შემდეგნაირად არის განსაზღვრული: „კულტურის მრავალფეროვანი ფორმები დროსა და სივრცეში, რომლებიც ვლინდება კაცობრიობის შემადგენელი ჯგუფებისა და საზოგადოებების უნიკალურობასა და მრავალგვარობაში და წარმოადგენს ურთიერთგაცვლის, ნოვატორობისა და შემოქმედების წყაროს“. იუნესკოს დეკლარაციაში შეთანხმებული მასშტაბი და განმარტება ნაწილობრივ შენარჩუნდა იუნესკოს მომდევნო, 2005 წლის, სამართლებრივად სავალდებულო კონვენციაში კულტურული მრავალფეროვნების შესახებ (იუნესკოს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ), რომელიც წარმოადგენს საკვანძო დოკუმენტს კულტურის თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და რომელშიც განსაზღვრულია საერთო წესები და პრინციპები კულტურულ მრავალფეროვნებასთან მიმართებით გლობალურ დონეზე.

2. 2006 წლის 18 დეკემბერს ევროგაერთიანებამ მოახდინა იუნესკოს კონვენციის რატიფიცირება. კულტურული მრავალფეროვნების დაცვა და ხელშეწყობა ევროგაერთიანების ფუძემდებელ პრინციპებს შორისაა: ისინი გარანტირებულია საერთაშორისო ხელშეკრულების 151-ე მუხლში და ევროკავშირის ძირითადი უფლებების ქარტიის 22.3-ე მუხლში.

კულტურული მრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკა/ მულტიკულტურალიზმი

BG	мултикултурализъм
CS	multikulturalismus
DE	Multikulturalismus
EL	πολυπολιτισμικότητα
EN	multiculturalism
ES	multiculturalismo
ET	multikultuursus
FI	monikulttuurisuus
FR	multiculturalisme
GA	ilchultúrthacht
HU	multikulturalizmus
IT	multiculturalismo
LT	multikultūriškumas
LV	multikulturālisms
MT	Multikulturaliżmu
NL	multiculturalisme
PL	wielokulturowość
PT	multiculturalismo
RO	multiculturalism
SK	multikulturalizmus
SL	multikulturalizem
SV	multikulturalism
NO	multikulturalisme
UK	мультикультуралізм

განმარტება

პოლიტიკა, რომელიც იცავს კულტურული მრავალფეროვნების პრინციპს და მხარს უჭერს სხვადასხვა კულტურული და ეთნიკური ჯგუფის უფლებას, შეინარჩუნონ გამორჩეული კულტურული იდენტობა, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული ჯგუფების წევრთა თანაბარ წვდომას საზოგადოებაზე, მოიცავს კონსტიტუციურ პრინციპებსა და საზოგადოებაში მიღებულ საერთო ღირებულებებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა საა-გენტოს (FRA) რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტო-რინგის ევროპული ცენტრის (EUMC) ლექსიკონი (ონ-ლაინ აღარ არის ხელმისაწვდომი).

დაკავშირებული ტერმინი

★ კულტურული მრავალფეროვნება

შენიშვნები

1. ტერმინი 'მულტიკულტურალიზმი' პირველად გამოყენებულ იქნა 1957 წელს შვეიცარიის საზოგადოებრივი მოწყობის აღსანიშნავად, თუმცა ის ფართოდ დამკვიდრდა კანადაში 1960-იანი წლების ბოლოს. შემდგომ ტერმინი სწრაფად გავრცელდა სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში.

2. მულტიკულტურალიზმის საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონტექსტში და გულისხმობდეს დემოგრაფიულ ფაქტებს, ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ იდეებსა და ღირებულებებს.

3. კულტურული მრავალფეროვნების დაცვის პოლიტიკა (მულტიკულტურალიზმი) აღიარებს კულტურულ სხვადასხვაობებს და იცავს განსხვავებულ კულტურათა თანაარსებობის უფლებას და შესაძლებლობებს, აუცილებელი ურთიერთშეხებისა და თანამონაწილეობის გარეშე.

4. მულტიკულტურალიზმის მოდელი ხშირად ხდება კრიტიკის საგანი. მულტიკულტურალიზმის კრიტიკოსთა ერთი ნაწილი ეჭვქვეშ აყენებს ერთ სახელმწიფოში განსხვავებულ ეთნიკურ კულტურათა არსებობის მხარდაჭერის მართებულობას, მხარდაჭერას, მეორენი კი თვლიან, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკამ ვერ შეძლო სხვადასხვა კულტურის ჩართვა საზოგადოებაში, არამედ, პირიქით, გამოიწვია საზოგადოების დაყოფა განცალკევებული სეგრეგირებული ჯგუფების ლეგიტიმაციის შედეგად, რომლებიც განკერძოვდნენ და კიდევ უფრო გამოკვეთეს თავიანთი განსხვავებულობა.

3 კულტურული პლურალიზმი

BG	културен плурализъм
CS	kulturní pluralismus
DE	kultureller Pluralismus
EL	πολιτιστικός πλουραλισμός
EN	cultural pluralism
ES	pluralismo cultural
ET	kultuuride paljusus
FI	kulttuurinen monimuotoisuus / pluralismi
FR	pluralisme culturel
GA	iolrachas cultúrtha
HU	kulturális sokszínűség
IT	pluralismo culturale
LT	kultūrinis pliuralizmas
LV	kultūras plurālisms
MT	Pluraliżmu kulturali
NL	cultureel pluralisme
PL	pluralizm kulturowy
PT	pluralismo cultural
RO	pluralism cultural / multiculturalitate
SK	kultúrny pluralizmus
SL	kulturni pluralizem
SV	kulturell pluralism
NO	kulturell pluralisme
UK	культурний плюралізм

განმარტება

პოლიტიკა, რომლის მიზანია უზრუნველყოს პლურალისტური, მრავალგვაროვანი და დინამიკური კულტურული იდენტობის მქონე ადამიანებსა და ჯგუფებს შორის ჰარმონიული ურთიერთქმედება და ერთად ცხოვრებისთვის მზადყოფნა.

წყარო

კულტურული მრავალფეროვნების შესახებ იუნესკოს საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- კულტურა
- კულტურული მრავალფეროვნება

შენიშვნები

1. იუნესკოს განმარტების თანახმად, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ყველა მოქალაქის ჩართვისა და მონაწილეობისკენ მიმართული პოლიტიკა სოციალური შეკავშირებულობის, სამოქალაქო საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობისა და მშვიდობის გარანტიას წარმოადგენს. ამგვარი განსაზღვრების ჭრილში, კულტურული პლურალიზმი კულტურული მრავალფეროვნების ცნებას პოლიტიკურ დატვირთვას სძენს.

2. იხ. ასევე იუნესკოს კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ, 2005 წ.

ლგბ(ტი)

BG	ЛГБТ
CS	LGB(TI)
DE	LGB(TI)
EL	ΛΟΑΤ(ΚΙ)
EN	LGB(TI)
ES	LGTB (Lesbianas, gais, transexuales y bisexuales)
ET	LGB(TI)
FI	HLB(TI)
FR	LGB(TI)
GA	LADTI/(daoine) Leispiacha, Aeracha, Déghnéasacha, Trasinscneacha agus Idirghnéasacha
HU	LGB(TI)-Leszbikus, Meleg,Biszexuális (Transznemű,Interszexuális)
IT	LGB(TI)
LT	LGB(TI)
LV	LGB(TI)
MT	LGB(TI)
NL	LGB(TI)
PL	LGB(TI)
PT	LGB(TI)
RO	LGB(TI)
SK	lesbické, homosexuálne, bisexuálne, (transrodové a intersexuálne) osoby
SL	LGB(TI) Lezbijke, geji, bi- in transseksualci
SV	HBTQI (homosexuella, bisexuella, trans- och queerpersoner och intersexuella)
NO	LGB(TI)
UK	ЛГБ(ТІ)

განმარტება

ლესბოსელის, გეის (ჰომოსექსუალის), ბისექსუალის, (ტრანსგენდერის და ინტერსექსუალის) აკრონიმი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EASO: წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში ლესბოსელთა, გეი (ჰომოსექსუალთა) და ბისექსუალთა მდგომარეობის შესწავლა, 2015 წ.

სინონიმები

- ლგბტ
- LGBT
- LGBTQIA

დაკავშირებული ტერმინები

- **გენდერული ნიშნით დევნა**
- **გენდერული იდენტობა**
- **კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა**
- **სექსუალური ორიენტაცია**
- **გარკვეული სოციალური ჯგუფი**

შენიშვნები

1. განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით ერთიანი ან სტანდარტიზებული ტერმინოლოგია არ არსებობს. ლგბ(ტი)-სთან დაკავშირებული ტერმინები და განმარტებები მნიშვნელოვნად განსხვავდება სუბკულტურებსა და ქვეყნებში/რეგიონებში და შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.

2. ტერმინი ლექსიკონს დაემატა იმის გამო, რომ ლგბ(ტი) პირები შესაძლოა იყვნენ დევნის სამიზნე და სერიოზული ზიანისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში, რაც, შესაბამისად, შეიძლება გახდეს მათ მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის საფუძველი.

3. (ტი) ფრჩხილებშია ჩასმული, ვინაიდან ტრანსგენდერობის ან ინტერგენდერობის მიზეზით საერთაშორისო დაცვის მომთხოვნ პირთა რაოდენობა უმნიშვნელოა, ლესბოსელებთან, ჰომო- ან ბისექსუალებთან შედარებით.

4. მაკვალიფიცირებელი დირექტივის (დირექტივა 2011/95/EU) მე-10 მუხლში აღნიშნულია, რომ სექსუალური ორიენტაციის ასპექტს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, ვინაიდან შეიძლება ის უკავშირდებოდეს დევნის კონვენციით განსაზღვრული ხუთი საფუძვლიდან ერთ-ერთს.

ლეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება

BG	незаконно наемане на законно пребиваващ гражданин на трета страна
CS	nelegální zaměstnávání oprávněně pobývajícího státního příslušníka třetí země
DE	illegale Beschäftigung eines Drittstaatsangehörigen mit rechtmäßigem Aufenthalt
EL	παράνομη απασχόληση νομίμως διαμένοντος υπηκόου τρίτης χώρας
EN	illegal employment of a legally staying third-country national
ES	empleo ilegal de nacional de tercer país en situación de residencia legal
ET	seaduslikult riigis viibiva kolmanda riigi kodaniku ebaseaduslik töötamine
FI	laillisesti oleskelevan kolmannen maan kansalaisen laiton työnteko
FR	emploi illégal d'un ressortissant de pays tiers en séjour régulier
GA	fostaíocht neamhdhleathach náisiúnaigh tríú tír atá i láthair go neamhdhleathach
HU	jogszerűen / legálisan tartózkodó harmadik országbeli állampolgárok illegális foglalkoztatása
IT	lavoro illegale di un cittadino di un paese terzo regolarmente soggiornante
LT	teisėtai šalyje esančio trečiosios šalies piliečio nelegalus darbas
LV	trešās valsts pilsoņa, kurš likumīgi uzturas valstī, nelikumīga nodarbinātība
MT	Impieg illegali ta' ċittadin(a) minn pajjiż terz residenti b'mod irregolari
NL	illegale tewerkstelling van legaal verblijvende derdelanders
PL	nielegalne zatrudnienie obywatela państwa trzeciego przebywającego legalnie
PT	emprego ilegal de nacional de estado terceiro em situação regular
RO	emprego ilegal de nacional de estado terceiro em situação regular
SK	nelegálne zamestnávanie oprávnene sa zdržiavajúcich štátnych príslušníkov tretích krajín
SL	nezakonita zaposlitev državljana tretje države, ki prebiva zakonito
SV	olaglig anställning av tredjelandsmedborgare som vistas lagligt
NO	ulovlig sysselsetting av tredjestatsborgere med lovlig opphold (b); ulovleg sysselsetjing av tredjestatsborgarar med lovleg opphald (n)
UK	нелегальне працевлаштування громадянина третьої країни, який перебуває в країні легально

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ლეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის დასაქმება, რომელიც მუშაობს ბინადრობის ნებართვის პირობების დარღვევით ან შრომის ნებართვის გარეშე (რომლებიც ევროკავშირის კონკრეტული წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით რეგულირდება).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მე-2(d) მუხლში მოცემული ტერმინის 'არალეგალური დასაქმება' განმარტება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **არალეგალური დასაქმება**

დაკავშირებული ტერმინი

★ **არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება**

ლეგალური გზა

BG	законен път
CS	legální cesty
DE	legaler Schutzweg (EU acquis); legaler Weg
EL	νόμιμη οδός
EN	legal pathway
ES	n/a
ET	seaduslik rändetee
FI	laillinen maahantuloväylä
FR	voie d'entrée légale (acquis UE, BE, LU); voie d'accès légale (FR)
GA	conair dhlíthiúil
HU	legális útvonal
IT	percorso legale
LT	teisėtas atvykimo būdas
LV	likumīgs ceļš / likumīga piekļuve
MT	Mogħdija legali
NL	legale migratiemogelijkheid
PL	legalna ścieżka
PT	vias legais
RO	cale legală de migrație
SK	možnosť legálnej migrácie
SL	zakonita pot
SV	laglig migrationsväg
NO	lovlige måter (veier) (b); lovlege måtar (n)
UK	легальний шлях

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ნებისმიერი სამართლებრივი მექანიზმი და პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელს ხდის კანონიერ მიგრაციას მესამე ქვეყნიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში როგორც საერთაშორისო და ჰუმანიტარული დაცვის, ასევე შრომის ბაზრის საჭიროებების გამო (შრომითი მიგრაცია, ოჯახის გაერთიანება, სტუდენტთა მიგრაცია).

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკომისია: კომუნიკე ევროპაში მიგრაციის ლეგალური გზების ხელშეწყობის შესახებ, COM(2018) 635 საბოლოო რედაქცია

ევროპარლამენტის „საკანონმდებლო მატარებელი“ 2016 წლის დეკემბერი: „მიგრაციის ახალი პოლიტიკისკენ“

სინონიმი

★ კანონიერი გზა

დაკავშირებული ტერმინი

★ **მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზა**

შენიშვნები

1. ჰუმანიტარული თუ შრომის ბაზრის საჭიროებებით განპირობებული, ორგანიზებული ლეგალური მიგრაცია მიგრაციის მართვის დაბალანსებული და ყოვლისმომცველი პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია და საკვანძო მნიშვნელობის მქონეა კანონიერი საფუძვლის გარეშე და საფრთხისშემცველი მიგრაციის გზების თავიდან ასარიდებლად.

2. 2015 წლის მაისში მიღებული მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი ხაზგასმით აღნიშნავს ლეგალური გზების ხელშეწყობის მიზნით მდგრადი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროაქტიული პოლიტიკის წარმოების მნიშვნელობას, რომელიც შემდეგი ორი მიმართულებით უნდა განხორციელდეს:

– საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირებისთვის ევროპაში მიგრაციის უსაფრთხო და ლეგალური გზების უზრუნველყოფა მათი ევროკავშირში განსახლების გზით, რომელიც, ამავდროულად, ხელს უწყობს საზღვარზე მიგრანტების უკანონოდ გადამყვანთა და ტრეფიკინგის ჩამდენ პირთა დანაშაულებრივ ქსელებთან ბრძოლას;

– ლეგალური მიგრაციის ხელშეწყობა, რომელსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ევროკავშირის ეკონომიკური განვითარების პროცესში საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში და პასუხობს ევროკავშირში სამუშაო ძალის დეფიციტთან დაკავშირებულ გამოწვევებს.

3. ევროკავშირი განსაზღვრავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა დაშვების ერთიან პირობებს, პროცედურებს და განმცხადებელთა უფლებებს, ხოლო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები თავად წყვეტენ, თუ მესამე ქვეყნ(ებ)ის რამდენ მოქალაქეს დაუშვებენ დასაქმების, სწავლისა და კვლევითი საქმიანობის მიზნით თავიანთ ქვეყნებში.

ლეგალური გზა [გაგრძ.]

4. ლეგალური გზები და მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზები განსხვავებული მექანიზმებია. მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზები უნდა იქნეს განხილული არა როგორც ლტოლვილებისთვის საერთაშორისო დაცვის რეჟიმით გათვალისწინებული დაცვის ჩამნაცვლებელი, არამედ მისი „შემავსებელი“ მექანიზმი, რაც, ამავდროულად, წარმოადგენს გლობალური სოლიდარობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან გამოხატულებას და თანაზიარ პასუხისმგებლობათა სამართლიანად განაწილების ერთ-ერთ საშუალებას. დამხმარე გზების განხორციელებისას უზრუნველყოფილი უნდა იყოს ლტოლვილთა უფლებების დაცვა და საერთაშორისო დაცვის უწყვეტი საჭიროებების დაკმაყოფილება.

5. ლეგალური გზების ცნება გამოიყენება ევროკავშირის მასშტაბით და მოიცავს როგორც საერთაშორისო დაცვას, ასევე სხვა სახის ლეგალურ მიგრაციას.

ლეგალური მიგრაცია

BG	законна миграция
CS	legální migrace
DE	legale Migration
EL	νόμιμη μετανάστευση
EN	legal migration
ES	inmigración legal
ET	seaduslik ränne
FI	laillinen maahanmuutto
FR	migration légale
GA	imirce dhleathach
HU	legális migráció
IT	migrazione autorizzata
LT	teisėta migracija
LV	likumīga migrācija
MT	Migrazzjoni legali
NL	legale migratie / reguliere migratie
PL	legalna migracja
PT	migração legal
RO	migrație legală
SK	legálna migrácia
SL	zakonita migracija
SV	laglig migration
NO	lovlig migrasjon) (b); lovleg migrasjon (n)
UK	легальна міграція

განმარტება

მიგრაცია მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ კანონიერი მიგრაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინი

★ **კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია**

ლეგალური შესვლა

BG	законно влизане
CS	oprávněný vstup
DE	legale Einreise
EL	νόμιμη είσοδος
EN	legal entry
ES	entrada legal
ET	seaduslik (riiki) sisenemine
FI	laillinen maahantulo
FR	entrée légale
GA	iontráil dhleathach
HU	legális beutazás / belépés
IT	ingresso autorizzato
LT	teisėtas atvykimas
LV	likumīga ieceļošana
MT	Dħul legali
NL	legale binnenkomst / regelmatige binnenkomst
PL	legalny wjazd
PT	entrada legal
RO	intrare legală
SK	oprávnený vstup / legálny vstup
SL	zakonit vstop
SV	laglig inresa
NO	lovlig innreise (b); lovleg innreise (n)
UK	легальний в'їзд

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, უცხოელის უცხო ქვეყანაში შესვლა მიმღებ სახელმწიფოში ლეგალური შესვლისთვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

შენგენის კონტექსტში და, ზოგადად, 180-დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით ყოფნის მიზნით, მესამე ქვეყნის მოქალაქის შესვლა შენგენის წევრ სახელმწიფოში ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-5 მუხლის შესაბამისად.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს კონვენციასა და მის ოქმებში მოცემული ტერმინის ‘არალეგალური შესვლა’ განმარტება
შენგენის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-5 მუხლი

სინონიმი

- კანონიერი შესვლა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **ტერიტორიაზე დაშვება**

დაკავშირებული ტერმინები

- **სასაზღვრო კონტროლი**
- **ევროკავშირის გარე საზღვარი**
- **ევროკავშირის შიდა საზღვარი**
- **კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა**
- **უარი შესვლაზე**
- **შენგენის სასაზღვრო კოდექსი**

ლისაბონის ხელშეკრულება

BG	Договорът от Лисабон
CS	Lisabonská smlouva
DE	Vertrag von Lissabon
EL	Η Συνθήκη της Λισαβόνας
EN	Lisbon Treaty
ES	Tratado de Lisboa
ET	Lissaboni leping
FI	Lissabonin sopimus
FR	Traité de Lisbonne
GA	Conradh Liospóin
HU	Lisszaboni Szerződés
IT	Trattato di Lisbona
LT	Lisabonos sutartis
LV	Lisabonas līgums
MT	Trattat (It-) ta' Lisbona
NL	Verdrag van Lissabon
PL	Traktat Lizboński
PT	Tratado de Lisboa
RO	Tratatul de la Lisabona
SK	Lisabonská zmluva
SL	Lizbonska pogodba
SV	Lissabonfördraget
NO	Lisboa-traktaten
UK	Лісабонський договір

განმარტება

საერთაშორისო ხელშეკრულება – თავდაპირველად ცნობილი როგორც „რეფორმის ხელშეკრულება“, რომლითაც ცვლილებები შევიდა ევროკავშირის სადამფუძნებლო ორ ძირითად ხელშეკრულებაში და რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირის ეფექტიანობისა და დემოკრატიული ლეგიტიმაციის ზრდას და თანმიმდევრული ქმედებების განხორციელებას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ლისაბონის ხელშეკრულების ვებგვერდი

სინონიმი

★ რეფორმის ხელშეკრულება

დაკავშირებული ტერმინი

★ **თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)**

შენიშვნები

1. ლისაბონის ხელშეკრულებას ევროკავშირის 27-მა წევრმა სახელმწიფომ მოაწერა ხელი 2007 წლის 13 დეკემბერს, ხოლო ის ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს. ხელშეკრულებით ცვლილებები შევიდა მაასტრიხტის ხელშეკრულებაში (1993 წ.), რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულება, და რომის ხელშეკრულებაში (1952 წ.), რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ევროპული ეკონომიკური გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულება (TEEC). ლისაბონში რომის ხელშეკრულებას სახელი შეეცვალა და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულება (TFEU) ეწოდა.

2. ძირეული ცვლილებები მოიცავდა შემდეგს: მინისტრთა საბჭოს კომპეტენციას მიკუთვნებული პოლიტიკის სულ მცირე 45 მიმართულებაზე შეიცვალა გადაწყვეტილების მიღების წესი - ერთხმივობის პრინციპი შეიცვალა კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების პრინციპით; ასევე, შეიცვალა აღნიშნული კვალიფიციური უმრავლესობის დაანაგარიშების წესი (შემოღებულ იქნა ე.წ. ორმაგი უმრავლესობის პრინციპი); გაძლიერდა ევროპარლამენტის უფლებამოსილება, რომელიც ევროკავშირის მინისტრთა საბჭოსთან ერთად წარმოადგენს ორპალატიან საკანონმდებლო ორგანოს, სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში. განხორციელდა ევროკავშირის სამართალსუბიექტობის კონსოლიდაცია და შემოღებულ იქნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტისა და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის გრძელვადიანი თანამდებობები. ხელშეკრულებამ ასევე მბოჭავი გახადა ევროკავშირის „უფლებათა ბილი“ - ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია.

3. ლისაბონის ხელშეკრულებამ გააფართოვა ევროკავშირის უფლებამოსილებები თავშესაფრის საკითხებში. TFEU-ს 78-ე მუხლის თანახმად, თავშესაფრის ერთიანი პოლიტიკა განისაზღვრება სტანდარტული საკანონმდებლო პროცედურის ფარგლებში. ხელშეკრულება, წინამორბედი ხელშეკრულებებისგან განსხვავებით, აღარ ითვალისწინებს მინიმალურ სტანდარტებს და ამდენად, ემსახურება ერთიანი სისტემის შექმნის მიზანს. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) სამართლებრივ საფუძველს.

ლტოლვილთა სამართალი

BG	бежанско право
CS	uprchlické právo
DE	Flüchtlingsrecht
EL	Δίκαιο Προσφύγων/ Προσφυγικό Δίκαιο
EN	refugee law
ES	legislación de asilo
ET	varjupaigaõigus
FI	pakolaisoikeus
FR	droit des réfugiés
GA	dlíthe um dhídeanaithe
HU	menekültjog
IT	legislazione sull'asilo
LT	pabėgėlių teisė
LV	bēgļu tiesības
MT	Liġi / Att dwar ir-rifuġjati
NL	vluchtelingenrecht
PL	prawo uchodźcze
PT	legislação de asilo e proteção internacional
RO	legislația cu privire la refugiați
SK	utečenecké právo
SL	begunsko pravo
SV	flyktingrätt
NO	flyktningrett
UK	біженське право

განმარტება

საერთაშორისო სახელშეკრულებო და ჩვეულებითი სამართლის, ევროკავშირის სამართლის ნორმები და სხვა ინსტრუმენტები, რომლებიც ადგენს ლტოლვილთა დაცვის სტანდარტებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

★ ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **ადამიანის უფლებათა სამართალი**

შენიშვნა

ლტოლვილთა სამართლის საფუძველია ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი.

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი

BG	Женевска конвенция за статута на бежанците от 1951 г. и Протокол от 1967 г.
CS	Ženevská úmluva o uprchlících a Protokol
DE	Genfer Flüchtlingskonvention und Protokoll / Übereinkommen über die Rechtsstellung von Flüchtlingen / Flüchtlingsabkommen
EL	Σύμβαση της Γενεύης και Πρωτόκολλο
EN	Geneva Refugee Convention and Protocol
ES	Convenio de Ginebra de 1951 y Protocolo de 1967
ET	Genfi pagulasseisundi konventsioon ja protokoll
FI	Geneven pakolaissopimus ja lisäpöytäkirja
FR	Convention de Genève et Protocole relatifs au statut des réfugiés
GA	Coinbhinsiún na Ginéive (1951) agus Prótacal na Ginéive (1967)
HU	a menekültek jogállásáról szóló Genfi Egyezmény és Jegyzőkön
IT	Convenzione di Ginevra e Protocollo di New York sullo status dei Rifugiati
LT	Ženevos konvencija dėl pabėgėlių statuso ir protokolas
LV	Ženēvas Konvencija par bēgļa statusu un Protokols par bēgļu statusu
MT	Konvenzjoni ta' Ġinevra, u Protokol, dwar ir-Refuġjati
NL	Geneefse Conventie en Protocol / Verdrag van Genève en Protocol / Vluchtelingenverdrag
PL	Konwencja Genewska z 1951 r. i Protokół z 1967 r.
PT	Convenção de Genebra e Protocolo
RO	Convenția de la Geneva din 1951 și Protocolul de Implementare din 1967
SK	Ženevský dohovor a protokol / Dohovor o právnom postavení utečencov a Newyorský protokol
SL	Ženevska konvencija o beguncih in Protokol
SV	Genèvekonventionen om flyktingars rättsliga ställning och dess tilläggsprotokoll
NO	Geneve konvensjonen og protokollen om flyktninger / Genevekonvensjonen og Geneveprotokollen
UK	Женевська конвенція про статус біженців і протокол до неї

განმარტება

გაეროს მრავალწევრიანი ხელშეკრულება - ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ არის ლტოლვილი, მათ უფლებებს და მათ მიმართ სახელმწიფოთა სამართლებრივ ვალდებულებებს.

წყარო

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი

სინონიმები

- ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული კონვენცია
- 1951 წლის ჟენევის კონვენცია და 1967 წლის ოქმი
- ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ნიუ-იორკის ოქმი
- ლტოლვილთა შესახებ 1951 წლის კონვენცია
- ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული 1951 წლის კონვენცია და ლტოლვილთა სტატუსთან დაკავშირებული 1967 წლის ოქმი
- ჟენევის 1951 წლის კონვენცია
- ლტოლვილთა კონვენცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ლტოლვილთა სამართალი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **კონვენციით განსაზღვრული დევნის საფუძვლები**
- **ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე**
- **ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

- **საერთაშორისო დაცვა**
- **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)**

ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი [გაგრძ.]

შენიშვნები

1. ლტოლვილთა შესახებ 1951 წლის კონვენცია მიღებული იქნა გაეროს სპეციალურ კონფერენციაზე 1951 წლის 28 ივლისს და მოიცავს ლტოლვილთა საკითხებზე ამ პერიოდამდე არსებულ საერთაშორისო ინსტრუმენტებს. კონვენცია ლტოლვილთა უფლებების შესახებ ყველაზე ყოვლისმომცველი სამართლებრივი დოკუმენტია; ლტოლვილთა საკითხებზე მანამდე არსებული საერთაშორისო ინსტრუმენტებისგან განსხვავებით, რომლებიც ლტოლვილთა კონკრეტულ ჯგუფებზე ვრცელდებოდა, 1951 წლის კონვენციის 1-ელი მუხლით დამკვიდრდა ტერმინის 'ლტოლვილი' ერთიანი, უნიფიცირებული განმარტება.

2. კონვენცია აწესებს ლტოლვილთა სტატუსის და უფლებების მარეგულირებელ სამართლებრივ ჩარჩოს, რომელიც ეფუძნება რიგ ძირითად პრინციპებს, როგორებიცაა დიკრიმინაციის აკრძალვა, დასჯის დაუშვებლობა და არგაძევება.

3. ნიუ-იორკის 1967 წლის ოქმმა გააუქმა კონვენციით დაწესებული გეოგრაფიული და დროითი შეზღუდვები.

ლტოლვილი

BG	бежанец
CS	uprchlík
DE	Flüchtling / Geflüchteter
EL	πρόσφυγας
EN	refugee
ES	refugiado
ET	pagulane
FI	pakolainen
FR	réfugié
GA	dídeanaí
HU	menekült
IT	rifugiato
LT	pabėgėlis
LV	bēglis
MT	Rifuġjat(a)
NL	vluchteling
PL	uchodźca
PT	refugiado
RO	refugiat
SK	utečenec (EU acquis); azylant
SL	begunec
SV	flykting
NO	flyktning
UK	біженець

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის მიზეზით დევნის საფუძვლიანი შიშის გამო იმყოფება მისი მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით; ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც ზემოთ აღნიშნული მიზეზებით იმყოფება ადრინდელი (ჩვეული) საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს ამ ქვეყანაში დაბრუნება.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც რასის, რელიგიის, ეროვნების, პოლიტიკური შეხედულების ან გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის მიზეზით დევნის საფუძვლიანი შიშის გამო იმყოფება მისი მოქალაქეობის ქვეყნის ფარგლებს გარეთ და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით; ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იმყოფება ადრინდელი (ჩვეული) საცხოვრებელი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმავე მიზეზებით, რომლებიც აღნიშნულია ზემოთ, და არ შეუძლია ან, ამგვარი შიშის გამო, არ სურს ამ ქვეყანაში დაბრუნება, და რომელზეც არ ვრცელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-12 მუხლი ('გამორიცხვა').

წყაროები

გლობალური კონტექსტი: ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი(A) მუხლი
ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **იძულებითი მიგრანტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე**
- ★ **პრიმა ფაციე (prima facie/"ერთი შეხედვით") ლტოლვილი**
- ★ **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელი**
- ★ **თავშესაფრის მაძიებელი**
- ★ **გამორიცხვის დებულება**

შენიშვნა

მაშინ, როდესაც გამორიცხვის დებულებები წარმოადგენს ტერმინის 'ლტოლვილი' ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) დადგენილი განმარტების განუყოფელ ნაწილს, აღნიშნული დებულებები გათვალისწინებულია ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელ (D, E და F) მუხლში (იხ. ასევე 'გამორიცხვის დებულების' განმარტება).

ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე

BG	бежанец съгласно Конвенцията за статута на бежанците от 1951 г.
CS	azylant / uprchlík podle Úmluvy
DE	Konventionsflüchtling
EL	πρόσφυγας σύμφωνα με τη Σύμβαση της Γενεύης
EN	Convention refugee
ES	refugiado (en términos de la Convención de Ginebra)
ET	konventsioonipagulane
FI	Geneven yleissopimuksen mukainen pakolainen
FR	réfugié au sens de la Convention de Genève
GA	dídeanaí de réir Choinbhinsiún na Ginéive
HU	konvenciós menekült
IT	rifugiato ex Convenzione di Ginevra
LT	pabėgėlis pagal Konvenciją
LV	bēglis Ženēvas konvencijas izpratnē
MT	Rifuġjat(a) skont il-Konvenzjoni ta' Ġinevra
NL	verdragsvluchteling
PL	uchodźca konwencyjny
PT	refugiado (na aceção da Convenção de Genebra de 1951 relativa aos refugiados)
RO	refugiat în baza convenției de la Geneva
SK	utečenec podľa Ženevského dohovoru
SL	konvencijski begunec / begunec po Ženevski konvenciji
SV	konventionsflykting
NO	konvensjonsflyktning
UK	Біженець за умовами Конвенції

განმარტება

პირი, რომელიც სახელმწიფოების მიერ აღიარებულია, როგორც ლტოლვილი, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელ(A) მუხლში მოყვანილი კრიტერიუმების შესაბამისად და რომელსაც უფლება აქვს, ისარგებლოს აღნიშნული კონვენციით გათვალისწინებული მთელი რიგი უფლებებით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

★ აღიარებული ლტოლვილი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **მანდატით განსაზღვრული ლტოლვილი**
★ **ლტოლვილის სტატუსი**
★ **(ევროკავშირის ერთი წევრი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება**

ლტოლვილის სტატუსი

BG	статут на бежанец
CS	postavení uprchlíka
DE	Flüchtlingsstatus
EL	καθεστώς πρόσφυγα
EN	refugee status
ES	estatuto de refugiado
ET	pagulasseisund
FI	pakolaisasema
FR	statut de réfugié
GA	stádas dídeanaí
HU	menekült státusz
IT	status di rifugiato
LT	pabėgėlio statusas
LV	bēgļa statuss
MT	Status ta' rifuġjat(a)
NL	vluchtelingenstatus
PL	status uchodźcy
PT	estatuto de refugiado
RO	statutul de refugiat
SK	postavenie utečenca (EU acquis); status utečenca / štatút utečenca
SL	status begunca
SV	flyktingstatus
NO	flyktningstatus
UK	статус біженця

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის ლტოლვილად აღიარება.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(e) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- საერთაშორისო დაცვა

დაკავშირებული ტერმინები

- საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი
- ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე
- ლტოლვილის სტატუსის გამოხმობა
- დამატებითი დაცვის სტატუსი

ლტოლვილის სტატუსის გამოხმობა

BG	отнемане на бежански статут
CS	odnětí postavení uprchlíka
DE	Aberkennung der Flüchtlingseigenschaft
EL	ανάκληση καθεστώτος πρόσφυγα
EN	withdrawal of refugee status
ES	retirada del estatuto de refugiado
ET	pagulasseisundi kehtetuks tunnistamine
FI	pakolaisaseman poistaminen
FR	retrait du statut de réfugié
GA	stádas dídeanaí a tharraingt siar
HU	menekültügyi státusz visszavonása
IT	revoca dello status di rifugiato
LT	pabėgėlio statuso panaikinimas
LV	bēgļa statusa zaudēšana
MT	Revoka / Kanċellazzjoni / Tneħħija tal-istatus ta' refuġjat
NL	intrekking van de vluchtelingenstatus
PL	cofnięcie statusu uchodźcy
PT	retirada do estatuto de refugiado
RO	retragerea statutului de refugiat
SK	odňatie postavenia utečenca (EU acquis)
SL	odvzem statusa begunca / preklic statusa begunca
SV	återkallande av flyktingstatus
NO	tilbakekall av flyktningstatus (b); attendekalling av flyktningstatus (n)
UK	позбавлення статусу біженця

განმარტება

ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, პირს გაუუქმოს ან შეუწყვიტოს ლტოლვილის სტატუსი, ან უარი უთხრას მის განახლებაზე, დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(ი) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ საერთაშორისო დაცვის გამოხმობა

დაკავშირებული ტერმინი

★ ლტოლვილის სტატუსი

ლტოლვილის სტატუსის ჯგუფური დადგენა

BG	групово определяне на статут на бежанец
CS	skupinové určení statusu uprchlíka
DE	Gruppenfeststellung der Flüchtlingseigenschaft
EL	ομαδικός καθορισμός του καθεστώτος του πρόσφυγα
EN	group determination of refugee status
ES	determinación colectiva de la condición de refugiado
ET	grupi pagulasseisundi kindlaksmääramine
FI	pakolaisaseman ryhmämäärittäminen
FR	détermination collective du statut de réfugié
GA	stádas dídeanaí a chinneadh ar bhun grúpa
HU	no usual translation, csoportos elismerés menekültként
IT	riconoscimento collettivo dello status di rifugiato
LT	pabėgėlio statusas (suteikiamas grupei)
LV	bēgļa statusa noteikšana grupai
MT	Għarfien kollettiv tal-istatus ta' rifuġjat
NL	vaststelling van prima facie vluchtelingschap / vaststelling van vluchtelingenstatuut zonder meer
PL	grupowe uznanie statusu uchodźcy
PT	determinação colectiva do estatuto de refugiado (refugiados prima facie)
RO	determinarea statutului de refugiat în cazul unui grup
SK	skupinové určenie štatútu utečenca
SL	skupinsko določanje statusa begunca
SV	gruppbestämning av flyktingstatus
NO	gruppeavgjørelse av flyktningstatus (b); gruppeavgjerd av flyktningestatus (n)
UK	групове визначення статусу біженця

განმარტება

პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც ქვეყანაში დიდ ნაკადებად შემოსული პირები მიიჩნევიან ლტოლვილებად პრიმა ფაციე (prima facie /„ერთი შეხედვით“) პრინციპით, რაც გულისხმობს იმას, რომ მათი დაცვისა და დახმარების საჭიროებები უზრუნველყოფილია ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალური დადგენის გარეშე.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

- ლტოლვილის სტატუსის დადგენა prima facie პრინციპით

დაკავშირებული ტერმინები

- **ჯგუფის დევნა**
- **პრიმა ფაციე (prima facie/„ერთი შეხედვით“) ლტოლვილი**

შენიშვნა

ადამიანები მასობრივად გადაადგილდებიან იმ გარემოებების გამო, რომელთა საფუძველზე აღნიშნულ გადაადგილებულ პირთა უმეტესობა შეიძლება მიჩნეული იყოს ლტოლვილად, ასევე, არსებობს დაცვის და დახმარების სასწრაფოდ უზრუნველყოფის აუცილებლობა და/ან პრაქტიკული მიზეზების გამო შეუძლებელია ლტოლვილის სტატუსის ინდივიდუალურად დადგენა, აღნიშნული მასობრივად გადაადგილებული პირები პრიმა ფაციე პრინციპით მიჩნეული უნდა იყვნენ ლტოლვილებად (საწინააღმდეგო მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში). სხვა სიტყვებით, ივარაუდება, რომ ზემოაღნიშნული ჯგუფის წევრები ინდივიდუალურადაც ჩაითვლებოდნენ შესაბამისი დაცვის საჭიროების მქონე ლტოლვილებად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR: ლტოლვილის სტატუსის დადგენა, 2005 წ.

მაიდენტიფიცირებელი მისია

BG	мисия за идентифициране
CS	identifikační mise
DE	Mission zur Identitätsfeststellung
EL	αναγνωριστική αποστολή
EN	identification mission
ES	Misión de identificación
ET	isikutuvastamise missioon
FI	tunnistamiskäynti
FR	mission d'identification
GA	
HU	azonosítási misszió
IT	missione di identificazione
LT	tapatybės nustatymo misija
LV	identificēšanas misija
MT	Missjoni t'identifikazzjoni
NL	Identificatiemissie
PL	misja identyfikacyjna
PT	missão de identificação
RO	misiune de identificare
SK	misia za účelom identifikácie štátneho príslušníka tretej krajiny
SL	identifikacijska misija
SV	identifieringsuppdrag
NO	ID-avklaringsoppdrag
UK	місія з ідентифікації

განმარტება

დაბრუნების კონტექსტში, ორმხრივი შეთანხმებების ან ურთიერთგაგების მემორანდუმების საფუძველზე ეროვნულ დონეზე ჩატარებული ოპერაცია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შორის ან ევროკავშირის წევრ და მესამე ქვეყნებს შორის, რომლის ფარგლებშიც მესამე ქვეყნების ექსპერტთა ჯგუფებს იწვევენ/განათავსებენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში იმ პირთა მოქალაქეობის დადასტურებისა და იდენტიფიცირების პროცესის დასრულების მიზნით, რომლებიც მათი ქვეყნების მოქალაქეები არიან და არ აქვთ ევროკავშირში ყოფნის უფლება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

მიგრაციის საკითხებზე პარტნიორობის ჩარჩოს შესახებ ევროკომისიის 2017 წლის 13 ივნისის ბიულეტენი

შენიშვნები

1. დაბრუნებისა და რეადმისიის გაუმჯობესება წარმოადგენდა მესამე ქვეყნებთან პარტნიორობის ჩარჩოს შემუშავების მთავარ მიზანს. ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა ფორმალური მიდგომები, როგორიცაა რეადმისიის შეთანხმებების თაობაზე მოლაპარაკებების წარმოება, ასევე ნაკლებად ფორმალური საშუალებები, როგორიცაა სტანდარტული ოპერაციული პროცედურების შემუშავება და ტექნიკური და მაიდენტიფიცირებელი მისიების განხორციელება.

2. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ამ მისიებს იყენებენ ისეთი შემთხვევების დასარეგულირებლად, როდესაც პირი ვერ ბრუნდება დასაბრუნებელი დოკუმენტის არარსებობის გამო. მაიდენტიფიცირებელი მიზანია დასაბრუნებელი პირის მოქალაქეობის დადგენა.

3. მაიდენტიფიცირებელი მისიები ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex) ეგიდით ტარდება და შეიძლება იყოს როგორც გრძელვადიანი (როდესაც მესამე ქვეყნის ექსპერტები ხანგრძლივი ვადით არიან მივლენილი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში), ასევე მოკლევადიანი (კონკრეტულ საჭიროებაზე საპასუხოდ მივლენილი სპეციალური მისიები).

4. მაიდენტიფიცირებელი მისიების შედარებითი უპირატესობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხ: მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის ფარგლებში მესამე ქვეყნებთან პარტნიორობის ჩარჩოს განხორციელების მეოთხე პროგრესანგარიში, ევროკომისიის ანგარიში (COM(2017) 350, საბოლოო რედაქცია).

მანდატით განსაზღვრული ლტოლვილი

BG	бежанец по мандата на Върховния комисар на ООН за бежанците (ВКБООН)
CS	mandátní uprchlík
DE	Mandatsflüchtling
EL	πρόσφυγας εντολής
EN	mandate refugee
ES	refugiado (bajo mandato)
ET	mandaadipagulane
FI	mandaattipakolainen
FR	réfugié relevant du mandat du HCR
GA	dídeanaí de réir sainordú
HU	mandátumos menekült
IT	rifugiato ex Mandato
LT	pabėgėlis pagal mandatą
LV	UNHCR mandāta bēglis
MT	Rifuġjat(a) b'digriet / b'mandat
NL	mandaatvluchteling
PL	uchodźca mandatowy
PT	refugiado (mandato)
RO	refugiat sub mandat UNHCR
SK	mandátny utečenec
SL	mandatni begunec
SV	mandatflykting
NO	overføringsflyktning
UK	мандатний біженець

განმარტება

პირი, რომელიც აკმაყოფილებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) წესდების კრიტერიუმებს და რომელიც, შესაბამისად, კვალიფიცირდება გაეროს მიერ განსაზღვრული და UNHCR-ის მიერ უზრუნველყოფილი დაცვის მიმღებ პირად, მიუხედავად იმისა, იმყოფება თუ არა აღნიშნული პირი ქვეყანაში, რომელიც მიუერთდა ჟენევის კონვენციას (და ოქმს) და აღიარებულია თუ არა იგი ლტოლვილად მიმღები ქვეყნის მიერ რომელიმე ზემოაღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ლტოლვილი

დაკავშირებული ტერმინი

★ ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე

მართული მიგრაცია (exodus)

BG	управление на миграционните процеси
CS	řízená migrace
DE	gesteuerte Migration
EL	επιλεκτική μετανάστευση
EN	managed migration
ES	gestión integral de la migración
ET	juhitudränne
FI	hallittu maahanmuutto
FR	gestion des migrations
GA	imirce bhainistithe
HU	migráció kezelés / migráció menedzsment / megfelelően kezelt migráció
IT	migrazione gestita
LT	valdoma migracija
LV	pārvaldīta migrācija
MT	Ġestjoni ta' flussi migratorji
NL	gereguleerde migratie
PL	migracja zarządzana
PT	gestão de migrações
RO	migrație controlată
SK	riadená migrácia
SL	upravljanje migracij
SV	reglerad migration
NO	styrt migrasjon
UK	регульована міграція

განმარტება

მიდგომა, რომელსაც ევროკავშირი და მისი წევრი სახელმწიფოები იყენებენ მესამე ქვეყნებისა და ევროკავშირის მოქალაქეთა, ასევე, ლტოლვილებისა და დაცვის საჭიროების მქონე სხვა პირთა ევროკავშირში და წევრ სახელმწიფოებს შორის მიგრაციასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის (მათ შორის, ქვეყანაში დაშვება, ბინადრობა, ინტეგრაცია და დაბრუნება) მართვის სტრუქტურირების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ მიგრაციის მართვა

დაკავშირებული ტერმინები

★ **ეკონომიკური მიგრანტი**
★ **ეკონომიკური მიგრაცია**
★ **იძულებითი მიგრაცია**
★ **კვოტა**

მასობრივი გამგზავრება (exodus)

BG	no usual translation
CS	exodus
DE	Exodus
EL	(μαζική) έξοδος
EN	exodus
ES	éxodo
ET	massiline väljaränne
FI	joukkopako
FR	exode / fuite massive
GA	imeacht
HU	kivándorlás
IT	esodo
LT	egzodas
LV	masveida izceļošana
MT	Eżodu
NL	uittocht / exodus
PL	exodus
PT	êxodo
RO	exod
SK	exodus / hromadný odchod
SL	eksodus / množična emigracija
SV	massflykt
NO	masseutvandring / masseflukt
UK	масовий виїзд

განმარტება

დროის მოცემულ მონაკვეთში წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის ან თემის ნაწილის დატოვება მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების მიერ, განცალკევებულად და სპორადულად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

შენიშვნა

UNHCR-ის ლტოლვილთა საკითხებთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსში მოყვანილია მსგავსი განმარტება.

მასობრივი შემოდინება

BG	масово навлизане
CS	hromadný příliv
DE	Massenzustrom
EL	μαζική εισροή
EN	mass influx
ES	afluencia masiva
ET	massiline sisseränne
FI	joukoittainen maahantulo
FR	afflux massif
GA	mórphlódú isteach
HU	tömeges beáramlás
IT	afflusso massiccio
LT	masinis srautas (EU acquis); antplūdis
LV	masveida pieplūdums
MT	Influss tal-massa / ta' massa
NL	massale toestroom / massale instroom
PL	masowy napływ
PT	afluxo maciço
RO	aflux masiv
SK	hromadný prílev
SL	množični prihod
SV	massiv tillströmning
NO	massetilstrømning (b); massetilstrøyming (n)
UK	масовий приплив

განმარტება

კონკრეტული ქვეყნიდან ან გეოგრაფიული რეგიონიდან დიდი რაოდენობით გადაადგილებულ პირთა შესვლა ევროკავშირში, განურჩევლად იმისა, მათი შესვლა იყო სპონტანური თუ ორგანიზებული (მაგალითად, განხორციელდა საევაკუაციო პროგრამის ფარგლებში).

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2001/55/EC (დირექტივა დროებითი დაცვის შესახებ) მე-2(d) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ დროებითი დაცვა

მაღალკვალიფიციურ მიგრანტთა დასაქმება

BG	висококвалифицирана заетост
CS	zaměstnání vyžadující vysokou kvalifikaci
DE	hochqualifizierte Beschäftigung
EL	απασχόληση υψηλής εξειδίκευσης
EN	highly qualified employment
ES	empleo altamente cualificado
ET	kõrgelt kvalifitseeritud töö
FI	korkeaa pätevyyttä vaativa työ
FR	emploi hautement qualifié
GA	fostaíocht ardcháilíochta
HU	Magasan képzett személy / Munkavállaló foglalkoztatása
IT	lavoro altamente qualificato
LT	aukštos kvalifikacijos darbas (EU acquis); aukštos profesinės kvalifikacijos reikalaujantis darbas
LV	augsti kvalificēta nodarbinātība
MT	Impjieg bi kwalifiki għoljin
NL	hooggekwalificeerde baan
PL	zatrudnienie pracowników wysoko wykwalifikowanych
PT	emprego altamente qualificado
RO	loc de muncă înalt calificat
SK	vysokokvalifikované zamestnanie
SL	visoko kvalificirana zaposlitev
SV	högkvalificerad anställning
NO	sysselsetting av høyt kvalifisert arbeidskraft (b); sysselsetjing av høgt kvalifisert arbeidskraft (n)
UK	висококваліфіковане працевлаштування

განმარტებები

პირის დასაქმება:

(ა) რომელიც დამატებით რეგულირდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით და/ან გათვალისწინებულია ეროვნული პრაქტიკით; სამართლებრივი ურთიერობებისგან დამოუკიდებლად და გამიზნულია სხვა პირის სასარგებლოდ ან ამ პირის ხელმძღვანელობით, ე.წ. ნამდვილი და ფაქტობრივი სამუშაოს შესასრულებლად;

(ბ) რომელიც არის ანაზღაურებადი და

(გ) სრულდება პირის მიერ, რომელსაც აქვს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციებით დადასტურებული, აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენცია.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ) მე-2(ბ) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ევროკავშირის ლურჯი ბარათი**
- ★ **მაღალკვალიფიციური მიგრანტი**

შენიშვნა

ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში განასხვავებენ ტერმინებს 'განვითარებული უნარების მქონე (highly skilled) მიგრანტი', რომელიც გულისხმობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით დადასტურებული აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენციის და/ან დიდი (პროფესიული) გამოცდილების მქონე პირს და 'მაღალკვალიფიციური (highly qualified) მიგრანტი', რომელიც გულისხმობს მხოლოდ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით დადასტურებული აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენციის მქონე პირს. თუმცა, ევროკავშირის კონტექსტში, ისინი ურთიერთმონაცვლე ტერმინებად ითვლება.

მაღალკვალიფიციური მიგრანტი

BG	висококвалифициран мигрант
CS	vysoce kvalifikovaný migrant
DE	hochqualifizierter Migrant
EL	μετανάστης υψηλής εξειδίκευσης
EN	highly qualified migrant
ES	highly qualified migrant
ET	kõrgelt kvalifitseeritud sisserändaja
FI	korkeasti koulutettu maahanmuuttaja
FR	migrant hautement qualifié
GA	imirceach ardcháilithe
HU	magasan képzett migráns
IT	migrante altamente qualificato
LT	aukštos profesinės kvalifikacijos migrantas
LV	augsti kvalificēts migrants
MT	Migrant(a) bi kwalifiki għoljin
NL	hooggekwalificeerde migrant
PL	migrant wysoko wykwalifikowany
PT	migrante altamente qualificado
RO	migrant înalt calificat
SK	vysokokvalifikovaný migrant
SL	visoko kvalificirani migrant
SV	högkvalificerad migrant
NO	høyt kvalifisert migrant (b); høgt kvalifisert migrant (n)
UK	висококваліфікований мігрант

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც აკმაყოფილებს ILO-ს პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორით (ISCO-88) განსაზღვრულ 1-ელი, მე-2 და მე-3 კატეგორიების მოთხოვნებს; როგორიცაა მენეჯერი, ხელმძღვანელი, სპეციალისტი, ტექნიკოსი ან მსგავსი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც საქმდება ტრანსნაციონალური კომპანიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შრომის შიდა ბაზრებზე ან რომელიც ცდილობს შრომის საერთაშორისო ბაზრების მეშვეობით იშვიათი სპეციალობით დასაქმებას.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ცდილობს დასაქმდეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში და აქვს უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაციით დადასტურებული აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენცია.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: UNESCO-ს მიგრაციასთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ) მე-2(b) მუხლი

სინონიმები

- მაღალკვალიფიციური შრომითი მიგრანტი
- განვითარებული უნარების მქონე მიგრანტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **შრომითი მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროკავშირის ლურჯი ბარათის მფლობელი**
- **მაღალკვალიფიციურ მიგრანტთა დასაქმება**
- **ურთიერთაღიარების შეთანხმება**

შენიშვნები

1. ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოში განასხვავებენ ტერმინებს 'განვითარებული უნარების მქონე (highly skilled) მიგრანტი', რომელიც გულისხმობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით დადასტურებული აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენციის და/ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირს, და 'მაღალკვალიფიციური (highly qualified) მიგრანტი', რომელიც გულისხმობს მხოლოდ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციით დადასტურებული აუცილებელი სათანადო და სპეციფიკური კომპეტენციის მქონე პირს. ევროკავშირის კონტექსტში ისინი ურთიერთმონაცვლე ტერმინებად ითვლება. მაგალითად, რეგულაციაში (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) ტერმინის 'განვითარებული უნარების მქონე' (highly skilled) განმარტებისთვის გამოყენებულია ტერმინის 'მაღალკვალიფიციური' (highly qualified) განმარტება.

2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში განსხვავებულია აღქმა იმისა, თუ ვინ მოიაზრება ტერმინებში 'მაღალკვალიფიციური მიგრანტი' და 'კვალიფიციური მესამე ქვეყნის მოქალაქე'; რაც, თავის მხრივ, შესაბამის განმარტებებსა და ცნებებს ეფუძნება. ხშირად ეს დამოკიდებულია შრომის ბაზრის ეროვნულ მოთხოვნებზე და სხვა ეროვნულ კრიტერიუმებზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: მაღალკვალიფიციური და მესამე ქვეყნის კვალიფიციური მოქალაქეების მოზიდვა, 2013 წ.

მგზავრის წინასწარი მონაცემები (API)

BG	Предварителна информация за пътниците
CS	předem předané údaje o cestujících
DE	Vorabinformationen über die beförderte Person / Vorabdaten über die beförderte Person / Vorab-Passagier-Informationssystem
EL	εκ των προτέρων διαβίβασης στοιχείων σχετικά με επιβάτες
EN	advance passenger information (API)
ES	información anticipada del pasajero
ET	reisijate eelandmed
FI	lentomatkustajien ennakkotiedot / API-tiedot
FR	informations préalables sur les passagers
GA	Réamhfhaisnéis faoi Phaisinéirí
HU	előzetes utasinformáció
IT	informazioni anticipate sui passeggeri
LT	išankstinė informacija apie keleivius
LV	iepriekšēja pasažieru informācija
MT	Tagħrif bil-quddiem dwar il-passiġġieri
NL	vooraf te verstrekken passagiersgegevens
PL	
PT	Sistema Avançado de Informação sobre Passageiros
RO	informații prealabile referitoare la pasageri (API)
SK	vopred poskytované informácie o cestujúcich
SL	predhodni podatki o potniku
SV	förhandsuppgifter om passagerare
NO	Forhåndsvarsel om passasjerer (b); Førehandsvarsel om reisande (n)
UK	попередня інформація про пасажира (API)

განმარტება

ინფორმაცია იმ მგზავრების შესახებ, რომლებიც გადამყვან კომპანიებს გადაჰყავთ ოფიციალურ სასაზღვრო გამტარ პუნქტამდე და რომლის გავლითაც ეს პირები შედიან შენგენის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. გადამყვანი კომპანიები ვალდებულნი არიან, შესაბამისი თხოვნის საფუძველზე, ეს ინფორმაცია მგზავრების რეგისტრაციის დასასრულს გადასცენ გარე საზღვრებზე პირების შემოწმებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/82/EC (დირექტივა გადამყვანი კომპანიების მიერ მგზავრების შესახებ მონაცემთა გადაცემის ვალდებულების თაობაზე) მე-3 მუხლი

სინონიმები

- API
- APIS
- მგზავრის წინასწარი მონაცემების სისტემა

შენიშვნა

აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს: გამოყენებული სამგზავრო დოკუმენტის ნომერს და ტიპს, მოქალაქეობას, სახელსა და გვარს საპასპორტო მონაცემების შესაბამისად, დაბადების თარიღს, შენგენის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის სასაზღვრო გამტარ პუნქტს, ტრანსპორტის სახეობას, სატრანსპორტო საშუალების გამგზავრებისა და ჩამოსვლის დროს, (ამ სატრანსპორტო საშუალებით) გადაყვანილ მგზავრთა საერთო რაოდენობას და ჩასხდომის საწყის პუნქტს.

მდგრადი დაბრუნება

BG	устойчиво връщане
CS	udržitelný návrat
DE	nachhaltige Rückkehr
EL	βιώσιμος επαναπατρισμός / ασφαλής επάνοδος / βιώσιμη επιστροφή
EN	sustainable return
ES	Retorno sostenible
ET	jätkusuutlik tagasipöördumine
FI	kestävä paluu
FR	retour durable
GA	
HU	fenntartható visszatérés
IT	rimpatrio sostenibile
LT	tvarus grąžinimas
LV	ilgtspējīga atgriešanās
MT	Ritorn sostenibbli
NL	Duurzame terugkeer
PL	trwały powrót
PT	retorno sustentável
RO	returnare durabilă
SK	udržateľný návrat
SL	udržateľný návrat
SV	hållbart återvändande
NO	
UK	стійке повернення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პოლიტიკა, რომელიც გამიზნულია დაბრუნებულ მიგრანტთა კანონიერი საფუძვლის გარეშე ხელახალი მიგრაციის შესაკავებლად მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ან დაბრუნების ქვეყანაში რეინტეგრაციის ან იმგვარი დაბრუნების გზით, რომელიც გულისხმობს მიგრანტთა თემებში მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის, სოციალური სტაბილურობისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის უზრუნველყოფას და ამგვარად, (რე)ემიგრაციის მამოძრავებელ ფაქტორებთან გამკლავებას.

ევროკავშირის კონტექსტში, ვითარება, როდესაც დაბრუნების და მშობლიურ საზოგადოებაში სრული სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაციის შედეგად მიგრაცია აღარ მიმდინარეობს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM: დაბრუნების კონტექსტში რეინტეგრაციის ინტეგრირებული მიდგომისკენ, 2017 წ.
ევროკავშირის კონტექსტი: ევროკომისია, DG Home: რეინტეგრაციის საუკეთესო პრაქტიკის შედარებითი კვლევა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამგზავრებამდე გატარებული ზომებისა და დაბრუნების ქვეყნებში გატარებული (რეინტეგრაციის) მოკლე- და გრძელვადიანი ზომების ურთიერთდაკავშირების მიზნით, საბოლოო ანგარიში, 2013 წ.

სინონიმები

- მდგრადი რეინტეგრაცია
- წარმატებული დაბრუნება

შენიშვნები

1. მდგრადი დაბრუნებითი მიგრაციის/რეინტეგრაციის არაერთი განმარტება არსებობს. სისტემური ანალიზი მოცემულია IOM-ის მიგრანტთა ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობის პროგრამების შედარებითი კვლევის დოკუმენტში, 2015 წ.

2. ერთ-ერთი მიდგომით, მდგრადი დაბრუნება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „მდგომარეობა, როდესაც განმეორებითი ემიგრაცია არ მიმდინარეობს“ (ევროკომისია). მეორე მიდგომა ეფუძნება სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს (როგორებიცაა დასაქმების, საცხოვრებლის და ძირითადი სერვისების ხელმისაწვდომობა), რომლებიც უნდა დახვდეს დაბრუნებულ მიგრანტს იმისთვის, რომ მან შეძლოს წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში სათანადო ხარისხით ცხოვრება. მესამე მიდგომა ფოკუსირებულია უფლებებზე, როგორებიცაა სახელმწიფო და სოციალური სერვისების მიღების უფლება, ასევე, საკუთრების და გადაადგილების თავისუფლების უფლება. მაშინ, როდესაც ყველა ეს მიდგომა მიმართულია ინდივიდზე, არსებობს სხვა მიდგომაც, რომელიც დაბრუნებას უფრო ფართო ჭრილში განიხილავს და ფოკუსირებულია დაბრუნების შედეგებზე უფრო ფართო საზოგადოებისთვის (მაგ., „ინტელექტის შემოდინება“). მეტი ინფორმაციისთვის იხ. Saskia Gent and Richard Black: Defining, Measuring and Influencing Sustainable Retun, Briefing, 2005 (სასკია გენტი და რიჩარდ ბლეკი: მდგრადი დაბრუნების განმარტება, გაზომვა და ზემოქმედება), 2005 წ.

მდგრადი დაბრუნება [გაგრძ.]

3. გლობალურ დონეზე მრავალი სხვადასხვა განმარტება არსებობს და, შესაბამისად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებული პოლიტიკა და მიდგომებიც განსხვავებულია. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისია, DG Home: რეინტეგრაციის საუკეთესო პრაქტიკის შედარებითი კვლევა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში გამგზავრებამდე გატარებული ზომებისა და დაბრუნების ქვეყნებში გატარებული (რეინტეგრაციის) მოკლე- და გრძელვადიანი ზომების ურთიერთდაკავშირების მიზნით, საბოლოო ანგარიში, 2013 წ.

4. წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში მიგრანტთა მდგრადი დაბრუნება მიგრაციის ყოვლისმომცველი მართვის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს.

მეორე თაობის მიგრანტი

BG	второ поколение мигрант
CS	migrant druhé generace
DE	Migrant der zweiten Generation
EL	μετανάστης δεύτερης γενιάς
EN	second-generation migrant
ES	inmigrante de segunda generación
ET	teise põlvkonna sisserändaja
FI	toisen polven maahanmuuttaja
FR	migrant de la deuxième génération
GA	imirceach den dara glúin
HU	második generációs migráns
IT	migrante di seconda generazione
LT	antros kartos migrantas
LV	otrās paaudzes migrants
MT	Migrant(a) tat-tieni ġenerazzjoni
NL	tweede generatie allochtoon / tweede generatie migrant
PL	migrant drugiego pokolenia
PT	migrante de segunda geração
RO	migrant (a doua generație)
SK	migrant druhej generácie
SL	migrant druge generacije
SV	andra generationens invandrare
NO	person med to innvandrerforeldre (b); person med to innvandrarforeldre (n)
UK	мігрант у другому поколінні

განმარტება

პირი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობს ქვეყანაში, რომელშიც მისი, სულ მცირე, ერთი მშობელი დასახლდა, როგორც მიგრანტი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ მეორე თაობის იმიგრანტი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაციული წარსულის მქონე პირი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **პირველი თაობის მიგრანტი**

★ **მესამე თაობის მიგრანტი**

შენიშვნები

1. ტერმინი არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით და ის უფრო სოციოლოგიურ კონტექსტში გამოიყენება. ამდენად, უფრო მეტად გავრცელებულია ცნების 'მეორე თაობის მიგრანტი' შინაარსის მომცველი ფართო, ზოგადი განმარტება.

2. პირდაპირი გაგებით, ტერმინი არ უკავშირდება მიგრანტს, რადგან მიგრაციის პროცესი თავად ამ პირს არ ეხება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტერმინი შეტანილ იქნა განმარტებით ლექსიკონში, რადგან ის ხშირად მოიხსენიება პუბლიკაციებსა და საინფორმაციო საშუალებებში.

3. 2010 წლის მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის შესახებ რეკომენდაციების თანახმად, ჯგუფი, რომელიც 'მეორე თაობად' მოიხსენიება, ჩვეულებრივ, შემოიფარგლება იმ პირებით, რომელთა მშობლები დაიბადნენ საზღვარგარეთ, ხოლო ის პირები, რომელთა ერთი მშობელი დაიბადა ადგილსამყოფელ ქვეყანაში, ხოლო მეორე - საზღვარგარეთ, წარმოადგენენ განსაკუთრებულ შემთხვევას (მათ მიაკუთვნებენ შერეული წარმოშობის მქონე პირთა ჯგუფს). EMN-ის საქმიანობის მიზნებისთვის უფრო რელევანტურად ჩაითვალა მოცემული ტერმინის უფრო ზოგადი მნიშვნელობით გამოყენება, როგორც აღნიშნულია 1-ელ შენიშვნაში.

მესამე ქვეყანა

BG	трета страна
CS	třetí země
DE	Drittstaat
EL	τρίτη χώρα
EN	third country
ES	tercer país
ET	kolmas riik
FI	kolmas maa
FR	pays tiers
GA	tríú tír
HU	harmadik ország
IT	paese terzo
LT	trečioji šalis
LV	trešā valsts
MT	Pajjiż terz
NL	derde land
PL	kraj trzeci
PT	país terceiro
RO	țară / stat terț
SK	tretia krajina
SL	tretja država
SV	tredjeland
NO	tredjeland
UK	третя країна

განმარტება

ქვეყანა, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი, ასევე ქვეყანა ან ტერიტორია, რომლის მოქალაქეებიც არ სარგებლობენ ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების უფლებით, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(5) მუხლის თანახმად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
Eurofound-ის ვებგვერდზე მოცემული ტერმინის 'მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილების' განმარტება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ **უსაფრთხო მესამე ქვეყანა**
- ★ **მესამე ქვეყნის მოქალაქე**

მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზა

BG	допълнителна възможност за прием в трети държави
CS	doplňková cesta pro přijetí do třetích zemí
DE	Komplementärer Zugangsweg für die Zulassung in Drittstaaten (EU acquis); Ergänzender Weg für die Zulassung in Drittstaaten
EL	συμπληρωματική οδός εισδοχής σε τρίτες χώρες
EN	complementary pathway for admission to third countries
ES	n/a
ET	Kolmandatesse riikidesse vastuvõtmise täiendavad rändeteed
FI	täydentävä maahanmuuton väylä kolmansiin maihin
FR	voie d'admission complémentaire dans les pays tiers
GA	conair chomhlántach um ligean isteach i dtríú tíortha
HU	kiegészítő útvonal a harmadik országokba történő befogadáshoz
IT	percorso complementare per l'ammissione in paesi terzi
LT	papildomas priėmimo į trečiąsias šalis būdas
LV	papildu iespējas uzņemšanai trešā valstī
MT	Mogħdija komplimentarja għad-dħul f'pajjiżi terzi
NL	Complementaire toegangsmogelijkheid tot derde landen
PL	uzupełniająca ścieżka przyjmowania (uchodźców) do państw trzecich
PT	vias complementares para a admissão em países terceiros
RO	cale complementară de intrare pe teritoriul țărilor terțe
SK	doplnkové možnosti prijímania tretími krajinami
SL	dopolnilna pot za sprejem v tretjo državo
SV	kompletterande inreseväg från tredje land
NO	lovlig adgang til tredjeland (b); lovleg tilgang til tredjeland (n)
UK	додатковий шлях допуску до третіх країн

განმარტება

გლობალურ კონტექსტში, ლტოლვილების (ევროკავშირის ფარგლებს გარეთ) მესამე ქვეყანაში ლეგალური დაშვების და კანონიერი ყოფნისთვის განსაზღვრული უსაფრთხო და რეგულირებული გზები, სადაც მათი საერთაშორისო დაცვის საჭიროებები დაკმაყოფილებულია. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს ლტოლვილთა მესამე ქვეყანაში განსახლების (ressettlement) 'შემავსებელ' ზომას, თუმცა არ ანაცვლებს მათთვის საერთაშორისო დაცვის რეჟიმით გათვალისწინებულ დაცვას. ამავდროულად, აღნიშნული მექანიზმი გამიზნულია ლტოლვილთა ხელშეწყობისთვის, თავად იზრუნონ საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და უზრუნველყონ მათთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტა მესამე ქვეყანაში განსახლების ან კანონიერად ყოფნის გზით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

UNHCR: მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზები

UNHCR: ლტოლვილთა მესამე ქვეყნებში დაშვების დამხმარე გზები: ძირითადი მიგნებები, 2019 წლის აპრილი

სინონიმები

- ლტოლვილთა განსახლების დამხმარე გზა
- მესამე ქვეყნებში ლტოლვილთა დაშვების დამხმარე გზა

დაკავშირებული ტერმინი

- **ლეგალური გზა**

შენიშვნები

1. დამხმარე გზები ლტოლვილებს კანონიერი საფუძვლის გარეშე (არალეგალური) და საფრთხის-შემცველი გადაადგილების ალტერნატივებს სთავაზობს. დამხმარე გზები ასევე გულისხმობს ლტოლვილების ხელშეწყობას საჭირო უნარების შეძენასა და გამყარებაში იმისთვის, რომ მათ, მესამე ქვეყანაში სამომავლო განსახლებისა და კანონიერი დარჩენის გზით, შეძლონ თავიანთი პრობლემების გრძელვადიანი გადაწყვეტა. დამხმარე გზების ფორმატში ლტოლვილთა მიღება შესაძლებელია მიმღებ სახელმწიფოში არსებული პროცედურების ფარგლებში ან, შესაძლოა, საჭირო გახდეს დამატებითი პროცედურის შემუშავება.

2. დამხმარე გზები შეიძლება განხილულ იქნეს,

როგორც გლობალური სოლიდარობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გამოხატულება და სახელმწიფოთა თანაზიარი პასუხისმგებლობის სამართლიანი განაწილების საშუალება. UNHCR აღნიშნავს, რომ დამხმარე გზები ზედმიწევნით კარგად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს, რათა დაცული იქნეს ლტოლვილთა უფლებები (მაგ., არგაძევების პრინციპი) და დაკმაყოფილდეს უწყვეტი საერთაშორისო დაცვის საჭიროებები.

3. არსებული დამხმარე გზები მოიცავს ჰუმანიტარული საჭიროებიდან გამომდინარე მიღების პროგრამებს, სამედიცინო მიზნებით ევაკუაციას, ოჯახის გაერთიანებას, ინდივიდუალურ სპონსორობას (მხარდაჭერას) და შრომითი მობილობისა და განათლების შესაძლებლობებს. აღნიშნული მექანიზმით სარგებლობისთვის ლტოლვილები, ლტოლვილის სტატუსის გარდა, უნდა აკმაყოფილებდნენ სხვა სპეციფიკურ კრიტერიუმებსაც. დამხმარე გზები შემდეგ სამ კატეგორიად შეიძლება დაჯგუფდეს:

– ჰუმანიტარული დამხმარე გზები, რომლებიც მოიცავს ჰუმანიტარული საჭიროებიდან გამომდინარე მიღების პროგრამებს, ამავე საფუძვლით ვიზის გაცემას, ასევე ოჯახის გაერთიანებას;

– უნარებზე დაფუძნებული დამხმარე გზები, რომლებიც ფოკუსირებულია სწავლისა და დასაქმების მიზნით მიგრაციის შესაძლებლობების შექმნაზე, შრომით მობილობასა და სასწავლო სტიპენდიების გაცემაზე, შესაბამისი ვიზების გაცემის ჩათვლით;

– თემზე დაფუძნებული დამხმარე გზები მოიცავს პირადი ან სათემო სპონსორობის/მხარდაჭერის ინიციატივებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეები, სათემო გაერთიანებები ან სხვა არაკომერციული ორგანიზაციები, შესაძლოა, შეთანხმდნენ, ერთობლივად გაუწიონ სპონსორობა/მხარდაჭერა ლტოლვილს მესამე ქვეყანაში ჩასვლის შემდგომ.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 2019 წ. და მსოფლიო საეკლესიო მსახურება (CWS): ლტოლვილთა მესამე ქვეყნებში განსახლება და დამხმარე გზები, 2020 წ. ოქტომბერი

4. დამხმარე გზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ ლტოლვილებს აქვთ მათზე პირდაპირი წვდომა, შეუძლიათ ისარგებლონ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციითა და არსებული ადმინისტრაციული მექანიზმებით და შესაბამისად, თავად მოიძიონ თავიანთი საკითხების გადაწყვეტის გზები.

5. გლობალური შეთანხმება უსაფრთხო მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ მოუწოდებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ ლეგალური მიგრაციის გზების ხელმისაწვდომობა და მოქნილობა, რათა ხელი შეეწყოს შრომითი მობილობის ზრდას და ღირსეული შრომის პირობების ჩამოყალიბებას დემოგრაფიული და შრომითი ბაზრის რეალიების გათვალისწინებით. შედეგად, უნდა შეიქმნას განათლების მიღების შესაძლებლობები, განმტკიცდეს ოჯახური ცხოვრების უფლება და დაკმაყოფილდეს მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი მიგრანტების საჭიროებები (იხ. გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ, მე-5 ამოცანა).

მესამე ქვეყნის მოქალაქე

BG	гражданин на трета страна
CS	státní příslušník třetí země
DE	Drittstaatsangehöriger
EL	υπήκοος τρίτης χώρας / πολίτης τρίτης χώρας
EN	third-country national
ES	nacional de tercer país
ET	kolmanda riigi kodanik
FI	kolmannen maan kansalainen
FR	ressortissant d'un pays tiers
GA	náisiúnach tríú tír
HU	harmadik országbeli állampolgár
IT	cittadino di un paese terzo
LT	trečiosios šalies pilietis
LV	trešās valsts pilsonis
MT	Ċittadin(a) ta' pajjiż terz
NL	onderdaan van een derde land / derdelander
PL	obywatel kraju trzeciego
PT	nacional de país terceiro
RO	cetățean terț / al unui stat terț
SK	štátny príslušník tretej krajiny / ŠPTK
SL	državljan tretje države
SV	tredjelandsmedborgare
NO	tredjelandsborger (b); tredjelandsborgar (n)
UK	громадянин третьої країни

განმარტება

ნებისმიერი პირი, რომელიც არ არის ევროკავშირის მოქალაქე ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) მე-20(1) მუხლით განსაზღვრული მნიშვნელობით და არ სარგებლობს ევროკავშირში თავისუფლად გადაადგილების უფლებით, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(5) მუხლის თანახმად.

წყაროები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(1) მუხლი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(6) მუხლი

სინონიმი

★ TCN

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

★ **ევროკავშირის არამოქალაქე პირი**

★ **მესამე ქვეყანა**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **უცხო ქვეყნის მოქალაქე**

★ **ევროკავშირის მოქალაქე**

შენიშვნები

1. ამ განმარტების თანახმად, ნორვეგიის, ისლანდიის, ლიხტენშტაინისა და შვეიცარიის მოქალაქეები არ ითვლებიან მესამე ქვეყნის მოქალაქეებად, რაც ასევე შეესაბამება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(6) მუხლს.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ (რეგულაცია (EC) N862/2007) ტერმინს 'მესამე ქვეყნის მოქალაქე' ოდნავ განსხვავებულად განმარტავს, განიხილავს რა ნორვეგიის, ისლანდიის, ლიხტენშტაინისა და შვეიცარიის მოქალაქეებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებად. ეს განმარტება ასევე გამოყენებულია ევროკავშირის საბჭოს შემდეგ დირექტივებში: დირექტივა 2009/50/EC (დირექტივა ლურჯი ბარათის შესახებ), დირექტივა 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ), დირექტივა 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ), დირექტივა 2005/71/EC (დირექტივა მკვლევართა შესახებ) და დირექტივა 2004/114/EC (დირექტივა სტუდენტთა შესახებ). EMN-მა მოცემული განმარტების გამოყენება მიზანშეწონილად არ მიიჩნია მისი არაამომწურავი მნიშვნელობის გამო.

3. 'ჯუჯა' სახელმწიფოების (მონაკო, სან-მარინო, ვატიკანი) მოქალაქეები განიხილებიან, როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქეები, ვინაიდან, სასაზღვრო კონტროლის არარსებობის მიუხედავად, არ არსებობს ოფიციალური შეთანხმება ევროკავშირსა და აღნიშნულ ქვეყნებს შორის ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული „თავისუფალი გადაადგილებით სარგებლობის უფლების შესახებ". ეს ასევე ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფოები ვერ იქნებიან შენგენის შეთანხმების წევრი ქვეყნები.

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია

BG	незаконно пребиваващ гражданин на трета страна
CS	státní příslušník třetí země, u kterého bylo zjištěno, že neoprávněně pobývá na území
DE	Drittstaatsangehöriger, dessen illegaler Aufenthalt festgestellt wird
EL	παράνομα διαμένων υπήκοος (πολίτης) τρίτης χώρας
EN	third-country national found to be illegally present
ES	nacional de tercer país detectado en situación irregular
ET	ebaseaduslikult riigis viibiv kolmanda riigi kodanik
FI	laittomasti maassa oleskeleva kolmannen maan kansalainen
FR	ressortissant de pays tiers en situation illégale (acquis UE) ; ressortissant de pays tiers en situation irrégulière (FR) ; ressortissant de pays tiers en séjour irrégulier / illégal (BE, LU)
GA	náisiúnach tríú tír a shuitear a bheith i láthair go neamhdhleathach
HU	harmadik országbeli állampolgárok, akikről megállapították, hogy illegálisan tartózkodnak
IT	cittadino di un paese terzo presente irregolarmente
LT	neteisėtai esantis trečiosios šalies pilietis
LV	trešās valsts pilsonis, kurš nelikumīgi uzturas dalībvalstī
MT	Ċittadin(a) ta' pajjiż terz preżenti illegalment
NL	onderdaan van een derde land van wie de illegale aanwezigheid op het grondgebied is vastgesteld
PL	obywatele krajów trzecich, co do których stwierdzono fakt nielegalnego przebywania
PT	nacionais de países terceiros detetados em situação ilegal
RO	cetățean terț depistat cu ședere ilegală
SK	štátny príslušník tretej krajiny neoprávnene sa zdržiavajúci na území členského štátu EÚ
SL	državljan tretje države za katerega se ugotovi, da nezakonito prebiva
SV	olagligt närvarande tredjelandsmedborgare
NO	tredjelandsborger med ulovlig opphold (b); tredjelandsborgar med ulovleg opphald (n)
UK	громадянин третьої країни, який перебуває незаконно

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც (ოფიციალურად დადგენილია, რომ) იმყოფება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ ან აღარ აკმაყოფილებს ევროკავშირის ამ წევრ სახელმწიფოში ყოფნის ან ბინადრობის პირობებს.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(r) მუხლი

სინონიმები

- არალეგალურად მცხოვრები მიგრანტი
- არალეგალურად მყოფი მიგრანტი
- არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქე

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი**
- **კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა**
- **მესამე ქვეყნის მოქალაქე**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში მყოფი პირი**

დაკავშირებული ტერმინები

- **დაკავება**
- **არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის არალეგალური დასაქმება**

შენიშვნა

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2009/52/EC (დირექტივა დამსაქმებლის მიმართ სანქციების შესახებ) მე-2(b) მუხლში ამავე განმარტებით არის გამოყენებული ტერმინი 'არალეგალურად მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქე'.

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა

BG	План за действие относно интеграцията на граждани на трети държави
CS	Akční plán v oblasti integrace státních příslušníků třetích zemí
DE	Aktionsplan für die Integration von Drittstaatsangehörigen
EL	Σχέδιο δράσης για την ένταξη υπηκόων τρίτων χωρών
EN	Action plan on the integration of third-country nationals
ES	Plan de Acción para la integración de los nacionales de terceros países
ET	Kolmanda riigi kodanike integreerimise tegevuskava
FI	Kolmansien maiden kansalaisten kotouttamista koskeva toimintasuunnitelma
FR	Plan d'action sur l'intégration des ressortissants de pays tiers
GA	
HU	
IT	Piano d'azione sull'integrazione dei cittadini di paesi terzi
LT	Trečiųjų šalių piliečių integravimo veiksmų planas
LV	Rīcības plāns trešo valstu valstspiederīgo integrācijai
MT	Pjan t' azzjoni dwar l-integrazzjoni ta' ċittadini minn pajjiżi terzi
NL	Actieplan inzake integratie van onderdanen van derde landen
PL	Plan działań na rzecz integracji obywateli państw trzecich
PT	Plano de ação para a integração de nacionais de países terceiros
RO	Plan de acțiune privind integrarea resortisanților din țările terțe
SK	Akčný plán pre integráciu štátnych príslušníkov tretích krajín
SL	akcijski načrt za integracijo državljanov tretjih držav
SV	Handlingsplan för integration av tredjelandsmedborgare
NO	Handlingsplan for integrering av tredjelandsborgere
UK	План дій з інтеграції громадян третіх країн

განმარტება

ყოვლისმომცველი ჩარჩო ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ ინტეგრაციის პოლიტიკის განვითარებისა და განმტკიცების მიზნით გაწეული ძალისხმევის მხარდასაჭერად.

წყარო

ევროკომისიის კომუნიკე: მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა, COM(2016) 377 (საბოლოო რედაქცია)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ინტეგრაცია

შენიშვნები

1. ევროკომისიამ ინტეგრაციის სამოქმედო გეგმა 2016 წლის 7 ივნისს დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაცია წევრ სახელმწიფოთა პასუხისმგებლობაა, ევროკავშირი მხარს უჭერს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, პროცესის კოორდინაციის, ცოდნის გაცვლისა და ფინანსური რესურსების მობილიზების გზით.

2. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს პოლიტიკის სხვადასხვა სექტორში გასატარებელ, ინტეგრაციისთვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებებს:

– გამგზავრებამდე და ჩამოსვლამდე გასატარებელი ზომები, მათ შორის, მუშაობა მიგრანტებთან და ადგილობრივ თემებთან ინტეგრაციის პროცესის მოსამზადებლად;

– განათლება, მათ შორის, ენის სწავლების ხელშემწყობი ღონისძიებები, მიგრანტი ბავშვების ჩართულობა ადრეულ ეტაპზე სწავლასა და ზრუნვაში, მასწავლებელთა ტრენინგი და სამოქალაქო განათლება;

– დასაქმება და პროფესიული მომზადება, მათ შორის, ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე ადრეულ ეტაპზე ინტეგრაციას და მიგრანტების მეწარმეობას;

– წვდომა ძირითად მომსახურებებზე, როგორებიცაა საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ჯანდაცვა;

– საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა და სოციალური ჩართულობა, მათ შორის, მიმღებ საზოგადოებასთან გაცვლის მხარდამჭერი ღონისძიებები, მიგრანტთა მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში და დისკრიმინაციასთან ბრძოლა.

3. მაშინ, როდესაც სამოქმედო გეგმა ზოგადად მიმართულია ევროკავშირში მყოფ მესამე ქვეყნების მოქალაქეებზე, მასში გათვალისწინებულია ლტოლვილთა წინაშე არსებულ სპეციფიკურ გამოწვევებთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები.

4. მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი ინტეგრაციის შესახებ.

მეურვე/მზრუნველი

BG	попечител или настойник
CS	opatrovník
DE	Vormund; Obsorgeberechtigter (AT)
EL	Επίτροπος (EL) Κηδεμόνας (CY)
EN	guardian
ES	tutor
ET	eestkostja
FI	huoltaja
FR	tuteur; représentant légal (LU)
GA	caomhnóir
HU	gyám
IT	tutore
LT	globėjas
LV	aizbildnis
MT	Kustodju / Tutur(-triċi)
NL	voogd
PL	opiekun
PT	tutor
RO	tutore
SK	poručník
SL	skrbnik
SV	god man
NO	verge, representant (b); verje, representant (n)
UK	опікун (піклувальник)

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, დამოუკიდებელი პირი, რომელიც წარმოადგენს მშობლების გარეშე მყოფი ბავშვის ინტერესებს; უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების და ზოგადი კეთილდღეობის დაცვას და, ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, მშობლების მსგავსად, ერთვება სამართლებრივ ურთიერთობაში ბავშვის შეზღუდული ქმედუნარიანობის გათვალისწინებით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): მშობლების მზრუნველობა-მოკლებულ ბავშვთა მეურვეობის სისტემები ევროკავშირში, შემაჯამებელი დოკუმენტი, 2018 წ.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი: N6 ზოგადი კომენტარი (2005): წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის გარეთ თანმხლები პირის გარეშე მყოფ და განცალკევებულ ბავშვებთან მოპყრობა

სინონიმები

- დანიშნული პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირი
- პასუხისმგებელი სრულწლოვანი პირი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- **ბავშვი**
- **თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი**
- **განცალკევებული ბავშვი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **წარმომადგენელი**

შენიშვნები

1. ტერმინების 'მეურვე' და '(კანონიერი) წარმომადგენელი' უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს არც საერთაშორისო, არც ევროკავშირის/წევრი სახელმწიფოების ეროვნულ დონეზე. ზოგჯერ ისინი სინონიმების მნიშვნელობით გამოიყენება. აღნიშნულ თემებთან დაკავშირებული ტერმინების მიმოხილვა იხ. დოკუმენტში: ძირითად უფლებათა სააგენტო, მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობა, 2015 წ.

2. EMN-ის განმარტებითი ლექსიკონი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს არა იმდენად ტერმინოლოგიას, რამდენადაც დანიშნული პირის ფუნქციებს. ტერმინი 'მეურვე' უფრო ფართო ცნებაა და მისი ფუნქციები სცილდება (კანონიერი) წარმომადგენლის პასუხისმგებლობებს. მაშინ, როდესაც მეურვეს ბავშვის მიმართ აკისრია მშობლობასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებელია მისი ყოფითი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე და წარმოადგენს შუამავალს ბავშვსა და სპეციალიზებულ სააგენტოებს/ინდივიდუალურ პირებს შორის, წარმომადგენლის პასუხისმგებლობები უფრო ვიწროა და შემოიფარგლება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლობის ფუნქციით სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას. მეურვე ყოველთვის ფიზიკური პირია, მაშინ როდესაც წარმომადგენელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე ორგანიზაცია. შესაძლოა, მეურვე და კანონიერი წარმომადგენელი ერთი და იგივე პირი იყოს. მეურვე ასევე განსხვავდება სოციალური მუშაკისგან ან ბავშვის მატერიალურ საჭიროებებზე პასუხისმგებელი სხვა მზრუნველებისგან. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობის სისტემები ევროკავშირში, შემაჯამებელი დოკუმენტი, 2018 წ.

მეურვე/მზრუნველი [გაგრძ.]

3. მიგრაციის კონტექსტში, როგორც საერთაშორისო, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობა აღიარებს მეურვეობის და კანონიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტების მნიშვნელობას ბავშვის საუკეთესო ინტერესების და კეთილდღეობის დაცვის უზრუნველსაყოფად. სახელმწიფომ უმოკლეს დროში უნდა დაუნიშნოს თანმხლები პირის გარეშე მყოფ (იდენტიფიცირებულ) არასრულწლოვანს ან განცალკევებულ ბავშვს მეურვე და განაგრძოს მისი მეურვეობა მანამ, სანამ ბავშვი მიაღწევს სრულწლოვანების ასაკს ან მუდმივად დატოვებს ამ სახელმწიფოს ტერიტორიას (და/ან გავა აღნიშნული სახელმწიფოს იურისდიქციიდან). მეურვე ინფორმირებული უნდა იყოს ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების შესახებ, მასთან გავლილი უნდა იყოს შესაბამისი კონსულტაცია და ის უფლებამოსილი უნდა იყოს, ჩაერთოს აღნიშნული ქმედებების დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, საიმიგრაციო დავებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ და სასამართლო საქმეთა წარმოებაში; ზრუნვის დაგეგმვაში და ზოგადად, ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიანი გადაწყვეტისკენ მიმართულ ყველა ძალისხმევაში. მეურვეს უნდა გააჩნდეს პროფესიული გამოცდილება ბავშვზე ზრუნვის სფეროში, რათა უზრუნველყოს მისი ინტერესების დაცვა, ასევე, იურიდიული, სოციალური, ბავშვის ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხებისა და მატერიალური თუ საგანმანათლებლო საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება. იმ შემთხვევაში, თუ მეურვეს არ შეუძლია ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადოდ დაცვა ბავშვთან დაკავშირებულ ყველა სფეროში და მისი ცხოვრების ყველა საფეხურზე, გამოყენებული უნდა იქნეს დამატებითი ზომები (როგორიცაა კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნა).

4. ევროკავშირის ზოგ წევრ სახელმწიფოში მეურვის ფუნქცია შეიძლება დაეკისროს კერძო ორგანიზაციას, სახელმწიფო უწყებას ან მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ორგანოს.

5. შეინიშნება ევროკავშირის კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ორი ტერმინის არათანმიმდევრულად გამოყენების პრაქტიკა. მაგალითისთვის იხ. ევროკავშირში საერთაშორისო დაცვის ერთიანი პროცედურის შემოღების თაობაზე რეგულაციის (რომელიც ჩაანაცვლებს დირექტივას 2013/32/EU, COM/2020/611) შემუშავების შესახებ განახლებული წინადადების მე-4(2f) მუხლი. აღნიშნული წინადადება ტერმინს 'მეურვე' განსაზღვრავს იმავე მნიშვნელობით, რომლითაც დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(n) მუხლი განსაზღვრავს ტერმინს 'წარმომადგენელი'.

მეურვეთა ევროპული ქსელი (ECN)

BG	Европейска мрежа на институциите за настойничество и попечителство
CS	Evropská síť opatrovníků
DE	Europäisches Netzwerk für Vormundschaft; Europäisches Netzwerk für Obsorge (AT)
EL	Ευρωπαϊκό Δίκτυο Επιτροπείας (EGN)
EN	European Guardianship Network (EGN)
ES	Red Europea de Tutela
ET	Euroopa eestkostevõrgustik
FI	Euroopan huoltajuusverkosto
FR	Réseau européen de tutelle
GA	Líonra Eorpach na Caomhnóireachta (LEC)
HU	Európai Gyámügyi Hálózat
IT	Rete Europea della Tutela
LT	Europos globos institucijų tinklas
LV	Eiropas Aizbildnības tīkls
MT	Netwerk (In-) Ewropew tat-Tutela (NET)
NL	Europees netwerk inzake voogdij (EGN)
PL	europejska sieć opieki
PT	Rede europeia de instituições de tutela (EGN)
RO	Rețeaua europeană de tutelă
SK	Európska sieť pre poručníctvo
SL	Evropska mreža za skrbništvo
SV	European Guardianship Network
NO	Det europeiske vergemålsnettverket (b); Det europeiske verjemålsnettverket (N)
UK	Європейська мережа з питань опіки та піклування (ЄМОП)

განმარტება

ქსელი, რომელიც მიზნად ისახავს თანმხლები პირის გარეშე მყოფი და განცალკევებული ბავშვებისთვის განკუთვნილი სერვისების გაუმჯობესებას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, მეურვეობა/მზრუნველობის სისტემის განვითარების და დარგის პრაქტიკოსებისა და მათი ორგანიზაციების ხელშეწყობის გზით.

წყარო

ECN-ის ვებგვერდი

სინონიმი

- ECN

დაკავშირებული ტერმინები

- მეურვე/მზრუნველი
- თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი
- განცალკევებული ბავშვი

შენიშვნები

1. მეურვეთა ევროპული ქსელის შექმნისკენ მიმართული პირველი ნაბიჯები 2005 წელს გადაიდგა. მას შემდეგ ევროკომისიის დაფინანსებით, ინტეგრაციის ევროპული პროგრამისა და მიგრაციის, უფლებების, თანასწორობისა და მოქალაქეობის პროგრამის ფარგლებში, არაერთი პროექტი განხორციელდა. ევროკავშირსა და წევრ ქვეყნებში მეურვეობის სფეროში პროფესიონალური მიდგომების დანერგვის მზარდი ტენდენციის საპასუხოდ, 2019 წლის დასაწყისში ქსელი უფრო ოფიციალურ, წევრობაზე დაფუძნებულ ინსტიტუციად გარდაიქმნა.

2. ქსელის საქმიანობა მიმართულია მეურვეობის სისტემაში პროფესიონალური მიდგომების დანერგვისკენ, რაც, საბოლოოდ, მიზნად ისახავს სისტემაში მყოფ ბავშვებზე მიმართული ქმედების ეფექტიანობის ზრდას.

მთავრობათაშორისი კონსულტაციები მიგრაციის, თავშესაფრისა და ლტოლვილთა საკითხებზე (IGC)

BG	Междуправителствени консултации по миграция, убежище и бежанци
CS	Mezivládní konzultace k migraci, azylu a uprchlictví
DE	Zwischenstaatliche Beratungen über Migration, Asyl und Flüchtlinge
EL	Οργανισμός Διακυβερνητικών Διαβουλεύσεων για τη μετανάστευση, το άσυλο και τους πρόσφυγες
EN	Intergovernmental Consultations on Migration, Asylum and Refugees (IGC)
ES	Consultas Intergubernamentales sobre Asilo, Refugio y Migración
ET	valitsustevahelised konsultatsioonid rände-, varjupaiga- ja pagulasteemal
FI	Euroopan, Pohjois-Amerikan ja Australian turvapaikka-, pakolais- ja siirtolaispolitiikkoja käsittelevät hallitustenväliset neuvottelut / IGC
FR	Consultations intergouvernementales sur les politiques d'asile, de réfugiés et de migrations
GA	Comhairliúcháin Idir-Rialtasacha maidir le hImirce, Tearmann agus Dídeanaithe
HU	Kormányközi Tanácskozás / Együttműködés a Migrációról és a Menekültügyről
IT	Consultazioni Inter-Governative in materia di Immigrazione, Asilo e Rifugiati
LT	Tarpvyriausybinės konsultacijos migracijos, prieglobsčio ir pabėgėlių klausimais
LV	Starpvaldību konsultācijas par migrācijas, patvēruma un bēgļu jautājumiem
MT	Konsultazzjonijiet Intergovernattivi fuq Migrazzjoni,Ażil u Rifuġjati
NL	Intergouvernementeel overleg inzake migratie, asiel en vluchtelingen
PL	międzyrządowe konsultacje nt. migracji, azylu i uchodźców
PT	Consultas Intergovernamentais sobre Migrações, Asilo e Refugiados
RO	Consultări interministeriale cu privire la migrație, azil şi refugiați
SK	Medzivládne konzultácie o migrácii, azyle a utečencoch
SL	Medvladna posvetovanja o migraciji, azilu in beguncih
SV	IGC / Intergovernmental Consultations on Migration, Asylum and Refugees (no usual translation)
NO	Flernasjonal informasjonsutveksling om migrasjons, asyl- og flyktningspørsmål
UK	Міжурядові консультації з питань міграції, притулку та біженців (IGC)

განმარტება

საერთაშორისო მიგრაციული ნაკადების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე მთავრობებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და პოლიტიკური მსჯელობისთვის განკუთვნილი, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების არმქონე არაფორმალური ფორუმი, რომელშიც მონაწილეობენ ამ ფორუმის წვერი სახელმწიფოები, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR), მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) და ევროკომისია.

წყარო

IGC-ს ვებგვერდი

სინონიმი

★ IGC

შენიშვნები

1. IGC-ს საფუძველი 1985 წლის მაისში UNHCR-ის ეგიდით გამართულ კონფერენციაზე ჩაეყარა. მიუხედავად იმისა, რომ მის ძირითად ფოკუსს თავშესაფრის საკითხები წარმოადგენდა, 2006 წლიდან მთავრობათაშორისი კონსულტაციების სფერო გაფართოვდა და მიგრაციის ზოგად პოლიტიკაზე მსჯელობას და ინფორმაციის გაცვლას ეთმობა.

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. IGC-ის ვებგვერდი.

მიგრანტების განმეორებითი გადაადგილება

BG	вторично движение на мигранти
CS	druhotný pohyb migrantů
DE	Sekundärmigration
EL	δευτερογενής μετακίνηση μεταναστών
EN	secondary movement of migrants
ES	movimientos migratoris secundarios
ET	sisserändajate teisene (riikidevaheline) liikumine
FI	maahanmuuttajien toissijainen siirtyminen
FR	mouvement secondaire de migrants
GA	athghluaiseacht imirceach
HU	másodlagos migrációs mozgás
IT	movimento secondario di migranti
LT	antrinis migrantų judėjimas (EU acquis); migrantų pakartotinis judėjimas
LV	migrantu tālāka pārvietošanās
MT	Moviment sekondarju ta' migranti
NL	secundaire migratiestroom
PL	wtórny przepływ migrantów
PT	movimento secundário de migrantes
RO	mișcare secundară a migranților
SK	sekundárny pohyb migrantov
SL	sekundarno gibanje migrantov
SV	sekundär migration
NO	sekundærflytting
UK	вторинне переміщеннася мігрантів

განმარტება

მიგრანტების (მათ შორის, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებლების) გადაადგილება, როდესაც ისინი, სხვადასხვა მიზეზის გამო, პირველი მიმღები ქვეყნიდან გადაადგილდებიან სხვა ქვეყანაში, დაცვის ძიების ან მუდმივი განსახლების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის აღმასრულებელი კომიტეტის (ExCom) N58 დასკვნა, 1989 წ.

სინონიმები

- განმეორებით გადაადგილებული მიგრანტი
- თავშესაფრის მაძიებლებისა და ლტოლვილების განმეორებითი გადაადგილება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **თავშესაფრის უფლებით ვაჭრობა**

შენიშვნები

1. მიგრანტები განმეორებით გადაადგილდებიან ეროვნულ ხელისუფლებასთან შეთანხმების გარეშე და ამ მიზნით შესაძლოა გამოიყენონ ვიზა (რომლის საფუძველზეც შევიდნენ აღნიშნულ ქვეყანაში, მაგრამ დარჩნენ ნებადართულზე მეტი ვადით); გადაადგილდნენ ვიზის გარეშე ან მგზავრობისთვის საჭირო დოკუმენტებით, დოკუმენტების გარეშე ან არასრული დოკუმენტებით, ან გაყალბებული დოკუმენტებით.

2. ევროკავშირის კონტექსტში, დუბლინის III რეგულაციის (რეგულაცია (EN) N604/2013) მიზანია EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოთა შორის საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა განმეორებითი გადაადგილების თავიდან აცილება. რეგულაციის მე-3(1) მუხლი ადგენს, რომ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება უნდა განიხილოს ევროკავშირის ერთმა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც უნდა განისაზღვროს ამავე რეგულაციის მე-3 თავით დადგენილი პასუხისმგებლობის კრიტერიუმების შესაბამისად.

მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX)

BG	Индекс за политиката на интеграция на мигрантите (MIPEX)
CS	Index integračních politik migrantů (MIPEX)
DE	Index der Integrationspolitik im Bereich Migration / Migrationsintegrationspolitikindex (MIPEX)
EL	
EN	Migrant Integration Policy Index (MIPEX)
ES	
ET	sisserändajate integratsioonipoliitika indeks (MIPEX)
FI	Maahanmuuttajien kotoutumisindeksi
FR	index des politiques d'intégration des migrants (MIPEX)
GA	
HU	Migráns Integrációs Szakpolitikai Index
IT	
LT	
LV	Migrantu integrācijas politikas indekss (MIPEX)
MT	Indiċi (L-) tal-Politiki dwar l-Integrazzjoni tal-Migranti (MIPEX)
NL	
PL	Indeks Polityki Integracji Migrantów (MIPEX)
PT	
RO	
SK	Index politík integrácie migrantov / Index integračných politík (MIPEX)
SL	Indeks politike vključevanja migracij (MIPEX)
SV	det integrationspolitiska indexet MIPEX
NO	MIPEX – en internasjonal integreringsindeks som sammenligner og rangerer integreringspolitikk (b); MIPEX – ein internasjonal integreringsindeks som samanliknar og rangerer integreringspolitikk (n)
UK	Індекс політики інтеграції іммігрантів (MIPEX)

განმარტება

ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც ფასდება მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკა ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, ასევე დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიაში, ისლანდიაში, ნორვეგიაში, ასევე ავსტრალიაში, კანადაში, იაპონიაში, ახალ ზელანდიაში, სამხრეთ კორეაში, თურქეთსა და აშშ-ში.

წყარო

MIPEX-ის ვებგვერდი

სინონიმი

★ MIPEX

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ინტეგრაციის ინდიკატორები**

★ **სარაგოსის დეკლარაცია ინტეგრაციის შესახებ**

შენიშვნები

1. მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX) მოიცავს პოლიტიკის 167 ინდიკატორს პოლიტიკის რვა სხვადასხვა სფეროში (მობილობა შრომის ბაზარზე, ოჯახის გაერთიანება, განათლება, პოლიტიკური ჩართულობა, გრძელვადიანი ბინადრობა, მოქალაქეობის ხელმისაწვდომობა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ჯანმრთელობის დაცვა), რომლებიც ასახავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიგრანტთა ჩართულობისთვის არსებულ შესაძლებლობათა მრავალგანზომილებიან სურათს.

2. მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX) პირველად 2004 წელს გამოქვეყნდა, როგორც მოქალაქეობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის ევროპული ინდექსი.

3. მიგრანტთა ინტეგრაციის პოლიტიკის ინდექსი (MIPEX) სასარგებლო ინსტრუმენტს წარმოადგენს იმ პოლიტიკის შესაფასებლად და შესადარებლად, რომელსაც მიმღები სახელმწიფოები ატარებენ მიგრანტთა ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით.

მიგრანტთა ჯგუფი

BG	брой на мигрантите
CS	počet imigrantů (stav k)
DE	Anzahl der Einwanderer
EL	μεταναστευτικό απόθεμα / απόθεμα πληθυσμού μεταναστών
EN	migrant stock
ES	población inmigrante
ET	sisserändajate arv
FI	maahanmuuttajaväestön määrä
FR	stock de migrants
GA	lion na n-imirceach
HU	bevándorlók száma
IT	stock di migranti
LT	migrantų skaičius
LV	migrantu skaits (1. janvārī)
MT	Rendikont tal-migranti
NL	migrant stock (no usual translation)
PL	populacja migrantów w danym momencie
PT	stock migratório
RO	stoc de migranți
SK	stav migrantov
SL	število migrantov
SV	antal migranter
NO	antall registrert bosatte innvandrere (b); tal på registrert busette innvandrarar (n)
UK	чисельність мігрантів

განმარტება

მიგრანტთა რიცხოვნობა მოცემულ ტერიტორიაზე შესაბამისი წლის კონკრეტული თარიღისთვის (მაგ., 1 იანვარს ან 31 დეკემბერს).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროსტატი: სამუშაო დოკუმენტები და კვლევები (3/2003/E/no25)

სინონიმები

- იმიგრანტი მოსახლეობა
- მიგრანტთა ჯგუფი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- **მოსახლეობის ჯგუფი**
- **უცხოელთა ჯგუფი**

დაკავშირებული ტერმინი

- **ქვეყნის უცხოელი მოსახლეობა**

მიგრანტი

BG	мигрант
CS	migrant
DE	Migrant
EL	μετανάστης
EN	migrant
ES	persona migrante
ET	sisserändaja
FI	maahanmuuttaja / maastamuuttaja
FR	migrant
GA	imirceach
HU	migráns
IT	migrante
LT	migrantas
LV	migrants
MT	Migrant(a)
NL	migrant
PL	migrant
PT	migrante
RO	migrant
SK	migrant
SL	migrant
SV	migrant
NO	migrant
UK	мігрант

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ, სხვა ქვეყანაში, 1 წელზე მეტი ხნით, მიუხედავად მიზეზებისა (ნებაყოფლობითი თუ იძულებითი) და გამოყენებული საშუალებებისა (კანონიერი თუ უკანონო).

ევროკავშირის/ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EU/EFTA) კონტექსტში, პირი, რომელიც EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების შემდეგ მუდმივად სახლდება EU/EFTA-ს წევრი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს, ან რომელიც EU/EFTA-ს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების შემდეგ წყვეტს მუდმივად ცხოვრებას EU/EFTA-ს ამ წევრ სახელმწიფოში ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

მიგრანტი [გაგრძ.]

წყაროები

ზოგადი კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროსტატის ცნებებისა და განმარტებების მონაცემთა ბაზა და საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ეკონომიკური მიგრანტი
- ემიგრანტი
- იძულებითი მიგრანტი
- იმიგრანტი
- გრძელვადიანი მიგრანტი
- მოკლევადიანი მიგრანტი
- ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტი

დაკავშირებული ტერმინი

- მიგრაცია

შენიშვნები

1. საერთაშორისო დონეზე ტერმინის 'მიგრანტი' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს, მაგრამ საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკისა და მოსახლეობის აღწერის შესახებ გაეროს რეკომენდაციებით, ერთი წლის ვადა არის განსაზღვრული იმისთვის, რომ მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ცვლილება განისაზღვროს, როგორც მიგრაცია.

2. გაეროს განმარტების თანახმად, პირები, რომლებიც შედარებით მოკლე პერიოდით მოგზაურობენ ტურისტული ან ბიზნესსაქმიანობის მიზნით, მიგრანტებად არ ჩაითვლებიან. თუმცა გავრცელებულია მცირე ვადით მიგრირებულ პირთა, როგორებიც არიან სეზონური მუშაკები, მოხსენიება 'მოკლევადიან მიგრანტებად'.

3. ტერმინი 'მიგრანტი', ჩვეულებრივ, მოიცავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც მიგრაციის შესახებ გადაწყვეტილებას დაინტერესებული პირი იღებს ძალდაუტანებლად, პირადი საჭიროების გამო და გარე დაუძლეველი გარემოების არსებობის გარეშე; შესაბამისად, აღნიშნული ტერმინი გამოიყენება იმ პირებისა და მათი ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც სხვა ქვეყანაში ან რეგიონში მიემგზავრებიან თავიანთი მატერიალური ან სოციალური პირობების გაუმჯობესებისა და საკუთარი ან ოჯახის წევრებისთვის უკეთესი მომავლის პერსპექტივის შექმნის მიზნით.

4. აღნიშნული განმარტება არ მოიცავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეთა ან მობინადრეთა მობილობას ევროკავშირის ფარგლებში, თუმცა საერთაშორისო მიგრაციის ცნებები (და წევრი სახელმწიფოების ეროვნული სტატისტიკა) შეიძლება მოიცავდეს მობილობას.

მიგრაცია

BG	миграция
CS	migrace
DE	Migration
EL	μετανάστευση
EN	migration
ES	migración
ET	ränne
FI	muuttoliike / siirtolaisuus
FR	migration
GA	imirce
HU	migráció
IT	migrazione
LT	migracija
LV	migrācija
MT	Migrazzjoni
NL	migratie
PL	migracja
PT	migração
RO	migrație
SK	migrácia
SL	migracija
SV	migration
NO	migrasjon
UK	міграція

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირის საერთაშორისო საზღვარზე (საერთაშორისო მიგრაცია) ან ქვეყნის შიგნით (შიდა მიგრაცია) გადაადგილება ერთ წელზე მეტი ხნით, მიუხედავად მიზეზებისა (ნებაყოფლობითი თუ იძულებითი) და მიგრაციისთვის გამოყენებული (კანონიერი თუ უკანონო) საშუალებებისა.

ევროკავშირის/ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EU/EFTA) კონტექსტში, მოქმედება, როდესაც პირი: ა) EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში მუდმივად ცხოვრების შემდეგ მუდმივად სახლდება EU/EFTA-ს წევრი სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს, ან ბ) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მუდმივად ცხოვრების შემდეგ წყვეტს მუდმივად ცხოვრებას EU/EFTA-ს ამ წევრ სახელმწიფოში ვადით, რომელიც შეადგენს ან მოსალოდნელია, რომ შეადგენს მინიმუმ 12 თვეს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები
OECD-ს სტატისტიკის ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ ეკონომიკური მიგრაცია
- ★ ემიგრაცია
- ★ იძულებითი მიგრაცია
- ★ იმიგრაცია
- ★ კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაცია
- ★ ლეგალური მიგრაცია
- ★ გრძელვადიანი მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

- ★ (იძულებითი) გადაადგილება
- ★ მიგრანტი

შენიშვნები

1. საერთაშორისო დონეზე 'მიგრაციის' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს.

2. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM) 'მიგრაციას' შემდეგნაირად განმარტავს: „საერთაშორისო საზღვარზე (საერთაშორისო მიგრაცია) ან ქვეყნის შიგნით (შიდა მიგრაცია) პირის ან პირთა ჯგუფის გადაადგილება, განურჩევლად მისი ხანგრძლივობისა, შემადგენლობისა და გამომწვევი მიზეზებისა.“ ეს ფართო განმარტება მოიცავს მიგრაციის ყველა ფორმას (ნებაყოფლობითი/იძულებითი მიგრაცია, ქვეყნის შიგნით/საერთაშორისო მიგრაცია, გრძელვადიანი/მოკლევადიანი მიგრაცია), მიგრაციის სხვადასხვა მოტივს (პოლიტიკური დევნით, კონფლიქტებით, ეკონომიკური პრობლემებით, გარემოს გაუარესებით ან აღნიშნული მიზეზების ერთობლიობით გამოწვეული მიგრაცია), აგრეთვე მიგრაციას უკეთესი ეკონომიკური პირობების ძიების, გადარჩენის ან კეთილდღეობის მიზნით ან მიგრაციის სხვა მოტივებს (როგორიცაა, მაგ., ოჯახის გაერთიანება); მიგრაციისთვის გამოყენებული (კანონიერი თუ უკანონო) საშუალებების მიუხედავად. ამდენად, ცნება მოიცავს ლტოლვილების, იძულებით გადაადგილებული პირების, ეკონომიკური მიგრანტების და სხვა მიზნებით (მათ შორის, ოჯახის გაერთიანების მიზნით) მიგრაციას.

3. გაეროს განმარტების თანახმად, მიგრაციად არ ჩაითვლება 'შედარებით მოკლე პერიოდით გადაადგილება'.

მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი

BG	европейска програма за миграцията
CS	Evropský program pro migraci
DE	Europäische Migrationsagenda / Europäische Agenda für Migration
EL	Ευρωπαϊκή ατζέντα για τη μετανάστευση
EN	European Agenda on Migration
ES	Agenda Europea de Migración
ET	Euroopa rändekava
FI	Euroopan muuttoliikeagenda
FR	agenda européen en matière de migration
GA	Clár Oibre Eorpach maidir leis an Imirce
HU	Európai Migrációs Stratégia
IT	Agenda europea sulla migrazione
LT	Europos migracijos darbotvarkė
LV	Eiropas programma migrācijas jomā
MT	Aġenda (L-) Ewropea dwar il-Migrazzjoni
NL	Europese migratieagenda
PL	Europejska Agenda na Rzecz Migracji
PT	Agenda Europeia da Migração
RO	Agenda europeană privind migrația
SK	Európska migračná agenda
SL	Evropska agenda o migracijah
SV	Europeisk migrationsagenda
NO	Europeisk migrasjonsagenda
UK	Європейський порядок денний з питань міграції

განმარტება

2015 წლის მაისში წარდგენილი, ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს მიგრაციის მართვის ყოვლისმომცველ მიდგომას თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროში არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის და განსაზღვრავს ზომებს, მიმართულს ძლიერი საზღვრების, სამართლიანი პროცედურებისა და მდგრადი სისტემის შექმნისკენ, რომელსაც ექნება თავშესაფრისა და მიგრაციის სფეროში შესაძლო სამომავლო პრობლემების პროგნოზირების შესაძლებლობა.

წყარო

ევროკომისია: კომუნიკე მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის შესახებ (COM(2015) 240)

დაკავშირებული ტერმინი

★ **მიგრაციის საკითხებზე პარტნიორობის ჩარჩო**

შენიშვნები

1. მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი ევროკომისიამ 2015 წლის 13 მაისს წარმოადგინა.

2. დღის წესრიგი განსაზღვრავს მოკლევადიან და გრძელვადიან პრიორიტეტებს, რომლებიც ფოკუსირებულია შემდეგ ოთხ საყრდენზე:

– თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS);

– ლეგალური მიგრაციის ახალი ევროპული პოლიტიკა;

– არალეგალური მიგრაციისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება;

– ევროკავშირის გარე საზღვრების დაცვა.

3. მიგრაციის საკითხებზე მესამე ქვეყნებთან პარტნიორობის ჩარჩო მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის ფარგლებში 2016 წლის ივნისში ამოქმედდა (კომუნიკე COM(2016)385, საბოლოო რედაქცია). აღნიშნულის საფუძველზე მიგრაცია გახდა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი და ჩამოყალიბდა ევროკავშირის ყოვლისმომცველი, თანამშრომლობის პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომა, გამიზნული მიგრაციული ნაკადების უკეთ მართვისთვის. შემუშავდა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგებული შეთანხმებები ('compacts') წარმომავლობის (წარმოშობის) და ძირითად სატრანზიტო მესამე ქვეყნებთან შემდეგი მოკლევადიანი მიზნებისთვის:

– ხმელთაშუა ზღვაში ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა;

– წარმომავლობის (წარმოშობის) და სატრანზიტო ქვეყნებში დაბრუნების მაჩვენებლის გაზრდა;

– მიგრანტებისა და ლტოლვილების სახლთან ახლოს დარჩენის უზრუნველყოფა.

4. გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირმა უნდა გააღრმაოს ძალისხმევა არალეგალური მიგრაციისა და იძულებითი გადაადგილების ძირეული მიზეზების აღმოსაფხვრელად და მიმღები საზოგადოებისა და შესაბამისი ინსტიტუციების შესაძლებლობათა ზრდის უზრუნველსაყოფად.

მიგრაციის ევროპული ფორუმი (EMF)

BG	Европейски форум за миграцията (ЕФМ)
CS	Evropské migrační fórum (EMF)
DE	Europäisches Migrationsforum (EMF)
EL	Ευρωπαϊκό Φόρουμ για τη Μετανάστευση (ΕΦΜ/EMF)
EN	European Migration Forum (EMF)
ES	Foro Europeo de Migración
ET	Euroopa rändefoorum
FI	Euroopan muuttoliikefoorumi
FR	Forum européen sur la migration (FEM)
GA	Fóram Eorpach um Imirce
HU	Európai Migrációs Fórum
IT	Forum europeo della migrazione
LT	Europos migracijos forumas
LV	Eiropas migrācijas forums
MT	Forum (Il-) Ewropew tal-Migrazzjoni (FEM)
NL	Europees Migratieforum
PL	Europejskie Forum Migracji
PT	Fórum Europeu das Migrações (FEM)
RO	Forumul european privind migrația (FEM)
SK	Európske fórum pre migráciu
SL	evropski forum za migracije / evropski migracijski forum
SV	Europeiskt migrationsforum
NO	European Migration Forum (EMF)
UK	Європейський форум із питань міграції (EMF)

განმარტება

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ევროპულ ინსტიტუტებს შორის დიალოგის პლატფორმა ინტეგრაციასთან, იმიგრაციასა და თავშესაფართან დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება და ორი სამუშაო დღე ეთმობა.

წყარო

მიგრაციის ევროპული ფორუმის აღწერა იხილეთ DG Home-ის ვებგვერდზე

სინონიმი

★ EMF

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

დაკავშირებული ტერმინი

★ **ინტეგრაციის ევროპული ქსელი (EIN)**

შენიშვნა

EMF 2015 წელს შეიქმნა და ინტეგრაციის ევროპული ფორუმი ჩაანაცვლა. მისი გაფართოებული მოქმედების სფერო, გარდა ინტეგრაციის საკითხებისა, მოიცავს იმიგრაციისა და თავშესაფართან დაკავშირებულ საკითხებსაც.

მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN)

BG	Европейска мрежа за миграция
CS	Evropská migrační síť
DE	Europäisches Migrationsnetzwerk
EL	Ευρωπαϊκό Δίκτυο Μετανάστευσης
EN	European Migration Network (EMN)
ES	Red Europea de Migraciones
ET	Euroopa rändevõrgustik
FI	Euroopan muuttoliikeverkosto
FR	Réseau européen des migrations
GA	Gréasán Imirce na hEorpa
HU	Európai Migrációs Hálózat
IT	Rete Europea sulle Migrazioni
LT	Europos migracijos tinklas
LV	Eiropas migrācijas tīkls
MT	Netwerk (In-) Ewropew tal-Migrazzjoni
NL	Europees Migratienetwerk
PL	Europejska Sieć Migracyjna
PT	Rede Europeia das Migrações
RO	Rețeaua europeană de migrație
SK	Európska migračná sieť
SL	Evropska migracijska mreža
SV	Europeiska migrationsnätverket
NO	Det europeiske migrasjonsnettverket
UK	Європейська міграційна мережа (ЄММ)

განმარტება

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით 2008/381/EC შექმნილი მიგრაციისა და თავშესაფრის ექსპერტთა ქსელი, რომელიც ევროკავშირის ინსტიტუტებს, ასევე, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სამთავრობო სტრუქტურებსა და ინსტიტუტებს აწვდის განახლებულ, ობიექტურ, სანდო და შედარებად ინფორმაციას მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე, რაც გამიზნულია ევროკავშირის მიერ აღნიშნულ სფეროებში პოლიტიკის შემუშავების მხარდასაჭერად.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების 2008/381/EC (გადაწყვეტილება მიგრაციის ევროპული ქსელის შექმნის შესახებ) 1-ელი მუხლი

სინონიმი

- EMN

დაკავშირებული ტერმინები

- აფრიკის, კარიბის ზღვის აუზისა და წყნარი ოკეანის ქვეყნების (ACP) მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი
- ევროკავშირის საიმიგრაციო პორტალი
- ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)
- ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA)
- ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)
- ევროსტატი
- ეროვნული საკონტაქტო პირები ინტეგრაციის საკითხებში

შენიშვნები

1. მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN) შეიქმნა 2008 წელს ევროპული საბჭოს სახელით, ევროკომისიის მიერ, მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებზე სანდო და ობიექტური ინფორმაციის რეგულარულად გაცვლის მიზნით ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოთა შორის. ქსელის მეშვეობით ასევე ხდება აღნიშნულ საკითხებზე ფართო დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება.

2. EMN-ის საქმიანობის კოორდინაციას ახდენს ევროკომისიის მიგრაციისა და საშინაო საქმეთა დირექტორატი (DG Home); ხოლო თავად ქსელი საქმიანობას წარმართავს სერვისპროვაიდერების მეშვეობით და ეროვნულ საკონტაქტო პირებთან (NCP) თანამშრომლობით ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში, რომლებსაც განსაზღვრავს შესაბამისი ეროვნული მთავრობა. ჩვეულებრივ, NCP-ები წარმოადგენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, მიგრაციის საკითხებზე მომუშავე სპეციალურ სამთავრობო სტრუქტურას, კვლევით ინსტიტუტს, არასამთავრობო ორგანიზაციას ან საერთაშორისო ორგანიზაციის ეროვნულ ოფისს. ქსელს NCP-ები ჰყავს ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში (დანიის გარდა). ნორვეგია, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, მონტენეგრო, სომხეთი და სერბეთი არიან ქსელის წევრები დამკვირვებლის სტატუსით, თუმცა ქსელში წარმოდგენილი ჰყავთ თავიანთი NCP-ები. NCP ების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხ. EMN-ის ვებგვერდი.

მიგრაციის ევროპული ქსელი (EMN) [გაგრძ.]

EMN ის საქმიანობის პოლიტიკურ და სტრატეგიულ ხელმძღვანელობას წარმართავს მმართველი საბჭო, რომელიც შედგება ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს, ევროკომისიისა და ევროპარლამენტის წარმომადგენლებისგან. ქსელი ფინანსდება ევროკომისიის მიერ თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის (AMIF) ფონდის მეშვეობით.

3. EMN აწარმოებს ანგარიშებს, კვლევებსა და სხვა პუბლიკაციებს, რომლებშიც გაანალიზებულია მიგრაციისა და თავშესაფრის პოლიტიკა და აღწერილია საკანონმდებლო სიახლეები აღნიშნულ სფეროებში. EMN აქვეყნებს შესაბამის უახლეს ინფორმაციას კვარტალურ ბიულეტენებში და აწარმოებს თავშესაფრისა და მიგრაციის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონს.

EMN-ის პროდუქტებია:

– მიგრაციისა და თავშესაფრის ყოველწლიური ანგარიშები;

– თემატური კვლევები;

– სხვადასხვა პრიორიტეტულ საკითხზე მომზადებული ინფორმები;

– ქვეყნის მიმოხილვა;

– სპეციალური გამოკითხვები.

EMN ასევე ატარებს ვებინარებს, მრგვალ მაგიდებს, კონფერენციებსა და სხვა თემატურ ღონისძიებებს ევროკავშირისა და წევრ სახელმწიფოთა დონეზე.

4. EMN თანამშრომლობს სხვა ევროპულ ორგანიზაციებთან (როგორებიცაა ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA), ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex)), ინსტიტუციებთან და ევროკავშირის დაფინანსებით მოქმედ ქსელებთან (მაგ., დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ევროპული ქსელი და დაბრუნების ინტეგრირებული მართვის ევროპული ინიციატივა) ლეგალური მიგრაციის, არალეგალური მიგრაციისა და დაბრუნების საკითხებში. EMN ასევე თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორებიცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD).

5. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN-ის ვებგვერდი.

მიგრაციის მაიძულებელი (push) ფაქტორი

BG	отблъскващ фактор
CS	push faktor
DE	Push-Faktor
EL	αιτία φυγής / παράγοντας απώθησης
EN	push factor
ES	factor de expulsión
ET	tõukefaktor
FI	työntötekijä
FR	facteur de répulsion
GA	toisc bhrú
HU	taszító tényező / push faktor
IT	fattore di spinta
LT	stūmimo veiksnys
LV	atgrūšanas faktors
MT	Fattur ta' ripulsjoni / ta' tbarrija
NL	push factor / afstotende factor
PL	czynik wypychający
PT	fator de afastamento / push factor
RO	push factor
SK	nútiaci faktor / push faktor
SL	dejavnik spodbujanja
SV	push-faktor
NO	skyvfaktor (b); skuvfaktor (n)
UK	фактор виштовхування

განმარტება

მდგომარეობა ან გარემოება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, რომელიც (რომლებიც) უბიძგებს პირს ემიგრაციისკენ ან ახდენს ემიგრაციის სტიმულირებას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაციის მამოძრავებელი (push-pull) ფაქტორები**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მიგრაციის მიმზიდველი (pull) ფაქტორი**

შენიშვნა

როგორც „ევროპული რეინტეგრაციის ქსელის“ პროექტმა გამოავლინა, მიგრაციის მაიძულებელი ფაქტორი შეიძლება გააქტიურდეს ერთი კონკრეტული ან რამდენიმე მიზეზის გამო, როგორიცაა, მაგალითად, გაუარესებული ეკონომიკური შესაძლებლობები ან პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც ახდენს ემიგრაციის სტიმულირებას.

მიგრაციის მამოძრავებელი (push-pull) ფაქტორები

BG	фактори на привличане и отблъскване
CS	push-pull faktor
DE	Push-Pull-Faktor
EL	παράγοντες απώθησης και έλξης
EN	push-pull factor
ES	factores de expulsión / atracción
ET	tõuke-tõmbefaktor
FI	työntö- ja vetotekijä
FR	facteur de répulsion et d'attraction
GA	toisc bhrú is tarraingthe
HU	taszító-vonzó tényező / push-pull factor
IT	fattore di spinta-attrazione
LT	stūmimo-traukos veiksnys
LV	atgrūšanas-pievilkšanas faktors / motivētājfaktors
MT	Fattur ta' ripulsjoni-attrazzjoni / ta' ġibda-tbarrija
NL	push-pull factor
PL	czynnik wypychający i przyciągający
PT	fator de afastamento - fator de atração
RO	push-pull factor
SK	motivačný faktor / push-pull faktor
SL	dejavnik spodbujanja in privabljanja
SV	push- och pull-faktor
NO	skyv-trekk-faktor (b); skuv-trekk-faktor (n)
UK	фактор притягування-вишитовхування

განმარტება

ფაქტორები, რომლებიც იწვევს ან გავლენას ახდენს ადამიანის გადაწყვეტილებაზე მიგრაციასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს მის სხვა ქვეყანაში მიზიდვას (მიმზიდველი ფაქტორები) ან ემიგრაციის იძულებას/სტიმულირებას (მაიძულებელი ფაქტორები).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ მიგრაციის მიმზიდველი (pull) ფაქტორი
- ★ მიგრაციის მაიძულებელი (push) ფაქტორი

მიგრაციის მართვის მხარდაჭერის ჯგუფი

BG	екип за подкрепа при управлението на миграцията
CS	podpůrný tým pro řízení migrace
DE	Team zur Unterstützung der Migrationsverwaltung
EL	ομάδα στήριξης για τη διαχείριση των μεταναστευτικών ροών
EN	migration management support team
ES	equipo de apoyo a la gestión de la migración
ET	rände haldamise tugirühm
FI	maahanmuuton hallinnan tukitiimi
FR	équipe d'appui à la gestion des flux migratoires
GA	Foireann Tacaíochta do Bhainistiú na hImirce
HU	Migrációkezelést Támogató Csapat
IT	Squadra di sostegno per la gestione della migrazione
LT	migracijos valdymo rėmimo grupė
LV	migrācijas pārvaldības atbalsta vienība
MT	Tim ta' appoġġ għall-immaniġjar tal-migrazzjoni
NL	ondersteuningsteam voor migratiebeheer
PL	Zespół ds. Wsparcia Zadządzania Migracjami
PT	equipa de apoio à gestão dos fluxos migratórios
RO	echipă de sprijin pentru gestionarea migrației
SK	podporný tím pre riadenie migrácie
SL	Podporna skupina za upravljanje migracij
SV	stödgrupp för migrationshantering
NO	støttegruppe for arbeid med innvandringsregulering
UK	команда підтримки управління міграцією

განმარტება

ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ცხელი წერტილების ზონებში მდებარე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერას ტექნიკურ და ოპერაციულ დონეზე და რომელიც დაკომპლექტებულია წევრი ქვეყნების მიერ მივლენილი ექსპერტებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, წარმოადგენენ ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტოს (Frontex), ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს (EUAA), ევროპოლს და ევროკავშირის სხვა შესაბამის უწყებებს.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/1624 (რეგულაცია ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის შესახებ) მე-2(9) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ცხელი წერტილის მიდგომა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ცხელი წერტილის ზონა

შენიშვნა

ჯგუფში შესაძლოა ასევე წარმოდგენილი იყვნენ აღნიშნული სააგენტოების მიერ წარგზავნილი ეროვნული ექსპერტებიც. მხარდაჭერის ჯგუფების შემადგენლობა და გამოცდილება მორგებულია ცხელი წერტილის ზონებში არსებულ კონკრეტულ ვითარებასა და საჭიროებებზე.

მიგრაციის მარშრუტების ინიციატივა

BG	Инициатива за миграционни маршрути
CS	iniciativa migračních tras
DE	Migrationsrouten-Initiative
EL	πρωτοβουλία μεταναστευτικών οδών
EN	migration routes initiative
ES	iniciativa de rutas migratorias
ET	rändeteede meede
FI	muuttoreittejä koskeva aloite
FR	initiative relative aux routes migratoires
GA	Tionscnamh um Bhealaí Imirce
HU	migrációs útvonalak kezdeményezés
IT	Iniziativa Rotte migratorie
LT	Migracijos maršrutų iniciatyva
LV	migrācijas ceļu iniciatīva
MT	Inizzjattiva fir-rigward tar-rotot migratorji
NL	migratieroutes initiatief
PL	Inicjatywa ds. Szlaków Migracyjnych
PT	iniciativa sobre rotas migratórias
RO	inițiativa cu privire la rutele de migrație
SK	iniciatíva migračných trás
SL	pobuda glede migracijskih poti
SV	migration routes initiative (no usual translation)
NO	initiativ i tilknytning til migrasjonsruter (b); initiativ i tilknyting til migrasjonsruter (n)
UK	ініціатива зі шляхів міграції

განმარტება

ინიციატივა, რომლის ფარგლებშიც განისაზღვრება ევროკავშირის მიმართულებით კონკრეტული რეგიონის გავლით მიგრაციის ძირითად მარშრუტებზე განსახორციელებელი საქმიანობა და რომელიც ითვალისწინებს ამ გზებზე მდებარე მესამე ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობას.

წყარო

მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის გამოყენების შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს (COM(2007) 247 საბოლოო რედაქცია) დანართი I, 2 (ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- მიგრაციის მარშრუტი
- გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)

დაკავშირებული ტერმინები

- მიგრაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმა
- მიგრაციის პროფილი
- პარტნიორობა მობილობისთვის

მ

მიგრაციის მარშრუტი

BG	миграционен път
CS	migrační trasa
DE	Migrationsroute
EL	οδός μετανάστευσης
EN	migration route
ES	ruta migratoria
ET	rändetee
FI	maahanmuuttoreitti
FR	route migratoire
GA	bealach imirce
HU	migrációs útvonal
IT	rotta migratoria
LT	migracijos maršrutas
LV	migrācijas ceļš
MT	Rotta migratorja
NL	migratieroute
PL	szlak migracyjny
PT	rota migratória
RO	rută migratorie / rută de migrație
SK	migračná trasa
SL	migracijska pot
SV	migrationsrutt
NO	reiserute ved migrasjon
UK	шлях міграції

განმარტება

გეოგრაფიული მარშრუტი, რომლითაც მიგრანტები და ლტოლვილები წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნიდან დანიშნულების ქვეყნისკენ მიემართებიან სატრანზიტო ზონებში არსებული ჰაბების გავლით, ჩვეულებრივ, შერეულ მიგრაციულ ნაკადებად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ICMPD

მიგრაციის მთლიანი მოცულობა

BG	общ размер на миграцията
CS	celková migrace
DE	Wanderungsvolumen
EL	συνολική μετανάστευση
EN	total migration
ES	migración total
ET	rände koguarv
FI	kokonaismuutto
FR	volume migratoire
GA	imirce iomlán
HU	teljes migráció
IT	migrazione totale
LT	bendra migracija
LV	migrācijas apjoms / bruto migrācija
MT	Migrazzjoni totali
NL	totale migratie
PL	migracja (brutto)
PT	migração bruta
RO	migrație totală
SK	celková migrácia
SL	skupna migracija
SV	bruttomigration
NO	samlet migrasjon (b); samla migrasjon (n)
UK	загальна міграція

განმარტება

იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობის ჯამი, რომელიც შეადგენს მიგრაციის მთლიან მოცულობას.

წყარო

ევროსტატი: პროექტი „საერთაშორისო მიგრაციის შესახებ ჰარმონიზებული ევროპული სტატისტიკისკენ“ (THESIM)

დაკავშირებული ტერმინები

- ★ მიგრაციის სალდოს საერთო კოეფიციენტი
- ★ მიგრაციული ნაკადი
- ★ მიგრაციის სალდო
- ★ მოსახლეობის ჯგუფი

მიგრაციის მიმზიდველი (pull) ფაქტორი

BG	притегателен фактор
CS	pull faktor
DE	Pull-Faktor
EL	πόλος έλξης
EN	pull factor
ES	factor de atracción
ET	tõmbefaktor
FI	vetotekijä
FR	facteur d'attraction
GA	toisc tharraingthe
HU	húzó tényező / vonzó tényező / pull-faktor
IT	fattore di attrazione
LT	traukos veiksnys
LV	pievilkšanas faktors
MT	Fattur t'attrazzjoni / ta' ġibda
NL	pull factor / aantrekkende factor
PL	czynnik przyciągający
PT	fator de atração / pull factor
RO	factor de atragere / pull factor
SK	stimulačný faktor / pull faktor
SL	dejavnik privabljanja
SV	pull-faktor
NO	trekkfaktor
UK	фактор притягування

განმარტება

მდგომარეობა ან გარემოება, რომლებიც იზიდავს მიგრანტს სხვა ქვეყანაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაციის მამოძრავებელი (push-pull) ფაქტორები**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მიგრაციის მაიძულებელი (push) ფაქტორი**

შენიშვნა

როგორც „ევროპული რეინტეგრაციის ქსელის“ პროექტმა გამოავლინა, მიგრაციის მიმზიდველი (pull) ფაქტორი შეიძლება გააქტიურდეს ერთი კონკრეტული ან რამდენიმე მიზეზის გამო, როგორიცაა, მაგალითად, დანიშნულების ქვეყანაში მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობები და განვითარების პოტენციალი.

მიგრაციის პროფილი

BG	миграционен профил
CS	migrační profil
DE	Migrationsprofil
EL	μεταναστευτικό προφίλ / προφίλ μετανάστευσης
EN	migration profile
ES	perfil migratorio
ET	rändeprofiil
FI	muuttoprofiili
FR	profil migratoire
GA	próifíl imirce
HU	migrációs profil
IT	profilo migratorio
LT	migracijos profilis
LV	migrācijas profils
MT	Profil migratorju
NL	migratieprofiel
PL	profil migracyjny
PT	perfil migratório
RO	profil de migrație
SK	migračný profil
SL	migracijski profil
SV	migrationsprofil
NO	migrasjonsprofil
UK	міграційний профіль

განმარტება

ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც თავმოყრილი და გაანალიზებულია ყველა ის ინფორმაცია და მონაცემი, რომელიც მიმართულია მიგრაციისა და განვითარების სფეროში ქვეყნის პოლიტიკის შემუშავებისკენ და წარმოადგენს აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის ინსტრუმენტს.

წყარო

მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის გამოყენების შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს (COM(2007) 247 საბოლოო რედაქცია) დანართი I, 2 (ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი)

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)

დაკავშირებული ტერმინები

- ★ მიგრაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმა
- ★ მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი (GFMD)
- ★ პარტნიორობა მობილობისთვის

შენიშვნები

1. მიგრაციის პროფილები წარმოადგენს ქვეყანაში მიგრაციის მდგომარეობის ამსახველ ანგარიშებს, რომლებიც გამიზნულია მტკიცებულებათა მოგროვებისთვის ქვეყნის მიერ მიგრაციის პოლიტიკის შემუშავების მიზნით. მიგრაციის პროფილებში თავმოყრილია მონაცემები მიგრაციის მიმდინარე ტენდენციების, შრომის ბაზარზე არსებული ვითარების, ფულადი გზავნილების და დიასპორის შესახებ, და ასევე, მოყვანილია განვითარებასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია და შესაბამისი ანალიზი.

2. მიგრაციის პროფილებზე, სხვა ორგანიზაციების პარალელურად, ასევე მუშაობენ IOM და CARIM (საერთაშორისო მიგრაციის გამოყენებითი კვლევის კონსორციუმი). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. IOM-ის ვებგვერდზე არსებული მიგრაციის პროფილების აღწერა.

3. მიგრაციის პროფილები ასევე განთავსებულია GFMD-ის ვებპორტალზე.

4. მიგრაციის პროფილში წარმოდგენილია სახელმწიფოს (და არა ინდივიდუალურ პირთან დაკავშირებული) პოლიტიკისა და პრაქტიკის ანალიზი; ამდენად, ტერმინი არ უნდა იყოს გაგებული, როგორც 'ინდივიდუალური პირის' პროფილირება.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)

BG	Международна организация по миграция
CS	Mezinárodní organizace pro migraci
DE	Internationale Organisation für Migration
EL	Διεθνής Οργανισμός Μετανάστευσης
EN	International Organization for Migration (IOM)
ES	Organización Internacional para las Migraciones
ET	Rahvusvaheline Migratsiooniorganisatsioon
FI	Kansainvälinen siirtolaisuusjärjestö
FR	Organisation internationale pour les migrations
GA	an Eagraíocht Idirnáisiúnta um Imirce
HU	Nemzetközi Migrációs Szervezet
IT	Organizzazione Internazionale per le Migrazioni
LT	Tarptautinė migracijos organizacija
LV	Starptautiskā Migrācijas organizācija
MT	Organizzazzjoni (L-) Internazzjonali għall-Migrazzjoni
NL	Internationale Organisatie voor Migratie
PL	Międzynarodowa Organizacja do Spraw Migracji
PT	Organização Internacional para as Migrações
RO	Organizația Internațională pentru Migrație
SK	Medzinárodná organizácia pre migráciu
SL	Mednarodna organizacija za migracije
SV	International Organization for Migration / Internationella organisationen för migration
NO	Den internasjonale migrasjonsorganisasjonen
UK	Міжнародна організація з міграції (МОМ)

განმარტება

საერთაშორისო მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს მიგრაციის სფეროში და რომლის საქმიანობა მიზნად ისახავს მიგრაციის ორგანიზებული და ჰუმანური მართვის უზრუნველყოფას, მიგრაციის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტის ძიებაში დახმარების გაწევას და ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას შესაბამისი საჭიროების მქონე მიგრანტებისთვის, როგორებიც არიან ლტოლვილები და სხვადასხვა მიზეზით იძულებით ადგილნაცვალი პირები.

წყარო

IOM-ის ვებგვერდი

სინონიმი

★ IOM

დაკავშირებული ტერმინი

★ **გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)**

შენიშვნები

1. IOM შეიქმნა 1951 წელს.

2. IOM მიგრაციის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი მთავრობათაშორისი ორგანიზაციაა, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს სამთავრობო, მთავრობათაშორის და არასამთავრობო პარტნიორებთან.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. IOM-ის ვებგვერდი.

მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EMLO)

BG	европейски служител за връзка по въпросите на миграцията
CS	Evropský styčný důstojník pro migraci
DE	Europäischer Verbindungsbeamter für Migrationsfragen
EL	Αξιωματούχος σύνδεσμος μετανάστευσης της ΕΕ
EN	European migration liaison officer (EMLO)
ES	Funcionario de Enlace europeo para Migración
ET	Euroopa rändeküsimuste sideohvitser
FI	Euroopan muuttoliikeyhteyshenkilö
FR	officier de liaison “migration” européen
GA	oifigeach Eorpach idirchaidrimh imirce
HU	Európai migrációs összekötőtiszt
IT	Funzionario europeo di collegamento incaricato dell’immigrazione
LT	Europos migracijos ryšių palaikymo pareigūnas
LV	Eiropas migrācijas sadarbības koordinators
MT	Uffiċjal (L-) tal-kollegament Ewropew għall-migrazzjoni (UKEM)
NL	Europees migratieverbindingsfunctionaris
PL	Europejski oficer łącznikowy ds. migracji
PT	agente de ligação europeu da migração
RO	ofițer de legătură european în materie de migrație
SK	Európsky styčný dôstojník pre migráciu
SL	evropski uradnik za zvezo za migracije
SV	Europeisk sambandsman för migration
NO	Europeisk sambandsmann for migrasjon
UK	Європейський співробітник зі зв’язку з питань міграції (EMLO)

განმარტება

სპეციალიზებული მეკავშირე ოფიცერი, რომელიც მივლენილია ევროკავშირის დელეგაციებში მესამე ქვეყნებში და რომლის ამოცანაა მიგრაციის სფეროში ევროკავშირის ინტერესების წარმოდგენა და შესაბამისი ქმედებების კოორდინირება, რაც მიზნად ისახავს მესამე ქვეყნებში მიგრაციის კუთხით ევროკავშირის ქმედების გავლენის მაქსიმალიზაციას და წარმომავლობის (წარმოშობის) და სატრანზიტო (ძირითადი) ქვეყნების ჩართულობის ზრდას მიგრაციის სრული ციკლის მართვაში.

წყარო

იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელის შექმნის შესახებ ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის (EC) N377/2004 შეფასება: საბოლოო ანგარიში -კვლევა, 2018 წ.

სინონიმი

- EMLO

დაკავშირებული ტერმინები

- **იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერი (ILO)**
- **დაბრუნების საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცერი (EUR-LO)**

შენიშვნები

1. მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცრები (EMLOs) მჭიდროდ თანამშრომლობენ იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა (ILOs) ქსელთან, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის, ინფორმაციის შეგროვების, გაცვლის და ანალიზის მიზნით.

2. ამოცანების დუბლირების თავიდან ასაცილებლად და იმიგრაციის მეკავშირე ოფიცრების ქსელის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად მიგრაციის საკითხებში მეკავშირე ოფიცრები (EMLOs) არ ერევიან ILO-ების კომპეტენციებსა და ინტერესებში ეროვნულ დონეზე, თუმცა კოორდინაციას უწევენ და მხარს უჭერენ იმიგრაციის მეკავშირე ოფიცერთა ქსელს, ხელს უწყობენ მათ შორის კომუნიკაციას (რეგულარული შეხვედრების ორგანიზებით) და მათ კომუნიკაციას მესამე ქვეყნების სამთავრობო უწყებებთან.

3. მიგრაციის საკითხებში ევროპის მეკავშირე ოფიცრები (EMLO), უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენენ ევროკავშირის ინტერესებს მიმღები ქვეყნის ხელისუფლების ორგანოებთან და ევროკავშირს აწვდიან ინფორმაციას არალეგალური მიგრაციის საკითხებზე.

მ

მიგრაციის სალდო

BG	нетна миграция
CS	saldo migrace
DE	Nettomigration
EL	καθαρή μετανάστευση
EN	net migration
ES	saldo migratorio
ET	rändesaldo
FI	nettomaahanmuutto
FR	solde migratoire
GA	imirce ghlan
HU	nettó migráció
IT	migrazione netta (o saldo migratorio)
LT	neto migracija
LV	migrācijas saldo
MT	Migrazzjoni netta
NL	migratiesaldo / netto migratie
PL	migracja netto
PT	saldo migratório
RO	migrația netă
SK	migračné saldo / čistá migrácia
SL	neto migracija
SV	nettomigration
NO	netto migrasjon
UK	чиста міграція

განმარტება

წლის განმავლობაში მოცემულ ტერიტორიაზე იმიგრანტთა და ემიგრანტთა რიცხოვნობას შორის სხვაობა.

წყარო

ევროსტატის ცნებებისა და განმარტებების მონაცემთა ბაზა

დაკავშირებული ტერმინები

★ მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტი
★ მიგრაციული ნაკადი
★ მოსახლეობის ჯგუფი
★ მიგრაციის მთლიანი მოცულობა

შენიშვნები

1. მიგრაციის სალდო უარყოფითია, როდესაც ემიგრანტთა რიცხოვნობა აღემატება იმიგრანტთა რიცხოვნობას.

2. ვინაიდან ბევრ ქვეყანას არ აქვს ზუსტი მონაცემები იმიგრაციისა და ემიგრაციის შესახებ, ან საერთოდ არ აქვს ასეთი მონაცემები, მიგრაციის სალდო ხშირად შეფასებულია, როგორც სხვაობა მოსახლეობის საერთო ცვლილებასა და ბუნებრივ მატებას შორის (ასეთ შემთხვევაში ევროსტატის მონაცემთა ბაზაში მას ეწოდება მიგრაციის კორექტირებული სალდო). შესაბამისად, მიგრაციის სალდოს სტატისტიკაზე მოქმედებს ნებისმიერი სტატისტიკური უზუსტობა, რომელიც დაშვებულია აღნიშნული სტატისტიკის შემუშავებისთვის გამოყენებულ ნებისმიერ კომპონენტში.

მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტი

BG	общ коефициент на нетна миграция
CS	hrubá míra migračního salda
DE	rohe Netto-Migrationsrate
EL	ακαθάριστο ποσοστό της καθαρής μετανάστευσης
EN	crude rate of net migration
ES	tasa neta de migración
ET	rändesaldo määr
FI	nettomaahanmuutto tuhatta henkeä kohden
FR	taux brut de solde migratoire
GA	garbhráta glanimirce
HU	nyers nettó migrációs arányszám
IT	tasso grezzo di migrazione netta
LT	neto migracija tūkstančiui gyventojų
LV	migrācijas saldo vispārīgais koeficients
MT	Rata bejn wieħed u ieħor ta' migrazzjoni netta / Rata netta ta' migrazzjoni
NL	bruto cijfer migratiesaldo
PL	współczynnik salda migracji
PT	taxa bruta do saldo migratório
RO	ata brută de migrație
SK	hrubá miera čistej migrácie / hrubá miera migračného salda
SL	splošna stopnja neto migracije
SV	flyttningsnetto
NO	summarisk nettomigrasjonsrate
UK	загальний коефіцієнт чистої міграції

განმარტება

თანაფარდობა მიგრაციის სალდოს (კონკრეტული წლის განმავლობაში კორექტირების გათვალისწინებით) და შესაბამის წელს მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობას შორის.

წყარო

ევროსტატის ცნებებისა და განმარტებების მონაცემთა ბაზა

დაკავშირებული ტერმინები

- მიგრაციული ნაკადი
- მიგრაციის სალდო
- მოსახლეობის ჯგუფი
- მიგრაციის მთლიანი მოცულობა

შენიშვნა

სიდიდე მოყვანილია 1000 სულ მოსახლეზე. მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტი არის სხვაობა ზრდის ზოგად კოეფიციენტსა და ბუნებრივი მატების ზოგად კოეფიციენტს შორის (ანუ მიგრაციის სალდო არის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების კომპონენტი, რომელიც არ არის დაკავშირებული დაბადებასა და გარდაცვალებასთან). კოეფიციენტის ამ გზით გამოთვლა აიხსნება იმით, რომ იმიგრაციული ან ემიგრაციული ნაკადები უცნობია ან მონაცემები არ არის საკმარისად ზუსტი.

მიგრაციისა და განვითარების გლობალური ფორუმი (GFMD)

BG	Глобален форум за миграция и мобилност
CS	Globální fórum k migraci a rozvoji
DE	Weltforum über Migration und Entwicklung
EL	Παγκόσμιο Φόρουμ για τηνΜετανάστευση και την Ανάπτυξη
EN	Global Forum on Migration and Development (GFMD)
ES	Foro Mundial sobre Migración y Desarrollo
ET	ülemaailmne rände-ja arengupoliitika foorum
FI	Muuttoliikettä ja kehitystä käsittelevä maailmanlaajuinen foorumi
FR	Forum mondial sur la migration et le développement
GA	Fóram Domhanda maidir le hImirce agus Forbairt
HU	Migrációs és Fejlesztési Globális Fórum
IT	Forum Globale su Migrazione e Sviluppo
LT	Pasaulinis migracijos ir vystymosi forumas
LV	Pasaules forums par migrāciju un attīstību
MT	Forum Globali fuq Migrazzjoni u Żvilupp
NL	Wereldforum voor migratie en ontwikkeling
PL	Światowe Forum na Rzecz. Migracji i Rozwoju
PT	Fórum Global sobre Migrações e Desenvolvimento
RO	Forumul Glrobal cu privire la Migrație și Dezvoltare
SK	Globálne fórum o migrácii a rozvoji
SL	Globalni forum o migraciji in razvoju
SV	Globalt forum för migration och utveckling
NO	Globalt forum for migrasjon og utvikling
UK	Глобальний форум з міграції та розвитку (GFMD)

განმარტება

გაეროს წევრი ქვეყნების ინიციატივა, რომელიც მიმართულია მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის გაძლიერებისკენ პრაქტიკული და ქმედებაზე ორიენტირებული მეთოდებით.

წყარო

GFMD-ის ვებგვერდი

სინონიმი

★ GFMD

დაკავშირებული ტერმინები

★ მიგრაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმა
★ კოტონუს შეთანხმება
★ დიალოგი ხმელთაშუაზღვისპირეთში სატრანზიტო მიგრაციის თაობაზე
★ გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)
★ მიგრაციის პროფილი

შენიშვნები

1. GFMD-ის პირველი სხდომა 2007 წელს გაიმართა.
2. GFMD წარმოადგენს მთავრობათა დონეზე წარმართულ ნებაყოფლობით, არაფორმალურ და არასავალდებულო პროცესს, რომელიც ღიაა გაეროს ყველა წევრი ქვეყნისა და დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოსთვის და რომლის მიზანია ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის გაღრმავება მიგრაციისა და განვითარების ურთიერთსარგებლიანი კავშირების ამოქმედების მიზნით.
3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. GFMD-ის ვებგვერდი.

მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე თანამშრომლობის პლატფორმა

BG	Платформа за сътрудничество по въпросите на миграцията и развитието
CS	Platforma pro spolupráci - migrace a rozvoj
DE	Kooperationsplattform für Migration und Entwicklung
EL	Πλατφόρμα Συνεργασίας για θέματα Μετανάστευσης και Ανάπτυξης
EN	Cooperation Platform on Migration and Development
ES	Plataforma de Cooperación sobre Migración y Desarrollo
ET	rände ja arenguabi koostööplatvorm
FI	muuttoliikettä ja kehitystä käsittelevä yhteistyöfoorumi
FR	Plate-forme de coopération sur la migration et le développement
GA	Clár Comhoibrithe um Imirce agus Fhorbairt
HU	Együttműködési Platform a migráció és jejlesztés területén
IT	Piattaforma di cooperazione sulla migrazione e lo sviluppo
LT	Migracijos ir vystymosi bendradarbiavimo platforma
LV	sadarbības platforma par migrāciju un attīstību
MT	Pjattaforma ta' Kooperazzjoni fuq il-Migrazzjoni u l-Iżvilupp
NL	samenwerkingsplatform voor migratie en ontwikkeling
PL	Platforma Współpracy na rzecz Migracji i Rozwoju
PT	Plataforma de Cooperação em matéria de Migração e de Desenvolvimento
RO	Platforma de cooperare cu privire la Migratie si dezvoltare
SK	Platforma spolupráce v oblasti migrácie a rozvoja
SL	Platforma za sodelovanje na področju migracij in razvoja
SV	samarbetsplattform för migration och utveckling
NO	Samarbeidsplattform om migrasjon og utvikling
UK	Платформа для співпраці з питань міграції та розвитку

განმარტება

მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის (GAMM) ფარგლებში არსებული ცნება, რომელიც აერთიანებს მიგრაციის კონკრეტულ მარშრუტებთან კავშირში მყოფ ქვეყნებსა და რეგიონებში არსებულ, მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე მომუშავე აქტორებს, მიგრაციის უფრო ეფექტურად მართვის მიზნით, ყველას სასარგებლოდ.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.
მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს I დანართი (COM(2006) 735 საბოლოო რედაქცია)
მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ ევროკომისიის კომუნიკე (COM(2011) 743 საბოლოო რედაქცია)

სინონიმი

★ თანამშრომლობის პლატფორმა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

დაკავშირებული ტერმინები

★ **მიგრაციის და განვითარების გლობალური ფორუმი (GFMD)**
★ **მიგრაციის პროფილი**
★ **მიგრაციის მარშრუტების ინიციატივა**
★ **პარტნიორობა მობილობისთვის**

შენიშვნები

1. ეს ცნება შემოთავაზებული იყო გლობალური მიდგომის შესახებ 2006 წლის კომუნიკეში (COM(2006) 735, საბოლოო რედაქცია) და დამტკიცდა 2006 წლის დეკემბერში ევროპული საბჭოს მიერ.
2. ასეთი პლატფორმები ერთმანეთთან აახლოებს ქვეყნის წარმომადგენლებს ან ქვეყნებს, რომლებიც დაინტერესებული არიან ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, ევროკომისიასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობით.

მიგრაციული ნაკადი

BG	миграционен поток
CS	migrační tok
DE	Wanderungsbewegung / Migrationsbewegung
EL	μεταναστευτική ροή
EN	migration flow
ES	flujo migratorio
ET	rändevoog
FI	muuttovirta
FR	flux migratoire
GA	sreabhadh imirce
HU	migrációs áramlat
IT	flusso migratorio
LT	migracijos srautas
LV	migrācijas plūsma
MT	Nixxiegħa migratorja
NL	migratiestroom
PL	strumień migracyjny
PT	fluxo migratório
RO	flux de migrație
SK	migračný tok
SL	migracijski tok
SV	migrationsströmmar
NO	migrasjonsstrøm (b); migrasjonsstraum (n)
UK	міграційний потік

განმარტება

მიგრანტთა ჯგუფი, რომელიც კვეთს სახელმწიფო საზღვარს დროის კონკრეტულ მონაკვეთში, ამ ქვეყანაში ცხოვრების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტი
- ★ შერეული მიგრაციული ნაკადი
- ★ მიგრაციის სალდო
- ★ მოსახლეობის ჯგუფი
- ★ მიგრაციის მთლიანი მოცულობა

შენიშვნები

1. საზღვარში მოიაზრება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული საზღვრები და საერთაშორისო საზღვრები, ხოლო მიგრაციული ნაკადი გულისხმობს როგორც საერთაშორისო მიგრაციულ ნაკადებს (რომლებიც კვეთენ ევროკავშირის სახელმწიფოების საზღვრებს), ასევე შიდა მიგრაციულ ნაკადებს (რომლებიც გადაადგილდებიან ქვეყნის შიგნით).

2. გაეროს სტატისტიკაში გამოყენებულია ტერმინები 'შემოდინება' (inflow) - მიგრანტების ნაკადი, რომელიც კონკრეტული საზღვრის გავლით შემოდის ქვეყანაში - და 'გადინება' (outflow)" - მიგრანტების ნაკადი, რომელიც კონკრეტული საზღვრის გავლით ტოვებს ქვეყანას.

მიგრაციული პროცესებისთვის მზადყოფნისა და კრიზისზე რეაგირების სამოქმედო ჩარჩო/მექანიზმი

BG	подробен план за подготвеност и кризи в областта на миграцията
CS	plán pro připravenost na migraci a pro migrační krize
DE	Vorsorge- und Krisenplan für Migration
EL	Σχέδιο στρατηγικής για την ετοιμότητα αντιμετώπισης και τη διαχείριση μεταναστευτικών κρίσεων
EN	Migration Preparedness and Crisis Blueprint
ES	Plan Rector de Preparación y Gestión de Crisis Migratorias
ET	rändevaldkonna valmisoleku- ja kriisikava
FI	muuttoliikettä koskeva varautumis- ja kriisisuunnitelma
FR	Plan de préparation et de gestion de crise en matière de migration
GA	an Treoirphlean Ullmhachta Imirce agus Géarchéime
HU	migrációs felkészültségi és válságkezelési terv
IT	Programma di preparazione e di risposta alle crisi
LT	Migracinės parengties ir migracijos krizių valdymo planas
LV	Migrācijas sagatavotības un krīzes plāns
MT	Tlestija għall-Migrazzjoni u Pjan Iddettaljat għall-Kriżijiet / Blueprint dwar it-Tħejjija għall-Migrazzjoni u l-Ġestjoni tal-Kriżijiet tal-Migrazzjoni
NL	Blauwdruk paraatheid en crisisbeheer in verband met migratie
PL	Migration Preparedness and Crisis Blueprint
PT	Mecanismo de preparação para a migração e gestão de crises migratórias
RO	Planul de acțiune în vederea pregătirii pentru situații de criză legate de migrație și a gestionării acestora
SK	Koncepcia pripravenosti a krízového riadenia v oblasti migrácie
SL	načrt za pripravljenost na migracije in migracijske krize
SV	beredskaps-och krisplan för migration
NO	Beredskapsplan for økte ankomster og andre ekstraordinære hendelser (b); Beredskapsplan for auka innkomstar og andre ekstraordinære hendingar (n)
UK	План готовності до міграції та кризових ситуацій

განმარტება

მიგრაციული ნაკადების მონიტორინგისა და პროგნოზირებისთვის შემუშავებული ოპერაციული ჩარჩო, რომელიც გამიზნულია მედეგობის ზრდისა და მიგრაციულ კრიზისზე კოორდინირებული რეაგირებისთვის.

წყარო

მიგრაციული პროცესებისთვის მზადყოფნისა და კრიზისულ ვითარებაში საკოორდინაციო მექანიზმის შემუშავების შესახებ ევროკომისიის რეკომენდაციის (EU) 020/1366 პრეამბულის მე-11 პუნქტი

შენიშვნები

1. მიგრაციული პროცესებისთვის მზადყოფნისა და კრიზისზე რეაგირების სამოქმედო ჩარჩო/მექანიზმის მიზანია ადრეული შეტყობინებისა და პროგნოზირების სისტემის შექმნა ევროკავშირის დონეზე, რაც, შესაბამისად, გულისხმობს გაძლიერებულ მზადყოფნას, ეფექტურ მმართველობასა და დროულ რეაგირებას სხვადასხვა მიგრაციულ ვითარებაზე.

2. აღნიშნული მექანიზმი ევროკომისიამ საგანგებო და კრიზისულ ვითარებაზე რეაგირების მხარდაჭერის მიზნით შეიმუშავა. მექანიზმი სამართლებრივად არასავალდებულო ინსტრუმენტია ('რბილი სამართალი') და წარმოადგენს შემავსებელ ინსტრუმენტს კრიზისის მართვის მიზნით ევროკავშირში არსებული სხვა მექანიზმებისა, როგორებიცაა ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმი და პოლიტიკურ კრიზისზე რეაგირების ერთობლივი მექანიზმი (IPCR). მიგრაციული პროცესებისთვის მზადყოფნისა და კრიზისზე რეაგირების სამოქმედო ჩარჩო/მექანიზმი იმართება DG Home-ის მიერ და უზრუნველყოფს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მონიტორინგს, შეგროვებასა და გაზიარებას კრიზისზე სათანადო რეაგირებისთვის.

3. მიგრაციული პროცესებისთვის მზადყოფნისა და კრიზისზე რეაგირების სამოქმედო ჩარჩო/მექანიზმი ორ ეტაპს მოიცავს:

პირველი ეტაპი - მონიტორინგი და მზადყოფნა: ამ ეტაპის მიზანია არსებული საკანონმდებლო ბაზის უფრო კოორდინირებულად გამოყენება, ყველა ჩართული მხარის სიტუაციური ინფორმირებულობის გაღრმავებისა და ურთიერთგაზიარების, ადრეული შეტყობინების/პროგნოზირების სისტემის შემუშავებისა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მედეგობის ზრდის გზით, ნებისმიერი ტიპის მიგრაციულ კრიზისზე ეფექტური რეაგირების მიზნით.

მეორე ეტაპი - კრიზისის მართვა: ამ ეტაპის მიზანია მიგრაციულ კრიზისზე ევროკავშირის სწრაფი, ეფექტიანი და კოორდინირებული რეაგირების მხარდაჭერა, ერთი მხრივ, ევროკავშირის დონეზე გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის მიმდინარე ვითარების შესახებ დროული და უახლესი ინფორმაციის მიწოდებით, ხოლო, მეორე მხრივ, მონიტორინგის, ადგილზე კოორდინაციისა და ტექნიკურ დონეზე ყველა ჩართული მხარეს შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფით.

მიგრაციული წარსულის მქონე პირი

BG	лице с миграционен произход
CS	osoba s migračním původem
DE	Person mit Migrationshintergrund
EL	άτομο με μεταναστευτική καταγωγή
EN	person with a migratory background
ES	persona de origen migratorio
ET	rändetaustaga isik
FI	maahanmuuttajataustainen henkilö
FR	personne issue de l'immigration
GA	duine ag a bhfuil cúlra imirceach
HU	migrációs háttérű személy
IT	persona con un background migratorio
LT	asmuo, kilęs iš migrantų šeimos arba asmuo, gyvenantis ne savo kilmės valstybėje
LV	persona ar migrācijas pieredzi
MT	Persuna bi storja ta' migrazzjoni warajha
NL	persoon met een migratieachtergrond
PL	osoba z przeszłością migracyjną
PT	pessoa com antecedentes migratórios
RO	persoană cu trecut migraționist
SK	osoba s migrantským pôvodom
SL	oseba z migracijskim ozadjem
SV	person med invandrarbakgrund
NO	person med innvandrerbakgrunn (b); person med innvandrarbakgrunn (n)
UK	особа з мігрантським походженням

განმარტებები

პირი:

(ა) რომელიც მიგრირებულია თავის ამჟამინდელი ბინადრობის ქვეყანაში; და/ან

(ბ) რომელსაც ადრე ჰქონდა მისი ამჟამინდელი ბინადრობის ქვეყნისგან განსხვავებული ქვეყნის მოქალაქეობა; და/ან

(გ) რომლის ერთ-ერთი მშობელი მაინც შევიდა და დასახლდა მისი ამჟამინდელი ბინადრობის ქვეყანაში, როგორც მიგრანტი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
გაეროს ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეკომენდაციები 2010 წლის მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის შესახებ, 2010 წ. 360-368-ე პუნქტები

სინონიმი

★ მიგრაციული წარმოშობის პირი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მეორე თაობის მიგრანტი**

შენიშვნები

1. ეს არის ფართო განმარტება, გამიზნული იმისთვის, რომ მოიცვას ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც უკავშირდება მიგრირებულ პირს და/ან პირს, რომლის მშობლები იყვნენ მიგრანტები.
2. (ა) პუნქტი ასევე შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული ბინადრობის ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც ადრე ცხოვრობდა სხვა ქვეყანაში და შემდეგ დაბრუნდა ქვეყანაში, რომლის მოქალაქეც არის.

მიმალვა

BG	укриване
CS	útěk
DE	Untertauchen
EL	διαφυγή
EN	absconding
ES	fuga
ET	kõrvalehoidumine
FI	pakeneminen
FR	fuite
GA	éalú s.; éalaitheach a.
HU	engedély nélküli eltávozás / ismeretlen helyre távozás
IT	fuga
LT	pasislėpimas
LV	bēgšana
MT	ħarba
NL	onderduiken
PL	ucieczka
PT	fuga / evasão
RO	sustragere
SK	útek
SL	izogibanje
SV	avvikande
NO	unndragelse (b); unndraging (n)
UK	втеча

განმარტება

ქმედება, რომლითაც პირი ცდილობს აირიდოს ადმინისტრაციული ღონისძიება და/ან სამართალწარმოება შესაბამის უწყებებში ან სასამართლოში გამოუცხადებლობით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(7) მუხლში მოცემული 'მიმალვის რისკის' განმარტება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიმალვის რისკი

მიმალვის რისკი

BG	опасност от укриване
CS	nebezpečí útěku
DE	Fluchtgefahr / Gefahr unterzutauchen
EL	κίνδυνος διαφυγής
EN	risk of absconding
ES	riesgo de fuga
ET	põgenemise / kõrvalehoidumise oht
FI	pakenemisen vaara
FR	risque de fuite
GA	baol éalaithe
HU	szökés veszélye
IT	rischio di fuga
LT	pasislėpimo pavojus
LV	bēgšanas iespējamība
MT	Riskju / Biża' ta' ħarba / ħrib / kontumaċja
NL	risico op onderduiken
PL	ryzyko ucieczki
PT	perigo de fuga
RO	riscul de a se sustrage
SK	riziko úteku
SL	tveganje pobega / nevarnost pobega
SV	risk för avvikande
NO	risiko for unndragelse (b); risiko for unndraging (n)
UK	ризик втечі

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ისეთი მიზეზები, რომლებიც ემყარება კანონით განსაზღვრულ ობიექტურ კრიტერიუმებს და აჩენს ვარაუდს, რომ დაბრუნების პროცედურებს დაქვემდებარებული მესამე ქვეყნის მოქალაქე შეიძლება მიიმალოს.

წყაროები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(7) მუხლი
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(n) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიმალვა

შენიშვნა

აღნიშნული რისკი მოიცავს მიმალვის მხოლოდ ერთ ტიპს.

მიმღები დაწესებულება

BG	приемаща страна
CS	hostitelský subjekt
DE	aufnehmende Einrichtung
EL	οντότητα υποδοχής, οντότητα εισδοχής
EN	host entity
ES	organismo de acogida
ET	vastuvõttev üksus
FI	äntätaho/isäntäorganisaatio
FR	entité d'accueil
GA	eintiteas aíochta
HU	fogadó szervezet
IT	Ente ospitante
LT	priimantysis subjektas
LV	uzņemošā vienība
MT	Entità li tospita
NL	gastentiteit
PL	podmiot goszczący
PT	entidade de acolhimento
RO	entitate gazdă
SK	hostiteľský subjekt
SL	gostujoča entiteta (organizacija, institucija)
SV	värdenhet
NO	vertsorganisasjon
UK	приймаючий суб'єкт

განმარტება

კვლევითი ორგანიზაცია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საგანმანათლებლო დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც ჩართულია მოხალისეობრივი მომსახურების სქემაში ან რომელთანაც მიმაგრებულია მესამე ქვეყნის მოქალაქე სტაჟიორის რანგში ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მიზნებისთვის და რომელიც მდებარეობს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-3(14) მუხლი

მიმღები დაწესებულებები

BG	приемни съоръжения
CS	přijímací zařízení
DE	Aufnahmeeinrichtungen
EL	δομές φιλοξενίας
EN	reception facilities
ES	centros de acogida
ET	vastuvõtu majutusasutused
FI	vastaanoton majoitusmuodot
FR	structures d'accueil
GA	áiseanna fáiltithe
HU	befogadó létesítmények
IT	struttura di accoglienza
LT	priėmimo centrai
LV	uzņemšanas telpas
MT	Faċilitajiet ta' akkoljenza
NL	opvangfaciliteiten
PL	ośrodki przyjmowania
PT	instalações de acolhimento
RO	spații de cazare a solicitanților de azil
SK	azylové zariadenia
SL	sprejemni prostori
SV	anläggningsboende
NO	asylmottak
UK	заклади прийому

განმარტება

ყველა ფორმის შენობა-ნაგებობა, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების, ლტოლვილებისა და სხვა კატეგორიის მიგრანტების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **განთავსების ცენტრი**
- ★ **მიმღები ცენტრი**

შენიშვნა

ევროკავშირში ხელმისაწვდომი მიღების ობიექტების კატეგორიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ობიექტების მოწყობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2013 წ.

მიმღები საზოგადოება

BG	приемащо общество
CS	hostitelská společnost
DE	Aufnahmegesellschaft
EL	κοινωνία υποδοχής
EN	host society
ES	sociedad de acogida
ET	vastuvõttev ühiskond
FI	vastaanottava yhteiskunta
FR	société d'accueil
GA	sochaí óstach
HU	befogadó társadalom
IT	società di accoglienza
LT	priimančioji visuomenė
LV	vietējā sabiedrība
MT	Soċjetà li tilqa'
NL	gastsamenleving / gastmaatschappij
PL	społeczeństwo przyjmujące
PT	sociedade de acolhimento
RO	societate gazdă
SK	hostiteľská spoločnosť / prijímajúca spoločnosť
SL	gostujoča družba
SV	värdsamhälle
NO	vertssamfunn
UK	приймаюче суспільство

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ეროვნულ/რეგიონულ/ადგილობრივ თემში მცხოვრები პირები (როგორც მოქალაქეები, ისე არამოქალაქეები).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ევროკავშირის წევრი მიმღები სახელმწიფო (host Member State)**

დაკავშირებული ტერმინები

★ **საერთო ძირითადი პრინციპები**

★ **მიმღები ქვეყანა**

★ **ინტეგრაცია**

შენიშვნა

იმის გათვალისწინებით, რომ ინტეგრაცია დინამიკური ორმხრივი პროცესია, მიმღები საზოგადოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ემსახურება მესამე ქვეყნის მოქალაქის ინტეგრაციის ხელშეწყობას ევროკავშირის ინტეგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი საერთო ძირითადი პრინციპების შესაბამისად.

მიმღები ქვეყანა

BG	приемаща държава /държава домакин
CS	hostitelský stát
DE	Aufnahmeland
EL	χώρα υποδοχής
EN	host country
ES	país de acogida
ET	vastuvõttev riik
FI	vastaanottava maa
FR	pays d'accueil
GA	tír aíochta
HU	fogadó ország
IT	paese ospitante
LT	priimančioji valstybė
LV	uzņēmējvalsts
MT	Pajjiż li jilqa'
NL	gastland
PL	kraj przyjmujący
PT	país de acolhimento
RO	țară gazdă
SK	hostiteľská krajina / prijímajúca krajina
SL	država gostiteljica
SV	värdland
NO	vertsland
UK	приймаюча країна

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფო/ქვეყანა, რომელშიც სახლდება მესამე ქვეყნის მოქალაქე/არამოქალაქე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

★ მასპინძელი ქვეყანა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ევროკავშირის წევრი მიმღები სახელმწიფო (host Member State)**

დაკავშირებული ტერმინები

★ **მიმღები საზოგადოება**

★ **ბინადრობის უფლება**

მიმღები ცენტრი

BG	приемателен център
CS	přijímací středisko
DE	Aufnahmeeinrichtung
EL	κέντρο υποδοχής
EN	reception centre
ES	centro de acogida
ET	vastuvõtukeskus
FI	vastaanottokeskus
FR	centre d'accueil (pour demandeurs d'asile)
GA	ionad fáiltithe
HU	befogadó állomás
IT	centro di accoglienza per richiedenti asilo
LT	priėmimo centras
LV	uzņemšanas centrs
MT	Ċentru ta' akkoljenza (għal min jitlob l-ażil)
NL	asielzoekerscentrum (NL); opvangcentrum (BE)
PL	ośrodek recepcyjny
PT	centro de acolhimento
RO	centru de cazare şi proceduri
SK	prijímacie zariadenie (EU acquis); záchytný tábor
SL	nastanitveni center / sprejemni center
SV	mottagningsenhet
NO	transittmottak
UK	центр прийому

განმარტება

ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა გადაუდებელი საჭიროებების უზრუნველსაყოფად განკუთვნილი ადგილი, რომელიც მოიცავს ამ პირთა მიღებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურას.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიმღები დაწესებულებები**

დაკავშირებული ტერმინი

★ **განთავსების ცენტრი**

შენიშვნა

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის ხელმისაწვდომი მიმღები ცენტრების კატეგორიების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ობიექტების მოწყობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2013 წ.

მინიმალური სტანდარტები

BG	минимални стандарти
CS	minimální normy
DE	Minimumstandards
EL	ελάχιστες προδιαγραφές
EN	minimum standards
ES	normas mínimas
ET	miinimumnõuded
FI	vähimmäisvaatimukset
FR	normes minimales
GA	íoschaighdeáin
HU	minimumszabályok
IT	norme minime
LT	būtiniausi reikalavimai
LV	minimālie standarti
MT	Livelli standard minimi
NL	minimumnormen
PL	minimalne standardy
PT	normas mínimas
RO	standarde minime
SK	minimálne pravidlá / minimálne štandardy
SL	minimalni standardi
SV	miniminormer
NO	minimumsstandard
UK	мінімальні стандарти

განმარტება

თავშესაფრის კონტექსტში, საერთაშორისო დაცვის პროცედურებთან, მიღების პირობებსა და ლტოლვილის განმარტებასთან დაკავშირებული პრინციპები, რომლებიც დადგენილია ამსტერდამის ხელშეკრულებით და რომლებიდანაც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს გადახვევა არ შეუძლიათ.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ამსტერდამის ხელშეკრულების 63-ე მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა (CEAS)**

შენიშვნა

ტამპერეს ხელშეკრულებით დადგენილი და ჰააგის პროგრამით განმტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, მინიმალურ სტანდარტებს მიღმა შეემუშავებინათ თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემა, რომელიც დაეფუძნა თავშესაფრის ერთიან პროცედურას და უნიფიცირებულ მიდგომას საერთაშორისო დაცვის მინიჭებისას.

მიღება

BG	приемане
CS	přijímání
DE	Aufnahme
EL	υποδοχή
EN	reception
ES	acogida
ET	vastuvõtt
FI	vastaanotto
FR	accueil
GA	glacadh
HU	befogadás
IT	accoglienza
LT	priėmimas
LV	uzņemšana
MT	akkoljenza
NL	opvang
PL	przyjmowanie
PT	acolhimento
RO	primire
SK	prijímanie
SL	sprejem
SV	mottagande
NO	n/a
UK	прийом

განმარტება

საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, გატარებული ზომების, ჩართული დაწესებულებებისა და მიწოდებული სერვისების ერთობლიობა, რომლებიც გამიზნულია იმისთვის, რომ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) განსაზღვრული) უფლებები იყოს დაცული განცხადების შეტანის მომენტიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე სრული პროცესის განმავლობაში, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული ცხოვრების დონე და ცხოვრების დამაკმაყოფილებელი პირობები ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) და UNHCR: ლტოლვილთა დაცვა და შერეული მიგრაცია, 10-პუნქტიანი გეგმა, თავი 4: მიღების ორგანიზება, 2011 წ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ **განთავსების ცენტრი**
- ★ **მიმღები ცენტრი**
- ★ **მიღების პირობები**
- ★ **მიმღები დაწესებულებები**

შენიშვნები

1. აღნიშნული მოიცავს ღონისძიებებს და სერვისებს, რომლებიც განკუთვნილია ყველა განმცხადებლის ძირითადი მატერიალური და ფსიქოსოციალური საჭიროებების (როგორიცაა საცხოვრებელი, საკვები, ტანსაცმელი, ჯანდაცვა და ფსიქოლოგიური სერვისები) დასაკმაყოფილებლად, რაც ასევე მოიცავს მიღების განსაკუთრებული საჭიროებებისა და მოწყვლადობის შეფასებასა და დაკმაყოფილებას, განმცხადებელთა შესაბამის, განსხვავებულ კატეგორიებად დაყოფის საფუძველზე.
2. ევროკავშირში თავშესაფრის მაძიებელთა მიღების გამართული სისტემების არსებობა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის საკვანძო მნიშვნელობის საკითხია და თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) ძირითად საყრდენს წარმოადგენს.
3. მეტი ინფორმაციისთვის იხ. Kegel, Michael: Getting the balance right, strengthening the asylum reception capacity at national and EU levels, 2016 წ. (მაიკლ კეგელი, თავშესაფრის სისტემათა დაბალანსება: მიღების შესაძლებლობების ზრდა ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებში, 2016 წ.).

მიღების განსაკუთრებული საჭიროებების მქონე განმცხადებელი

BG	кандидат със специални потребности за приемане
CS	žadatel se zvláštními potřebami při přijetí
DE	Antragsteller mit besonderen Bedürfnissen bei der Aufnahme
EL	αιτών με ειδικές ανάγκες υποδοχής
EN	applicant with special reception needs
ES	solicitante con necesidades de acogida particulares
ET	taotleja, kes vajab vastuvõtu eritingimusi
FI	hakija, jolla on erityisiä vastaanottotarpeita
FR	demandeur ayant des besoins particuliers en matière d'accueil
GA	iarratasóir a bhfuil sainriachtanais fáiltithe aige
HU	különleges befogadási igényekkel rendelkező kérelmező
IT	richiedente protezione internazionale con esigenze di accoglienza particolari
LT	specialių priėmimo poreikių turintis prašytojas
LV	pieteikuma iesniedzējs ar īpašām uzņemšanas vajadzībām
MT	Applikant(a) bi bżonnijiet speċjali ta' akkoljenza
NL	verzoeker met bijzondere opvangbehoeften
PL	wnioskodawca o szczególnych potrzebach w zakresie przyjmowania
PT	requerente com necessidades de acolhimento especiais
RO	solicitant cu nevoi speciale de primire
SK	žiadateľ s osobitnými potrebami pri prijímaní (EU acquis)
SL	prosilec s posebnimi potrebami glede sprejema
SV	sökande med särskilda mottagandebehov
NO	søker som har behov for særskilte innkvarteringsforhold (b); søkjar som treng særskilde innkvarteringstilhøve (n)
UK	заявник з особливими потребами щодо прийому

განმარტება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 21-ე მუხლით გათვალისწინებული მოწყვლადი პირი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ გარანტიებს იმისთვის, რომ ისარგებლოს დირექტივით გათვალისწინებული უფლებებითა და ვალდებულებებით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(k) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე
- მოწყვლადი პირი

დაკავშირებული ტერმინი

- განსაკუთრებული პროცედურული გარანტიების საჭიროების მქონე განმცხადებელი

მიღების მატერიალური პირობები

BG	материални условия за приемане
CS	materiální podmínky přijetí
DE	materielle Aufnahmebedingungen
EL	υλικοί όροι υποδοχής
EN	material reception conditions
ES	condiciones materiales de acogida
ET	materiaalsed varjupaigataotlejate vastuvõtutingimused
FI	aineelliset vastaanotto-olosuhteet
FR	conditions matérielles d'accueil
GA	dálaí ábhartha glactha
HU	a befogadás anyagi feltételei
IT	condizioni materiali di accoglienza
LT	materialinės priėmimo sąlygos
LV	materiālie uzņemšanas nosacījumi
MT	Kondizzjonijiet materjali tal-akkoljenza
NL	materiële opvangvoorzieningen
PL	materialne warunki przyjmowania
PT	condições materiais de acolhimento
RO	condiții materiale de recepție
SK	materiálne prijímacie podmienky (EU acquis); materiálne podmienky prijímania
SL	materialni pogoji sprejema
SV	materiella mottagningsvillkor
NO	materielle mottaksforhold (b); materielle mottakstilhøve (n)
UK	суттєві умови прийому

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლისთვის უზრუნველყოფილი საარსებო მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს საცხოვრებელს, საკვებს და ტანსაცმელს, რომელთა მიწოდება ხდება როგორც პირდაპირი (სასაქონლო) გზით, ასევე ფინანსური დახმარების ან ვაუჩერების სახით, ან აღნიშნული სამი სახეობის კომბინაციით, და აგრეთვე, ყოველდღიური ხარჯებისთვის განსაზღვრულ შემწეობას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(g) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიღების პირობები

შენიშვნა

მიღების პირობების შესახებ დირექტივით განსაზღვრული მატერიალური პირობების უზრუნველყოფა სავალდებულოა ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოსთვის. ასევე, დირექტივა არ ზღუდავს ევროკავშირის წევრ ქვეყანას, დააწესოს მიღების უფრო ხელსაყრელი პირობები მესამე ქვეყნის მოქალაქეებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, მათთვის ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისების დამატების გზით.

მიღების პირობები

BG	условия на приемане
CS	podmínky přijetí
DE	Aufnahmebedingungen
EL	συνθήκες υποδοχής
EN	reception conditions
ES	condiciones de acogida
ET	vastuvõtutingimused
FI	vastaanotto-olosuhteet
FR	conditions d'accueil
GA	dálaí mpl glactha
HU	befogadási feltételek
IT	condizioni di accoglienza
LT	priėmimo sąlygos
LV	uzņemšanas apstākļi (EU acquis); uzņemšanas nosacījumi
MT	Kondizzjonijiet tal-akkoljenza
NL	opvangvoorzieningen
PL	warunki przyjmowania
PT	condições de acolhimento
RO	condiții de recepție
SK	prijímacie podmienky (EU acquis); podmienky prijímania
SL	sprejemni pogoji
SV	mottagningsvillkor
NO	mottaksforhold (b); mottakstilhøve (n)
UK	умови прийому

განმარტება

ღონისძიებების სრული პაკეტი, რომელსაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებისთვის.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(f) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიღების მატერიალური პირობები

შენიშვნა

ევროკავშირში მიღების პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: თავშესაფრის მაძიებელთა მიღების ობიექტების მოწყობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2013 წ.

მკვლევარი

BG	научен работник
CS	výzkumný pracovník
DE	Forscher
EL	ερευνητής
EN	researcher
ES	investigador
ET	teadlane
FI	tutkija
FR	chercheur
GA	taighdeoir
HU	kutató
IT	ricercatore
LT	tyrėjas
LV	pētnieks
MT	Riċerkatur (-triċi)
NL	onderzoeker
PL	naukowiec
PT	investigador
RO	cercetător
SK	výskumník / výskumný pracovník
SL	raziskovalec
SV	forskare
NO	forsker (b); forskar (n)
UK	дослідник

განმარტება

ევროკავშირის მიგრაციის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც: აქვს დოქტორის ხარისხი ან უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობას სადოქტორო პროგრამებზე; რომელიც შერჩეულია კვლევითი ორგანიზაციის მიერ და დაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე იმ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად, რომლისთვისაც აღნიშნული კვალიფიკაცია არის აუცილებელი მოთხოვნა.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU)2016/801 (მკვლევრებისა და სტუდენტების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-3(2) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

★ სკოლის მოსწავლე

★ სტუდენტი

★ არაანაზღაურებადი სტაჟიორი

მოკლევადიანი ვიზა

BG	виза за краткосрочно пребиваване
CS	krátkodobé vízum
DE	Visum für den kurzfristigen Aufenthalt
EL	θεώρηση για διαμονή βραχείας διάρκειας / θεώρηση βραχείας διαμονής
EN	short-stay visa
ES	visado para estancia de corta duración
ET	lühiajaline viisa
FI	lyhytaikainen viisumi
FR	visa de court séjour
GA	víosa gearrchuairte
HU	rövid távú tartózkodásra jogosító vízum
IT	visto per soggiorno di breve durata
LT	trumpalaikė viza
LV	īstermiņa vīza
MT	Viża ghal żjara / waqfa qasira
NL	visum voor kort verblijf
PL	wiza krótkoterminowa
PT	visto de curta duração
RO	viză de scurtă şedere
SK	krátkodobé vízum
SL	vizum za kratkoročno prebivanje
SV	visering för kortare vistelse
NO	besøksvisum
UK	короткострокова віза

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა ან გადაწყვეტილება ევროკავშირის ერთი, ერთზე მეტი ან ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით დარჩენის ან ტრანზიტით გავლის მიზნით.

წყაროები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N610/2013 (რეგულაცია სავიზო კოდექსის შესახებ) მე-2(2) მუხლი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(m) მუხლი

სინონიმი

★ სატრანზიტო ვიზა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ვიზა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **აეროპორტის სატრანზიტო ვიზა**

★ **გრძელვადიანი ვიზა**

მოკლევადიანი მიგრანტი

BG	краткосрочен мигрант
CS	krátkodobý migrant
DE	kurzfristig aufhältiger Migrant / Kurzzeit-Migrant / temporärer Migrant
EL	μετανάστης βραχείας διαμονής
EN	short-term migrant
ES	persona migrante de carácter temporal
ET	lühiajaliselt riigis viibiv sisserändaja
FI	tilapäiseksi ajaksi muuttava henkilö
FR	migrant de courte durée
GA	imirceach gearrthréimhseach
HU	rövidtávú bevándorló
IT	migrante di breve periodo
LT	trumpalaikis migrantas
LV	īstermiņa migrants
MT	Migrant(a) għal żmien qasir / għal ftit żmien
NL	kortverblijvende migrant / kortdurig migrant
PL	migrant krótkookresowy
PT	migrante de curta duração
RO	migrant pe termen scurt
SK	krátkodobý migrant
SL	migrant za krajše obdobje
SV	korttidsmigrant
NO	migrant med kortvarig opphold (b); migrant med kortvarig opphald (n)
UK	короткостроковий мігрант

განმარტება

პირი, რომელიც ტოვებს მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად სულ მცირე სამი თვით, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლით (12 თვით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ამ ქვეყანაში მიემგზავრება დასვენების, შვებულების გატარების, მეგობრების ან ნათესავების მონახულების, სამსახურებრივი საჭიროების, მკურნალობის ან მომლოცველობის მიზნით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები

OECD-ს სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრანტი

დაკავშირებული ტერმინები

★ ემიგრანტი

★ იმიგრანტი

★ გრძელვადიანი მიგრანტი

★ დროებითი მიგრაცია

შენიშვნა

საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის მიზნებისთვის მოკლევადიანი მიგრანტის ჩვეული ბინადრობის ქვეყანა ითვლება დანიშნულების ქვეყნად მისი იქ ყოფნის პერიოდში.

მოკლევადიანი მიგრაცია

BG	краткосрочна миграция
CS	krátkodobá migrace
DE	kurzfristige Migration / Kurzzeit-Migration
EL	βραχυπρόθεσμη μετανάστευση
EN	short-term migration
ES	migración de corta duración
ET	lühiajaline sisseränne
FI	lyhytaikainen maahanmuutto
FR	migration de courte durée
GA	imirce ghearrthréimhseach
HU	rövidtávú bevándorlás
IT	migrazione di breve periodo
LT	trumpalaikė migracija
LV	īstermiņa migrācija
MT	Migrazzjoni ghal perjodu qasir
NL	kortetermijnmigratie
PL	migracja krótkookresowa
PT	migração de curta duração
RO	migrație pe termen scurt
SK	krátkodobá migrácia
SL	migracija za krajše obdobje
SV	korttidsmigration
NO	korttidsmigrasjon
UK	короткострокова міграція

განმარტება

იმ პირთა გადაადგილება, რომლებიც ტოვებენ მუდმივ საცხოვრებელ ქვეყანას სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად სულ მცირე სამი თვით, მაგრამ არაუმეტეს ერთი წლით (12 თვით), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი ამ ქვეყანაში მიემგზავრებიან დასვენების, შვებულების გატარების, მეგობრების ან ნათესავების მონახულების, სამსახურებრივი საჭიროების, მკურნალობის ან მომლოცველობის მიზნით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის შესახებ გაეროს რეკომენდაციები

OECD-ს სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრაცია

დაკავშირებული ტერმინები

★ ემიგრაცია

★ იმიგრაცია

★ გრძელვადიანი მიგრაცია

★ დროებითი მიგრაცია

მოკლევადიანი მობილობა

BG	краткосрочна мобилност
CS	krátkodobá mobilita
DE	kurzfristige Mobilität
EL	βραχυπρόθεσμη κινητικότητα
EN	short-term mobility
ES	movilidad de corta duración
ET	lühiajaline liikuvus
FI	lyhytaikainen liikkuvuus
FR	mobilité de courte durée
GA	soghluaisteacht ghearrthéarmach
HU	rövid távú mobilitás
IT	Mobilità di breve durata
LT	trumpalaikis judumas
LV	īstermiņa mobilitāte
MT	Mobbiltà għal / perjodu / żmien qasir
NL	kortetermijnmobiliteit
PL	krótkoterminowa mobilność
PT	mobilidade de curto prazo
RO	
SK	krátkodobá mobilita
SL	kratkoročna mobilnost
SV	rörlighet för kortare vistelse
NO	kortsiktig flytting
UK	короткострокова мобільність

განმარტება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) კონტექსტში, კვლევის ან სწავლის მიზნით ევროკავშირში ყოფნის ნებართვის მქონე მესამე ქვეყნის მოქალაქის უფლება, იმყოფებოდეს ევროკავშირის წევრ ერთ ან რამდენიმე (მომდევნო) წევრ სახელმწიფოში 360-დღიან პერიოდში 180 დღემდე ვადით, კვლევით ორგანიზაციაში თავისი კვლევითი საქმიანობის წარმოების მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 28-ე მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ გრძელვადიანი მობილობა

მოსამზადებელი კურსი

BG	подготвителен клас / подготвителен учебен час
CS	Vorbereitungsklasse / Vorbereitungskurs; Aufnahmeklasse / Aufnahmekurs (LU)
DE	Bali-Prozess
EL	Προπαρασκευαστικά μαθήματα (συν. τάξεις υποδοχής)
EN	preparatory class
ES	
ET	
FI	valmistava luokka / valmistava opetus
FR	classe passerelle (BE); unité pédagogique pour élèves allophones arrivants (UPE2A) (FR); classe d'accueil / cours d'accueil (LU)
GA	
HU	előkészítő óra
IT	corso di preparazione
LT	parengiamieji kursai
LV	
MT	
NL	
PL	zajęcia przygotowawcze
PT	
RO	clasă pregătitoare
SK	prípravný kurz
SL	pripravljalni pouk
SV	förberedande undervisning / förberedelseklass
NO	forberedende språkkurs (for barn av nyankomne asylsøkere) (b); førebuande språkkurs (for barn av nyankomne asylsøkarar) (n)
UK	підготовче заняття

განმარტება

ქვეყანაში ახლად ჩამოსული მიგრანტი ბავშვებისთვის შემუშავებული, ენის ინტენსიური სწავლების კურსი, ან ზოგ შემთხვევაში, ადაპტირებული სასწავლო პროგრამა სხვა საგნებში, რომელიც გამიზნულია საერთო სასკოლო სისტემაში მათი ინტეგრაციისთვის.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
Eurydice-ს ანგარიში: მიგრაციული წარსულის მქონე სტუდენტების ინტეგრაცია ევროპის სკოლებში: ეროვნული პოლიტიკა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, 2019 წ.

სინონიმები

- განათლება იმიგრანტი ბავშვებისთვის
- განათლება მიგრანტი ბავშვებისთვის
- მისაღები კურსი
- გადასვლისთვის მოსამზადებელი კურსი
- შესავალი კურსი

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-14(2)2 მუხლის თანახმად, მოსამზადებელ კურსებში (ენის კურსის ჩათვლით) უნდა ჩაერთონ არასრულწლოვანი პირებიც, როდესაც ეს აუცილებელია განათლების სისტემაზე მათი წვდომის და ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
2. ამასთან, მოსამზადებელი კურსების პრაქტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განსხვავებულია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმეტესობა ახალჩამოსულ ბავშვებსა და მიგრაციული წარსულის მქონე ახალგაზრდებს აგზავნის მოსამზადებელ კურსებზე იმ შემთხვევაში, თუ მათი ენის უნარები არ არის საკმარისად ძლიერი ზოგად სასწავლო პროცესში სრულფასოვანი ჩართვისთვის. ზოგი სახელმწიფო კი მიგრანტ ბავშვებს პირდაპირ რთავს ძირითად სასწავლო პროცესში, რადგან ითვლება, რომ ეს პრაქტიკა ინტეგრაციის მიზნებისთვის ყველაზე გამართლებულია. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Eurydice-ს ანგარიში: მიგრაციული წარსულის მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია ევროპის სკოლებში: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული პოლიტიკა, 2019 წლის აგვისტო.

მოსაფიქრებელი ვადა

BG	период за размисъл
CS	tzv. doba na rozmyšlení
DE	Bedenkzeit
EL	προθεσμία περίσκεψης
EN	reflection period
ES	período de reflexión
ET	järelemõtlemisaeg
FI	harkinta-aika
FR	délai de réflexion
GA	tréimhse mhachnaimh
HU	mérlegelési idő / gondolkodási idő
IT	Periodo di riflessione
LT	apsisprendimo laikotarpis
LV	nogaidīšanas periods
MT	Perjodu ta' riflessjoni
NL	bedenktijd
PL	czas na zastanowienie się
PT	período de reflexão
RO	
SK	lehota na rozmyslenie
SL	obdobje za razmislek
SV	betänketid
NO	refleksjonsperiode
UK	час на обмірковування

განმარტება

დროის პერიოდი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ეძლევა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ოფიციალურად იდენტიფიცირებულ მესამე ქვეყნის მოქალაქე მსხვერპლს და საშუალებას აძლევს მას, დაუბრუნდეს ტრეფიკინგის მსხვერპლად გახდომამდე მდგომარეობას და თავი დააღწიოს დამნაშავის გავლენას, რათა მიიღოს გათვითცნობიერებული გადაწყვეტილება, ითანამშრომლოს თუ არა კომპეტენტურ ორგანოებთან.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2004/81/EC (დირექტივა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ) მე-6(1) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლი**

შენიშვნა

ტერმინი უშუალოდ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კონტექსტს უკავშირდება, თუმცა 'მოსაფიქრებელი ვადა' შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაკლებად სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სხვა ეროვნულ კონტექსტებშიც.

მოსახლეობის ჯგუფი

BG	брой на населението
CS	obyvatelstvo (stav k) / počet obyvatel (stav k)
DE	Bevölkerungs(be)stand
EL	πληθυσμιακό απόθεμα
EN	population stock
ES	stock de población
ET	rahvaarv kindlal territooriumil, teatud aja seisuga
FI	väestökanta
FR	stock de population
GA	stoc daonra
HU	népességszám
IT	stock di popolazione
LT	gyventojų skaičius
LV	iedzīvotāju skaits (1. janvārī)
MT	Rendikont tal-popolazzjoni
NL	stand van de bevolking; omvang van de bevolking (NL)
PL	populacja w danym momencie
PT	stock populacional
RO	stoc de populație
SK	počet obyvateľov
SL	število prebivalstva
SV	folkmängd
NO	folketall (b); folketal (n)
UK	чисельність населення

განმარტება

მოცემული ტერიტორიის მკვიდრნი შესაბამისი წლის კონკრეტული თარიღისთვის (მაგ., 1 იანვარს ან 31 დეკემბერს).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროსტატის დემოგრაფიული სტატისტიკის ლექსიკონი, ტერმინის 'მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა' განმარტება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრანტთა ჯგუფი

დაკავშირებული ტერმინები

★ მიგრაციის სალდოს ზოგადი კოეფიციენტი
★ მიგრაციული ნაკადი
★ მიგრაციის სალდო
★ უცხოელთა ჯგუფი
★ მიგრაციის მთლიანი მოცულობა
★ მუდმივი მოსახლეობა

შენიშვნა

მოსახლეობის რაოდენობა ემყარება უახლესი აღწერის მონაცემებს, რომელიც კორექტირებულია ბოლო აღწერის შემდეგ მოსახლეობის ცვლილების კომპონენტებით, ან ემყარება მოსახლეობის რეესტრებს.

მოქალაქეობა

BG	гражданство
CS	státní občanství
DE	Staatsangehörigkeit / Staatsbürgerschaft
EL	ιθαγένεια / υπηκοότητα
EN	citizenship
ES	nacionalidad
ET	kodakondsus
FI	kansalaisuus
FR	nationalité
GA	saoránacht
HU	állampolgárság
IT	cittadinanza
LT	pilietybė
LV	pilsonība
MT	Ċittadinanza
NL	staatsburgerschap
PL	obywatelstwo
PT	nacionalidade
RO	cetățenie
SK	štátne občianstvo / štátna príslušnosť
SL	državljanstvo
SV	medborgarskap
NO	statsborgerskap (b); statsborgarskap (n)
UK	Громадянство

განმარტება

პირსა და სახელმწიფოს შორის არსებული სამართლებრივი კავშირი, რომელიც წარმოიქმნება დაბადებით ან ნატურალიზაციით - დადგენის, არჩევის, ქორწინების ან ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სხვა გზით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(d) მუხლი

სინონიმი

★ ეროვნება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **მოქალაქეობის მოპოვება**
★ **ორმაგი მოქალაქეობა**
★ **მოქალაქეობის დაკარგვა**
★ **ევროკავშირის მოქალაქე**

დაკავშირებული ტერმინები

★ **მოქალაქეობის ქვეყანა**
★ **ეთნიკური კუთვნილება**

შენიშვნები

1. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ზოგი ქვეყანა ერთმანეთისგან ასხვავებს ცნებებს 'მოქალაქეობა' (citizenship) და 'ეროვნება' (nationality), ევროკავშირის კონტექსტში და ამ განმარტებითი ლექსიკონის მიზნებისთვის, ამ ცნებებს შორის განსხვავება არ არის და ისინი ურთიერთმონაცვლედ ითვლება. იმ ქვეყნებში, რომლებშიც ამ ორი ტერმინის აღქმა განსხვავებულია, 'მოქალაქეობა' უშუალოდ მოქალაქეთა სამართლებრივ უფლებებს და მოვალეობებს გულისხმობს. მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენცია, IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და მოქალაქეობის საკითხთა საერთაშორისო საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის (CLOBALCIT): მოქალაქეობისა და საარჩევნო უფლებების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი უპირატესობას ტერმინს 'nationality' ანიჭებს.

2. მოქალაქეობის მარეგულირებელ კანონებს შორის კოლიზიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჰააგის კონვენციის (1930 წ.) 1-ელი მუხლის თანახმად, თითოეული სახელმწიფო თავად, თავისი კანონების შესაბამისად, წყვეტს, ვინ არიან მისი მოქალაქეები.

3. მოქალაქეობასთან ბმა გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებისთვის ინდივიდუალური უფლებების მინიჭებას და გარკვეული ვალდებულებების დაწესებას. მიგრაციის შემთხვევაში მოქალაქეობა ითვალისწინებს გარკვეულ შედეგებს, როგორიცაა სახელმწიფოს უფლება, დაიცვას თავისი მოქალაქეები უცხო ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ მათი უფლებების დარღვევისგან (კერძოდ, დიპლომატიური დაცვის საშუალებით), ასევე, სახელმწიფოს ვალდებულება, მიიღოს საკუთარი მოქალაქეები თავის ტერიტორიაზე და არ დაუშვას მათი ქვეყნიდან გაძევება.

მოქალაქეობის არმქონე პირი

BG	лице без гражданство
CS	osoba bez státní příslušnosti
DE	Staatenloser
EL	ανιθαγενής
EN	stateless person
ES	apátrida
ET	kodakondsuseta isik
FI	kansalaisuudeton
FR	apatride
GA	duine gan stát
HU	hontalan
IT	apolide
LT	asmuo be pilietybės
LV	bezvalstnieks
MT	Persuna apolida / bla stat
NL	staatloze
PL	bezpaństwowiec
PT	apátrida
RO	apatrid
SK	osoba bez štátneho občianstva / osoba bez štátnej príslušnosti
SL	apatrid / oseba brez državljanstva
SV	statslös
NO	statsløs person (b); statslaus person (n)
UK	особа без громадянства

განმარტება

პირი, რომელსაც არცერთი სახელმწიფო არ მიიჩნევს თავის მოქალაქედ, კანონის მოქმედების შესაბამისად.

წყარო

მოქალაქეობის არმქონე პირთა სტატუსის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ელი მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ მოქალაქეობა

შენიშვნა

განმარტება ასევე ვრცელდება პირზე, რომლის მოქალაქეობა დაუდგენელია.

მოქალაქეობის დაკარგვა

BG	загуба на гражданство
CS	pozbytí státního občanství
DE	Verlust der Staatsangehörigkeit / Verlust der Staatsbürgerschaft
EL	απώλεια ιθαγένειας
EN	loss of citizenship
ES	pérdida de nacionalidad
ET	kodakondsuse kaotamine
FI	kansalaisuuden menettäminen
FR	perte de la nationalité
GA	cailleadh saoránachta
HU	állampolgárság elvesztése
IT	perdita di cittadinanza
LT	pilietybės netekimas
LV	pilsonības zaudēšana
MT	Telf ta' ċittadinanza
NL	verlies van het staatsburgerschap
PL	utrata obywatelstwa
PT	perda de nacionalidade
RO	pierderea cetățeniei
SK	strata štátneho občianstva
SL	izguba državljanstva
SV	förlust av medborgarskap
NO	tap av statsborgerskap (b); tap av statsborgarskap (n)
UK	втрата громадянства

განმარტება

ქვეყნის მოქალაქის სტატუსის დაკარგვის ნებისმიერი ფორმა, ნებაყოფლობით ან იძულებით, ავტომატურად ან სახელმწიფო ხელისუფლების ქმედების შედეგად.

წყარო

მოქალაქეობის საკითხთა საერთაშორისო კვლევითი ცენტრი: მოქალაქეობასა და საარჩევნო უფლებებთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მოქალაქეობა

დაკავშირებული ტერმინი

★ მოქალაქეობის მოპოვება

შენიშვნა

მოქალაქეობის დაკარგვის ძირითადი სახეებია მოქალაქეობიდან გასვლა, მოქალაქეობის შეწყვეტა და მოქალაქეობის ჩამორთმევა.

მოქალაქეობის მოპოვება

BG	придобиване на гражданство
CS	nabytí státního občanství
DE	Erwerb der Staatsangehörigkeit / Erwerb der Staatsbürgerschaft
EL	κτήση ιθαγένειας
EN	acquisition of citizenship
ES	adquisición y atribución de nacionalidad
ET	kodakondsuse omandamine / kodakondsuse saamine
FI	kansalaisuuden saaminen
FR	acquisition de la nationalité
GA	saoránacht a fháil
HU	állampolgárság megszerzése
IT	acquisizione di cittadinanza
LT	pilietybės įgijimas
LV	pilsonības iegūšana
MT	Ksib ta' ċittadinanza
NL	verkrijging van het staatsburgerschap
PL	nabywanie obywatelstwa
PT	aquisição de nacionalidade
RO	obtinerea cetateniei / dobandirea cetateniei
SK	nadobudnutie štátneho občianstva / získanie štátneho občianstva
SL	pridobitev državljanstva
SV	förvärv av medborgarskap
NO	erverv av statsborgerskap (b); erverv av statsborgarskap (n)
UK	набуття громадянства

განმარტება

მოქალაქეობის მოპოვების ნებისმიერი ფორმა - დაბადებისას ან დაბადების შემდეგ ნებისმიერ დროს, ავტომატურად ან არაავტომატურად - მინიჭების, დადგენის, არჩევის ან მოთხოვნის საფუძველზე.

წყარო

მოქალაქეობის საკითხთა საერთაშორისო საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი (GLOBALCIT): მოქალაქეობისა და საარჩევნო უფლებების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მოქალაქეობა**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ნატურალიზაცია**

დაკავშირებული ტერმინები

★ **იუს სანგვინის (ius sanguinis/„სისხლის პრინციპი“)**

★ **იუს სოლი (ius soli/„მიწის პრინციპი“)**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-3(d) მუხლი ეხება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა მიერ განსაზღვრული წლის განმავლობაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობის მოპოვებას, რომლებიც მანამდე იყვნენ ევროკავშირის წევრი სხვა სახელმწიფოს ან მესამე ქვეყნის მოქალაქეები ან მოქალაქეობის არმქონე პირები.

2. მოქალაქეობის მოპოვების ერთ-ერთი შესაძლო გზაა ნატურალიზაცია, რომელიც უფრო მეტად მოქალაქეობის მინიჭებაზე უფლებამოსილი შესაბამისი ორგანოების გადაწყვეტილებას/ადმინისტრაციულ პროცესს უკავშირდება.

მოქალაქეობის ქვეყანა

BG	страна на гражданство
CS	země státní příslušnosti
DE	Land der Staatsangehörigkeit / Land der Staatsbürgerschaft
EL	Χώρα της ιθαγένειας
EN	country of nationality
ES	país de nacionalidad
ET	kodakondsusjärgne riik
FI	kansalaisuusvaltio
FR	pays de nationalité
GA	tír náisiúntachta
HU	állampolgárság szerinti ország
IT	paese di cittadinanza
LT	pilietybės valstybė
LV	pilsonības valsts
MT	Pajjiż tan-nazzjonalità
NL	land waarvan iemand onderdaan is / land waarvan iemand het staatsburgerschap heeft
PL	państwo, którego obywatelem jest cudzoziemiec
PT	país de nacionalidade
RO	țara de cetățenie
SK	krajina štátneho občianstva / krajina štátnej príslušnosti
SL	država, katere državljanstvo / nacionalnost ima oseba
SV	medborgarskapsland
NO	statsborgerskapsland (b); statsborgarskapsland (n)
UK	країна громадянства

განმარტება

ქვეყანა (ან ქვეყნები), რომლის (რომელთა) მოქალაქეობასაც ფლობს პირი.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ

სინონიმი

★ მოქალაქეობის სახელმწიფო

დაკავშირებული ტერმინები

★ **მოქალაქეობა**

★ **დაბადების ქვეყანა**

★ **წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**

შენიშვნები

1. პირის მოქალაქეობის ქვეყანა შეიძლება განსხვავდებოდეს მისი წარმომავლობის (წარმოშობის) და/ან დაბადების ქვეყნისგან იმის გამო, რომ პირმა მოიპოვა მისი დაბადების ქვეყნისგან განსხვავებული ქვეყნის მოქალაქეობა.

2. ევროკავშირის წევრ ზოგ სახელმწიფოში ეს ტერმინი დაბრუნების კონტექსტში გამოიყენება.

მოწვეული მუშაკი

BG	гост работник
CS	dočasně pracující cizinec / gastarbeiter
DE	Gastarbeiter
EL	μετανάστης εργαζόμενος / επισκέπτης εργαζόμενος
EN	guest worker
ES	trabajador invitado
ET	võõrtöötaja
FI	vierastyöläinen
FR	travailleur étranger / travailleur invité
GA	aoi-oibrí
HU	vendégmunkás
IT	lavoratore ospite
LT	besisvečiuojantis darbuotojas
LV	viesstrādnieks
MT	Ħaddiem mistieden
NL	gastarbeider
PL	gastarbaiter
PT	trabalhador convidado
RO	lucrător vizitator
SK	zahraničný hosťujúci pracovník
SL	gostujoči delavec
SV	gästarbetare
NO	gjestearbeider (b); gjestearbeidar (n)
UK	гастарбайтер

განმარტება

დასახლებისა და დასაქმების შეზღუდული ვადით დაქირავებული ეკონომიკური მიგრანტი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ეკონომიკური მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **შრომითი მიგრანტი**

შენიშვნა

ტერმინი ევროკავშირის კონტექსტში აღარ გამოიყენება. ის უმეტესად გამოიყენებოდა ევროპაში 1950-იანი და 1960-იანი წლების მიგრაციული ნაკადების აღსანიშნავად.

მოწმობით აღიარებული ლტოლვილი

BG	no translation
CS	statutární uprchlík
DE	statutärer Flüchtling
EL	αναγνωρισμένος πρόσφυγας
EN	statutory refugee
ES	refugiado bajo instrumentos anteriores a la Convención de 1951
ET	statuudipagulane
FI	pakolaisaseman saanut henkilö / sääntömääräinen pakolainen
FR	réfugié statutaire
GA	dídeanaí de réir reachta
HU	történelmi menekült
IT	rifugiato titolare dello status prima della Convenzione di Ginevra del 1951
LT	pabėgėlis pagal susitarimus
LV	statūtbēglis
MT	Rifuġjat(a) statutarju(-a)
NL	erkende vluchteling / verdragsvluchteling
PL	uchodźca statutowy
PT	refugiado estatutário
RO	refugiat statutar
SK	štatutárny utečenec
SL	statusni begunec
SV	konventionsflykting
NO	statuttflyktning
UK	біженець за законом / «статутний» біженець

განმარტება

პირი, რომელიც მიჩნეულია ლტოლვილად (ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი A(I) მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების თანახმად), ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის წინამორბედი საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებების შესაბამისად, ან პირი, რომელიც ლტოლვილთა (ყოფილი) საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულია ლტოლვილად მისი საქმიანობის პერიოდში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე**
★ **მანდატით განსაზღვრული ლტოლვილი**

შენიშვნები

1. ეს ინსტრუმენტებია: 1926 წლის 12 მაისის შეთანხმებები რუს და სომეხ ლტოლვილებთან მიმართებით, 1928 წლის 30 ივნისის შეთანხმება თურქ და ასურელ ლტოლვილებთან მიმართებით, 1933 წლის 28 ოქტომბრისა და 1938 წლის 10 თებერვლის კონვენციები, 1939 წლის 14 სექტემბრის ოქმი და ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება.

2. სტატუსის ეს ტიპი, როგორც წესი, უკვე აღარ გაიცემა, თუმცა ჯერ კიდევ გამოიყენება UNHCR-ის მიერ თავის საქმიანობაში.

მოწყვლადი პირი

BG	уязвимо лице
CS	zranitelná osoba
DE	schutzbedürftige Person
EL	ευάλωτο άτομο
EN	vulnerable person
ES	persona vulnerable
ET	haavatav isik
FI	haavoittuvassa asemassa oleva henkilö
FR	personne vulnérable
GA	duine soghonta
HU	sérülékeny (csoporthoz tartozó) személy
IT	persona vulnerabile
LT	pažeidžiamas asmuo
LV	mazāk aizsargāta persona (EU acquis); īpaši aizsargājama persona
MT	Persuna vulnerabbli
NL	kwetsbare persoon
PL	osoba szczególnej troski
PT	pessoa vulnerável
RO	persoană vulnerabilă
SK	zraniteľná osoba
SL	ranljiva oseba
SV	utsatt person
NO	sårbar person
UK	вразлива особа

განმარტება

არასრულწლოვანები, თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები, ორსულები, მარტოხელა მშობლები არასრულწლოვანი ბავშვებით, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი, სერიოზული დაავადების მქონე პირები, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირები, ასევე პირები, რომლებიც გახდნენ წამების, გაუპატიურების ან სხვა მძიმე ფორმის ფსიქოლოგიური, ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი, მაგალითად, როგორიცაა ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 21-ე მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- მიღების განსაკუთრებული საჭიროების მქონე განმცხადებელი

დაკავშირებული ტერმინები

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) იდენტიფიცირებული მსხვერპლი
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სავარაუდო მსხვერპლი
- წამება
- თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი

შენიშვნები

1. დირექტივა 2011/36/EU (დირექტივა ტრეფიკინგის შესახებ) განმარტავს 'მოწყვლად მდგომარეობას', როგორც „სიტუაციას, რომელშიც შესაბამის პირს არ გააჩნია რეალური ან მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ დაექვემდებაროს ექსპლუატაციას დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის გზით".
2. ზოგი დირექტივა იყენებს უფრო ვიწრო განმარტებას, როგორიცაა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(9) მუხლში მოცემული განმარტება.

მსხვერპლად ქცევა (ვიქტიმიზაცია)

BG	виктимизация
CS	viktimizace
DE	Viktimisierung
EL	θυματοποίηση
EN	victimisation
ES	victimización
ET	ohvristamine
FI	uhriutuminen
FR	rétorsion
GA	íospairt
HU	viktimizáció
IT	vittimizzazione
LT	persekiojimas
LV	viktimizācija
MT	Vittimizzazzjoni
NL	represailles / victimisatie (in judicial practice)
PL	wiktymizacja
PT	vitimização
RO	victimizare
SK	viktimizácia
SL	viktimizacija
SV	repressalier
NO	represalier (b); represaliar (n)
UK	віктимізація

განმარტება

არასათანადო მოპყრობა ან უარყოფითი შედეგი, რომელიც დადგა პირის მიმართ თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის შესახებ გაკეთებული განცხადების ან შესაბამისი (მიმდინარე) პროცედურის საპასუხოდ.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) მე-9 მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **თანასწორი მოპყრობის პრინციპი**

მტკიცების სტანდარტი

BG	изискване за доказване
CS	stav věci, o němž nejsou důvodné pochybnosti
DE	Beweisanforderung
EL	επίπεδο απόδειξης / πρότυπο απόδειξης / βάρος απόδειξης
EN	standard of proof
ES	nivel de prueba
ET	tõendamisstandard
FI	näyttökynnys
FR	niveau de preuve
GA	caighdeán cruthúnais
HU	bizonyítás foka
IT	grado di intensità della prova
LT	įrodymams keliami reikalavimai
LV	pierādījumu kopums
MT	standard ta' evidenza
NL	bewijsstandaard / bewijsvoeringsnorm
PL	standard dowodu
PT	nível dos elementos de prova
RO	
SK	miera dokazovania
SL	dokazni standard
SV	beviskrav
NO	beviskrav
UK	стандарт доказування

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, კონკრეტულ შემთხვევაში მტკიცებულებების სარწმუნოდ მიჩნევისთვის საჭირო მტკიცების ხარისხი ან დონე.

საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, მტკიცებულების სარწმუნოობის ხარისხი ან დონე, რომელიც მოეთხოვება (როგორც დასაკმაყოფილებელი ზღვარი) საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელს, რომ დაარწმუნოს მოსამართლეები სარჩელში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაში, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა დევნის საფუძვლიანი შიში.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.
საერთაშორისო დაცვის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
EASO-ს პრაქტიკული სახელმძღვანელო: მტკიცებულებების შეფასება, 2015 წ. და
UNHCR: შენიშვნა მტკიცების ტვირთისა და სტანდარტის შესახებ, 1998 წლის 16 დეკემბერი

შენიშვნა

თავისი სარჩელის გასამყარებელი ფაქტების მტკიცება განმცხადებლის პასუხისმგებლობაა. ფაქტები, რომლებიც მტკიცებას საჭიროებს, ეხება განმცხადებლის ისტორიასა და პირად გამოცდილებას, რომლებმაც, სავარაუდოდ, აღძრა დევნის შიში და რისი შედეგიცაა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაცვის მიღების სურვილის არქონა.

მტკიცების ტვირთი

BG	тежест на доказване
CS	důkazní břemeno
DE	Beweislast
EL	βάρος της αποδείξεως
EN	burden of proof
ES	carga de la prueba
ET	tõendamiskohustus
FI	todistustaakka
FR	charge de la preuve
GA	dualgas cruthúnais
HU	bizonyítási teher
IT	onere della prova
LT	įrodinėjimo pareiga
LV	pierādīšanas pienākums
MT	Piż (Il-) tal-prova / Obbligu (L-) li jingiebu l-provi
NL	bewijslast
PL	ciężar dowodu
PT	ónus da prova
RO	sarcina dovezii
SK	dôkazné bremeno
SL	dokazno breme
SV	bevisbörda
NO	bevisbyrde
UK	тягар доведення

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, მხარის ვალდებულება, დაამტკიცოს სადავო მოსაზრება ან ბრალდება.

მიგრაციის კონტექსტში, იმ არამოქალაქე პირის ვალდებულება, რომელიც ცდილობს უცხო სახელმწიფოში შესვლას, დაამტკიცოს, რომ მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად, იგი აღჭურვილია ქვეყანაში შესვლის უფლებით და არ არსებობს მისთვის ამ სახელმწიფოში დაშვებაზე უარის თქმის საფუძველი.

ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების კონტექსტში, განმცხადებლის ვალდებულება, დაასაბუთოს თავისი მოთხოვნა და წარმოადგინოს მტკიცებულება დევნის საფუძვლიანი შიშის დასადასტურებლად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

შენიშვნები

1. ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურების დროს განმცხადებელს ეკისრება მის მიერ გაკეთებული განცხადებების უტყუარობისა და იმ ფაქტების სიზუსტის დადგენის ტვირთი, რომლებსაც ლტოლვილის სარჩელი ეფუძნება. მტკიცების ტვირთზე პასუხისმგებელია განმცხადებელი, რომელიც წარადგენს სარჩელთან დაკავშირებულ სარწმუნო ფაქტებს იმისთვის, რომ ამ ფაქტებზე დაყრდნობით შესაძლებელი იყოს სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR: შენიშვნა ლტოლვილთა სარჩელებში მტკიცების ტვირთისა და მტკიცებულებითი სტანდარტის შესახებ, 1998 წლის 16 დეკემბერი

მტკიცებულებათა შეფასება

BG	оценка на доказателствата
CS	hodnocení důkazů
DE	Beweiswürdigung
EL	Αξιολόγηση αποδεικτικών στοιχείων
EN	evidence assessment
ES	Prueba de evaluación
ET	tõendite hindamine
FI	todisteiden arviointi
FR	évaluation des éléments de preuve
GA	measúnú fianaise
HU	bizonyíték értékelése
IT	valutazione delle prove
LT	įrodymų vertinimas
LV	pierādījumu izvērtēšana
MT	valutazzjoni tal-evidenza
NL	beoordeling van het bewijs
PL	ocena dowodu
PT	avaliação da prova
RO	evaluarea probelor
SK	hodnotenie dôkazov
SL	ocena dokazov
SV	bevisvärdering
NO	bevisvurdering
UK	оцінка доказів

განმარტება

არსებული მტკიცებულებების შესწავლისა და შედარების გზით კონკრეტულ საქმეზე ფაქტების დადგენის ძირითადი მეთოდი.

წყარო

EASO: მტკიცებულებათა შეფასების პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2015 წლის მარტი

შენიშვნა

ტერმინი გამოიყენება როგორც საერთაშორისო დაცვისა და თავშესაფრის კონტექსტში, ისე მიგრაციის სხვა პროცედურების კონტექსტშიც, როგორიცაა სავიზო განაცხადთან დაკავშირებული პროცედურები.

მუდმივი მოსახლეობა

BG	обичайно живеещо население
CS	obyvatelstvo s obvyklým pobytem
DE	Wohnbevölkerung
EL	συνήθης διαμένων πληθυσμός
EN	usually resident population
ES	población residente
ET	püsielanikkond
FI	henkikirjoitettu väestö / vakinainen väestö
FR	population résidente
GA	daonra gnáthchónaitheach
HU	bejelentett lakcímmel rendelkező népesség
IT	popolazione abitualmente residente
LT	nuolatiniai gyventojai
LV	pastāvīgie iedzīvotāji
MT	Popolazzjoni ta' residenti
NL	geregistreerde bevolking / werkelijke bevolking
PL	populacja rezydentów
PT	população residente
RO	populație rezidentă
SK	obyvateľstvo s obvyklým pobytom
SL	običajno rezidentno prebivalstvo
SV	stadigvarande bosatta
NO	fastboende befolkning (b); fastbuande folkesetnad (n)
UK	постійно проживаюче населення

განმარტება

ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს კონკრეტულ გეოგრაფიულ (ეროვნულ, რეგიონულ ან ადგილობრივ) ტერიტორიაზე დროის მოცემულ პერიოდში.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N763/2008 (რეგულაცია მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერის შესახებ) მე-2(d) მუხლი

რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(1) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მუდმივი საცხოვრებელი ადგილი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მოსახლეობის ჯგუფი**

შენიშვნები

1. 'ადამიანთა ერთობლიობა' მოიცავს როგორც მოქალაქეებს, ასევე უცხოელებს (როგორც კანონიერად, ასევე, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ პირებს).

2. ამ კონტექსტში 'მუდმივი' მიუთითებს ადგილს, სადაც პირი, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ატარებს თავისუფალ დროს, იმისდა მიუხედავად, რომ, შესაძლოა, დროებით გაემგზავროს დასვენების, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების, სამსახურებრივი საჭიროების, მკურნალობის ან მომლოცველობის მიზნით.

3. მოცემულ გეოგრაფიულ არეალში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეებად შეიძლება მიჩნეულ იქნენ მხოლოდ ის პირები:

ა) რომლებიც თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე უწყვეტად ცხოვრობდნენ განსაზღვრულ თარიღამდე, სულ მცირე, 12 თვის განმავლობაში; ან

ბ) პირები, რომლებიც ჩავიდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე განსაზღვრულ თარიღამდე.

მუდმივი საცხოვრებელი ადგილი

BG	обичайно местоживеене
CS	obvyklé místo pobytu
DE	üblicher Aufenthaltsort
EL	συνήθης διαμονή
EN	usual residence
ES	residencia habitual
ET	alaline elukoht
FI	vakinainen asuinpaikka
FR	résidence habituelle
GA	gnáthchónaí
HU	szokásos tartózkodási hely
IT	dimora abituale
LT	nuolatinė gyvenamoji vieta
LV	parastā dzīvesvieta
MT	Residenza abitwali / tas-soltu
NL	gewone verblijfplaats
PL	zwyczajowe miejsce pobytu
PT	residência habitual
RO	rezidență uzuală
SK	obvyklý pobyt
SL	običajno prebivališče
SV	stadigvarande bosättning
NO	vanlig bosted (b); vanleg bustad (n)
UK	звичайне місце проживання

განმარტება

ადგილი, სადაც პირი, ჩვეულებრივ, ყოველდღიურად ატარებს თავისუფალ დროს, იმისდა მიუხედავად, რომ, შესაძლოა, დროებით გაემგზავროს დასვენების, მეგობრებისა და ნათესავების მონახულების, საქმიანი, სამკურნალო ან მომლოცველობის მიზნით. ჩვეულებრივ, ეს არის იურიდიული ან რეგისტრირებული საცხოვრებელი ადგილი.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(1)a მუხლი

სინონიმი

★ ჩვეული საცხოვრებელი ადგილი

ნატურალიზაცია

BG	натурализация
CS	nabytí občanství / naturalizace
DE	Einbürgerung
EL	πολιτογράφηση
EN	naturalisation
ES	adquisición de nacionalidad
ET	naturalisatsioon
FI	kansalaistaminen
FR	naturalisation
GA	eadóirsiú; eadóirseacht
HU	honosítás
IT	naturalizzazione
LT	natūralizacija
LV	naturalizācija
MT	Naturalizzazzjoni
NL	naturalisatie; nationaliteitsverklaring (BE)
PL	naturalizacja
PT	naturalização
RO	obținerea cetățeniei / naturalizare
SK	naturalizácia
SL	naturalizacija
SV	naturalisation
NO	naturalisering
UK	натуралізація

განმარტება

დაბადების შემდეგ მოქალაქეობის მოპოვება პირის მიერ (რომელიც მანამდე არ ფლობდა ამ ქვეყნის მოქალაქეობას), პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ შესაბამისი განაცხადის წარდგენით ან მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე.

წყარო

EUDO-ს განმარტებითი ონლაინლექსიკონი მოქალაქეობის შესახებ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მოქალაქეობის მოპოვება

შენიშვნა

აღნიშნული განმარტება არ გულისხმობს მოქალაქეობის ავტომატურად მოპოვებას, რომლისთვისაც არ არის საჭირო შესაბამისი პირის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ინიციირება (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირს აქვს შესაძლებლობა, უარი თქვას მისთვის მოქალაქეობის ამ გზით მიკუთვნებაზე) ან მოქალაქეობის მოპოვებას პირის ცალმხრივი აქტის საფუძველზე (მაგ., მოქალაქეობის მოპოვება მისი დადგენის ან არჩევის გზით).

ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში მყოფი პირი

BG	престой над разрешения срок
CS	překročení doby povoleného pobytu / osoba s překročenou dobou povoleného pobytu
DE	Person, die die zulässige Aufenthaltsdauer überschritten hat
EL	ο αλλοδαπός διαμένων πέραν του χρόνου που δικαιούται
EN	overstay(er)
ES	extranjero en situación irregular sobrevenida
ET	lubatud viibimisaja ületamine / ületaja
FI	henkilö, joka on jäänyt maahan oleskeluluvan tai viisumin umpeuduttua
FR	personne dépassant la durée de séjour autorisée
GA	rófhantóir (and overstaying = rófhantóireacht)
HU	túltartózkodó
IT	overstayer
LT	asmuo, viršijęs teisėto buvimo laiką
LV	persona, kas pārsniedz atļauto uzturēšanās termiņu
MT	Min itawwal żjara illegalment
NL	overstayer
PL	osoba która utraciła prawo do pobytu
PT	estrangeiro com excesso de permanência
RO	străin cu şedere ilegală (prin depăşirea termenului de şedere conferit de viză sau alt document de şedere)
SK	osoba, ktorá prekročila povolenú dobu pobytu
SL	tujec, ki je prekoračil dovoljeni čas prebivanja
SV	person vars uppehållstillstånd har gått ut
NO	person hvis oppholdstillatelse er utløpt (b); person med opphaldsløyve som har gått ut (n)
UK	мігрант, строк перебування якого сплив

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც იმყოფება ქვეყანაში იმ ვადის გასვლის შემდეგ, რომლითაც მას ჰქონდა აღნიშნულ ქვეყანაში შესვლის და ყოფნის უფლება.

ევროკავშირის კონტექსტში, პირი, რომელიც ლეგალურად შევიდა, მაგრამ შემდეგ დარჩა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში მისი ყოფნისთვის განსაზღვრულ ვადაზე მეტი ხნით შესაბამისი ვიზის გარეშე (რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ითვალისწინებს ქვეყანაში 90 დღით ან ექვსი თვით ყოფნას) ან მისი კონკრეტული ვიზით და/ან ბინადრობის ნებართვით დაშვებულ ვადაზე მეტი ხნით.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავებულია EMN-ის მიერ
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ. ტერმინის 'ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში ყოფნა' განმარტება
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმი

- ნებადართულზე მეტი ვადით ქვეყანაში ყოფნა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომლის არალეგალურად ყოფნა დადგენილია**

დაკავშირებული ტერმინები

- **კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი**
- **კანონიერი საფუძვლის გარეშე ყოფნა**

ნებაყოფლობითი გამგზავრება

BG	доброволно напускане на страната
CS	dobrovolné opuštění území
DE	freiwillige Ausreise
EL	εθελούσια αναχώρηση
EN	voluntary departure
ES	salida voluntaria
ET	vabatahtlik lahkumine
FI	vapaaehtoinen maasta poistuminen
FR	départ volontaire
GA	imeacht deonach
HU	önkéntes távozás
IT	partenza volontaria
LT	savanoriškas išvykimas
LV	brīvprātīga izceļošana
MT	Tluq volontarju
NL	vrijwillig vertrek
PL	dobrowolny wyjazd
PT	abandono voluntário
RO	plecare voluntară
SK	dobrovoľný odchod
SL	prostovoljni odhod
SV	frivillig avresa
NO	frivillig utreise (b); friviljug utreise (n)
UK	добровільний від'їзд

განმარტება

დაბრუნების ვალდებულების შესრულება დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებით ამ მიზნისთვის დადგენილ ვადაში.

წყარო

დირექტივის 2008/115/EC მე-3(8) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **იძულებითი დაბრუნება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **გადაწყვეტილება დაბრუნების შესახებ**

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნება**

შენიშვნები

1. მოცემული ტერმინი განსხვავდება ტერმინისგან 'ნებაყოფლობითი დაბრუნება', ვინაიდან ნებაყოფლობითი გამგზავრების შემთხვევაში არსებობს უკან დაბრუნების ვალდებულება.

2. ნებაყოფლობითი გამგზავრებას უპირატესობა ენიჭება იძულებით დაბრუნებასთან შედარებით. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-7(1) მუხლი ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, ნებაყოფლობითი გამგზავრებისთვის პირს მისცენ გარკვეული დრო - შვიდიდან ოცდაათ დღემდე.

ნებაყოფლობითი დაბრუნება

BG	доброволно връщане
CS	dobrovolný návrat
DE	freiwillige Rückkehr
EL	εθελούσια επιστροφή
EN	voluntary return
ES	retorno voluntario
ET	vabatahtlik tagasipöördumine
FI	vapaaehtoinen paluu
FR	retour volontaire
GA	filleadh deonach
HU	önkéntes hazatérés
IT	ritorno volontario / rimpatrio volontario
LT	savanoriškas grįžimas
LV	brīvprātīga atgriešanās
MT	Ritorn volontarju
NL	vrijwillige terugkeer
PL	dobrowolny powrót
PT	retorno voluntário
RO	returnare voluntară
SK	dobrovoľný návrat
SL	prostovoljna vrnitev
SV	frivilligt återvändande
NO	frivillig retur (b); friviljug retur (n) / assistert retur
UK	добровільне повернення

განმარტება

წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო ან მესამე ქვეყანაში ხელშეწყობით განხორციელებული ან დამოუკიდებელი დაბრუნება, პირის თავისუფალი ნებით.

წყარო

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

სინონიმი

★ ნებაყოფლობითი რეპატრიაცია

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დაბრუნება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **იძულებითი დაბრუნება**

★ **ნებაყოფლობითი გამგზავრება**

შენიშვნები

1. მოცემული ტერმინი განსხვავდება ტერმინისგან ‘ნებაყოფლობითი გამგზავრება’, ვინაიდან ნებაყოფლობითი გამგზავრების შემთხვევაში არსებობს უკან დაბრუნების ვალდებულება.

2. პირები, რომლებიც სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე ბრუნდებიან, გულისხმობს: ა) პირებს, რომლებსაც დაბრუნების არავითარი (სამართლებრივი) ვალდებულება არ გააჩნიათ და, როგორც თავად განმარტება აღნიშნავს, მათი დაბრუნება ან არდაბრუნება მათი საკუთარი გადაწყვეტილებაა; ბ) პირებს, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან ქვეყანაში და ისინი ჯერ არ აღმოუჩენიათ/დაუკავებიათ (მაგ., პირები, რომლებმაც გადააცილეს ქვეყანაში ნებადართული ყოფნის ვადას), მაგრამ რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ დაბრუნება; გ) პირებს, რომლებმაც შეიტანეს განცხადება დარჩენის თაობაზე (თავშესაფრის მაძიებელი, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელი), რომლის განხილვა ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ რომლებმაც გადაწყვიტეს დაბრუნება.

3. UNHCR უპირატესობას ანიჭებს ტერმინს ‘ნებაყოფლობითი რეპატრიაცია’.

ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა

BG	подпомогнато / асистирано доброволно връщане
CS	asistovaný dobrovolný návrat
DE	unterstützte freiwillige Rückkehr
EL	υποβοηθούμενη εκούσια / εθελούσια επιστροφή
EN	assisted voluntary return
ES	retorno voluntario asistido
ET	toetatud vabatahtlik tagasipöördumine
FI	tuettu vapaaehtoinen paluu
FR	aide au retour volontaire
GA	cur ar ais deonach cuidithe
HU	támogatott önkéntes hazatérés
IT	rimpatrio volontario assistito
LT	(remiamas) savanoriškas grįžimas
LV	atbalstīta brīvprātīga atgriešanās
MT	Ritorn volontarju assistit
NL	begeleide vrijwillige terugkeer
PL	wspomagany dobrowolny powrót
PT	regresso voluntário
RO	returnare voluntară asistată
SK	asistovaný dobrovoľný návrat / ADN
SL	prostovoljno vračanje s pomočjo
SV	frivilligt återvändande
NO	assistert retur
UK	допомога в добровільному поверненні

განმარტება

ლოჯისტიკური, ფინანსური და/ან სხვა სახის მატერიალური დახმარების გაწევით განხორციელებული ნებაყოფლობითი დაბრუნება ან ნებაყოფლობითი გამგზავრება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ ნებაყოფლობითი გამგზავრება
- ★ ნებაყოფლობითი დაბრუნება

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა (AVRR)

BG	програма за подпомагане на доброволното връщане и реинтеграция (ПАДВР)
CS	asistovaný dobrovolný návrat a reintegrační program
DE	Programm zur Unterstützung der freiwilligen Rückkehr und Reintegration
EL	πρόγραμμα επιστροφής
EN	assisted voluntary return and reintegration programme (AVRR)
ES	programa de retorno voluntario
ET	toetatud vabatahtliku tagasipöördumise ja reintegratsiooni programm
FI	avustettu vapaaehtoinen paluu ja paluutuki
FR	programme d'aide au retour volontaire et à la réintégration (AVRR) (BE, LU); programme d'aide au retour volontaire et à la réinsertion (AVRR) (FR)
GA	clár fillte
HU	hazatérési program
IT	programma di ritorno volontario assistito con reintegrazione (RVA&R)
LT	(remiamo) savanoriško grįžimo ir reintegracijos programa
LV	atbalstītas brīvprātīgās atgriešanās un reintegrācijas programma
MT	Programm t'assistenza / ta' għajnuna għal ritorn volontarju u riintegrazzjoni (PARVR)
NL	terugkeerprogramma
PL	program wspomaganych dobrowolnych powrotów i reintegracji
PT	Programa de apoio ao retorno voluntário e à reintegração
RO	program de returnare
SK	program asistovaných dobrovoľných návratov a reintegrácií
SL	program pomoči pri prostovoljnem vračanju in reintegraciji
SV	program för stöd till frivilligt återvändande och återintegrering
NO	Assistert retur- og reintegreringsprogram (AVVR), tidligere Returprogram
UK	Програма допомоги в добровільному поверненні та реінтеграції (AVRR)

განმარტება

სახელმწიფოს ან მესამე მხარის (მაგ., საერთაშორისო ორგანიზაციის ან არასამთავრობო ორგანიზაციის) მიერ განხორციელებული მხარდაჭერის (მაგ., ადმინისტრაციული, ფინანსური, ლოჯისტიკური, იურიდიული) ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ეხმარება რეპატრიანტს მის წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში ან სხვა მესამე ქვეყანაში დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში და აძლევს მას იმ სახელმწიფოში დამოუკიდებლად ცხოვრების შესაძლებლობას, რომელშიც ის დაბრუნდა.

წყაროები

EMN: AVR(R) პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელო მითითებები, 2016 წლის იანვარი

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, მე-2 გამოცემა, 2011 წ.

სინონიმები

- ნებაყოფლობით დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში დახმარება
- ნებაყოფლობით დაბრუნებასა და რეინტეგრაციაში დახმარების პაკეტი
- AVRR
- ნებაყოფლობითი დაბრუნების პროგრამა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

- **ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა**
- **კონსულტაცია დაბრუნებასთან დაკავშირებით**
- **მდგრადი დაბრუნება**

ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა (AVRR) [გაგრძ.]

შენიშვნები

1. ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამები (AVRR) მიგრაციის მართვისადმი სიღრმისეული მიდგომის ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია, რომლის მიზანია იმ მიგრანტების (საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლები, რომლებსაც უარი ეთქვათ დაცვაზე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლნი, ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტები) მოწესრიგებული და ადამიანის უფლებების დაცვით დაბრუნება და რეინტეგრაცია, რომლებსაც შესაძლებლობა ან სურვილი არ აქვთ, დარჩნენ მიმღებ ან სატრანზიტო ქვეყნებში და სურთ თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში ნებაყოფლობით დაბრუნება. პროგრამების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა მხოლოდ ცალკეული რეპატრიანტის საჭიროებები, არამედ ადგილობრივი თემების საჭიროებებიც წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში.

2. AVRR პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია მთელი რიგი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, მიგრანტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო უწყებების, თანამშრომლობა და ჩართულობა როგორც მიმღებ, ასევე სატრანზიტო და წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. IOM-ის ვებგვერდი ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის შესახებ.

3. ევროკავშირის დაბრუნების პოლიტიკა იძულებით დაბრუნებასთან შედარებით უპირატესობას ნებაყოფლობით დაბრუნებას ანიჭებს. სწორედ ამის გამო და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მესამე ქვეყნების მოქალაქეებს ხშირ შემთხვევაში ფინანსური სახსრები არ ჰყოფნით ევროკავშირის ნებაყოფლობით დასატოვებლად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მათი დახმარების მიზნით AVR(R) პროგრამები შეიმუშავეს. თუმცა გაწეული დახმარების ფორმა და შინაარსი განსხვავებულია ევროკავშირის წევრ სხვადასხვა სახელმწიფოში, ასევე, ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფო რეინტეგრაციაში დახმარებას არ ახორციელებს.

4. რეინტეგრაციის ერთობლივი პროგრამის ერთ-ერთი მაგალითია ევროპის სარეინტეგრაციო ქსელის (ERIN) სპეციალური სამოქმედო პროგრამა, რომელიც თანადაფინანსებულია თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის (AMIF) და პარტნიორი ქვეყნების მიერ. მისი მიზანია მესამე ქვეყნების მოქალაქეების მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში მდგრადი დაბრუნება და რეინტეგრაცია, ჩართული მიმღები ქვეყნების ERIN-ის პარტნიორ უწყებებს შორის ურთიერთთანამშრომლობით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ERIN-ის პარტნიორი ქვეყნების (მაგ., ბელგია) ვებგვერდები.

ნიუ-იორკის დეკლარაცია ლტოლვილების და მიგრანტების შესახებ

BG	Нюйоркска декларация за бежанци и мигранти
CS	Newyorská deklarace o uprchlících a migrantech
DE	New Yorker Erklärung für Flüchtlinge und Migranten / New Yorker Erklärung zu Flüchtlingen und Migranten
EL	Διακήρυξη της Νέας Υόρκης για τους πρόσφυγες και τους μετανάστες
EN	New York Declaration for Refugees and Migrants
ES	Declaración de Nueva York para los Refugiados y los Migrantes
ET	pagulasi ja rändajaid käsitlev New Yorgi deklaratsioon
FI	New Yorkin pakolais- ja siirtolaisjulistus
FR	Déclaration de New York pour les réfugiés et les migrants
GA	Dearbhú Nua-Eabhrac maidir le Dídeanaithe agus Imircigh
HU	a menekültekről és a migránsokról szóló New York-i Nyilatkozat
IT	Dichiarazione di New York sui rifugiati e i migranti
LT	Niujorko deklaracija dėl pabėgėlių ir migrantų
LV	Ņujorkas deklarācija par bēgļiem un migrantiem
MT	Dikjarazzjoni(Id-) ta' New York dwar ir-Refuġjati u l-Migranti
NL	Verklaring van New York voor Vluchtelingen en Migranten
PL	
PT	Declaração de Nova Iorque sobre os refugiados e os migrantes
RO	Declarația de la New York pentru refugiați și migranți
SK	Newyorská deklarácia pre utečencov a migrantov
SL	Newyorška deklaracija o beguncih in migrantih
SV	New York-deklarationen om flyktingar och migranter
NO	New York erklæringen om flyktninger og migranter (b); New York utsegnet om flyktningar og migrantar (n)
UK	Нью-Йоркська декларація про біженців та мігрантів

განმარტება

გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია, რომელიც შეიცავს ვალდებულებებს ლტოლვილთა და მიგრანტთა დაცვის გასაძლიერებლად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ლტოლვილების და მიგრანტების შესახებ ნიუ-იორკის დეკლარაცია, გაეროს ვებგვერდი

UNHCR-ის ვებგვერდი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- გლობალური შეთანხმება უსაფრთხო, მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ
- გლობალური შეთანხმება ლტოლვილთა შესახებ

დაკავშირებული ტერმინი

- დაკავშირებული ტერმინი 1

შენიშვნები

1. 2016 წლის 19 სექტემბერს მიღებული ნიუ-იორკის დეკლარაცია ლტოლვილებისა და მიგრანტების შესახებ არის ამ დონეზე მიღებული გაეროს პირველი დეკლარაცია მიგრაციის შესახებ. ის აღიარებს, რომ მიგრაციისა და ლტოლვილთა საკითხები საერთაშორისო დღის წესრიგის მთავარი თემა გახდა, რომ აუცილებელია საერთაშორისო მობილობასადმი ყოვლისმომცველი მიდგომა და რომ ლტოლვილთა დაცვა არის საერთო საერთაშორისო პასუხისმგებლობა, რომელიც მოითხოვს მიგრაციის საკითხებში გლობალური თანამშრომლობის გაძლიერებას.

2. დეკლარაცია განამტკიცებს როგორც საერთაშორისო დაცვის რეჟიმის (ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი), ასევე ლტოლვილთა და მიგრანტთა ადამიანის უფლებების სრულად პატივისცემის ვალდებულებას.

3. ის ადგენს ლტოლვილთა საკითხებზე რეაგირების ყოვლისმომცველი ჩარჩოს ძირითად ელემენტებს, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული ლტოლვილთა ფართომასშტაბიან გადაადგილებასა და ლტოლვილთა გაჭიანურებულ სიტუაციებთან მიმართებით.

4. დეკლარაცია მოუწოდებს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისს (UNHCR), შეიმუშაოს ლტოლვილთა შესახებ გლობალური შეთანხმება, ჩართულ მხარეებს კი მოუწოდებს, აწარმოონ მოლაპარაკებები უსაფრთხო, მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ გლობალურ შეთანხმებასთან დაკავშირებით.

5. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ლტოლვილების და მიგრანტების შესახებ ნიუ-იორკის დეკლარაციის აღწერა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) ვებგვერდი.

ნუკლეარული ოჯახი

BG	семейно ядро
CS	nukleární rodina / rodina v užším slova smyslu
DE	Kernfamilie
EL	πυρηνική οικογένεια
EN	nuclear family
ES	familia nuclear
ET	tuumikperekond
FI	ydinperhe
FR	famille nucléaire
GA	teaghlach núicléach
HU	családmag / szűkebb család
IT	famiglia nucleare
LT	branduolinė šeima
LV	nukleārā ģimene
MT	Familja nukleari
NL	kerngezin
PL	rodzina nuklearna
PT	núcleo familiar
RO	familie nucleară
SK	užšia rodina
SL	osnovna (nuklearna) družina
SV	kärnfamilj
NO	kjernefamilie
UK	основна сім'я

განმარტება

ოჯახი, რომელიც შედგება მეუღლეებისა და არასრულწლოვანი შვილებისგან.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) პრეამბულის მე-9 პუნქტი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ოჯახის შექმნა**
- ★ **ოჯახის წევრი**
- ★ **ოჯახის გაერთიანება**

შენიშვნა

ეს განმარტება მხოლოდ ოჯახის გაერთიანების კონტექსტს ეხება.

ომის დანაშაული

BG	военно престъпление
CS	válečný zločin
DE	Kriegsverbrechen
EL	έγκλημα πολέμου
EN	war crime
ES	crímenes de guerra
ET	sõjakuritegu
FI	sotarikokset
FR	crimes de guerre
GA	coir chogaidh
HU	háborús bűncselekmény
IT	crimine di guerra
LT	karo nusikaltimas
LV	kara noziegums
MT	Reati tal-gwerra
NL	oorlogsmisdaad / oorlogsmisdrijf
PL	zbrodnie wojenne
PT	crime de guerra
RO	crime de război
SK	vojnový zločin
SL	vojni zločin
SV	krigsförbrytelser
NO	krigsforbrytelse (b); krigsbrotsverk (n)
UK	воєнний злочин

განმარტება

საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებთან მიმართებით ჟენევის კონვენციების ან საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული ჩარჩოს (როგორიცაა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება) ფარგლებში დადგენილი კანონებისა და წესების მძიმე დარღვევები.

წყარო

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-8(2) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ
- ★ გამორიცხვის დებულება

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი

BG	организирана престъпна група
CS	skupina organizovaného zločinu
DE	organisierte kriminelle Gruppe / organisierte kriminelle Vereinigung
EL	οργανωμένη εγκληματική ομάδα
EN	organised criminal group
ES	grupo delictivo organizado
ET	organiseeritud kuritegelik ühendus
FI	järjestäytynyt rikollisryhmä
FR	groupe criminel organisé
GA	buíon choiriúil eagraithe
HU	szervezett bűnözői csoport
IT	gruppo di criminalità organizzata
LT	organizuota nusikalstama grupė
LV	organizēta noziedzīga grupa
MT	Grupp kriminali organizzat / Għaqda kriminali organizzata
NL	criminele organisatie
PL	zorganizowana grupa przestępcza
PT	grupo de crime organizado
RO	grup / grupare criminal organizat
SK	organizovaná zločinecká skupina
SL	organizirana kriminalna združba
SV	organiserad brottslig sammanslutning
NO	organisert kriminell gruppe
UK	організоване злочинне угруповання

განმარტება

სამი ან მეტი პირისგან შემდგარი სტრუქტურირებული ჯგუფი, რომელიც არსებობს გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მოქმედებს შეთანხმებულად და მიზნად ისახავს ერთი ან მეტი მძიმე დანაშაულის ან სამართალდარღვევის ჩადენას.

წყარო

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის მე-2(a) მუხლი და მისი ოქმები

დაკავშირებული ტერმინი

- ★ ორგანიზებული დანაშაული

ორგანიზებული დანაშაული

BG	организирана престъпност
CS	organizovaný zločin
DE	organisierte Kriminalität
EL	οργανωμένο έγκλημα
EN	organised crime
ES	delincuencia organizada
ET	organiseeritud kuritegevus
FI	järjestäytynyt rikollisuus
FR	crime organisé
GA	coireacht eagraithe
HU	szervezett bűnözés
IT	crimine organizzato
LT	organizuotas nusikalstamumas
LV	organizētā noziedzība
MT	Kriminalità (Il-) organizzata
NL	georganiseerde misdaad
PL	zorganizowana przestępczość
PT	crime organizado
RO	crimă organizată
SK	organizovaný zločin
SL	organizirani kriminal
SV	organiserad brottslighet
NO	organisert kriminalitet
UK	організована злочинність

განმარტება

ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ განხორციელებული მასშტაბური და კომპლექსური უკანონო მოქმედებები.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

დაკავშირებული ტერმინი

★ **ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი**

შენიშვნა

ამგვარი ქმედებები, ჩვეულებრივ, ხორციელდება კანონის უხეში უგულებელყოფით და ხშირად მოიცავს პირის მიმართ ჩადენილ სამართალდარღვევებს, მათ შორის, მუქარას, დაშინებას და ფიზიკურ ძალადობას.

ორმაგი მოქალაქეობა

BG	двойно гражданство
CS	dvojí občanství
DE	doppelte Staatsangehörigkeit / doppelte Staatsbürgerschaft / Doppelstaatigkeit
EL	διπλή ιθαγένεια
EN	dual citizenship
ES	doble nacionalidad
ET	topeltkodakondsus
FI	monikansalaisuus
FR	double nationalité
GA	déshaoránacht
HU	állampolgárság (többes)
IT	doppia cittadinanza
LT	kelių valstybių pilietybė
LV	dubultā pilsonība
MT	Ċittadinanza doppja
NL	meervoudige nationaliteit / meervoudig staatsburgerschap
PL	podwójne obywatelstwo
PT	dupla nacionalidade
RO	cetatenie dubla / multipla
SK	dvojité štátne občianstvo / dvojitá štátna príslušnosť (dual citizenship) / viacnásobné štátne občianstvo / viacnásobná štátna príslušnosť (multiple citizenship)
SL	dvojno državljanstvo
SV	dubbelt medborgarskap
NO	dobbelt statsborgerskap (b); dobbel statsborgarskap (n)
UK	подвійне громадянство

განმარტება

პირის მიერ ორი ან მეტი მოქალაქეობის ერთდროულად ფლობა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
მოქალაქეობის შესახებ ევროპული კონვენციის მე-2b მუხლი

სინონიმი

★ ერთზე მეტი ქვეყნის მოქალაქეობა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მოქალაქეობა

ოჯახის გაერთიანება

BG	събиране на семейство
CS	sloučení rodiny
DE	Familienzusammenführung
EL	οικογενειακή επανένωση
EN	family reunification
ES	reagrupación familiar
ET	perekonna taasühinemine
FI	perheenyhdistäminen
FR	regroupement familial; réunification familiale (FR)
GA	athaontú teaghlaigh
HU	családegyesítés
IT	ricongiungimento familiare
LT	šeimos susijungimas
LV	ģimenes apvienošana / ģimenes atkalapvienošana
MT	Riunifikazzjoni tal-familja
NL	gezinshereniging
PL	łączenie rodzin
PT	reagrupamento familiar
RO	reîntregirea familiei, reunificarea familiei
SK	zlúčenie rodiny
SL	združevanje družine
SV	familjeåterförening
NO	familiegjenforening (b); familiegjenforeining (n)
UK	возз'єднання сім'ї

განმარტებები

ოჯახური ურთიერთობის დამყარება, რომელიც გულისხმობს:

(ა) ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების შესახებ) თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქის (სპონსორი/მხარდამჭერი) ოჯახის წევრების შესვლას და ბინადრობას ამავე სახელმწიფოში, ოჯახის ერთიანობის შენარჩუნების მიზნით, იმის მიუხედავად, თუ როდის წარმოიშვა ოჯახური ურთიერთობები - სპონსორის/მხარდამჭერი პირის ევროკავშირში დასახლებამდე თუ დასახლების შემდგომ;

(ბ) ევროკავშირის ფარგლებს გარეთ დამყარებულ კავშირს ევროკავშირის მოქალაქესა და მესამე ქვეყნის მოქალაქეს შორის, რომელიც აღნიშნულის შედეგად სახლდება ევროკავშირში.

წყაროები

ნაწილი (ა): ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-2(d) მუხლი
ნაწილი (ბ): შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ოჯახის ერთიანობის უფლება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ოჯახის შექმნა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ჯაჭვური მიგრაცია**
★ **ოჯახის წევრი**
★ **ოჯახის მიგრაცია**
★ **ოჯახური ცხოვრების უფლება**

შენიშვნები

1. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-5(3) მუხლი 'ოჯახის გაერთიანებაში' ასევე მოიაზრებს შემთხვევებს, როდესაც მესამე ქვეყნის მოქალაქე უკვე ცხოვრობს ევროკავშირში ბინადრობის რომელიმე კატეგორიის ნებართვის საფუძველზე (ანაზღაურებადი საქმიანობის მიზნით ან სწავლის მიზნით ბინადრობა).
2. საფრანგეთში ტერმინი 'réunification familiale' გამოიყენება მხოლოდ საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირთა ოჯახის წევრებთან მიმართებით.

ოჯახის ერთიანობის უფლება

BG	право на запазването на целостта на семейството
CS	právo na zachování jednoty rodiny
DE	Recht auf Familieneinheit / Recht auf Wahrung des Familienverbandes
EL	δικαίωμα στην οικογενειακή ενότητα
EN	right to family unity
ES	derecho a la unidad de la familia
ET	õigus perekonna ühtsusele
FI	oikeus perheen yhtenäisyyteen
FR	droit à l'unité familiale
GA	ceart chun aontacht teaghlaigh
HU	család egységéhez való jog
IT	diritto all'unità familiare
LT	teisė į šeimos vientisumą
LV	tiesības uz ģimenes vienotību
MT	Dritt għall-għaqda / għall-unità tal-familja
NL	recht op instandhouding van het (kern-)gezin / recht op eenheid van het gezin
PL	prawo do jedności rodziny
PT	direito à unidade familiar
RO	dreptul la unitatea familiei
SK	právo na jednotu rodiny
SL	pravica do enotnosti (združevanja) družine
SV	rätt till familjesammanhållning
NO	rett til familiens enhet (b); rett til familieeining (n)
UK	право на єдність сім'ї

განმარტება

ლტოლვილთა კონტექსტში, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 23-ე მუხლით და დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-12 მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომელიც ავალდებულებს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ ოჯახის ერთიანობის შენარჩუნებას.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 23-ე მუხლი
დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-12 მუხლი

სინონიმები

- ოჯახის ერთიანობა
- ოჯახის ერთიანობის პრინციპი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **ოჯახური ცხოვრების უფლება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **ოჯახის გაერთიანება**

დაკავშირებული ტერმინები

- **ჯაჭვური მიგრაცია**
- **ოჯახის შექმნა**
- **ოჯახის მიგრაცია**

შენიშვნა

'ოჯახური ცხოვრების უფლება' და 'ოჯახის ერთიანობის უფლება' განსხვავებული ცნებებია. ოჯახის ერთიანობის უფლება უფრო მეტად უკავშირდება ოჯახის გაერთიანების საფუძვლით ქვეყანაში შესვლისა და დარჩენის მიზანსა და შესაბამის პროცედურულ ასპექტებს, რათა დაცულ იქნეს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებები.

ოჯახის მიგრაცია

BG	миграция с цел създаване или събиране на семейство
CS	migrace za účelem sloučení rodiny
DE	Familienmigration
EL	οικογενειακή μετανάστευση
EN	family migration
ES	migración por motivos familiares
ET	pereränne
FI	perheperusteinen maahanmuutto
FR	migration pour des raisons familiales
GA	imirce teaghlaigh
HU	családegyesítési célú migráció / családegyesítés
IT	migrazione familiare
LT	šeimos migracija
LV	ģimenes migrācija
MT	Migrazzjoni għal raġunijiet ta' familja
NL	gezinsmigratie
PL	migracja rodzinna
PT	migração familiar
RO	migrația în scopul reîntregirii familiei
SK	migrácia z rodinných dôvodov
SL	družinska migracija
SV	familjemigration
NO	familiemigrasjon
UK	сімейна міграція

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ზოგადი ცნება, რომელიც მოიცავს ოჯახის გაერთიანებას, ოჯახის შექმნას და მთელი ოჯახის ერთდროულ მიგრაციას.

ევროკავშირის კონტექსტში, ცნება, რომელიც ეხება უშუალოდ ოჯახის გაერთიანებას და ოჯახის შექმნას.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. IOM-ის მიგრაციის 2008 წ. მსოფლიო ანგარიშის მე-6 თავში მოცემული ოჯახის მიგრაციის ტიპები
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **ჯაჭვური მიგრაცია**
- ★ **ოჯახის შექმნა**
- ★ **ოჯახის გაერთიანება**
- ★ **ოჯახის ერთიანობის უფლება**

მ ოჯახის მოძიება

BG	Проследяване на семейството
CS	vyhledávání členů rodiny
DE	Suche nach Familienangehörigen
EL	εντοπισμός της οικογένειας
EN	family tracing
ES	localización familiar
ET	perekonnaliikmete otsimine
FI	perheenjäsenten jäljittäminen
FR	recherche des familles
GA	Teaghlach a lorg
HU	családi kapcsolatok felkutatása
IT	indagini familiari
LT	šeimos narių paieška
LV	ģimenes locekļu meklēšana
MT	Tiftix (Tfittxija) għal tal-familja /għal membri tal-familja
NL	opsporing van familieleden
PL	
PT	localização das famílias
RO	
SK	pátranie po rodinných príslušníkoch / vyhľadávanie rodinných príslušníkov
SL	iskanje družine
SV	familjespårning
NO	familesporing
UK	пошук членів сім'ї

განმარტება

ოჯახის წევრების, მათ შორის, თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანების და განცალკევებული ბავშვების ნათესავების ან ყოფილი მზრუნველების ძებნა ოჯახური კავშირების აღდგენისა და ოჯახის ერთიანობის უფლების უზრუნველყოფის მიზნით.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EASO (ამჟამინდელი EUAA), ოჯახის მოძიების პრაქტიკული სახელმძღვანელო, 2016 წლის მარტი;

გაეროს N6 ზოგადი კომენტარი: თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანებთან და განცალკევებულ ბავშვებთან მოპყრობა მათი წარმოშობის (წარმოშობის) ქვეყნის ფარგლებს გარეთ, 2005 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ოჯახის წევრი

დაკავშირებული ტერმინები

★ ბავშვის საუკეთესო ინტერესები (BIC)

★ ოჯახის ერთიანობის უფლება

შენიშვნები

1. ოჯახის მოძიება წარმოადგენს მიგრაციასთან დაკავშირებული პროცედურების ნაწილს. ძირითადად, ის ხორციელდება თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანებისა და განცალკევებული ბავშვების შემთხვევაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით (შესაბამისი პროცედურის განხორციელებისას).

2. ევროკავშირის კონტექსტში განცალკევებული ბავშვები მოიაზრებიან თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანებში.

3. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-6(4) მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფომ, სადაც თანმხლები პირის გარეშე მყოფმა არასრულწლოვანმა შეიტანა განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით, შეძლებისდაგვარად სწრაფად უნდა მიიღოს ზომები ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანის ოჯახის წევრების, და-ძმების, ან ნათესავების იდენტიფიცირებისთვის და ამავდროულად, დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

4. ტერმინის განმარტება შეიძლება განსხვავდებოდეს EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოებში.

ოჯახის შექმნა

BG	създаване на семейство
CS	sloučení rodiny
DE	Familienbildung
EL	δημιουργία οικογένειας
EN	family formation
ES	formación de la familia
ET	pere loomise eesmärgil riiki sisenemine
FI	perheenmuodostaminen
FR	constitution de la famille
GA	foirmiú teaghlaigh
HU	családalapítás
IT	costituzione di una famiglia
LT	šeimos kūrimas
LV	ģimenes apvienošana / ģimenes atkalapvienošana
MT	Kompożizzjoni / Tiswira tal-familja
NL	gezinsvorming
PL	założenie rodziny
PT	reagrupamento familiar
RO	reîntregirea familiei
SK	založenie rodiny
SL	ustanovitev družine
SV	familjebildning
NO	familiedannelse (b); familiedanning (n)
UK	створення сім'ї

განმარტებები

მესამე ქვეყნის მოქალაქის მიერ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შესვლა და ბინადრობა ოჯახური ურთიერთობის დამყარების საფუძველზე:

(ა) მას შემდეგ, რაც მისმა მესამე ქვეყნის მოქალაქე სპონსორმა/მხარდამჭერმა პირმა მოიპოვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში კანონიერი ბინადრობის უფლება; ან

(ბ) ევროკავშირის მოქალაქესთან.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ოჯახის გაერთიანება

დაკავშირებული ტერმინები

- ჯაჭვური მიგრაცია
- ოჯახის მიგრაცია
- ნუკლეარული ოჯახი
- ოჯახური ცხოვრების უფლება
- ოჯახის ერთიანობის უფლება

შენიშვნები

1. ტერმინი გამოიყენება ევროკავშირის რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, კერძოდ, ბელგიაში, ნიდერლანდებსა და შვედეთში. გაერთიანებულ სამეფოში ეს ტერმინი დაკავშირებულია ოჯახის შექმნასთან მხოლოდ გაერთიანებული სამეფოს მოქალაქესა და მესამე ქვეყნის მოქალაქეს შორის.

2. ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებში ტერმინი 'ოჯახის შექმნა' მოიაზრება 'ოჯახის გაერთიანების' ცნებაში.

(ოჯახის წევრზე) დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი პირი

BG	лице на издръжка
CS	závislá osoba
DE	zuzugsberechtigter Familienangehöriger / Familienangehöriger, dem Unterhalt gewährt wird
EL	συντηρούμενο / εξαρτώμενο μέλος
EN	dependant
ES	dependiente
ET	ülalpeetav
FI	huollettava
FR	personne à charge
GA	cleithiúnaí
HU	eltartott
IT	persona a carico
LT	išlaikomas asmuo
LV	apgādājamais
MT	Persuna dipendenti
NL	afhankelijk gezinslid /persoon ten laste (very narrow)
PL	osoba pozostająca na utrzymaniu
PT	dependente / pessoa a cargo
RO	dependent
SK	závislá osoba
SL	vzdrževanec
SV	anhörig
NO	forsørget person (b); forsørgd person (n)
UK	утриманець

განმარტება

პირი, რომელსაც შეტანილი აქვს განცხადება ოჯახის გაერთიანებაზე და რომელსაც მიეცა (ევროკავშირის) წევრ სახელმწიფოში შესვლისა და ბინადრობის ნებართვა კანონიერად მცხოვრებ ოჯახის წევრთან ან სხვა პირთან ერთად საცხოვრებლად.

წყარო

EMN: ოჯახის გაერთიანება მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის ევროკავშირსა და ნორვეგიაში: სახელმწიფო პრაქტიკა, 2016 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ოჯახის წევრი
- სპონსორი/მხარდამჭერი პირი

შენიშვნა

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: ოჯახის გაერთიანება, 2016 წ.

ოჯახის წევრი

BG	член на семейство
CS	rodinný příslušník
DE	Familienangehöriger
EL	μέλος οικογένειας
EN	family member
ES	Miembro de la familia
ET	perekonnaliige
FI	perheenjäsen
FR	membre de (la) famille
GA	duine muinteartha
HU	családtag
IT	familiare
LT	šeimos narys
LV	ģimenes loceklis
MT	Membru tal-familja
NL	gezinslid
PL	członek rodziny
PT	membro da familia
RO	membru de familie
SK	rodinný príslušník / člen rodiny
SL	družinski član
SV	familjemedlem
NO	familiemedlem
UK	член сім'ї

განმარტებები

მიგრაციის ზოგად კონტექსტში, პირი, რომელიც დაქორწინებულია მიგრანტზე ან მასთან აკავშირებს კანონმდებლობით ქორწინებასთან გათანაბრებული ურთიერთობა, ასევე, მათზე დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი შვილები ან სხვა (დამოკიდებული) პირები, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობით, აღიარებული არიან ოჯახის წევრებად.

ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ ევროკავშირის საბჭოს დირექტივის (დირექტივა 2003/86(EC)) კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე, როგორც განსაზღვრულია დირექტივის მე-4 მუხლით (ჩვეულებრივ, ნუკლეარული ოჯახის წევრები, ე.ი. მეუღლე და არასრულწლოვანი შვილები), რომელიც შევიდა ევროკავშირის ტერიტორიაზე ოჯახის გაერთიანების მიზნით.

თავისუფალი გადაადგილების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (2004/38EC) კონტექსტში: (ა) მეუღლე;

(ბ) პარტნიორი, რომელთანაც ევროკავშირის მოქალაქე იმყოფება რეგისტრირებულ პარტნიორულ ურთიერთობაში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე, თუ ევროკავშირის წევრი მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პარტნიორობა გათანაბრებულია ქორწინებასთან და, შესაბამისად, დარეგულირებულია (ევროკავშირის წევრი) მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირობებით;

(გ) პირდაპირი შთამომავლები, რომლებიც არიან 21 წლამდე ასაკის ან დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი პირები, და მეუღლის ან „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პარტნიორის პირდაპირი შთამომავლები;

(დ) განმცხადებლის და მისი მეუღლის ან „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული პარტნიორის პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავები;

თავშესაფრის და განსაკუთრებით, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) კონტექსტში, თუ ოჯახი უკვე არსებობდა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, 'ოჯახის წევრი' აღნიშნავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე მყოფი განმცხადებლის ოჯახის წევრებს, კერძოდ:

(ა) განმცხადებლის მეუღლეს ან მასთან ურთიერთობაში სტაბილურად მყოფ (ქორწინებაში არმყოფ) პარტნიორს, იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის გათვალისწინებით, აღნიშნული წევრი ქვეყნის კანონმდებლობა და პრაქტიკა დაუქორწინებელ წყვილებს დაქორწინებულ წყვილებთან ათანაბრებს;

(ბ) პირველი აბზაცით გათვალისწინებული წყვილის ან განმცხადებლის არასრულწლოვან შვილებს იმის მიუხედავად, დაიბადნენ თუ არა ისინი ქორწინებაში მყოფი მშობლებისგან და არიან თუ არა ნაშვილები ეროვნული კანონმდებლობის თანახმად;

(გ) თუ განმცხადებელი არის არასრულწლოვანი და ქორწინებაში არმყოფი პირი - მამას, დედას ან განმცხადებელზე პასუხისმგებელ სხვა სრულწლოვან პირს, იმ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობის ან პრაქტიკის თანახმად, რომელშიც იმყოფება სრულწლოვანი პირი.

ოჯახის წევრი [გაგრძ.]

წყაროები

ზოგადი კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-4 მუხლი
ოჯახის გაერთიანების კონტექსტი:
ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) პრეამბულის მე-9 პუნქტი და მე-4 მუხლი
თავისუფალი გადაადგილების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (2004/38EC) მე-2(2) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ (ოჯახის წევრზე) დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი პირი
- ★ ოჯახის გაერთიანება
- ★ ნუკლეარული ოჯახი
- ★ სპონსორი/მხარდამჭერი პირი

ოჯახური ცხოვრების უფლება

BG	право на семеен живот
CS	právo na rodinný život
DE	Recht auf Familienleben
EL	δικαίωμα στην οικογενειακή ζωή
EN	right to family life
ES	derecho a la vida en familia
ET	õigus pere(konna)elule
FI	oikeus perhe-elämään
FR	droit à la vie familiale
GA	ceart chun saol teaghlaigh
HU	családi élethez való jog
IT	diritto alla vita familiare
LT	teisė į šeimos gyvenimą
LV	tiesības uz ģimenes dzīvi
MT	Dritt għal ħajja f'familja / familjari
NL	recht op eerbiediging van familie- en gezinsleven / recht op familie- en gezinsleven
PL	prawo do życia rodzinnego
PT	direito à vida familiar
RO	dreptul la viață de familie
SK	právo na rodinný život
SL	pravica do družinskega življenja
SV	rätt till familjeliv
NO	rett til familieliv
UK	право на сімейне життя

განმარტება

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-7, მე-9 და 33-ე მუხლებით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-8 მუხლით განმტკიცებული უფლება.

წყარო

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ ოჯახის ერთიანობის უფლება

დაკავშირებული ტერმინები

- ★ ჯაჭვური მიგრაცია
- ★ ოჯახის შექმნა
- ★ ოჯახის გაერთიანება
- ★ ოჯახის მიგრაცია

შენიშვნა

'ოჯახური ცხოვრების უფლება' და 'ოჯახის ერთიანობის უფლება' განსხვავებული ცნებებია. ოჯახური ცხოვრების უფლება ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებაა; ხოლო ოჯახის ერთიანობის უფლება უფრო მეტად უკავშირდება ოჯახის გაერთიანების საფუძვლით ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის მხრივ დადგენილ პროცედურულ ასპექტებს.

მ ოჯახში დამხმარე (au pair)

BG	детегледачка
CS	au pair
DE	Au-pair
EL	εσωτερικός άμισθος βοηθός / au pair
EN	au pair
ES	au pair
ET	au pair lapsehoidja
FI	au pair
FR	au pair
GA	au pair
HU	au pair
IT	persona collocata alla pari
LT	au pair auklė
LV	viesaukle
MT	au pair
NL	au pair
PL	au pair
PT	au pair
RO	lucrator au pair
SK	au pair / au-pair
SL	varuška
SV	au pair
NO	au pair
UK	особа, що працює за програмою «au pair»

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაშვებულია ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე, მასპინძელ ოჯახში დროებითი ცხოვრების მიზნით, რათა გაიუმჯობესოს ენის ცოდნის დონე და აიმაღლოს ინფორმირებულობა მიმღები ქვეყნის შესახებ, მსუბუქი საოჯახო საქმიანობის შესრულების და ბავშვების მოვლის სანაცვლოდ.

წყარო

მკვლევრებისა და სტუდენტების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU) 2016/801 (განახლებული რედაქცია) მე-3 (8) მუხლი

პაკეტი „ჭკვიანი საზღვრები“

BG	Пакет интелигентни граници
CS	Soubor opatření týkající se inteligentních hranic
DE	Maßnahmenpaket Intelligente Grenzen / Paket Intelligente Grenzen
EL	Δέσμη μέτρων για τα Ευφυή Σύνορα / έξυπνη διαχείριση συνόρων
EN	Smart Borders Package
ES	paquete de fronteras inteligentes
ET	arukate piiride pakett
FI	Älykkäät rajat-paketti
FR	paquet de mesures frontières intelligentes
GA	an Pacáiste Teorainneacha Cliste
HU	Intelligens határok csomag
IT	pacchetto Frontiere intelligenti
LT	Pažangaus sienų valdymo dokumentų rinkinys
LV	viedrobežu tiesību aktu kopums
MT	Pakkett ta' miżuri tajbin għal Fruntieri / Konfini
NL	Slimme Grenzen pakket
PL	Pakiet Inteligentne granice
PT	Pacote Fronteiras Inteligentes
RO	
SK	balík predpisov o inteligentných hraniciach / balík inteligentných hraníc
SL	Paket o pametnih mejah
SV	Smart gränsförvaltning / Smarta gränser
NO	Pakke med tiltak for effektiv grensekontroll
UK	Пакет «Інтелігентні кордони»

განმარტება

ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს შესვლა-გასვლის სისტემას (EES), ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემას (ETIAS) და შენგენის სასაზღვრო კოდექსის ცვლილებებს და გამიზნულია შენგენის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრების მართვის გასაუმჯობესებლად. კერძოდ, ღონისძიებების მიზანია ევროკავშირის არამოქალაქე (ხშირად მოგზაურ და წინასწარ შემოწმებაგავლილ) პირთა მიერ ევროკავშირის საზღვრის გადაკვეთის ხელშეწყობა და ამავდროულად, კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციასთან ბრძოლა და შიდა უსაფრთხოების გაძლიერება, ევროკავშირის/შენგენის საზღვრებზე პირთა იდენტიფიცირების გაუმჯობესებისა და ევროკავშირში ნებადართულზე მეტი ვადით მყოფთა გამოვლენის გზით.

წყარო

პაკეტის „ჭკვიანი საზღვრები“ აღწერა ევროკომისიის ვებგვერდზე

სინონიმები

- „ჭკვიანი საზღვრები“
- საზღვრებისა და უსაფრთხოებისთვის უფრო ძლიერი და ჭკვიანი საინფორმაციო სისტემები

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **შესვლა-გასვლის სისტემა (EES)**

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროდაკი (Eurodac)**
- **ევროპოლი (Europol)**
- **შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)**
- **ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS)**

შენიშვნები

1. „ჭკვიანი საზღვრების“ პაკეტის შექმნის წინადადება ევროკომისიამ 2013 წლის თებერვალში წარადგინა. 2016 წლის 6 აპრილს ევროკომისიამ მიიღო „ჭკვიანი საზღვრების“ შესახებ განახლებული საკანონმდებლო წინადადება, რომლის მიხედვით 2017 წელს დამტკიცდა რეგულაცია „ჭკვიანი საზღვრების“ პაკეტის შესახებ (ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2017/2226 [რეგულაცია შესვლა-გასვლის სისტემის (EES) შექმნის შესახებ] და რეგულაცია 2017/2225, რომელმაც შესწორება შეიტანა ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EU) 2016/399 შესვლა-გასვლის სისტემის გამოყენების შესახებ).

2. საინფორმაციო სისტემების მართვა განხორციელდება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროებში ფართომასშტაბიანი საინფორმაციო სისტემების ოპერატიული მართვის ევროპული სააგენტოს (eu-LISA) მიერ.

3. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი „ჭკვიანი საზღვრები“.

პალერმოს ოქმი

BG	Протоколът от Палермо
CS	Palermská úmluva
DE	Palermo-Protokoll
EL	Πρωτόκολλο του Παλέρμο
EN	Palermo Protocol
ES	Protocolo de Palermo
ET	Palermo protokoll
FI	Palermon pöytäkirja
FR	Protocole de Palerme
GA	Prótacal Palermo
HU	Palermói Jegyzőkönyv
IT	Protocollo di Palermo
LT	Palermo protokolas
LV	Palermo protokols
MT	Protokoll (Il-) ta' Palermo
NL	Protocol van Palermo
PL	Protokół z Palermo
PT	Protocolo de Palermo
RO	Protocolul de la Palermo
SK	Palermský protokol
SL	Palermski protokol
SV	Palermoprotokollet
NO	Palermo-protokollen
UK	Палермський протокол

განმარტება

გაეროს ოქმი ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც ავსებს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციასა და მის ოქმებს.

წყარო

პალერმოს ოქმი

დაკავშირებული ტერმინი

★ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

შენიშვნები

1. ოქმი მიღებულ იქნა პალერმოში, იტალია, 2000 წლის ნოემბერში.

2. პალერმოს ოქმი წარმოადგენს ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის დამატებითი სამი ოქმიდან ერთერთს. დანარჩენი ორი ოქმია:
ოქმი სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო გზებით მიგრანტთა უკანონო გადაყვანის აღკვეთის შესახებ („Smuggling Protocol“)
ოქმი ცეცხლსასროლი იარაღის, მისი შემადგენელი ნაწილების და საბრძოლო მასალის უკანონო წარმოების და გადატანის აღკვეთის შესახებ (“Firemarms Protocol”)

პარტნიორობა მობილობისთვის

BG	Партньорство за мобилност
CS	partnerství pro mobilitu
DE	Mobilitätspartnerschaft
EL	σύμπραξη κινητικότητας
EN	mobility partnership
ES	asociación de movilidad
ET	rändepartnerlus
FI	liikkuvuuskumppanuus
FR	partenariat pour la mobilité
GA	comhpháirtíocht soghluaisteachta
HU	mobilitási partnerség
IT	partenariato per la mobilità
LT	judumo partnerystė
LV	mobilitātes partnerība
MT	Sħubija għall-mobbilita'
NL	mobiliteitspartnerschap
PL	Partnerstwo na rzecz Mobilności
PT	parcerias para a mobilidade
RO	parteneriat de mobilitate
SK	partnerstvo v oblasti mobility / mobilitné partnerstvo
SL	partnerstvo za mobilnost
SV	partnerskap för rörlighet
NO	mobilitetspartnerskap (b); mobilitetspartnarskap (n)
UK	партнерство з мобільності

განმარტება

პოლიტიკურ განცხადებებზე დაფუძნებული თანამშრომლობის შეთანხმება, რომელიც ქმნის ორმხრივ ჩარჩოს დიალოგისა და პრაქტიკული თანამშრომლობისთვის ნებაყოფლობით საწყისებზე, უპირატესად, ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის, მათი საერთო ინტერესების სფეროში შემავალ, მიგრაციისა და მობილობის (მათ შორის, მოკლე და გრძელვადიანი მობილობის) საკითხებთან დაკავშირებით.

წყარო

მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ ევროკავშირის საბჭოს 2012 წლის 29 მაისის დასკვნები (N42)

სინონიმი

- MP

დაკავშირებული ტერმინები

- **ცირკულარული მიგრაცია**
- **მიგრაციისა და განვითარების სფეროში თანამშრომლობის პლატფორმა**
- **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**
- **მიგრაციის პროფილი**
- **რეადმისიის შესახებ შეთანხმება**

შენიშვნები

1. პარტნიორობა მობილობისთვის (MP) წარმოადგენს ევროკავშირის მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის (GAMM) მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკავშირსა და მესამე ქვეყნებს შორის სხვადასხვა ფორმით ლეგალური გადაადგილების მართვის ზოგად ჩარჩოს. მსგავსი პარტნიორობა ფორმდება იმ მესამე ქვეყნებთან, რომლებსაც აქვთ კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფ მიგრანტთა რეადმისიის ქმედითი მექანიზმები.

2. დამატებითი ინფორმაციისთვის მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომისა (GAMM) და მობილობისთვის პარტნიორობის შესახებ იხ. DG Home-ის ვებგვერდი.

პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის

BG	партньорство в подкрепа на талантите
CS	partnerství zaměřená na talenty
DE	Fachkräftepartnerschaft
EL	εταιρικές σχέσεις προσέλκυσης ταλέντων
EN	talent partnership
ES	alianza para el talento
ET	talendipartnerlus
FI	osaamiskumppanuus
FR	partenariat destiné à attirer les talents
GA	comhpháirtíocht tallainne
HU	tehetségi partnerségek
IT	partenariato volto ad attirare talenti
LT	talentų partnerystė
LV	talantu partnerība
MT	Sħubija ta' talenti
NL	talentpartnerschap
PL	talent partnership
PT	Parceria de talentos
RO	parteneriat pentru atragerea de talente
SK	partnerstvo zamerané na talenty / partnerstvo v oblasti mobility talentov
SL	partnerstvo za privabljanje talentov
SV	talangpartnerskap
NO	talentpartnerskap (b); talentpartnarskap (n)
UK	партнерство із залученням талантів

განმარტება

მესამე ქვეყნებთან ევროკავშირის თანამშრომლობის ყოვლისმომცველი პოლიტიკის ჩარჩო და ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმი, რომელიც გულისხმობს ევროკავშირში შრომის ბაზრის საჭიროებებისა და კვალიფიკაციების შესაბამისობას და გამიზნულია საკვანძო პარტნიორ ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციისა და მობილობის ზრდისთვის.

წყარო

ევროკომისია: კომუნიკე მიგრაციისა და თავშესაფრის ახალი პაქტის შესახებ, (COM(2020) 609 საბოლოო რედაქცია)

სინონიმი

★ ევროკავშირის პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ეკონომიკური მიგრაცია**

შენიშვნები

1. სწავლისა და დასაქმებისთვის პარტნიორობის უპირველესი სამიზნეა ევროკავშირის სამეზობლო, დასავლეთი ბალკანეთი და აფრიკა, რომელთა შემდეგ პარტნიორობა, შესაძლოა, გავრცელდეს სხვა რეგიონებზეც.

2. სწავლისა და დასაქმებისთვის პარტნიორობა გულისხმობს პროცესში როგორც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, ისე კერძო სექტორისა და სოციალური პარტნიორების მონაწილეობას და პარტნიორი ქვეყნების, როგორც დაინტერესებული მხარეების, უშუალო ჩართულობას.

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

BG	документ за самоличност
CS	průkaz totožnosti / doklad totožnosti
DE	Identitätsdokument
EL	έγγραφο ταυτότητας
EN	identity document
ES	Documento de identidad
ET	isikut tõendav dokument
FI	henkilöllisyysasiakirja
FR	document d'identité
GA	Doiciméad aitheantais
HU	személyazonosító okmány
IT	documento d'identità
LT	asmens tapatybės dokumentas / asmens tapatybę patvirtinantis dokumentas
LV	personu apliecinošs dokuments
MT	dokument tal-identità
NL	identiteitsdocument
PL	
PT	documento de identidade
RO	document de identitate
SK	identifikačný doklad / doklad totožnosti
SL	osebni dokument
SV	identitetshandling
NO	identitetsdokument
UK	документ, що посвідчує особу

განმარტება

სახელმწიფო ორგანოს მიერ ფიზიკურ პირზე გაცემული დოკუმენტი, რომლის დანიშნულება აღნიშნული პირის ვინაობის დადასტურებაა.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმები

- პირადობის მოწმობა
- ID ბარათი

დაკავშირებული ტერმინი

- **ყალბი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი**

შენიშვნები

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ადასტურებს კონკრეტული ინდივიდის ვინაობას და განსაზღვრავს მის სამართლებრივ კავშირს დოკუმენტის გამცემ სახელმწიფოსთან. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება შეიცავდეს სახელსა და გვარს, მშობლების სახელებს, ასაკს, დაბადების თარიღსა და ადგილს, სქესს, მისამართს, პროფესიას, ეროვნებას, ასევე სხვა ბიოგრაფიულ ინფორმაციას და დამატებით ელექტრონულ ბიომეტრიულ მონაცემებს, როგორიცაა თითის ანაბეჭდები, ფოტოსურათები და სახის, ხელის ან თვალის ფერადი გარსის ზომები.

2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებია, მაგალითად, პირადობის მოწმობები ან პასპორტები. ზოგ სახელმწიფოში, მაგ., დიდ ბრიტანეთში, მართვის მოწმობა შეიცავს მფლობელის ფოტოსურათს, დაბადების თარიღსა და საცხოვრებელი ადგილის მისამართს და გამოიყენება როგორც ვინაობის დამადასტურებელი ზოგადი დოკუმენტი.

3. ამჟამად არ არსებობს პირადობის დამადასტურებელი უნიფიცირებული დოკუმენტი, რომელიც მთელი ევროკავშირის მასშტაბით გამოიყენება. ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო, დანიისა და ირლანდიის გარდა, გასცემს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ეროვნულ დონეზე.

პირდაპირი დისკრიმინაცია

BG	пряка дискриминация
CS	přímá diskriminace
DE	unmittelbare Diskriminierung
EL	άμεση διάκριση
EN	direct discrimination
ES	discriminación directa
ET	otsene diskrimineerimine
FI	välitön syrjintä
FR	discrimination directe
GA	idirdhealú díreach
HU	közvetlen diszkrimináció
IT	discriminazione diretta
LT	tiesioginė diskriminacija
LV	tieša diskriminācija
MT	Diskriminazzjoni diretta
NL	directe discriminatie
PL	dyskryminacja bezpośrednia
PT	discriminação direta
RO	discriminare directă
SK	priama diskriminácia
SL	neposredna diskriminacija
SV	direkt diskriminering
NO	direkte diskriminering
UK	пряма дискримінація

განმარტება

ვითარება, როდესაც ერთ პირს, რასობრივი ან ეთნიკური კუთვნილების გამო ეპყრობიან უთანასწოროდ და ნაკლებად სამართლიანად, ვიდრე მეორეს მოეპყრობოდნენ, ეპყრობიან ან მოეპყრობიან ანალოგიურ ვითარებაში.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) მე-2(2a) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ თანასწორი მოპყრობის პრინციპი

პირველადი (ძირი) დოკუმენტები

BG	Документи за легитимация/самоличност
CS	matriční doklady
DE	Ausgangsdokumente (EU-acquis); no usual translation in DE
EL	έγγραφα βάσης
EN	breeder documents
ES	Documentos primarios (documento de filiación)
ET	alusdokumendid
FI	lähdeasiakirjat
FR	documents sources
GA	Doiciméid phórúcháin
HU	anyakönyvi dokumentumok
IT	documenti originatori
LT	pirminiai dokumentai
LV	izcelsmes dokumenti
MT	dokumenti oriġinaturi
NL	onderliggende documenten
PL	
PT	documentos a montante
RO	
SK	východiskové doklady (EU acquis); zdrojové doklady
SL	dokumenti o izvoru
SV	stödjande ID-dokumentation / bakomliggande dokument
NO	Transportørs ansvar
UK	документи, що засвідчують особу

განმარტება

დოკუმენტები, რომლებსაც განმცხადებელი წარადგენს პირადობის, ბინადრობის და სამგზავრო დოკუმენტების მიღების დროს, როგორებიცაა დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობები.

წყარო

სამგზავრო დოკუმენტების გაყალბებაზე ევროპის საპასუხო ღონისძიებების გაძლიერების სამოქმედო გეგმის შესახებ ევროკომისიის კომუნიკეს მე-7 სქოლიო (COM(2016) 790 (საბოლოო რედაქცია)

შენიშვნა

ტერმინი შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა კონტექსტში, თუმცა, უმეტესად, ის გამოიყენება გაყალბების კონტექსტში, რასთან დაკავშირებითაც ევროკომისიის კომუნიკეში (COM(2016) 790 საბოლოო რედაქცია) წარმოდგენილია სამგზავრო დოკუმენტის გაყალბებაზე რეაგირების სამოქმედო გეგმა.

პირველი თავშესაფრის ქვეყანა

BG	първа страна на убежище
CS	první země azylu
DE	erster Asylstaat / erstes Asylland
EL	πρώτη χώρα ασύλου
EN	first country of asylum
ES	primer país de asilo
ET	esmane varjupaigariik
FI	ensimmäinen turvapaikkamaa
FR	premier pays d'asile
GA	an chéad tír thearmainn
HU	első menedék országa
IT	paese di primo asilo
LT	pirmoji prieglobsčio šalis
LV	pirmā patvēruma valsts
MT	L-Ewwel art / pajjiż tal-asil
NL	eerste land van asiel
PL	kraj pierwszego azylu
PT	primeiro país de asilo
RO	prima țară de azil
SK	prvá krajina azylu
SL	prva država azila
SV	första asylland
NO	første asylland
UK	перша країна притулку

განმარტებები

ქვეყანა, რომელშიც საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელს:

(ა) მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი და რომელშიც მას ამჟამადაც შეუძლია აღნიშნული სტატუსით გათვალისწინებული დაცვით სარგებლობა; ან

(ბ) სხვაგვარად სარგებლობს საკმარისი დაცვით, მათ შორის, არგაძევების პრინციპით გათვალისწინებული დაცვით, იმ პირობით, რომ ხელახლა იქნება დაშვებული ამ ქვეყანაში.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 35-ე მუხლი

შენიშვნები

1. 'პირველი თავშესაფრის ქვეყნის' ცნების გამოყენებისას კონკრეტულ განმცხადებელთან დაკავშირებულ გარემოებებში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება გაითვალისწინონ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 38-ე(2) მუხლი ('უსაფრთხო მესამე ქვეყნის' ცნება).

2. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, თავშესაფრის მაძიებელს უფლება აქვს, ეჭვქვეშ დააყენოს მის გარემოებებთან მიმართებით 'პირველი თავშესაფრის ქვეყნის' ცნების გამოყენების მართებულობა.

პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება

BG	решение на първа инстанция
CS	rozhodnutí v prvním stupni / prvostupňové rozhodnutí
DE	erstinstanzliche Entscheidung
EL	πρωτόδικη απόφαση (EL), πρωτοβάθμια απόφαση (CY), απόφαση σε πρώτο βαθμό (CY)
EN	first instance decision
ES	resolución en primera instancia
ET	esimese astme otsus
FI	ensimmäinen päätös
FR	décision en première instance
GA	cinneadh céadchéime
HU	elsőfokú döntés
IT	decisione di primo grado
LT	pirmosios instancijos teismo sprendimas
LV	pirmās instances lēmums
MT	deċiżjoni fil-prima istanza
NL	beslissing in eerste aanleg
PL	decyzja w pierwszej instancji
PT	Decisão de primeira instância
RO	ecizie în primă instanță
SK	rozhodnutie správneho orgánu prvého stupňa / prvostupňové rozhodnutie / rozhodnutie prvého stupňa
SL	prvostopenjska odločba
SV	beslut i första instans
NO	vedtak i første instans
UK	рішення першої інстанції

განმარტება

საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ (საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვის საფუძველზე) მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას.

დაკავშირებული ტერმინი

★ **საბოლოო გადაწყვეტილება**

პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს

BG	лице, което отговаря на условията за субсидиарна закрила
CS	osoba, která má nárok na doplňkovou ochranu
DE	Person mit Anspruch auf subsidiären Schutz
EL	δικαιούχος επικουρικής προστασίας
EN	person eligible for subsidiary protection
ES	persona con derecho a protección subsidiaria
ET	täiendava kaitse saamise nõuetele vastav isik
FI	henkilö, joka voi saada toissijaista suojelua
FR	personne pouvant bénéficier de la protection subsidiaire
GA	duine atá i dteideal cosaint choimhdeach
HU	kiegészítő védelemben részesített személy / oltalmazott
IT	persona avente titolo a beneficiare della protezione sussidiaria
LT	papildomą apsaugą galintis gauti asmuo
LV	persona, kura tiesīga uz alternatīvo statusu
MT	Persuna eliġibbli għal protezzjoni sussidjarja
NL	persoon die voor subsidiaire bescherming in aanmerking komt
PL	osoba kwalifikująca się do ochrony uzupełniającej
PT	pessoa elegível para proteção subsidiária
RO	persoană eligibilă pentru protecție subsidiară
SK	osoba oprávnená na doplnkovú ochranu
SL	oseba upravičena do subsidiarne zaščite
SV	person som uppfyller kraven för att betecknas som subsidiärt skyddsbehövande
NO	person som har krav på subsidiær beskyttelse (b); person som har krav på subsidiært vern (n)
UK	особа, яка має право на додатковий захист

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არ კვალიფიცირდება, როგორც ლტოლვილი, მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში (მოქალაქეობის არმქონე პირის შემთხვევაში კი - ადრინდელ (ჩვეულ) საცხოვრებელ ქვეყანაში) დაბრუნებისას პირი სერიოზული ზიანის მიღების რისკის წინაშე აღმოჩნდება; როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლით; ასევე, რომელზეც აღნიშნული დირექტივის მე-17(1,2) მუხლი არ ვრცელდება; და რომელსაც არ შეუძლია, ან ამგვარი რისკის გამო, არ სურს, ისარგებლოს ამ ქვეყნის დაცვით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(f) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- დამატებითი დაცვა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დამატებით დაცვის მიმღები პირი
- სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკი

დაკავშირებული ტერმინები

- საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელი
- საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი
- (სამოქალაქო) ომის გამო ლტოლვილი

პირი, რომლის გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია

BG	лице, подлежащо на връщане, за което връщането не може да бъде осъществено
CS	osoba, u které nelze realizovat návrat
DE	Rückkehrpflichtige Person, die nicht zurückgeführt werden kann
EL	ανεφίκτου απελάσεως
EN	non-removable returnee
ES	persona con orden de expulsión que no puede ser materializada
ET	tagasipöörduja, keda ei saa välja saata
FI	palauttamispäätöksen saanut henkilö, jota ei kyetä poistamaan maasta
FR	personne non-éloignable faisant l'objet d'une décision de retour
GA	fillí neamh-inaistrithe
HU	nem kitoloncolható visszatérő
IT	Rimpatriandi non allontanabili
LT	užsienietis, kurio negalima grąžinti
LV	neizraidāma persona
MT	Migrant(a) ritornat(a) li ma tistax tintbagħat lura
NL	niet-verwijderbare terugkeerder / niet-uitzetbare terugkeerder
PL	cudzoziemiec, którego decyzja o powrocie jest niewykonywalna
PT	cidadão estrangeiro inexpulsável / repatriado inexpulsável
RO	repatriat care nu poate fi îndepărtat
SK	nenavrátiteľný cudzinec
SL	oseba v postopku vračanja, katera se zaradi objektivnih ali subjektivnih vzroko ne more vrniti; tujec, ki ga ni mogoče vračati
SV	återvändande som ej kan avlägsnas ur landet
NO	person med utreiseplikt som ikke kan returneres (b); person med utreiseplikt som ikkje kan returnerast (n)
UK	особа, яка підлягає поверненню, яка не може бути повернена

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც არ აქვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის კანონიერი საფუძველი და რომლის მიმართ გამოტანილია გაძევების გადაწყვეტილება, მაგრამ მისი დაბრუნება დაუშვებელია/შეუძლებელია სხვადასხვა მიზეზის გამო.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკომისიის კომუნიკე ევროკავშირის დაბრუნების პოლიტიკის შესახებ (COM/2014/0199 საბოლოო რედაქცია)

სინონიმები

- პირი, რომლის დეპორტაცია შეუძლებელია/დაუშვებელია
- კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტი, რომლის გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია
- არასასურველი მიგრანტი, რომლის გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია

დაკავშირებული ტერმინი

- **გაძევების გადავადება**

შენიშვნები

1. გაძევების ხელისშემშლელი მიზეზები შეიძლება იყოს სამართლებრივი, ჰუმანიტარული ან პრაქტიკული ან ეფუძნებოდეს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. იხ. EMN-ის კვლევა: დაბრუნებული თავშესაფრის მაძიებლები, რომელთაც უარი ეთქვათ თავშესაფრის მინიჭებაზე: გამოწვევები და საუკეთესო პრაქტიკა, 2016 წ.

2. „დაბრუნების შესახებ სახელმძღვანელოს" მე-13(2) ნაწილის თანახმად, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს არ აქვთ ვალდებულება, გასცენ ბინადრობის ნებართვა იმ პირებზე, რომელთა გაძევება უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება, თუმცა მათ უფლება აქვთ, აღნიშნული განახორციელონ ნებისმიერ დროს.

3. ტერმინი 'პირები, რომელთა გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია' ასევე მოიცავს 'არასასურველ მიგრანტებს, რომელთა გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია'. მათზე ვრცელდება ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 1-ელი(F) მუხლით განსაზღვრული გამორიცხვის დებულებები და მათი გაძევება დაუშვებელია ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული ვალდებულებების გამო.

პირი, რომლის გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია [გაგრძ.]

4. ადმინისტრაციული/სისხლისსამართლებრივი ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს მიგრანტთა (რომელთა გაძევება დაუშვებელია/შეუძლებელია, მაგრამ რომელთა დაუბრუნებლობის დასაბუთებული მიზეზი არ არსებობს) ქვეყანაში არალეგალურად დარჩენის აღკვეთას, უნდა შეესაბამებოდეს ადამიანის ძირითად უფლებებს, განსაკუთრებით კი, იმ უფლებებს, რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით (ECHR) და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით; და შეესაბამებოდეს თანაზომიერების პრინციპს. იმ პირთა თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა, რომლებიც ექვემდებარებიან გაძევებას და არ თანამშრომლობენ შესაბამის ორგანოებთან, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2008/115/EC დირექტივის მიხედვით (დირექტივა დაბრუნების შესახებ), შეზღუდულია 18 თვემდე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. „დაბრუნების შესახებ სახელმძღვანელო“ (‘Return Guidebook’).

პოზიტიური დისკრიმინაცია

BG	позитивна дискриминация
CS	pozitivní diskriminace
DE	positive Diskriminierung
EL	θετική διάκριση
EN	positive discrimination
ES	discriminación positiva
ET	eeliskohtlemine
FI	positiivinen syrjintä
FR	discrimination positive
GA	idirdhealú dearfach
HU	pozitív diszkrimináció
IT	discriminazione positiva
LT	pozityvioji diskriminacija
LV	pozitīva diskriminācija
MT	Diskriminazzjoni pożittiva
NL	positieve discriminatie
PL	dyskryminacja pozytywna
PT	discriminação positiva
RO	discriminare pozitivă
SK	pozitívna diskriminácia
SL	pozitivna diskriminacija
SV	positiv särbehandling
NO	positiv diskriminering
UK	позитивна дискримінація

განმარტება

თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების შექმნის მიზნით გატარებული პოლიტიკა ან პროგრამა, რომელიც უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მოსახლეობის იმ კონკრეტულ ჯგუფს, რომელიც ტრადიციულად იყო დისკრიმინაციის მსხვერპლი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) რასიზმისა და ქსენოფობიის მონიტორინგის ევროპული ცენტრის განმარტებითი ლექსიკონი (ონლაინ აღარ არის ხელმისაწვდომი).

დაკავშირებული ტერმინი

★ **თანასწორი მოპყრობის პრინციპი**

შენიშვნა

აღნიშნული მოიცავს უპირატეს წვდომას განათლებაზე, დასაქმებაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე.

პრაღის პროცესი

BG	Пражки процес
CS	Pražský proces
DE	Prager Prozess
EL	Διαδικασία της Πράγας
EN	Prague Process
ES	Proceso de Praga
ET	Praha protsess
FI	Prahan prosessi
FR	Processus de Prague
GA	Próiseas Phrág
HU	Prágai Folyamat
IT	Processo di Praga
LT	Prahos procesas
LV	Prāgas process
MT	Proċess (Il-) ta' Praga
NL	Praag Proces
PL	Proces Praski
PT	Processo de Praga
RO	Procesul Praga
SK	Pražský proces
SL	Praški proces
SV	Pragprocessen
NO	Praha-prosessen
UK	Празький процес

განმარტება

მიგრაციის საკითხებზე მიზნობრივი დიალოგის წარმოებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესი, რომელიც მიმართულია მიგრაციის სფეროში პარტნიორობის ხელშეწყობისკენ ევროკავშირისა და შენგენის წევრ სახელმწიფოებს, აღმოსავლეთი პარტნიორობის, დასავლეთი ბალკანეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს, რუსეთსა და თურქეთს შორის.

წყარო

პრაღის პროცესის ვებგვერდი

სინონიმი

★ პრაღის პროცესი - პარტნიორობის დამყარება მიგრაციის სფეროში

დაკავშირებული ტერმინი

★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. პრაღის პროცესს საფუძველი ჩაეყარა ევროკავშირის დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „პარტნიორობის დამყარება მიგრაციის სფეროში“ ფარგლებში და ინიციირებულ იქნა ევროკავშირის ჩეხეთის პრეზიდენტობით შემდგარ პრაღის პროცესის პირველ მინისტერიალზე 2009 წლის აპრილში, პრაღის პროცესის ერთობლივი დეკლარაციის მიღების შედეგად.

2. პრაღის პროცესის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მიღებულ ერთობლივ დეკლარაციაში, რომელიც წარმოადგენს საერთო პოლიტიკურ ჩარჩოს, სახელმწიფოები შეთანხმდნენ მიგრაციის მართვის კუთხით თანამშრომლობის გაძლიერებაზე და ასევე, შეთანხმებული პრინციპებისა და თანამშრომლობის მექანიზმების შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებაზე, რაც მიზნად ისახავს უფრო მჭიდრო პარტნიორობის დამყარებას ქვეყნებს შორის, ყოვლისმომცველი, დაბალანსებული, პრაგმატული და პრაქტიკული მიდგომითა და მიგრანტების, მათი ოჯახის წევრებისა და ლტოლვილების უფლებებისა და ღირსების პატივისცემით.

3. ძირითადი პრინციპები და თანამშრომლობის სფეროები განისაზღვრება რეგულარულად განახლებადი ერთობლივი დეკლარაციებით და მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

– კანონიერი საფუძვლის გარეშე (არალეგალური) მიგრაციის პრევენცია და მასთან ბრძოლა;

– რეადმისია, ნებაყოფლობითი დაბრუნება და მდგრადი რეინტეგრაცია;

– ლეგალური მიგრაცია, განსაკუთრებული ფოკუსით შრომით მიგრაციაზე;

– ქვეყანაში ლეგალურად მყოფი მიგრანტების ინტეგრაცია;

– მიგრაცია, მობილობა და განვითარება;

– შესაძლებლობების ზრდა თავშესაფრისა და საერთაშორისო დაცვის სფეროებში.

4. თანამშრომლობის აღნიშნული ექვსი მიმართულება გარკვეულწილად ასახავს ამოცანებს მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომისა (GAMM), რომელიც წარმოადგენს მიგრაციისა და თავშესაფრის საკითხებში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგად ჩარჩოს. GAMM-ის კონტექსტში პრაღის პროცესს მიენიჭა პრიორიტეტი, როგორც აღმოსავლეთის მიმართულებაზე ფოკუსირებულ რეგიონულ დიალოგს.

პრაღის პროცესი [გაგრძ.]

5. მიგრაციის საკითხებზე წარმოებული დიალოგის გარდა, პრაღის პროცესის ფარგლებში ფუნქციონირებს:

– მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრი („მიგრაციის ობსერვატორია“), რომელიც ემსახურება პრაღის პროცესის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ექვსი თემატური მიმართულების შესატყვისი, ობიექტური და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ანალიზის წარმოებას პრაღის პროცესის რეგიონის სახელმწიფოებისთვის;

– სასწავლო ცენტრი („ტრენინგ აკადემია“), რომელიც ახორციელებს საჭიროებებზე მორგებულ, მიზნობრივ, მაღალი ხარისხის ტრენინგს ზემოაღნიშნული ექვსი თემატური სფეროთი განსაზღვრულ საკითხებზე.

6. მეტი ინფორმაციისთვის იხ. პრაღის პროცესის ვებ-გვერდი

პრიმა ფაციე (prima facie/„ერთი შეხედვით“) ლტოლვილი

BG	no translation
CS	uprchlík prima facie
DE	Prima-Facie Flüchtling
EL	εκ πρώτης όψεως πρόσφυγας
EN	prima facie refugee
ES	refugiado (prima facie)
ET	prima facie pagulane
FI	prima facie -pakolainen
FR	réfugié prima facie
GA	dídeanaí prima facie
HU	prima facie elismert menekült
IT	rifugiato prima facie
LT	prima facie pabėgėlis
LV	prima facie bēglis
MT	Rifuġjat(a) prima facie
NL	prima facie vluchteling
PL	uchodźca prima facie
PT	refugiado prima facie
RO	refugiat prima facie
SK	utečenec prima facie
SL	prima facie begunec
SV	prima facie-flykting
NO	prima facie-flyktning
UK	біженець prima facie

განმარტება

პირი, რომელიც აღიარებულია ლტოლვილად სახელმწიფოს ან გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) მიერ მისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არსებულ გარემოებებთან დაკავშირებული ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც ასაბუთებს ვარაუდს, რომ აღნიშნული პირი აკმაყოფილებს ლტოლვილად აღიარების კრიტერიუმებს.

წყარო

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ლტოლვილი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ლტოლვილის სტატუსის ჯგუფური დადგენა**

★ **ჯგუფის დევნა**

შენიშვნა

ეს ტერმინი უფრო თეორიულ ცნებას წარმოადგენს და ხშირად არ გამოიყენება.

(პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტა

BG	трайни решения
CS	trvalé řešení
DE	dauerhafte Lösung
EL	βιώσιμες λύσεις
EN	durable solutions
ES	soluciones duraderas
ET	püsivad lahendused
FI	kestävät ratkaisut
FR	solutions durables
GA	buanréitigh; réitigh mharthanacha (uatha: buanréiteach; réiteach marthanach)
HU	a fenntarthatóságot szolgáló intézkedések
IT	soluzioni durevoli
LT	ilgalaikiai sprendimai
LV	ilgtspējīgi risinājumi
MT	Soluzzjonijiet dewwiema / li jibqgħu fis-seħħ
NL	duurzame oplossing
PL	trwałe rozwiązania
PT	soluções duradouras
RO	solutii durabile
SK	trvalé riešenia / trvácne riešenia (depending on the context)
SL	trajne rešitve
SV	hållbara lösningar
NO	varige løsninger (b); varige løysingar (n)
UK	довгострокові рішення

განმარტება

ნებისმიერი საშუალება, რომელიც გამიზნულია იძულებით გადაადგილებული მიგრანტების (გადაადგილებული პირების, ლტოლვილების, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების, (ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირების, კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მოწყვლადი მიგრანტების) მდგომარეობის დამაკმაყოფილებლად და გრძელვადიანი გადაწყვეტისთვის, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, მიმღებ ქვეყანაში ან დაბრუნების ქვეყანაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

დაკავშირებული ტერმინი

★ (ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება

შენიშვნები

1. UNHCR, ტრადიციულად, ფოკუსირებულია ლტოლვილთა დაცვაზე და მათი ნებაყოფლობითი რეპატრიაციის, მიმღებ ქვეყანაში ინტეგრაციის ან უსაფრთხო მესამე ქვეყანაში განსახლების გზით უზრუნველყოფს ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხების გრძელვადიან გადაწყვეტას.

2. ლტოლვილთა ნებაყოფლობითი რეპატრიაცია/დაბრუნება წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში უსაფრთხოდ და ღირსეულად ხდება მათი თავისუფალი ნების და ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. ადგილობრივი ინტეგრაცია მიზნად ისახავს ლტოლვილისთვის თავშესაფრის ქვეყანაში მუდმივად დარჩენის უფლების უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია თავშესაფრის ქვეყნის მიერ ლტოლვილის სტატუსის ოფიციალურად მინიჭების შემდეგ. ევროკავშირის კონტექსტში, დარჩენის უფლება დროებითია და დამოკიდებულია დაცვის სტატუსზე (ლტოლვილის სტატუსის შემთხვევაში - მინიმუმ სამი წელი, ხოლო დამატებითი დაცვის სტატუსის შემთხვევაში - მინიმუმ ერთი წელი).

4. მესამე ქვეყანაში განსახლება გულისხმობს ლტოლვილთა გადაყვანას იმ ქვეყნიდან, სადაც მათ მოითხოვეს თავშესაფარი, იმ უსაფრთხო მესამე ქვეყანაში, რომელიც დათანხმდა მათ ლტოლვილებად მიღებას. ეს შეიძლება განხორციელდეს მუდმივი დასახლების მიზნით, ან შემოიფარგლებოდეს რამდენიმე წლით. აღნიშნული წარმოადგენს (პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტის მესამე გზას და განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირველი ორი მექანიზმის განხორციელება შეუძლებელია.

(პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტა [გაგრძ.]

5. ევროკავშირი აღნიშნულ ცნებას უფრო შეზღუდული მნიშვნელობით იყენებს. ევროკავშირის განსახლების მექანიზმი უზრუნველყოფს საერთაშორისო დაცვის აღიარებული საჭიროების მქონე, მოწყვლადი ლტოლვილების ევროკავშირში უსაფრთხო და ლეგალური გზებით შესვლას და სთავაზობს მათ (ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ან უსაფრთხო მესამე ქვეყანაში) განსახლებას, რაც წარმოადგენს (პრობლემის) გრძელვადიანად გადაწყვეტის გზას იმ ლტოლვილებთან მიმართებით, რომლებსაც არ აქვთ (წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში/რეგიონში) ნებაყოფლობით დაბრუნების ან პირველი თავშესაფრის ქვეყანაში ინტეგრაციის შესაძლებლობა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიის კომუნიკე საერთაშორისო დაცვის საჭიროების მქონე პირთა ევროკავშირში ორგანიზებული შესვლისა და წარმომავლობის (წარმოშობის) რეგიონებში მათი დაცვის შესაძლებლობების გაძლიერების თაობაზე: „(პრობლემის) გრძელვადიანი გადაწყვეტის გზების გაუმჯობესება“, COM(2004) 410.

პროფესია/საქმიანობა

BG	професия/ занятие
CS	povolání
DE	Beschäftigung
EL	επάγγελμα
EN	occupation
ES	actividad profesional
ET	amet
FI	ammatti
FR	profession
GA	gairm bheatha
HU	foglalkozás
IT	professione / occupazione / impiego
LT	profesija
LV	profesija
MT	Impieg / Xogħol / Okkupazzjoni
NL	beroep
PL	zawód
PT	profissão
RO	ocupație
SK	povolanie
SL	poklic
SV	sysselsättning / yrke
NO	yrke
UK	професія

განმარტება

ძირითადი ფუნქცია-მოვალეობებით ერთმანეთის მსგავს სამუშაოთა ერთობლიობა.

წყარო

ILO: ISCO-88, პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორი. შრომის საერთაშორისო ბიურო, ჟენევა, 1990 წ.

დაკავშირებული ტერმინი

★ **დასაქმება**

შენიშვნები

1. ISCO-08-ის (პროფესიათა საერთაშორისო კლასიფიკატორი) მიხედვით „სამუშაო“ განისაზღვრება როგორც ფუნქცია-მოვალეობების ერთობლიობა, რომელსაც ასრულებს ერთი ადამიანი (ან რომელიც მოაზრებულია ერთი ადამიანის მიერ შესასრულებლად) დამსაქმებლის სასარგებლოდ ან თავად ამ პირის სასარგებლოდ (თვითდასაქმების შემთხვევაში).

2. ISCO-ს განმარტება ასევე გამოიყენება დასაქმების სერვისების (დასაქმების სააგენტოების) მიერ.

პროცედურული გარანტიები

BG	процедурни гаранции
CS	procesní záruky
DE	Verfahrensgarantien
EL	διαδικαστικές εγγυήσεις
EN	procedural guarantees
ES	garantías procedimentales
ET	menetlustagatised
FI	menettelylliset takeet
FR	garanties procédurales
GA	ráthaíochtaí nós imeachta
HU	eljárási garanciák
IT	garanzie procedurali
LT	procedūrinės garantijos
LV	procesuālās garantijas
MT	Garanziji proċedurali
NL	procedurele waarborgen
PL	gwarancje proceduralne
PT	garantias processuais
RO	garanții procedurale
SK	procesné záruky / procedurálne záruky
SL	postopkovna jamstva
SV	förfarandegarantier
NO	saksbehandlingsgaranti (b); sakshandsamingsgaranti (n)
UK	процедурні гарантії

განმარტება

ევროკავშირის თავშესაფრის კონტექსტში, სპეციალური გარანტიები, რომლებიც შეეხება საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების სამართლებრივ უფლებებს, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2 თავში და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლში.

წყაროები

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2 თავი
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ საერთაშორისო დაცვის პროცედურა

შენიშვნა

ეს გარანტიები მოიცავს საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა შემდეგ უფლებებს: თავშესაფრის პროცედურის ხელმისაწვდომობა; იმ წევრ სახელმწიფოში (დროებითი) დარჩენის უფლება, რომელმაც უნდა განიხილოს საერთაშორისო დაცვაზე განცხადება; მათი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდება; თარჯიმნის მომსახურების ხელმისაწვდომობა; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისთან (UNHCR) ან ნებისმიერ სხვა ორგანიზაციასთან დაკავშირების შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას; შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გონივრულ ვადაში შეტყობინება; ინდივიდუალური გასაუბრება და უფასო იურიდიული დახმარება და წარმომადგენლობა, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოფილია სააპელაციო წარმოებაში (მათ შორის, საჭირო პროცედურული დოკუმენტების მომზადება ან განმცხადებლის სახელით პირველი ინსტანციის სასამართლოს ან ტრიბუნალის განხილვაში მონაწილეობა).

რაბატის პროცესი

BG	процес от Рабат
CS	Rabatský proces
DE	Rabat-Prozess
EL	Ευρω-Αφρικανικός Διάλογος για τη Μετανάστευση και την Ανάπτυξη
EN	Rabat Process
ES	dialogo euroafricano sobre migración y desarrollo
ET	Rabati protsess
FI	Rabatin prosessi
FR	Processus de Rabat
GA	Idirphlé Eora-Afracach maidir le hImirce agus Forbairt
HU	Euro-afrikai Dialógus a migrációról és fejlesztésről
IT	Processo di Rabat
LT	Rabato procesas
LV	Rabātas process
MT	Djalogu Ewro-Afrikan fuq il-Migrazzjoni u l-Iżvilupp
NL	Rabat-proces / Proces van Rabat
PL	Proces rabacki
PT	Processo de Rabat
RO	Dialogul EU-Africa în domeniul migrației și dezvoltării
SK	Rabatský proces / Euro-africký dialóg o migrácii a rozvoji
SL	rabatski proces / evro - afriški dialog o migracijah in razvoju
SV	Rabatprocessen
NO	Den europeisk-afrikanske dialogen om migrasjon
UK	Рабатський процес

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ჩრდილოეთი, დასავლეთი და ცენტრალური აფრიკის ქვეყნებს შორის, აგრეთვე ევროკომისიასა და დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოთა ეკონომიკურ თანამეგობრობას (ECOWAS) შორის დიალოგისა და კონსულტაციების ჩარჩო, რომელიც ორიენტირებულია მიგრაციის არსებულ მარშრუტებზე მდებარე წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნებს შორის რეგიონულ თანამშრომლობაზე მიგრაციის სფეროში და რომლის ფარგლებშიც ხორციელდება კონკრეტული პრაქტიკული ინიციატივები.

წყარო

რაბატის პროცესის აღწერა

სინონიმები

- ევროაფრიკული დიალოგი მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე
- ევროაფრიკული მინისტერიალი მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე

დაკავშირებული ტერმინები

- **ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის)**
- **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**
- **ხარტუმის პროცესი**

შენიშვნები

1. მიგრაციისა და განვითარების ევროაფრიკულ პროცესს საფუძველი 2006 წელს რაბატის მინისტერიალით ჩაეყარა.

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. რაბატის პროცესის ვებგვერდი.

რასიზმი

BG	расизъм
CS	rasismus
DE	Rassismus
EL	ρατσισμός
EN	racism
ES	racismo
ET	rassism
FI	rasismi
FR	racisme
GA	ciníochas
HU	rasszizmus / fajgyűlölet
IT	razzismo
LT	rasizmas
LV	rasisms
MT	Razziżmu
NL	racisme
PL	rasizm
PT	racismo
RO	rasism
SK	rasizmus
SL	rasizem
SV	rasism
NO	rasisme
UK	расизм

განმარტება

იდეები ან თეორიები, რომლებიც აღიარებს კონკრეტული რასის ან კანის ფერის მქონე/ეთნიკური კუთვნილების პირთა ჯგუფის უპირატესობას.

წყარო

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის მე-4 მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- **რასობრივი დისკრიმინაცია**
- **ქსენოფობია**

შენიშვნები

1. რასიზმი შეიძლება მრავალმხრივად განიმარტოს. ლექსიკონში მოყვანილია მისი ფართო, ზოგადი განმარტება, რაც გამიზნულია ტერმინის ირგვლივ საერთო აღქმის შესაქმნელად. თუმცა აქ ძირეული პრობლემა ისაა, რომ ტერმინი 'რასიზმი' უშვებს რასობრივი ნიშნით განსხვავებას მაშინ, როდესაც ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) პრეამბულის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ „ევროკავშირი უარყოფს თეორიებს, რომლებშიც გამოხატულია რასობრივი ნიშნით ადამიანთა განსხვავების მცდელობა".

2. ევროკავშირის კანონმდებლობის, კერძოდ, ევროკავშირის საბჭოს ჩარჩოგადაწყვეტილების 2008/913/ŲHA 1-ელი მუხლის თანახმად, რასიზმსა და ქსენოფობიასთან დაკავშირებულ დანაშაულებად მიიჩნევა:

(ა) ადამიანთა იმ ჯგუფის ან ჯგუფის წევრის მიმართ ძალადობის ან სიძულვილის საჯაროდ მოწოდება, რომლებიც მიიჩნევა კონკრეტული რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების მქონედ;

(ბ) (ა) პუნქტში მითითებული ქმედების ჩადენა ბროშურების, ფოტოსურათების ან სხვა მასალის საჯაროდ გავრცელების გზით;

(გ) კონკრეტული რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების მქონედ მიჩნეული ადამიანთა ჯგუფისკენ ან ამ ჯგუფის წევრისკენ მიმართული, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისა და ომის დანაშაულის საჯაროდ შეწყნარება, უარყოფა ან მნიშვნელოვნად დაკნინება, მაშინ როდესაც ჩადენილმა ქმედებამ შეიძლება წააქეზოს აღნიშნული ჯგუფის ან ჯგუფის წევრის მიმართ ძალადობა ან სიძულვილი;

(დ) ადამიანთა ჯგუფის ან ჯგუფის წევრისკენ მიმართული, 1945 წლის 8 აგვისტოს ლონდონის ხელშეკრულებით დამტკიცებული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ქარტიის მე-6 მუხლით განსაზღვრულ დანაშაულთა საჯაროდ შეწყნარება, უარყოფა ან მნიშვნელოვნად დაკნინება.

3. ევროპის საბჭოს შესაბამის კანონმდებლობაში მოცემულია აღნიშნული ტერმინის უფრო სიღრმისეული ინტერპრეტაცია.

რასობრივი დისკრიმინაცია

BG	расова дискриминация
CS	rasová diskriminace
DE	rassistische Diskriminierung / Rassendiskriminierung
EL	φυλετική διάκριση
EN	racial discrimination
ES	discriminación racial
ET	rassiline diskrimineerimine
FI	rotusyrjintä
FR	discrimination raciale
GA	idirdhealú cinníoch
HU	faji diszkrimináció
IT	discriminazione razziale
LT	rasinė diskriminacija
LV	rasu diskriminācija
MT	Diskriminazzjoni razzjali
NL	rassendiscriminatie
PL	dyskryminacja rasowa
PT	discriminação racial
RO	discriminare rasială
SK	rasová diskriminácia
SL	rasna diskriminacija
SV	rasdiskriminering
NO	rasediskriminering
UK	расова дискримінація

განმარტება

ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატეს მდგომარეობაში ჩაყენება რასის, კანის ფერის, წარმომავლობის ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, რაც გამიზნულია ან იწვევს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა (თანასწორობის საფუძველზე) აღიარების, მოპოვების ან გამოყენების უგულებელყოფას ან დაკნინებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში.

წყარო

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის 1-ელი(1) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ დისკრიმინაცია

დაკავშირებული ტერმინები

★ რასიზმი

★ ქსენოფობია

შენიშვნები

1. კონვენცია არ განსაზღვრავს 'რასას', მაგრამ განსაზღვრავს 'რასობრივ დისკრიმინაციას'.

2. განმარტებიდან მიზანმიმართულად არის ამოღებული მოქალაქეობის ნიშნით განსხვავება (მოქალაქეები-არამოქალაქე პირები), ისევე როგორც დისბალანსის აღმოფხვრისა და თანასწორობის ხელშეწყობისკენ მიმართული კონკრეტული ზომები და შესაბამისი მიდგომები.

3. ზოგი სააგენტო (მაგ., UNHCR და EUAA) ამავე განმარტებით იყენებს ტერმინს 'დისკრიმინაცია'.

რეადმისია

BG	Реадмисия
CS	readmise
DE	Rückübernahme
EL	επανεισδοχή
EN	readmission
ES	readmisión
ET	tagasivõtmine
FI	takaisinotto
FR	réadmission
GA	Athligean isteach
HU	visszafogadás
IT	Riammissione
LT	readmisija
LV	atpakaļuzņemšana
MT	Riammissjoni
NL	overname
PL	
PT	Readmissão
RO	readmisie
SK	readmisia
SL	ponovni sprejem
SV	återtagande
NO	tilbaketakelse (b); tilbaketaking (n)
UK	реадмісія

განმარტება

სახელმწიფოს მიერ გაცემული ნებართვა პირის (ამ ქვეყნის მოქალაქის, მესამე ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის) ამავე სახელმწიფოში დაბრუნების შესახებ.

წყარო

შემუშავდა EMN ის მიერ

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ რეადმისიის შესახებ შეთანხმება

შენიშვნები

1. იმ მიგრანტთა დაბრუნების ხელშეწყობის მიზნით, რომლებიც კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებიან ევროკავშირის ტერიტორიაზე და რომელთა მიმართ გამოიცა ევროკავშირის დატოვების ბრძანება, ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებთან რეადმისიის შეთანხმებების საფუძველზე. აღნიშნული შეთანხმებები განსაზღვრავს მკაფიო ვალდებულებებს და ადგენს დეტალურ ადმინისტრაციულ და ოპერაციულ პროცედურებს აღნიშნულ პირთა დაბრუნებისა და ამ მიზნით ევროკავშირის ტერიტორიის ტრანზიტით გავლის უზრუნველსაყოფად. რეადმისიის შესახებ შეთანხმებები გამიზნულია შესაბამის ადმინისტრაციულ უწყებებს შორის თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად და მათი ამოქმედება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) დადგენილი პროცედურული გარანტიებისა და ევროკავშირის თავშესაფართან დაკავშირებული რეგულაციების შესაბამისად.

2. რეადმისიის შესახებ ევროკავშირის ზოგი შეთანხმება ითვალისწინებს მესამე ქვეყნის მოქალაქეებთან დაკავშირებულ დებულებებს, რომლებიც იძლევა იმ პირთა რეადმისიის შესახებ განაცხადების ინიციირების საშუალებას, რომლებიც არ ფლობენ არცერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოქალაქეობას (მოქალაქეობის არმქონე პირთა ჩათვლით) და რომლებმაც ტრანზიტით გაიარეს რომელიმე ამ სახელმწიფოს ტერიტორია.

რეადმისიის შესახებ შეთანხმება

BG	споразумение за реадмисия
CS	readmisní dohoda
DE	Rückübernahmeabkommen
EL	συμφωνία επανεισδοχής
EN	readmission agreement
ES	acuerdo de readmisión
ET	tagasivõtuleping
FI	takaisinottosopimus
FR	accord de réadmission
GA	comhaontú um athghlactha isteach
HU	visszafogadási egyezmény
IT	accordo di riammissione
LT	readmisijos susitarimas
LV	atpakaļuzņemšanas nolīgums
MT	Ftehim ta' dħul mill-ġdid / ta' riammissjoni
NL	overnameovereenkomst
PL	umowa readmisyjna
PT	acordo de readmissão
RO	acord de readmisie
SK	readmisná dohoda
SL	sporazum o vračanju oseb
SV	återtagandeavtal
NO	returavtale
UK	угода про реадмісію

განმარტება

ევროკავშირს და/ან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოსა და მესამე ქვეყანას შორის ორმხრივობის საფუძველზე დადებული შეთანხმება, რომელიც ადგენს სწრაფ და ეფექტურ პროცედურებს იმ პირთა იდენტიფიცირებისთვის და უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნებისთვის, რომლებიც არ ან აღარ აკმაყოფილებენ მესამე ქვეყნის ან ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შესვლის, ყოფნის ან ბინადრობის პირობებს, აგრეთვე ასეთი პირების ტრანზიტის ხელშეწყობისთვის თანამშრომლობის პრინციპის საფუძველზე.

წყარო

ევროკავშირის რეადმისიის შესახებ შეთანხმებების (მაგ., ევროკავშირის რეადმისიის შესახებ შეთანხმება სერბეთთან) პრეამბულა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **რეადმისია**

დაკავშირებული ტერმინები

- **დაბრუნება**
- **პარტნიორობა მობილობისთვის**

შენიშვნები

1. ევროკავშირსა და მესამე ქვეყანას შორის დადებული რეადმისიის შესახებ შეთანხმება ანაცვლებს ევროკავშირის რომელიმე წევრი სახელმწიფოს ხელშეკრულებას ამავე ქვეყანასთან, თუმცა, შესაძლოა, ეს არ მოხდეს დანიისა და ირლანდიის შემთხვევაში, რადგან ევროკავშირის ამ წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ არ მიუერთდნენ ევროკავშირის შეთანხმებას.

2. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ვებგვერდი რეადმისიის შესახებ.

რ რეგიონული ინიციატივა მიგრაციის, თავშესაფრისა და ლტოლვილთა საკითხებზე (MARRI)

BG	Регионална инициатива по миграция, убежище и бежанци
CS	Regionální iniciativa pro migraci, azyl a uprchlíky
DE	Regionale Migrations-, Asyl- und Flüchtlingsinitiative
EL	Περιφερειακή Πρωτοβουλία για τη Μετανάστευση, το Άσυλο και τους Πρόσφυγες
EN	Migration, Asylum, Refugees Regional Initiative (MARRI)
ES	iniciativa regional para la migración, el asilo y los refugiados
ET	rände, varjupaiga ja pagulaste regionaalne algatus
FI	maahanmuuttoa, turvapaikkaa ja pakolaisia koskeva alueellinen aloite
FR	initiative régionale en matière de migration, d'asile et de réfugiés
GA	Tionscnamh Réigiúnach um Imirce, Tearmann & Dídeanaithe
HU	Migráció és Menekültügyi Regionális Kezdeményezés
IT	Iniziativa Regionale Migrazione, Asilo, Rifugiati
LT	Migracijos, prieglobsčio ir pabėgėlių regioninė iniciatyva
LV	Migrācijas, patvēruma un bēgļu reģionālā iniciatīva
MT	Inizzjattiva Reġjonali dwar il-Migrazzjoni, l-Ażil, u r-Rifuġjati
NL	Regionaal Migratie-, Asiel- en Vluchtelingeninitiatief
PL	Regionalna Inicjatywa w sprawach Migracji, Azylu i Uchodźstwa
PT	Iniciativa Regional sobre Migração, Asilo e Refugiados
RO	Inițiativa regională cu privire la migrațaie, azil și refugiați
SK	Regionálna iniciatíva pre migráciu, azyl a utečencov
SL	Regionalna pobuda za migracije, azil in begunce
SV	regionala initiativet för migration, asyl och flyktingar
NO	regionalt initiativ for asyl og flyktninger for Vest-Balkan (b); regionalt initiativ for asyl og flyktningar for Vest-Balkan (n)
UK	Регіональна ініціатива з міграції, притулку, біженців (MARRI)

განმარტება

ინიციატივა, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში თანამშრომლობის პროცესის ნაწილია და მიზნად ისახავს მიგრაციის სფეროში რეგიონული თანამშრომლობის განმტკიცებას მიგრაციის, თავშესაფრის, საზღვრის მართვის, სავიზო პოლიტიკისა და საკონსულო თანამშრომლობის, ლტოლვილთა დაბრუნებისა და განსახლების საკითხებისადმი ყოვლისმომცველი, ინტეგრირებული და თანმიმდევრული მიდგომის ხელშეწყობით, საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დაცვის მიზნით.

წყარო

მიგრაციის, თავშესაფრისა და ლტოლვილთა საკითხებზე რეგიონული ინიციატივის (MARRI) ვებგვერდი

სინონიმი

★ MARRI

დაკავშირებული ტერმინი

★ **გლობალური მიდგომა მიგრაციისა და მობილობისადმი (GAMM)**

შენიშვნები

1. MARRI ჩამოყალიბდა 2003 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის სტაბილურობის პაქტის ფარგლებში დაბრუნების რეგიონული ინიციატივისა (RRI) და მიგრაციისა და თავშესაფრის ინიციატივის (MAI) შერწყმის გზით. 2004 წლიდან MARRI ფუნქციონირებს ორი მექანიზმის საშუალებით:

– MARRI-ს რეგიონული ფორუმი, რომელიც ინიციატივის პოლიტიკურ და სტრუქტურულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს

– MARRI-ს რეგიონული ცენტრი სკოპიეში (მაკედონია), რომელიც MARRI-ს ფარგლებში პრაქტიკულ თანამშრომლობასა და საქმიანობას ეწევა და ხელს უწყობს რეგიონული ფორუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელებას.

2. MARRI-ს მთავარი პრიორიტეტი რეგიონის ქვეყნებს შორის თავიანთი საქმიანობის სფეროებში რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავებაა, რომელიც ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის მნიშვნელოვანი შემადგენელია და დასავლეთი ბალკანეთის სალონიკის სამიტის დღის წესრიგით განსაზღვრულ მიზნებს შეესაბამება.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. MARRI-ს ვებგვერდი.

რ რეგულარიზაცია

BG	узаконяване
CS	regularizace / legalizace pobytu
DE	Legalisierung / Regularisierung
EL	νομιμοποίηση
EN	regularisation
ES	regularización
ET	seadustamine
FI	laillistaminen
FR	régularisation
GA	tabhairt chun rialtachta
HU	legalizálás
IT	regolarizzazione
LT	reguliarizacija
LV	legalizācija
MT	Regolarizzazzjoni
NL	regularisatie
PL	regularyzacja
PT	regularização
RO	regularizare / legalizare
SK	legalizácia / regularizácia
SL	regularizacija
SV	regularisering
NO	regularisering
UK	регуляризація

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ოფიციალურად დადგენილი პროცედურა, რომლის მეშვეობითაც არალეგალურად მყოფ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს ლეგალური სტატუსი ენიჭებათ.

წყარო

ICMPD: ევროპაში რეგულარიზაციის შესახებ კვლევა, 2009 წ.

სინონიმები

- ამნისტია (მიგრაციის კონტექსტში)
- ლეგალიზაცია

რეგულირებადი პროფესია

BG	регламентирана професия
CS	regulované povolání
DE	reglementierter Beruf
EL	νομοθετικά κατοχυρωμένο επάγγελμα
EN	regulated profession
ES	profesión regulada
ET	
FI	säännelty ammatti
FR	profession réglementée
GA	profesión regulada
HU	szabályozott szakma
IT	professione regolamentata
LT	reglamentuojama profesija
LV	
MT	Professjoni regolata (fuq bażi ta' kwalifiċi professjonali)
NL	gereglementeerd beroep
PL	zawód regulowany
PT	profissão regulada
RO	profesie reglementată
SK	regulované povolanie
SL	reguliran poklic
SV	reglerat yrke
NO	
UK	регульована професія

განმარტება

პროფესია ან პროფესიათა ჯგუფი, რომლის დაუფლების და შესაბამისად საქმიანობის (მათ შორის, სპეციალიზებული მიმართულებით საქმიანობის) წინაპირობას წარმოადგენს სპეციფიკურ კვალიფიკაციათა ფლობა, რაც რეგულირდება პირდაპირ ან ირიბად საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული დებულებებით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2005/36/EC (დირექტივა პროფესიულ კვალიფიკაციათა შესახებ) მე-3(1) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **უცხოური კვალიფიკაციების აღიარება**

შენიშვნები

1. დირექტივა 2005/36/EC ვრცელდება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ყველა მოქალაქეზე, რომლებსაც სურთ რეგულირებადი პროფესიის დაუფლება ევროკავშირის რომელიმე წევრ სახელმწიფოში. მესამე ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებთან გათანაბრებული წვდომით რეგულირებად პროფესიებზე, მათი კვალიფიკაციების ევროკავშირის იმ წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად აღიარების საფუძველზე, სადაც მათ სურთ რეგულირებადი პროფესიით სარგებლობა.

2. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2009/50/EC მე-2(i) მუხლი, რომელიც განსაზღვრავს მესამე ქვეყნის მოქალაქეთა მაღალკვალიფიციური დასაქმების მიზნით ქვეყანაში შესვლისა და ბინადრობის პირობებს, ასევე მიუთითებს 'რეგულირებად პროფესიაზე', როგორც ეს განსაზღვრულია დირექტივის 2005/36/EC მე-3(1a) მუხლით.

3. ზოგადად, რეგულირებადი და არარეგულირებადი პროფესიების განმარტებები განსხვავებულია. აღიარების სავალდებულო პროცედურები, ჩვეულებრივ, ვრცელდება რეგულირებად პროფესიებზე, მაშინ როდესაც არარეგულირებად პროფესიებთან მიმართებით კვალიფიკაციების აღიარება არ არის ზოგადი მოთხოვნა. რეგულირებად და არარეგულირებად პროფესიებთან მიმართებით შემუშავებულია სხვადასხვა მეთოდი და არსებობს განსხვავებული სისტემები, რომლებიც გულისხმობს პროფესიათა რეგულირებას ცენტრალური და/ან რეგიონული პროფესიული ორგანიზაციების მიერ (ავსტრალია, კანადა); კვალიფიკაციის აღიარებას დამსაქმებლის მიერ (შვედეთი); პროცესის კოორდინირებას რეგულირებად პროფესიებზე პასუხისმგებელი ერთი სახელმწიფო უწყების მიერ (დანია) ან ავტომატურ აღიარებას, რომელიც ეფუძნება პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ ჩარჩოს/დირექტივას პროფესიული კვალიფიკაციის შესახებ და ვრცელდება ევროკავშირის მოქალაქეებზე (და უმეტეს შემთხვევაში, არ ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე).

4. ევროკომისიამ შექმნა რეგულირებადი პროფესიების მონაცემთა ბაზა, რომელიც განსაზღვრავს რეგულირებად პროფესიას, როგორც "პროფესიას, რომელზე წვდომის და შესაბამისი საქმიანობის წინაპირობაა სპეციფიკური პროფესიული კვალიფიკაციის ფლობა". ეს მონაცემთა ბაზა შეიცავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, შვეიცარიისა და დიდი ბრიტანეთის რეგულირებადი პროფესიების ჩამონათვალს.

ა ბ გ დ ე ვ ზ თ ი კ ლ მ ნ ო პ ჟ რ ს ტ უ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჰ

რეინტეგრაცია

BG	реинтеграция
CS	reintegrace
DE	Reintegration
EL	επανένταξη
EN	reintegration
ES	reintegración
ET	taaslõimumine
FI	uudelleen kotouttaminen
FR	réintégration (acquis UE, BE, LU); réinsertion (FR)
GA	athimeascadh
HU	reintegráció (visszailleszkedés)
IT	reintegrazione
LT	reintegracija
LV	reintegrācija
MT	Riintegrazzjoni
NL	reïntegratie
PL	reintegracja
PT	reintegração
RO	reintegrare
SK	reintegrácia
SL	reintegracija / ponovna integracija
SV	återintegrering
NO	reintegrering
UK	реінтеграція

განმარტება

პირის ხელახალი ჩართვა ჯგუფში ან პროცესში, მაგალითად, მიგრანტის ჩართვა იმ ქვეყნის საზოგადოებაში, რომელშიც ის ბრუნდება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინები

- ინტეგრაცია
- დაბრუნება

რეინტეგრაციის ხელშეწყობა

BG	реинтеграционна подкрепа
CS	reintegrační asistence
DE	Reintegrationshilfe / Wiedereingliederungshilfe
EL	βοήθεια για την επανένταξη
EN	reintegration assistance
ES	Ayuda a la reintegración
ET	reintegratsioonitoetus
FI	uudelleenkotoutumistuki
FR	assistance à la réintégration (acquis UE, BE, LU); aide à la réinsertion (FR)
GA	cúnamh ath-imeasctha
HU	reintegrációs támogatás
IT	assistenza alla reintegrazione
LT	reintegracijos pagalba
LV	reintegrācijas palīdzība
MT	Għajnuna / Assistenza għar-riintegrazzjoni
NL	reïntegratiesteun
PL	pomoc reintegracyjna
PT	assistência à reintegração
RO	asistență pentru reintegrare
SK	reintegračná pomoc / pomoc pri reintegrácii / reintegračná asistencia
SL	pomoč pri ponovnem vključevanju
SV	återetableringsstöd
NO	hjelp til reintegrering
UK	допомога в реінтеграції

განმარტება

დაბრუნებული პირისთვის მიმღები სახელმწიფოს მიერ ფულადი, ნატურალური ან კომბინირებული სახით გაწეული დახმარება, რომელიც გამიზნულია ამ პირის მხარდაჭერისთვის დაბრუნების შემდგომ დამოუკიდებელი ცხოვრების წარმართვაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის დაბრუნების საკითხებში ექსპერტთა ჯგუფის (REC) მიერ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნების ხელშეწყობა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **რეინტეგრაცია**

★ **ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამა (AVRR)**

შენიშვნა

რეინტეგრაციის პაკეტი, ჩვეულებრივ, მოიცავს ფულადი და/ან ნატურალური სახით გაწეულ დახმარებას (რაც ეტაპობრივად გულისხმობს კონსულტირებას, გადამისამართებას და დახმარებას). მხარდაჭერა შეიძლება განხორციელდეს დაბრუნებამდე (მაგ., დაბრუნებისწინა მოსამზადებელი პროფესიული ტრენინგი მიმღებ ქვეყანაში) ან დაბრუნების შემდეგ.

რეპატრიაცია

BG	репатриране
CS	repatriace
DE	Repatriierung
EL	επαναπατρισμός
EN	repatriation
ES	repatriación
ET	tagasipöördumine / repatrieerumine
FI	paluu, palauttaminen
FR	rapatriement
GA	aisdúichiú
HU	hazatelepítés
IT	rimpatrio
LT	repatriacija
LV	repatriācija
MT	Ripatrijazzjoni
NL	repatriëring / naar het land van herkomst terugkeren / terugbrengen
PL	repatriacja
PT	repatriamento
RO	repatriere
SK	repatriácia
SL	repatriacija
SV	återvandring
NO	repatriering
UK	репатріація

განმარტება

ლტოლვილის ან სამხედრო ტყვის უფლება, დაბრუნდეს თავისი მოქალაქეობის ქვეყანაში სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტით, ადამიანის უფლებების მარეგულირებელი დოკუმენტებითა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით განსაზღვრული შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

შენიშვნები

1. ტერმინი 'რეპატრიაცია' არ არის 'იძულებითი დაბრუნების' სინონიმი.

2. რეპატრიაციის ალტერნატივა ეძლევა პირადად ადამიანს და არა დამკავებელ სახელმწიფოს. საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ კანონის თანახმად, რეპატრიაცია ასევე გულისხმობს როგორც დამკავებელი სახელმწიფოს ვალდებულებას, გაათავისუფლოს რეპატრიაციის უფლების მქონე (სამხედრო და სამოქალაქო) პირები, ასევე წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის ვალდებულებას, მიიღოს საკუთარი მოქალაქეები საომარი მოქმედებების დასრულების შემდგომ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალი არ შეიცავს ზოგად წესს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ჩართული მხარეები არაოფიციალურად შეთანხმებული არიან სამხედრო და სამოქალაქო ტყვეების რეპატრიაციაზე. ტერმინი 'რეპატრიაცია' ასევე გამოიყენება დიპლომატიური კორპუსის და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიმართ საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი კრიზისის დროს და მოიცავს, ასევე, ექსპატრიანტებსა და მიგრანტებს.

3. ევროკავშირის სხვადასხვა წევრ სახელმწიფოში ამ ტერმინს სხვადასხვა (თანმდევი) მნიშვნელობა აქვს: პოლონეთში, რუმინეთში, ნიდერლანდებსა და ნორვეგიაში ის გულისხმობს მათივე მოქალაქეების რეპატრიაციას ამავე ქვეყნებში; ესპანეთში, ირლანდიასა და იტალიაში ის ხშირად გამოიყენება მესამე ქვეყნის მოქალაქეების მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნების კონტექსტში. ესტონეთში ეს ტერმინი ეხება კონკრეტულად ესტონელების ან ეთნიკური ესტონელების ესტონეთში განსახლებას. ლატვიაში ეს ტერმინი კონკრეტულად ლატვიური ან ლიივიელი წარმომავლობის (წარმოშობის) პირებს ეხება, რომლებიც ლატვიაში მუდმივი ბინადრობით სახლდებიან. პორტუგალიაში კი მას უფრო მეტად არა სამართლებრივი, არამედ სოციოლოგიური მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება პორტუგალიის მოქალაქეთა პორტუგალიაში დაბრუნების აღსანიშნავად (მათ შორის, იძულებითი დაბრუნების გზით).

რეპატრიაცია [გაგრძ.]

4. ტერმინი არ უნდა გაიგივდეს 'ნებაყოფლობით რეპატრიაციასთან', რომელსაც UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი განსაზღვრავს, როგორც „ლტოლვილთა დაბრუნებას წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში მათ მიერ თავისუფლად გამოხატული ნების საფუძველზე." დაბრუნება უნდა მოხდეს უსაფრთხოებისა და ღირსების დაცვით და „ნებაყოფლობითობის" პრინციპი უნდა გავრცელდეს როგორც წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არსებულ პირობებთან მიმართებით (რაც გულისხმობს ლტოლვილის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებას), ასევე თავშესაფრის ქვეყანაში არსებულ ვითარებასთან მიმართებით (რაც გულისხმობს ლტოლვილისთვის თავისუფალი არჩევანის საშუალების მიცემას). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR ის სახელმძღვანელო „ნებაყოფლობითი რეპატრიაცია: საერთაშორისო დაცვა", 1996 წ.

რეპატრიაციის ხელშეწყობა

BG	помощ за репатриране
CS	podpora osobám, které se chtějí dobrovolně vrátit do země původu
DE	Rückkehrhilfe für Personen, denen internationaler Schutz zuerkannt wurde; Rückkehrhilfe für Asylberechtigte (AT)
EL	βοήθεια για επαναπατρισμό
EN	repatriation assistance
ES	asistencia al retorno
ET	repatrieerimise abi
FI	paluumuuttoavustus
FR	aide au rapatriement (acquis UE, BE, LU) / aide au retour (FR)
GA	cúnamh aisdúichithe
HU	hazatelepülési támogatás
IT	Assistenza al rimpatrio
LT	pagalba repatrijuoti
LV	repatriācijas palīdzība
MT	Għajnuna / Assistenza għar-ripatrijazzjoni
NL	ondersteuning bij repatriëring / ondersteuning bij terugkeer naar het land van herkomst
PL	pomoc w powrocie do kraju pochodzenia
PT	assistência à repatriação de beneficiários de proteção internacional
RO	asistență pentru repatriere
SK	pomoc pri repatriácii
SL	pomoč pri repatriaciji
SV	återvandringsbidrag
NO	returhjelp til opprinnelsesland (b); returhjelp til opphavsland (n)
UK	допомога в репатріації

განმარტება

ფულადი ან ნატურალური სახით გაწეული დახმარება გრძელვადიანი ბინადრობის ნებართვის მქონე საერთაშორისო დაცვის მიმღები პირებისთვის, რომლებსაც სურთ თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 35-ე მუხლი

სინონიმი

★ რეპატრიაციის მხარდაჭერა

შენიშვნა

რეპატრიაციის ხელშეწყობის აღნიშნულ სქემას ახორციელებს დანია, ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი.

რეფერირების ეროვნული მექანიზმი

BG	национален механизъм за насочване
CS	národní referenční mechanismus
DE	nationaler Überweisungsmechanismus
EL	εθνικός μηχανισμός παραπομπής
EN	national referral mechanism
ES	Mecanismo nacional de derivación
ET	nõustamisele suunamise riiklik mehhanism
FI	kansallinen ohjautumisjärjestelmä
FR	mécanisme national d'orientation
GA	meicníocht náisiúnta atreorúcháin
HU	nemzeti áldozatirányítási rendszer
IT	meccanismo nazionale di riferimento
LT	nacionalinis nukreipimo mechanizmas
LV	nacionālais nosūtīšanas mehānisms
MT	Mekkaniżmu nazzjonali għal riferiment / ta' referenza
NL	nationaal verwijsmechanisme
PL	krajowy mechanizm referencyjny
PT	mecanismo de referência nacional
RO	mecanism național de sesizare
SK	národný referenčný mechanizmus
SL	nacionalni mehanizem za opozarjanje
SV	nationell hänskjutningsmekanism
NO	nasjonal henvisningsordning (b); nasjonal tilvisingsordning (n)
UK	національний механізм направлення

განმარტება

მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირებას, დაცვას და დახმარებას მათი გადამისამართების (რეფერირების) გზით და შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) აღმოფხვრის ევროკავშირის ახალ, 2012-2016 წწ. სტრატეგიასთან დაკავშირებით მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეთა საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 3195-ე შეხვედრაზე მიღებული დასკვნები.

სინონიმები

- თანამშრომლობის ეროვნული მექანიზმი
- NRM

დაკავშირებული ტერმინები

- **ეროვნული მომხსენებელი ან ეკვივალენტური მექანიზმი**
- **ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)**

შენიშვნები

1. აღნიშნული განმარტება შეიქმნა EMN-ის კვლევის მიზნებისთვის: ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის საკითხებში კოორდინატორის ოფისის დახმარებით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირება საერთაშორისო დაცვისა და იძულებითი დაბრუნების 2014 წლის პროცედურების ფარგლებში.

2. ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) განსაზღვრავს ეროვნული რეფერირების მექანიზმს, როგორც ეროვნულ დონეზე მოქმედ თანამშრომლობის ჩარჩოს, რომლის საშუალებითაც სამოქალაქო საზოგადოებასთან სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში სახელმწიფო სუბიექტები ერთობლივი ძალისხმევით ახდენენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირებას და მხარდაჭერას იმისთვის, რათა ამ პირთა უფლებები იყოს დაცული და ისინი ეფექტურად გადამისამართდნენ შესაბამისი სერვისების მისაღებად. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ეუთო: რეფერირების ეროვნული მექანიზმი - გაერთიანებული ძალისხმევა ტრეფიკინგის მსხვერპლთა უფლებების დაცვისთვის, 2004 წ.

3. ეროვნული მომხსენებლები ან ეკვივალენტური მექანიზმები (NREMs) პასუხისმგებელი არიან ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგზე ეროვნულ დონეზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში და მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტრეფიკინგის შესახებ მონაცემების შეგროვებაში როგორც ეროვნულ, ისე ევროკავშირის დონეზე.

საბოლოო გადაწყვეტილება

BG	окончателно решение
CS	pravomocné rozhodnutí / konečné rozhodnutí
DE	rechtskräftige Entscheidung
EL	οριστική απόφαση
EN	final decision
ES	resolución definitiva
ET	lõplik otsus
FI	lainvoimainen päätös
FR	décision finale
GA	cinneadh críochnaitheach
HU	jogerős határozat
IT	decisione definitiva
LT	galutinis sprendimas
LV	galīgais lēmums
MT	Deċiżjoni finali
NL	definitieve beslissing
PL	ostateczna decyzja
PT	decisão final
RO	decizie finală
SK	konečné rozhodnutie
SL	dokončna odločba / pravnomočna odločba
SV	slutligt beslut
NO	endelig vedtak (b); endeleg avgjerd (n)
UK	остаточне рішення

განმარტება

გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, უნდა მიენიჭოს თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) შესაბამისად, რომელიც აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას ამავე დირექტივის V თავის თანახმად, იმისდა მიუხედავად, აძლევს თუ არა სამართლებრივი დაცვის ეს საშუალება განმცხადებელს უფლებას, იმყოფებოდეს ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოში მისი შედეგის დადგომამდე.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(e) მუხლი

საბოლოო გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

BG	окончателно решение за отхвърляне на молба за международна закрила
CS	konečné rozhodnutí o zamítnutí žádosti o mezinárodní ochranu
DE	endgültige Entscheidung, mit der ein Antrag auf internationalen Schutz abgelehnt wird
EL	οριστική απόφαση απόρριψης αίτησης διεθνούς προστασίας (EL), τελική απόφαση απόρριψης αίτησης διεθνούς προστασίας (CY), τελική απόφαση με την οποία απορρίπτεται αίτηση διεθνούς προστασίας (CY)
EN	final decision rejecting an application for international protection
ES	decisión firme de denegación de una solicitud de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse andmisest keeldumise lõplik otsus
FI	kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen lopullinen hylkäämispäätös
FR	décision définitive de rejet d'une demande de protection internationale
GA	N/A
HU	nemzetközi védelem iránti kérelmet elutasító jogerős határozat
IT	decisione definitiva di rigetto di una domanda di protezione internazionale
LT	galutinis sprendimas dėl tarptautinės apsaugos prašymo atmetimo
LV	galīgais lēmums, ar ko noraida starptautiskās aizsardzības pieteikumu
MT	N/A
NL	definitieve beslissing tot afwijzing van een verzoek om internationale bescherming
PL	decyzja ostateczna odrzucająca wniosek o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	Decisão definitiva de indeferimento de um pedido de proteção internacional
RO	decizia finală de respingere a unei cereri de protecție internațională
SK	konečné rozhodnutie zamietajúce žiadosť o medzinárodnú ochranu
SL	pravnomočna odločba o zavrnitvi prošnje za mednarodno zaščito
SV	slutligt beslut om att avslå ansökan om internationellt skydd
NO	endelig vedtak om avslag på søknad om internasjonal beskyttelse (b); endeleg vedtak om avslag på søknad om internasjonalt vern (n)
UK	остаточне рішення про відмову в проханні про міжнародний захист

განმარტება

გადაწყვეტილება საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-4(3ბ) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საბოლოო გადაწყვეტილება**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განმცხადებელი, რომელსაც უარი ეთქვა საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე**

საერთაშორისო დაცვა

BG	международна закрила
CS	mezinárodní ochrana
DE	internationaler Schutz
EL	διεθνής προστασία
EN	international protection
ES	protección (internacional)
ET	rahvusvaheline kaitse
FI	kansainvälinen suojelu
FR	protection internationale
GA	cosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelem
IT	protezione internazionale
LT	tarptautinė apsauga (EU acquis); prieglobstis
LV	starptautiskā aizsardzība
MT	Protezzjoni internazzjonali
NL	internationale bescherming
PL	ochrona międzynarodowa
PT	proteção internacional
RO	protecție internațională
SK	medzinárodná ochrana
SL	mednarodna zaščita
SV	internationellt skydd
NO	internasjonal beskyttelse (b); internasjonalt vern (n)
UK	міжнародний захист

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამეგობრობის ქმედებები, რომლებიც მიზნად ისახავს გარკვეული კატეგორიის პირთა ძირითადი უფლებების დაცვას მათი (წარმომავლობის) წარმოშობის ქვეყნების ფარგლებს გარეთ, რომლებიც მოკლებული არიან საკუთარი ქვეყნის შიგნით დაცვის შესაძლებლობას.

ევროკავშირის კონტექსტში, დაცვა, რომელიც მოიცავს ლტოლვილის სტატუსსა და დამატებითი დაცვის სტატუსს.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: UNHCR-ის ტერმინთა მთავარი განმარტებითი ლექსიკონი

ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(a) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- დაცვა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ლტოლვილის სტატუსი
- დამატებითი დაცვა

დაკავშირებული ტერმინები

- თავშესაფარი
- ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი
- ჰუმანიტარული დაცვა
- დროებითი დაცვა
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისი (UNHCR)

შენიშვნები

1. საერთაშორისო დაცვის ცნება ევროკავშირის თავშესაფრის ერთიანი პოლიტიკისა და თავშესაფრის ერთიანი სისტემის არსებითი ელემენტია. ის ეფუძნება, ერთი მხრივ, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) სრულ და ყოვლისმომცველ აღსრულებას, რაც უზრუნველყოფს, რომ არავინ დაბრუნდება იქ, სადაც შეიძლება დაექვემდებაროს დევნას, ე.ი. განუხრელად დაცულია არგაძევების პრინციპი, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია დამატებითი დაცვა იმ პირებისთვის, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ჟენევის კონვენციით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ საჭიროებენ დაცვას, ვინაიდან შეიარაღებული კონფლიქტის, სერიოზული საზოგადოებრივი არეულობის ან ძალადობის მდგომარეობის გამო საფრთხე ემუქრება მათ სიცოცხლეს, თავისუფლებას ან ჯანმრთელობას.

2. დამატებითი დაცვის ახალი ფორმა შემოღებულ იქნა ევროპული საბჭოს შეკრებაზე 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ტამპერეში (ფინეთი), იუგოსლავიის მოვლენებზე საპასუხოდ. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპული საბჭოს პრეზიდენტის სახელით მიღებული დასკვნები.

საერთაშორისო დაცვა [გაგრძ.]

3. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია), როგორც ევროკავშირის თავშესაფრის ერთიანი სისტემის ქვაკუთხედი, განსაზღვრავს ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმებს და ამ სტატუს(ებ)ის მქონე პირთა უფლებებს. ეს უფლებები მოიცავს ბინადრობის ნებართვისა და სამგზავრო დოკუმენტის მოპოვების უფლებას; დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემებზე წვდომას; ასევე, წვდომას საცხოვრებელსა და საინტეგრაციო პროგრამებზე. დირექტივა შეიცავს სპეციალურ დებულებებს, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვებისა და მოწყვლადი პირების საჭიროებებს და არ ზღუდავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, განსაზღვრონ უფრო ხელსაყრელი პირობები აღნიშნული დირექტივის დებულებებით გათვალისწინებულ დაცვის პირობებთან შედარებით.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივით 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) განსაზღვრული მნიშვნელობით, პირის უფლება, მიიღოს საერთაშორისო დაცვა, არ გულისხმობს საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებას, არამედ გულისხმობს მისთვის ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭებას.

საერთაშორისო დაცვის გამოხმობა

BG	отнемане на международна закрила
CS	odnětí mezinárodní ochrany
DE	Aberkennung des internationalen Schutzes
EL	ανάκληση διεθνούς προστασίας
EN	withdrawal of international protection
ES	retirada de la protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse äravõtmine
FI	kansainvälisen suojelun poistaminen
FR	retrait de la protection internationale
GA	cosaint idirnáisiúnta a tharraingt siar
HU	nemzetközi védelem visszavonása
IT	revoca della protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos panaikinimas (EU acquis); prieglobsčio panaikinimas
LV	starptautiskās aizsardzības statusa atņemšana
MT	Irtirar tal-protezzjoni internazzjonali
NL	intrekking van de internationale bescherming
PL	cofnięcie ochrony międzynarodowej
PT	retirada do estatuto de proteção internacional
RO	retragerea protecției internaționale
SK	odňatie medzinárodnej ochrany
SL	odvzem mednarodne zaščite / preklic mednarodne zaščite
SV	återkallande av internationellt skydd
NO	tilbaketrekking av internasjonal beskyttelse (b); tilbaketrekking av internasjonalt vern (n)
UK	позбавлення міжнародного захисту

განმარტება

ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება, პირს გაუუქმოს ან შეუწყვიტოს ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსი ან უარი უთხრას მის განახლებაზე, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(ი) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **ლტოლვილის სტატუსის გამოხმობა**

დაკავშირებული ტერმინები

- **ლტოლვილის სტატუსი**
- **დამატებითი დაცვის სტატუსი**

საერთაშორისო დაცვის დაჩქარებული პროცედურა

BG	ускорено производство за предоставяне на международна закрила
CS	zrychlené řízení o mezinárodní ochraně
DE	beschleunigtes Verfahren auf internationalen Schutz
EL	ταχεία διαδικασία εξέτασης αιτήσεως διεθνούς προστασίας
EN	accelerated international protection procedure
ES	tramitación de urgencia
ET	kiirendatud rahvusvahelise kaitse menetlus
FI	kansainvälistä suojelua koskeva nopeutettu menettely
FR	procédure accélérée de traitement d'une demande de protection internationale
GA	Nós Imeachta Luathaithe um Chosaint Idirnáisiúnta
HU	gyorsított menedékjogi eljárás
IT	procedura accelerata di esame della domanda di protezione internazionale
LT	paspartinta tarptautinės apsaugos procedūra (EU acquis); paspartinta prieglobsčio procedūra
LV	paātrināta starptautiskās aizsardzības piešķiršanas procedūra
MT	Proċedura aċċellerata għall-protezzjoni internazzjonali
NL	versnelde procedure voor de behandeling van het verzoek om internationale bescherming
PL	procedura przyspieszona w sprawie o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	processo acelerado de proteção internacional
RO	procedura accelerata
SK	zrýchlený postup posudzovania žiadosti o medzinárodnú ochranu
SL	pospešen postopek za pridobitev statusa mednarodne zaščite
SV	påskyndat prövningsförfarande av ansökan om internationellt skydd
NO	hurtigprosedyre for behandling av asylsøknader (b); hurtigprosedyre for handsaming av asylsøknader (n)
UK	прискорена процедура розгляду заяви про надання міжнародного захисту

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვის დაჩქარებული პროცედურა, რომელიც ან აშკარად დაუსაბუთებლად არის მიჩნეული, რადგან უკავშირდება სერიოზულ პრობლემებს ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი წესრიგის კუთხით, ან განმეორებითაა წარდგენილი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ თავშესაფრის დაჩქარებული პროცედურების კონტექსტში, 2009 წ.

სინონიმი

★ თავშესაფრის დაჩქარებული პროცედურა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის პროცედურა**

შენიშვნები

1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თავშესაფრის დაჩქარებული პროცედურების კონტექსტში ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ 2009 წლის 1 ივლისის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, აღნიშნული პროცედურა წარმოადგენს გადახვევას საზოგადოდ მიღებული პროცედურული ვადებისგან და/ან პროცედურული გარანტიებისგან, გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაჩქარების მიზნით. აღნიშნული მითითებები, შესაბამისი ცვლილებების შეტანით, ასევე ვრცელდება იმ პროცედურებზე, რომელთა საფუძველზე სახელმწიფომ შეიძლება განცხადება არც მიიღოს წარმოებაში მოთხოვნის არსებითი განხილვისთვის. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის საბჭოს ვებგვერდი.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) პრეამბულის მე-18 პუნქტსა და 31(2)-ე მუხლში აღიარებულია, რომ გადაწყვეტილებების შეძლებისდაგვარად სწრაფად მიღება წარმოადგენს როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა, ისე საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთა ინტერესს. აღნიშნულ დირექტივაში გათვალისწინებული არ არის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო მინიმალური ან მაქსიმალური ვადები, ასევე არ არის მასში განმარტებული ტერმინი 'დაჩქარებული პროცედურა'. მიუხედავად ამისა, 31(2)-ე მუხლი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ თავშესაფრის პროცედურის დაჩქარებამ ხელი არ უნდა შეუშალოს თავშესაფრის მოთხოვნაზე განცხადების 'სათანადო და სრულყოფილ განხილვას'.

საერთაშორისო დაცვის დაჩქარებული პროცედურა [გაგრძ.]

3. დაჩქარებული პროცედურები აუცილებლად იმ ძირითადი პრინციპებისა და გარანტიების შესაბამისი უნდა იყოს, რომლებიც ჩამოყალიბებულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2 თავში და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთ ცალკეულ შემთხვევებში, რომლებიც მოცემულია აღნიშნული დირექტივის 31(8)-ე მუხლში.

საერთაშორისო დაცვის მიმღები პირი

BG	лице, на което е предоставена международна закрила
CS	osoba požívající mezinárodní ochrany
DE	Person, der internationaler Schutz zuerkannt wurde
EL	δικαιούχος διεθνούς προστασίας
EN	beneficiary of international protection
ES	beneficiario de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse saaja
FI	kansainvälistä suojelua saava
FR	bénéficiaire d'une protection internationale
GA	tairbhí den chosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelemben részesülő személy
IT	beneficiario di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos gavėjas (EU acquis); prieglobstį gavęs asmuo
LV	starptautiskās aizsardzības saņēmējs
MT	Benefiċjarju(-a) ta' protezzjoni internazzjonali
NL	persoon die internationale bescherming geniet; begunstigde van internationale bescherming (BE)
PL	beneficjent ochrony międzynarodowej
PT	beneficiário de protecção internacional
RO	beneficiar al protectiei internationale
SK	osoba s postavením medzinárodnej ochrany (EU acquis); osoba s udelenou medzinárodnou ochranou
SL	upravičenec do mednarodne zaščite
SV	person som beviljats internationellt skydd
NO	mottaker av internasjonal beskyttelse (asyl) (b); mottakar av internasjonalt vern (asyl) (n)
UK	бенефіціар міжнародного захисту

განმარტება

პირი, რომელსაც მიენიჭა ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(b) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- დამატებითი დაცვის მიმღები პირი
- ლტოლვილი კონვენციის საფუძველზე

დაკავშირებული ტერმინები

- განმცხადებელი საერთაშორისო დაცვაზე
- პირი, რომელიც აკმაყოფილებს დამატებითი დაცვის მინიჭებისთვის დადგენილ კრიტერიუმებს

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

BG	изразено желание за подаване на молба за международна закрила
CS	podat žádost o mezinárodní ochranu
DE	einen Antrag auf internationalen Schutz stellen
EL	υποβολή αίτησης παροχής διεθνούς προστασίας
EN	making an application for international protection
ES	expresar el deseo de solicitud de protección internacional
ET	soovi avaldamine rahvusvahelise kaitse saamiseks
FI	ilmoitus kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen tekemisestä
FR	présenter une demande de protection internationale
GA	iarratas ar chosaint idirnáisiúnta a dhéanamh
HU	nemzetközi védelem iránti szándéknyilatkozat
IT	presentazione di una domanda di protezione internazionale
LT	prašymo dėl tarptautinės apsaugos išreiškimas (EU acquis); prašymo dėl prieglobsčio suteikimo išreiškimas
LV	izteikt vēlmi iesniegt starptautiskās aizsardzības pieteikumu
MT	Tressiq / Preżentazzjoni ta' applikazzjoni għall-protezzjoni internazzjonali
NL	een verzoek om internationale bescherming doen
PL	złożenie wniosku o ochronę międzynarodową (wyrażenie woli ubiegania się o ochronę międzynarodową)
PT	apresentação de pedido de proteção internacional
RO	prezentare a unei cereri de protecție internațională
SK	požiadanie o medzinárodnú ochranu
SL	vložiti prošnjo za mednarodno zaščito
SV	ansöka om internationellt skydd
NO	søke om internasjonal beskyttelse (b); søkje om internasjonalt vern (n)
UK	складання заяви про надання міжнародного захисту

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მიღების განზრახვის გამოხატვა.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-6(1, 5) მუხლი

EASO (ამჟამინდელი EUAA): განმარტებითი ბარათი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქციის მე-6 მუხლის გამოყენებასთან დაკავშირებით, 2015 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ საერთაშორისო დაცვის პროცედურის ხელმისაწვდომობა
- ★ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანა

შენიშვნები

1. საერთაშორისო დაცვის მიღების განზრახვის გამოხატვა, თუნდაც ირიბად/იმპლიციტურად, წარმოადგენს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნას.

2. 2015 წლის 20 ივლისიდან ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა სავალდებულოდ უნდა დაარეგისტრირონ საერთაშორისო დაცვის ყველა მოთხოვნა, ისევე როგორც რეგისტრირდება ოფიციალურად წარდგენილი ყველა განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ. ეს განპირობებულია პროცედურის ხელმისაწვდომობის ეფექტური კონტროლის უზრუნველსაყოფად. 2015 წლის 15 სექტემბრიდან EUAA (ყოფილი EASO) აგროვებს ინფორმაციას შემოსული განცხადებების შესახებ წინასწარი გაფრთხილებისა და მზადყოფნის სისტემის (EPS) ფარგლებში.

3. მესამე ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც საერთაშორისო დაცვის მიღების განზრახვა გამოხატეს, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს წარმოადგენენ და, შესაბამისად, უნდა შეასრულონ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივებით - 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) და 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) - განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების გამოხმობა

BG	оттегляне на молба за международна закрила
CS	zpětvzetí žádosti o mezinárodní ochranu
DE	Rücknahme des Antrags auf internationalen Schutz
EL	ανάκληση της αίτησης για διεθνή προστασία
EN	withdrawal of an application for international protection
ES	retirada de una solicitud de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse taotluse tagasivõtmine
FI	kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen peruuttaminen
FR	retrait d'une demande de protection internationale
GA	iarratas ar chosaint idirnáisiúnta a tharraingt siar
HU	nemzetközi védelem iránti kérelem visszavonása
IT	ritiro della domanda di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašymo atsiėmimas (EU acquis); prašymo suteikti prieglobstį nagrinėjimo nutraukimas
LV	starptautiskās aizsardzības pieteikuma atsaukšana
MT	Irtirar ta' applikazzjoni għall-protezzjoni internazzjonali
NL	intrekking van een verzoek om internationale bescherming
PL	wycofanie wniosku o ochronę międzynarodową
PT	retirada do pedido de proteção internacional
RO	retragerea cerere de protectie internationala
SK	späťvzatie žiadosti o medzinárodnú ochranu / späťvzatie žiadosti o udelenie medzinárodnej ochrany
SL	umik prošnje za mednarodno zaščito
SV	återkallande av ansökan om internationellt skydd
NO	tilbaketrekking av søknad om internasjonal beskyttelse (b); tilbaketrekking av søknad om internasjonalt vern (n)
UK	відклик заяви про надання міжнародного захисту

განმარტება

ქმედებები, რომლითაც განმცხადებელი პირდაპირ ან ირიბად წყვეტს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენის შედეგად დაწყებულ პროცედურებს, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 27-ე და 28-ე მუხლები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განმხილველი პირი

BG	интервюист
CS	rozhodčí v řízení o udělení mezinárodní ochrany
DE	Sachbearbeiter in Verfahren für internationalen Schutz; Referent in Verfahren für internationalen Schutz (AT)
EL	χειριστής υποθέσεων διεθνούς προστασίας
EN	case worker in procedures for international protection
ES	trabajador social en procedimientos de protección internacional
ET	Rahvusvahelise kaitse taotluse menetleja
FI	päätöksen tekijä / hakemuksen käsittelijä kansainvälisen suojelun menettelyssä
FR	agent responsable du traitement d'une demande de protection internationale
GA	cásoibrí nósanna imeachta um chosaint idirnáisiúnta
HU	menekültügyi eljárás során eljáró ügyintézők
IT	operatore impegnato nella procedura di protezione internazionale
LT	prašymą nagrinėti ir sprendimą dėl prieglobsčio suteikimo priimti įgaliotas valstybės tarnautojas
LV	ierēdnis, kurš izskata starptautiskās aizsardzības pieteikumus
MT	Operatur(-triċi) soċjali fi proċeduri għall-protezzjoni internazzjonali
NL	hoor- en beslisambtenaar in asielzaken (NL); protection officer (BE)
PL	pracownik / urzędnik prowadzący postępowanie w sprawach z zakresu ochrony międzynardowej
PT	instrutor do procedimento de proteção internacional
RO	ofiter de decizie
SK	rozhodovač v konaniach o udelenie medzinárodnej ochrany / rozhodovač v konaniach o udelenie azylu
SL	pristojna uradna oseba v postopku za mednarodno zaščito
SV	handläggare av ansökningar om internationellt skydd
NO	saksbehandler for søknad om internasjonal beskyttelse (asyl) (b); sakshandsamar for søknad om internasjonalt vern (asyl) (n)
UK	особа, яка приймає рішення в процедурах надання міжнародного захисту

განმარტება

სტატუსის დადგენაზე პასუხისმგებელი ორგანოს პერსონალი, რომელიც იხილავს და აფასებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებას და უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე პირველ (ადმინისტრაციულ) დონეზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

UNHCR-ის 2013 წლის ანგარიშში „Beyond Proof – Credibility Assessment in EU Asulym Systems“ („სანდოობის შეფასება ევროკავშირის თავშესაფრის სისტემებში - გონივრულ ვარაუდს მიღმა“) მოცემული ტერმინის 'გადაწყვეტილების მიმღები პირი' განმარტება

სინონიმები

- თავშესაფრის საკითხების განმხილველი პირი
- საქმის განმხილველი პირი
- გადაწყვეტილების მიმღები პირი
- სტატუსის დამდგენი პირი
- საქმეზე პასუხისმგებელი პირი

დაკავშირებული ტერმინი

- **სტატუსის დამდგენი ორგანო**

შენიშვნა

ტერმინი აღნიშნავს კონკრეტულად იმ პირებს, ვინც განიხილავს და აფასებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებებს. ტერმინი 'საქმის განმხილველი პირი' გამოიყენება სხვა კატეგორიის საქმეებზე (მაგ., სავიზო განაცხადის განხილვაზე) მომუშავე პირების მიმართაც, რომლებიც ამ განმარტებით ლექსიკონში ცალკე ტერმინით არ არიან აღნიშნული.

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა

BG	разглеждане на молба за международна закрила
CS	posouzení žádosti o mezinárodní ochranu
DE	Prüfung eines Antrags auf internationalen Schutz
EL	εξέταση αίτησης διεθνούς προστασίας
EN	examination of an application for international protection
ES	examen de una solicitud de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse taotluse läbivaatamine
FI	kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen käsittely
FR	examen d'une demande de protection internationale
GA	iniúchadh ar iarratas ar chosaint idirnáisiúnta
HU	menedékkérelem elbírásála
IT	esame della domanda di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašymo nagrinėjimas (EU acquis); prašymo suteikti prieglobstį nagrinėjimas
LV	starptautiskās aizsardzības pieteikuma izskatīšana
MT	Tgħarbil / Eżami ta' applikazzjoni għall-protezzjoni internazzjonali
NL	behandeling van een verzoek om internationale bescherming
PL	rozpatrywanie wniosku o udzielenie ochrony międzynarodowej
PT	análise de um pedido de proteção internacional
RO	soluționarea unei cereri de protecție internațională
SK	posúdenie žiadosti o medzinárodnú ochranu / posúdenie žiadosti o udelenie medzinárodnej ochrany (EU acquis); posúdenie žiadosti o udelenie azylu
SL	obravnavanje prošnje za mednarodno zaščito
SV	prövning av ansökan om internationellt skydd
NO	vurdering av søknad om internasjonal beskyttelse (b); vurdering av søknad om internasjonalt vern (n)
UK	розгляд заяви про надання міжнародного захисту

განმარტება

კომპეტენტური ორგანოების მიერ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა ან მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ან განჩინების მიღება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) და დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) შესაბამისად, გარდა ევროკავშირის წევრი პასუხისმგებელი სახელმწიფოს განსაზღვრის პროცედურებისა, რომლებიც ხორციელდება ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) შესაბამისად.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N604/2013 (დუბლინის III რეგულაცია) მე-2(d) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **განცხადება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ**

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობა

BG	допустимост на молба за международна закрила
CS	přípustnost žádosti o mezinárodní ochranu
DE	Zulässigkeit eines Antrags auf internationalen Schutz
EL	παραδοχή αίτησης διεθνούς προστασίας
EN	admissibility of an application for international protection
ES	n/a
ET	rahvusvahelise kaitse taotluse vastuvõetavus
FI	kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen perusteen tutkittavaksi ottaminen
FR	recevabilité d'une demande de protection internationale
GA	inghlacthacht iarratais ar chosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelem iránti kérelem elfogadhatósága
IT	Ammissibilità di una domanda di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašymo priimtinumas
LV	lēmums par starptautiskās aizsardzības pieteikuma pieņemamību, lēmums par iesnieguma pieņemšanu izskatīšanai vai atstāšanu bez izskatīšanas
MT	n/a
NL	ontvankelijkheid van een verzoek om internationale bescherming
PL	n/a
PT	admissibilidade de um pedido de proteção internacional
RO	admisibilitate a cererii de protecție internațională
SK	prípustnosť žiadosti o medzinárodnú ochranu
SL	dopustnost prošnje za mednarodno zaščito
SV	fråga om en ansökan om internationellt skydd kan tas upp till prövning
NO	n/a
UK	прийнятність заяви про міжнародний захист

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენის წინაპირობა, რომელიც გამიზნულია განცხადების წარმოებაში მიღებისთვის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესაფასებლად, რათა დადგინდეს, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
EUAA-ს (ყოფილი EASO) განმარტება, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მთარგმნელობითი ცენტრის ტერმინოლოგიის კოორდინირების პროექტის (CdT) ფარგლებში.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების დასაშვებობის თაობაზე**

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანა

BG	подаване на молба за международна закрила
CS	poskytnutí údajů k podané žádosti o mezinárodní ochranu
DE	einen förmlichen Antrag auf internationalen Schutz stellen
EL	υποβολή/ κατάθεση αίτησης για διεθνή προστασία
EN	lodging an application for international protection
ES	formalizar una solicitud de protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse taotluse esitamine
FI	kansainvälistä suojelua koskevan hakemuksen jättäminen
FR	introduire une demande de protection internationale / déposer une demande de protection internationale
GA	iarratas ar chosaint idirnáisiúnta a thaisceadh
HU	nemzetközi védelem iránti kérelem előterjesztése / benyújtása (a menekültügyi hatóság előtt)
IT	inoltro di una domanda di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos prašymo pateikimas (EU acquis); prašymo suteikti prieglobstį pateikimas
LV	starptautiskās aizsardzības pieteikuma iesniegšana
MT	preżentazzjoni ta' applikazzjoni għal protezzjoni internazzjonali
NL	indiening van een verzoek om internationale bescherming
PL	(formalne) złożenie wniosku o ochronę międzynarodową
PT	apresentação de pedido de proteção internacional
RO	depunere a unei cereri de protecție internațională
SK	podanie žiadosti o medzinárodnú ochranu
SL	vloga prošnje za mednarodno zaščito
SV	lämna in ansökan om internationellt skydd
NO	fremme en søknad om internasjonal beskyttelse (b); søkje om internasjonalt vern (n)
UK	подання заяви про надання міжнародного захисту

განმარტება

საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების ფორმალიზების პროცესი შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღებ ან ნებისმიერ სხვა ორგანოში, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრულია, როგორც ამგვარ განცხადებათა მიმღები უწყება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-6(2-4) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- საერთაშორისო დაცვის პროცედურის ხელმისაწვდომობა
- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-6(2) მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ პირს, რომელმაც მათ საერთაშორისო დაცვის თხოვნით მიმართა, ჰქონდეს შესაბამისი განცხადების შეძლებისდაგვარად სწრაფად წარდგენის ქმედითი შესაძლებლობა. ისინი ასევე ვალდებული არიან, უზრუნველყონ განმცხადებლის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ სად და როგორ უნდა შეიტანოს მან აღნიშნული განცხადება.
2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა კანონმდებლობით, საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების შეტანა, შესაძლოა, სავალდებულო იყოს პირადად და/ან ამ მიზნით განსაზღვრულ ადგილას (თავშესაფრის პროცედურების შესახებ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის განახლებული რედაქციის მე-6(3) მუხლი).
3. საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადება შეტანილად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც განმცხადებელი შეიტანს დადგენილი ფორმის განაცხადს ან უფლებამოსილ ორგანოებს მიუვა შესაბამისი ოფიციალური შეტყობინება (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქციის მე-6(4) მუხლი).

საერთაშორისო დაცვის პროცედურა

BG	производство за предоставяне на международна закрила
CS	řízení o udělení mezinárodní ochrany
DE	Verfahren auf internationalen Schutz
EL	διαδικασία σχετικά με τη διεθνή προστασία
EN	procedure for international protection
ES	procedimiento para la protección internacional
ET	rahvusvahelise kaitse menetlus
FI	turvapaikkamenettely / kansainvälistä suojelua koskeva menettely
FR	procédure pour l'octroi et le retrait de la protection internationale
GA	Nós imeachta maidir le cosaint idirnáisiúnta
HU	nemzetközi védelemmel kapcsolatos eljárás
IT	procedura di protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos procedūra (EU acquis); prieglobsčio procedūra
LV	starptautiskās aizsardzības procedūra
MT	Proċedura għall-protezzjoni internazzjonali
NL	procedure voor de toekenning van internationale bescherming
PL	procedura udzielania ochrony międzynarodowej
PT	Procedimento de concessão e retirada do estatuto de proteção internacional
RO	procedura de protecție internațională / procedura privind protecția internațională
SK	procedúra medzinárodnej ochrany / konanie o medzinárodnej ochrane (EU acquis); konanie o udelenie azylu / konanie o azyle
SL	postopek mednarodne zaščite
SV	förfarande för att pröva internationellt skydd
NO	prosedyre ved søknad om internasjonal beskyttelse (b); prosedyre ved søknad om internasjonalt vern (etter søknad om internasjonalt vern) (n)
UK	процедура надання міжнародного захисту

განმარტება

როგორც საერთაშორისო დაცვის მინიჭების, ასევე მისი გამოხმობის პროცედურის აღსრულების მიზნით გათვალისწინებული ზომების ერთობლიობა, რომელიც მოცემულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია), საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების გაკეთების მომენტიდან სააპელაციო წარმოებაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ჩათვლით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმები

- თავშესაფრის პროცედურა
- დაცვის დადგენის პროცედურა
- ლტოლვილის სტატუსის დადგენის (RSD) პროცედურა
- საერთაშორისო დაცვის მინიჭების მიზანშეწონილობის დადგენის პროცედურა

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- **საერთაშორისო დაცვის პროცედურის ხელმისაწვდომობა**
- **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა**
- **ინდივიდუალური გასაუბრება საერთაშორისო დაცვის მინიჭებასთან დაკავშირებით**

შენიშვნები

1. კერძოდ, ეს ნაბიჯები მოიცავს შემდეგს: საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა და საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანა, განმცხადებლის რეგისტრაცია და განმცხადებლის ვინაობის დადგენა იდენტიფიცირების გზით, განცხადების განხილვა (ინდივიდუალური გასაუბრების ჩათვლით), პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება, გასაჩივრების პროცედურა და საბოლოო გადაწყვეტილება სააპელაციო წარმოებაში. პროცესი მოიცავს სპეციალურ პროცედურებს, როგორიცაა დუბლინის პროცედურა ან დაჩქარებული პროცედურები, ასევე განმცხადებლების განაწილებასა და განთავსებასთან დაკავშირებული პროცედურები.

2. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია), თავშესაფრის ერთიანი ევროპული სისტემის (CEAS) სრულყოფილად ჩამოყალიბების მიზნით, ადგენს ერთიანი განცხადების შეტანის პროცედურას, რომელიც ითვალისწინებს ზოგად გარანტიებსა და სტანდარტებს მესამე ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების საერთაშორისო ან დამატებითი დაცვის მიმღებ პირებად კვალიფიცირებისთვის, ასევე, განსაზღვრავს მინიჭებული საერთაშორისო დაცვის შემადგენლობას.

საერთაშორისო დაცვის პროცედურის ხელმისაწვდომობა

BG	достъп до производство за международна закрила
CS	přístup k řízení ve věci mezinárodní ochrany
DE	Zugang zum Verfahren auf internationalen Schutz
EL	Πρόσβαση στη διαδικασία διεθνούς προστασίας
EN	access to the procedure for international protection
ES	acceso al procedimiento de protección internacional
ET	juurdepääs rahvusvahelise kaitse menetlusele
FI	pääsy menettelyyn
FR	accès à la procédure d'octroi de la protection internationale
GA	rochtain ar nós imeachta cuí
HU	eljáráshoz való hozzáférés
IT	accesso alla procedura di registrazione della domanda di protezione internazionale
LT	galimybė naudotis tarptautinės apsaugos procedūra (EU acquis); galimybė pasinaudoti prieglobsčio suteikimo procedūra
LV	piekļuve starptautiskās aizsardzības procedūrai
MT	Aċċess għall-proċedura f'talbiet għall-protezzjoni internazzjonali
NL	toegang tot de procedure
PL	dostęp do procedury
PT	acesso ao procedimento de proteção internacional
RO	acces la procedura de examinare a cererii de azil
SK	prístup ku konaniu o medzinárodnej ochrane
SL	dostop do postopka mednarodne zaščite
SV	rätt till prövning av ansökan om internationellt skydd
NO	tilgang til søknadsprosedyren for internasjonal beskyttelse (b); tilgang til søknadsprosedyren for internasjonalt vern (n)
UK	доступ до процедури міжнародного захисту

განმარტება

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ პირს, რომელმაც მათ საერთაშორისო დაცვის თხოვნით მიმართა, ჰქონდეს შესაბამისი განცხადების შეძლებისდაგვარად სწრაფად წარდგენის ქმედითი შესაძლებლობა.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-6(2) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნა**

შენიშვნები

1. სიტყვა 'ქმედითი' ამ განმარტებაში განმსაზღვრელია და გულისხმობს, რომ განმცხადებლებს გარანტირებული აქვთ კომპეტენტურ ორგანოებთან სათანადო და შესაფერისი წესით თანამშრომლობისა და ურთიერთობის შესაძლებლობა.

2. განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ თავიანთ საქმეებთან დაკავშირებული შესაბამისი ფაქტების წარმოდგენა და მათთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო პროცედურული გარანტიები პროცედურის ყველა ეტაპზე.

საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა

BG	съдържание на международната закрила
CS	obsah mezinárodní ochrany
DE	Inhalt des internationalen Schutzes
EL	περιεχόμενο της διεθνούς προστασίας
EN	content of international protection
ES	n/a
ET	rahvusvahelise kaitse sisu
FI	kansainvälisen suojelun sisältö
FR	contenu de la protection internationale
GA	raon nithe cosanta idirnáisiúnta
HU	A nemzetközi védelem tartalma
IT	contenuto della protezione internazionale
LT	tarptautinės apsaugos pobūdis
LV	starptautiskās aizsardzības saturs
MT	Kontenut (Il-) tal-protezzjoni internazzjonali
NL	kenmerken van de internationale bescherming
PL	zakres ochrony międzynarodowe
PT	conteúdo da proteção internacional
RO	conținut al protecției internaționale
SK	obsah medzinárodnej ochrany
SL	vsebina mednarodne zaščite
SV	innebörden av internationellt skydd
NO	rettigheter og goder for personer med flyktningstatus (b); rettar og gode for personar med flyktningstatus (n)
UK	зміст міжнародного захисту

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ჟენევის კონვენციის (და ოქმის) და საერთაშორისო ლტოლვილთა და ადამიანის უფლებათა სამართლის დებულებების შესაბამისად დადგენილი უფლებები და შეღავათები ლტოლვილებისთვის, რომელთაც სტატუსი მინიჭებული აქვთ ჟენევის კონვენციის საფუძველზე.

ევროკავშირის კონტექსტში, უფლებები და შეღავათები, რომლებიც დადგენილია საერთაშორისო დაცვის მიმღები პირებისთვის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-7 თავის შესაბამისად.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი.
ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-7 თავი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- განათლების ხელმისაწვდომობა
UK	прикордонний контроль

განმარტება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მიზნების შესაბამისად და მიზნებისთვის, უშუალოდ საზღვრის კვეთის განზრახვის ან კვეთის ფაქტის საპასუხოდ (სხვა ნებისმიერი მოსაზრებისგან დამოუკიდებლად), ამ საზღვართან განხორციელებული ქმედება, რომელიც მოიცავს სახმელეთო შემოწმებებსა და საზღვრის მეთვალყურეობას.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-2(9) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ევროპის სასაზღვრო მეთვალყურეობის სისტემა (EUROSUR)
- ევროკავშირის გარე საზღვარი
- ევროკავშირის შიდა საზღვარი
- კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა
- ლეგალური შესვლა
- უარი შესვლაზე
- შენგენის სასაზღვრო კოდექსი

ს

სატრანზიტო ქვეყანა

BG	страна на транзит
CS	tranzitní země
DE	Transitland
EL	χώρα διέλευσης
EN	country of transit
ES	país de tránsito
ET	transiitriik
FI	kauttakulkumaa
FR	pays de transit
GA	tír idirthurais
HU	tranzitország
IT	paese di transito
LT	tranzito valstybė
LV	tranzītvalsts
MT	Pajjiż ta' tranżitu / Pajjiż li wieħed jgħaddi minnu
NL	transitland / doorreisland
PL	kraj tranzytowy
PT	país de trânsito
RO	țara de tranzit
SK	tranzitná krajina
SL	tranzitna država
SV	transitland
NO	transittland
UK	країна транзиту

განმარტება

ქვეყანა, რომლის გავლითაც (კანონიერი ან კანონიერი საფუძვლის გარეშე) მიგრაციული ნაკადები გადაადგილდებიან, რაც აღნიშნავს წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნისაგან განსხვავებულ ქვეყანას (ან ქვეყნებს), რომელსაც (რომლებსაც) მიგრანტი გაივლის დანიშნულების ქვეყანაში შესასვლელად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინები

- დანიშნულების ქვეყანა
- წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა
- დაბრუნების ქვეყანა

საფრთხისშემცველი გადაადგილება

BG	no translation
CS	riskantní přesouvání
DE	gefährliche Weiterwanderung
EL	επικίνδυνη δευτερογενής μετακίνηση
EN	harmful onward movement
ES	movimientos irregulares peligrosos
ET	ohtlik (edasi) liikumine
FI	vaarallisin keinoin siirtyminen (uudistermi)
FR	mouvement secondaire dangereux
GA	athghluaiseacht dhainséarach
HU	két hely közötti veszélyes átjutás
IT	spostamento pericoloso
LT	pavojingas judėjimas pirmyn
LV	bīstama pārvietošanās
MT	Mogħdija 'l quddiem dannuża / ta' ħsara
NL	no translation
PL	niebezpieczne dalsze przemieszczanie się
PT	rotas perigosas
RO	mişcare de avansare periculoasă
SK	riskantné presúvanie sa utečencov a migrantov
SL	škodljivo gibanje, ki se nadaljuje
SV	farlig vidareförflyttning
NO	risikabel viderereise (b); risikabel vidarereise (n)
UK	небезпечне переміщення

განმარტება

ლტოლვილთა და მიგრანტთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა საფრთხისშემცველი გზებით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

UNHCR: წინადადების პროექტი ცენტრალური ხმელთაშუა ზღვის ინიციატივისთვის: ევროკავშირის სოლიდარული ძალისხმევა ზღვაში მყოფ მიგრანტთა გადარჩენის, დაცვისა და კრიზისზე კომპლექსური რეაგირებისთვის, 2013 წ.

შენიშვნა

პრაქტიკოსებმა ამ ტერმინის გამოყენება ბოლო პერიოდიდან დაიწყეს.

საძიებო-სამაშველო (SAR) ოპერაცია

BG	операция за търсене и спасяване
CS	pátrací a záchranná operace
DE	Such- und Rettungseinsatz
EL	επιχείρηση έρευνας και διάσωσης
EN	search and rescue (SAR) operation
ES	Operación de búsqueda y captura
ET	otsingu- ja päästeoperatsioon
FI	meripelastusoperaatio /etsintä-ja pelastustoimet
FR	opération de recherche et de sauvetage
GA	Oibríocht cuardaigh agus tarrthála
HU	kutatási és mentési művelet
IT	operazione di ricerca e soccorso
LT	paieškos ir gelbėjimo operacija
LV	meklēšanas un glābšanas operācija
MT	Operazzjoni ta' tiftix u salvataġġ
NL	opsporings- en reddingsoperatie
PL	
PT	operação de busca e salvamento
RO	operațiune de căutare și de salvare
SK	pátracia a záchranná operácia / pátracia a záchranná činnosť
SL	operacija iskanja in reševanja
SV	sök- och räddningsinsats
NO	Lete og redningsoperasjon
UK	пошуково-рятувальна операція (SAR)

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ოპერაცია ზღვაში განსაცდელში მყოფი პირისთვის დახმარების აღმოსაჩენად (მისი მოქალაქეობის, სტატუსის ან იმ გარემოებების მიუხედავად, რომლებშიც ის იქნა ნაპოვნი), მოქმედი საზღვაო კანონმდებლობისა და კონვენციების შესაბამისად.

ევროკავშირის კონტექსტში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიერ განხორციელებული ოპერაცია ზღვაში განსაცდელში მყოფი ნებისმიერი მცურავი საშუალებისთვის ან კონკრეტული პირისთვის დახმარების აღმოსაჩენად (პირის მოქალაქეობის, სტატუსის ან იმ გარემოებების მიუხედავად, რომელშიც არის ის ნაპოვნი), მოქმედი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემით.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: საზღვაო საძიებო-სამაშველო (SAR) ოპერაციების შესახებ საერთაშორისო კონვენციის დანართი

ევროკავშირის კონტექსტი: ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N656/2014 (რეგულაცია გარე საზღვაო საზღვრების მონიტორინგის წესების შესახებ) მე-9 მუხლი

სინონიმები

- ძებნა-გადარჩენის ოპერაცია
- სამძებრო-სამაშველო ოპერაცია

შენიშვნები

1. კონვენციაში საძიებო-სამაშველო (SAR) ღონისძიებები განმარტებულია, როგორც განსაცდელში მყოფი მცურავი საშუალების/პირის მონიტორინგის, კომუნიკაციის, კოორდინაციისა და საძიებო-სამაშველო ფუნქციების განხორციელება, რაც ასევე გულისხმობს ჯანდაცვის რეკომენდაციების/პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას ან ევაკუაციას სახელმწიფო და კერძო რესურსების გამოყენებით, მათ შორის, მხარდამჭერი მფრინავი საშუალებებით, გემებითა და სხვა საჭირო მოწყობილობებით.

2. SAR ოპერაციებში ჩართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს სარეკომენდაციო ხასიათის მინიმალური სტანდარტები, რომელთა მიზანია:

– უზრუნველყოფა იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიებები განხორციელდება ღირსებისა და სიცოცხლის ფუნდამენტური უფლებების დაცვით, სასიცოცხლოდ აუცილებელი ჰუმანიტარული დახმარების მიღებისა და პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფით, საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობის სამართლებრივი მოთხოვნების შესაბამისად;

– ხმელთაშუა ზღვის აუზში SAR ოპერაციების ერთობლივი კოორდინაციისა და თანამშრომლობის გაუმჯობესება შეძლებისდაგვარად მეტი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, მათ შორის, ახლად დაარსებული სამაშველო-საკოორდინაციო ცენტრების, ევროპული ინსტიტუტების, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სააგენტოს, სანაოსნო და მეთევზეთა ასოციაციებისა და სამხედრო უწყებების ჩართულობით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული ნებაყოფლობითი ქცევის კოდექსი საძიებო-სამაშველო ოპერაციებისთვის ხმელთაშუა ზღვაში, პირველი გამოცემა, 2017 წლის თებერვალი.

3. სამაშველო ოპერაციების შედეგად ზღვაში გადარჩენილთა ნაპირზე გამოყვანასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციებისა და პრაქტიკული პროცედურების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) და UNHCR ის მიერ შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელო: გადარჩენა ზღვაში: მიგრანტებისა და ლტოლვილების მიმართ გამოყენებული პრინციპებისა და პრაქტიკის გზამკვლევი.

(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი

BG	контрабандист (на мигранти)
CS	převaděčství migrantů
DE	Schleuser
EL	διακινητής παράνομων μεταναστών
EN	smuggler
ES	n/a
ET	inimsmugeldaja
FI	ihmissalakuljettaja
FR	passeur (BE, LU); trafiquant (de migrants) (FR)
GA	smuigléir daoine
HU	csempész
IT	trafficante
LT	neteisėtai žmones gabenantis asmuo
LV	kontrabandists
MT	Kuntrabandist(a) / Kuntrabandisti
NL	mensensmokkelaar
PL	przemytnik
PT	contrabandista de pessoas
RO	n/a
SK	prevádzačstvo migrantov
SL	tihotapec
SV	människosmugglare
NO	menneskesmugler
UK	особа, що займається незаконним ввезенням

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, პირი, რომელიც, ჩვეულებრივ, ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების სანაცვლოდ და მიგრანტის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უგულებელყოფით, უზრუნველყოფს მიგრანტის კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლას ქვეყანაში, რომლის მოქალაქე ან მობინადრეს მიგრანტი არ წარმოადგენს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ გაეროს კონვენციის" შემავსებელი „მიგრანტთა ხმელეთით, ზღვითა და საჰაერო გზით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" ოქმის მე-3 მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ხელშემწყობი პირი

დაკავშირებული ტერმინები

★ (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა

★ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

შენიშვნები

1. ტერმინების '(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი' და 'ხელშემწყობი პირი' მსგავსი მნიშვნელობის და კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციის პრაქტიკასთან მათი კავშირის მიუხედავად, აღნიშნულ ტერმინებს შორის არსებობს გარკვეული სხვაობა.

2. '(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი' უფრო ვიწრო ცნებაა და აღნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს პირის ტრანსპორტირებას (მისივე თანხმობის საფუძველზე) მეორე ქვეყანაში არალეგალური გზებით. უფრო ზუსტად, (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი უზრუნველყოფს პირის კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლას ქვეყანაში, საიმიგრაციო კანონმდებლობის დარღვევით, ფარულად, მოტყუებით ან ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, გარკვეული სარგებლის მიღების სანაცვლოდ. პირი, რომლის გადაყვანაც ხდება, წარმოადგენს აღნიშნული ქმედების თანამონაწილეს და ხშირად უხდის გადამყვანს დიდი ოდენობით ფულს სასურველ ქვეყანაში შეღწევისთვის, რომლის შემდეგაც თავად, საკუთარი რესურსებით იკვლევს გზას აღნიშნულ ქვეყანაში (წყარო: IATE, ტერმინის '(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა' განმარტება).

3. 'ხელშემწყობი პირი' უფრო ფართო ცნებაა და აღნიშნავს პირს, რომელიც მიგრანტს სთავაზობს გარკვეულ მომსახურებებს ქვეყანაში მისი უნებართვო შესვლის უზრუნველსაყოფად. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი 'ხელშემწყობი პირი'.

(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა

BG	контрабанда на мигранти
CS	převaděčství migrantů
DE	Schleusung von Migranten
EL	παράνομη διακίνηση μεταναστών / λαθραία διακίνηση μεταναστών
EN	smuggling of migrants
ES	tráfico de inmigrantes
ET	sisserändajate ebaseaduslik üle piiri toimetamine
FI	maahanmuuttajien salakuljettaminen
FR	trafic de migrants
GA	smuigleáil imirceach
HU	embercsempészés
IT	traffico di migranti
LT	neteisėtas migrantų gabenimas
LV	migrantu kontrabanda
MT	Ku(n)trabandu ta' migranti
NL	mensensmokkel
PL	przemyt migrantów
PT	auxílio à imigração ilegal
RO	contabandă cu migranți
SK	prevádzačstvo migrantov
SL	tihotapljanje migrantov
SV	smuggling av migranter
NO	menneskesmugling
UK	незаконне ввезення мігрантів

განმარტება

პირის უკანონოდ გადაყვანა (გაეროს) წევრ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეს ან რომელშიც მუდმივად მცხოვრებს ეს პირი არ წარმოადგენს, პირდაპირ ან ირიბად ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით.

წყარო

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს კონვენციის შემავსებელი „მიგრანტთა ხმელეთით, ზღვითა და საჰაერო გზით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ოქმის მე-3 მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ ხელშემწყობი პირი
- ★ (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი

შენიშვნა

გაეროს ოქმი დამტკიცდა ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით 2006/616/EC.

სეგრეგაცია

BG	сегрегация
CS	segregace
DE	Segregation
EL	διαχωρισμός
EN	segregation
ES	segregación
ET	segregatsioon
FI	segregaatio
FR	ségrégation
GA	deighilt (agus deighilt ar bhonn cine, reiligiúin, srl dá dteastódh sé)
HU	szegregáció
IT	segregazione
LT	segregacija
LV	segregācija
MT	Segregazzjoni / Twarrib
NL	segregatie
PL	segregacja
PT	segregação
RO	segregare
SK	segregácia
SL	segregacija / izločevanje
SV	segregation
NO	segregering
UK	сегрегація

განმარტება

ქმედება, რომლითაც (ფიზიკური ან იურიდიული) პირი აცალკევებს სხვა პირებს რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების მიხედვით, ობიექტური ან გონივრული დასაბუთების გარეშე.

წყარო

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI): ზოგად პოლიტიკასთან დაკავშირებული N7 რეკომენდაცია: რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული კანონმდებლობა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- ★ დისკრიმინაცია

დაკავშირებული ტერმინი

- ★ რასობრივი დისკრიმინაცია

სეზონური მუშაკი

BG	сезонен работник
CS	sezónní pracovník
DE	Saisonarbeiter
EL	εποχικά εργαζόμενος
EN	seasonal worker
ES	trabajador de temporada extranjero
ET	hooajaline (võõr)töötaja
FI	kausityöntekijä
FR	travailleur saisonnier
GA	oibrí séasúrach
HU	szezonális munkavállaló migráns
IT	lavoratore stagionale
LT	sezoninis darbuotojas
LV	sezonas strādnieks
MT	Ħaddiem staġjonali / tal-istaġun
NL	buitenlandse seizoensarbeider
PL	migrant (pracownik sezonowy)
PT	trabalhador migrante sazonal
RO	lucrător / muncitor sezonier
SK	sezónny zamestnanec / sezónny pracovník
SL	sezonski delavec
SV	säsongsarbetare
NO	sesongarbeider (b); sesongarbeidar (n)
UK	сезонний працівник

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ინარჩუნებს თავის ძირითად საცხოვრებელ ადგილს მესამე ქვეყანაში და ლეგალურად დროებით იმყოფება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სეზონური საქმიანობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით, ერთი ან მეტი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომლებიც გაფორმებულია უშუალოდ მესამე ქვეყნის მოქალაქესა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში რეგისტრირებულ დამსაქმებელს შორის.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2014/36/EU (დირექტივა სეზონური მუშაკების შესახებ) მე-3 მუხლი

სინონიმები

- სეზონური მიგრანტი
- სეზონური შრომითი მიგრანტი

დაკავშირებული ტერმინები

- **ცირკულარული მიგრაცია**
- **ხელშეკრულებით დასაქმებული შრომითი მიგრანტი**

შენიშვნა

ტერმინი აღნიშნავს კონკრეტულად მესამე ქვეყნის მოქალაქეს, თუმცა ცნობილია, რომ არსებობს სეზონური მუშაკების სხვადასხვა ტიპი, როგორებიც არიან ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეები ან ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილებული ევროკავშირის მოქალაქეები.

სერიოზული ზიანი

BG	тежки посегателства
CS	vážná újma
DE	ernsthafter Schaden
EL	σοβαρή βλάβη
EN	serious harm
ES	daños graves
ET	tõsine oht / kahju
FI	vakava haitta
FR	atteinte grave
GA	díobháil thromchúiseach
HU	súlyos veszély
IT	danno grave
LT	didelė žala
LV	smags kaitējums
MT	Dannu(-i) serju(-i)
NL	ernstige schade
PL	poważna krzywda
PT	ofensas graves
RO	vătămare gravă
SK	vážne bezprávie
SL	resna škoda
SV	allvarlig skada
NO	alvorlig skade (b); alvorleg skade (n)
UK	серйозна шкода

განმარტებები

ზიანი, რომელიც გულისხმობს:

ა) სიკვდილით დასჯის განაჩენს ან მის აღსრულებას;

ბ) წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში პირის წამებას ან მის მიმართ არაადამიანურ, დამამცირებელ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან სასჯელს;

გ) ფიზიკური პირის ჯანმრთელობასა და სიცოცხლესთან მიმართებით არსებულ სერიოზულ და ინდივიდუალურ საფრთხეს, რომელიც გამოწვეულია საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის პირობებში არსებული, განურჩეველი ძალადობის ვითარებით.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (კვალიფიცირების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- **სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკი**

დაკავშირებული ტერმინები

- **დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობა ან სასჯელი**
- **არაადამიანური მოპყრობა ან დასჯა**
- **დევნა**
- **წამება**

სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკი

BG	реален риск от тежки посегателства
CS	hrozba skutečného nebezpečí vážné újmy
DE	tatsächliche Gefahr, einen ernsthaften Schaden zu erleiden
EL	πραγματικός κίνδυνος σοβαρής βλάβης
EN	real risk of suffering serious harm
ES	riesgo real de sufrir daños graves
ET	reaalne risk tõsise ohu tekkimiseks
FI	todellinen vaara joutua kärsimään vakavaa haittaa
FR	risque réel de subir des atteintes graves
GA	baol iarbhír díobháil thromchúiseach a fhulaingt
HU	súlyos sérelem elszenvedésének tényleges veszélye
IT	rischio effettivo di subire un grave danno
LT	realus pavojus patirti didelę žalą
LV	reāls risks ciest smagu kaitējumu
MT	Riskju reali / veru li ġġarrab dannu(-i) serju(-i)
NL	reëel risico op het lijden van ernstige schade
PL	rzeczywiste ryzyko doznania poważnej krzywdy
PT	risco real de sofrer ofensa grave
RO	risc real de vătămare fizică gravă
SK	reálne riziko utrpenia vážneho bezprávia / reálne riziko vážneho bezprávia
SL	utemeljeno tveganje resne škode
SV	verklig risk för att lida allvarlig skada
NO	reell fare for alvorlig skade (b); reell fare for alvorleg skade (n)
UK	реальний ризик зазнати серйозної шкоди

განმარტება

სერიოზული ზიანის მიღების რისკი, რომლის წინაშეც საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელი დგას და რომელიც არის რეალური და მოსალოდნელი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ სერიოზული ზიანი

დაკავშირებული ტერმინები

★ სანდოობის შეფასება

★ დევნის საფუძვლიანი შიში

შენიშვნები

1. საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლისთვის სერიოზული ზიანის მიყენების ალბათობა ფასდება დამატებითი დაცვის მინიჭების მიზანშეწონილობის დასადგენად მტკიცების სტანდარტის შეფასების ფარგლებში. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-4(4) მუხლის შესაბამისად, რომელიც ეხება „ფაქტებისა და გარემოებების შეფასებას“, ადრე მიყენებული სერიოზული ზიანი ან პირდაპირი საფრთხე ფასდება, როგორც „სერიოზული მიმანიშნებელი იმისა, რომ განმცხადებელი დგას სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკის წინაშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ასეთი დევნა ან სერიოზული ზიანი აღარ განმეორდება“.

2. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ სხვადასხვა საჩივარზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიც აღინიშნა, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლი: „თუ არსებობს მნიშვნელოვანი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ დეპორტირებული პირი დადგება მისდამი ისეთი მოპყრობის რეალური რისკის წინაშე, რომელიც ეწინააღმდეგება ECHR-ის მე-3 მუხლს“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდგომი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ეს სტანდარტი ნიშნავს, რომ:

(ა) არ არის აუცილებელი, რისკი ძალიან მაღალი იყოს (არ არსებობს სიცხადის ან მნიშვნელოვანი ალბათობის მოთხოვნა);

(ბ) ამავე დროს რისკი არ შეიძლება იყოს უბრალო შესაძლებლობა (შორეული, ბუნდოვანი ან თეორიული ალტერნატივა).

სექსუალური ორიენტაცია

BG	сексуална ориентация
CS	sexuální orientace
DE	sexuelle Orientierung
EL	σεξουαλικός προσανατολισμός
EN	sexual orientation
ES	n/a
ET	seksuaalne sättumus
FI	seksuaalinen suuntautuminen
FR	orientation sexuelle
GA	gnéaschlaonadh
HU	szexuális irányultság
IT	orientamento sessuale
LT	seksualinė orientacija
LV	seksuālā orientācija
MT	Orjentament sesswali
NL	seksuele gerichtheid / seksuele oriëntatie
PL	orientacja seksualna
PT	orientação sexual
RO	n/a
SK	sexuálna orientácia
SL	spolna usmerjenost
SV	sexuell läggning
NO	seksuell orientering/legning
UK	сексуальна орієнтація

განმარტება

თითოეული ინდივიდის ემოციური, სიმპათიაზე დაფუძნებული და სექსუალური მიზიდულობა ან ინტიმური და/ან სქესობრივი ურთიერთობა განსხვავებული გენდერის, იმავე გენდერის ან ერთზე მეტი გენდერის მქონე პირთა მიმართ.

წყარო

ჯოკიაკარტის პრინციპები ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის კონტექსტში, 2006 წლის მარტი

დაკავშირებული ტერმინი

★ გენდერული იდენტობა

შენიშვნები

1. ჯოკიაკარტის პრინციპები (2006 წ.) წარმოადგენს პრინციპების ერთობლიობას ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფის შესახებ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის კონტექსტში. 23-ე პრინციპი ეხება თავშესაფრის უფლებას.

2. 2017 წელს ჯოკიაკარტის პრინციპებს დაემატა ახალი პრინციპები ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლის გამოყენების შესახებ სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ იდენტობასთან, გენდერულ გამოხატულებასთან ან სქესობრივ მახასიათებლებთან მიმართებით; რაც, ასევე, მოიცავს სახელმწიფოს მიერ პირის დაცვის უფლებას: „ყველა ადამიანს, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა, გენდერული იდენტობისა, გენდერული გამოხატულებისა თუ სექსუალური ორიენტაციისა, უფლება აქვს სახელმწიფოს მხრიდან დაცვაზე ძალადობისგან, დისკრიმინაციისგან და სხვა ზიანისგან, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფო ორგანოს, ინდივიდის ან ჯგუფის ქმედებით.“ მეტი ინფორმაციისთვის იხ. ჯოკიაკარტის პრინციპები პლუს 10 (YP+10), 2017 წ.

3. სექსუალური ორიენტაცია შეიძლება იყოს დაცვის მინიჭების საფუძველი ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციისა (და ოქმის) და საერთაშორისო დაცვის მარეგულირებელი ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით.

4. დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-10 მუხლი ექსპლიციტურად აღნიშნავს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობას, როგორც დევნის შესაძლო საფუძვლებს. ორივე ასპექტს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება დევნის სამიზნე გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების განსაზღვრისას.

5. დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-18(3) მუხლის მიხედვით, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ მიმღებ დაწესებულებებში (განთავსების ცენტრებში) მყოფ პირთა გენდერული მახასიათებლები და მოწყვლად პირთა (როგორიცაა ლგბტ(ი) პირები) სპეციფიკური საჭიროებები. დამატებით, შესაბამისი ზომები უნდა იქნეს მიღებული, რათა მიღების პერიოდში თავიდან იქნეს აცილებული ფიზიკური შეურაცხყოფა და კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა, სექსუალური ძალადობის და შევიწროების ჩათვლით.

სკოლის მოსწავლე

BG	ученик
CS	žák
DE	Schüler
EL	μαθητής
EN	school pupil
ES	escolar
ET	kooliõpilane
FI	oppilas
FR	élève
GA	dalta scoile
HU	tanuló
IT	alunno
LT	mokinys
LV	skolēns
MT	Tifel (Tifla) tal-iskola
NL	scholier
PL	uczeń
PT	aluno
RO	elev
SK	žiak
SL	učenec / šolar
SV	elev
NO	skoleelev (b); skuleelev (n)
UK	школяр

განმარტება

მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაშვებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რათა გაიაროს საშუალო განათლების (აღიარებული) პროგრამა მოცემული სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის ან ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად მოქმედი გაცვლის სქემის ფარგლებში.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU) 2016/801 (სტუდენტების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-3(4) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ მკვლევარი
- ★ სტუდენტი

სოციალური გამორიცხვა/გარიყულობა

BG	социално изключване
CS	sociální vyloučení
DE	soziale Ausgrenzung
EL	κοινωνικός αποκλεισμός
EN	social exclusion
ES	exclusión social
ET	sotsiaalne tõrjutus
FI	sosiaalinen syrjäytyminen
FR	exclusion sociale
GA	eisiamh sóisialta
HU	társadalmi kirekesztés
IT	esclusione sociale
LT	socialinė atskirtis
LV	sociālā atstumtība
MT	Tisbita / Tbarrija soċjali / dumping soċjali
NL	sociale uitsluiting
PL	wykluczenie społeczne
PT	exclusão social
RO	excludere socială
SK	sociálne vylúčenie / sociálna exklúzia
SL	socialna izključenost
SV	social utestängning
NO	sosial eksklusjon / sosial ekskludering
UK	соціальна ізоляція

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ვითარება, როდესაც კონკრეტული პირის ჩართულობა არ არის გათვალისწინებული ქვეყნის განვითარებისკენ მიმართულ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში, რის შედეგადაც მას ვერ შეაქვს საკუთარი წვლილი და ვერც სარგებლობს აღნიშნული პროგრესით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
შემუშავებულია ევროკომისიის დასაქმების, სოციალური საკითხებისა და ჩართულობის გენერალური დირექტორატის ვებგვერდზე მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

დაკავშირებული ტერმინი

- ★ სოციალური ჩართულობა

სოციალური დაცვა

BG	социлно осигуряване
CS	sociální zabezpečení
DE	soziale Sicherheit
EL	κοινωνική ασφάλιση
EN	social security
ES	seguridad social
ET	sotsiaalkindlustus
FI	sosiaaliturva
FR	sécurité sociale
GA	slándáil shóisialta
HU	társadalombiztosítás
IT	sicurezza sociale
LT	socialinė apsauga
LV	sociālais nodrošinājums
MT	Sigurtà soċjali
NL	maatschappelijke zekerheid
PL	zabezpieczenie socjalne
PT	segurança social
RO	securitate socială
SK	sociálne zabezpečenie
SL	socialna varnost
SV	social trygghet
NO	trygd
UK	соціальне забезпечення

განმარტება

საზოგადოების თითოეული წევრის უფლება, მოახდინოს საკუთარი ღირსების დაცვისა და პიროვნული განვითარებისთვის აუცილებელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების რეალიზება, ეროვნულ დონეზე გაწეული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და კონკრეტული სახელმწიფოს სოციალური დაცვის სისტემისა და რესურსების შესაბამისად.

წყარო

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 22-ე მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ სოციალური ჩართულობა
- ★ სოციალური დახმარება/შეღავათები

სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობა

BG	достъп до социални грижи
CS	přístup k sociálnímu zabezpečení
DE	Zugang zur Sozialhilfe; Zugang zu Sozialleistungen
EL	πρόσβαση σε κοινωνική πρόνοια
EN	access to social welfare
ES	acceso a protección social
ET	juurdepääs sotsiaalhoolekandele
FI	oikeus sosiaalihuoltoon
FR	accès à l'aide sociale
GA	rochtain ar leas sóisialta
HU	szociális ellátáshoz való hozzáférés
IT	accesso al welfare
LT	galimybė naudotis socialinės gerovės sistema
LV	piekļuve sociālajai labklājībai
MT	N/A
NL	toegang tot sociale voorzieningen (BE) / toegang tot het sociale zekerheidsstelsel (NL)
PL	dostęp do opieki społecznej
PT	Acesso à proteção social
RO	N/A
SK	prístup k sociálnemu zabezpečeniu
SL	dostop do socialne varnosti
SV	tillgång till sociala förmåner
NO	tilgang til sosiale velferdstjenester
UK	доступ до соціального забезпечення

განმარტებები

მიგრაციის ზოგად კონტექსტში, პირობები და მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს მიმღებ სახელმწიფოში ლეგალურად მყოფი მიგრანტებისა და ლტოლვილების წვდომას სოციალური დაცვის სისტემაზე და დადგენილი სოციალური დახმარების მასშტაბს.

მიგრაციის ევროკავშირის კონტექსტში, პირობები და მოთხოვნები, რომლებიც არეგულირებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მესამე ქვეყნის მოქალაქეების (ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეები, თავშესაფრის მაძიებლები და საერთაშორისო დაცვის მიმღები პირები) დაშვებას სოციალური დაცვის სისტემაზე და დადგენილი სოციალური დახმარების მასშტაბს, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ა) IATE-ს განმარტება და ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(d) მუხლი

ბ) IATE-ს განმარტება, ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(d) მუხლი და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 29-ე მუხლი

სინონიმი

★ სინონიმი 1

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის შემადგენლობა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **განათლების ხელმისაწვდომობა**
★ **დასაქმების ხელმისაწვდომობა**
★ **ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა**
★ **კვალიფიკაციების აღიარების პროცედურების ხელმისაწვდომობა**

შენიშვნები

1. ტერმინები 'სოციალური დაცვა' (social protection), 'სოციალური უზრუნველყოფა' (social security) და 'სოციალური დახმარება' (social assistance) არ არის განსაზღვრული ევროკავშირის კანონმდებლობით და, როგორც წესი, ერთი და იმავე მნიშვნელობით გამოიყენება. თუმცა 'სოციალური დაცვა' უფრო ფართო ცნებაა და მოიცავს „ყველა სახელმწიფო და კერძო ინიციატივას, რომლებიც გულისხმობს შემოსავლის მომტანი საქმიანობების მხარდაჭერას და კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას მოსახლეობის შეჭირვებული წევრებისთვის. ამასთან, სოციალური დაცვა გულისხმობს მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების დაცვას სოციალური რისკებისგან და მარგინალიზებულ წევრთა სოციალურ სტატუსსა და უფლებებზე ზრუნვას, რაც, საბოლოოდ, გამიზნულია მოსახლეობის შეჭირვებული, მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის შემცირებისთვის".

იხ. IATE-ს განმარტება

2. ტერმინები 'სოციალური უზრუნველყოფა' და 'სოციალური დახმარება' უფრო ვიწრო მნიშვნელო-

ბის მქონეა. IATE 'სოციალურ უზრუნველყოფას' (social security) განსაზღვრავს, როგორც „სოციალური დაცვის სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფილ საპენსიო გასაცემელსა და სხვა შეღავათებს, რომლებიც გამიზნულია საზოგადოების წევრთა დაცვისთვის ისეთ მოწყვლად მდგომარეობებში, როგორებიცაა უმუშევრობა, უნარშეზღუდულობა და ხანდაზმულობა". ტერმინს 'სოციალური დახმარება' (social assistance) კი IATE განსაზღვრავს, როგორც „სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სქემების მიხედვით უზრუნველყოფილ, მთელი მოსახლეობისთვის ან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფისთვის განკუთვნილ სოციალურ შეღავათებსა და სერვისებს, რომლებიც, ჩვეულებრივ, განისაზღვრება სოციალური დახმარების (პოტენციურ) მიმღებთა ფინანსური სტატუსის მიხედვით და არ მოითხოვს მათ მიერ, ან მათი სახელით განხორციელებულ პირდაპირ ფულად შენატანებს". შესაბამისად, არ უნდა მოხდეს აღნიშნულის აღრევა ფულად შენატანებზე დაფუძნებული სოციალური უზრუნველყოფის ან სოციალური დაზღვევის სქემებთან.

3. ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის 23-ე მუხლის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის მქონე პირები უნდა სარგებლობდნენ ეროვნული სოციალური დაცვის სქემებით ისევე, როგორც მოქალაქეები. ლტოლვილები ეტაპობრივად სარგებლობენ სოციალური შეღავათებით, მათი ბინადრობის ხანგრძლივობიდან და მიმღებ საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის მასშტაბიდან გამომდინარე.

4. ევროკავშირის დონეზე, სოციალური დახმარებისა და სოციალური უფლებების მასშტაბი დამოკიდებულია მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ლეგალურ სტატუსზე.

5. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11(1d) მუხლისა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 29-ე მუხლის მიხედვით, გრძელვადიანი მობინადრეები და საერთაშორისო დაცვის მიმღები პირები უნდა სარგებლობდნენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი სოციალური დაცვის იმავე პირობებით, რომლითაც მოქალაქეები. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება შეზღუდონ დამატებითი დაცვის სტატუსის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარების პაკეტი და დაიყვანონ ის მხოლოდ ძირითად სერვისებზე, რომელთა მიწოდება უნდა განხორციელდეს იმავე პირობებისა და კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც დადგენილია მოქალაქეთათვის.

6. მეტი ინფორმაციისთვის იხ. EMN-ის ინფორმი „სოციალური შეღავათები და უფლებები საერთაშორისო დაცვის მიმღები პირებისთვის", 2018 წ.

სოციალური დახმარება/შეღავათები

BG	обезщетения за социална закрила
CS	dávky sociální ochrany
DE	Sozialschutzleistungen
EL	ωφελήματα κοινωνικής προστασίας
EN	social protection benefits
ES	prestaciones de asistencia social
ET	sotsiaalse kaitse hüvitised
FI	sosiaalietuudet, sosiaaliturvaetuudet
FR	prestations de protection sociale
GA	sochair choimirce sóisialta
HU	szociális védelmi juttatások
IT	prestazione di protezione sociale
LT	socialinės išmokos
LV	sociālās drošības sistēmas pabalsti
MT	Benefiċċji ta' protezzjoni soċjali
NL	sociale uitkeringen
PL	zasiłki z opieki społecznej
PT	prestações de proteção social
RO	beneficii ale protecției sociale
SK	dávky sociálnej ochrany (EU acquis); sociálna pomoc
SL	ugodnosti socialnega varstva
SV	sociala förmåner
NO	ytelser knyttet til sosial sikkerhet (b); ytingar knytte til sosial tryggleik (n)
UK	соціальні допомоги та пільги

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, სოციალური დაცვის სქემების ფარგლებში საოჯახო მეურნეობებისთვის ან ინდივიდუალური პირებისთვის ფულადი ან ნატურალური ფორმით გაწეული დახმარება, რომელიც გამიზნულია ევროკომისიის სოციალური დაცვის ორმხრივი საინფორმაციო სისტემით განსაზღვრული, ერთი ან მეტი რისკის ტვირთის შერბილებისთვის.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N458/2007 (რეგულაცია სოციალური დაცვის ინტეგრირებული სტატისტიკის ევროპული სისტემის (ESSPROS) შესახებ) მე-2 მუხლი

ევროკომისიის სოციალური დაცვის ორმხრივი საინფორმაციო სისტემა (MISSOC)

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

შენიშვნა

ევროკომისიის სოციალური დაცვის ორმხრივი საინფორმაციო სისტემა განსაზღვრავს კონკრეტული რისკების მიხედვით დაჯგუფებულ შემდეგ 11 მიმართულებას:

– ჯანმრთელობის დაცვა;
– ავადმყოფობასთან დაკავშირებული ფულადი შეღავათები;
– ორსულობასთან, მშობიარობასა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებული შეღავათები;
– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის შეღავათები;
– ასაკობრივი პენსია და შეღავათები;
– მარჩენალდაკარგულთა შეღავათები;
– სამუშაო ადგილზე უბედურ შემთხვევებსა და პროფესიულ დაავადებებთან დაკავშირებული შეღავათები;
– საოჯახო შეღავათები;
– უმუშევრობის შემწეობა;
– გარანტირებული მინიმალური შემწეობა;
– ხანგრძლივ მოვლასთან დაკავშირებული შეღავათები.

სოციალური დემპინგი

BG	социален дъмпинг
CS	sociální dumping
DE	Sozialdumping
EL	κοινωνικό ντάμπινγκ
EN	social dumping
ES	dumping social
ET	sotsiaalne dumping
FI	sosiaalinen polkumyynti
FR	dumping social
GA	dumpáil shóisialta (níor aistríodh an coincheap i dteangacha eile), coinníolacha oibre faoi bhun an chaighdeáin
HU	szociális dömping
IT	dumping sociale
LT	socialinis dempingas
LV	sociālais dempings
MT	Esklużjoni soċjali
NL	sociale dumping
PL	dumping socjalny
PT	dumping social
RO	dumping social
SK	sociálny damping / sociálny dumping
SL	socialni damping
SV	social dumpning
NO	sosial dumping
UK	соціальний демпінг

განმარტება

პრაქტიკა, როდესაც დასაქმებულებს ეძლევათ ანაზღაურება და/ან ექმნებათ შრომის ან ცხოვრების პირობები, რომლებიც შესაბამისი შრომის ბაზრისთვის კანონით ან კოლექტიური ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებზე ან მოცემულ ტერიტორიაზე გავრცელებულ სხვა სტანდარტებზე დაბალია.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ნორვეგიის რეგულაციები, რომლებიც ეხება ევროკავშირში დასაქმებულ, კავშირის ახალ წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ხელფასის დემპინგი

შენიშვნები

1. სოციალური დემპინგის მკაფიო, საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს.

2. ევროკავშირის კონტექსტში, ეს პრაქტიკა, ჩვეულებრივ, უკავშირდება EU/EFTA-ს წევრი სახელმწიფოებისა და მესამე ქვეყნების მოქალაქეებს.

სოციალური პარტნიორები

BG	социални партньори
CS	sociální partneři
DE	Sozialpartner
EL	κοινωνικοί εταίροι
EN	social partners
ES	interlocutores sociales
ET	sotsiaalpartnerid
FI	työmarkkinaosapuolet
FR	partenaires sociaux
GA	comhpháirtithe sóisialta
HU	szociális partnerek
IT	parti sociali
LT	socialiniai partneriai
LV	sociālie partneri
MT	msieħba soċjali
NL	sociale partners
PL	partnerzy społeczni
PT	parceiros sociais
RO	
SK	sociálni partneri
SL	socialni partnerji
SV	arbetsmarknadens parter
NO	sosiale parter, arbeidslivets parter / partene i arbeidslivet (b); sosiale partar / arbeidslivspartar / partane i arbeidslivet (n)
UK	соціальні партнери

განმარტება

შრომის, სოციალური და ეკონომიკური საქმიანობის, პოლიტიკისა და კანონმდებლობის თაობაზე კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებში ჩართული მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ დამსაქმებლებს, დასაქმებულებსა და სამთავრობო უწყებებს.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ILO-ს წესდება

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 152-ე და 153-ე მუხლები

შენიშვნა

'სოციალური პარტნიორების' ცნებას ცენტრალური ადგილი უჭირავს ILO-ს სტრუქტურასა და მართვაში და გათვალისწინებულია ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 152-ე და 153-ე მუხლებით.

სოციალური შეკავშირებულობა

BG	социално сближаване
CS	sociální koheze
DE	sozialer Zusammenhalt
EL	κοινωνική συνοχή
EN	social cohesion
ES	cohesión social
ET	sotsiaalne sidusus
FI	sosiaalinen yhteenkuuluvuus
FR	cohésion sociale
GA	comhtháthú sóisialta
HU	társadalmi kohézió
IT	coesione sociale
LT	socialinė sanglauda
LV	sociālā kohēzija
MT	N/A
NL	sociale cohesie
PL	spójność społeczna
PT	Coesão social
RO	N/A
SK	sociálna súdržnosť / sociálna kohézia
SL	socialna kohezija
SV	social sammanhållning
NO	sosialt samhold(b); sosialt samhald(n)
UK	соціальна згуртованість

განმარტება

საერთო ხედვასა და მიკუთვნებულობის განცდაზე დაფუძნებული იმ საზოგადოების ან თემის ნიშანთვისება, რომლის წევრთა განსხვავებული ისტორია (მათ შორის მიგრაციული ისტორია) და მახასიათებლები ურთიერთპატივსაცემი და ღირებულია.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

დაკავშირებული ტერმინი

★ **ინტეგრაცია**

შენიშვნები

1. ტერმინის 'სოციალური შეკავშირებულობა' საყოველთაოდ მიღებული განმარტება არ არსებობს. არსებული განმარტებები გულისხმობს ისეთი საზოგადოებისადმი/თემისადმი მიკუთვნებულობის განცდას, რომლის წევრები იღებენ ერთმანეთს და ერთმანეთის მიმართ სოლიდარული არიან. სოციალური შეკავშირებულობის მიზანია თანაბარი შესაძლებლობების შექმნა და ინკლუზიური ურთიერთობების მხარდაჭერა, ურთიერთაღიარების პრინციპის საფუძველზე საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს შორის და მათ შიგნით.

2. 'სოციალური შეკავშირებულობა' ხშირად გამოიყენება საზოგადოებაზე იმიგრაციის ზეგავლენასთან მიმართებით, თუმცა ის ტერმინის სახით განმარტებული ამ კონტექსტში, ჩვეულებრივ, არ არის. ინტეგრაციის, სოციალური ჩართულობისა და სოციალური შეკავშირებულობის ამსახველი ტერმინოლოგია განსხვავებულია და სოციალური შეკავშირებულობა გლობალურ კონტექსტში გამოყენებული ყველაზე ნეიტრალური და უნივერსალური ტერმინია. მეტი ინფორმაციისთვის იხ. IOM: ინტეგრაცია და სოციალური შეკავშირებულობა: მიგრაციის სარგებლის გამოყენების ძირითადი ფაქტორები.

3. უსაფრთხო, მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ გლობალური შეთანხმების მე-16 ამოცანა მიზნად ისახავს მიგრანტებისა და თემების შესაძლებლობების ზრდას მათი სრულფასოვანი ჩართულობისა და სოციალური შეკავშირებულობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული გულისხმობს მიგრანტების შესაძლებლობათა ზრდაზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას, რომელიც გამიზნულია საზოგადოებაში მათი აქტიური მონაწილეობისთვის, ასევე, მიგრანტებისა და მიმღები საზოგადოებების თანაბარი ჩართულობისთვის ორმხრივი უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, ეროვნული კანონმდებლობის დაცვითა და დანიშნულების ქვეყანაში არსებული წესების პატივისცემით. ეს ასევე მოიცავს საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ, თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნისა და პოლარიზაციის თავიდან აცილებისკენ მიმართულ პოლიტიკას, რომელიც, ასევე, გულისხმობს მიგრაციის სფეროში გატარებული პოლიტიკისა და შესაბამისი ინსტიტუციების მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, რაც ეფუძნება პრინციპს, რომ საზოგადოებაში სრულფასოვნად ინტეგრირებული მიგრანტები ქვეყნის საერთო განვითარებას უწყობენ ხელს. მეტი ინფორმაციისთვის იხ. უსაფრთხო, მოწესრიგებული და ლეგალური მიგრაციის შესახებ მთავრობათაშორისი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეული გლობალური შეთანხმება, 2018 წლის 13 ივლისი

სოციალური შეკავშირებულობა [გაგრძ.]

4. 'სოციალური შეკავშირებულობა' გულისხმობს საზოგადოების შესაძლებლობას, მოახდინოს მიგრანტების ინტეგრაცია მათი დისკრიმინაციის გარეშე. 'თანაბარი მოპყრობის პრინციპი', 'დისკრიმინაციის დაუშვებლობა' და 'საზოგადოების მრავალფეროვნების' ცნებები აღიარებულ უნდა იქნეს, როგორც საზოგადოების ძლიერი მხარე, რომელიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მიმღებ საზოგადოებაში მიგრანტთა ჩართულობის ინდივიდუალურ და კოლექტიურ განცდაზე და, ამდენად, წარმოადგენს ათვლის წერტილს წარმატებული ინტეგრაციისთვის. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის საბჭო: სოციალური შეკავშირებულობისკენ მიმართული ახალი სტრატეგია, ნაწილი III: მიგრაცია და სოციალური შეკავშირებულობა, 2004 წ.

სოციალური ჩართულობა

BG	социално включване
CS	sociální začlenění
DE	soziale Eingliederung
EL	κοινωνική ένταξη
EN	social inclusion
ES	inclusión social
ET	sotsiaalne kaasatus
FI	sosiaalinen osallisuus
FR	inclusion sociale
GA	cuimsiú sóisialta
HU	társadalmi befogadás
IT	inclusione sociale
LT	socialinė įtrauktis
LV	sociālā iekļaušana
MT	Inklużjoni soċjali
NL	sociale insluiting
PL	włączenie społeczne
PT	inclusão social
RO	includere socială
SK	sociálne začlenenie / sociálna inklúzia
SL	socialna vključenost
SV	social delaktighet
NO	sosial inkludering
UK	соціальна інтеграція

განმარტება

ევროკავშირის კონტექსტში, ფუნდამენტური ცნება, რომელსაც ეფუძნება სიღარიბისა და სოციალური გარიყვის შემცირებისკენ მიმართული ეროვნული სტრატეგიები და შესაბამისი პოლიტიკის კოორდინაცია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკომისიის დასაქმების, სოციალური საკითხებისა და ჩართულობის გენერალური დირექტორატის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია

დაკავშირებული ტერმინი

★ **სოციალური გამორიცხვა/გარიყულობა**

სპონსორი/მხარდამჭერი პირი

BG	спонсор
CS	osoba usilující o sloučení rodiny / nositel oprávnění ke sloučení rodiny
DE	Zusammenführender / Sponsor
EL	συντηρών
EN	sponsor
ES	reagrupante
ET	sponsor
FI	perheenkokoaja
FR	regroupant
GA	urraitheoir
HU	családegyesítő (only in context of family reunification)
IT	sponsor / soggiornante (familiare che inoltra richiesta di ricongiungimento familiare)
LT	globėjas
LV	galvotājs / garantētājs
MT	Garanti / Sponsor
NL	gezinshereniger / referent / hoofdpersoon
PL	sponsor
PT	requerente de reagrupamento familiar
RO	sponsor
SK	garant / sponzor
SL	sponzor / pokrovitelj
SV	referensperson
NO	referanseperson / sponsor
UK	спонсор

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი ან სუბიექტი, რომელიც სხვა პირის ან სუბიექტის სახელით თავის თავზე იღებს (სამართლებრივ, ფინანსურ ან პირად) ვალდებულებას, დაპირებას ან თავდებობას.

ევროკავშირში ოჯახის გაერთიანების კონტექსტში, წევრ სახელმწიფოში კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც ან რომლის ოჯახის წევრებსაც შეაქვს (შეაქვთ) განცხადება ოჯახის გაერთიანებაზე.

წყაროები

ზოგადი კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის კონტექსტი: ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-2(c) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- **დამოკიდებული პირი**
- **ოჯახის წევრი**

შენიშვნა

ამ ცნების თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და აუცილებელი სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც საჭიროა მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, ასევე ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის უფლება უმუშევრობის, ავადმყოფობის, უნარშეზღუდულობის, დაქვრივების, ხანდაზმულობის ან საარსებო საშუალებების სხვა, მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით დაკარგვის შემთხვევაში (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 25-ე მუხლი).

სპონტანური მიგრაცია

BG	no translation
CS	spontánní migrace
DE	spontane Migration
EL	αυτόβουλη μετανάστευση / εκούσια μετανάστευση
EN	spontaneous migration
ES	migración espontánea
ET	spontaanneränne
FI	spontaani / oma-aloitteinen maahanmuutto
FR	migration spontanée
GA	imirce spontáineach
HU	spontán migráció
IT	migrazione spontanea
LT	spontaniška migracija
LV	spontāna migrācija
MT	Migrazzjoni spontanja
NL	spontane migratie
PL	spontaniczna migracja
PT	migração espontânea
RO	migrație spontană
SK	spontánna migrácia
SL	spontana migracija
SV	spontan migration
NO	spontan migrasjon
UK	спонтанна міграція

განმარტება

იმ პირის ან პირთა ჯგუფის გადაადგილება, რომელიც მიგრაციასთან დაკავშირებულ გეგმებს ნებისმიერი გარე დახმარების გარეშე შეიმუშავებს და განახორციელებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინი

★ **საიმიგრაციო პროგრამა**

შენიშვნები

1. სპონტანური მიგრაცია, ჩვეულებრივ, გამოწვეულია მიგრაციის მამოძრავებელი (push-pull) ფაქტორებით და ხასიათდება სახელმწიფო ან ნებისმიერი სხვა სახის საერთაშორისო თუ ადგილობრივი დახმარების არარსებობით.

2. ტერმინი ფართოდ არ გამოიყენება.

სრულწლოვანი

BG	възрастен
CS	dospělá osoba
DE	Erwachsener
EL	ενήλικας
EN	adult
ES	adulto
ET	täisealine / täiskasvanu
FI	aikuinen
FR	adulte
GA	aosach
HU	felnőtt
IT	adulto / maggiorenne
LT	pilnametis
LV	pieaugušais
MT	Adult(a)
NL	volwassene
PL	osoba pełnoletnia
PT	adulto / maior de idade
RO	adult
SK	dospelá osoba
SL	odrasel
SV	vuxen
NO	voksen (b); vaksen (n)
UK	дорослий

განმარტება

18 წლის და უფროსი ასაკის პირი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებული კანონმდებლობა სრულწლოვანების ასაკად უფრო გვიან ასაკს ადგენს).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
EMN-ის ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში მოცემული ტერმინის 'ბავშვი' განმარტება

დაკავშირებული ტერმინები

★ **ბავშვი**

★ **არასრულწლოვანი**

შენიშვნა

გარდა სამართლებრივი კრიტერიუმისა, სრულწლოვანება შეიძლება განისაზღვროს პირის ბიოლოგიური/ფსიქოლოგიური განვითარების, პიროვნული თვისებების შეფასების ან სოციალური სტატუსის საფუძველზე. ამ განმარტებითი ლექსიკონის მიზნებისთვის გამოყენებულია ტერმინის სამართლებრივი განმარტება.

სტაჟიორი

BG	стажант
CS	stážista
DE	Auszubildender
EL	εκπαιδευόμενος
EN	trainee
ES	persona en prácticas
ET	praktikant
FI	harjoittelija
FR	stagiaire
GA	duine faoi oiliúint
HU	gyakornok
IT	tirocinante / apprendista
LT	stažuotojas
LV	stažieris
MT	Persuna titħarreġ / fuq taħriġ
NL	stagiair
PL	stażysta
PT	estagiário / formando
RO	stagiar
SK	stážista
SL	pripravnik
SV	praktikant
NO	praktikant
UK	стажер

განმარტება

ევროკავშირის მიგრაციის კონტექსტში, მუშაკი, რომლის ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნის ხანგრძლივობა მკაცრადაა შეზღუდული და დაკავშირებულია მის მიერ შერჩეული პროფესიული საქმიანობისთვის საჭირო უნარების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან, კარიერის გასაგრძელებლად თავის ქვეყანაში დაბრუნებამდე.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს 1994 წლის 20 ივნისის რეზოლუცია მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დასაქმების მიზნით დაშვების შესახებ

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინიები

- ★ ანაზღაურებადი სტაჟიორი
- ★ არაანაზღაურებადი სტაჟიორი

სტატუსის დამდგენი ორგანო

BG	решаващ орган
CS	rozhodující orgán
DE	Asylbehörde
EL	αποφαινόμενη αρχή
EN	determining authority
ES	autoridad decisoria de asilo
ET	tuvastav asutus
FI	määrittävä turvapaikkaviranomainen
FR	autorité responsable de la détermination
GA	údarás cinntitheach
HU	menedékjog iránti kérelem elbírálásáért felelős hatóság
IT	autorità responsabile per il riconoscimento dello status di rifugiato
LT	sprendžiančioji institucija (EU acquis); prašymą nagrinėti ir sprendimą dėl prieglobsčio suteikimo priimti įgaliota institucija
LV	(par patvēruma pieteikuma izskatīšanu) atbildīgā iestāde
MT	Awtorità għat-teħid ta' deċiżjonijiet dwar l-ażil
NL	beslissingsautoriteit inzake internationale bescherming
PL	organ rozpatrujący wniosek
PT	autoridade responsável pela decisão (asilo)
RO	autoritatea responsabilă cu examinarea cererii de azil
SK	rozhodujúci orgán zodpovedný za preskúmanie žiadosti o udelenie azylu
SL	organ odločanja
SV	beslutande myndighet
NO	asylmyndighet (b); asylstyresmakt (n)
UK	орган, який приймає рішення

განმარტება

საერთაშორისო დაცვის კონტექსტში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ნებისმიერი კვაზიმართლმსაჯულებრივი ან ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც განიხილავს განცხადებებს საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ და უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე პირველ დონეზე.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 22-ე(f) მუხლი

სინონიმი

★ თავშესაფრის მინიჭებაზე პასუხისმგებელი უწყება

დაკავშირებული ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განმხილველი პირი**

სტატუსის შეცვლა

BG	Промяна на статута
CS	změna statusu nebo pobytového oprávnění
DE	Änderung des Rechtsstatus
EL	αλλαγή καθεστώτος
EN	change of status
ES	Cambio de status
ET	õigusliku staatuse muutmine
FI	oleskelulupastatuksen muutos
FR	changement de statut
GA	athrú stádais
HU	státuszváltozás / státuszváltás
IT	Cambiamento di status
LT	statuso keitimas
LV	statusa maiņa
MT	bdil ta' stat
NL	wijziging van verblijfsstatus
PL	zmiana statusu pobytowego
PT	alteração de estatuto
RO	
SK	zmena statusu
SL	sprememba statusa
SV	statusbyte
NO	endring av oppholdsgrunnlag (b); endring av opphaldsgrunnlag (n)
UK	зміна статусу

განმარტება

ქვეყანაში ყოფნის მიზნის შეცვლის გამო, ევროკავშირის და/ან ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის (EFTA) წევრ სახელმწიფოებში მყოფი მესამე ქვეყნის მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის შეცვლა, რომელიც ხორციელდება პირისთვის სახელმწიფოს დატოვების ან თავისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნების მოთხოვნის გარეშე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

EMN-ის კვლევა: იმიგრაციის სტატუსისა და ქვეყანაში დარჩენის მიზნის ცვლილება: ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მიდგომების მიმოხილვა, 2015 წ.

შენიშვნა

EMN-ის 2015 წლის კვლევაში "ცვლილებები საიმიგრაციო სტატუსსა და ქვეყანაში ყოფნის საფუძვლებში" შესწავლილ იქნა ცვლილებები ლეგალურ სტატუსებში (სტუდენტი, მკვლევარი, დაქირავებული მუშაკი, ოჯახის წევრი), თავშესაფრის მაძიებლის სტატუსსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს ეროვნულ დონეზე მინიჭებული დაცვის სტატუსში (მაგ., აუცილებლობით გამოწვეული დაყოვნების უფლების (tolerated stay) მქონე პირის სტატუსში). კვლევაში არ განხილულა პირის მიერ ქვეყანაში ყოფნის კანონიერი საფუძვლის მოპოვების შედეგად მის სტატუსში გამოწვეული ცვლილებები.

სტოკჰოლმის პროგრამა

BG	Стокхолмска програма
CS	Stockholmský program
DE	Stockholmer Programm
EL	Πρόγραμμα της Στοκχόλμης
EN	Stockholm Programme
ES	Programa de Estocolmo
ET	Stockholmi programm
FI	Tukholman ohjelma
FR	Programme de Stockholm
GA	Clár Stócólm
HU	Stockholmi Program
IT	Programma di Stoccolma
LT	Stokholmo programa
LV	Stokholmas programma
MT	Programm (Il-) ta' Stokkolma
NL	Programma van Stockholm
PL	Program Sztokholmski
PT	Programa de Estocolmo
RO	Programul de la Stockholm
SK	Štokholmský program
SL	Stockholmski program
SV	Stockholmsprogrammet
NO	Stockholm-programmet
UK	Стокгольмська програма

განმარტება

5-წლიანი პოლიტიკური და სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც აღწერს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მართლმსაჯულებისა და საშინაო საქმეების პოლიტიკის სფეროებში თანამშრომლობის მიზნებს 2010-2014 წლებისთვის.

წყარო

ევროკომისიის კომუნიკე თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროს შესახებ (COM(2009) 262, რომელიც გამიზნულია მოქალაქის ინტერესების დასაცავად

შენიშვნები

1. მიგრაციისადმი გლობალურმა მიდგომამ (GAM), რომელიც ევროპული საბჭოს მიერ თავდაპირველად 2005 წლის დეკემბერში განისაზღვრა (COM(2007) 247) და შემდგომ 2007-2008 წლებში განვითარდა, საფუძველი ჩაუყარა მიგრაციისა და თავშესაფრის სფეროში ევროკავშირის თანამშრომლობას მესამე ქვეყნებთან. 2009 წელს მიღებული სტოკჰოლმის პროგრამა ასევე ადასტურებს მიგრაციისადმი გლობალური მიდგომის (GAM) კონსოლიდაციის, გაძლიერებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის მნიშვნელობას.

2. მიდგომა გულისხმობს მიგრაციის კომპლექსურ დღის წესრიგზე მუშაობას, რომელიც მოიცავს ლეგალურ და კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციას, ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლას, ლტოლვილთა დაცვის გაძლიერებას, მიგრანტთა უფლებების განმტკიცებასა და მიგრაციისა და განვითარების ურთიერთკავშირის ამოქმედებას.

3. 2011 წელს განხორციელდა გლობალური მიდგომის შეფასება, რომლის საფუძველზე ევროკომისიამ ხაზი გაუსვა მიგრაციის საგარეო პოლიტიკის შემდგომი განმტკიცების საჭიროებას და ამასთან დაკავშირებით 2011 წლის ნოემბერში შეიმუშავა კომუნიკე მიგრაციისა და მობილობისადმი გლობალური მიდგომის შესახებ (COM (2011) 743 საბოლოო რედაქცია). განახლებული GAMM მიმართულია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ახლებური მიდგომებით ამოქმედებისკენ და ფოკუსირებულია შემდეგ ოთხ პრიორიტეტზე: ლეგალური მიგრაციისა და მობილობის ხელშეწყობა, არალეგალური მიგრაციის პრევენცია და შემცირება ეფექტური და, ამავდროულად, ჰუმანური გზებით, მიგრაციასა და განვითარებას შორის ურთიერთკავშირის გამყარება და საერთაშორისო დაცვის სისტემებისა და თავშესაფრის გარე განზომილების გაძლიერება.

სტუდენტი

BG	студент
CS	student
DE	Student
EL	φοιτητής / σπουδαστής
EN	student
ES	estudiante
ET	(üli)õpilane
FI	opiskelija
FR	étudiant
GA	mac léinn
HU	diák
IT	studente
LT	studentas
LV	students
MT	Student(a)
NL	student
PL	student
PT	estudante
RO	student
SK	študent
SL	študent
SV	student
NO	Student
UK	студент

განმარტება

ევროკავშირის მიგრაციის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ჩაირიცხა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და, შესაბამისად, დაშვებულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, რათა თავისი დროის ძირითადი ნაწილი დაუთმოს სწავლის სრული კურსის გავლას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ აღიარებული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად. აღნიშნული კვალიფიკაცია გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს და სერტიფიკატებს (მათ შორის, დოქტორის ხარისხის დამადასტურებელ სერტიფიკატს) და, შესაძლოა, სწავლის ძირითადი კურსის დაწყებამდე მოიცავდეს მოსამზადებელ კურსს ან სავალდებულო ტრენინგს.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის (EU) 2016/801 (სტუდენტების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-3(3) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- მკვლევარი
- სკოლის მოსწავლე

სურ პლას (sur place/"ადგილზე") ლტოლვილი

BG	бежанец на място / бежанец sur place
CS	uprchlík na místě / uprchlík sur place
DE	Flüchtling sur place
EL	επί τόπου πρόσφυγας
EN	refugee sur place
ES	refugiado sobrevenido
ET	sur place pagulane
FI	sur place -pakolainen
FR	réfugié sur place
GA	dídeanaí sur place
HU	sur place menekült
IT	rifugiato sur place
LT	pabėgėlis sur place
LV	bēglis sur place
MT	Rifuġjat(a) sur place
NL	vluchteling sur place; réfugié sur place (NL)
PL	uchodźca sur place / uchodźca na miejscu
PT	refugiado sur place
RO	refugiat sur place
SK	utečenec sur place / utečenec na mieste
SL	begunec sur place
SV	sur place-flykting
NO	sur place-flyktning
UK	біженець на місці

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც არ იყო ლტოლვილი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის დატოვებისას, მაგრამ ხდება ლტოლვილი, ვინაიდან წარმოეშობა დევნის საფუძვლიანი შიში ქვეყნის დატოვების მომდევნო ეტაპზე განვითარებული მოვლენების გამო.

ევროკავშირის კონტექსტში, პირი, რომელსაც მიენიჭა ლტოლვილის სტატუსი საერთაშორისო დაცვის საჭიროებების გათვალისწინებით, რომლებიც წარმოიშვა სურ პლას (sur place/"ადგილზე"), ანუ იმ მოვლენების გამო, რომლებიც მოხდა მის მიერ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის დატოვების შემდეგ.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
UNHCR-ის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-5 მუხლი

სინონიმი

★ „ადგილზე" ლტოლვილი

შენიშვნა

სურ პლას ლტოლვილებს დევნის შიში შეიძლება გაუჩნდეთ:
– თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში შეცვლილი სიტუაციის გამო (როგორიცაა სახელმწიფო გადატრიალება, ხელისუფლების შეცვლა, გამკაცრებული რეპრესიული ან დევნის პოლიტიკა ან შეიარაღებული კონფლიქტი);
– კეთილსინდისიერი პოლიტიკური საქმიანობა (მაგ., პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვა), რომელსაც პირი ბინადრობის ქვეყანაში ან თავშესაფრის ქვეყანაში ახორციელებს.

სქესი

BG	пол
CS	pohlaví
DE	biologisches Geschlecht
EL	φύλο
EN	sex
ES	sexo
ET	sugu
FI	sukupuoli
FR	sexe
GA	gnéas
HU	(biológiai) nem
IT	sesso
LT	lytis
LV	dzimums
MT	Sess
NL	sekse / geslacht
PL	płeć
PT	sexo
RO	sex
SK	pohlavie
SL	spol
SV	kön
NO	kjønn
UK	стать

განმარტება

ადამიანის ბიოლოგიური მახასიათებლები, უმეტესად, მდედრობითი ან მამრობითი.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტი (EIGE): გენდერული თანასწორობის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი და თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინი

★ გენდერი

სწავლისა და დასაქმებისთვის კვალიფიციურ მიგრანტთა ევროკავშირის პლატფორმა

BG	резерв на ЕС от таланти
CS	EU Talent Pool / rezervoár talentů EU
DE	EU-Talentpool
EL	Δεξαμενή Ταλέντων της ΕΕ
EN	EU Talent Pool
ES	reserva de talentos de la UE
ET	ELi talendireserv
FI	EU:n osaajareservi
FR	réservoir européen de talents
GA	linn tallann an Aontais Eorpaigh
HU	EU Tehetségbázis
IT	N/A
LT	ES talentų bazė
LV	ES talantu fonds
MT	Riserva ta' Talenti fl-UE
NL	EU-talentenpool
PL	Europejska Pula Talentów
PT	Bolsa de talentos da UE
RO	Rezerva de talente din UE / Fondul de talente din UE
SK	EU Talent Pool
SL	nabor talentov EU
SV	EU-talangreserv
NO	EUs talentbase
UK	Фонд талантів ЄС

განმარტება

ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი დასაქმების საერთაშორისო პლატფორმა, რომლის მეშვეობით მესამე ქვეყნების კვალიფიციურ მოქალაქეებს შეუძლიათ ევროკავშირში მიგრაციის ინტერესის გამოხატვა, ევროკავშირის შესაბამის უწყებებსა და დამსაქმებლებს კი - მათი იდენტიფიცირება კონკრეტულ საჭიროებათა მიხედვით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

წყარო: ევროკომისია: კომუნიკე მიგრაციისა და თავშესაფრის ახალი პაქტის შესახებ, (COM(2020) 609 საბოლოო რედაქცია)

სინონიმი

★ სწავლისა და დასაქმებისთვის კვალიფიციურ მიგრანტთა პლატფორმა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ეკონომიკური მიგრაცია**

დაკავშირებული ტერმინი

★ **პარტნიორობა სწავლისა და დასაქმებისთვის**

შენიშვნები

1. სწავლისა და დასაქმებისთვის კვალიფიციურ მიგრანტთა ევროკავშირის პლატფორმა წარმოადგენს მიგრაციისა და თავშესაფრის შესახებ ახალი პაქტის ერთ-ერთ ძირითად პრაქტიკულ სამიზნეს, რომელიც გულისხმობს ევროკავშირში კვალიფიციურ მუშაკთა მოზიდვას და ადგილობრივ თემებში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობას.

2. 2022 წლის 10 ოქტომბერს ევროკომისიამ აამოქმედა კვალიფიციურ მიგრანტთა ევროკავშირის პლატფორმის საპილოტე ინიციატივა, რომელიც წარმოადგენს დასაქმების ახალ ონლაინ საძიებო სისტემას და მიზნად ისახავს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ქვეყნიდან იძულებით გადაადგილებულთა დახმარებას ევროკავშირში მათი დასაქმების ხელშეწყობის გზით. ონლაინ სისტემა ფუნქციონირებს ინგლისურ, უკრაინულ და რუსულ ენებზე და ხელმისაწვდომია დასაქმების ევროპული პორტალის EURES-ის მეშვეობით.

3. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროკავშირის ვებგვერდი უნარებისა და კვალიფიკაციების შესახებ

სხვადასხვა ქვეყანაში თავშესაფრის ძიებაში მყოფი ლტოლვილი

BG	no translation
CS	refugee in orbit (no translation)
DE	refugee in orbit (no usual translation)
EL	πρόσφυγας σε τροχιά
EN	refugee in orbit
ES	refugiados en órbita
ET	ringlev pagulane (no usual translation)
FI	kiertävä pakolainen
FR	réfugié en orbite
GA	dídeanaí ag fithisiú
HU	no usual translation
IT	rifugiato vagante
LT	pabėgėlis orbitoje
LV	riņķojošs bēglis
MT	Rifuġjat(a) f'orbita / f'limbu
NL	vluchteling in orbit
PL	uchodźca na orbicie / refugee in orbit
PT	refugiado em órbita
RO	refugiat pe orbită
SK	utečenec v pohybe / refugee in orbit
SL	refugee in orbit / tavajoči begunec
SV	flykting på väg / flykting som slussas mellan länder
NO	videresendt flyktning (b); vidaresend flyktning (n)
UK	біженець у русі

განმარტება

ლტოლვილი, რომელსაც (მიუხედავად იმისა, რომ ის არ იქნა დაბრუნებული ქვეყანაში, რომელშიც შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი) უარი ეთქვა თავშესაფრის მინიჭებაზე, ან ვერ პოულობს სახელმწიფოს, რომელიც განიხილავს მის შესაბამის მოთხოვნას და შესაბამისად, თავშესაფრის მუდმივი ძიების პროცესში გადაადგილდება ერთი ქვეყნიდან მეორეში.

წყარო

UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინები

- დე ფაქტო ლტოლვილი
- გაძევების გადავადება

ტერიტორიაზე დაშვება

BG	допускане на територията
CS	povolení ke vstupu na území
DE	Zulassung zum Hoheitsgebiet
EL	εισδοχή στην επικράτεια
EN	admission onto the territory
ES	entrada legal al territorio
ET	riiki lubamine
FI	maahantulon salliminen
FR	admission sur le territoire
GA	cead isteach sa chríoch
HU	egy állam területére történő befogadás
IT	ammissione sul territorio
LT	įleidimas į teritoriją
LV	uzņemšana teritorijā
MT	Dħul fit-territorju
NL	toegang tot het grondgebied
PL	przyjęcie / dopuszczenie na terytorium
PT	entrada no território
RO	admisie pe teritoriu
SK	povolenie vstupu na územie štátu
SL	(zakoniti) vstop na ozemlje
SV	tillstånd att resa in i landet
NO	adgang til riket (b); tilgjenge til riket (n)
UK	допуск на територію

განმარტება

იმიგრაციის საკითხებზე უფლებამოსილი მესაზღვრის მიერ უცხოელის შემოწმების და შესაბამისი ნებართვის გაცემის შემდეგ მისი კანონიერი შესვლა ქვეყნის ტერიტორიაზე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი 2019 წ. ტერმინის '(ქვეყანაში) დაშვება' განმარტება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ლეგალური შესვლა

შენიშვნა

შენგენის შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებში შესვლისას ქვეყანაში დაშვების პროცედურის გავლა მოუწევთ მხოლოდ იმ ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც არ არიან შენგენის შეთანხმების ხელმომწერი, ხოლო არაშენგენის ზონის ქვეყნებში ყველა არამოქალაქე (უცხოელი) დაშვების პროცედურების შესაბამისად დაიშვება.

ტრანზიტი

BG	транзит
CS	tranzit
DE	Durchreise / Transit
EL	διέλευση
EN	transit
ES	tránsito
ET	läbisõit / transiit
FI	kauttakulku
FR	transit
GA	idirthuras
HU	tranzit
IT	transito
LT	tranzitas
LV	tranzīts
MT	Transitu
NL	transit / doorreis
PL	tranzyt
PT	trânsito
RO	tranzit
SK	tranzit
SL	tranzit
SV	transit
NO	transitt
UK	транзит

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქის მგზავრობა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნიდან ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში სატრანზიტო ქვეყნის გავლით.

ვიზის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქის მგზავრობა ერთი მესამე ქვეყნიდან მეორეში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფო(ები)ს გავლით.

წყაროები

მიგრაციის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ვიზის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ვიზის შესახებ საერთო საკონსულო მითითებები (2005/C 326/01), ტერმინის 'სატრანზიტო ვიზა' განმარტება

ტრანზიტული ლტოლვილი

BG	no translation
CS	refugee in transit (no translation)
DE	refugee in transit (no usual translation)
EL	πρόσφυγας σε ζώνη διέλευσης
EN	refugee in transit
ES	refugiado en tránsito
ET	transiidipagulane (no usual translation)
FI	kauttakulkupakolainen
FR	réfugié en transit
GA	dídeanaí idirthurais
HU	no usual translation
IT	rifugiato in transito
LT	tranzitinis pabėgėlis
LV	tranzītbēglis
MT	Rifuġjat(a) fi tranżitu
NL	vluchteling in transit
PL	uchodźca w tranzycie
PT	refugiado em trânsito
RO	refugiați admiși în vederea relocării (used when refering to refugees in Emergency Transit Centre in Timişoara)
SK	utečenec v tranzite / tranzitujúci utečenec
SL	begunec v tranzitu
SV	transitflykting
NO	flyktning i transitt
UK	транзитний біженець

განმარტება

ლტოლვილი, რომელიც დროებით დაშვებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში იმ პირობით, რომ ის განსახლდება სხვაგან (ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოში ან მესამე ქვეყანაში).

წყარო

UNHCR-ის ლტოლვილთა ტერმინოლოგიის საერთაშორისო თეზაურუსი

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული ლტოლვილი**
- ★ **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება**

შენიშვნები

1. ტერმინი დღესდღეობით ევროკავშირში ფართოდ არ გამოიყენება.

2. ტერმინი არ გულისხმობს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში მყოფ ლტოლვილებს.

ტრანსსასაზღვრო მუშაკი

BG	трансграничен работник
CS	přeshraniční pracovník / příhraniční pracovník
DE	Grenzgänger
EL	διασυνοριακός εργαζόμενος / μεθοριακός εργαζόμενος
EN	cross-border worker
ES	trabajador transfronterizo
ET	piiriülene töötaja
FI	rajatyöntekijä
FR	travailleur transfrontalier
GA	oibrí trasteorann
HU	határ menti ingázó munkavállaló
IT	lavoratore frontaliero
LT	darbuotojas, kertantis vidaus sienas
LV	pārrobežu darba ņēmējs
MT	Ħaddiem transkonfinali / jaqsam fruntiera
NL	grensarbeider
PL	pracownik transgraniczny
PT	trabalhador transfronteiriço
RO	lucrator transfrontalier
SK	cezhraničný pracovník
SL	čezmejni delavec
SV	gränsarbetare
NO	grensependler (b); grensependlar (n)
UK	транскордонний працівник

განმარტება

პირი, რომელიც დასაქმებულია ან თვითდასაქმებულია ევროკავშირის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, მაგრამ ცნობილია, რომ ბინადრობს ევროკავშირის სხვა (მეზობელ) წევრ სახელმწიფოში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

წყარო: საგადასახადო და საბაჟო კავშირის გენერალური დირექტორატის (DG TAXUD) მიერ მიღებული ტერმინის 'ტრანსსასაზღვრო მუშაკები' განმარტება

დაკავშირებული ტერმინი

★ **საზღვრისპირა მუშაკი**

შენიშვნები

1. ტრანსსასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით, ტერმინის 'ტრანსსასაზღვრო მუშაკი' არაერთი განმარტება არსებობს.

2. ტრანსსასაზღვრო მუშაკის ცნება განსხვავებულ გარემოებებს მოიცავს, რაც რიგ შემთხვევაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად იძენს ის სოციალური ჯგუფის მნიშვნელობას (რაც უკავშირდება სოციალური დაცვის საკითხებს), ხოლო სხვა შემთხვევებში ცნება შესაძლოა ეფუძნებოდეს ორმაგი დაბეგვრის შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებებში მოცემულ, განსხვავებულ განმარტებებს.

3. გადასახადის საკითხთან მიმართებით, ორმაგი დაბეგვრის შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებებში, რომლებიც საზღვრისპირა მუშაკების მიმართ გამოსაყენებელ დაბეგვრის ოპტიმიზაციის სქემებს ადგენს, უფრო მეტად შემზღუდავი განმარტებებია გამოყენებული, რაც, დამატებით, კიდევ ერთ სივრცით კრიტერიუმს აწესებს: საზღვრისპირა ზონაში ცხოვრების და მუშაობის ფაქტს.

4. ხშირ შემთხვევაში, 'ტრანსსასაზღვრო მუშაკები' და 'საზღვრისპირა მუშაკები' სინონიმებად ითვლება. თუმცა ტრანსსასაზღვრო მუშაკები განსხვავდებიან საზღვრისპირა მუშაკებისაგან, იმდენად რამდენადაც არ არის აუცილებელი, რომ ისინი მიმღები ქვეყნის საზღვრისპირა ზონაში მუშაობდნენ.

უარი შესვლაზე

BG	отказ за влизане
CS	odmítnutí vstupu
DE	Verweigerung der Einreise (EU acquis); Einreiseverbot (DE)
EL	απαγόρευση εισόδου
EN	refusal of entry
ES	denegación de entrada
ET	sisenemiskeeld / isiku riiki mittelubamine
FI	käännyttäminen / pääsyn epääminen
FR	refus d'entrée
GA	náisiúnaigh tríú tír ar diúltaíodh iontráil dóibh
HU	beléptetés megtagadása
IT	respingimento (rifiuto di ingresso)
LT	neįleidimas
LV	ieceļošanas atteikums
MT	Dħul miċħud / Tbarrija
NL	toegangsweigering
PL	odmowa wjazdu
PT	recusa de entrada a nacional de estado terceiro
RO	refuzarea intrării
SK	odopretie vstupu
SL	zavrnitev vstopa
SV	avvisning
NO	innreisenekt
UK	відмова у в'їзді

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმა პირისთვის, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ შესვლის ყველა პირობას.

ევროკავშირის კონტექსტში, მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის ევროკავშირის გარე საზღვრის კვეთაზე უარის თქმა იმ მიზეზით, რომ ის არ აკმაყოფილებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი) მე-6(1) მუხლით დადგენილ, ქვეყანაში შესვლის ყველა პირობას და არ მიეკუთვნება ამავე რეგულაციის მე-6(5) მუხლში მითითებულ პირთა კატეგორიას.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EC) N862/2007 (რეგულაცია მიგრაციის სტატისტიკის შესახებ) მე-2(q) მუხლში მოცემული ტერმინის 'მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც ეკრძალებათ ქვეყანაში შესვლა' განმარტება

დაკავშირებული ტერმინები

- ★ სასაზღვრო კონტროლი
- ★ ევროკავშირის გარე საზღვარი
- ★ ევროკავშირის შიდა საზღვარი
- ★ კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა
- ★ ლეგალური შესვლა

უკან გაბრუნება

BG	отблъскване
CS	pushback
DE	Pushback (no usual translation)
EL	Επαναπροώθηση
EN	push back
ES	retroceso forzado
ET	tagasitõrjumine
FI	N/A
FR	renvoi illégal de migrants
GA	brú siar
HU	push back
IT	respingimento
LT	apgręžimas
LV	novirzīšana atpakaļ
MT	push back
NL	pushback
PL	push back
PT	reenvio forçado
RO	respingere la frontieră / push back
SK	vytláčanie migrantov na vonkajších hraniciach / push back
SL	nezakonito zavračanje
SV	push back
NO	push back
UK	видворення

განმარტება

სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომები, რომელთა შედეგად ხდება მიგრანტების (მათ შორის, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლების) იძულებით მყისიერი გაბრუნება იმ ქვეყანაში, რომლიდანაც მათ სცადეს საერთაშორისო საზღვრის გადაკვეთა ან გადაკვეთეს საერთაშორისო საზღვარი; იმის გათვალისწინებით, რომ მათ არ ჰქონიათ წვდომა საერთაშორისო დაცვის ან თავშესაფრის პროცედურებზე ან უარი ეთქვათ დაცვის საჭიროებათა ინდივიდუალურ განხილვაზე, რაც შეიძლება იწვევდეს არგაძევების პრინციპის დარღვევას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

გაეროს სპეციალური მომხსენებელი მიგრანტთა ადამიანის უფლებების საკითხებში (OHCHR): ხმელეთსა და ზღვაში მყოფ მიგრანტთა უკან გაბრუნების ზეგავლენა ადამიანის უფლებებზე, 2021 წლის 12 მაისი.

სინონიმი

★ ზღვაში მყოფი მიგრანტების უკან გაბრუნება

დაკავშირებული ტერმინი

★ **არგაძევების პრინციპი**

შენიშვნები

1. იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციის სფეროში გამოყენებული ტერმინის 'უკან გაბრუნება' საყოველთაოდ შეთანხმებული სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, ის შეიძლება გაგებულ იქნეს, როგორც არგაძევების ზოგადი პრინციპის დარღვევით განხორციელებული ქმედება.

2. ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის მე-18 მუხლით გარანტირებულია თავშესაფრის უფლება, ხოლო მე-19 მუხლი კრძალავს კოლექტიურ გაძევებას. აღნიშნული მუხლი, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლი კრძალავს პირის გაძევებას ან ექსტრადირებას სახელმწიფოში, სადაც ის შეიძლება აღმოჩნდეს სიკვდილით დასჯის, წამების ან სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის სერიოზული რისკის წინაშე. დაცვის აღნიშნული ინსტრუმენტები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს გარედან (იგულისხმება შემთხვევები, როდესაც ევროკავშირის შესაბამისი სააგენტოები ევროკავშირის ფარგლებს გარეთ მოქმედებენ).

3. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 21-ე(1) მუხლი განსაზღვრავს გაძევების დაუშვებლობის პრინციპს (ისევე, როგორც მას განსაზღვრავს ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) 33-ე მუხლი) და შესაბამისად, უკრძალავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, გააძევონ საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის წარმდგენი პირი ქვეყანაში, სადაც ის შეიძლება აღმოჩნდეს დევნის სერიოზული რისკის წინაშე. TFEU-ს 78-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ევროკავშირმა უნდა უზრუნველყოს თავშესაფრის, დამატებითი დაცვისა და დროებითი დაცვის ერთიანი პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო დაცვის მაძიებელი ნებისმიერი მესამე ქვეყნის მოქალაქისთვის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსის მინიჭებას, არგაძევების პრინციპის დაცვით.

4. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ევროპარლამენტის კვლევითი სამსახურის მიერ მომზადებული დოკუმენტი „უკან გაბრუნება ევროკავშირის გარე საზღვრებზე“

უმცირესობა

BG	малцинство
CS	menšina
DE	Minderheit
EL	μειονότητα
EN	minority
ES	minoría
ET	vähemus
FI	vähemmistö
FR	minorité
GA	mionlach
HU	kissebbség
IT	minoranza
LT	mažuma
LV	minoritāte
MT	Minoranza / F'minoranza
NL	minderheid
PL	mniejszość
PT	minoria
RO	minoritate
SK	menšina
SL	manjšina
SV	minoritet
NO	minoritet
UK	меншина

განმარტება

მოსახლეობის არადომინანტური ჯგუფი, რომელიც რაოდენობრივად მცირეა სახელმწიფოს ან რეგიონის ძირითად მოსახლეობასთან შედარებით, რაც გამოიხატება მის განსხვავებულ ეთნიკურ, რელიგიურ თუ ლინგვისტურ მახასიათებლებში, და რომელიც (თუნდაც ნაგულისხმევად) ინარჩუნებს კავშირს თავის კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

- ★ ეთნიკური უმცირესობა
- ★ ეროვნული უმცირესობა

დაკავშირებული ტერმინი

- ★ ეთნიკური კუთვნილება

შენიშვნები

1. საერთაშორისო სამართალში უმცირესობის საყოველთაოდ მიღებული განმარტება ჯერაც არ არსებობს, თუმცა რიგი საერთაშორისო დოკუმენტების შემუშავებისას იყო 'უმცირესობის' ცნების განსაზღვრის მცდელობა. მაგალითისთვის იხ. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ 1966 წლის საერთაშორისო პაქტის (ICCPR) 27-ე მუხლი.

2. ზემოაღნიშნული განმარტება დამატებულია საერთაშორისო დაცვისა და ინტეგრაციის საკითხებთან ტერმინის კავშირის გამო.

ურთიერთაღიარების შეთანხმება

BG	споразумение за взаимно признаване
CS	smlouva o vzájemném uznávání rovnocennosti dokladů o vzdělání
DE	gegenseitige Anerkennungsvereinbarung
EL	συμφωνία αμοιβαίας αναγνώρισης
EN	mutual recognition agreement
ES	acuerdo de reconocimiento mutuo
ET	vastastikuse tunnustamise leping
FI	sopimus vastavuoroisesta tunnustamisesta
FR	accord de reconnaissance mutuelle
GA	comhaontú maidir le haitheantas frithpháirteach
HU	kölcsönös elismerési megállapodás
IT	accordo di reciproco riconoscimento
LT	susitarimas dėl abipusio pripažinimo
LV	savstarpējas atzīšanas līgums
MT	Ftehim għar-rikonoxximent reċiproku
NL	overeenkomst inzake wederzijdse erkenning
PL	umowa o wzajemnym uznaniu kwalifikacji
PT	acordo de reconhecimento mútuo
RO	acord de recunoaștere mutuală
SK	dohoda o vzájomnom uznávaní rovnocennosti dokladov o vzdelaní
SL	sporazum o vzajemnem priznavanju
SV	avtal om ömsesidigt erkännande av kvalifikationer
NO	avtale om gjensidig godkjenning
UK	договір про взаємне визнання

განმარტება

შეთანხმებები უცხოური კვალიფიკაციების აღიარების შესახებ, რომლებიც შემუშავებულია სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებისა და პროფესიული ორგანიზაციების მიერ, შეთანხმების ხელმომწერ ქვეყნებს შორის მიგრირებული სპეციალისტების ლიცენზირების ან სერტიფიცირების წესების განსაზღვრის მიზნით. შეთანხმება გამიზნულია ინდივიდუალური შეფასების საჭიროების შემცირების ან სრულად გაუქმებისთვის იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებლებს მიღებული აქვთ განათლება ისეთ საგანმანათლებლო სისტემაში, რომელმაც ისინი აღჭურვა არსებითად ურთიერთშედარებადი უნარებითა და ცოდნით.

წყარო

მიგრაციის პოლიტიკის ინსტიტუტი: კვალიფიციური იმიგრანტები გლობალურ ეკონომიკაში: უცხოური კვალიფიკაციების აღიარების საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტივები, 2013 წ.

სინონიმი

★ MRA

დაკავშირებული ტერმინი

★ **მაღალკვალიფიციური მიგრანტი**

შენიშვნები

1. ურთიერთაღიარების შეთანხმებები, ერთი მხრივ, ამცირებს ბარიერებს, რომლებსაც მიგრანტი სპეციალისტები აწყდებიან საკუთარი უნარებისა და გამოცდილების საზღვარგარეთ გამოყენებისას, ხოლო, მეორე მხრივ, ეხმარება მთავრობებს განსხვავებულ საგანმანათლებლო სისტემებში მიღებული პროფესიული კვალიფიკაციების აღიარებაში. შეთანხმებები შეიძლება სხვადასხვა სახის იყოს და ძირითადად ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება მოქმედების მასშტაბით და განმცხადებლებისთვის დაწესებული შეღავათებით (კვალიფიკაციის ავტომატური, ნაწილობრივი ან შეზღუდული მასშტაბით აღიარება, დროებითი აღიარება).

2. რეგულირებად პროფესიებთან დაკავშირებით ყველაზე მასშტაბური და ყოვლისმომცველი სისტემაა ევროკავშირის სისტემა, რომელიც ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2005/36/EC (დირექტივა პროფესიული კვალიფიკაციების შესახებ) შესაბამისად, მოიცავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ ყველა რეგულირებად პროფესიას და ზღუდავს მარეგულირებელი ორგანოების დისკრეციულ უფლებამოსილებას, უარი უთხრან იმ განმცხადებლებს, რომლებზეც ვრცელდება აღნიშნული დირექტივის მოქმედების სფერო.

უსაფრთხო მესამე ქვეყანა

BG	сигурна трета страна
CS	bezpečná třetí země
DE	sicherer Drittstaat
EL	ασφαλής τρίτη χώρα
EN	safe third country
ES	tercer país seguro
ET	turvaline kolmas riik
FI	turvallinen kolmas maa
FR	pays tiers sûr
GA	tríú tír atá sábháilte
HU	biztonságos harmadik ország
IT	paese terzo sicuro
LT	saugi trečioji šalis (EU acquis); saugi trečioji valstybė
LV	droša trešā valsts
MT	Pajjiż terz sigur / bla perikli
NL	veilig derde land
PL	bezpieczny kraj trzeci
PT	país terceiro seguro
RO	țară / stat terț(ă) sigură
SK	bezpečná tretia krajina
SL	varna tretja država
SV	säkert tredjeland
NO	trygt tredjeland
UK	безпечна третя країна

განმარტებები

მესამე ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო დაცვის მაძიებელს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განიხილავს. კერძოდ:

(ა) საფრთხე არ ემუქრება პირის სიცოცხლესა და თავისუფლებას რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო;

(ბ) არ არსებობს სერიოზული ზიანის მიღების რისკი, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივაში 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მოცემული განმარტების შესაბამისად;

(გ) დაცულია არგაძევების პრინციპი ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციისა და ოქმის შესაბამისად;

(დ) პირის გაძევებისას დაცულია საერთაშორისო სამართლით გარანტირებული, წამების და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის პრინციპი; და

(ე) არსებობს ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შესაძლებლობა, ხოლო, ლტოლვილის სტატუსის დადგენის შემთხვევაში, დაცვის მიღების შესაძლებლობა ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციის (და ოქმის) შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 38-ე მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მესამე ქვეყანა**

დაკავშირებული ტერმინი

★ **უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**

უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა

BG	сигурна страна на произход
CS	bezpečná země původu
DE	sicherer Herkunftsstaat
EL	ασφαλής χώρα προέλευσης
EN	safe country of origin
ES	país de origen seguro
ET	turvaline päritoluriik
FI	turvallinen alkuperämaa
FR	pays d'origine sûr
GA	tír thionscnaimh atá sábháilte
HU	biztonságos származási ország
IT	paese di origine sicuro
LT	saugi kilmės šalis (EU acquis); saugi kilmės valstybė
LV	droša izcelsmes valsts
MT	Pajjiż tal-oriġini sigur / bla perikli
NL	veilig land van herkomst
PL	bezpieczny kraj pochodzenia
PT	país de origem seguro
RO	țara de origine sigură
SK	bezpečná krajina pôvodu
SL	varna izvorna država
SV	säkert ursprungsland
NO	trygt hjemland (b); trygt heimland (n)
UK	безпечна країна походження

განმარტება

ქვეყანა, რომელშიც მოქმედი კანონმდებლობის, დემოკრატიულ სისტემაში მისი აღსრულების და ზოგადი პოლიტიკური გარემოებების საფუძველზე დასტურდება, რომ ადგილი არ აქვს ზოგადად და ხანგრძლივად დევნას, როგორც ეს განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-9 მუხლში; ასევე წამებას ან არაადამიანურ თუ დამამცირებელ/ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას; ასევე, არ არსებობს საფრთხე საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტით გამოწვეული განურჩეველი ძალადობის გამო.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) დანართი 1

სინონიმი

★ უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის ცნება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა

დაკავშირებული ტერმინი

★ უსაფრთხო მესამე ქვეყანა

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 37-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ძალაში დატოვონ ან შემოიღონ კანონმდებლობა, რომელიც, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვის მიზნებისთვის, უსაფრთხო ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

2. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 29-ე ოქმის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი უნდა მიიჩნიონ უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებად თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი და პრაქტიკული მიზნის ფარგლებში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე ნებისმიერი განცხადება, როგორც წესი, არ განიხილება.

3. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა შეაფასონ მდგომარეობა უსაფრთხოდ მიჩნეულ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში.

4. ქვეყნის უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნად მისაჩნევად საჭიროა მრავალი სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება; როგორიცაა ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს (EUAA), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR), ევროპის საბჭოს და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

5. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების განახლებული რედაქცია) 36-ე მუხლის თანახმად, ცნება 'უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა' ნიშნავს, რომ მესამე ქვეყანა განცხადების ინდივიდუალური განხილვის შემდეგ მიჩნეულია უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნად კონკრეტული განმცხადებლის შემთხვევაში, თუ:

უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა [გაგრძ.]

– ის ფლობს ამ ქვეყნის მოქალაქეობას; ან
– ის არის მოქალაქეობის არმქონე პირი და მანამდე ცხოვრობდა მოცემულ ქვეყანაში;
ამასთან, ამ პირებს არ წარმოუდგენიათ სერიოზული საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მიხედვით მათთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების მიზნებისთვის მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა არ უნდა იქნეს მიჩნეული მათთვის უსაფრთხოდ მათი ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანი პოლიტიკა (CSDP)

BG	достъп до производство за международна закрила
CS	Společná bezpečnostní a obranná politika
DE	Gemeinsame Sicherheits- und Verteidigungspolitik
EL	Κοινή Πολιτικής Ασφαλείας και Άμυνας (ΚΠΑΑ)
EN	Common Security and Defence Policy (CSDP)
ES	Política común de seguridad y defensa
ET	ühine julgeoleku- ja kaitsepoliitika
FI	yhteinen turvallisuus- ja puolustuspolitiikka
FR	politique de sécurité et de défense commune
GA	Comhbheartas Slándála agus Cosanta
HU	közös biztonság- és védelempolitikai műveletek
IT	Politica di sicurezza e di difesa comune
LT	Bendra saugumo ir gynybos politika
LV	Kopējās drošības un aizsardzības politika
MT	Politika ta' Sigurtà u ta' Difiża Komuni
NL	Gemeenschappelijk Veiligheids- en Defensiebeleid
PL	Wspólna Polityka Bezpieczeństwa i Obrony
PT	Política Comum de Segurança e Defesa
RO	Politica de securitate și apărare comună (PSAC)
SK	Spoločná bezpečnostná a obranná politika / SBOP
SL	Skupna varnostna in obrambna politika
SV	gemensamma säkerhets- och försvarspolitiken (GFSP)
NO	Felles sikkerhets- og forsvarspolitikk (b); felles tryggleiks- og forsvarspolitikk
UK	Спільна політика безпеки та оборони (CSDP)

განმარტება

პოლიტიკა, რომელსაც ეფუძნება ევროკავშირის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ჩარჩო და რომლის ფარგლებშიც ევროკავშირს შეუძლია მესამე ქვეყნებში განახორციელოს მშვიდობისა და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებისადმი მიმართული მისიები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ უზრუნველყოფილი სამოქალაქო და სამხედრო რესურსების მეშვეობით.

წყარო

უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურის ვებგვერდზე

სინონიმი

★ CSDP

შენიშვნები

1. უსაფრთხოებისა და თავდაცვის ერთიანმა პოლიტიკამ (CSDP) ჩაანაცვლა მანამდე არსებული ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (ESDP) და ის წარდგენილ იქნა ლისაბონის ხელშეკრულების ფარგლებში, როგორც საგარეო და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის (CFSP) განუყოფელი ნაწილი.
2. როგორც წინამორბედ ხელშეკრულებებში, CSDP ერთ-ერთი ძირითადი საკითხია მთავრობათაშორის დონეზე განსახილველ საკითხთა შორის.
3. 2015 წლის მაისის მიგრაციის ევროპულ დღის წესრიგში გათვალისწინებულია CSDP ოპერაციების ჩატარება საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ადამიანით მოვაჭრეთა ქსელების განადგურებისა და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანასთან ბრძოლის მიზნით. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. DG Home-ის ვებგვერდი: მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი.

უცხოელთა ჯგუფი

BG	брой на чуждите граждани
CS	počet cizinců (stav k)
DE	Bestand der ausländischen Wohnbevölkerung
EL	απόθεμα πληθυσμού αλλοδαπών
EN	stock of foreigners
ES	stock de población extranjera
ET	välismaalaste arv
FI	ulkomaalaisväestön määrä
FR	stock de population étrangère / stock d'étrangers
GA	líon eachtrannach / stoc eachtrannach
HU	külföldi népesség száma
IT	stock di popolazione straniera
LT	užsieniečių skaičius
LV	ārzemnieku skaits (1. janvārī)
MT	Rendikont tal-barranin / Rendikont tal-Popolazzjoni Barranija
NL	bevolking van buitenlandse nationaliteit
PL	populacja cudzoziemców w danym momencie
PT	stock de população estrangeira / stock de estrangeiros
RO	stoc de străini
SK	stav cudzincov / počet cudzincov
SL	število tujcev
SV	antal utländska medborgare
NO	antall utenlandske borgere (b); tal på utanlandske borgarar (n)
UK	чисельність іноземців

განმარტება

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რიცხოვნობა მოცემულ ტერიტორიაზე შესაბამისი წლის კონკრეტული თარიღისთვის (მაგ., 1 იანვარს ან 31 დეკემბერს).

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ქვეყნის უცხოელი მოსახლეობა**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მიგრანტთა ჯგუფი**

დაკავშირებული ტერმინი

★ **მოსახლეობის ჯგუფი**

შენიშვნები

1. ტერმინი დამატებულია მოსახლეობის ჯგუფის გამოსათვლელად გამოყენებული ორი მეთოდის გამო.
2. უცხოელთა ჯგუფი შეიძლება მოიცავდეს მიგრანტებს, ასევე მოცემულ ტერიტორიაზე მცხოვრებ უცხოელთა შვილებს, რომლებიც ამავე ტერიტორიაზე დაიბადნენ.

უცხოელი

BG	чужденец
CS	cizinec
DE	Ausländer
EL	αλλοδαπός
EN	alien
ES	extranjero
ET	välismaalane
FI	ulkomaalainen
FR	étranger
GA	eachtrannach
HU	külföldi
IT	straniero
LT	užsienietis
LV	ārzemnieks
MT	Persuna barranija / għariba
NL	vreemdeling
PL	cudzoziemiec
PT	estrangeiro
RO	străin
SK	cudzinec
SL	tujec
SV	utlänning
NO	utlending / utenlandsk borger (b); utlending / utanlandsk borgar (n)
UK	іноземець

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, პირი, რომელიც არ არის მოცემული სახელმწიფოს მოქალაქე (დაბადებით ან მოქალაქეობის მიღებით).

ევროკავშირის კონტექსტში, პირი, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი არცერთი სახელმწიფოს მოქალაქე.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: შემუშავდა EMN ის მიერ.
IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.
ევროკავშირის კონტექსტი: შენგენის კანონმდებლობა

სინონიმი

★ უცხო ქვეყნის მოქალაქე

დაკავშირებული ტერმინები

★ **ევროკავშირის არამოქალაქე პირი**
★ **მესამე ქვეყნის მოქალაქე**

შენიშვნა

ევროკავშირის კონტექსტში უფრო ხშირად გამოყენებული ტერმინია 'მესამე ქვეყნის მოქალაქე'.

უცხოური კვალიფიკაციების აღიარება

BG	признаване на чуждестранни квалификации
CS	uznávání zahraničních kvalifikací
DE	Anerkennung ausländischer Qualifikationen
EL	αναγνώριση τίτλων σπουδών της αλλοδαπής
EN	recognition of foreign qualifications
ES	reconocimiento de cualificaciones obtenidas en el extranjero
ET	välisriigi kvalifikatsiooni tunnustamine
FI	Ulkomailla suoritettujen tutkintojen kelpoisuuden tunnustaminen työtä tai opiskelupaikkaa haettaessa
FR	reconnaissance des qualifications acquises à l'étranger
GA	aithint cáilíochtaí iasachta
HU	külföldi képesítések elfogadása
IT	riconoscimento della qualifica estera
LT	užsienyje įgytų kvalifikacijų pripažinimas
LV	ārvalstīs iegūtu kvalifikāciju atzīšana
MT	Rikonoxximent ta' kwalifiki barranin
NL	erkenning van buitenlandse getuigschriften
PL	uznanie kwalifikacji (zawodowych) cudzoziemca
PT	reconhecimento de qualificações obtidas no estrangeiro
RO	recunoaşterea calificărilor din străinătate
SK	uznávanie odborných kvalifikácií zo zahraničia / uznávanie dokladov o vzdelaní zo zahraničia
SL	priznavanje tujih kvalifikacij
SV	erkännande av utländska kvalifikationer
NO	godkjenning av utenlandske kvalifikasjoner (b); godkjenning av utanlandske kvalifikasjonar (n)
UK	визнання іноземних кваліфікацій

განმარტება

კომპეტენტური ორგანოს მიერ უცხოური კვალიფიკაციის ნამდვილობის ოფიციალური აღიარება, პირის საგანმანათლებლო და/ან დასაქმებასთან დაკავშირებულ საქმიანობებზე წვდომის მიზნით.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 1-ელ მუხლში მოცემული ტერმინის '(განათლების) აღიარება' განმარტება

ფიქციურად შვილად აყვანა

BG	no translation
CS	účelové osvojení
DE	Scheinadoption
EL	εικονική υιοθεσία
EN	adoption of convenience
ES	adopción de conveniencia
ET	mugavuslapsendamine
FI	harhautustarkoituksessa toteutettu adoptio
FR	adoption de complaisance
GA	uchtú áise
HU	névleges örökbefogadás
IT	adozione fittizia
LT	fiktyvus įvaikinimas
LV	fiktīva adopcija
MT	Addozzjoni ta' konvenjenza
NL	schijnadoptie
PL	adopcja fikcyjna
PT	adopção de conveniência
RO	adoptie de convenienta
SK	účelové osvojenie
SL	posvojitev iz koristoljubja
SV	skenadoption
NO	proformaadopsjon
UK	усиновлення за домовленістю / фіктивне усиновлення

განმარტება

შვილად აყვანა, რომელიც ფორმდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ შვილად აყვანილ პირს მიეცეს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შესვლის ან ცხოვრების შესაძლებლობა.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-16(2b) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ შვილად აყვანა

დაკავშირებული ტერმინები

★ ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა
★ ფიქციური ქორწინება
★ ფიქციური პარტნიორობა

ფიქციური პარტნიორობა

BG	партньорство, сключено с единствената цел да се даде възможност на заинтересованите лица да влязат или да пребивават в държава-членка
CS	účelové partnerství
DE	Scheinpartnerschaft
EL	εικονικό σύμφωνο συμβίωσης / σύμφωνο συμβίωσης συμφέροντος
EN	partnership of convenience
ES	pareja de hecho de conveniencia
ET	partnerlus riiki sisenemise eesmärgil / mugavuspartnerlus
FI	harhautustarkoituksessa solmittu parisuhde
FR	partenariat de complaisance
GA	comhpháirtíocht áise
HU	névleges élettársi kapcsolat
IT	relazione stabile fittizia
LT	fiktyvi partnerystė
LV	fiktīvas partnerattiecības
MT	Sħubija / Unjoni ta' konvenjenza
NL	schijnpartnerschap
PL	(fikcyjny) związek partnerski stworzony w celu obejścia przepisów umożliwiających legalizację pobytu
PT	parceria de conveniência
RO	parteneriat civil de convenineță
SK	účelové partnerstvo
SL	navidezna zakonska zveza
SV	skenpartnerskap
NO	proformapartnerskap (b); proformapartnarskap (n)
UK	партнерство за домовленістю / фіктивне партнерство

განმარტება

ხელშეკრულების საფუძველზე გაფორმებული ურთიერთობა, რომლის ერთადერთი მიზანია კონკრეტული პირის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შესვლა ან დასახლება.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-16(2b) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ფიქციურად შვილად აყვანა
- ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა
- ცრუ განცხადება მშობლობის შესახებ
- ფიქციური ქორწინება

ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა

BG	no translation
CS	účelové partnerství
DE	zivile Scheinpartnerschaft
EL	εικονικό σύμφωνο συμβίωσης / σύμφωνο συμβίωσης συμφέροντος
EN	civil partnership of convenience
ES	unión civil de conveniencia
ET	tsiviilpartnerlus (riigis seadusliku viibimise aluse saamiseks)
FI	harhautustarkoituksessa solmittu rekisteröity parisuhde
FR	partenariat civil de complaisance
GA	páirtnéireacht shibhialta áise
HU	névleges élettársi kapcsolat
IT	unione civile fittizia
LT	fiktyvi registruota partnerystė
LV	fiktīvas partnerattiecības
MT	Sħubija / Unjoni ċivili ta' konvenjenza
NL	schijnpartnerschap
PL	fikcyjny związek partnerski
PT	parceria civil de conveniência (casamento, união de facto ou adoção)
RO	parteneriat (civil) de convenienta
SK	účelové registrované partnerstvo
SL	partnerska skupnost iz koristoljubja
SV	skenpartnerskap
NO	proformapartnerskap (b); proformapartnarskap (n)
UK	цивільне партнерство за домовленістю

განმარტება

სამოქალაქო პარტნიორობა, რომელიც ფორმდება მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შესვლა ან დასახლება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-16(2b) მუხლში მოცემული ტერმინის 'პარტნიორობა' განმარტება

დაკავშირებული ტერმინები

- ★ ფიქციურად შვილად აყვანა
- ★ ცრუ განცხადება მშობლობის შესახებ
- ★ ფიქციური ქორწინება
- ★ ფიქციური პარტნიორობა

ფიქციური ქორწინება

BG	фиктивен брак
CS	účelové manželství
DE	Scheinehe
EL	γάμος συμφέροντος
EN	marriage of convenience
ES	matrimonio de complacencia
ET	fiktiivabielu / näiline abielu
FI	lumeavioliitto
FR	mariage de complaisance
GA	pósadh áisiúlachta
HU	érdekházasság
IT	matrimonio fittizio
LT	fiktyvi santuoka
LV	fiktīva laulība
MT	Żwieġ ta' konvenjenza / għall-konvenjenza
NL	schijnhuwelijk
PL	małżeństwo zawarte w celu obejścia przepisów umożliwiających legalizację pobytu / małżeństwo fikcyjne
PT	casamento de conveniência
RO	căsătorie de conveniență
SK	účelové manželstvo
SL	poroka iz koristoljubja
SV	skenäktenskap
NO	proformaekteskap
UK	шлюб за домовленістю / фіктивний шлюб

განმარტება

ქორწინება, რომელიც რეგისტრირებულია მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაინტერესებულმა პირმა შეძლოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში შესვლა ან დასახლება.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/86/EC (დირექტივა ოჯახის გაერთიანების უფლების შესახებ) მე-16(2b) მუხლი

დაკავშირებული ტერმინები

- ფიქციურად შვილად აყვანა
- ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა
- ცრუ განცხადება მშობლობის შესახებ
- ფიქციური პარტნიორობა

ფულადი გზავნილი

BG	парични трансфери на емигранти
CS	remitence
DE	Rücküberweisung
EL	έμβασμα
EN	remittance
ES	remesas
ET	rahaülekanded
FI	rahalähetys
FR	envois de fonds
GA	seoltán
HU	hazautalás
IT	rimessa
LT	pinigų perlaidos
LV	naudas pārvedumi
MT	Trasferimenti / Bgħit ta' flus (minn migranti lejn benefiċjarji f'pajjiżhom)
NL	geldovermaking / geldoverdracht / geldtransfer
PL	przekazy pieniężne / transfery pieniężne
PT	remessas
RO	remitență
SK	remitencie
SL	nakazilo
SV	överföring
NO	pengeoverføringer (b); pengeoverføringar (n)
UK	грошові перекази

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, ერთი პირის მიერ მეორისთვის შედარებით მცირე ოდენობით თანხის ტრანსსასაზღვრო გადახდა.

ევროკავშირის კონტექსტში, მიგრანტის მიერ მისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში მყოფი მიმღები პირებისთვის განხორციელებული ფინანსური გადარიცხვა.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: მსოფლიო ბანკი: საგადასახადო და საანგარიშსწორებო სისტემის საკითხთა კომიტეტი: ზოგადი პრინციპები ფულად გზავნილებთან დაკავშირებით, 2007 წლის იანვარი, გვ. 6

ევროკავშირის კონტექსტი: კომუნიკეს (COM(2005) 390 საბოლოო რედაქცია) N7 სქოლიო

დაკავშირებული ტერმინი

★ ცირკულარული მიგრაცია

ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება

BG	генитално осакатяване на жени
CS	ženská obřízka
DE	weibliche Genitalverstümmelung
EL	ακρωτηριασμός γυναικείων γεννητικών οργάνων
EN	female genital mutilation
ES	Mutilación genital femenina
ET	naiste suguelundite moonutamine
FI	naisten sukuelinten silpominen / naisten ympärileikkaus
FR	mutilations sexuelles féminines / mutilations génitales féminines
GA	ciorrú baill ghiniúna ban
HU	női nemiszerv-csonkítás
IT	mutilazione genitale femminile
LT	moters lytinių organų žalojimas
LV	sieviešu dzimumorgānu kropļošana
MT	Mutilazzjoni ġenitali tan-nisa
NL	vrouwelijke genitale verminking
PL	okaleczanie żeńskich organów płciowych
PT	mutiliação genital feminina
RO	
SK	mrzačenie ženských pohlavných orgánov / zmrzačovanie ženských pohlavných orgánov
SL	pohabljanje ženskih spolnih organov
SV	kvinnlig könsstympning
NO	kvinnelig kjønnslemlestelse (b); kvinneleg kjønnslemlesting (n)
UK	каліченння жіночих статевих органів

განმარტება

ნებისმიერი პროცედურა, რომელიც გულისხმობს ქალის გარე სასქესო ორგანოების ნაწილობრივ ან სრულად მოკვეთას ან სხვა სახის დაზიანების მიყენებას სპეციფიკური თემის კულტურისთვის დამახასიათებელი ქცევის ან სხვა არასამედიცინო მიზეზების გამო.

წყარო

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ვებ-გვერდი

სინონიმები

- FGM
- მოჭრა
- წინადაცვეთა
- ქალის წინადაცვეთა

დაკავშირებული ტერმინები

- გენდერული ნიშნით დევნა
- კონკრეტულ გენდერთან დაკავშირებული ძალადობა
- გარკვეული სოციალური ჯგუფი

შენიშვნები

1. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება საერთაშორისო დონეზე აღიარებულია ქალებისა და გოგონების ადამიანის უფლებების დარღვევად. ამ პრაქტიკით ასევე ირღვევა ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები, წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობისგან თავისუფლების უფლება, ასევე სიცოცხლის უფლება, როდესაც პროცედურა იწვევს სიკვდილს. ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრების პრაქტიკა მიიჩნევა დანაშაულებრივ ქმედებად ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოში.

2. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR) 2009 წლის სახელმძღვანელო შენიშვნებში აღნიშნულია, რომ გოგონა ან ქალი, რომელიც ითხოვს თავშესაფარს, რადგან მას იძულებით დაუსახიჩრეს სასქესო ორგანოები ან ის, სავარაუდოდ, გახდება სასქესო ორგანოების დასახიჩრების მსხვერპლი, შეიძლება დაკვალიფიცირდეს ლტოლვილად ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციით (და ოქმით) განსაზღვრული კრიტერიუმებით. UNHCR-ის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება მიჩნეულია გენდერული ძალადობის ერთ-ერთ ფორმად, რომელიც მძიმე ფსიქიკურ და ფიზიკურ ზიანს აყენებს ადამიანს და უტოლდება დევნას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR-ის სახელმძღვანელო შენიშვნა „ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებასთან დაკავშირებით ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნის შესახებ“, 2009 წ.

ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტი

BG	no translation
CS	cizinec, kterému brání ve vycestování překážka na jeho vůli nezávislá
DE	gestrandeter Migrant (term is not used in AT, DE, LU)
EL	εγκλωβισμένος μετανάστης
EN	stranded migrant
ES	migrante desamparado
ET	juhusisserändaja (no usual translation)
FI	maahan jäämään joutunut siirtolainen / No usual translation
FR	migrant en détresse / migrant bloqué
GA	imirceach sáinnithe
HU	megfeneklett migránsok
IT	migrante bloccato
LT	migrantas, atsidūręs sunkioje padėtyje
LV	grūtā stāvoklī nonācis migrants
MT	Migrant(a) imwaħħal (imwaħħla) fil-post
NL	gestrande migrant
PL	migrant przymusowy
PT	migrante retido
RO	migrant forțat să rămână pe teritoriu
SK	uviaznutý migrant
SL	ujet migrant
SV	strandsatt migrant
NO	migrant med påtvunget opphold (b); migrant med påtvinga opphald (n)
UK	застряглий мігрант

განმარტება

მიგრანტი, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იძულებულია, დარჩეს ქვეყანაში.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ მიგრანტი

შენიშვნები

1. ტერმინის 'ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტი' სამართლებრივი განმარტება არ არსებობს, თუმცა 2006 წლიდან ტერმინს იყენებენ აკადემიური სექტორის წარმომადგენლები და ორგანიზაციები, როგორიცაა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM).

2. იუნესკოს თანახმად, მიგრანტების ქვეყანაში იძულებით ჩარჩენა შეიძლება გამოიწვიოს წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში შექმნილმა გარემოებებმა, გახანგრძლივებულმა დაკავებამ ან პრაქტიკულმა სირთულეებმა. ქვეყანაში იძულებით ჩარჩენილი მიგრანტები შეიძლება იყვნენ პირები, რომლებსაც უარი ეთქვათ ლტოლვილის სტატუსის მინიჭებაზე.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. იუნესკოს სახელმძღვანელო People on the Move („გადაადგილების პროცესში მყოფი პირები").

ქვეყნის უცხოელი მოსახლეობა

BG	чуждестранно население на една държава
CS	populace cizinců v zemi
DE	ausländische Bevölkerung eines Landes
EL	αλλοδαπός πληθυσμός σε μια χώρα
EN	foreign population of a country
ES	población extranjera
ET	välisriigi kodanikest rahvastik
FI	maan ulkomainen väestö
FR	population étrangère d'un pays
GA	daonra eachtrannach tíre
HU	egy ország külföldi népessége
IT	popolazione straniera di un paese
LT	šalyje gyvenantys užsieniečiai
LV	ārvalstnieki
MT	Popolazzjoni barranija ta' pajjiż
NL	bevolking van buitenlandse nationaliteit
PL	populacja cudzoziemców z kraju
PT	população estrangeira
RO	populație străină
SK	populácia cudzincov v krajine
SL	tuje prebivalstvo države
SV	utländska medborgare
NO	et lands utenlandske befolkning (b); den utanlandske folkesetnaden i eit land (n)
UK	іноземне населення країни

განმარტება

ყველა ის პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს ერთ ქვეყანაში, თუმცა ფლობს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას.

წყარო

OECD-ს სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ უცხოელთა ჯგუფი

დაკავშირებული ტერმინი

★ მიგრანტთა ჯგუფი

ქვეყნის შიგნით დაცვა

BG	вътрешна закрила
CS	vnitrostátní ochrana
DE	interner Schutz
EL	εγχώρια προστασία
EN	internal protection
ES	protección interna
ET	riigisisene kaitse
FI	suojelu alkuperämaassa
FR	protection à l'intérieur du pays
GA	cosaint inmheánach
HU	belső védelem
IT	protezione all'interno del paese di origine
LT	vidaus apsauga
LV	iekšējā aizsardzība
MT	Protezzjoni internazzjonali
NL	binnenlandse bescherming
PL	ochrona wewnętrzna
PT	proteção internacional
RO	Protecția în interiorul țării
SK	vnútroštátna ochrana / vnútorná ochrana
SL	notranja zaščita
SV	internt skydd / internt flyktalternativ
NO	intern beskyttelse (b); internt vern (n)
UK	внутрішній захист

განმარტებები

ცნება, რომლის თანახმადაც განმცხადებელი არ საჭიროებს საერთაშორისო დაცვას, როდესაც:

(ა) მას არ აქვს საფუძვლიანი შიში, რომ შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი ან არ იმყოფება სერიოზული ზიანის მიღების რეალური რისკის ქვეშ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის რომელიმე ნაწილში; ან

(ბ) მისთვის ხელმისაწვდომია დევნისგან ან სერიოზული ზიანისგან დაცვა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის რომელიმე ნაწილში; მას შეუძლია უსაფრთხოდ და ლეგალურად გაემგზავროს და მიიღოს ქვეყნის ამ ნაწილში შესვლის ნებართვა და შეიძლება გონივრულად მოსალოდნელი იყოს, რომ იქ დასახლდება.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-8 მუხლი

სინონიმები

- ქვეყნის შიგნით გადაადგილების ალტერნატივა
- ქვეყნის შიგნით დაცვის ალტერნატივა
- ქვეყნის ფარგლებში განსახლების ალტერნატივა
- IFA
- IPA

დაკავშირებული ტერმინი

- **საერთაშორისო დაცვა**

შენიშვნა

იმის შეფასება, ხელმისაწვდომია თუ არა ქვეყნის შიგნით დაცვის ალტერნატივა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, არის საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების შეფასების ნაწილი და კონკრეტული შემთხვევის ყველა გარემოებას უნდა ითვალისწინებდეს. შეფასება უნდა განხორციელდეს განსახლების ადგილზე არსებული პირობების (მათ შორის, ადამიანის ძირითადი უფლებების, უსაფრთხოების პირობების, სოციალურ-ეკონომიკური პირობების, საცხოვრებლის, სამედიცინო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის) გათვალისწინებით, რათა დადგინდეს, თუ რა გავლენას მოახდენს პირზე შეთავაზებულ ადგილზე განსახლება და შეძლებს თუ არა ის მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელ პირობებში ცხოვრებას მოულოდნელი/გაუმართლებელი სირთულეების გარეშე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. UNHCR: სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: „ქვეყნის შიგნით გადაადგილების ან განსახლების ალტერნატივა ლტოლვილთა შესახებ 1951 წლის კონვენციის 1-ელი (A2) მუხლის და/ან 1967 წლის ოქმის ფარგლებში“, 2003 წლის ივლისი.

(ქვეყნის შიგნით) იძულებით გადაადგილებული პირი

BG	вътрешно разселено лице
CS	vnitřně vysídlená osoba
DE	Binnenvertriebener
EL	εσωτερικώς εκτοπισθείς
EN	internally displaced person
ES	población desplazada internamente
ET	riigisiseselt ümberasustatud isik / riigisisene põgenik
FI	maan sisällä siirtymään joutunut henkilö / maan sisäinen pakolainen
FR	personne déplacée à l'intérieur de son propre pays
GA	duine easáitithe de thír
HU	belső menekült
IT	sfollato interno
LT	viduje perkeltasis asmuo
LV	iekšzemē pārvietota persona
MT	Persuna sfollata internament / f'pajjiżha stess
NL	in eigen land ontheemd persoon
PL	osoba przesiedlona wewnętrznie
PT	deslocado interno
RO	persoană strămutată intern
SK	vnútorne vysídlená osoba
SL	notranje razseljena oseba (NRO)
SV	internflykting
NO	internt fordrevet person (b); internt fordriven person (n)
UK	внутрішньо переміщена особа

განმარტება

პირი ან პირთა ჯგუფები, რომლებიც იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი ჩვეული საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, შეიარაღებული კონფლიქტის, ზოგადი ძალადობის ფაქტების, ადამიანის უფლებების დარღვევის ან ბუნებრივი თუ ადამიანის ჩარევით გამოწვეული კატასტროფების შედეგად ან მათგან გამოწვეული ვითარების თავიდან ასაცილებლად და რომლებსაც, ამავდროულად, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული სახელმწიფო საზღვარი.

წყარო

იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, 1998 წ., მე-2 მუხლი

სინონიმები

- დევნილი
- IDP
- იგპ

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **გადაადგილებული პირი**

დაკავშირებული ტერმინები

- **დე ფაქტო ლტოლვილი**
- **ეკოლოგიური მიზეზებით გადაადგილებული პირი**
- **იძულებითი მიგრანტი**

შენიშვნა

დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. (ქვეყნის შიგნით) იძულებითი გადაადგილების მონიტორინგის საერთაშორისო ცენტრის (IDMC) ვებგვერდი.

ქსენოფობია

BG	ксенофобия
CS	xenofobie
DE	Ausländerfeindlichkeit / Fremdenfeindlichkeit / Xenophobie
EL	ξενοφοβία
EN	xenophobia
ES	xenofobia
ET	ksenofoobia / võõraviha
FI	muukalaispelko, muukalaisviha; vieraanpelko, vierasviha
FR	xénophobie
GA	seineafóibe
HU	xenofóbia/ idegengyűlölet
IT	xenofobia
LT	ksenofobija
LV	ksenofobija
MT	Ksenofobija
NL	xenofobie
PL	ksenofobia
PT	xenofobia
RO	xenofobie
SK	xenofóbia
SL	ksenofobija
SV	främlingsfientlighet
NO	fremmedfrykt (b); framandfrykt (n)
UK	ксенофобія

განმარტება

დამოკიდებულება, წინასწარგანწყობა და ქცევა, რომელიც უარყოფს, არ იღებს და ხშირად აძაგებს პირს იმ შეხედულების საფუძველზე, რომ ის უცხოა თემისთვის, საზოგადოებისთვის ან ეროვნული თვითმყოფადობისთვის.

წყარო

იუნესკოს მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, ტერმინის 'ქსენოფობია' განმარტება

დაკავშირებული ტერმინები

- **რასობრივი დისკრიმინაცია**
- **რასიზმი**

შენიშვნა

ევროკავშირის კანონმდებლობის, კერძოდ, ევროკავშირის საბჭოს ჩარჩოგადაწყვეტილების 2008/913/ŽHA 1-ელი მუხლის თანახმად, რასიზმსა და ქსენოფობიასთან დაკავშირებულ დანაშაულებად მიიჩნევა:

(ა) საჯაროდ წაქეზება ძალადობისკენ ან სიძულვილისკენ, რომელიც მიმართულია პირთა ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრების წინააღმდეგ, რომელიც განისაზღვრება რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის (წარმოშობის) ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე;

(ბ) „ა“ პუნქტში მითითებული ქმედების ჩადენა საზოგადოებაში ბროშურების, სურათების ან სხვა მსგავსი მასალის გავრცელების ან განაწილების გზით;

(გ) პირთა ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრის წინააღმდეგ მიმართული, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-6, მე-7 და მე-8 მუხლებით განსაზღვრული გენოციდის, კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულისა და ომის დანაშაულის საჯაროდ გამართლება, უარყოფა ან მნიშვნელოვნად დაკნინება რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის (წარმოშობის) ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე, როცა ქმედება ხორციელდება ისეთი ფორმით, რომელსაც შეუძლია ასეთი ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრის წინააღმდეგ ძალადობისკენ ან სიძულვილისკენ წაქეზება;

(დ) პირთა ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრის წინააღმდეგ მიმართული, ლონდონის 1945 წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულებისთვის დართული საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის ქარტიის მე-6 მუხლით განსაზღვრულ დანაშაულთა საჯაროდ გამართლება, უარყოფა ან მნიშვნელოვნად დაკნინება რასის, კანის ფერის, რელიგიის, წარმომავლობის (წარმოშობის) ან ეროვნული თუ ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე, როცა ქმედება ხორციელდება ისეთი ფორმით, რომელსაც შეუძლია ასეთი ჯგუფის ან ასეთი ჯგუფის წევრის წინააღმდეგ ძალადობისკენ ან სიძულვილისკენ წაქეზება.

ყალბი სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი

BG	подправен документ за пътуване или самоличност
CS	padělaný nebo pozměněný cestovní doklad nebo doklad totožnosti
DE	gefälschtes Reise-oder Identitätsdokument / betrügerisches Reise-oder Identitätsdokument
EL	πλαστό έγγραφο ταυτότητας ή ταξιδιωτικό έγγραφο
EN	fraudulent travel or identity document
ES	documento de identidad o de viaje fraudulento
ET	võltsitud reisi- või isikut tõendav dokument
FI	väärä / väärennetty matkustusasiakirja / henkilötodistus
FR	document de voyage ou d'identité frauduleux
GA	bréagdhoiciméad taistil nó aitheantais
HU	hamis úti vagy személyazonosságot igazoló okmány
IT	documento di viaggio o di identità fraudolento
LT	suklastotas kelionės ar asmens dokumentas
LV	viltots ceļošanas vai personu apliecinošs dokuments
MT	Dokument tal-ivjaġġar jew tal-identità frodulenti / qarrieqi
NL	frauduleus reis- of identiteitsdocument
PL	fałszywy dokument podróży lub tożsamości
PT	documento de viagem ou de identidade fraudulento
RO	document de călătorie sau identitate fals, falsificat sau obținut în mod fraudulos
SK	falošný alebo pozmenený cestovný alebo identifikačný doklad / falošný alebo pozmenený cestovný doklad alebo doklad totožnosti
SL	zlorabljena (lažna) potna listina ali dokument za izkazovanje identitete
SV	falsk rese- eller identitetshandling
NO	falskt reise- eller identitetsbevis
UK	підроблений проїзний документ або документ, що посвідчує особу

განმარტებები

სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც:

ა) ყალბად დამზადდა ან შეიცვალა მასზე ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, სამგზავრო ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის სახელმწიფოს სახელით დამზადებასა და გაცემაზე უფლებამოსილი პირის ან ორგანიზაციისგან განსხვავებული ნებისმიერი პირის მიერ; ან

ბ) გაიცა ან მოპოვებული იქნა ინფორმაციის არასწორად წარმოდგენის, კორუფციის ან იძულების გზით, ან სხვა უკანონო მეთოდით; ან

გ) გამოიყენება მისი არაკანონიერი მფლობელის მიერ.

წყარო

„ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ გაეროს კონვენციის შემავსებელი „მიგრანტთა ხმელეთით, ზღვითა და საჰაერო გზით უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ ოქმის მე-3(c) მუხლი

დაკავშირებული ტერმინი

★ **სამგზავრო დოკუმენტი**

შავი ზღვის სინერგია

BG	Черноморско сътрудничество
CS	Černomořská synergie
DE	Schwarzmeersynergie
EL	Συνέργεια του Ευξείνου Πόντου
EN	Black Sea Synergy
ES	Sinergia del mar Negro
ET	Musta mere sünergia (koostöö)
FI	Mustanmeren synergia
FR	Synergie de la mer Noire
GA	Sineirge na Mara Duibhe
HU	Fekete-tengeri szinergia
IT	Sinergia del Mar Nero
LT	Juodosios jūros sinergija
LV	Melnās jūras reģiona sinerģija
MT	Sinerġija tal-Baħar l-Iswed
NL	Black Sea Synergy (no usual translation)
PL	Synergia Czarnomorska
PT	Sinergia do Mar Negro
RO	Sinergia Marii Negre
SK	Čiernomorská synergia
SL	Črnomorska Sinergija
SV	Svartahavssynergin
NO	Svartehavssynergien
UK	Чорноморська синергія

განმარტება

ევროკავშირთან თანამშრომლობისკენ მიმართული ინსტიტუციონალიზებული ფორუმი, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობას ევროკავშირსა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებს შორის და გამიზნულია საერთო პრობლემების მოგვარებისა და პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების წასახალისებლად.

წყარო

შავის ზღვის სინერგიის ვებგვერდი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP)**

დაკავშირებული ტერმინები

★ **აღმოსავლეთი პარტნიორობა (EaP)**

★ **ევროკავშირ-ხმელთაშუაზღვისპირეთის პარტნიორობა (EUROMED)**

შენიშვნები

1. შავი ზღვის სინერგია არის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) ნაწილი და წარმოადგენს ევროკავშირის არსებული პოლიტიკის ერთგვარ შემავსებელ სამართლებრივ ჩარჩოს, რომლის ფუნქციაა, აამოქმედოს შავი ზღვის რეგიონში არსებული მნიშვნელოვანი შესაძლებლობები და უპასუხოს გამოწვევებს; რაც, თავის მხრივ, საჭიროებს კოორდინირებულ ქმედებას რეგიონულ დონეზე ისეთ სექტორებში, როგორებიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, გარემო, მიგრაცია და უსაფრთხოება. მიგრაციისა და უსაფრთხოების სფეროში გაუმჯობესებული თანამშრომლობა (კერძოდ, საზღვრის უსაფრთხოების კუთხით) ზრდის უსაფრთხოებას რეგიონულ დონეზე და ხელს უწყობს ორგანიზებულ ტრანსსასაზღვრო დანაშაულთან (როგორიცაა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)) ბრძოლას და არალეგალური მიგრაციის პრევენციას.

2. სინერგია ინიციირებულ იქნა ევროკავშირისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის კიევში 2008 წელს გამართულ კონფერენციაზე.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. შავი ზღვის სინერგია - რეგიონული თანამშრომლობის ახალი ინიციატივა (COM(2007) 160 საბოლოო რედაქცია, 2007 წლის 11 აპრილი).

შევიწროება

BG	тормоз
CS	obtěžování
DE	Belästigung
EL	παρενόχληση
EN	harassment
ES	acoso
ET	ahistamine
FI	häirintä
FR	harcèlement
GA	ciapadh
HU	zaklatás
IT	molestia
LT	priekabiavimas
LV	uzmākšanās
MT	Molestja / Fastidju
NL	intimidatie
PL	molestowanie
PT	perseguição
RO	persecuție, hărțuire
SK	obťažovanie
SL	nadlegovanje
SV	trakasserier
NO	trakassering / mobbing
UK	утиски

განმარტება

რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებული არასასურველი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2000/43/EC (დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ) მე-2(3) მუხლი

შეთანხმება სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ

BG	Споразумение за облекчаване на визовия режим
CS	dohoda o usnadnění vydávání krátkodobých víz / facilitační dohoda
DE	Visaerleichterungs-Abkommen
EL	συμφωνία για την απλούστευση / διευκόλυνση της έκδοσης θεωρήσεων
EN	visa facilitation agreement
ES	acuerdo de facilitación de visados
ET	viisalihtsustusleping
FI	viisumihelpotussopimus
FR	accord visant à faciliter la délivrance de visas
GA	comhaontú um éisiúint víosaí a éascú
HU	vízumkönnyítési megállapodás
IT	accordo di facilitazione del visto
LT	susitarimas dėl vizų režimo supaprastinimo
LV	nolīgums par vīzu atvieglotu izsniegšanu
MT	Ftehim għall-iffaċilitar fil-ħruġ tal-viżi / għat-tħaffif fl-għoti tal-viżi
NL	visumfacilitatieovereenkomst / visumversoepelingsovereenkomst
PL	umowa o ułatwieniach wizowych
PT	acordo sobre a facilitação da emissão de vistos
RO	acord pentru facilitarea acordării vizelor
SK	dohoda o zjednodušení postupu pri vydávaní víz
SL	Sporazum o lažjem pridobivanju vizumov
SV	viseringsförenklingsavtal
NO	visumfasiliteringsavtale
UK	угода про спрощення візових формальностей

განმარტება

ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ამარტივებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის ამ არაწევრი ქვეყნის მოქალაქეებზე ნებართვის გაცემას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში არაუმეტეს 90 დღის ვადით (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე პირველი შესვლის თარიღიდან) ყოფნის ან ტრანზიტით გავლისთვის.

წყარო

DG Home-ის ელექტრონული ბიბლიოთეკის განმარტებითი ლექსიკონი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ვიზა

დაკავშირებული ტერმინები

★ სავიზო კოდექსი

★ ვიზის საინფორმაციო სისტემა (VIS)

შენიშვნა

სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ მოქმედი შეთანხმებების სია იხ. DG Home-ის ვებგვერდზე.

შემაკავებელი ეფექტი

BG	суспензивен ефект
CS	odkladný účinek
DE	aufschiebende Wirkung
EL	αναστολτικό αποτέλεσμα
EN	suspensive effect
ES	efecto suspensivo
ET	edasilükkav toime
FI	lykkäävä vaikutus
FR	effet suspensif
GA	éifeacht fionraíochta
HU	halasztó hatály
IT	effetto sospensivo
LT	stabdomasis poveikis
LV	atliekošs efekts
MT	Posponiment / Sospensjoni bħala konsegwenza (b'effett) ta'
NL	schorsende werking
PL	skutek zawieszający
PT	efeito suspensivo
RO	efect suspensiv
SK	odkladný účinok
SL	suspenzivni učinek /odložilni učinek
SV	suspensiv effekt
NO	utsettende virkning (b); utsetjande verknad (n)
UK	призупиняюча дія

განმარტება

გასაჩივრების შედეგი, რომელიც აჩერებს სადავო გადაწყვეტილების აღსრულების შესაძლებლობას, რაც საშუალებას აძლევს განმცხადებელს, დარჩეს მიმღებ ქვეყანაში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

სინონიმები

- განცხადების განხილვის პერიოდში ქვეყანაში დარჩენის უფლება
- გადაწყვეტილების მიღების მოლოდინში ქვეყანაში დარჩენის უფლება

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- **სამართლებრივი დაცვის საშუალება**

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-9 მუხლში ცნობს განმცხადებლის ავტომატურ უფლებას, დარჩეს წევრ სახელმწიფოში მხოლოდ პროცედურის მიზნით, ვიდრე გადაწყვეტილების მიმღები ორგანო პროცედურების შესაბამისად მიიღებს გადაწყვეტილებას პირველ ინსტანციაში, ასევე 46(3)-ე მუხლში, ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და ევროპული სასამართლოების სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ცნობს უარყოფითი გადაწყვეტილების გამსაჩივრებელი განმცხადებლის ავტომატურ უფლებას, დარჩეს ევროკავშირის შესაბამისი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

2. ისეთი გადაწყვეტილებების (დირექტივის 2013/32/EU 46-ე(6) მუხლი) გასაჩივრების შემთხვევაში, რომლებითაც განცხადება აშკარად დაუსაბუთებლად არის მიჩნეული 32-ე(2) მუხლის შესაბამისად ან განხილვის შემდეგ დაუსაბუთებლად არის მიჩნეული 31-ე(8) მუხლის შესაბამისად, შემაკავებელი ეფექტი ავტომატური არ არის. თუმცა დარჩენის უფლების მოსაპოვებლად რჩება სასამართლოსთვის ან ტრიბუნალისთვის მიმართვის შესაძლებლობა, სანამ გადაწყვეტილება მიღებული იქნება მეორე ინსტანციაში (დირექტივის 46-ე(6) მუხლი).

შენგენის კონვენცია

BG	Шенгенска конвенция
CS	Schengenská prováděcí úmluva
DE	Schengener Durchführungsübereinkommen
EL	Συνθήκη Σένγκεν
EN	Schengen Convention
ES	Convenio de Schengen
ET	Schengeni konventsioon
FI	Schengenin yleissopimus
FR	convention de Schengen
GA	Coinbhinsiún Schengen
HU	Schengeni Egyezmény
IT	Convenzione di Schengen
LT	Šengeno konvencija
LV	Šengenas konvencija
MT	Konvenzjoni (il-) ta' Schengen
NL	Schengenuitvoeringsovereenkomst
PL	Konwencja Wykonawcza do Układu z Schengen
PT	Convenção de Schengen
RO	Convenția Schengen
SK	Schengenský dohovor
SL	Schengenska konvencija
SV	Schengenkonventionen
NO	Schengen-konvensjonen
UK	Шенгенська конвенція

განმარტება

კანონმდებლობა, რომელიც ავსებს შენგენის შეთანხმებას და ადგენს თავისუფალი გადაადგილების განხორციელების მექანიზმებსა და გარანტიებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
შენგენის კანონმდებლობა

სინონიმი

★ შენგენის შეთანხმების განმახორციელებელი კონვენცია

დაკავშირებული ტერმინები

★ **შენგენის შეთანხმება**
★ **შენგენის სასაზღვრო კოდექსი**
★ **შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)**

შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)

BG	Шенгенска информационна система
CS	Schengenský informační systém
DE	Schengener Informationssystem
EL	Σύστημα Πληροφοριών Σένγκεν
EN	Schengen Information System (SIS)
ES	Sistema de Información de Schengen
ET	Schengeni infosüsteem
FI	Schengenin tietojärjestelmä
FR	Système d'information Schengen
GA	Córas Faisnéise Schengen
HU	Schengeni Információs Rendszer
IT	Sistema di Informazione Schengen
LT	Šengeno informacinė sistema
LV	Šengenas informācijas sistēma
MT	Sistema (Is-) ta' Informazzjoni Schengen
NL	Schengeninformatiesysteem
PL	System Informacji Schengen
PT	Sistema de Informação de Schengen
RO	Sistemul de Informații Schengen
SK	Schengenský informačný systém
SL	Schengenski informacijski sistem
SV	Schengens informationssystem
NO	Schengen informasjonssystem
UK	Шенгенська інформаційна система (SIS)

განმარტება

საერთო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ავტომატური ძებნის ფუნქციის მეშვეობით უზრუნველყოფს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა შესაბამისი უწყებების წვდომას ინდივიდებისა და საკუთრების შესახებ გაფრთხილებებზე სასაზღვრო, საპოლიციო და საბაჟო შემოწმების მიზნით ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. სისტემა ასევე უზრუნველყოფს წვდომას ზოგიერთი სპეციფიკური კატეგორიის გაფრთხილებებზე (შენგენის კანონმდებლობის 96-ე მუხლი), ვიზების და ბინადრობის ნებართვების გაცემისა და უცხოელებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ადმინისტრირების მიზნით, შენგენის კონვენციის იმ დებულებების კონტექსტში, რომლებიც არეგულირებს პირთა გადაადგილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
შენგენის კანონმდებლობა

სინონიმები

- მეორე თაობის შენგენის საინფორმაციო სისტემა
- SIS
- SIS II

დაკავშირებული ტერმინები

- **შენგენის შეთანხმება**
- **შენგენის კონვენცია**
- **შენგენის სასაზღვრო კოდექსი**

შენიშვნა

მეორე თაობის შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS II) ამოქმედდა 2013 წლის აპრილში გაუმჯობესებული ფუნქციონალებით, როგორიცაა ბიომეტრიული მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა, ახალი ტიპის გაფრთხილებები (alerts), სხვადასხვა გაფრთხილების დაკავშირების შესაძლებლობა (მაგ., პირის და სატრანსპორტო საშუალების შესახებ გაფრთხილებები) და სისტემაში პირდაპირი მოთხოვნის გაგზავნის შესაძლებლობა. SIS II ასევე შეიცავს დაკავების ევროპული ორდერების (EAW) ასლებს, რომლებიც აღიარებულია დედნების თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ, რაც შესაბამის უწყებებს აძლევს მომდევნო მარტივი და სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. SIS-ის ვებგვერდი.

შენგენის სასაზღვრო კოდექსი

BG	Шенгенски граничен кодекс
CS	Schengenský hraniční kodex
DE	Schengener Grenzkodex
EL	Κώδικας Συνόρων Σένγκεν
EN	Schengen Borders Code
ES	Código de fronteras Schengen
ET	Schengeni piirieeskirjad
FI	Schengenin rajasäännöstö
FR	code frontières Schengen
GA	Cód Teorainneacha Schengen
HU	Schengeni határ-ellenőrzési kódex
IT	Codice Frontiere Schengen
LT	Šengeno sienų kodeksas
LV	Šengenas Robežu kodekss
MT	Kodiċi tal-Fruntieri / tal-Konfini ta' Schengen
NL	Schengengrenscode
PL	kodeks graniczny Schengen
PT	Código das Fronteiras Schengen
RO	Codul Frontierelor Schengen
SK	Kódex schengenských hraníc
SL	Zakonik o schengenskih mejah
SV	kodex om Schengengränserna
NO	Schengen-regelverket
UK	Шенгенський прикордонний кодекс

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა გარე საზღვრების კვეთის მარეგულირებელი წესები.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაცია (EU) 2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი)

დაკავშირებული ტერმინები

- სასაზღვრო კონტროლი
- ევროკავშირის გარე საზღვარი
- ევროკავშირის შიდა საზღვარი
- კანონიერი საფუძვლის გარეშე შესვლა
- ლეგალური შესვლა
- უარი შესვლაზე
- შენგენის შეთანხმება
- შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)

შენგენის შეთანხმება

BG	Шенгенско споразумение
CS	Schengenská dohoda
DE	Schengener Übereinkommen
EL	Συμφωνία Σένγκεν
EN	Schengen Agreement
ES	Acuerdo de Schengen
ET	Schengeni leping
FI	Schengenin sopimus
FR	accord de Schengen
GA	Comhaontú Schengen
HU	Schengeni Megállapodás
IT	Accordo di Schengen
LT	Šengeno susitarimas
LV	Šengenas nolīgums
MT	Ftehim (Il-) ta' Schengen
NL	Schengenakkoord
PL	Układ z Schengen
PT	Acordo de Schengen
RO	Acordul Schengen
SK	Schengenská dohoda
SL	Schengenski sporazum
SV	Schengenavtalet
NO	Schengen-avtalen
UK	Шенгенська угода

განმარტება

შეთანხმება ევროკავშირის წევრ რიგ სახელმწიფოებსა და მეზობელ არაწევრ სახელმწიფოებს შორის, საერთო საზღვრებზე კონტროლის ეტაპობრივი მოხსნისა და ხელისმომწერი წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის წევრი სახვა სახელმწიფოებისა და მესამე ქვეყნების ყველა მოქალაქისთვის თავისუფალი გადაადგილების შემოღებისთვის.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
შენგენის კანონმდებლობა

დაკავშირებული ტერმინები

- შენგენის სასაზღვრო კოდექსი
- შენგენის კონვენცია
- შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)

შენიშვნები

1. შენგენის შეთანხმებას ხელი მოეწერა 1985 წლის 14 ივნისს ბელგიის, საფრანგეთის, გერმანიის, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდების მიერ.

2. შეთანხმება და კონვენცია, მათ საფუძველზე მიღებული წესები და დაკავშირებული შეთანხმებები ერთიანად წარმოადგენს „შენგენის კანონმდებლობას“. ეს უკანასკნელი 1999 წლიდან წარმოადგენს ევროკავშირის ინსტიტუციური და სამართლებრივი ჩარჩოს ნაწილს, ამსტერდამის ხელშეკრულების ოქმის საფუძველზე.

3. საზღვრებზე პირთა გადაადგილების მარეგულირებელი წესები განსაზღვრულია ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციაში (EU) N2016/399 (შენგენის სასაზღვრო კოდექსი).

4. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროკომისიის ვებგვერდი, შენგენის აღწერა.

შენგენის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი

BG	механизъм за оценка и наблюдение на Шенген
CS	Schengenský evaluační a monitorovací mechanismus
DE	Schengen-Evaluierungs- und Überwachungsmechanismus / Schengener Evaluierungs- und Überwachungsmechanismus
EL	μηχανισμός παρακολούθησης και αξιολόγησης Σένγκεν
EN	Schengen evaluation and monitoring mechanism
ES	Mecanismo de evaluación y seguimiento de Schengen
ET	Schengeni hindamis - ja järelevalvemehhanism
FI	Schengenin säännöstön soveltamisen varmistamisen arviointi- ja valvontamekanismi
FR	mécanisme d'évaluation et de contrôle destiné à vérifier l'application de l'acquis de Schengen
GA	meicníocht meastóireachta agus monatóireachta Schengen
HU	Schengeni értékelési és ellenőrzési mechanizmus
IT	meccanismo di valutazione e di controllo per verificare l'applicazione dell'acquis di Schengen
LT	Šengeno vertinimo ir stebėsenos mechanizmas
LV	Šengenas izvērtēšanas un uzraudzības mehānisms
MT	Mekkaniżmu ta' monitoraġġ u evalwazzjoni ta' Schengen
NL	Schengenevaluatie- en toezichtmechanisme
PL	mechanizmu oceny i monitorowania w celu weryfikacji stosowania dorobku Schengen
PT	mecanismo de avaliação e monitorização Schengen
RO	Mecanismului de evaluare și monitorizare Schengen
SK	Schengenský mechanizmus hodnotenia a monitorovania
SL	Schengenski ocenjevalni in spremljevalni mehanizem
SV	utvärderings- och övervakningsmekanism för Schengen
NO	Evalueringsmekanisme for Schengen
UK	Шенгенський механізм оцінки і спостереження

განმარტება

მექანიზმი, რომელიც შექმნილია შენგენის კანონმდებლობის აღსრულების შესამოწმებლად შენგენის წევრ სახელმწიფოებში, რომლებშიც ის სრულად ამოქმედებულია, ასევე შენგენის წევრ იმ სახელმწიფოებში, რომლებშიც, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების (TEU) და ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) თანდართული ოქმების შესაბამისად, ის ნაწილობრივ გამოიყენება. მონიტორინგის მექანიზმის მიზანია შენგენის წესებისა და რეგულაციების ეფექტიანად, თანმიმდევრულად და გამჭვირვალობის პრინციპით აღსრულების უზრუნველყოფა და ამავდროულად, ხელმომწერ წევრ სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის მაღალი ხარისხის განმტკიცება.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) N1053/2013 (შენგენის შეფასების რეგულაცია) 1-ელი მუხლი

შენგენის კანონმდებლობის შეფასების და მონიტორინგის აღწერა

დაკავშირებული ტერმინი

★ **შენგენის საინფორმაციო სისტემა (SIS)**

შენიშვნები

1. რეგულაციის მე-4 მუხლის თანახმად, მექანიზმი მოიცავს შენგენის კანონმდებლობის ყველა ასპექტს, მათ შორის, ევროკავშირის გარე საზღვრებს, სავიზო პოლიტიკას, შენგენის საინფორმაციო სისტემას (SIS), მონაცემთა დაცვას, საპოლიციო თანამშრომლობას, სასამართლო თანამშრომლობას სისხლის სამართლის სფეროში, ასევე სასაზღვრო კონტროლის არარსებობას ევროკავშირის შიდა საზღვრებზე და იმ უწყებების ფუნქციონირებას, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ შენგენის კანონმდებლობის შესაბამის ნაწილებს. მექანიზმი ითვალისწინებს ადგილზე არაგეგმური ვიზიტების განხორციელების შესაძლებლობას და აყალიბებს როგორც შეფასების ანგარიშებისა და რეკომენდაციების შედგენის და დამტკიცების, ასევე შენგენის წევრი სახელმწიფოს მიერ გარე საზღვრის კონტროლის პროცესში ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მკაფიო წესებს.

2. მექანიზმის ორგანიზებასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელია ევროკომისია, შენგენის წევრ ქვეყნებთან თანამშრომლობით.

შერეული მიგრაციული ნაკადი

BG	смесен миграционен поток
CS	smíšený migrační tok
DE	gemischte Wanderungsbewegung / gemischte Migrationsbewegung
EL	μεικτές μεταναστευτικές ροές
EN	mixed migration flow
ES	flujo migratorio mixto
ET	segarändevoog (no usual translation)
FI	erilaisista ryhmistä koostuva muuttovirta
FR	flux migratoire mixte
GA	sreabhadh imirce measctha
HU	vegyes migrációs áramlás
IT	flusso migratorio misto
LT	mišrūs migracijos srautai
LV	jauktas migrācijas plūsma
MT	Fluss migratorju mħallat / Nixxiegħa migratorja mħallta
NL	gemengde migratiestroom
PL	mieszane przepływy migracyjne
PT	fluxo migratório misto
RO	flux de migrație mixtă
SK	zmiešané migračné toky
SL	mešani migracijski tok
SV	blandade migrationsströmmar
NO	blandet migrasjonsstrøm (b); blanda migrasjonsstraum (n)
UK	змішаний міграційний потік

განმარტება

სხვადასხვა პროფილის მიგრანტი მოსახლეობის გადაადგილება, რომელიც მოიცავს ლტოლვილებს, თავშესაფრის მაძიებლებს, ეკონომიკურ და სხვა მიგრანტებს, იმ გადაადგილებისგან განსხვავებით, როდესაც მიგრირებენ მხოლოდ ერთი კატეგორიის მიგრანტები.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

დაკავშირებული ტერმინი

★ მიგრაციული ნაკადი

შენიშვნა

IOM ტერმინს 'შერეული გადაადგილებები' (შერეული მიგრაცია/ შერეული ნაკადები) შემდეგნაირად განმარტავს: "გადაადგილება, როდესაც გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ჯგუფი, უმეტესად, კანონიერი საფუძვლის გარეშე, ერთად, ერთი და იმავე მარშრუტით და საშუალებით, თუმცა სხვადასხვა მიზნით, გადაადგილდება."

შესვლა-გასვლის სისტემა (EES)

BG	Система вход/ изход
CS	Systém vstupu / výstupu
DE	Einreise-/Ausreisesystem
EL	σύστημα εισόδου/εξόδου
EN	Entry/Exit System (EES)
ES	Sistema de Entradas y Salidas
ET	riiki sisenemise ja riigist lahkumise süsteem
FI	rajanylitystietojärjestelmä
FR	système d'entrée / sortie
GA	Córas dul isteach / imeachta
HU	határregisztrációs rendszer
IT	Sistema di ingres-si/uscite
LT	Atvykimo ir išvykimo sistema
LV	ieceļošanas/izceļošanas sistēma
MT	Sistema ta' Dħul / ta' Ħruġ
NL	inreis-uitreissysteem
PL	
PT	Sistema de Entrada/Saída
RO	sistem de intrare/ieșire
SK	systém vstupu/výstupu
SL	Sistem vstopa/izstopa
SV	in- och utresesystem
NO	ankomst-/avreisesystem (b); innkomst-/ avreisesystem (n)
UK	Система в'їзду/виїзду (EES)

განმარტება

სისტემა, რომელშიც რეგისტრირდება მონაცემები იმ მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიერ ქვეყანაში შესვლისა და ქვეყნიდან გასვლის, ასევე, მათთვის ქვეყანაში შესვლაზე უარის თქმის შესახებ, რომლებიც კვეთენ შენგენის ზონაში შემავალი სახელმწიფოების გარე საზღვრებს.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტის და საბჭოს რეგულაცია (EU) N2017/2226 (რეგულაცია შესვლა-გასვლის სისტემის (EES) შექმნის შესახებ)

სინონიმი

★ EES

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ პაკეტი „ჭკვიანი საზღვრები“

დაკავშირებული ტერმინი

★ ევროკავშირის სამგზავრო ინფორმაციისა და ავტორიზაციის სისტემა (ETIAS)

შენიშვნები

1. EES-ის მიზანია გარე საზღვრების მართვის გაუმჯობესება, კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციის შემცირება ევროკავშირში ყოფნისთვის ნებადართული ვადის გადაცილების პრაქტიკის აღმოფხვრის გზით და არალეგალური მიგრაციული ნაკადების მართვის ხელშეწყობა. გარდა ამისა, სისტემის მიზანია ტერორიზმისა და მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა და შიდა უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა.
2. EES ვრცელდება მესამე ქვეყნის მოქალაქეებზე (განურჩევლად იმისა, ესაჭიროებათ თუ არა მათ ვიზა), რომლებსაც შეუძლიათ ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყანაში 90-დღიანი ვადით შესვლა ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში. ის ასევე ვრცელდება იმ პირებზეც, რომლებსაც უარი ეთქვათ ქვეყანაში შესვლაზე. აღნიშნული სისტემა ინახავს ინფორმაციას ასეთი პირების ვინაობისა და მათი სამგზავრო დოკუმენტების შესახებ, ასევე, გარკვეულ ბიომეტრიულ მონაცემებს.
3. რეგულაცია ადგენს კანონის აღსრულების მიზნით სისტემაზე წვდომის პირობებს. EES-ში შენახული ინფორმაცია ხელმისაწვდომია შენგენის წევრი ქვეყნების სასაზღვრო, ვიზის გამცემი და სხვა უწყებებისთვის, რომლებიც უფლებამოსილი არიან შეამოწმონ, აკმაყოფილებს თუ არა მესამე ქვეყნის მოქალაქე ქვეყანაში შესვლის ან ყოფნის პირობებს. მონაცემები ასევე ხელმისაწვდომია სხვა შესაბამისი ორგანოებისთვის და ევროპოლისთვის, ტერორიზმის ან სხვა მძიმე დანაშაულის პრევენციის, გამოვლენისა და გამოძიების მიზნით, რეგულაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

შესვლის აკრძალვა

BG	забрана за влизане
CS	zákaz vstupu
DE	Einreiseverbot
EL	απαγόρευση εισόδου
EN	entry ban
ES	prohibición de entrada
ET	sissesõidukeeld
FI	maahantulokielto
FR	interdiction d'entrée (acquis UE, BE, LU) ; interdiction de retour sur le territoire (FR)
GA	toirmeasc ar iontráil
HU	beutazási tilalom
IT	divieto di ingresso
LT	draudimas atvykti
LV	ieceļošanas aizliegums
MT	Dħul miżmum // Inibizzjoni fuq id-dħul
NL	inreisverbod
PL	zakaz wjazdu
PT	interdição de entrada
RO	interdicție de intrare
SK	zákaz vstupu
SL	prepoved vstopa
SV	inreseförbud
NO	innreiseforbud (b); innreiseforbod (n)
UK	заборона на в'їзд

განმარტება

ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილება ან აქტი, რომელიც თან ერთვის გადაწყვეტილებას დაბრუნების შესახებ და რომლის თანახმად, პირს ეკრძალება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ტერიტორიაზე შესვლა და გარკვეული ვადით ყოფნა.

წყარო

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) მე-3(6) მუხლი

სინონიმი

★ ქვეყანაში ხელახალი შესვლის აკრძალვა

შეტყობინება გადაყვანის შესახებ

BG	уведомление за прехвърляне
CS	oznámení o transferu/přemístění
DE	Überstellungsmitteilung
EL	ειδοποίηση μεταφοράς
EN	transfer notification
ES	n/a
ET	üleandmise teavitus
FI	siirtoa koskeva ennakkoilmoitus
FR	notification de transfert
GA	fógra aistrithe
HU	n/a
IT	Notifica della decisione di trasferimento
LT	pranešimas apie perdavimą
LV	paziņojums par pārsūtīšanu
MT	n/a
NL	kennisgeving van overdracht
PL	n/a
PT	notificação de transferência ao abrigo do Regulamento de Dublin
RO	n/a
SK	oznámenie o odovzdaní
SL	obvestilo o predaji
SV	meddelande om överföring
NO	n/a
UK	повідомлення про трансфер

განმარტება

დუბლინის რეგულაციის კონტექსტში, ევროკავშირის უფლებამოსილი ორგანოს მიერ საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებელთან წარმოებული ოფიციალური კომუნიკაცია, რომელიც დროულად და განმცხადებლისთვის გასაგებ ენაზე ატყობინებს თავშესაფრის მაძიებელს მისი განცხადების განხილვაზე პასუხისმგებელ (ევროკავშირის წევრ) სახელმწიფოში მისი გადაყვანის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
EASO: დუბლინის პროცედურის გზამკვლევი: ოპერაციული სტანდარტები და ინდიკატორები, 2020 წ. გვ.39

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

- გადაცემა/გადაყვანა დუბლინის რეგულაციის შესაბამისად

დაკავშირებული ტერმინები

- თხოვნა (თავშესაფრის მაძიებლის) უკან მიღების თაობაზე
- თხოვნა პირის (თავშესაფრის მაძიებლის) მიღების თაობაზე

შვილად აყვანა

BG	осиновяване
CS	osvojení (dítěte)
DE	Adoption (eines Kindes)
EL	υιοθεσία (παιδιού)
EN	adoption (of a child)
ES	adopción
ET	lapsendamine
FI	adoptio
FR	adoption (d'un enfant)
GA	uchtú; uchtáil
HU	örökbefogadás
IT	adozione (di un bambino)
LT	įvaikinimas
LV	adopcija
MT	Addozzjoni
NL	adoptie
PL	adopcja
PT	adoção
RO	adoptare
SK	osvojenie / adopcia (dieťaťa)
SL	posvojitev
SV	adoption
NO	adopsjon
UK	усиновлення (дитини)

განმარტება

(ოჯახის წევრზე) დამოკიდებული/კმაყოფაზე მყოფი პირების კონტექსტში, კანონით დადგენილი პროცესი, რომელიც გულისხმობს ბავშვსა და მის ბიოლოგიურ მშობლებს შორის არსებული კანონიერი უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტას და ანალოგიური უფლება-მოვალეობების დაწესებას ბავშვსა და მის მშვილებლებს შორის.

წყარო

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

- ფიქციურად შვილად აყვანა

შრომითი მიგრანტი

BG	работник мигрант
CS	pracovní migrant
DE	Arbeitsmigrant / Wanderarbeiter / Wanderarbeitnehmer
EL	εργαζόμενος μετανάστης
EN	migrant worker
ES	trabajador migrante
ET	võõrtöötaja
FI	siirtotyöläinen / vierastyöläinen
FR	travailleur migrant
GA	oibrí imirceach
HU	migráns munkavállaló
IT	lavoratore migrante
LT	migrantas darbuotojas
LV	darba ņēmējs migrants
MT	Migrant(a) ħaddiem(a)
NL	arbeidsmigrant / buitenlandse werknemer
PL	pracownik migrujący
PT	trabalhador migrante
RO	lucrător / muncitor migrant
SK	migrujúci pracovník / pracovný migrant
SL	delavec migrant
SV	migrantarbetare
NO	arbeidsmigrant
UK	працівник-мігрант

განმარტება

პირი, რომელიც განახორციელებს, ახორციელებს ან ახორციელებდა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ის არ არის.

წყარო

ყველა შრომითი მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებათა დაცვის შესახებ გაეროს კონვენციის მე-2(1) მუხლი

სინონიმები

★ უცხოელი მუშაკი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ეკონომიკური მიგრანტი**

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **ხელშეკრულებით დასაქმებული შრომითი მიგრანტი**

★ **მაღალკვალიფიციური მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **უცხოელი მუშაკი**

★ **შრომითი მიგრაცია**

შენიშვნები

1. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 'შრომით მიგრანტს' განმარტავს, როგორც „უცხოელს, რომელიც მიმღებმა სახელმწიფომ დაუშვა საკუთარ ტერიტორიაზე ანაზღაურებადი ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით. შრომითი მიგრანტის მიმღებ ქვეყანაში დარჩენის ხანგრძლივობა, როგორც წესი, შეზღუდულია, ისევე როგორც სამუშაოს ტიპი, რომელსაც ის ასრულებს.

2. EMN-ის მიზნებისთვის უპირატესობა ენიჭება გაეროს განმარტებას, რადგან ის უფრო გავრცელებულია ლიტერატურაში და უფრო ყოვლისმომცველია, ვინაიდან მოიცავს წარსულში დასაქმებულ შრომით მიგრანტებსაც. კონვენცია ასევე ვრცელდება თვითდასაქმებულ მუშაკებზე.

შრომითი მიგრაცია

BG	трудова миграция
CS	pracovní migrace
DE	Arbeitsmigration
EL	οικονομική μετανάστευση / μετανάστευση για εργασία
EN	labour migration
ES	migración laboral
ET	tööränne
FI	työvoiman muuttoliike / työperusteinen maahanmuutto
FR	migration de travail / migration de main d'œuvre
GA	imirce lucht oibre
HU	munkavállalási célú migráció
IT	migrazione per motivi di lavoro
LT	darbo migracija
LV	darbaspēka migrācija
MT	Migrazzjoni għal raġunijiet ta' xogħol
NL	arbeidsmigratie
PL	migracja pracownicza
PT	migração laboral
RO	migrație în scop de muncă
SK	pracovná migrácia
SL	delovna migracija
SV	arbetskraftsmigration
NO	arbeidsmigrasjon
UK	трудова міграція

განმარტება

ადამიანების გადაადგილება ერთი სახელმწიფოდან მეორეში ან მათი ბინადრობის ქვეყნის შიგნით, დასაქმების მიზნით.

წყარო

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ ეკონომიკური მიგრაცია

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ საიმიგრაციო კვოტა

★ შრომის ბაზრის ტესტი

დაკავშირებული ტერმინი

★ შრომითი მიგრანტი

შენიშვნა

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში შრომითი მიგრაცია შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის ნორმებით რეგულირდება. ამასთან, ზოგი ქვეყანა აქტიურად მონაწილეობს მის ფარგლებს გარეთ შრომითი მიგრაციის ორგანიზებაში და საკუთარი მოქალაქეებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნაში.

შრომის ბაზრის ტესტი

BG	тест на пазара на труда
CS	test trhu práce
DE	Arbeitsmarkttest
EL	έλεγχος της αγοράς εργασίας
EN	labour market test
ES	Catálogo de ocupaciones de difícil cobertura
ET	tööturu test
FI	työvoiman saatavuusharkinta
FR	examen du marché de l'emploi / du travail
GA	tástáil sa mhargadh fostaíochta
HU	munkaerőpiaci felmérés
IT	analisi del mercato del lavoro
LT	darbo rinkos testas
LV	darba tirgus tests
MT	Test dwar is-suq tax-xogħol
NL	arbeidsmarkttoets
PL	test rynku pracy
PT	contingente global de oportunidades de emprego
RO	testarea pieței forței de muncă
SK	skúmanie situácie na trhu práce
SL	pregled trga dela
SV	arbetsmarknadsprövning
NO	arbeidsmarkedsvurdering (b); arbeidsmarknadsvurdering (n)
UK	відповідність кваліфікації працівника вимогам роботи

განმარტება

მექანიზმი, რომლის მიზანია, უზრუნველყოს შრომითი მიგრანტების ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს შრომის ბაზარზე მხოლოდ მას შემდეგ დაშვება, რაც ევროპელი დამსაქმებლები წარუმატებლად მოიძიებენ მუშაკებს ადგილობრივ ბაზარზე, რომლებშიც იგულისხმება ევროკავშირის (მათ შორის, ევროპის ეკონომიკური სივრცის) წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეები ან ევროკავშირში ლეგალურად მცხოვრები მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ წვდომა შრომის ბაზარზე ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ ოქსფორდის მიგრაციის საინფორმაციო-კვლევითი ცენტრის პასუხი

სინონიმი

★ LMT

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინები

★ **შრომითი მიგრაცია**

★ **ევროკავშირის პრეფერენცია**

შენიშვნები

1. შრომის ბაზრის ტესტი ტარდება და ფართოდ გამოიყენება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში. ზოგ ქვეყანაში, ადგილობრივი ვითარებიდან და პრიორიტეტებიდან გამომდინარე, შესაძლოა, კონკრეტული კატეგორიის მუშაკები გათავისუფლდნენ შრომის ბაზრის ტესტისგან.

2. შრომის ბაზრის ტესტის ჩატარებისას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები სხვადასხვა მეთოდოლოგიას იყენებენ. ზოგადად, ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება დამსაქმებლებს და დასაქმების სახელმწიფო სამსახურებს. ვერიფიკაციის პროცესის ხანგრძლივობა ევროკავშირის სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულია.

3. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: სამუშაო ძალის მოთხოვნის დაკმაყოფილება მიგრაციის გზით, 2011 წლის ივნისი.

შ

შრომის ნებართვა

BG	Разрешение за работа
CS	povolení k zaměstnání
DE	Arbeitserlaubnis
EL	άδεια διαμονής για εργασία / άδεια εργασίας
EN	work permit
ES	Autorización de trabajo
ET	tööluba
FI	työlupa
FR	permis de travail / autorisation de travail
GA	Cead oibre
HU	munkavállalási engedély
IT	permesso di soggiorno per motivi di lavoro
LT	leidimas dirbti
LV	darba atļauja
MT	permess ta' xogħol
NL	werkvergunning (NL); arbeidskaart / toelating tot arbeid / arbeidsvergunning (BE)
PL	
PT	autorização de trabalho
RO	permis de muncă
SK	pracovné povolenie
SL	dovoljenje za delo / enotno dovoljenje
SV	arbetstillstånd
NO	Arbeidstillatelse (b); Arbeidsløyve (n)
UK	дозвіл на працевлаштування

განმარტებები

გლობალურ კონტექსტში, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც შრომით მიგრანტებს აძლევს მიმღებ ქვეყანაში დასაქმების უფლებას ამ ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ევროკავშირის კონტექსტში, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც მესამე ქვეყნის მოქალაქეს აძლევს ამ ქვეყნის ტერიტორიაზე შრომითი საქმიანობის უფლებას, ნებართვის მოქმედების ვადის განმავლობაში.

წყაროები

გლობალური კონტექსტი: IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

ევროკავშირის კონტექსტი: შემუშავდა EMN-ის მიერ. IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ დასაქმება

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ ევროკავშირის ლურჯი ბარათი

დაკავშირებული ტერმინები

★ ბინადრობის ნებართვა

★ განცხადების შეტანის ერთიანი პროცედურა

★ ერთიანი ნებართვა

შენიშვნები

1. EU/EFTA-ს წევრ სახელმწიფოში მესამე ქვეყნის მოქალაქეების მუშაობის უფლება, ძირითადად, დამოკიდებულია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობაზე. ევროკავშირის ზოგი წევრი სახელმწიფო გასცემს მხოლოდ შრომის ნებართვას (ბინადრობის ნებართვისგან დამოუკიდებლად), ხოლო ზოგი სახელმწიფო გასცემს შრომისა და ბინადრობის ერთიან ნებართვას. ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობა ითვალისწინებს დებულებებს, რომლებიც გარკვეული კატეგორიის მიგრანტებს ათავისუფლებს შრომის ნებართვის აღების ვალდებულებისგან ან მათ მიმართ მოქმედებს ქვეყანაში დაშვების გამარტივებული პროცედურები.
2. ევროკავშირის დონეზე დასაქმების მიზნებისთვის მესამე ქვეყნის მოქალაქეების მიღებისა და ბინადრობის პირობებს ადგენს სხვადასხვა საკანონმდებლო ინსტრუმენტი, შრომით მიგრანტთა სხვადასხვა კატეგორიისა და ბინადრობის სტატუსის მიხედვით (როგორებიც არიან მაღალკვალიფიციური მიგრანტები, სეზონური მუშაკები, ოჯახში დამხმარეები, სტუდენტები, კორპორაციის ფარგლებში დასაქმებულები, ევროკავშირის ქვეყნებში დასაქმებული ევროკავშირის მოქალაქეები ან გრძელვადიანი მობინადრეები). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: სამუშაო ძალაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება მიგრაციის საშუალებით, 2011 წ.

შრომის ნებართვა [გაგრძ.]

3. დირექტივით 2011/98/EU (დირექტივა ერთიანი ნებართვის შესახებ) ევროკავშირის არამოქალაქეთათვის შემოღებულ იქნა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისა და მუშაობის ერთიანი ნებართვის გასაცემად განაცხადის შეტანის ერთიანი პროცედურა. დირექტივა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ლეგალურად მცხოვრები და დასაქმებული ევროკავშირის არამოქალაქეებისთვის ითვალისწინებს ასევე გარკვეულ უფლებებს, უპირველესად, საკონსულტაციო მომსახურების მიღების უფლებას მიმღები ქვეყნის მოქალაქეთა თანასწორად. დირექტივა ვრცელდება ევროკავშირში ბინადრობისა და მუშაობის უფლების მქონე ევროკავშირის არამოქალაქეთა უმეტესობაზე, ევროკავშირში მათი დაშვების საფუძვლებისგან დამოუკიდებლად. აღნიშნული არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც დირექტივის მოქმედების სფერო ექსპლიციტურად გამორიცხავს ევროკავშირის არამოქალაქე პირებს. დირექტივა ვრცელდება როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ყოფნისა და მუშაობის უფლების მაძიებელ ევროკავშირის არამოქალაქე პირებზე, ასევე მათზე, ვინც უკვე ცხოვრობს ევროკავშირში და აქვს წვდომა შრომის ბაზარზე ან უკვე დასაქმებულია.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-15 მუხლი საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს აძლევს შრომის ბაზარზე წვდომის უფლებას განცხადების შეტანის დღიდან არაუმეტეს 9 თვის განმავლობაში, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნული კანონმდებლობებით დადგენილი პირობების შესაბამისად. გარდა ამისა, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 26-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირებს დაცვის მინიჭებისთანავე უნდა მისცენ დასაქმების ან თვითდასაქმების უფლება.

ცირკულარული მიგრაცია

BG	циркулярна миграция
CS	cirkulární migrace
DE	zirkuläre Migration
EL	κυκλική μετανάστευση
EN	circular migration
ES	migración circular
ET	korduvränne
FI	kiertomuutto
FR	migration circulaire
GA	imirce chiorclach
HU	körkörös migráció
IT	migrazione circolare
LT	apykaitinė migracija
LV	cirkulārā migrācija
MT	Migrazzjoni ċirkolari
NL	circulaire migratie
PL	migracja cyrkulacyjna
PT	migração circular
RO	migrație circulară
SK	okružná migrácia / cirkulárna migrácia
SL	krožna migracija
SV	cirkulär migration
NO	sirkulær migrasjon
UK	циркулярна міграція

განმარტება

ერთი და იმავე პირის ლეგალური მიგრაცია ორ ან მეტ ქვეყანაში.

წყარო

ევროკომისიის კომუნიკე ცირკულარული მიგრაციისა და პარტნიორობა მობილობისთვის შეთანხმებათა შესახებ, COM(2007) 248 (საბოლოო რედაქცია)

დაკავშირებული ტერმინები

- ინტელექტის ცირკულაცია
- ინტელექტის გადინება
- ინტელექტის შემოდინება
- ხელშეკრულებით დასაქმებული შრომითი მიგრანტი
- დიასპორა
- პარტნიორობა მობილობისთვის
- სეზონური მუშაკი

შენიშვნა

ევროკავშირის კონტექსტისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია ცირკულარული მიგრაციის ორი ძირითადი ფორმა:

ა) ევროკავშირის ქვეყნებში მცხოვრებ მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ცირკულარული მიგრაცია, რომლის შემთხვევაშიც ადამიანებს შეუძლიათ აწარმოონ სხვადასხვა სახის საქმიანობა (ბიზნესი, პროფესიული, მოხალისეობრივი ან სხვა სახის საქმიანობა) თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, ინარჩუნებენ რა ძირითადი ბინადრობის ქვეყნად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოს. აღნიშნულ კატეგორიაში შედის სხვადასხვა ჯგუფი:

– ბიზნესმენები, რომლებიც მუშაობენ ევროკავშირში და სურთ საქმიანობის დაწყება თავისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში (ან რომელიმე სხვა მესამე ქვეყანაში);

– ექიმები, მასწავლებლები ან სხვა პროფესიონალი მუშაკები, რომლებსაც სურთ, დაეხმარონ თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანას, თავიანთი პროფესიული საქმიანობის ნაწილობრივ იქ განხორციელების გზით.

ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ცირკულარული მიგრაცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ, დროებით ჩავიდნენ ევროკავშირში სამუშაოდ, სასწავლებლად, ტრენინგის გასავლელად ან რამდენიმე ზემოაღნიშნული მიზნით იმ პირობით, რომ იმ ვადის ბოლოს, რომლისთვისაც მათ ქვეყანაში შესვლის უფლება მიეცათ, ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან თავიანთ ძირითად საცხოვრებელ ადგილს და საქმიანობას წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში. ცირკულარობის გასაზრდელად მიგრანტებს (დაბრუნების შემთხვევაში) შეიძლება მიეცეთ გარკვეული ფორმით შეღავათიანი მობილობის შესაძლებლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, მაგალითად, ქვეყანაში დაშვების/ხელახალი შესვლის გამარტივებული პროცედურის გზით. აღნიშნულ კატეგორიაში შედის მიგრანტთა ბევრი სხვადასხვა ჯგუფი, როგორებიც არიან:

– მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ ევროკავშირში დროებით (მაგ., სეზონურ სამუშაოებზე) დასაქმება;

– მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ ევროპაში სწავლა ან ტრენინგის გავლა;

– მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სამშობლოში დაბრუნებამდე, სწავლის დასრულების შემდეგ, სურთ ევროკავშირში დასაქმება (მაგ., სტაჟირების გავლა) პროფესიული გამოცდილების მიღების მიზნით, რომლის შესაძლებლობაც თავიანთი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არ აქვთ;

ცირკულარული მიგრაცია [გაგრძ.]

– მესამე ქვეყნის მკვლევარები, რომლებსაც სურთ ევროკავშირში კვლევითი პროექტის განხორციელება;
– მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ საერთაშორისო გაცვლით და სხვა აქტივობებში ჩართვა კულტურის, აქტიური სამოქალაქო მონაწილეობის, განათლებისა და ახალგაზრდობის (სასწავლო კურსები, სემინარები, კულტურული ღონისძიებები, სასწავლო ვიზიტები) სფეროში;
– მესამე ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სურთ მოხალისეობრივ საწყისებზე გარკვეული საქმიანობის შესრულება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, რომელიც ამ ქვეყნის ზოგად ინტერესს ემსახურება.

ცრუ განცხადება მშობლობის შესახებ

BG	невярна декларация за родителство
CS	falešné prohlášení rodičovství
DE	falsche Erklärung der Elternschaft / falsche Elternschaftsangabe
EL	ψευδής δήλωση πατρότητας
EN	false declaration of parenthood
ES	declaración falsa de paternidad / maternidad
ET	põlvnemise kohta valeandmete esitamine
FI	valheellinen vanhemmuuden ilmoittaminen
FR	fausse déclaration de parentalité
GA	bréagdhearbhú tuismíochta
HU	hamis szülői nyilatkozat
IT	falsa dichiarazione di filiazione
LT	fiktyvus įvaikinimas
LV	vecāku statusa viltus reģistrēšana
MT	Dikjarazzjoni falza ta' maternità u / jew paternità
NL	valse ouderschapsverklaring
PL	fałszywe oświadczenie o uznaniu rodzicielstwa
PT	falsas declarações parentesco
RO	declarație de paternitate falsă
SK	falošné prehlásenie rodičovstva
SL	lažna izjava o starševstvu
SV	osant intygande om föräldraskap
NO	falsk vedgåelse av foreldreskap (b); falsk vedgåing av foreldreskap (n)
UK	неправдива заява про батьківство

განმარტებები

მშობლობის შესახებ ცრუ განცხადება, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს:

(ა) ევროკავშირის მოქალაქე ან ევროკავშირში დასახლებულ მესამე ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვან პირსა და მესამე ქვეყნის მოქალაქე ზრდასრულ პირს შორის, როდესაც სრულწლოვანი პირი ამტკიცებს, რომ არის არასრულწლოვანი პირის მშობელი, რათა მოიპოვოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვა ან, ამ სახელმწიფოში ყოფნის შემთხვევაში, შეიძინოს ბინადრობის კანონიერი საფუძველი; ან

(ბ) მესამე ქვეყნის მოქალაქე არასრულწლოვან პირსა და ევროკავშირის მოქალაქე ან ევროკავშირში დასახლებულ მესამე ქვეყნის მოქალაქე სრულწლოვან პირს შორის, როდესაც სრულწლოვანი პირი აცხადებს, რომ არის არასრულწლოვანი პირის მშობელი, რათა არასრულწლოვანმა პირმა და/ან მეორე მშობელმა მოიპოვოს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში ბინადრობის ნებართვა ან, ამ სახელმწიფოში ყოფნის შემთხვევაში, შეიძინოს ბინადრობის კანონიერი საფუძველი.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ცრუ განცხადება მამობის შესახებ**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ფიქციური სამოქალაქო პარტნიორობა**
★ **ფიქციური ქორწინება**
★ **ფიქციური პარტნიორობა**

შენიშვნა

მშობლობის შესახებ ცრუ განცხადებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN: ოჯახის გაერთიანების მოტივის ბოროტად გამოყენება, 2012 წ.

ც

ცხელ წერტილებში გამოყენებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები

BG	стандартни оперативни процедури, приложими в горещи точки
CS	standardní operační procedury aplikované v hotspotech
DE	Standardvorgehensweise in Hotspots / Standardverfahren für Hotspots
EL	Τυποποιημένες διαδικασίες λειτουργίας για τα κέντρα υποδοχής και ταυτοποίησης (ΚΥΤ-Hotspots)
EN	Standard operating procedures applicable in hotspots
ES	Procedimientos operativos estándar aplicables en los hotspots
ET	esmastes vastuvõtu keskustes kohaldatavad püsitoimingud
FI	hotspot-toimintamenettely
FR	procédures opérationnelles standard applicables dans les hotspots
GA	
HU	a hotspotokban alkalmazott általános működési eljárások
IT	procedure operative standard per i punti di crisi
LT	migrantų antplūdžio valdymo centruose taikomos standartinės veiklos procedūros
LV	karstajos punktos piemērojamās standartprocedūras
MT	Proċeduri ta' operazzjoni standard f'inħawi / sitwazzjonijiet imwiegħra
NL	operationele standaardprocedures van toepassing in hotspots
PL	standardy procedur operacyjnych stosowane w hotspotach
PT	procedimentos operacionais padrão aplicáveis em pontos de crise
RO	
SK	štandardné / bežné pracovné postupy v hotspotoch
SL	Standardni operativni postopki, ki se uporabljajo na žariščnih točkah
SV	standardiserat tillvägagångssätt som tillämpas i hotspot-områden
NO	
UK	стандартні операційні процедури, що застосовуються в гарячих точках

განმარტება

ოპერაციული და ტექნიკური სახელმძღვანელო მითითებები ცხელი წერტილის მიდგომის განსახორციელებლად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, რომელიც თავის საზღვარზე (ევროკავშირის გარე საზღვარზე) განიცდის მიგრაციული ნაკადების გამო შექმნილ არაპროპორციულ ზეწოლას. მითითებები გამიზნულია ცხელ წერტილებში აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებისა და მათი ეფექტური ფუნქციონირებისთვის, ასევე, პროცესში ჩართულ სხვადასხვა მხარეს (ევროკავშირი, წევრი სახელმწიფოს სამთავრობო უწყებები, საერთაშორისო სააგენტოები) შორის პასუხისმგებლობათა გადასანაწილებლად.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკომისიის სამუშაო დოკუმენტი: ცხელი წერტილის მიდგომის განხორციელების საუკეთესო პრაქტიკის ამსახველი დოკუმენტის თანმხლები დოკუმენტი, მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის პროგრესანგარიში (SWD(2017)372)

იტალიის ცხელი წერტილის ზონებში გამოყენებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOPs)

საბერძნეთის ცხელი წერტილის ზონებში გამოყენებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები (SOPs)

სინონიმები

- H-SOPs
- Hotspot Standard Operating Procedures (H-SOPs)
- SOPs

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრმა მიმღებმა სახელმწიფომ სტანდარტული ოპერაციული პროცედურები უნდა დაამტკიცოს საკანონმდებლო აქტის, მთავრობის დადგენილების ან მინისტრის განკარგულების ფორმით, მიმღები წევრი სახელმწიფოს კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადაში ცხელი წერტილის მიდგომის ამოქმედებამდე.

ცხელ წერტილებში გამოყენებული სტანდარტული ოპერაციული პროცედურები [გაგრძ.]

2. ამ საუკეთესო პრაქტიკის მიზანია ძირითადი პრინციპების შემუშავება ცხელი წერტილების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად და იმისთვის, რომ ევროკავშირის შესაბამის წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ მკაფიო მითითებები, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგან ცხელი წერტილის მიდგომის ამოქმედებისას ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის (EU) 2016/1624 (რეგულაცია ევროპის საზღვრისა და სანაპირო დაცვის შესახებ) მე-18 მუხლის შესაბამისად, რომელიც შეიცავს დებულებებს ევროკავშირის ოპერაციული თანამშრომლობის შესახებ ცხელი წერტილის ზონებში.

3. ცხელი წერტილების ზონები ფუნქციონირებს საბერძნეთსა და იტალიაში, თუმცა სტანდარტული ოპერაციული პროცედურები ჯერჯერობით მხოლოდ იტალიამ დაამტკიცა.

ცხელი წერტილის ზონა

BG	зона на гореща точка
CS	hotspot
DE	Brennpunkt (EU-acquis); Hotspot-Gebiet
EL	κομβικό σημείο υποδοχής (χοτ σποτ / hotspot)
EN	hotspot area
ES	punto crítico
ET	esmase vastuvõtu piirkond
FI	järjestelykeskus / EU:n alueelle joukoittain saapuvien turvapaikanhakijoiden rekisteröintikeskus
FR	zone d'urgence migratoire (acquis UE); zone hotspot (BE, FR, LU)
GA	Limistéar Ball Te
HU	Hotspot területe
IT	Punto di crisi
LT	migrantų antplūdžio valdymo vieta
LV	karsto punktu zona
MT	Żona hotspot
NL	hotspotgebied
PL	obszar hotspot
PT	Zona dos pontos de crise
RO	zonă hotspot
SK	oblasť krízových vstupných centier / oblasť hotspotov
SL	Območje za sprejem in registracijo beguncev imenovano Hotspot
SV	hotspot-område / utsatt område
NO	mottakssted for asylsøkere etablert ved et uvanlig stort antall (b); mottaksstad for asylsøkjarar etablert ved eit uvanleg stort tal (n)
UK	зона гарячих точок

განმარტება

ზონა, სადაც ევროკავშირის წევრი მიმღები სახელმწიფო, ევროკომისია, ევროკავშირის შესაბამისი სააგენტოები და ევროკავშირის წევრი (ჩართული) სახელმწიფოები თანამშრომლობენ იმ არსებული ან შესაძლო არაპროპორციული მიგრაციული გამოწვევის მართვის მიზნით, რომელიც უკავშირდება ევროკავშირის გარე საზღვარზე მიგრანტთა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს რეგულაციის 2016/1624 (რეგულაცია ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის შესახებ) მე-2(10) მუხლი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ცხელი წერტილის მიდგომა**

ცხელი წერტილის მიდგომა

BG	Подход за създаване на горещи точки
CS	přístup s využitím hotspotů
DE	Hotspot-Konzept; Brennpunkt-System (EU acquis)
EL	Σύστημα κομβικών σημείων υποδοχής / χοτ σποτ
EN	Hotspot Approach
ES	Enfoque Hotspot
ET	esmase vastuvõtu süsteem
FI	järjestelykeskus-toimintamalli
FR	approche des hotspots
GA	Cur Chuige Ball Te
HU	Hotspot megközelítés
IT	sistema basato sui punti di crisi
LT	migrantų antplūdžio valdymo modelis
LV	karsto punktu pieeja
MT	approċċ hotspot
NL	hotspot-systeem
PL	podejście Hotspot / system Hotspot / w kontekście wsparcia państw członkowskich, które zmagają się z presją migracyjną na granicach zewnętrznych UE
PT	sistema de centros de registo
RO	abordare hotspot
SK	koncepcia krízových vstupných centier a problémových oblastí (EU acquis); systém hotspotov / systém migračných hotspotov
SL	pristop hotspot
SV	hotspotmetod (krisplatsmetod, akutstrategi)
NO	helhetlig prosedyre (b); helheitleg prosedyre (n)
UK	підхід гарячих точок

განმარტება

მიდგომა, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტო (EUAA), ევროპის სასაზღვრო და სანაპირო დაცვის სააგენტო (Frontex), ევროპოლი და ევროჯასტი მუშაობენ ადგილზე ევროკავშირის იმ 'წინა ხაზზე მყოფი' წევრი სახელმწიფოების სამთავრობო უწყებებთან ერთად, რომლებიც განიცდიან მიგრაციული ნაკადების გამო შექმნილ არაპროპორციულ ზეწოლას ევროკავშირის გარე საზღვრებზე. ერთობლივი ქმედება გამიზნულია ევროკავშირის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისთვის და გულისხმობს შემომავალი მიგრანტების სწრაფ იდენტიფიცირებას, რეგისტრაციას და თითის ანაბეჭდების აღებას.

წყარო

ევროკომისია: მიგრაციის ევროპული დღის წესრიგი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ **ცხელი წერტილის ზონა**

შენიშვნები

1. ცხელი წერტილის მიდგომა, რომელიც ევროკომისიამ ევროკავშირის გარე საზღვრებზე მდებარე წევრი სახელმწიფოების დასახმარებლად შეიმუშავა, წარმოდგენილი იქნა მიგრაციის ევროპული დღის წესრიგის ფარგლებში, 2015 წლის მაისი.

2. ცხელი წერტილის მიდგომით გათვალისწინებული ოპერაციული დახმარება გულისხმობს მხარდაჭერას თავშესაფრის მაძიებელთა რეგისტრაციის, იდენტიფიცირების, თითის ანაბეჭდების აღებისა და კონსულტირების კუთხით, ასევე დაბრუნების ოპერაციების განხორციელების მიმართულებით. თავშესაფრის მაძიებლები დაუყოვნებლივ გადამისამართდებიან თავშესაფრის პროცედურაზე, რომლის წარმოებისა და განაცხადების სწრაფი დამუშავების ხელშეწყობის მიზნით პროცესში ჩართული არიან EUAA-ს მხარდამჭერი ჯგუფები. დაცვის საჭიროების არმქონე პირებთან მიმართებით Frontex ეხმარება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტების დაბრუნების პროცესის კოორდინირების გზით; ხოლო ევროპოლი და ევროჯასტი ეხმარებიან ევროკავშირის წევრ მიმღებ ქვეყანას გამოძიებათა წარმოებაში საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანისა და ტრეფიკინგის ქსელების განადგურების მიზნით.

3. იტალია და საბერძნეთი ევროკავშირის პირველი ორი წევრი სახელმწიფო, სადაც განხორციელდა ცხელი წერტილის მიდგომა. მოთხოვნის შემთხვევაში ამ მიდგომით სარგებლობა ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებსაც შეუძლიათ.

4. ცხელი წერტილის მიდგომა გამიზნული იყო 2015 წლის 27 მაისსა და 9 სექტემბერს ევროკომისიის მიერ შემოთავაზებული, მიგრანტთა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში დროებითი განსახლების სქემების განსახორციელებლად: ევროკავშირის 'წინა ხაზზე' მყოფ სახელმწიფოებში მოხდა საერთაშორისო დაცვის აშკარა საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირება მათი ევროკავშირის სხვა წევრ სახელმწიფოებში განსახლების მიზნით, სადაც განხილულ იქნა მათი განცხადებები.

ძირითადი უფლებები

BG	основни права
CS	základní práva
DE	Grundrechte
EL	θεμελιώδη δικαιώματα
EN	fundamental rights
ES	Derechos fundamentales
ET	põhiõigused
FI	perusoikeudet
FR	droits fondamentaux
GA	Cearta bunúsacha
HU	alapvető jogok
IT	diritti fondamentali
LT	pagrindinės teisės
LV	pamattiesības
MT	drittijiet fundamentali
NL	fundamentele rechten
PL	
PT	direitos fundamentais
RO	drepturi fundamentale
SK	základné práva
SL	temeljne pravice
SV	grundläggande rättigheter
NO	grunnleggende rettigheter (b); grunnleggande rettar (n)
UK	основні права

განმარტება

საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი გარანტიები, რომელთა გარეშეც ცალკეული პირები და პირთა ჯგუფები ვერ უზრუნველყოფენ თავიანთი ძირითადი თავისუფლებებისა და ღირსების დაცვას და რომლებიც თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე, განურჩევლად ეროვნებისა, საცხოვრებელი ადგილისა, სქესისა, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილებისა, კანის ფერისა, რელიგიისა, ენისა ან კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივი სისტემით განსაზღვრული სტატუსისა.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიის შესახებ ევროკომისიის ვებგვერდი

ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) ვებგვერდი

სინონიმი

- ფუნდამენტური უფლებები

დაკავშირებული ტერმინები

- ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია
- ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA)
- ადამიანის უფლებები
- ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

შენიშვნები

1. ძირითადი უფლებები საშუალებას აძლევს ადამიანებს, სრულად განავითარონ თავიანთი პოტენციალი და ძირითადი გონებრივი, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უფლებები აქვთ ინდივიდებს და პირთა ჯგუფებს და აღწერს იმ შეზღუდვებს, რომლებიც შესაძლოა, სახელმწიფომ დააწესოს ამ უფლებებში ჩარევისთვის. ზოგი უფლება აბსოლუტურია, ზოგისგან გადახვევა დაუშვებელია, ხოლო ზოგი უფლება წარმოადგენს არააბსოლუტურ უფლებას.

2. აბსოლუტურია უფლება, რომლის შეზღუდვა ან მასში ჩარევა დაუშვებელია ნებისმიერი გარემოების არსებობისას, მათ შორის, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროსაც. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-3 მუხლი და წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAT) მე-2 მუხლი განსაზღვრავს აბსოლუტურ უფლებებს, რომელთა შეზღუდვა დაუშვებელია.

3. უფლებები, რომლებისგან გადახვევა დაუშვებელია, შეიძლება იყოს აბსოლუტური ან არააბსოლუტური. მაშინ, როდესაც აღნიშნული უფლებების მოქმედების შეჩერება დაუშვებელია, ზოგი მათგანის შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს შეზღუდვა მათ სრულფასოვან ამოქმედებაზე კონკრეტული გარემოებების არსებობისას, როგორიცაა, მაგ., ECHR-ის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და მე-12 მუხლით გათვალისწინებული ოჯახის შექმნის უფლება; აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს ამავე კონვენციით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას.

ძირითადი უფლებები [გაგრძ.]

4. არააბსოლუტურია უფლებები, რომლებშიც ჩარევა დასაშვებია სხვადასხვა პირობის არსებობისას. ეს უფლებებია პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (ECHR-ის მე-8 მუხლი) და გამოხატვის თავისუფლების უფლება (ECHR-ის მე-10 მუხლი), თუმცა მათში ჩარევა უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის საფუძველზე და უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი წესრიგის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ან მორალის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და სამოქალაქო დაცულობის უზრუნველყოფის აუცილებლობას.

5. ადამიანის უფლებები და ძირითადი უფლებები მომიჯნავე ცნებებია. ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტოს (FRA) თანახმად, როგორც ადამიანის უფლებები, ისე ძირითადი უფლებები ადამიანებს უჩენს გარკვეული სახის მოპყრობის სამართლიან მოლოდინს. თუმცა მათ შორის არსებობს განსხვავება: ტერმინი 'ძირითადი უფლებები', ძირითადად, სახელმწიფო კონსტიტუციებში გვხვდება, ხოლო ტერმინი 'ადამიანის უფლებები', მეტწილად, საერთაშორისო სამართალში გამოიყენება. ამავდროულად, აღნიშნულ ცნებებში არსებული მსგავსება იკვეთება ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორიცაა ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, ადამიანის უფლებათა ეროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

6. ევროკავშირში ძირითადი უფლებები უზრუნველყოფილია სახელმწიფო დონეზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებით, ხოლო ევროკავშირის დონეზე – ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტიით. ქარტიის მოქმედების სფერო პოტენციურად ძალიან ფართოა: ქარტიით აღიარებული უფლებების უმეტესობა ენიჭება „ყველა ადამიანს", განურჩევლად ეროვნებისა და სტატუსისა. თუმცა ზოგიერთი უფლება მხოლოდ მოქალაქეებს ენიჭება (კერძოდ, V კარში ჩამოთვლილი უფლებების უმეტესობა), ზოგი კი (მაგ., თავშესაფრის უფლება) უფრო მეტად ეხება ევროკავშირის არამოქალაქეებს, ან გარკვეული კატეგორიის პირებს (მაგ., დასაქმებულებს). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ევროპის პარლამენტი: ძირითადი უფლებების პატივისცემა ევროკავშირში.

7. ევროკავშირის ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA) წარმოადგენს ძირითადი უფლებების საკითხებში ევროკავშირის ექსპერტული ცოდნის ცენტრს, რომელიც ხელს უწყობს ევროკავშირში მცხოვრებ პირთა ძირითადი უფლებების დაცვას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. FRA-ს ვებგვერდი.

წამება

BG	изтезания
CS	mučení
DE	Folter
EL	βασανιστήρια
EN	torture
ES	tortura
ET	piinamine
FI	kidutus
FR	torture
GA	céasadh
HU	kínzás
IT	tortura
LT	kankinimas
LV	spīdzināšana
MT	Tortura
NL	foltering
PL	tortury
PT	tortura
RO	tortură
SK	mučenie
SL	mučenje
SV	tortyr
NO	tortur
UK	катування

განმარტებები

ნებისმიერი ქმედება, განხორციელებული ადამიანისთვის ძლიერი ტკივილის ან ფიზიკური ან მორალური ტანჯვის განზრახ მიყენების მიზნით მისგან ან მესამე პირისგან ინფორმაციის ან აღიარების მოსაპოვებლად, ან მისი ან მესამე პირის დასჯის მიზნით ჩადენილი ქმედების ან ამგვარი ქმედების ჩადენის ეჭვის გამო, ასევე მისი ან მესამე პირის დასაშინებლად ან იძულებისთვის ან დისკრიმინაციაზე დაფუძნებული ნებისმიერი მიზეზით, როდესაც ამგვარი ტკივილისა და ტანჯვის მიყენება ხდება თანამდებობის პირის ან ოფიციალური უფლებამოსილებით მოქმედი პირის მიერ, ან მისი წაქეზებით, თანხმობით ან ფაქტობრივი ნებართვით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) პრეცედენტული სამართლის კონტექსტში, განზრახ არაადამიანური მოპყრობა, რომელიც იწვევს მძიმე და სასტიკ ტანჯვას.

წყარო

გლობალური კონტექსტი: წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი/ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის 1-ელი მუხლი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ECtHR) კონტექსტში: ECtHR-ის განჩინება საჩივარზე „ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ 1978 წლის 18 იანვარს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე, A25, §167.

დაკავშირებული ტერმინები

- ★ **სერიოზული ზიანი**
- ★ **მოწყვლადი პირი**

შენიშვნები

1. ტერმინში არ მოიაზრება ტკივილი ან ტანჯვა, რომელიც განპირობებულია კანონიერი სანქციებით და წარმოადგენს მათ განუყოფელ ან შესაძლო თანამდევ შედეგს.

2. წამების აკრძალვა განმტკიცებულია ბევრი საერთაშორისო ხელშეკრულებით, კერძოდ, საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR) და წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენციით (UNCAT). აღიარება იმისა, რომ წამება დაუშვებელია ნებისმიერ ვითარებაში, მათ შორის, ომის, საგანგებო მდგომარეობისა თუ ტერორისტული საფრთხის დროს, მიუთითებს, რომ ის საყოველთაოდ მიჩნეულია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ძირითად პრინციპად. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სახელმწიფოებსაც კი, რომლებსაც არ მოუხდენიათ წამების რომელიმე მკაფიოდ ამკრძალავი საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირება, ეკრძალებათ წამების გამოყენება ნებისმიერ ადგილზე, ნებისმიერ გარემოებაში, ნებისმიერი პირის წინააღმდეგ.

3. რეგიონული კონვენციები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-3 მუხლი) და ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია (მე-4 მუხლი), ასევე აღიარებს წამებას აკრძალულ ქმედებად.

4. როგორც წამების წინააღმდეგ გაეროს კონვენცია (UNCAT), ასევე ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენცია და ოქმი კრძალავს თავშესაფრის მაძიებლის იძულებით დაბრუნებას ქვეყანაში, რომელშიც არსებობს მისი წამების რისკი.

წამება [გაგრძ.]

5. ევროკავშირის დონეზე, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 21-ე მუხლი ექსპლიციტურად ფოკუსირდება განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოწყვლად თავშესაფრის მაძიებელთა, მათ შორის, წამების მსხვერპლთა, მდგომარეობის შესწავლაზე. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან, მოახდინონ წამების მსხვერპლთა იდენტიფიცირება თავშესაფრის პროცედურის ფარგლებში და შეაფასონ, არსებობს თუ არა მათი მიღების განსაკუთრებული საჭიროება/საფუძველი, მათ შორის, შესაბამისი სამედიცინო (მათ შორის, ფსიქოლოგიური) მკურნალობის ან ზრუნვის საჭიროება.

წარმომადგენელი

BG	представител
CS	zástupce
DE	Vertreter (EU acquis); Stellvertreter (DE)
EL	εκπρόσωπος
EN	representative
ES	representante legal
ET	esindaja
FI	edustaja
FR	représentant
GA	ionadaí
HU	képviselő
IT	rappresentante
LT	atstovas
LV	pārstāvis
MT	Rappreżentant legali / Kuratur legali
NL	vertegenwoordiger
PL	przedstawiciel
PT	representante legal
RO	reprezentant legal
SK	zástupca
SL	predstavnik / zastopnik
SV	företrädare
NO	representant
UK	представник

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, კომპეტენტური ორგანოების მიერ ბავშვის დახმარებისა და წარმომადგენლობის მიზნით დანიშნული პირი ან ორგანიზაცია, რომელიც ბავშვთან დაკავშირებული სხვადასხვა პროცედურის მიმდინარეობისას (როგორიცაა მაგ., საერთაშორისო დაცვის პროცედურები) უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და არასრულწლოვანის შეზღუდული ქმედუნარიანობის გათვალისწინებით, საჭიროების შემთხვევაში, ერთვება სამართლებრივ ურთიერთობაში.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროპის პარლამენტის და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(ი) მუხლი

ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობა, 2015 წ.

სინონიმი

★ კანონიერი წარმომადგენელი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **მეურვე/მზრუნველი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **თანმხლები პირის გარეშე მყოფი არასრულწლოვანი**

★ **განცალკევებული ბავშვი**

შენიშვნები

1. ტერმინების 'მეურვე' და '(კანონიერი) წარმომადგენელი' უნიფიცირებული განმარტება არ არსებობს არც საერთაშორისო, არც ევროკავშირის ან წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე. ზოგჯერ ისინი სინონიმების მნიშვნელობით გამოიყენება. საერთაშორისო და ევროკავშირის კონტექსტში გამოყენებულ ამ და სხვა ტერმინებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. ძირითად უფლებათა სააგენტო, მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობა, 2015 წ.

წარმომადგენელი [გაგრძ.]

2. EMN-ის განმარტებითი ლექსიკონი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს არა იმდენად ტერმინოლოგიას, რამდენადაც დანიშნული პირის ფუნქციებს. ტერმინი 'წარმომადგენელი' უფრო ვიწრო ცნებაა და შემოიფარგლება ბავშვის კანონიერი წარმომადგენლობის ფუნქციით სამართლებრივი თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას (რაც ერთ-ერთია მეურვეობით განსაზღვრული სამი ძირითადი ფუნქციიდან) და შესაბამისად, არ მოიცავს მეურვეზე დაკისრებულ ფართო პასუხისმგებლობებს. წარმომადგენელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური პირი, ასევე ორგანიზაცია; მეორე შემთხვევაში ორგანიზაცია გამოყოფს პირს, რომელსაც დაეკისრება წარმომადგენლის უფლება-მოვალეობების შესრულება. შესაძლოა, მეურვე და კანონიერი წარმომადგენელი ერთი და იგივე პირიც იყოს.

3. წარმომადგენელი ასევე განსხვავდება კვალიფიცირებული ადვოკატისგან ან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტისგან, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიულ დახმარებას და წარმოადგენს ბავშვს როგორც დოკუმენტურად, ასევე პირადად, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში სისხლის სამართლის, თავშესაფართან დაკავშირებულ ან სხვა სამართლებრივ საქმეთა წარმოებისას, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ძირითად უფლებათა სააგენტო (FRA): მშობლების მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მეურვეობის სისტემები ევროკავშირში, შემაჯამებელი დოკუმენტი, 2018 წ.

4. შეინიშნება ევროკავშირის კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ორი ტერმინის არათანმიმდევრულად გამოყენების პრაქტიკა. მაგალითისთვის იხ. ევროკავშირში საერთაშორისო დაცვის ერთიანი პროცედურის შემოღების თაობაზე რეგულაციის (რომელიც ჩაანაცვლებს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივას 2013/32/EU, COM/2020/611) შემუშავების შესახებ განახლებული წინადადების მე-4(2f) მუხლი. აღნიშნული წინადადება ტერმინს 'მეურვე' განსაზღვრავს იმავე მნიშვნელობით, რომლითაც ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(ი) მუხლი განსაზღვრავს ტერმინს 'წარმომადგენელი'.

წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა

BG	страна на произход
CS	země původu
DE	Herkunftsland, Herkunftsstaat
EL	χώρα προέλευσης
EN	country of origin
ES	país de origen
ET	päritoluriik
FI	alkuperämaa/lähtömaa
FR	pays d'origine
GA	tír thionscnaimh
HU	származási ország
IT	paese di origine
LT	kilmės šalis (EU acquis); kilmės valstybė
LV	izcelsmes valsts
MT	Pajjiż tal-oriġini
NL	land van herkomst
PL	kraj pochodzenia
PT	país de origem
RO	țara de origine
SK	krajina pôvodu
SL	izvorna država
SV	ursprungsland
NO	opprinnelseslandd (b); opphavsland (n)
UK	країна походження

განმარტება

მოქალაქეობის ქვეყანა ან, მოქალაქეობის არმქონე პირების შემთხვევაში, ადრინდელი (ჩვეული) საცხოვრებელი ქვეყანა.

წყარო

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მე-2(ი) მუხლი

სინონიმი

★ წარმომავლობის (წარმოშობის) სახელმწიფო

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინები

★ **ინფორმაცია წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნის შესახებ (COI)**

★ **უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **დაბადების ქვეყანა**

★ **მოქალაქეობის ქვეყანა**

★ **დაბრუნების ქვეყანა**

წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა [გაგრძ.]

შენიშვნები

1. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) 37-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება ძალაში დატოვონ ან შემოიღონ კანონმდებლობა, რომელიც, საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადებების განხილვის მიზნებისთვის, უსაფრთხო ქვეყნის ეროვნულ დონეზე განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

2. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების (TFEU) 29-ე ოქმის თანახმად, ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა ერთმანეთი უნდა მიიჩნიონ უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებად თავშესაფრის საკითხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი და პრაქტიკული მიზნის ფარგლებში. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ თავშესაფრის მოთხოვნაზე ნებისმიერი განცხადება, როგორც წესი, არ განიხილება.

3. ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა შეაფასონ მდგომარეობა უსაფრთხოდ მიჩნეულ წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში.

4. ქვეყნის უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნად მისაჩნევად საჭიროა მრავალი სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამუშავება; როგორიცაა ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის თავშესაფრის სააგენტოს (EUAA), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისის (UNHCR), ევროპის საბჭოს და სხვა შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

5. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2013/32/EU (თავშესაფრის პროცედურების განახლებული რედაქცია) 36-ე მუხლის თანახმად, ცნება 'უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა' ნიშნავს, რომ მესამე ქვეყანა განცხადების ინდივიდუალური განხილვის შემდეგ მიჩნეულია უსაფრთხო წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნად კონკრეტული განმცხადებლის შემთხვევაში, თუ:

– ის ფლობს ამ ქვეყნის მოქალაქეობას; ან

– ის არის მოქალაქეობის არმქონე პირი და მანამდე ცხოვრობდა მოცემულ ქვეყანაში;

ამასთან, ამ პირებს არ წარმოუდგენიათ სერიოზული საფუძველი იმის დასასაბუთებლად, რომ ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) მიხედვით მათთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭების მიზნებისთვის მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანა არ უნდა იქნეს მიჩნეული მათთვის უსაფრთხოდ მათი ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით.

ხარტუმის პროცესი

BG	процес от Хартум
CS	Chartúmský proces
DE	Khartum-Prozess
EL	Διαδικασία του Χαρτούμ
EN	Khartoum Process
ES	Proceso de Jartum
ET	Hartumi protsess
FI	Khartumin prosessi
FR	Processus de Khartoum
GA	Próiseas Chartúm
HU	Kartúm Folyamat
IT	Processo di Khartoum
LT	Chartumo procesas
LV	Hartūmas process
MT	Proċess (Il-) ta' Kartum
NL	Khartoem-proces / Proces van Khartoem
PL	Proces chartumski
PT	Processo de Cartum
RO	Procesul de la Khartoum
SK	Chartúmsky proces
SL	Kartumski proces
SV	Khartoumprocessen
NO	Khartoumprocessen
UK	Хартумський процес

განმარტება

აფრიკის რქისა და ევროპის დამაკავშირებელ მიგრაციის მარშრუტზე არსებულ ქვეყნებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობის პლატფორმა, რომელიც ფოკუსირებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

წყარო

ხარტუმის პროცესის ვებგვერდი

სინონიმი

★ ევროკავშირი-აფრიკის რქის მიგრაციის მარშრუტის ინიციატივა

დაკავშირებული ტერმინები

★ **ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სატრასტო ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის)**

★ **რაბატის პროცესი**

★ **განვითარებისა და დაცვის რეგიონული პროგრამა (RDPP)**

შენიშვნები

1. პლატფორმა ასევე ცნობილია, როგორც ევროკავშირ-აფრიკის რქის მიგრაციის მარშრუტის ინიციატივა, რომელიც ამოქმედდა 2014 წლის 28 ნოემბრის რომის მინისტერიალზე მიღებული დეკლარაციის შესაბამისად. პროცესს საფუძველი ჩაეყარა 2012 წლიდან ეგვიპტეში, ერიტრეაში, ეთიოპიასა და სუდანში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გახშირებული შემთხვევების გამო, რამაც გამოიწვია ხარტუმის პროცესის ინიციირება 2014 წელს.

2. კონტინენტთაშორისი საკონსულტაციო ჩარჩოს მიზნებია:

– მიგრაციისა და მობილობის საკითხებზე თანამშრომლობის გასაძლიერებლად უწყვეტი დიალოგის წარმოება;

– ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონო გადაყვანის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით მიზნობრივი პროექტების შემუშავება და განხორციელება;

– რეგიონული თანამშრომლობის სტიმულირება წარმომავლობის (წარმოშობის), სატრანზიტო და დანიშნულების ქვეყნებს შორის აფრიკის რქასა და ევროპას შორის მიგრაციის მარშრუტთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. ხარტუმისა და რაბატის პროცესების ფარგლებში მიგრაციის მართვის ეროვნული და რეგიონული სტრატეგიების შემუშავებისკენ მიმართულ პროექტებს აფინანსებს ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების ფონდი აფრიკისთვის (EUTF აფრიკისთვის).

ხელახალი შესვლა

BG	повторно влизане
CS	opětovný vstup
DE	Wiedereinreise
EL	επανείσοδος
EN	re-entry
ES	re-entrada
ET	taassisenemine, korduv sisenemine
FI	paluu
FR	nouvelle entrée
GA	athiontráil
HU	újbóli belépés
IT	Reingresso
LT	pakartotinis atvykimas
LV	atkārtota ieceļošana
MT	Dħul lura
NL	het opnieuw toelaten (op het grondgebied van de vreemdeling
PL	ponowny wjazd; ponowne przekroczenie granicy
PT	reentrada
RO	reintrarea
SK	opätovný vstup
SL	ponovni vstop
SV	återresa
NO	retur til et EU-/EFTA-land (b); retur til eit EU-/EFTA-land (n)
UK	повторний в'їзд

განმარტება

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) კონტექსტში, მკვლევრის ან სტუდენტის დაბრუნება ევროკავშირის იმ წევრ სახელმწიფოში, რომელშიც მას თავდაპირველად მიეცა ყოფნის უფლება, ევროკავშირის მეორე წევრი ქვეყნიდან, სადაც მკვლევარი (სტუდენტი) იმყოფებოდა 180 დღემდე ვადით, აღნიშნული მობილობის ვადის გაუქმების ან ამოწურვის შემდეგ.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.
ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2016/801/EU (მკვლევართა შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) პრეამბულის 50-ე პუნქტი და ამავე დირექტივის 28-ე მუხლი

შენიშვნები

1. ქვეყანაში ხელახალი შესვლის (დაბრუნების) შესახებ ნებართვის გაცემასთან ერთად, ევროკავშირის პირველმა წევრმა სახელმწიფომ მკვლევარს ან სტუდენტს უნდა გადასცეს შესაბამისი ნებართვის დამადასტურებელი დოკუმენტი.
2. ქვეყანაში ხელახალ შესვლაზე (დაბრუნებაზე) უარის თქმის კვალდაკვალ, ევროკავშირის მეორე წევრი სახელმწიფო უფლებამოსილია, მკვლევარი ან სტუდენტი დააბრუნოს მესამე ქვეყანაში, ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2008/115/EC (დირექტივა დაბრუნების შესახებ) შესაბამისად და დაბრუნების ვალდებულების ნებაყოფლობითი თუ იძულებითი აღსრულების შედეგად.

ხელშეკრულებით დასაქმებული შრომითი მიგრანტი

BG	работник мигрант на трудов договор
CS	pracující migrant se smluvním vztahem
DE	Vertragsarbeitnehmer
EL	μισθωτός μετανάστης εργαζόμενος
EN	contract migrant worker
ES	No translation
ET	lepinguline võõrtöötaja
FI	maahanmuuttaja, jolla on rajoitettu työntekooikeus
FR	travailleur migrant sous contrat
GA	oibrí imirceach ar conradh
HU	szerződéssel rendelkező / szerződéses migráns munkavállaló
IT	lavoratore migrante a contratto
LT	migrantas darbuotojas pagal sutartį
LV	līgumdarbinieks migrants
MT	Migrant ħaddiem b'kuntratt tax-xogħol
NL	buitenlandse contractarbeider
PL	migrant / pracownik kontraktowy
PT	trabalhador migrante por conta de outrem
RO	lucrator migrant cu contract
SK	pracujúci migrant so zmluvou na dobu určitú
SL	pogodbeni delavec migrant
SV	migrant med begränsat anställningsavtal
NO	migrant med begrenset arbeidsavtale (b); migrant med avgrensa arbeidsavtale (n)
UK	працівник-мігрант за контрактом

განმარტება

პირი, რომელიც დასაქმებულია საზღვარგარეთ შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს დასაქმების ვადას და მიგრანტის მიერ შესასრულებელ კონკრეტულ სამუშაოს.

წყარო

OECD-ის სტატისტიკის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი

სინონიმი

★ ხელშეკრულებით დასაქმებული მუშაკი

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **შრომითი მიგრანტი**

დაკავშირებული ტერმინები

★ **ცირკულარული მიგრაცია**

★ **სეზონური მუშაკი**

შენიშვნები

1. ხელშეკრულებით დასაქმებულ შრომით მიგრანტებს არ შეუძლიათ სამუშაო ადგილის შეცვლა მიმღები სახელმწიფოს შესაბამისი უწყების მიერ გაცემული ნებართვის გარეშე.

2. ტერმინი არ არის ფართოდ გავრცელებული. პრაქტიკაში უფრო მეტად გვხვდება 'ხელშეკრულებით დასაქმებული პირი', რომელიც, შრომითი მიგრანტების გარდა, სხვა დასაქმებულთა მიმართაც გამოიყენება.

ხელშემწყობი პირი

BG	помагач
CS	osoba napomáhající
DE	Schlepper
EL	διαμεσολαβητής
EN	facilitator
ES	traficante de personas
ET	välismaalase ebaseaduslikult üle riigipiiri toimetaja/ ilma seadusliku aluseta riigis viibimise soodustaja/vahendaja
FI	säännösten vastaisen maahantulon järjestäjä
FR	passeur; personne qui facilite le trafic des migrants (BE)
GA	éascaitheoir
HU	szándékosan segítséget nyújtó személy
IT	colui il quale compie reato di favoreggiamento dell'immigrazione irregolare
LT	tarpininkas
LV	cilvēku tirdzniecības veicinātājs
MT	Faċilitatur (-triċi) Ħaffief(a)
NL	facilitator
PL	pomocnik/łącznik (there is no equivalent word in Polish)
PT	facilitador
RO	traficant de persoane / persoană care introduce ilegal migranți
SK	sprostredkovateľ / prevádzač
SL	sprovajalec
SV	medhjälpare till olaglig inresa och vistelse
NO	tilrettelegger for menneskesmugling (b); tilrettelegg for menneskesmugling (n)
UK	помічник

განმარტება

მიგრაციის კონტექსტში, პირი, რომელიც, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, მიზანმიმართულად ხელს უწყობს არამოქალაქე პირს, შევიდეს, ტრანზიტით გაიაროს ან იცხოვროს კონკრეტული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად.

წყარო

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2002/90/EC (დირექტივა უნებართვო შესვლის, ტრანზიტის და ბინადრობის ხელშეწყობის შესახებ) 1-ელი (1a, 1b) მუხლი

უფრო ვიწრო მნიშვნელობით ტერმინი

★ (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი

დაკავშირებული ტერმინები

★ (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა

★ ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

შენიშვნები

1. ამ ორი ტერმინის მსგავსი მნიშვნელობისა და კანონიერი საფუძვლის გარეშე მიგრაციასთან მათი კავშირის მიუხედავად, არსებობს სხვაობა ხელშემწყობ პირსა და (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანს შორის.

2. ხელშემწყობი პირი უფრო ფართო ცნებაა და აღნიშნავს პირს, რომელიც მიგრანტს სთავაზობს გარკვეულ მომსახურებებს ქვეყანაში მისი უნებართვო შესვლის უზრუნველსაყოფად. ხელშემწყობი პირები უზრუნველყოფენ (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანების დანაშაულებრივ საქმიანობათა მხარდაჭერას, რაც გამოიხატება მიგრაციის არხების, ქსელების და შესვლის პუნქტების ორგანიზებაში და ამგვარად, ხელს უწყობენ ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულს. მხარდაჭერის სისტემა ხშირად იყენებს კანონიერი ბიზნესკომპანიების და შუამავლების ფართო ქსელს, როგორებიც არიან ინტერნეტ სერვისპროვაიდერები, სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ფირმები, სასტუმროები, საფინანსო სერვისკომპანიები, ტურისტული ან დასაქმების სააგენტოები და/ან უძრავი ქონების მეპატრონეები. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

3. (სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადაყვანა უფრო ვიწრო ცნებაა და გულისხმობს პირის (მისივე თანხმობის საფუძველზე) ტრანსპორტირებას მეორე ქვეყანაში არალეგალური გზებით. მეტი ინფორმაციისთვის იხ. ტერმინი '(სახელმწიფო) საზღვარზე მიგრანტთა უკანონოდ გადამყვანი'.

4. ზოგ სახელმწიფოში ტერმინს 'ხელშემწყობი პირი' სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა აქვს და მიგრაციისგან განსხვავებულ კონტექსტში გამოიყენება.

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა

BG	достъп до здравни грижи
CS	přístup ke zdravotní péči
DE	Zugang zu medizinischer Versorgung
EL	πρόσβαση στην υγειονομική περίθαλψη
EN	access to healthcare
ES	acceso a la asistencia sanitaria
ET	juurdepääs tervishoiule
FI	oikeus terveydenhuoltoon
FR	accès aux soins de santé
GA	Rochtain ar Chúram Sláinte
HU	a migránsok társadalombiztosítási és egészségügyi ellátásokhoz való hozzáférése
IT	accesso all'assistenza sanitaria
LT	sveikatos priežiūros paslaugų prieinamumas
LV	piekļuve veselības aprūpei
MT	Aċċess għas-servizzi tas-saħħa / għall-kura sanitarja
NL	toegang tot gezondheidszorg
PL	dostęp do opieki zdrowotnej
PT	acesso aos cuidados de saúde
RO	acces la ingrijirea sanatatii / acces la sistemul medical
SK	prístup k zdravotnej starostlivosti
SL	dostop do zdravstvenega varstva
SV	tillgång till hälso- och sjukvård
NO	tilgang til helsetjenester (b); tilgang til helsetenester (n)
UK	доступ до медичного обслуговування

განმარტება

ჯანდაცვის სერვისები, რომლებზეც შეღავათიანი წვდომა აქვთ მესამე ქვეყნის მოქალაქეებს (მიგრანტებს, საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს და ლტოლვილებს) ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და მათი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყნებში.

წყაროები

შემუშავდა EMN-ის მიერ.

ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) მე-11 მუხლი

ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივის 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) 30-ე მუხლი

სინონიმი

★ სამედიცინო შეღავათები

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **სოციალური დახმარება/შეღავათები**

შენიშვნები

1. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ჯანდაცვის სერვისების მასშტაბი, რომლითაც სარგებლობენ მესამე ქვეყნის მოქალაქეები, დამოკიდებულია მათ ბინადრობის ან დასაქმების სტატუსზე. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. EMN-ის კვლევა „მიგრანტთა წვდომა სოციალური დაცვისა და ჯანდაცვის სისტემებზე: პოლიტიკა და პრაქტიკა", 2014 წ.

2. ევროკავშირის საბჭოს დირექტივის 2003/109/EC (დირექტივა გრძელვადიან მობინადრეთა შესახებ) თანახმად, გრძელვადიანი მობინადრეები სარგებლობენ ჯანდაცვის იმავე ხელმისაწვდომობით, როგორითაც ქვეყნის მოქალაქეები, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

3. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2011/95/EU (მაკვალიფიცირებელი დირექტივის განახლებული რედაქცია) საერთაშორისო დაცვის მიმღებ პირებს ანიჭებს სათანადო წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე; მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკურ აშლილობათა მკურნალობაზე იმავე პირობებით, რომლებითაც სარგებლობენ ევროკავშირის წევრი იმ სახელმწიფოს მოქალაქეები, რომელმაც გასცა ამგვარი დაცვის ნებართვა.

4. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2013/33/EU (მიღების პირობების შესახებ დირექტივის განახლებული რედაქცია) საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებისთვის აწესებს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის მინიმალურ სტანდარტებს თავშესაფრის პროცედურის მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნული დირექტივის საფუძველზე ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ თავშესაფრის მაძიებელთათვის, სულ მცირე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების, ასევე, დაავადებათა და სერიოზულ ფსიქიკურ აშლილობათა აუცილებელი მკურნალობის სერვისების მიწოდება. თუმცა თავშესაფრის მაძიებელთა წვდომა ჯანდაცვის სერვისებზე დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაზე და განსხვავებულია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მაგალითისთვის იხ. EMN: სპეციალური გამოკითხვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში თავშესაფრის მაძიებელთა სამედიცინო მომსახურების სისტემის შესახებ.

5. ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა შეიძლება გახდეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შესახებ განცხადების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მაგ., თავშესაფრის მაძიებელს შეიძლება მიენიჭოს დამატებითი დაცვა იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებს, რომ

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა [გაგრძ.]

მისი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მიზეზების გამო, რადგან ავადმყოფი ადამიანის დაბრუნებამ (რაც ხშირ შემთხვევაში დაბრუნების ქვეყანაში არსებულ სამედიცინო მომსახურების არასათანადო ხარისხს უკავშირდება) შეიძლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს. ამგვარად, განცხადების განმხილველმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ, არსებობს თუ არა სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის შესაძლებლობა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში და იქნება თუ არა დაბრუნების შემთხვევაში აღნიშნული მომსახურება ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის (მაგ., ფინანსურად). დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. პროექტის MedCOI აღწერა ლტოლვილთა ევროპული ფონდის მიერ 2011 წელს დაფინანსებული პროექტების ჩამონათვალში.

ჯაჭვური მიგრაცია

BG	верижна миграция
CS	řetězová migrace
DE	Kettenmigration
EL	μεταναστευτική αλυσίδα
EN	chain migration
ES	cadena migratoria
ET	ahelränne
FI	ketjumaahanmuutto
FR	migration en chaîne
GA	imirce shlabhrúil
HU	lánc-migráció
IT	catena migratoria
LT	grandininė migracija
LV	ķēdes migrācija
MT	Katina ta' migrazzjoni
NL	kettingmigratie
PL	migracja łańcuchowa
PT	migração em cadeia
RO	migratie in lant
SK	reťazová migrácia
SL	verižna migracija
SV	kedjemigration
NO	kjedemigrasjon
UK	ланцюгова міграція

განმარტება

პრაქტიკა, როდესაც ოჯახის გაერთიანების პრინციპის საფუძველზე უცხო ქვეყანაში დამკვიდრებული პირები ეხმარებიან (სპონსორობასუწევენ) ოჯახის სხვა წევრებს მიგრაციაში, რაც შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით სახელმწიფოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან.

წყაროები

EMN: მესამე ქვეყნის მოქალაქეთა ოჯახების გაერთიანება ევროკავშირსა და ნორვეგიაში: ეროვნული პრაქტიკა, 2016 წ.

EMN: ოჯახის გაერთიანების საკითხების კვლევა, 2008 წ.

დაკავშირებული ტერმინები

- ოჯახის შექმნა
- ოჯახის მიგრაცია
- ოჯახის გაერთიანება
- ოჯახური ცხოვრების უფლება
- ოჯახის ერთიანობის უფლება

შენიშვნები

1. ჯაჭვური მიგრაცია გულისხმობს პროცესს, რომლის დროსაც ადამიანების თავდაპირველ გადაადგილებას შედეგად მოჰყვება სხვა პირთა გადაადგილება ანალოგიური მარშრუტით. ჯაჭვური მიგრაციისას თემის ცალკეული წევრები იწყებენ მიგრაციას და შემდეგ ეხმარებიან სხვებს მიგრაციაში (იხ. გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალური სააგენტოს მიგრაციის, მოქალაქეობისა და განათლების ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი).

2. ჯაჭვური მიგრაციის მაგალითია აგრეთვე ნათესაური და ოჯახური კავშირები ერთი ოჯახის სხვადასხვა დროს მიგრირებულ წევრებს შორის, როდესაც პირველ ეტაპზე მიგრირებენ ოჯახში ძირითადი შემოსავლის შემომტანი პირები, რასაც მოჰყვება დამატებითი შემოსავლის შემომტანი ან ოჯახის დაუსაქმებელი წევრების მიგრაცია. იმ ქვეყნებში, რომლებსაც ოჯახის გაერთიანების უფლების მხრივ საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი (მეტ-ნაკლებად ლიბერალური) რეგულაციები აქვთ, ოჯახის გაერთიანება, როგორც ჯაჭვური მიგრაციის შედეგი, ნათლად ხსნის მიგრანტი მოსახლეობის საერთო რაოდენობის გაზრდილ მაჩვენებელს.

ჯგუფის დევნა

BG	групово преследване
CS	pronásledování skupiny
DE	Gruppenverfolgung
EL	ομαδική δίωξη
EN	group persecution
ES	no translation
ET	grupi tagakiusamine
FI	ryhmään kohdistuva vaino
FR	persécution à l'encontre d'un groupe
GA	géarleanúint grúpa
HU	csoportos üldöztetés
IT	persecuzione di gruppo
LT	persekiojamoji grupė
LV	grupas vajāšana
MT	Persekuzzjoni ta' grupp(-i) ta' nies
NL	groepsvervolging
PL	grupowe prześladowanie
PT	grupo alvo de perseguição
RO	persecuție de grup
SK	prenasledovanie skupiny
SL	skupinsko preganjanje
SV	förföljelse av en grupp
NO	forfølgelse av en gruppes medlemmer (b); forfølging av medlemmene av ei gruppe (n)
UK	

განმარტებები

ცნება

– რომელიც განმარტავს, რომ დევნა შეიძლება განხორციელდეს მოსახლეობის იმ ნაწილის („ჯგუფის“) მიმართ, რომელიც სრულად განიცდის ჩაგვრას და საფრთხის წინაშეა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში, ლტოლვილთა შესახებ ჟენევის კონვენციით (და ოქმით) განსაზღვრული ერთ-ერთი კრიტერიუმის შესაბამისად; იმგვარად, რომ ამ ჯგუფის წევრები არა მხოლოდ პოტენციურად არიან რისკის ქვეშ, არამედ ეს რისკი აშკარა და გარდაუვალია. აღნიშნული მოითხოვს, ჯგუფის მიმართ განხორციელებულმა მოპყრობამ მიაღწიოს ისეთ ზღვარს, რომელიც დევნად კვალიფიცირდება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს საფუძველს ზოგადი ვარაუდისთვის, რომ არსებობს ჯგუფის თითოეული წევრის ინდივიდუალური დევნის საფრთხე იმის მიუხედავად, გახდა თუ არა ეს პირი ამგვარი დევნის მსხვერპლი.

– მაშინ როდესაც კონკრეტული ჯგუფის მიმართ დევნის ფაქტი შეიძლება დგინდებოდეს, მოცემული კონცეფცია მოითხოვს, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში აღნიშნული ჯგუფის წევრის მიერ წარდგენილი საერთაშორისო დაცვის შესახებ განცხადების განხილვა განხორციელდეს მისი ინდივიდუალური გარემოებების და არა მხოლოდ მოცემული ჯგუფის წევრობის ფაქტის გათვალისწინებით.

წყარო

განმარტება გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს თანმიმდევრული პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება 1990 წლის 15 მაისის განჩინებას -9 C 17.89

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **დევნა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **დევნის აქტი**

★ **დევნის განმახორციელებელი სუბიექტი**

★ **ლტოლვილის სტატუსის ჯგუფური დადგენა**

★ **პრიმა ფაციე (prima facie/„ერთი შეხედვით“) ლტოლვილი**

შენიშვნები

1. იმისათვის, რომ გაჩნდეს ჯგუფის დევნის არსებობის ვარაუდი, საჭიროა, ჯგუფის მიმართ მოპყრობამ მიაღწიოს გარკვეულ ზღვარს, რომელიც აჩენს ჯგუფის თითოეული წევრის მიმართ ინდივიდუალური დევნის ვარაუდს, იმისდა მიუხედავად, ყოფილა თუ არა ეს პირი ამგვარი დევნის მსხვერპლი/ობიექტი. აღნიშნული ვარაუდის დასადგენად საჭიროა, რომ საფრთხე გამოწვეული იყოს ლტოლვილთა სამართლით დაცული უფლებების მასობრივი დარღვევით, რაც სცილდება ცალკეულ პირთა მიმართ განხორციელებულ ერთეულ ან მასობრივ დარღვევებს და წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიაზე მყოფი მთლიანი ჯგუფის მიმართ განხორციელებული დევნის ქმედებებს, რომლებიც თავისი ბუნებით ზრდადი, განმეორებადი და განვრცობადია და ჯგუფის ნებისმიერ წევრს უქმნის დევნის მსხვერპლად ქცევის არა მხოლოდ შესაძლებლობას, არამედ პირდაპირ და გარდაუვალ საფრთხეს.

ჯგუფის დევნა [გაგრძ.]

2. ლტოლვილთა სამართლის სუბსიდიური ბუნების გათვალისწინებით, ჯგუფის დევნის შემთხვევაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ ლტოლვილისთვის დადგენილი დაცვის მინიჭების შესაძლებლობა ჩნდება მაშინ, როდესაც საფრთხე წარმოშობის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არსებობს, ე.ი. არ არსებობს ქვეყნის შიგნით დაცვის ალტერნატივა. იმისთვის, რომ გამოირიცხოს დაბრუნების შემთხვევაში დევნის საფრთხე, მიმღები ქვეყნის მიერ შეთავაზებული, ქვეყნის შიგნით გადაადგილების ალტერნატივა უნდა იყოს გონივრული და ხელმისაწვდომი.

3. ჯგუფის დევნის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. თავშესაფრის სამართლის ევროპული მონაცემთა ბაზა (EDAL), ე.ი. გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს 2009 წლის 12 აპრილის განჩინება -10 C 11.08.

ჰუმანიტარული დაცვა

BG	хуманитарен статут
CS	humanitární ochrana
DE	humanitärer Schutz
EL	ανθρωπιστική προστασία
EN	humanitarian protection
ES	protección humanitaria
ET	humanitaarkaitse
FI	humanitaarinen suojelu
FR	protection humanitaire
GA	cosaint dhaonnúil
HU	humanitárius védelem
IT	protezione umanitaria
LT	humanitarinė apsauga
LV	humānā aizsardzība
MT	Protezzjoni umanitarja
NL	bescherming op humanitaire gronden
PL	ochrona o charakterze humanitarnym
PT	proteção subsidiária
RO	protecție umanitară
SK	humanitárna ochrana
SL	humanitarna zaščita
SV	humanitärt skydd
NO	beskyttelse på humanitært grunnlag (b); vern på humanitært grunnlag (n)
UK	гуманітарний захист

განმარტება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე არსებული (საერთაშორისო) დაცვის ფორმა, რომელიც მიენიჭება საერთაშორისო დაცვაზე განმცხადებლებს იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი არ აკმაყოფილებენ ლტოლვილის ან დამატებითი დაცვის სტატუსის მინიჭებისთვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საჭიროებენ დაცვას კონკრეტული ჰუმანიტარული მიზეზების გამო.

წყარო

შეიმუშავა EMN-მა

უფრო ფართო მნიშვნელობით ტერმინი

★ **საერთაშორისო დაცვა**

დაკავშირებული ტერმინები

★ **დე ფაქტო ლტოლვილი**

★ **(ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლებული ლტოლვილი**

★ **დამატებითი დაცვა**

შენიშვნები

1. ჰუმანიტარული დაცვა არ არის ჰარმონიზებული ევროკავშირის დონეზე.

2. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის სტატუსები გამომდინარეობს სხვადასხვა საჭიროებიდან და გარემოებებიდან და ზოგ შემთხვევაში სცილდება საერთაშორისო დაცვის მინიჭებისთვის ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ საფუძვლებს. აღნიშნული მოიცავს კოლექტიურ დაცვას, ზოგადი ჰუმანიტარული საფუძვლებით დაცვას, დაცვას განსაკუთრებული გარემოებების არსებობის ან ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, ასევე დაცვას წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში არსებული კლიმატის ცვლილების ან ბუნებრივი კატასტროფებით შექმნილი მდგომარეობის გამო, არგაძევების პრინციპიდან გამომდინარე დაცვას, არასრულწლოვანთა და თანმხლები პირის გარეშე მყოფ არასრულწლოვანთა დაცვას და განსახლების კონკრეტულ პროგრამებში ((ევროკავშირის ერთი სახელმწიფოდან მეორეში) განსახლება, ევროკავშირიდან მესამე ქვეყანაში/მესამე ქვეყნიდან ევროკავშირში) განსახლება) ჩართული პირების დაცვას.

3. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა ეროვნულ დონეზე არსებული დაცვის სტატუსები, უმეტესწილად, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რაც უტოვებს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უწყებებს დისკრეციულ სივრცეს იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან შესაბამისობა ან დაცულ იქნეს ეროვნული ინტერესები. აღნიშნულმა, შესაძლოა, შეუქმნას გამოწვევები როგორც განცხადებების განხილვაზე პასუხისმგებელ სამთავრობო უწყებებს, ასევე, ევროკავშირის კონკრეტულ წევრ სახელმწიფოში საერთაშორისო დაცვის მოთხოვნით განცხადების წარმდგენ პირებს.

4. ევროკავშირის კანონმდებლობის მიღმა ჰუმანიტარული დაცვა შეიძლება მიენიჭოს დაცვის სათანადო საჭიროების მქონე პირებს. ეს კატეგორია მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) შემდეგი პირებით:

– ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში;

– განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა (გაუპატიურება, წამება, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება, სხვა) მსხვერპლნი დანიშნულების ქვეყანაში;

ჰუმანიტარული დაცვა [გაგრძ.]

– სიძულვილის ნიშნით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლნი.

ასევე, ჰუმანიტარული ვიზები შეიძლება გაიცეს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

– ბუნებრივი კატასტროფები;

– მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში;

– სერიოზული დაავადების ფაქტი და სათანადო მკურნალობის სისტემის არარსებობა წარმომავლობის (წარმოშობის) ქვეყანაში;

– დაცვის ინდივიდუალური საჭიროება.

5. მეტი ინფორმაციისთვის იხ. EMN: ეროვნულ დონეზე არსებული საერთაშორისო დაცვის სტატუსების შედარებითი მიმოხილვა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და ნორვეგიაში, 2019 წ.

IOM-ის მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 2019 წ.

1. ევროპული კანონმდებლობა და პოლიტიკა

1.1. ხელშეკრულებები, ოქმები და კონვენციები

- დუბლინის კონვენცია (97/C 254/01) EUR-Lex - 41997A0819(01) - EN - EUR-Lex (europa.eu)
- ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია (2012/C 326/02) EUR-Lex - 12012P/TXT - EN - EUR-Lex (europa.eu)
